


ვიფი ვენეუტაძე



ლიტერატურა-  
მეცნიერების  
კვანძი და ხილი



გამომცემლობა „საბოტო სპარტევილი“  
თბილისი — 1988

კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევათა გათვალისწინებით ავტორი გვთავაზობს, ძირითადად, რუს კლასიკოსთა ცხოვრებისა და შემოქმედების ანალიზს. წინა პლანზეა წამოწეული მათი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივ ზოგადსაკაცობრიო, ინტერნაციონალური ელერადობა, რომელიც აახლოებდა და აახლოებს სხვადასხვა ეროვნებისა და ეპოქის ადამიანებს. წარმონეწილია რუსულ-ქართული, უკრაინულ-ქართული ლიტერატურისა და კულტურის ურთიერთგამდობების ფაქტები პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ჩეხოვის, გორკის, მაიაკოვსკის, ესენინის, ლესია უკრაინკას შემოქმედების მიხედვით.

4603010202 — 165

Г ————— 271 — 88

М 601 (08) 88

ISBN 5 — 529 — 00180 — 7



## წიგნის ტექსტის მაგიერი

სსსრკის გზები, გზაჯარაღიწევი

ცივილიზაციის აღმავლობის უჩვეულო, მანამდე წარმოუდგენელი სწრაფი ტემპი სულ უფრო დაჟინებით მოითხოვს მხატვრული აზროვნების ჩასახვისა და განვითარების კომპლექსურ შესწავლას. შემეცნების ობიექტისადმი ასეთი მიდგომა განპირობებულია არა მხოლოდ კაცობრიობის მიერ განვლილი გზის სიღრმისეული შესწავლის აქტუალობით. თუმცა, აღნიშნულის გარეშე, შეუძლებელია საზოგადოების აწმყოს თუ მომავლის ორიენტირების სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრა, ისე როგორც წინსვლის პერსპექტივების განჭვრეტა... და მაინც, ადამიანის ხულიერი ყოფის მთლიანობაში შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, ამ ურთულესი ფენომენის შესაძლო სრული შესწავლის საჭიროებით არის ნაკარნახევი. ამჟამად სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ არის აღიარებული, რომ ადამიანი ფსიქოლოგიურ-გენეტიკური, სოციალურ-საზოგადოებრივი საწყისების ურთიერთ დაახლოებისა და შერწყმის შედეგია. სწორედ ამიტომ პიროვნების ხასიათის ჩამოყალიბების განსაზღვრისას ხაზგასმით აღნიშნავენ „ხორციელისა“ და „სულიერის“ ერთობლივ შესწავლის აუცილებლობას. ამავე დროს, ისიც უდავოა, რომ ადამიანის ესთეტიკური თუ მორალური, ზნეობრივი თუ ეთიკური სრულყოფის პროცესს, უპირატესად, სოციალური წანამძღვრები განსაზღვრავენ. ამის უტყუარი დასტურია მუდმივ ძიებაში მყოფი ინტელექტის სწრაფი ევოლუცია, გამოწვეული გარესამყაროსთან უწყვეტი კონტაქტითა და შრომითი ჩვევების გამომუშავებით.

ყოველივე ზემოთქმულის ჭეშმარიტებას ადასტურებს, აგრეთვე, საუკუნეების მანძილზე მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ნათელყოფს კაცობრიობის მიერ განვლილ, დრამატიზმით აღსავსე განვითარების სოციალურ საფეხურებს, ისე როგორც ადამიანის მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბების გზებს. აღსანიშნავია, რომ ადამიანს ადრევე გაჩენია ნანახ-განცდილის მატერიალიზაციის სურვილი. ასეთის მტკიცების საფუძველს იძლევა უძველეს სამარსებში ნაპოვნი პრიმიტიული, მაგრამ სავსებით მიზანდასახული ნაძერწი გამოსახულებები. ამასვე ადასტურებენ ჩვენი შორეული

წინაპრების გრაფიკული ვარჯიშის ნიმუშები, რომლებიც შემორჩენილია მსოფლიოს სხვადასხვა, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გამოქვაბულებების კედლებზე. ამიტომ საეგზეით დამაჯერებლად უღერს მტკიცება, რომ ადამიანების მისწრაფება განცდების კრიტალიზაციისაკენ ისეთივე უხსოვარი დროით აღინიშნება, როგორც მათი ზრუნვა თვითგანვითარებისათვის.

მიუსედავად ყოველივე აღნიშნულისა, ადამიანის ესთეტიკურ მრწამსზე, იხე როგორც მის ურთულეს სულიერ სამყაროზე, საფუძვლიანი მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როდესაც მეცნიერულ დონეზე გაიშალა მსატერული აზროვნების ფოლკლორული თუ ლიტერატურული, სკულპტურული თუ ფერწერითი ნიმუშების შესწავლა. სწორედ მსატერული ძეგლების ანალიზმა მოგვცა რეალური შესაძლებლობა ემპტიცოთ, რომ სხვადასხვა ცივილიზაციის, რეგიონისა თუ ეპოქის ხალხთა კულტურულ ცხოვრებას აშკარა პარტიკულარულთან ერთად ადამიანებისათვის დამახასიათებელი ბევრი საერთო ნიშანი მოეპოვება, რომელთა გაუთვალისწინებლად ჩვენი შესედულება თვით საზოგადოებაზე, როგორც სოციალურ ერთეულზე, ცალმსრივი იქნებოდა.

ჩველა ჩვენამდე მოღწეულ რამდენადმე სრულყოფილ მსატერულ ნაწარმოებში, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები სისრულით არის ასასული ადამიანთა სულიერი სამყაროსათვის დამახასიათებელი ისეთი უნივერსალური თვისებები, როგორცაა: სიკეთე და ბოროტება, სისარული და მწუსარება, აღტაცება და სინანული, მეგობრობა და დაღატი, სიყვარული და სიძულვილი, სელგაშლილობა და სიძუნწე, სიღამაზე და სიმა-სინჯე, ეჭვი და ნდობა, მოვალეობა და უპასუსისმგებლობა, პრინციპულობა და ორპირობა... ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ საკუთარი ემოციის გამოძახილს პოვებს თანამედროვე მკითსველი, იმ მსატერულ ტილოებში, რომლებთანაც არც რასობრივი, არც ეროვნული და არც ეპოქალური ნიშნებით არ არის დაკავშირებული. თუ არა მსატერული აზროვნების კლასიკური ნიმუშების ზოგადსაკაცობრიო უღერადობა, რომელშიც ვლინდება თვით ლიტერატურის ერთ-ერთი თავისებურება, ვერ აყესნით „მოხეტიალე“ სიუჟეტებისა და საერთო მოტივების მქონე ნაწარმოებთა არსებობას, ისევე როგორც სხვა ხალხის ცხოვრებისა და ისტორიული წარსულის ამსახველი ლიტერატურულ ქმნილებათა მზარდ პოპულარობას. ამდენადვე ეჭვგარეშეა, რომ სასეებით აზროვნების ტიპოლოგიური საფუძველი მსგავს სოციალურ-ეკონომიკურ, ისტორიულ-პოლიტიკურ პირობებთან ერთად თვით ადამიანთა სულიერ სამყაროსა და მათი ემოციურ იმპულსების იდენტურობაშია მოცემული, რომელსაც იმთავითვე ბუნება აპროგრამებს.

ამავე დროს, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ყოველ სოციალურ ფენას საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ზნეობრივი კანონები აქვს, რომლებიც გარკვეულად განსაზღვრავენ საზოგადოების წევრ-

თა მოქმედების ხასიათს, მათ ფსიქიკას თუ მორალს, შესაბამისად, ცხადია, ესთეტიკურ შესედულებასაც. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა აუცილებლად შემოქმედებით ჩავარდნას გამოიწვევს და სელოვანი, ნაცვლად სრულყოფილი მხატვრული ხასისა, სიცოცხლეს მოკლებულ შანსებს შემოგვთავაზებს.

ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა ისედაც რთული და წინააღმდეგობრივი მხატვრული ფენომენის მთლიანი და არა იზოლირებული შესწავლა. შემეცნების ობიექტისადმი კომპლექსური მიდგომით სავსებით ნათელი სდება არამცთუ ცალკეული ერის, არამედ თითოეული შემოქმედის ადგილი საერთო საკაცობრიო კულტურის განვითარების ისტორიაში. ეს მტკიცება, ბუნებრივია, არ გამორიცხავს, როგორც მწერლის ერთპიროვნული, ასევე მისი ეპოქის კულტურული მონაპოვრის დაძოვნილებელ განსილვას. პირაქით, განსაზოვადებელ თეორიულ დასკვნებს, როგორც წესი, წინ უსწრებს შემოქმედის ცსოვრებისა და მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლა. თუკცა, ამ შემთხვევაშიც ლიტერატურის თუ სხვა ხასის ხელოვნების ნიმუშების გააზრებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც ტიპოლოგიური, ასევე ინდივიდუალურ მოვლენათა ყველა კომპონენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ცდა ცალმსრივი იქნება და ვერ წარმოვაჩენთ ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას — მის ინტერნაციონალიზმს.

სალასი ნიჭისათვის თუ რამდენად საჭიროა ზოვადსაკაცობრიო, ჰუმანისტური წინამძღვრები, ამის კონკრეტულ მაგალითს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა იძლევა, სადაც აკრძალულია შოვინიზმი-სა და ნაციონალიზმის, რასიზმისა და ექსპანსის პროპაგანდა.

ლიტერატურის, საერთოდ კი ცივილიზაციის განვითარების საფესურების განსაზღვრის დროს აუცილებელია ყველა ერის პოტენციური შესაძლებლობის გათვალისწინება. უდაყო ჭეშმარიტებაა, რომ მსოლოდ თავისუფალ, საკუთარ ეროვნულ ტრადიციებს დაყრდნობილ მწერალს შეუძლია კაცობრიობის მხატვრული საუნჯე ნამდვილად მაღალი ინტერნაციონალური ჟღერადობის შედევრებათ გაამდიდროს, სადაც აუცილებლად იქნება დაცული ადამიანის ღირსება, განურჩევლად მისი ეროვნული თუ რასობრივი კუთვნილებისა. როგორც ჩანს, ეს კარვად ჰქონდა შეგნებული ყველა ეპოქისა და ეროვნების დიდ მოაზროვნეს, მით უმეტეს, რომ შოვინიზმსა და ძალმომრეობას არც ერთი ხალხისათვის კარგი არაფერი მოუტანია. ამიტომაა, რომ ყველა ჯანსაღად მოაზროვნე მწერალი საქმითა და კალმით ფსიზლად დვას ხალხთა შორის მეგობრობის, სოციალური და ეროვნული სამართლიანობის დაცვას სადარაჯოზე, სხვა ამბულაში მისი წარმოდგენა შეუძლებელია.

ჩვენ დროს ლიტერატურული პროცესის მთლიანობაში შესწავლა მით უფრო აუცილებელი ვახდა, რადგანაც ინფორმაციის საშუალებებმა განვითარების უნივერსალურ მასშტაბებს მიაღწია. პლანეტაზე პრაქტი-

კულად არ არსებობს ისეთი კუთხე, სადაც შეუძლებელი იყოს ნებისმიერი ცნობების მიწოდება. ყოველივე აღნიშნულის გამო ხალხთა კულტურული ცხოვრების შესების წერტილების გაშიფვრა სასურველიდან აუცილებელში გადაიზარდა. განსაკუთრებით ეს საჭიროა მაშინ, როდესაც ხალხებს შორის ისტორიულად მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი არსებობს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგალითიც საკმარისია. ცნობილია, რომ უხსოვარ დროიდან ქართული კულტურის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელს ახლო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის სასელოვან მწერლებთან. ყველა ჩვენი დიდი მოაზროვნე თვითონ უყოყმანოდ უსიარება და და სხვებისაგანაც მაღლიერებით იღებდა მათ ნააზრევსა და ნაფიქრალს. ცოცხლად აღიქვამდა ყოველივე ჯანსაღს, განსაკუთრებით კი იმას, რაც მის ეროვნულ ინტერესს შეესაბამებოდა.

ქართველი მწერლების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი იმთავითვე კულტურული გაცვლის ურთიერთობის კეთილშობილურ მიზანს ემსახურებოდნენ, რის გამოც ჩვენი მწერლობის მოღვაწეობას ზყარი საერთაშორისო საფუძველი შეექმნა და ლიტერატურამაც ინტერნაციონალური ჟღერადობა მიიღო.

სწორედ ეს ჰქონდა მსედველობაში გამოჩენილ ქართველ მეცნიერს აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს, როდესაც წერდა: „კულტურული გარემოცვის საკითხს, ჩვენ ვერ ავცდებით, რადგანაც ჩვენს ქვეყანას იზოლირებულად არ უცხოვრია არასდროს, მას ასეთი თუ ისეთი ურთიერთობა ჰქონდა სხვა, მასლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან, მისი კულტურა და ლიტერატურა იმყოფებოდა მოწინავე ერთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთშემოქმედების სფეროში“<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ უძველესი კულტურისა და ლიტერატურის მქონე ქართველ ერს, სანამ იგი ორიენტაციას ევროპისაკენ აიღებდა, ახლო ურთიერთგამამდრებელი კავშირი ჰქონდა დამყარებული აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ჩვენს ეროვნულ კულტურაში უთუოდ შეიმჩნევა ზერძნებისა და არაბების, სპარსელებისა და ოსმალების, ისე როგორც სხვა ხალხთა ლიტერატურისა და ხელოვნების გამოძახილი, რომელიც არამცთუ ამცირებს მის თვითმყოფადობას, არამედ საზგასმით მიგვანიშნებს ქართველი ხალხის საოცარ უნარზე აითვისოს და საკუთარ კულტურის შემდგომ განვითარებას დაუქვემდებაროს მასლობელ ერთა სულიერი ყოფის პოზიტიური მონაპოვარი. ეს სომ ცივილიზებული ქვეყნის კულტურული აღმავლობის ისტორიით დადასტურებული ერთადერთი სწორი გზაა. ამიტომ დღეს ვერავინ უარყოფს, რომ ქართუ-

<sup>1</sup> კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი პირველი. თბ. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 1960, გვ. 43.

ლი ლიტერატურის მდიდარი ტრადიციები იქმნებოდა ახლო აღმოსავლეთისა და აზიის, აფრიკისა და ევროპის ხალხებთან მჭიდრო კავშირში. ასევე ბუნებრივია, რომ ამ პროცესს ორმხრივი ხასიათი ჰქონდა: ითარგმნებოდა არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ ქართული ლიტერატურული წყაროები გადაქონდათ სხვა ენაზე და ამ გზით ისინი მომე ხალხთათვის მისაწვდომი ხდებოდა, ანდა რამდენ ქართველ მოაზროვნეს თავისი უკეთესი ქმნილება იმთავითვე უცხოურ ენაზე დაუწერია და ცივილიზებულ სამყაროს კუთვნილება გამხდარა.

და მაინც, ყოველი ხალხი კულტურულ წინსვლის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ეროვნულ საფუძვლებს ემყარება. რომ გაიგო სხვისი ნაზრევი, შეძლო მისი მშობლიურა ხალხის ინტერესებისათვის დაქვემდებარება, აუცილებელია განვითარების სათანადო დონე, რომელიც ერის ჩამოყალიბების ობიექტური შინაგანი კანონებითაა განპირობებული. ამის დამადასტურებელ ბრწყინვალე მაგალითს თვით კულტურული გაცვლის ინტენსიურობა წარმოადგენს. როგორც წესი, ეს პროცესი სწორედ მაშინ აღწევს ზენიტს, როდესაც ქვეყანა ეკონომიკურ და სოციალურ აყვავებას განიცდის, გაზრდილია მისი საერთაშორისო რეზონანსი.

ჩრდილოელ მეზობლებთან ქართველების დაახლოების ფესვები შორეულ წარსულშია გადგმული, რომლის შესახებ წერილობითი ცნობები მემატინანებმა შემოგვინასეს. თუმცა, ჩვენი ხალხის სლავურ ტომებთან უფრო ადრინდელი ურთიერთობის დამამტკიცებელი სხვა მასალაც მოგვეპოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყირიმის ნახევარკუნძულზე 1897 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. მაშინ არქეოლოგებმა გათხრითი სამუშაოები აწარმოეს შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ უძველეს ბერძნულ ქალაქში ხერსონეს თავრიჩესკში (ლიტერატურულ წყაროებში იგი ცნობილია აგრეთვე როგორც „ხერსონი“ და „კორსუნი“). შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ამ ბერძნული დასახლების დაარსების თარიღად მიჩნეულია დაახლოებით 422 წელი ჩვენს ერამდე. კოლონიის ცენტრი, ანუ „გოროდიშე“, როგორც მას ძველ რუსულ ლიტერატურულ წყაროებში უწოდებენ, მდებარეობდა თანამედროვე სევასტოპოლის დასავლეთით, მისგან ორი კილომეტრის დაშორებით. იქ ახლაც მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები.

ხერსონესმა თითქმის ოცი საუკუნე იარსება, იგი XV საუკუნეში დაანგრიეს თურქებმა ყირიმის დაპყრობის დროს. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ქალაქი და მის დაქვემდებარების ქვეშ მყოფი საკმაოდ ვრცელი ტერიტორია სამეურნეო და პოლიტიკურ აღმავლობას VIII—X საუკუნეებში განიცდიდა. იგი მაშინ ერთ-ერთი უძლიერესი სამთავრო ყოფილა მთელ ყირიმის ნახევარკუნძულზე. მკვლევართა ვარაუდით ხერსონესი უნდა იყოს ის ქალაქი, სადაც მოხდა კიევის მთავარის ვლადიმერ სვიატოსლავიჩის ქრისტიანად მონათვლა. ეს ქალაქი

მას ბიზანტიის წინააღმდეგ მძიმე ბრძოლების დროს 988—989 წლებში დაუპყრია კიდეც.

აი, ამ ისტორიული ქალაქის ცენტრსა და გარე უბანში არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებისას აღმოჩნდა ქართული მონასტრის რთული ნაგებობათა ფრაგმენტები, საკმაოდ კარგად შექონასული ჯერის ტიპის კათედრალური ტაძრის ნაშთებით, ზოგან დარჩენილი კედლის სიმაღლე 6 მეტრს აღწევდა, მთლიანად შემორჩენილი იყო ეკლესიის ფუნდამენტი, როგორც კვლევა-ძიებით დადგინდა, ტაძარი VI საუკუნეში აუგიათ საქართველოდან ჩასულ მისიონერებსა და ფეოდალების მიერ დევნილ სასულიერო თუ საერო მოღვაწეებს. ქართულ მონასტერს ხერსონში ოთხ საუკუნეს უარსებია და ერთობ მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყოლია VIII—IX საუკუნეებში. ქართული სასულიერო კოლონიის სიძლიერესა და გავლენაზე მეტყველებენ არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი უამრავი უნიკალური ნივთები, რომლებიც ნაპოვნია „გოროდიშეს“ მთელს ტერიტორიაზე. მათ შორის საგანგებო აღნიშვნის ღირსია მრავლად მოპოვებული ქართული ჯვრები, მარმარილოს ფილები ქართული ორნამენტით, ფრესკები, ვერცხლის მცირე მოცულობის საძვლე-სარკოფაგი, ქართველი მხატვრების მიერ შესრულებული ხატები და სხვ. ქართული კათედრალური ტაძრისა და ნაგებობათა ფრაგმენტების აღმოჩენამ, ისე როგორც ქართული კულტურის ამსახველმა საგნებმა, თავის დროზე სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. დაიწერა და გამოქვეყნდა არქეოლოგიური კომისიის ვრცელი ანგარიში, სადაც ქართული მასალების აღწერას სათანადო ადგილი უჭირავს, ქალაქის წარსულსა და არქეოლოგების მიერ მოპოვებულ ნივთიერ მტკიცებებს ისტორიკოსებმა არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნეს. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მოპოვებულ მასალებზე დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებათა კვალდაკვალ გამოთქმული ნ. ვ. პოკროვსკის ფრიად საინტერესო მოსაზრებები იმის შესახებ, რომ არქეოლოგების მიერ მიკვლეული ქართული მონასტრის, ჯანსაყუთრებით კი კათედრალური ტაძრის ნანგრევები საშუალებას ეძლევა პოზიტიურად ვიმსჯელოთ ამ ნაგებობათა სხვებისაგან განსხვავებული არქიტექტურული კომპოზიციის შესახებ. მეცნიერი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ქართულ ტაძარს თავისი სტილით, აგებულებითა და მშენებლობის ცალკეული დეტალების გამოკვეთილად განსხვავებული გადაწყვეტით არამცთუ ხერსონესში, არამედ მთელ იმ მხარეში ანალოგი არ მოეპოვებოდა. ეს თავისი მოსაზრება ნ. ვ. პოკროვსკის გამოთქმული აქვს წერილში, რომელიც გამოაქვეყნა იმავე 1897 წელს (იხ. „ცერკოვნი ვესტნიკი“, № 30). იგივე აზრისა იყვნენ სხვარუსი მკვლევარებიც, მაგრამ აღნიშნულ პრობლემის მრავალმხრივ, თანაც დამაჯერებელ გადაწყვეტას იძლევა ცნობილი ქართველი ისტო-

რიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი გ. სამაგლიშვილი რუსულ ენაზე 1910 წელს გამოქვეყნებულ თავის მონოგრაფიაში. წიგნში უხვად არის გამოყენებული ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე დაწერილი ლიტერატურა, არქეოლოგთა მოპოვებული მასალა, მანამდე უცნობი ხელნაწერი წყაროები, გავლებულია ქართულ ძეგლებთან პარალელები. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, ავტორის დაკვირვებებსა და დასკვნებს უცილობელი მტკიცების ღირსება ენიჭება, რის გამოც მათ თავისი მტკიცებულებით ფასეულობა დღესაც არ დაუკარგავთ.

სერსონესში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ქართულ მასალებთან ერთად ჩვენი კულტურის ისტორიისათვის მეტად საინტერესოა მარმარილოს ფილა, ბერძნული წარწერით, რომელიც გვაუწყებს: „გოთიის მართლმადიდებელი მოსახლეობა 750 წელს ირჩევს თავის მოძღვრად (წმინდანად) ღირს (წმინდა) იოანეს და გზავნის მას იბერიის საპატრიარქო ტახტზე, სადაც იგი ეპისკოპოსად ეკურთხა და, სადაც შეუცვლელად იცავენ საეკლესიო ჭეშმარიტ სარწმუნოების დოგმებს (დებულებებს)“ (იხ. „ზაანისკი იმპერატორსკოგო ოდესკოგო ობშესტვა ისტორიი ი დრეენოსტი“. ტ. XIII, გვ. 25, თარგმნა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა). ეს ბერძნული ტექსტი მრავალმხრივ საყურადღებოა. გარდა იმისა, რომ ის მიუთითებს საქართველოში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების სიწმინდეს, რაც იმ დროისათვის არცთუ მცირე მნიშვნელობის ფაქტორი იყო, აშკარაა ქართული ეკლესიის გავლენის გავრცელება შორეულ ჩრდილოეთში. ირკვევა აგრეთვე საქართველოსა და ყირიმის ნახევარკუნძულის ქრისტიანული კერების სიახლოვე, მათ შორის კულტურული ურთიერთობა. ამიტომ ჩვენ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება გ. სამაგლიშვილის ვარაუდი, რომ ნერსეს, აბოსა და სხვა მათთანმსლებთ გეზი სწორედ სერსონესისაკენ უნდა აედოთ. მართალია, იოვანე საბანისძისა და სხვა ისტორიული წყაროების ავტორთა მტკიცებით, ჩრდილოეთ კავკასიაში, ტამანისა და ქერჩის ნახევარკუნძულებზე VIII საუკუნის მიწურულისათვის ქრისტიანული კერები ბლომად გვსვდებოდა, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ მაშინ უფრო ძლიერ ქართველ მორწმუნეთა კოლონიას, ვინემ სერსონესში, საბანისძის გმირები ვერსად შეხვდებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, განსხვავებული მტკიცებისათვის ჯერჯერობით არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება.

რაკი ბერძნულ წყაროზე ჩამოვარდა საუბარი, აქვე გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: როგორც ცნობილია, უძველესი კულტურის მქონე ამ ქვეყნის მოღვაწეებმა საქართველოზე ბევრი საინტერესო ცნობა შემოგვინახეს, მათ შორის ქართველების, კერძოდ ლაზების სერსონელებთან ურთიერთობაზეც. დადგენილია, რომ ჯერ კიდევ III საუკუნეში ქართველურ ტომებს არამცთუ სცოდნიათ ყირიმის ნახევარკუნძულზე მაცხოვრებელთა ვინაობა, არამედ საქმიანი ურთიერთობაც მქონიათ მათთან, ყოველ შემთხვევაში, სერსონელებისათვის ლაზეთი

და ლაზები ცნობილია: „კოსტამ მოსთხოვა ხავრომატეს დაებრუნებინა ტყვეები, — ვეითხულობთ III ს. ბერძნულ წყაროში, — ტყვეები რომ მიიღო კოსტამ, სერსონელ ელჩთაგან ორი თავისთან დაიტოვა, ხოლო დანარჩენები ხავრომატეს გაუგზავნა.

ხავრომატემ... სერსონელები რომ ჩაიბარა, ისინი წინდაწინ გაგზავნა ლაზთა ქვეყნიდან, თან გააყოლა თავისი საკუთარი კაცები, რომლებსთვისაც იმათ უნდა გადაეცათ ბოსპორი და მათი ოჯახები“ (გეორგიკა“, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 288).

ის, რომ ჯერ კიდევ IX ს. ქართველები და სლავები გვერდიგვერდ იბრძოდნენ, ამის დასტურსაც ბერძნული წყაროები იძლევა. მემათიანე, აღწერს რა თომა სლავის აჯანყებას (822—824 წლები), აღნიშნავს: „...შემდეგ შექმნა სახელგანთქმული ხაერთო ჯარი აგარიანთა... აბაზთა, ჯიქთა, იბერთა, კარიბთა, სლავთა, ჰუნთა, ვანდალთა და გეტთაგან და ყველა იმათგან, ვინც ამანის მწვალებლობას იზიარებდა, აგრეთვე ლაზთა და ალთანთაგან, ხალდთა და არმენიელთაგან და ყოველგვარი და ყოველგვარ სხვა ტომთაგან შექმნა ჯარი და მთელ აღმოსავლეთში გაბატონდა...“ („გეორგიკა“, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 305). ამ ცნობას ადასტურებენ აგრეთვე ბიზანტიური და სომხური წყაროებიც.

აღსანიშნავია, რომ სულ ასლახან ეგვიპტეში აღმოჩნდა ასევე VI საუკუნით დათარიღებული ტაძარი, რომელიც, ისე როგორც სერსონესის ქართული კათედრალური ეკლესია, თავისი არქიტექტურული კომპოზიციითა და ნაგებობის სტილით ჰგავს ჯვრის საყდარს. ამავე დროს, ისე როგორც სერსონესში მას ანალოგი ეგვიპტეშიც არ დაეძენა. ყოველივე აღნიშნულმა მკვლევარ ა. მიქაბერიძეს მისცა საშუალება, თანაც არცთუ უსაფუძვლოდ, ამტკიცოს, რომ ეგვიპტეში აღმოჩენილი ტაძარი ქართველი მისიონერების მიერ უნდა იყოს აგებული და იგი ქართული კულტურის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია, რომელიც საზღვარგარეთ გვხვდება.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ ეწეოდნენ ქართველი მისიონერები ბერძნებთან ერთად მართლმადიდებლური რელიგიის ფართო პროპაგანდას, როგორც სამხრეთში, ისე აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში, რისთვისაც აგებდნენ ტაძრებს, ქმნიდნენ მონასტრებს, რომლებიც მაშინ ძირითად კულტურულ კერას წარმოადგენდა, ეს ადგლი ახასხსნელია, თუ გავითვალისწინებთ ქრისტიანული იდეოლოგიის მთავარ მოთხოვნას: მორწმუნე სომ ვალდებული იყო თავგამოდებით ეზრუნა „ურჯულოთა მოქცევისათვის“. განა ამით არ იყო განპირობებული შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით თამარ მეფის დროს, ქართული ეკლესიების აგება ჩრდილოეთ კავკასიაში. ბევრი მათგანი, მეჩეთად გადაკეთებული თუ უბატონოდ მიტოვებული, დღესაც დგას მშფოთვარე საუკუნეების მოწმეებად.

რაც შეეხება ქართულ მხატვრულ ლიტერატურულ წყაროებს, აქ



პირველი ცნობა ჩვენი ხალხის ჩრდილოელ ტომებთან კავშირის შესახებ შემონახულია იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამებაში“, რომელიც VIII ს. 80—90 წლებით არის დათარიღებული, სადაც ქართლის ერისთავ ნერსეზე ვკითხულობთ: „...და განვლო მან კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქმის. და რაჟამს განვიდა, იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც და მათ თანავე იყო ხანატრელიცა ესე მონაჲ ქრისტესი ჰაბო.

ხოლო ნერსე, ვლტოლვილი ქვეყანით თვისით, შევიდა ქვეყანასა მასა ჩრდილოსასა, სადა — იგი არს სადგური, და საბანაკე ძეთა მაგოგისთა რომელ არიან საზარნი...“<sup>1</sup>. XII საუკუნის პოეტურ ძეგლებში კი, კერძოდ, ჩახრუხაძის „თამარიანსა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, უკვე გვხვდება სიტყვები „რუსეთი“ და „რუსნი“<sup>2</sup>, რაც იმის უდავო დასტურია, რომ ამ დროისათვის ქართველებმა კარგად იცოდნენ ერთმორწმუნე ხალხის ვინაობა და ადგილსამყოფელი. ეს ფაქტი იმაზედაც მიუთითებს, რომ ორ ხალხს შორის შედარებით სტაბილური კულტურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობა კიევის რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნასთან არის დაკავშირებული.

და ეს ხავესებით ბუნებრივია, რადგანაც ჯერ კიდევ IX—X საუკუნეებში კიევის რუსეთის სამხრეთის საზღვრებმა შავი ზღვის ნაპირებს მიაღწია. X ს. შეიქმნა კიდევაც ტმუტარაკანის სლავური სამთავრო მდ. ყუბანის შესართავთან. ამავე დროს, სპეციალისტების სამართლიანი მტკიცებით, რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა მარტო მეზობლური კავშირით როდი ამოიწურებოდა. ახლა უკვე ეჭვმიუტანელი საბუთებით დადასტურებულია რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის საყოველთაო ხასიათი. ამას ამტკიცებს ისიც, რომ IX—X საუკუნეებში საქართველოში მოჭრილი მონეტების გავრცელების გეოგრაფიულმა საზღვრებმა ბალტიის ზღვის ნაპირებამდე მიაღწია. დავით კურაპალატის დროს მოჭრილი ქართული ფული აღმოჩენილია ვლადიმირში, ასკოვსა და მინსკში, ქართული ნუმიზმატიკური ნიშნები ნაპოვნია აგრეთვე ლატვია, ლიტვასა და ესტონეთში ჩატარებულ გათხრების დროს.

XI საუკუნის დასაწყისში რუსი მეომრები საქართველოშიც გამოჩნდნენ კეისარ ბასილის მხედრიონთან ერთად, ეს უკანასკნელი კი მეფე

<sup>1</sup> ქართული პროზა. წიგნი I, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1982, გვ. 127.

<sup>2</sup> სუმბათ დავითიძის ცნობით პირველად რუსი მეზობლები ქართველებს შესედნენ ბასილ კეისრის რაზმში, სწორედ მან XI ს. დათარიღებულ ძეგლში პირველად ისმარა სიტყვა „რუსები“. რაც შეეხება რუსულ-ქართულ ურთიერთობის ცნობილ ჰეგლერ პროფ. ი. ცინცაძეს, მისი ძიებით დადგენილია, რომ უკვე X—XI საუკუნის ქართულ ორიგინალურ ძეგლებში გვხვდება სიტყვები: „ვარაიეები“, „სლავი“ (სკლავი), „რუსი“.

გიორგი პირველს ებრძოდა, რადგანაც მან ბიზანტიის ბატონობისაგან თავის დაღწევა განიზრახა<sup>1</sup>.

ქართველები და რუსები საზღვარგარეთაც სვდებოდნენ ერთმანეთს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. კერძოდ, ორი ერთმორწმუნე საღვთისმშობლის საქმეში დიდი როლი უთამაშია ათონის მთაზე აგებული ივერიისა (980—983) და პეტრიწონის მონასტრებს. ყველგან ინტენსიური, საგანმანათლებლო მოღვაწეობა მიმდინარეობდა, რომლის მნიშვნელობა ბევრად სცილდებოდა ვიწრო რელიგიურ ჩარჩოებს. სშირად ქართული და რუსული მონასტრები ერთმანეთის გვერდით იყო განლაგებული. მეზობლად მყოფ საეკლესიო მოღვაწეთა კონტაქტების საჭიროებაზე თვით მათი საქმიანობის ხასიათიც მიუთითებს, ისინი სომ ქრისტიანულ მართლმადიდებლური კულტურის ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ.

საქართველოსა და რუსეთის კულტურული დაახლოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ისტორიულ პროცესს, რომელიც 988 წელს კიევის რუსეთის მიერ ქრისტიანული რელიგიის ოფიციალური აღიარებით დაგვირგვინდა. ამიერიდან ერთმორწმუნე საღვთისმშობლის ცხოვრებაში ბევრი საერთო საზრუნავი გაჩნდა. საქართველო, იმ დროისათვის მდიდარი, ქრისტიანული კულტურის მქონე სასელმწიფო, ამარაგებდა ჩრდილოელ მეზობელს სათანადო ლიტერატურითა და საჭირო მასალით, ყოველმხრივ ხელს უწყობდა მართლმადიდებელ სარწმუნოების ფართო გავრცელებას, რაც მის პოლიტიკურ ინტერესებსაც შეესაბამებოდა. როგორც ცნობილია, X—XII საუკუნეების საქართველოს ზეგავლენის სფერო ბევრ აღმოსავლეთის და ევროპის სასელმწიფოებს მოიცავდა, მის ელჩებს ყველგან საგანგებო პატივით იღებდნენ. იგივე ითქმის კიევის რუსეთზეც, რომელმაც შეძლო თავის გარშემო ურთიერთმოქიშპე სამთავროები შემოეერთებინა და აღმოსავლეთ ევროპაში ძლიერი ცენტრალიზებული სასელმწიფო შეექმნა.

საქართველოსა და კიევის რუსეთის კულტურულ ურთიერთობაზე, ამ ურთიერთობის ხასიათზე და მნიშვნელობაზე საინტერესოდ მოგვითხრობს აკად. ბ. გრეკოვი: „ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე აყვავებამ მძლავრი გამოძახილი კიევის რუსეთის მშენებლობაშიაც ჰპოვა, რასაც ადასტურებს ჩერნიგოვის ტაძარი, აგებული XI ს. 20-იან წლებში. მოგვიანებით ქართველი ოსტატები მონაწილეობდნენ ვლადიმირის ტაძრის მოხატვაში<sup>2</sup>. აკად. შ. ამირანაშვილი ნოვგოროდის მასლობლად მდებარე სპასნერადიცას (XII ს.) ტაძრის ფრესკების შეჯერებით ანალიზის შედეგად იმ აუცილებელ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ტაძრის მოხატულობა არა მარტო საერთო კონტურით, არამედ თვით

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ეს ბრძოლა 1021—1023 წლებში მოხდარა.

<sup>2</sup> История СССР, т. I, под редакцией академика Б. Д. Грекова. М., «ГИПЛ», 1947, с. 139.

წმინდანების გამოსასულეებითაც მსგავსია ქართულ ფრესკებისა, რომლებიც მათზე ადრე იყო შექმნილი. რაც შეეხება ძველი რუსული ხუროთმოძღვრების სიამაყეს — კიევის წმინდა სოფიოს ტაძრის (XI ს.) მოსატყაში ქართველ ხელოვანთა მონაწილეობას, ეს სომ ყველას მიერ აღიარებული ფაქტია. ამის შესახებ პირდაპირი ცნობა თვით რუსულ მატრიანეშია შემონახული. ჩვენამდე მოღწეულია აგრეთვე უფრო გვიანდელი წყაროები, რომლებიც ადასტურებენ ქართველი მოღვაწეების პოზიტიურ როლს ძველი რუსული ლიტერატურისა და სახვითი სკულპტურების განვითარებას საქმეში.

როგორც ვხედავთ, XI—XII საუკუნეებში საქართველოსა და რუსეთის კულტურული ურთიერთობა მრავალფეროვანი იყო. ამ საუკუნეებში გაფართოვდა აგრეთვე ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთკავშირიც, რაც სახელოვანი ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. ორი მოძმე სალსთა ახლო ურთიერთობას ბევრად განაპირობებდა თურქ-სელჯუკებისა და ბიზანტიის ბატონობის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლა. იმავე პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდნენ ქართველი და სლავი მეფეების დამოყვრებაც.

რუსულ მატრიანეებში შემონახულია საინტერესო ცნობა კიევის მთავრის იზიასლავ მსტისლავიჩის 1154 წელს საქართველოს მეფის ასულზე დაქორწინების შესახებ. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, იზიასლავ პირველის მეუღლე უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფე დიმიტრი I ასული რუსუდანი, რომელიც გათხოვების წელსვე დაქვრივებულია და უკან დაბრუნებულია. თავისი დროის აქტუალურ-პოლიტიკურმა მიზნებმა განაპირობეს აგრეთვე თამარ მეფის ქმრად იური (გიორგი) ანდრიას ძე ბოგოლუბსკის მოწვევა. პროგრესულად მოაზროვნე ქართველი და რუსი სახელმწიფო მოღვაწეები იმთავითვე ხედავდნენ მჭიდრო ურთიერთკავშირის აუცილებლობას, რომელსაც ორივე მხრისათვის უნდა მოეტანა სარგებლობა.

ეს დიდებული საქმე XIII საუკუნიდან მონღოლთა შემოსევის შედეგად დიდი სნით შეწყდა. ამას წინ უძღოდა როგორც კიევის რუსეთში, ასევე საქართველოში შიდაფეოდალური ბრძოლები, რის შედეგადაც დასუსტებულმა კიევის სახელმწიფომ ვერ შეძლო მონღოლებისათვის საჭირო წინააღმდეგობის გაწევა და დაცვა. მონღოლების ბატონობის ქვეშ საქართველოც მოექცა. შეწყდა ქართული კულტურული ცხოვრების აღმავლობა, იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსული კულტურაც.

მიუხედავად აღნიშნულისა, ლიტერატურული წყაროების თანახმად, ამ უამიანობის დროსაც ორი ერთბედაქვეშ მყოფი ერის ურთიერთინტელის გრძელდებოდა; მათ სომ ბევრი საერთო გასაჭირი ჰქონდათ. მართალია, რუსები და ქართველები ტერიტორიულად დაშორდნენ ერთმანეთს, მათ შორის დამპყრობელთა „ოქროს ურდო“ აღიმართა, მაგრამ,

მემატიაეების ცნობით, ქართველი და რუსი თავადები მაინც ხედ-ბოდნენ ერთმანეთს მონღოლთა სამთავროებში. ცხადია, ამ შესვენდრებს მხოლოდ ეპიზოდური სასიათი ჰქონდა და ამიტომ რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას ხალსთა ბედზე ვერ იქონიებდა. თუმცა არ არის გამოორი-ცხული მათი პოზიტიური მნიშვნელობაც.

XV, განსაკუთრებით XVI საუკუნეებში, როგორც კი შეიქმნა ოდნავ ხელსაყრელი პირობები ორი მოძმე ხალსის დამოკიდებულების გასა-უმჯობესებლად, დაუყოვნებლივ აღსდგა ეს ურთიერთობა და ასლა უკვე უფრო ფართო სასიათი მიიღო. ამჯერადაც საქართველოს კავშირი ერთ-მორწმუნე მოსკოვის სასელმწიფოსთან ისტორიული აუცილებლობით იყო ნაკარნახები. სპარსეთ-ოსმალეთის დაუსრულებელმა შემოსევებმა და შეუწყვეტელმა შიდაფოდალურმა ინტრიგებმა ქართველი ერი ფი-ზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა. ამიტომ მოწინავე ქართველი მოღვაწეების ორიენტაცია იმ დროისათვის გაძლიერებულ მოსკოვის სასელმწიფოზე ერთადერთი გონივრული გამოსავალი იყო და ქართველმა მეფეებმაც არ დააყოვნეს ესარგებლათ შექმნილი სელსაყ-რელი პირობებით.

1491 წელს კახეთის მეფემ ალექსანდრემ მოსკოვს, ივანე III-თან თავისი ელჩები გაგზავნა, რათა „ურჯულოების“ წინააღმდეგ საბრ-ძოლველად დახმარება ეთხოვა. ივანე III ელჩებმა კახეთის მთავრის წერილი გადასცეს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ეს ისტორიული ფაქტი რუს მემატიაეებს 1492 წლის თარიღით აქვთ შეტანილი კრე-ბულში, როგორც მოსკოვის სამთავროსათვის მნიშვნელოვანი მოვლენა-მაგრამ ჯერ კიდევ წინ იყო ბევრი ობიექტური მიზეზით გამოწვე-ული წინააღმდეგობა, რომლის დაძლევა საგანგებო მეცადინეობასა და დროს მოითხოვდა.

XVI საუკუნეში, როდესაც ივანე IV მონღოლები საბოლოოდ გან-დევნა ყაზანიდან და კასპიის ზღვის ნაპირებს მიადწია, რუსეთის სა-ხელმწიფოსათვის შეიქმნა რეალური პირობები აღმოსავლეთის ქვეყ-ნებთან ვაჭრობის აღსადგენად. მოსკოვის სასელმწიფომაც შექმნილი ხელსაყრელი პირობებით ისარგებლა. მაგრამ რუსეთის სამსრეთისაკენ ღჭილვით განაწყენებული დარჩნენ თურქეთის სულთანი და სპარსე-თის შაჰი, რომლებიც ყველა საშუალებას ხმარობდნენ, რათა შეეჩერე-ბინათ ქრისტიანული ჩრდილოელი სასელმწიფოს სამსრეთისაკენ სწრაფვა, დაეცვათ საკუთარი კოლონიალური ინტერესები კავკასიაში. სულთანმა შეკრა ყირიმის სამთავროები, დაუკავშირა ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ მუსულმანებსა და ამით ასალი ბარიერი აღიმარ-თა ქრისტიანულ სასელმწიფოთა შორის. საქართველო აღმოჩნდა მუ-სულმანულ გარემოცვაში, გაძნელდა მისი კავშირი რუსეთთან. თვითონ რუსეთის სამსრეთ რაიონები გადაიქცა თურქებისა და მისი მოკავში-რების რბევის ობიექტად, არ წყდებოდა მმარცველური თავდასხმები, ხში-

რად აწიოკებდნენ და ატყვევებდნენ მოსახლეობას. ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, ბუნებრივია, რუსეთი სამხრეთის საზღვრების გასამაგრებლად მოკავშირეს ეძებდა. ამდენად, გასაგებია მისი ორიენტაცია ერთმორწმუნე საქართველოზე. როგორც ვხედავთ, XVI საუკუნის ბოლოსათვის შეიქმნა ისეთი პოლიტიკური ვითარება, როდესაც ორივე სახელმწიფო დაინტერესებულია, რაც შეიძლება მალე აღადგინონ კავშირი. სწორედ ამით უნდა აისხნას ის დიდი ინტერესი, რომელსაც მოსკოვის სამეფო საქართველოსადმი იჩენდა. ამის დასტურია აგრეთვე დასმარება, რომელიც ივანე IV სასახლემ გაუწია კახეთის მეფე ლევანს, რომლის ელჩებთან მოლაპარაკების შედეგად მოხდა შეთანხმება, რის საფუძველზე 7 წლის (1565—1572) განმავლობაში დადესტნელთა თავდასხმებისაგან კახეთის დაცვაში მონაწილეობდნენ რუსი ჯარისკაცებიც.

XV—XVI საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობამ, ერთმორწმუნე ერთა კულტურული ცხოვრების სიახლოვემ თავისი ასახვა პპოვა რუსულ ლიტერატურულ ძეგლებშიც. კერძოდ, აქ შეიძლება დავასახელოთ „მოთხრობა ბაბილონის სამეფოზე“, სადაც ვხვდებით ქართველ პერსონაჟს, სოლო „თქმულება დინარაზე“ მთლიანად ქართულ ლეგენდაზეა აგებული. მკვლევართა ვარაუდით, დინარას პროტოტიპი იამარ მეფე უნდა იყოს. „ყაზანის სამეფოს ისტორიაში“ აღნიშნულია, რომ ივანე IV ბრძოლის წინ გაამხნევა თავისი მეომრები, გაიხსენა სპარსელებთან ბრძოლებში თამარ მეფის ბრწყინვალე გამარჯვებები და ნათქვამი „თქმულების“ შინაარსის გადმოცემით გაამაგრა. ამ მოცრობის მოკლე ვარიანტი გვხვდება აგრეთვე იმდროინდელ სხვა რუსულ ხელნაწერებში. თვით ის ფაქტი, რომ რუსულ ლიტერატურაში ქართული მოტივები შეიჭრა, თავისთავად ბევრის მთქმელია.

XVI საუკუნის ბოლო ათეული წლებიდან რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკურ, სამხედრო და კულტურულ ურთიერთობაში ასალი, მანამდე მიუღწეველი ფაზა იწყება. ამიერიდან სისტემატურად ხდებოდა ელჩების გაცვლა, დამყარდა მტკიცე სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, შეიქმნა საერთო გეგმები. სახელგანთქმული მეფის ბორის გოდუნოვის დროს საქართველოსა და რუსეთის მეგობრულმა ურთიერთობამ კიდევ უფრო მაღალ წარმატებას მიაღწია. ეს შორსმჭვრეტელი მანარქი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი სახელმწიფოს ავტორიტეტის ზრდისათვის საჭიროა უძველესი ქრისტიანული კულტურის მქონე საქართველოსთან რუსეთის სასახლის დაახლოება, იგი შეეცადა აღედგინა რუსი და ქართველი მეფეების დამოყვრების უძველესი ტრადიცია.

რუსეთის მეფეების ცდას არცთუ სშირად მოჰყოლია რეალური დასმარება საქართველოსათვის. და ამის მიზეზი, უპირველესად, თვით მონარქისტული წყობის ხასიათში უნდა ვეძიოთ. ანგარიშგახაწვია აგრეთვე ურთულესი პოლიტიკური ვითარება, რომელიც წინ

ეკობებოდა ორი მოძმე ხალხის კეთილ ურთიერთობას. მიუსხედავად აღნიშნული სიძნელეებისა, მოწინავე რუსი და ქართველი მოღვაწეები მაინც ასერსებდნენ მჭიდრო კულტურული კონტაქტების დამყარებას, რასაც ბევრად შეუწყო სელი XVII—XVIII საუკუნეებში მოსკოვსა და პეტერბურგში ქართული კოლონიების არსებობამ. იმ დროიდან ორი მოძმე ხალხის კულტურულ ურთიერთობას მყარი საფუძველი ჩაეყარა...

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ 1589 წელს მოსკოვიდან საქართველოში საგანგებო მისიით ჩამოსულან რუსი მსატყრები და ხელოსნები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ დახმარება გაეწიათ ქართველებისათვის მუსულმანების მიერ დანგრეული ეკლესიების აღდგენაში. ლიტერატურულ წყაროებში მითითებულია, რომ 1589—1637 წლებში საქართველოს საეკლესიო ძეგლების რესტავრაციაში მონაწილეობა მიუღია 15 რუს მსატყარსა და ხელოსანს, თანაც ფრესკებისა და მოზაიკური ნახატების აღსადგენად საჭირო მასალები თვითონ ჩამოუტანათ. მათი დახმარებით აღუდგენიათ ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა ალავერდის, გრემის, მცხეთის, მარტყოფისა და სხვა ტაძრები.

ამრიგად, XVII—XVIII საუკუნეებში მომზადდა მყარი ნიადაგი ორი ჩრისტიანული სახელმწიფოს ყოველმხრივ დაახლოებისათვის, საგრძობლად გაფართოვდა კულტურული ძალების შემოქმედებითი კონტაქტები. განსაკუთრებით ამას ხელი შეუწყო 1783 წელს მიღებულმა შეთანხმებამ, რომელიც ცნობილია გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით. ხოლო 1801 წლიდან საქართველო რუსეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქართული და რუსული კულტურის დაახლოების საქმეში საგანგებო როლი ითამაშეს მოსკოვის, პეტერბურგის, კიევის, ასტრახანისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა კოლონიებმა. მოსკოვის ქართველთა კოლონას საფუძველი თეიმურაზ პირველმა ჩაუყარა, რომელმაც რუსეთის მეფისადმი თავის ერთგულების დასტურად მოსკოვის მთავრის ალექსი მისეილის ძის სახასლემში 1653 წელს თერთმეტი წლის შვილიშვილი ირაკლი გააგზავნა. პატარა ირაკლის თან ახლდა დედამისი ქეთევანი და ქართველ კულტურულ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი. მოგვიანებით, 1658 წელს, მრავალრიცხოვანი ამალით თეიმურაზ პირველი თვითონვე ჩავიდა მოსკოვში და ალექსი მისეილის ძეს დახმარება სთხოვა. მაგრამ მაშინ თვით რუსეთის მდგომარეობა და მისი აღმოსავლური პოლიტიკა ამის საშუალებას არ იძლეოდა. სამაგიეროდ მოსკოვში გაჩნდა ქართველ კულტურულ მოღვაწეთა პირველი კოლონია, რომლის საქმიანობა განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა საქართველოს ფრიად განათლებული მეფის არჩილის იქ ჩახვლის შემდეგ.

პირველად არჩილმა 3 წელი დაყო მოსკოვში, ყურადღებით აკვირ-  
დებოდა ყოველივეს, მონდომებით სწავლობდა რუსულ ლიტერატურას  
და კულტურას. როდესაც მისი არაერთგზის ცდა, გაეთავისუფლებინა  
საქართველო თურქი დამპყრობლებისაგან, მარცხით დამთავრდა, იგი  
ოჯახითა და დიდი ამალით 1699 წელს სამუდამოდ მოსკოვში დასახლ-  
და. ამიერიდან მეფე-პოეტ: ძთელი მონდომებით კულტურულ-საგან-  
ძან-თავებლო და ლიტერატურულ საქმიანობას ეწაფება. არჩილს სამი  
წაუიღას მსო ლოდ ერთი ალექსანდრე შერჩა, რომელიც პეტრე I ბავ-  
შეობის მეგობარ იყო და მან აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთის  
მონარქის სამსყდრო რეფორმებსა და ზრძოლებში.

თვითონ არჩილი ქართული კულტურის ისტორიაში ბევრი საშვი-  
ლიშვილო საქმის მოთავედ წარმოგვიდგება. მისი პოეზია, სადაც რუ-  
სეთის ცხოვრებამ რელიეფური ასახვა პპოვა, ქართული ლიტერატურის  
უდაყო შენაძენია. არჩილმა თავის პოეტურ ქმნილებებში დიდი ადგილი  
დაუთმო პეტრე I საქმისა და სასიათის მსატერულ გააზრებას. ქართ-  
ველ მკახანს განსაკუთრებით მოსწონდა დიდი რეფორმატორის უშუ-  
ალობა და დემოკრატიზმი. არჩილის დასურათებით პეტრე I იდეალუ-  
რი მონარქია, რომელსაც სამშობლოსა და პროგრესისადმი ხიყვარული  
ამოქმედებს. აღსანიშნავია, რომ არჩილი ერთ-ერთი პირველი პოეტია  
არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ რუსულშიც, რომელმაც  
პეტრე I დადებითი მსატერული სახე შექმნა. როგორც ცნობილია, პეტ-  
რე I თემა გამჭოლი იქნება რუსული ლიტერატურის განვითარების  
ძთელ მომდევნო პერიოდისათვის. არჩილი არა მარტო თვითონ ბევრს  
მუშაობდა, არამედ ის სელმძღვანელობდა და წარმართავდა მისი მრ-  
ვალრიცხოვან თანამოაზრეთა შემოქმედებითს საქმიანობას, რომლებიც  
ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ მშობლიური კულტურის სხვადასხვა სფე-  
როში, XVIII საუკუნის დასაწყისში არჩილმა მოსკოვში ქართული  
სტამბაც მოაწყო; ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ დიდი საქმის მნიშ-  
ნელობა ქართველი ერის კულტურის ისტორიაში.

ქართველთა კულტურული ცენტრების საქმიანობის შემდგომ გა-  
ფართობას ბევრად შეუწყო ხელი მოსკოვში მეფე ვახტანგ VI ჩასვლამ,  
რომელსაც ყველაზე მრავალრიცხოვანი ამაღა ახლდა. ვახტანგ მეფის  
მსახებელთა შორის იყვნენ ცნობილი ქართველი საზოგადო და კულტუ-  
რული მოღვაწეები. თვითონ ვახტანგ VI გამოირჩოდა ღრმა მეცნი-  
ერული და ლიტერატურული ცოდნით, მისი კვლევითი ინტერესი მრ-  
ვალფეროვან საკითხთა წრეს მოიცავდა. საერთოდ კი XVIII საუკუნის  
20—30 წლებში ვახტანგ VI თურქებთან დამარცხების შემდეგ, ბევრი  
ქართველი მოღვაწე და ერისკაცი იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა  
სამშობლო და რუსეთში ემიგრირებულიყო. სწორედ მაშინ გაჩნდა პე-  
ტერბურგის, უკრაინის, ასტრახანის, ყაზანისა და სხვა ქართველ მოღ-  
ვაწეთა კულტურული კერები, რომლებშიც ლიტერატურული ატმოს-

ფერო სუფევდა. ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თვა-  
თონ რუსეთის სასოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გავისხე-  
ნოთ თუნდაც 1738 წელს შექმნილი ქართველთა ლეგიონის საგმარო  
საქმეები. ქართველმა მეომრებმა ბევრი სასასელო ფურცლები ჩაწერეს  
თურქეთის, პრუსიისა და სხვათა წინააღმდეგ რუსეთის ჯარის ბრწყინ-  
ვალე გამარჯვებების ისტორიაში.

ვასტანგ VI განამტკიცა ქართული ტიპოგრაფიის საქმიანობა, აქ გა-  
მოიცა თვითონ მეფე-პოეტის მიერ შესწავლილი და მეცნა-  
ერული კომენტარებით თანდართული „ეფესისტყაოსნის“ პარველა  
სტამბური ტექსტი. ვასტანგ VI მიერ გამოცემული დიდი რუსთაველას  
პოემა უნიკალურია თავისი სახიათით. მის მიერ შედგენილ კომენტა-  
რებს დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება, რუსთავე-  
ლის შემოქმედებისა და ცხოვრების მკვლევარი ყოველთვის მადლაერე-  
ბით მოიხსენიებს პოეტი-მეფის ფასდაუდებელ ნამოღვაწარს. ასლაც კა  
განცვიფრებას იწვევს ვასტანგ VI ბრწყინვალე ორიენტირება აღმოს-  
სავლეთისა და ევროპის ქვეყნების მეცნიერულ და კულტურულ მადწე-  
ვებში. მან ბევრი რამ გააკეთა ქართველი და რუსი საღსის სულიერა  
დაასლოებისათვის, იყო დიდი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი. ამ  
დაად მიზანს ერთგულად ემსახურნენ ვასტანგ VI და სხვა თანამებრ-  
ძოლებიც. საკმარისაა დავასახელოთ მამუკა ბარათაშვილის, ვასტანგ  
ორბელიანის, ვასტანგ ბატონიშვილისა და სხვათა ნაყოფიერა შემაქ-  
მედებოი მოღვაწეობა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია XVIII საუკუნის დიდა ქართველი  
პოეტის დავით გურამიშვილის დგაწლი, როგორც ეროვნული კულტუ-  
რის, ასევე ქართველი, რუსი და უკრაინელ საღსთა ურთიერთდაასლო-  
ებას საქმეში, მისი პირადი ცხოვრება, რომელიც ბრწყინვალე ნამუ-  
შის იმისა, იყო დიდი ინტერნაციონალისტი და, ამავე დროს; საშეალი-  
ძვილო ეროვნული საქმე აკეთო, დღესაც მისაბამ მაგალითად რჩება.  
მან შეისისხლსორცა რუსული და უკრაინული საღსური პოეზია და  
დაუმორჩილა იგი მსობლიურ ლიტერატურის ინტერესებს. სრულყო  
და გაამდიდრა ქართული ლექსის ზომა და რითმი. დ. გურამიშვილის  
პოეზიაში სშირად გვხვდება რუსული და უკრაინული მრტივეები, მის  
სსზულებებში ფრიად საინტერესოა ერთმორწმუნე საღსთა სულიერა  
სიასლოვის ამასველი სტრიქონები. მან პირველად ქართულ ლიტე-  
რატურაში შექმნა რუსი ყმა-გლეხის სათნო და მიმზიდველი მსატერუ-  
ლი სასე, უმღერა მოძმე ერთა ისტორიით განპირობებულ მეგობრობას.

პეტერბურგის ქართული კოლონიის საქმიანობაში წარუშლელი კვა-  
ლი დატოვა თეიმურაზ II, რომელიც იქ 1760 წელს ჩავიდა. მართალია,  
მისი დაასლომატიური მისია უშედეგოდ დამთავრდა. მს თვითონაც იქ  
გარდაიცვალა, მაგრამ პოეტი-მეფის შემოქმედებებში აშკარად გამოვ-  
ლინდა ქართველი და რუსი საღსის დაასლოების გარდჭვალრობის ჯან-



ხალი ტენდენცია. მან ფედ მარშალ ბუტურლინის ქალიშვილს ვარვარა მასკილის ასულს უძღვნა ბრწყინვალე ლექსები, რომლებიც თეიმურაზ II ლიტერ. ტურულ მეტყვიდროებაში საუკეთესო ქმნილებად ითვლება.

საუკუნეების მანძილზე ასეთი ძნელი, მაგრამ აღმავალი გზით წარმართა რუსულ-ქართული ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ურთიერთობა, რომელმაც ფართო ასახვა პოეა მომდევნო პერიოდის ლიტერატურაშიც. XVIII საუკუნეში რუსი მწერლები სმირად სმარობენ სიტყვებს „საქართველო“, „კავკასია“, „ქართველები“, მათ შემოქმედებაში გვიხდება ქართული სინამდვილის ამსახველი ეპი-სოდები. ქართული თემატიკა. ქართველი და რუსი მწერლების საერთო ზრუნვის შედეგად ორი მოძვე ხალხის კულტურული ცხოვრება ერთ-მანეთს ავსებდა. სწორედ ამიტომ ქართველ მკითხველთათვის ას-ლო და გასაკებია რუსი მწერლებს შემოქმედება. საკმარისია გავახ-სენოთ ფ. პროკოფოვიჩის, ფ. ეპინის, მ. ლომონოსოვის, მ. სერასკოვის, გ. დერჟავინის, ნ. კარამზინისა და სხვათა ნაწარმოებების პოპულარობა საქარსველოში, მათი საუკეთესო ნაწარმოებები იმთავითვე ითარგმნა.

როგორც ვხედავთ, XVII. განსაკუთრებით კი XVIII საუკუნეში, რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა, რომელმაც XIX საუკუნეში ბევრად უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია. ამჟამად რუსი და ქართველი მათწინავე მოღვაწეების შემოქ-მეობითი თანამშრომლობა კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ მეფას რუსეთი კავკასიაში ვერაფერ კოლონიაურ პოლიტიკას ატარებდა, ორი მოძვე ხალხის საუკეთესო შეი-ლებას თანამშრომლობას ფართო სარბიელა შეექმნა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ დაუსრულებელი გამაჩინაგებელი თაყ-დასსმებისაგან დაცული საქარსველო იწყებს სწრაფ ეკონომიკურ აღორძინებას. მანამდე წარმოუდგენელ სახწრაფით ვითარდება ეროვ-ნული ლიტერატურა და სკლოენება. დასაბამი მიეცა მთელ წამოწყე-ბებს, რომლებმაც განსაზღვრეს ქარსველა ერის ხვალინდელი დღე-მთლიანად რუსეთში კი განვითარების ახალი ერა დაიწყო.

ორივე ქვეყნის მრწინავე ადამიანებისათვის ნათელი გახდა არსებუ-ლა უკუდმართი სოციალური წყობის წინააღმდეგ ერთიანი საბრძოლო ფრონტის შექმნის გარდაუვალობა. ცხადია, თავდაპირველად ძალმოპ-რეობის წინააღმდეგ ბრძოლას ეპიზოდური სახითი შქონდა, მაგრამ ეროვნული თვითშეგნების ზრდასთან ერთად იზრდებოდა ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობა. რაც მთავარია, სამოღვა-წეო ასპარეზზე პროლეტარიატი გამოვიდა, რომელიც თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია. საზოგადოების რევოლუციური განვითარების შედეგად XIX საუკუნის ბოლოს რუსი და ქართველი ხალხის წინაშე ახალი ერთიანი გრანდიოზული ამოცანა დაისახა: დღის წესრიგში

თვითმპყრობელურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს წერევისა და ადამი-  
ანებს შორის სამართლიანი სოციალური ურთიერთობის დამკვიდრების  
საკითხი დაისვა. მასშტაბურმა სოციალურმა მიზნებმა შესაფერასი იდე-  
ები წარმოშვეს, რომელთა მხატვრული გააზრება მწერლებისაგან რეა-  
ლაზმის შემდგომ გაღრმავებას მოითხოვდა. რუსი და ქართველი კლასი-  
ციკოსების სადიდებლად უნდა ითქვას, რომ მათ ბრწყინვალედ გაართ-  
ვეს თავი ეპოქის მოთხოვნებს და შექმნეს ბრწყინვალე ნაწარმოებები,  
რომელთა ჰუმანური და ფართო ინტერნაციონალური უღერადობა დღე-  
საც მაკეთილშობილებელ შეგავლენას ახდენს მკითხველზე. რაც შეეხე-  
ბა მოძმე ხალხთა ლიტერატურული ცხოვრების საერთო მიმართულე-  
ბას, აქ გაგრძელდა ურთიერთგამდიდრების ბუნებრივი პროცესი, რო-  
ძელიც დღეს უკვე სოციალისტური სინამდვილის ერთ-ერთი ძირითა-  
და კანონია.

რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ერთი ავტო-  
რის თუნდაც მთელ მონოგრაფიაში მოხერხდეს XIX ს. რუსულ-ქარ-  
თული ლიტერატურული ურთიერთობის რამდენადმე სრულყოფილი  
გაშუქება. მით უმეტეს, რომ წინამდებარე წიგნის მიზანი ძალზე მოკრ-  
ძალებული და განსხვავებულია — გვსურს თანამედროვე ლიტერატუ-  
რათმცოდნეობის მიღწევების გათვალისწინებით შოგადი ცნობები მი-  
ვაწოდოთ მკითხველს რამდენიმე რუსი და უკრაინელი კლასიკოსის შე-  
მოქმედებაზე, მათი საქართველოსთან კავშირის წარმოჩინებით. აქვე  
უნდა ითქვას, რომ რუსულ-ქართული ლიტერატურული კონტაქტები,  
განსაკუთრებით XIX საუკუნისა, საკმაოდ ვრცლად არის განსილული  
და შესწავლილი ქართველი და რუსი მეცნიერების მიერ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხალხთა სულიერ ცხოვ-  
რებაში თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო. ეს რთული პროცესი კი,  
უპირატესად, ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშებში გამოიკვეთა.  
ქართველი საბჭოთა მწერლები ამ შემთხვევაშიაც ძირითადად საკუთარ  
ლიტერატურულ ტრადიციებს ეყრდნობიან.

უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა მწერლების,  
ისე როგორც კულტურის სხვა სფეროში მოღვაწე შემოქმედთა ურთი-  
ერთგამამდიდრებელი შეხვედრები საბჭოთა ეპოქის ნიშანსვეტად იქცა-  
ივი, სოციალისტური სინამდვილის პრაქტიკით განმტკიცებული, ჩვენი  
ცხოვრების ორგანული ნაწილია. სხვანაირად არც შეიძლება იყოს.  
ვ. ი. ლენინის სამართლიანი მტკიცებით, საბჭოთა ადამიანს ისტორიამ  
კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისებისა  
და შემდგომი განვითარების ურთულესი ამოცანა დააკისრა. ამავე  
დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ მხატვრული ლიტერატურის უკეთესი  
ნიმუში ყოველთვის უმწიკვლოდ ემსახურებოდა ხალხთა სულიერ და-  
ახლოვების დიად საქმეს. აქედან გამომდინარე, საბჭოთა მწერლის  
უპირველესი მოვალეობაა მეგობრობისა და ძმობის ხიდი გადოს ყვე-

ლა ასაკისა და მდგომარეობის მკითხველთა შორის, მათი ეროვნული თუ რასობრივი სხვაობის მიუხედავად.

როგორც ზემოთ დავინახეთ, წინამძღვრები, რომელსაც ეყრდნობა საბჭოთა ხალხის ლიტერატურული მეგობრობა, ისტორიული აუცილებლობით არის ნაკარნახები. ამიტომაც ასე მტკიცეა იგი. მით უმეტეს, რომ მას აღდუღაბებდნენ მოძმე ერთა საუკეთესო შვილები: გრიბოედოვი და პუშკინი, ლერმონტოვი და ტოლსტოი, ტარას შევჩენკო და ლესია უკრაინკა, მირზა ასუნდოვი და აბას სისატი, ოვანეს თუმანიანი და გაბრიელ სუნდუკიანცი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი...

ხალხთა სულიერი დაახლოების საშვილიშვილო საქმე გააგრძელეს საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებმა მისი მამამთავრის მაქსიმ გორკის თავდაცობით. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი შეუდგა „რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა კულტურულ ძალების შეკრებას“ და დიდი ენერგია შეაღია ამ სანუკვარ საქმეს, რომელიც საჭირო სისრულით მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გაიშალა. მ. გორკიმ საბჭოთა მწერლების I ყრილობას ამბიონიდან აუწყა სამყაროს სოციალისტური ლიტერატურის ძირითადი თავისებურება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მის მრავალეროვნულობაში გამოვლინდა. მართლაც, დღეს საბჭოთა ლიტერატურის ისტორია წარმოუდგენელია რუსეთისა და უკრაინის, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის, შუა აზიისა და კავკასიის, რუსეთის ფედერაციაში შემავალი მცირე თუ მრავალრიცხოვან ერების დიდი მწერლებს შემოქმედების გარეშე.

საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითა მეთოდმა — სოციალისტურმა რეალიზმმა არამცთუ გააქრო მხატვრულ ტილოებში ხალხთა სულიერი ცხოვრების ოვთომყოფადი კოლორიტი, როგორც ამას ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეები გვაკიჟანებდნენ, არამედ პირიქით — მხოლოდ მისი წყალობით შეაქმნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ნაწარმოებები. და ეს ხავესებით ბუნებრივია, რადგანაც ყველა დროისა და ეროვნების მოწინავე მოღვაწის უპირველეს საზრუნავს ადამიანებს შორის სამართლიანი ურთიერთობის დამკვიდრება წარმოდგენდა. ამ მიზნის მისაღწევად კი ერთნაირად მისაღები იყო და არის არამცოუ განსხვავებული ეროვნული ფორმა, არამედ დამოუკიდებელი სტილი და მეთოდიც. უფრო მეტი, ორიგინალურ ნაწარმოებთა ნივილირება არ ხერხდება თუნდაც იმიტომ, რომ იგი უპირისპირდება თვის შემოქმედებითი პროცესის თავისებურებას, რომლის ინდივიდუალობა განპირობებულია სავსებით კონკრეტული, სუბიექტური თუ ობიექტური პრინციპებით.

საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით უკვე რამდენიმე ათეული წელია აღმართის არც ერთ ქვეყნის მწერლებს არა მკაცრად იმდენი მკითხველი, რამდენიც საბჭოთა მხატვრული სიტყვის

ოსტატებს. ჩვენს მწერლებს სომ კანონით ეკრძალებათ ომისა და რა-საწმის, შოენინიზმისა და ნაციონალიზმის, მორალური გახრწნილობისა თუ ზნეობრივი გადაგვარების პროპაგანდა... ყველაფერს რომ თავი და-ვანებოთ, აღნიშნული ეწინააღმდეგება თვით აღამიანის ბუნებას, ამი-ტომაც ყველა მწერლის წმიდათაწმიდა მოვალეობაა სალსთა შორის მშვიდიობისა და მეგობრობის განმტკიცება, ამ დიადი მიზნისათვის აქ-ტიური და უკომპრომისო ბრძოლა. საბჭოთა ლიტერატურას მსოფლიო კულტურადაა სწორედ იმან მოუტანა, რომ იგი ქადაგებს მშვიდობისა და მეგობრობის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის, ჰუმანიზმისა და ნდობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაღალ იდეალებს, რომლებიც ასე სელშესახებად არის ნაძერწი ჩვენი მწერლების საქვეყნოდ აღიარებულ ნაწარმოებებში.

რუსი საბჭოთა მწერლების ბრიგადა შემოქმედებითი მივლინებით საქართველოში პირველად 30-იან წლების დასაწყისში ჩამოვიდა. ეს იყო მ. გორკის მათითებით დაწყებული საბჭოთა მწერლების ურთიერთ-გაცნობისა და დაასლოების ორგანიზებული პროცესი, რომელსაც მწე-რალთა კავშირი წარმართავდა. შემოქმედებითი ბრიგადების პროგრამა საკათსთა ფართო და მრავალფეროვან წრეს მოიცავდა. ისინი არა მხო-ლოდ სწავლობდნენ, აკვირდებოდნენ და აღიქვამდნენ რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში მომხდარ სოციალურ თუ კულტურულ ძვრებს, არამედ თვითონაც გულასდილად, მთელი მონდიშებით უში-არებდნენ თავიანთ გამოცდილებებს, მსიხეულებაამდე მიჰქონდათ ენოქას სუნათება და პარტიის მართალი სიტყვა. არქივებმა ამ პროცესის ამსახ-ველი არაერთი საინტერესო დოკუმენტი შემოგვინანსა. მათ შორის ჩვე-ნამდე მოაღწია ცნობილი ქართველი პოეტისა და სასოგადო მოღვაწის ტაციან ტაბიძის წერილმა, ვაგზაენილმა მწერალთა კავშირის თავმჯ-დომარის ა. ს. შჩერბაკოვის სასელზე, სადაც გვიტისულობთ: „...წარ-მოიბეა აგრეთვე აზრი საქართველოში ბრიგადის მოწვევის თაობაზე. რუსი მწერლების პირველმა ბრიგადამ საქართველოში, რომელიც ალექსი მაქსიმეს ძე გორკის ინიციატივით იყო გამოგზავნილი და რო-მელშიც შედიოდნენ: პ. ა. ბავლენკო, პ. ს. პასტერანკი, ნ. ს. ტისონოვი, ვ. ვ. გოლცევი, ოლ. ფორში, ნ. ტინიანოვი ბრწყინვალედ შეასრუ-ლა თავისი ამოცანა, რაც ყველას მიერ ერთხმად იყო აღიარებული საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზედაც. ამ ბრიგადის მუშაობის წყალობით გაჩნდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი წამოწყებები. ასე მა-გალითად: მზადდება ქართული პოეზიის ანთოლოგია V საუკუნიდან და-წყებული ჩვენს დრომდე, სასლიტვაში გამოსაცემად ამზადებს „ქართ-ველ რომანტიკოსებს“ (ა. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, ვრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი). წიგნი ლენინგრაღში გამოვა „პოეტის ბიბლიოთეკის“ სერიით და ა. შ.“

სამამულო ომის წლებში ეს დიდი საქმე დროებით შეწყდა, მაგრამ,

როგორც კი დაშკვიდრდა მშვიდობა, საბჭოთა მწერლებმა ახალი ენერგითა და უფრო დიდი მასშტაბით გააგრძელეს ბრწყინვალე წამოწყება. გაჩნდა კულტურულ მიღწევათა გაცვლის ახალი ფორმები. მოძვერესაუბლიკის წარმომადგენლები მოსკოვში თაყიანთ დეკადაზე შემოქმედებითს ანგარიშს აბარებენ დედაქალაქის მშრომელებს. თავის მსრივ მოსკოვის შემოქმედებითი კოლექტივები საგასტროლოდ მიემგზავრებთან რესაუბლიკებში. გასშირდა მწერლების როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური საღამოები, მოგზაურობები და შესყედრები. ფართოდაა ცნობილი გორკისა და მაიაკოვსკის, ესენინისა და ა. ტოლსტოის, პასტერნაკისა და ტისანოვის, პაეღენკოსა და დოღმატოვსკის, ზაბალოცკისა და ანტოკოლსკის, ფადეევისა და შოლისოვის, ფედანისა და ლეონოვის, ტვარდოვსკისა და მისხლოვის, მარშაკისა და სიმონოვის ასლო მეგობრული ურთიერთობა ქართველი საბჭოთა მწერლების ყველა თაობასთან: ეს არ იყო შემოხვევათი, ოფიციალური შესყედრებით გამოწვეული ურთიერთობა. მას სანგრძლივი და სტაბილური სასიათი უქონდა, რა შესლსაც ორივე მხარესათვის დიდი ხარგებლობა მოქონდა და მოაქვს. ამ პეირფასი ტრადიციას ეროგულნი რჩებთან თანამედროვე რუსი და ქართველი პროზაიკოსები და პოეტები. საქართველო, მისი „რომანტიკული სულით აღზახე საღსი“, შთაგონებას წყაროდ იქცა მოელი რიგა რუსი და სხვა მოძვე რესაუბლიკებსას ასაღვასრდა მწერლებისათვის... ქართული იემატიკის ამსახველა თსშულელები რუსული, უკრაინული, ბელორუსული და სხვა მოძვე რესაუბლიკების საბჭოთა ლიტერატურას დიდი და ორგანული ნაწილა. დღეს ასევე წარმოუდგენელია ქართული ლიტერატურის ისტორია რუსი და მოძვე ყრთა ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებთა გარეშე.

ბოლო წლებში დაშკვიდრდა „საბჭოთა ლიტერატურას დღეები“ ამა თუ იმ რესაუბლიკასა თუ ოლქებში. ეს შემოქმედებით კონტაქტების ახალი და უფრო დეპოკრატული ფორმაა. რომელმაც უკვე მოიბოვა მოქალაქეობრივი უფლებები. მისი გავრცობისა და ზეგავლენის სფერო გაცილებით დიდია. ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობას აკებენ ყველა რესაუბლიკისა და რეგიონის ლიტერატურული ძალეები. საბატიო სტუმრებს შორის არიან თითქმის ყველა ეროვნული ლიტერატურის წარმომადგენლები, რაც სოციალსტური კულტურის ტრანუმფალური წინსვლის დემონსტრაცია. მისი ინტერნაციონალური, საყოველთაო-სახალსო ხასიათის კიდევ ერთი დასტურია. 1982 წელს საქართველოში წარმატებით ჩატარდა მ. გორკის დღეები, რომელმაც ჩყენი საზოგადოების ყველა ფენაში დიდი გამოსმაურება პოვა. საქეცნიერო სესია, რომელაც დიდი პროლეტარული მწერლის სამიღვაცყო ასპარეზზე გამოსვლის 90 წლისთავს მიეძღვნა, თავისთავად მნაშენელოვანი მოვლენა იყო ჩყენი დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. მოხსენებით გამოსულმა მეცნიერებმა საბჭოთა ლიტერატურის ბევრი საინტერესო საკითხი გააშუ-

ქეს, რუს და ქართველ მკვლევართა წინაშე ასალი ერთობლივი ამოცანები დაისახა.

საქართველოში უკვე ტრადიციად იქცა მიაიაკოვსკის პოეზიის დღეების ყოველწლიური ჩატარება. ამ ზეიმზე ასალგაზრდა პოეტებს გადასცემენ მიაიაკოვსკის სახელობის პრემიას, რომელიც წელიწადში ერთხელ ენიჭება ერთ ქართველ და ერთ სტუმარ პოეტს. 1985 წელს, საბჭოთა კავშირში პირველად ჩატარდა დიდი რუსი პოეტის ს. ესენინის პოეზიის დღეები. საქართველომ ამ ზეიმში ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიკავა. და ეს ბუნებრივიცაა, აქ სომ პოეტმა თავისი ისედაც ხანმოკლე ცხოვრებას თითქმის ნახევარი წელი გაატარა და, მისივე აღიარებით, შექმნა ის უკეთესი, რაც კი მას დაუწერია. ჩვენ არაფერს ვლანარაკობთ იმ სახალსო ზეიმებზე, რომლებიც იმართება როგორც მოსკოვში, ასევე რესპუბლიკების დედაქალაქებში რუსი, ქართველი და სხვა მოძმე ერების კლასიკოსების იუბილეებთან დაკავშირებით, ეს ზეიმი საყოველთაო დღესასწაულის იერს იღებს.

გარდა რუსი მწერლებისა, ტრადიციულად ქართველ საბჭოთა ლიტერატორებთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებულა ასერბაიჯანელ და სომეს, უკრაინელ და ბელორუს მსატვრული სიტყვის ოსტატებს. ჩენი მკითხველი დიდი ხანია იცნობს და უყვარს აღმოსავლური კოლორიტითა და იუმორით სავსე სამედ ვურდუნისა და სულეიმან რუსთამის, მესთი ჰუხეინოვისა და მირზა იბრაჰიმოვის... მაღალმსატვრული ნაწარმოებები. ქართველი კაცის სულიერ სამყაროს ბუნებრივად ერწყმის ავეტიკ ისააკიანისა და აკოფ აკოფიანის, ელიშე ჩარენცისა და ღერენიკ დემერჯიანის მიერ შექმნილი პოეტური სამყარო, სადაც მკთხველი ყოველთვის იხოვის საკუთარი განწყობის შესაბამის გამოძასილს. სომეს, ასერბაიჯანელ და ქართველ მწერალთა თხზულებებში ბევრ საერთო პრობლემებს და თემებს წავაწყდებით, რაც ამ ხალხთა მჭიდრო ურთიერთობით არის განპირობებული.

უკრაინულ საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებებში ჯერ კიდევ 20-იან წლებში გამოიკვეთა მწვავე სოციალური პრობლემებისა და ღრმა ფილოსოფიური განცდების მსატვრული სახეებით გადმოცემის სურვილი. მისი ერთ-ერთი ფუძემდებელის პაბლო ტიჩინას პირველხავე ლექსებში იგრძნობა, არცთუ უშედეგო ცდა, განსაზღვროს პირადი დამოკიდებულება გარეშე სამყაროსადმი, მოგვცეს ადამიანის პუნებისა და ცხოვრების რაობის საკუთარი შესვდულების მსატვრული გააზრება. ასალი ცხოვრების სიდრმისეულად გაანალისების ტენდენცია შემდგომ განვითარებას პოვებს არა მარტო პ. ტიჩინას შემოქმედებაში. კაცობრიობის სვალინდელი დღის მოტივებს მეტ-ნაკლები სისრულით შეეხებთან უკრაინული საბჭოთა ლიტერატურის ისეთი კორიფეები, როგორიც არიან მ. რილსკი, მ. ბაჟანი, პ. მალიშკო და სხვები. თანამედროვე უკრაინული ლიტერატურის განვითარებაში უდავოდ იგრძნო-

ბა ივ. ფრანკოს, განსაკუთრებით ტ. შევჩენკოსა და ლ. უკრაინკას ტრადიციების პოზიტიური გამოძახილი.

ქართველ და უკრაინელ მწერლებს შორის შემოქმედებითი მეგობრობა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს, მისაბამ მაგალითად ითვლება. რევოლუციის შემდეგ ეს ურთიერთობა უფრო განმტკიცდა.

უკვე 1939 წელს უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობამ სპეციალურად მიაგვლინა თავის წარმომადგენელი საქართველოს მწერალთა კავშირში სელმეკრულების გასაფორმებლად, რათა უმოკლეს ვადებში უკრაინულ ენაზე გამოეცა ქართველი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები 100 საავტორო თაბახის მოცულობით. შემდეგში ეს დიდებული წამოწყება სულ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა. დღეს, როგორც უკრაინელი, ისე ქართველი მშობლიურ ენაზე ეცნობა უკრაინელი და ქართველი მწერლების ყველა შესანიშნავ ქმნილებას.

ქართველი მკითხველი ბელორუსულ ლიტერატურას ძირითადად 20-30-იან წლებში გაეცნო (ამ პერიოდზე შოდის ბელორუსიაში ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს თარგმანიც). 1935 წელს პირველად მოხდა ბელორუსი და ქართველი მწერლების ბრიგადების გაცვლა, რამაც ახალი სტიმული მისცა მომხმე ხალხთა კულტურული დაახლოების შემდეგ გაღრმავებას. ეს ფრიად ყურადღებები პროცესი დღეს მთელი შესაძლებლობით ეითარდება და სულ ახალ სასურველ ნაყოფს იძლევა. როგორც ბელორუსიაში, ასევე საქართველოშიც არა ერთი მნიშვნელოვანი რომანი და მოთხრობა, ლექსი და პოემა დაიწერა, სადაც მკითხველებს აცნობენ ბელორუსი და ქართველი ხალხის ცხოვრების გმირულ წარსულსა და აწმყოს, უმდერაან საბჭოთა აღამიანების ძმობასა და მეგობრობას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბელორუსულმა ლიტერატურამ, რომელიც შედარებით არცთუ შორეულ ისტორიას მოითვლის, ლაღად გამაღა ფრთები და დღეს იგი ერთ-ერთი წამყვანია კავშირში, გაიზარდა მისი ადგილი მსოფლიო მხატვრული აზროვნების სფეროშიც. ეს ვასაგებია, რადგანაც მის ისტორიას ამკობს საქვეყნოდ აღიარებული სახელები ი. კუპალა, პ. ბროვკა, პ. პანჩენკო. მ. ტანკი და მრავალი სხვა.

ბალტიისპირეთის მწერლების თხზულებებიდან ქართველა მკითხველი ახალ, მანამდე მისივას უცნობ სამყაროს გაეცნო, გაიზო მცარერიცხოვანა, მაგრამ ერთიანი ეროვნული ინტერესებით შეკრული, ძლიდარი ტრადიციებისა და კიდევ უფრო მეტი პოტენციალური შესაძლებლობის მქონე ხალხთა ცხოვრება.

ასევე ბუნებრივად შემოვიდა ქართველთა შემეცნების სამყაროში შუა აზიის ხალხთა ყოფა, ამ მხარის უკეთესი მწერალთა თხზულებებიდან. ოდესღაც მდიდარი კულტურისა და მაღალი ცივილიზაციის მქონე ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები, ყაზახები და ყარგიზები დიდი ხნით კარგავენ მოპოვებულ პოზიციებს და მხარე გაჩანაგდა, ჩაქრა კულტურ-

რული ცსოვრება. მაგრამ საბჭოთა სელისუფლებამ, სოციალისტურმა წყობამ ამ რეგიონის მოსახლეობა აღორძინებისა და განახლების ფერსულში ჩააყენა. დღეს მოძმე რესპუბლიკების მწერლებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს შუა აზიის ლიტერატორებს, რომელთა ნაციონალურა კოლორიტით გამსჭვალული ქმნილებები სიბლავენ არა მარტო საბჭოთა მკითხველებს.

საოცრად გაიზარდა ჩრდილოეთ კავკასიის მცირერიცხოვან ხალხთა კულტურული განვითარების დონე, დიდია მათი თვითმყოფადი ლიტერატურული ფენომენის რესონანსი. იგივე ითქმის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სოციალისტურ რევოლუციამდე „უმწერლო“ ხალხთა კულტურულ ცსოვრებაზე. დღეს მათ შესაძლო წვლილი შეაქვთ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პროცესში, ამდიდრებენ ცივილიზაციით მოპოვებულ საუნჯეს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად აქვე უნდა ითქვას. სამწუხაროდ, არა მარტო მოგზაურთა წრეში, ჯერ კიდევ შეიმჩნევა ქართველი ხალხისადმი, მისი უძველესი და უნიკალური კულტურებისადმი ცალმსრივი. წმინდა „ტურისტული“ მიდგომა. პოეტთა გარკვეული ნაწილი. უკეთეს შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის უღამაზესი ბუნების ეგზოტიკური აღწერით კმაყოფილდება და ავიწყდება მრავალჯერ ჭირნასული გმირთა ხალხის ისტორიული წარსული თუ აწმყო, მისი ინტერნაციონალურა სულისკვეთება. ასეთ პირობებში რაოდენ საგულისხმოა რუსული ლიტერატურისა და კულტურის. საქვეყნოდ ცნობილი მკვლევარის აკადემიკოს დიმიტრი ლისაჩოვის აღიარება. ის თითქოსდა ეკამათება იმათ, ვანც საქართველოში მსოლოდ ბუნების სიღამაზეს ეძებს. „საქართველო. — წერს აკადემიკოსი, — უწინარეს ყოვლისა, ქართველებია და თუმცა მისი ბუნება მადლიანიც არის და მრისხანეც, ხისარულის მომგვრელიც და ტრაგიკულიც, ანუ ისეთი, ამქვეყნად ყველაფერს რომ დაგავიწყებს, მაგრამ აქაურ ადამიანებს იგი მაინც ვერ ჩრდილავს...“ დასასრულდ, როცა უნდა წარმოაჩინოს ქართველთა ეროვნული თუ პიროვნული ღირსება მეცნიერი წერს: „კეთილშობილება, რაინდობა, თავგანწირვა, საკუთარი ღირსების ვრძნობა, ამაღლებული იდეის მსახურების შეგნება — აი, ასეთად წარმომიდგენია ქართველი“. ეს წერილი 1985 წლის 1 ნოემბერს „ლიტერატურნაია როსიიდან“ გადმოთქდა გაზეთმა „კომუნისტმა“, დ. ლისაჩოვის მოტანილ სიტყვებში აშკარად იგრძნობა საუკუნეთა გადაძახილი.

კულტურული კონტაქტების, განსაკუთრებით კი ლიტერატურული ურთიერთობის ეს მოკლე მიმოხილვაც კი ნაილად გვიჩვენებს სხვადასხვა ეპოქის, ეროვნებისა თუ რეგიონის მკვიდრთა სულიერი ცსოვრების შესების წერტილებს, ხალხთა დაუცხრომელ ღტოლვას ამაღლებული ნათელი ცსოვრებისაკენ. ემსახურება რა ამ დიად მიზანს, სელოვნება ადამიანთა სულიერი დაახლოების, მათ შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების შეუცვლელი საშუალებაა.





## ნ. მ. კარამზინი — მწერალი, კუზლიცისტი, ისტორიკოსი

ნიკოლოზ მიხეილის ძე კარამზინი თავისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით ორი ეპოქის შვილია. იგი XVIII საუკუნის რუსული მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, ამავე დროს, ნ. კარამზინი XIX საუკუნის მშობლიური ლიტერატურის შემდგომი, მანამდე მიუწვდომელი, აღმავლობის სათავეებთან იდგა და ბევრი რამ გააკეთა ეროვნული კულტურის ესოდენ უჩვეულო განვითარებასათვის. კარამზინის, როგორც მწერლის წარმატება, რუსეთში სანტიმენტალიზმის დამკვიდრებასთანაა დაკავშირებული, იგი იყო ამ ლიტერატურული მიმდინარეობის ფუძემდებელი, რომელმაც მომავდინებელი ლახვარი ჩასცა კლასიციზმის სქოლასტიკურ დოგმებს, რის შედეგადაც მწერლის წინაშე შემოქმედებითი წინსვლის ფართო პორიზონტი გადაიშალა.

კარამზინის შემოქმედებითი ძიების პროცესი ურთულეს ისტორიულ პირობებში მიმდინარეობდა. მწერლის მოღვაწეობის პერიოდის რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება უაღრესად დაძაბული და წინააღმდეგობრივი იყო, რომელმაც თავისი დადი დაასვა კარამზინის მსოფლმხედველობას. იგი სახელმწიფოს მართვის საკითხებში საზოგადოების სოციალური განვითარების მონარქისტულ გზას იცავდა. თუმცა, პრაქტიკულ საქმიანობისას კარამზინი ცდილობდა საკუთარი დამოუკიდებელი პოზიცია შეენარჩუნებინა და არც ერთ მოწინააღმდეგე ბანაკს არ მიმხრობოდა, მაგრამ ფაქტიურად კი ის მიანიც მეფისა და ფეოდალების შეუზღუდავი უფლებების დამცველი იყო.

მიუხედავად იდეური პოზიციების მერყეობისა, ნ. კარამზინმა შეძლო ეროვნული კულტურისადმი ფასდაუდებელი სამსახური გაეწია. მწერალი

ორმოც წელზე მეტ ხანს თავგამოდებით ემსახურებოდა რუსეთის ლიტერატურულ თუ საისტორიო აზროვნების ჩამოყალიბების დიად საქმენ და ამ საპატიო სარბიელზე საყოველთაო აღიარება და პატივისცემა დაიმსახურა.

კარამზინის შემოქმედებითი გამარჯვების საწინდარი მწერლის პატრიოტიზმში უნდა ვეძიოთ. მას რუსეთი მამულიშვილის დიდი და უანგარო გრძნობით უყვარდა, რის გამო მწერალმა მთელი თავისი ნიჭი და ტიტანური შემოქმედებითი ენერგია საშობლოს კეთილდღეობის უკვდავ საქმეს შეაღია. კარამზინი სიცოცხლის ბოლო წლებშიც არ ივიწყებდა პატრიოტის წმიდათაწმიდა მოვალეობას და მთელი შესაძლებლობით იბრძოდა ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის.

ეს მრავალმხრივ დაჯილდოებული მწერალი და მოაზროვნე დაიბადა 1766 წელს ვოლგისპირეთის შორეულ სოფელ მიხაილოვკაში, საშუალო შეძლების მემამულის ოჯახში. მომავალმა მწერალმა ბავშვობის წლებიც აქვე გაატარა. მისი პირველი მასწავლებელი სოფლის დიაკვანი იყო. მშობლებთან გატარებულ ბავშვობას ნ. კარამზინი მოგვიანებით თვითონ აგვიწერს ავტობიოგრაფიულ რომანში „ჩვენი დროის რაინდი“. იზრდებოდა იგი განმარტოებით, მეგობრებისა და ახლობლების გარეშე. პირველი წიგნი, რომელიც ბავშვობაში ზეპირად შეისწავლა, იყო ეზოპეს ივანების კრებული. ყმაწვილობისას კარამზინი გატაცებით კითხულობდა ნათარგმნ საგმირო-დამრიგებლობითს რომანებს. ამ გატაცებას უკვალოდ არ ჩაუვლია. სწავლა კარამზინმა კერძო პანსიონატებში გააგრძელა. ჯერ იგი სწავლობდა სიმბირსკში, შემდეგ კი მოსკოვის შადენის ცნობილ სასწავლებელში. აქ მსმენელებს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები ასწავლიდნენ. პანსიონატში რელიგიური, მონარქიულ-რეაქციული ატმოსფერო სუფევდა, რაც, ბუნებრივია, აღსაზრდელებზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა.

თხუთმეტი წლის ასაკში კარამზინმა მიატოვა პანსიონატი და ორი წელი სამხედრო სამსახურში გაატარა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მისი შემოქმედებითი ცხოვრება. 1783 წელს გამოაქვეყნა გენერის „ხის ფეხის“ საკუთარი თარგმანი.

კარამზინის პროგრესულ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა XVIII საუკუნის ცნობილმა რადიკალური მიმართულების ლიტერატურულმა მოღვაწემ და ჟურნალისტმა ნ. ი. ნოვიკოვმა, რომლის წრეში იგი 1785 წელს შევიდა. კარამზინი ნოვიკოვს ბოლომდე თანაუგრძობდა, მის დასაცავად ლექსიც კი გამოაქვეყნა, როდესაც ნოვიკოვი, ეკატერინე II ბრძანებით, შლისენბურგის ციხეში იყო დამწყვდეული და სასიკვდილო განაჩენს ელოდა.

1784 წელს კარამზინმა თავისი საპროგრამო ლექსი „პოეზია“ გამოაქვეყნა. აქ პოეტმა მისი საყვარელი მგოსნები ჩამოთვალა, მათ შორის საგანგებო პატივისცემით შექსპირი და ფრანგი პოეტ-სანტიმენტალის-

ტები მოიხსენია. ამავ ლექსში გამოთქვა მან ღრმა რწმენა, რომ ახლო მომავალში რუსული პოეზია აყვავების გზას დაადგებოდა.

მთარგმნელობითი ლიტერატურული მოღვაწეობა კარამზინმა შემოქმედებით სიმწიფეშიაც გააგრძელა. ამ სარბიელზე მისი ინტერესი ძირითადად ფრანგ სანტიმენტალისტებსა და შექსპირის ქმნილებებს შეეხო, რომელთა ესთეტიკური მრწამსის თაყვანისმცემლად დარჩა ბოლომდე, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მისი პირველი დამოუკიდებელი რომანი „ევგენი და იულია“ სანტიმენტალური ხასიათისაა.

1789 წელს კარამზინი საზღვარგარეთ მიემგზავრება, სადაც მან წელიწადნახევარი დაყო. შემოიარა ევროპის ქვეყნები, კარამზინის მოგზაურობის მიზანიც სანტიმენტალური იყო. როგორც თვითონ ამბობდა, მას სურდა შინაგანი სულიერი გადახალისება და შთაბეჭდილებებით გამდიდრება. ის ჯერ კიდევ ევროპიდან მეგობრებისადმი გამოგზავნილ წერილებში უზიარებდა მათ საკუთარ განცდებს, გზაში კი დღიურებს აღგენდა. სწორედ ევროპაში მოგზაურობით მიღებული მრავალფეროვანი შთაბეჭდილებები და ჩანაწერები დაედო საფუძვლად მის მნიშვნელოვან სანტიმენტალურ თხზულებას „რუსი მოგზაურის წერილებს“.

„წერილები“ კარამზინის პირველი სერიოზული პროზაული ნაწარმოებია, სადაც ავტორმა ეპოქის მოწინავე ახალგაზრდის სულიერი განწყობილება გადმოგვცა. კომპოზიციურად „რუსი მოგზაურის წერილები“ ორ ძირითად ნაწილად იყოფა. ერთი მხრივ, კარამზინი ცდილობდა დოკუმენტური სიზუსტითა და ობიექტურად აღენუსხა ყოველივე, რაც ნახა, ვის შეხვდა და რა საუბარი ჰქონდა მასთან, მეორე მხრივ—ავტორი საკუთარ სუბიექტურ განცდებს აღწერდა. „წერილების“ ნოვატორული ხასიათი იმაშიც ვლინდება, რომ აქ აშკარად ჩანს ავტორის პიროვნება, მწერალი არამეტუ ცდილობს საკუთარი „მე“ შენიღბოს, არამედ საგანგებოდ წარმოაჩინს მას და მიღწეულის გამო ერთგვარ სიამაყის გრძნობასაც განიცდის. „აი, ჩემი სულის სარკე 18 თვის განმავლობაში, — გვაუწყებს ნ. კარამზინი წიგნის ბოლო ფურცლებზე, — იგი 20 წლის შემდეგაც სასიამოვნო იქნება (თუნდაც მხოლოდ ჩემთვის), ჩაიხედავ და დავინახავ, როგორი ვიყავი, როგორ ვფიქრობდი და ვოცნებობდი (ჩვენ შორის დარჩეს). რა არის ადამიანისათვის უფრო საინტერესო, ვინემ საკუთარი ვინაობის შეცნობა“.

„წერილები“ თავისი კომპოზიციითა და თხრობის მანერით სადა და უბრალოა. განსხვავებით კლასიციისტი მწერლებისაგან, კარამზინი თითქმის არ ხმარობს ძველ სლავურ სიტყვებს, მან უკუაგდო წინადადებების არეული კონსტრუქციები. იგი ხალისით აღწერს საყოფაცხოვრებო დეტალებს, რაც, კლასიციისტების დოგმით, სასტიკად ეკრძალებოდა მწერალს. კარამზინი განსაკუთრებულ ყურადღებას გმირის სულიერ სამყაროს, მისი ფსიქოლოგიის ემოციურ გადმოცემას უთმობს, რაც მანამდე ასე უცხო იყო რუსული ლიტერატურისათვის. მიუხედავად იმისა, რომ

„რუსი მოგზაურის წერილებს“ ავტორი შესამჩნევად განიცდის ფრანგ სანტიმენტალისტების გავლენას, ის მაინც ახერხებს საკუთარი თვით-მყოფადი სახე შეინარჩუნოს და, განსხვავებით რუსოსაგან, არამცთუ უარყოფს საზოგადოებისათვის ცივილიზაციის მნიშვნელობას, არამედ კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის მასზე დიდ იმედებს ამყარებს. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ „წერილების“ ავტორი თუმცა მკითხველებს არ უშალავს თავის ალტაცებას ევროპელთა მიღწევების გამო, მაგრამ იგი მაინც თავისი ქვეყნის პატრიოტად რჩება. ხშირად აგონდება მას რუსეთის თვალუწვდენელი ველები, მშობლიური მხარის წარმატატი ბუნება.

კარამზინის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ე. წ. „გლეხურ“ მოთხრობებს. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ფროლი სილინი“ და განსაკუთრებით „საბრალო ლიზა“.

„ფროლი სილინის“ აშკარა პოლემიკურ დანიშნულებას ხასი გაუს-ვა თვითონ ავტორმა, რის შესახებაც მოთხრობის დასაწყისში ეკითხულობთ: „დაე, ვერგილიუსებმა აღიღონ ავგუსტები! დაე, ენაწყლი-ანმა მლიქვნელებმა აქონ წარჩინებულთა სულგრძელობა! მე კი მსურს ვაქო ფროლი სილინი, უბრალო გლეხი“. მწერალი, რჩება რა სანტიმენტალისტთა მოთხოვნების ერთგული, აიდეალებს შეძლებული გლეხის სახეს, განზრახ გვერდს უვლის მის ველურ, მომხვეჭ ბუნებას. სინამდვილეში კი კარამზინის სილინი კულაკთა წარმომადგენელია. რუსულ ლიტერატურაში ამ ხასიათით დაიწყო, ხოლო მოგვიანებით, განსაკუთრებით კი ხალხოსანთა თხზულებებში, ხშირად გვხვდება აღნიშნული სოციალური ფენის მესვეურთა მხატვრული სახეები. მოთხრობაში სილინი შრომისმოყვარე, კეთილი და გულუხვია, იგი მოყვასს ნდობითა და პატივისცემით ეკიდება. თუ გავითვალისწინებთ XVIII საუკუნის 90-იან წლების რუსეთის კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს სილინის გაიდეალიზებული სახე უდავოდ დადებითი მოვლენა იყო. ამით ხომ ავტორი პროპაგანდას უწევდა გლეხთა წრის წარმომადგენელთა მაღალ ადამიანურ თვისებებს მაშინ, როდესაც ბატონყმური რუსეთი ყმაში მხოლოდ მემამულის გამდიდრების წყაროს ხედავდა.

კარამზინის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, საერთოდ კი რუსულ ეროვნული მხატვრული აზროვნების ისტორიაში, განსაკუთრებული ადგილი „საბრალო ლიზას“ განეკუთვნება. კარამზინის ეს მოთხრობა მართლაც რომ მოვლენა იყო XVIII საუკუნის დასასრულის რუსულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. მან დასაბამი მისცა ხელოვნების განვითარების დემოკრატიულ საწყისებს. ამიერიდან, როგორი ძლიერი არ უნდა იყოს კლასიციზმის მიმდევართა წინააღმდეგობა, „საბრალო ლიზამ“ ძირეულად შეარყია მათი პოზიცია და მომავალში ვერავინ შეაჩერებს მხატვრულ ლიტერატურაში ხალხური ნაკადის შემოჭრას; რის შედეგადაც რგი მანამდე მიუწვდომელ სიმალეზე ავიდა.

„საბრალო ლიზა“ 1792 წელს დაისტამბა და იმთავითვე მკითხველთა სათაყვანო წიგნად იქცა. „საბრალო ლიზას“ კითხულობდნენ ყველგან. ამ ნაწარმოებით ყველა სოციალური ფენა დაინტერესდა, მაგრამ მოთხრობას განსაკუთრებული წარმატება პროვარესულად მოაზროვნე ახალგაზრდობაში ხვდა წილად.

მოთხრობის სიუჟეტი მარტივი და ფართო მკითხველთათვის ადვილი მისაწვდომია, მისი ფაბულა აგებულია არისტოკრატ ერასტისა და გლეხის ქალ ლიზას ტრაგიკულ სიყვარულზე. სიუჟეტის სიმარტივეს მწერლისათვის ხელი არ შეუშლია, რათა მთელი თხრობა დაძაბული დრამატული ძალით წარემართა. კარამზინი ამ შემთხვევაშიაც სანტიმენტალიზმის კანონების ერთგული რჩება ის შეგნებულად გვერდს უვლის კოლიზიის სოციალურ მხარეს და კონფლიქტს ინდივიდუალურ. წმინდა პიროვნულ კრილში წარმოგვიდგენს. ასეთ პირობებში მოთხრობის უჩვეულო წარმატება ავტორის ზოგად ჰუმანურ პოზიციას უნდა ვეძიოთ. მან ხომ დასაწყისშივე აუწყა მკითხველს ლიზას დადებით ზნეობრივ თვისებებზე, რომ მას შეუძლია ღრმად განიცადოს სიყვარული და ჰქონდეს მეგობრობას მკვლელი შეგარება. ფართოდ გავრცელებულ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ კარამზინის გლეხები როდი არიან მოკლებულნი ძლიერ ადამიანურ განცდებს; ბუნების შვილთა შემეცნების უნარაც დიდია, ავტორმა მშვენივრად იცის, რომ ერასტის საკუთარი სოციალური მდგომარეობის გამო არ შეუძლია ბოლომდე გლეხი ქალის ერთგული დარჩეს, მაგრამ მას მაინც არ ადანაშაულებს. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარამზინის სიმპათია მთლიანად უდანაშაულო მსხვერპლის მხარეზეა. ლიზა მოთხრობაში გარეგნულად ლამაზ, სულიერად მდიდარ და სათნო ადამიანად წარმოგვიდგება, მისი შრომები გულმართალი გლეხები არიან, ლიზას მამა გარდაეცვალა, მაგრამ მისდამი სიყვარულს ფაქიზად ინახავს, ცდილობს რითაც შეუძლია ასიამოვნოს მოხუც დედას, ის ბევრს მუშაობს და ოჯახიც მატერიალურად უზრუნველყოფილია. ლიზა ბუნების წილშია აღზრდილი და იქ პოვნებს სულიერ სიმშვიდეს, მკრძნობიარედ აღიქვამს სოფლის იდილიურ გარემოცვას. მწერალი, თანახმად სანტიმენტალიზმის პრინციპებისა, ანტიურბანიისტიკა, გატაცებით აღწერს სოფლის პეიზაჟს, არჩევს სათნო და მიმზიდველ ფერებს ბუნების შთამბეჭდავი სურათების შესაქმნელად. სოფლის ცხოვრების რომანტიკულ ფონზე მიმზიდველად გამოიყურება არა მხოლოდ ლიზა; უბრალო ადამიანებთან დაახლოებამ და სოფლის პეიზაჟის პოზიტიურმა ზეგავლენამ გარკვეულად გააქეთილშობილა თვითონ ერასტიც კი. „საბრალო ლიზას“ ენა კარამზინის ერთ-ერთი დიდი მიღწევაა. თუმცა მოთხრობის გმირების მეტყველებას აკლია საჭირო ინდივიდუალობა, მაგრამ ყველა ისინი ლაპარაკობენ სადა, ადვილად გასაგები ენით. მოთხრობაში, განსხვავებით კლასიციზმის თხზულებებისაგან, მოკარბებულადაა წარმოდგენილი ემოციური, ლირიზმით გამსჭვალული

ფრანკოლოგია, ავტორი ხშირად ხმარობს გმირთა შინაგანი განცდების გამომხატველ სპეციალურ ტერმინებსა და გამოთქმებს.

„საბრალო ლიზაში“ აღწერილ ეპიზოდებს დამაჯერებლობა რომ შემაჯოს. კარამზინი ორიგინალურ ხერხს მიმართავს: თხრობის სანტიმენტალურ ქსოვილში მას ბუნებრივად შეჰყავს კონკრეტული ფაქტობრივი დეტალები (მდინარეებისა და სოფლების სახელწოდება, ქალაქებისა და ქუჩების დასახელება და სხვა), რითაც იზრდება მოთხრობის რეალისტური უღერადობა, ხოლო შინაარსი მთლიანად დამაჯერებლობას იძენს. ისე დეტალურადაა აღწერილი ის გარეუბანი და ტბორი, მოსკოვის მახლობლად, რომელშიც ლიზამ თავი დაიხრჩო, რომ სანტიმენტალისტებმა იგი სალოცავ ადგილად აქციეს. იყო შემთხვევები, როდესაც ლიზას წაბაძვით თავს იხრჩობდნენ მგრძნობიარე მკითხველები.

კარამზინის ისტორიოგრაფიულ მოღვაწეობას წინ უძღოდა პერიოდი, როდესაც მწერალმა რუსეთის წარსულის ამსახველი მხატვრული მოთხრობები შექმნა. მკვლევართა აზრით, ეს იყო ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი, რომელსაც მოჰყვა ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული ძიება.

ისტორიული მოთხრობები თავისი ღირსებით „საბრალო ლიზას“ მხატვრულ დონეს ვერ აღწევენ, მაგრამ კარამზინი მაინც ნოვატორად გვევლინება, მან რუსულ ლიტერატურაში საფუძველი ჩაუყარა ახალ ჟანრს. ისტორიული მოთხრობებიდან საზოგადოების ყურადღება „მმართველმა მართამ“ მიიპყრო. მოთხრობაში ავტორი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ნოვგოროდელებს თანაუგრძნობს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი მონარქიის ერთგული რჩება. მიუხედავად ამისა, კარამზინმა ამჯერადაც მეფის ერთგულთა გულისწყრომა გამოიწვია, მათ არ მოეწონათ კარამზინის ლოიალური დამოკიდებულება ნოვგოროდის დამცველებისადმი, მით უფრო მისი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია.

ნ. კარამზინის შემოქმედებაში პოეზიას მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია, მაგრამ ის აქაც რეფორმატორია. მან შეძლო თავი დაეღწია კლასიციზმის შემზღუდავი ჩარჩოებისაგან და ლექსისათვის საჭირო სისადავე და გამომხატველობა მიენიჭებინა. კარამზინი რუსულ ლიტერატურაში აღიარებულაა ფსიქოლოგიური პოეზიის მამამთავრად. მისმა წამოწყებამ გაგრძელება ჟუკოვსკის ლირიკაში პოვა. კარამზინმა უკუაგდო იამბის გაბატონებული მდგომარეობა და უპირატესობა დაქტილს მიაკუთვნა, მან რუსულ ლიტერატურაში პირველმა შემოიღო აგრეთვე თეთრი ლექსი.

კარამზინის სახელთანაა დაკავშირებული რუსული ჟურნალისტიკის შემდგომი განვითარებაც. მის მიერ დაარსებულმა „მოსკოვის ჟურნალმა“ განსაკუთრებით კი „ევროპის მოამბემ“ გადაამწყვეტი როლი შეასრულა XIX საუკუნის სქელტანიანი პერიოდიკისა და ყოველდღიური ორგანოების ჩამოყალიბების საქმეში. მისი ჟურნალების კვალდაკვალ გამო-

აცა მთელი წყება მოწინავე პრესისა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი რუსეთის საზოგადოების შემდგომ განვითარებას.

კარამზინმა თავის მოღვაწეობის მხოლოდ 12 წელი დაუთმო მხატვრულ ლიტერატურას, მაგრამ მან სიტყვაკაზმულ მწერლობაში მთელი ეპოქა შექმნა. მის მიერ დაწყებულ ლიტერატურის დემოკრატიზაციის გზას გაჰყვა მწერალთა მომდევნო თაობა. ცხოვრების ბოლო 26 წელი მწერალმა თითქმის მთლიანად „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ შექმნას შეაღია. ამ მრავალტომიან ფუნდამენტურ შრომის შექმნისას მან მკვლევარისათვის საკუთრივ ისეთი იშვიათი თვისებები გამოავლინა, როგორცაა: მტკიცე ნებისყოფა, დიდი შრომისუნარიანობა, ნამდვილი მეცნიერული კეთილსინდისიერება და ფაქტების მიკვლევის საოცარი აღლო. „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ ფაქტობრივი მასალების სიმდიდრით და მრავალფეროვნებით დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება, ის ფასდაუდებელ სამსახურს უწევს რუსი და მოძმე ხალხების ისტორიული წარსულით დაინტერესებულ მკვლევარებს. თუმცა კარამზინი ისტორიული ფაქტების გაშუქების დროს ცდილობდა შეენარჩუნებინა ობიექტურობა, მაგრამ ის მაინც ვერ ასცდა მსოფლმხედველობის კლასობრივ შეზღუდულობას. მაშინ, როდესაც მომწიფდა კონსტიტუციონალური უფლებებისათვის ბრძოლის საკითხი, ის კვლავ მონარქიის ერთგული დარჩა და უგულვებელყოფდა რევოლუციის გზით საზოგადოების გარდაქმნის აუცილებლობას.

თუ რამდენად გრანდიოზული იყო კარამზინის მიერ „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ შესაქმნელად გაწეული შრომა, იქიდანაც ჩანს, რომ მან 1818 წელს ერთბაშად გამოაქვეყნა ამ ისტორიის 8 ტომი. სულ XI ტომის გამოცემა მოასწორო, დაუმთავრებელი დარჩა XII ტომი, სადაც ისტორიული ამბები მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებამდეა აღწერილი. „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიამ“ მკითხველი პატრიოტული სულისკვეთებით აღაგზნო. რაღაც 25 დღეში მთლიანად გაიყიდა პირველი გამოცემის ყველა 8 ტომი (თითოეული ტომი 3000 ტირაჟით), რაც იმ დროისათვის უპრეცედენტო მოვლენა იყო. ცნობილია, თუ რა მაღალი შეფასება მისცა კარამზინის ამ შრომას პუშკინმა, ის პოეტის მაგიდის წიგნად იქცა. „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ ფაქტობრივ მასალას ეყრდნობოდა პუშკინი „ბორის გოდუნოვის“ შექმნისას, სამაგიეროდ პუშკინს არ მოსწონდა „ისტორიის“ მონარქისტული მიმართულება... კარამზინის „ისტორიის“ პოპულარობას ბევრად შეუწყო ხელი მისმა სადა სალიტერატურო ენამ. იგი ახლაც, როგორც მხატვრული ნაწარმოები, ისე იკითხება. საერთოდ კი ძნელია გადაჭარბებით შეაფასო კარამზინის როლი რუსული სალიტერატურო ენის ნორმირების საქმეში. იგი ამ შემთხვევაში დიდი პუშკინის სახელოვანი წინამორბედი. კარამზინმა პირველმა რუსეთში, წერდა ბელინსკი, წიგნის მკვდარი ენა საზოგადოების ცოცხალი ენით შეცვალაო.

„საბრალო ლიხას“ ავტორის პოპულარობა მის სიცოცხლეშივე გასცდა სამშობლოს საზღვრებს. კარამზინის ნაწარმოებები მაშინვე ითარგმნა ევროპის თითქმის ყველა ენაზე. მასზე პატივისცემით წერდნენ საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, რუსეთის ლიტერატურითა და ისტორიით დაინტერესებული მკვლევარები დღესაც გულდასმით სწავლობენ მის მემკვიდრეობას.

ქართველი და რუსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ამსახველ მატანეში კარამზინს ერთობ საპატიო ადგილი უჭირავს. იგი პირველი რუსი მწერალია, რომელმაც დაგვიტოვა მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა, სადაც ავტორი სხვა ქვეყნებთან ერთად საგანგებოდ ჩერდება საქართველოზე, მოსწონს მისი ხალხის გმირობა და სამშობლოსათვის თავდადება, ხოტბას ასხამს ქართველების საბრძოლო განწყობილებას. კარამზინის პოზიტიური დამოკიდებულება ქართველი ერისადმი საკმაო რელიეფურად აისახა მის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“. მას სიამაყის გრძნობას გვრის მისი ქვეყნის ახლო ურთიერთობა უძველესი ქრისტიანული კულტურის მქონე იბერიელებთან.

„რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ მეექვსე ტომში ვრცლად არის აღწერილი საქართველოს წარსული და მისი ხალხის გმირობა, კარამზინის გადმოცემით: იბერია, ანდა ახლანდელი საქართველო, ოდითგანვე ისე იყო განთქმული ხალხის სამხედრო სიამაყითა და გმირობით, რომ იგი ვერც სპარსელების, ვერც მაკედონელების იარაღმა ვერ დაიმონა; კარამზინის აღწერით, საქართველო განთქმული იყო აგრეთვე სიმდიდრით (ძველი არგონავტები ოქროს საწმისს ეძებდნენ თავის მეზობელ სამეგრელოში). შემდეგ კარამზინი მიმოიხილავს ისტორიულ ცნობებს საქართველოზე, საგანგებოდ აღნიშნავს, თუ როგორი პატივისცემით იღებდნენ ქართველ მეფეებს რომში, მაშინაც კი, როდესაც საქართველო რომის იმპერიაში შედიოდა, როგორც მისი ქვეშევრდომი. „პომპეის მიერ დაპყრობილი საქართველო ცნობილი ხდება რომის ისტორიაში, რომელიც მოიხსენიებს მის სხვადასხვა მეფეს... ერთ მათგანს, ფარსმან II, იყო რა იმპერატორ ადრიანეს ერთგული მეგობარი, პატივი დადეს კაპიტოლიონში ღმერთებისათვის მსხვერპლი შეეწირა; ხოლო ტაძარ ბელონიში, ტიბრის ნაპირზე, მან თავისი სკულპტურული გამოსახულებაც იხილა“. კარამზინს გული წყდება, რომ საქართველოს მომდევნო პერიოდის ისტორიიდან ცოტა რამ არის ცნობილი. „...ვიციტ მხოლოდ ის, რომ ქრისტიანული სარწმუნოება იქ მკვიდრდება ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდის დროიდან, რომ წმინდა სიმეონი სტოლპნიკი უწყობდა ხელს რელიგიის წარმატებით გავრცელებას, რომ იბერიას ყოველთვის საკუთარი მეფეები და თავადები ჰყავდა, ხან სპარსეთის მონარქებს, ხან კი საბერძნეთის იმპერატორებს ექვემდებარებოდა, რომ იგი



დაიპყრეს მონღოლებმა, ხოლო 1476 წლიდან ემორჩილება სპარსეთის შაჰს...“

ამ ზოგადი ცნობების მოწოდების შემდეგ კარამზინი საგანგებოდ ჩერდება რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიაზე და წერს: „ეკვგარეშეა, რომ რუსეთს ძველთაგანვე ერთმორწმუნე საქართველოსთან ჰქონდა კავშირი: როგორც ცნობილია, იზიასლავ პირველს ცოლად ჰყავდა აბაზთა თავადის ასული, ხოლო ანდრეი ბოგოლუბსკის შვილი კი იყო ქართველთა დიდებული მეფის თამარის მეუღლე. ეს კავშირი, რომელიც გაწყდა ბათოელთა შემოსევის გამო, აღდგა. იბერიის თავადი ალექსანდრეს ელჩები, სახელად ნარიმანი და ხოზემარუმი, 1492 წელს ჩამოვიდნენ იოანესთან და მისი მფარველობა ითხოვეს“<sup>1</sup>.

კარამზინი დიდად აფასებდა თამარ მეფის მოღვაწეობას, მისი საგმირო საქმეებით იყო მოხიბლული და თამარ მეფის იდეალურ სახეს ასე აგვიწერს: „ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში ბრწყინვალე გამარჯვებებმა შორს გაუთქვეს თამარს სახელი. — ვკითხულობთ „ისტორიაში“ — მან მრავალი ქალაქი და მიწა-წყალი დაიპყრო, უყვარდა მეცნიერება, ისტორია, პოეზია; მისი მმართველობის პერიოდი ქართულ მწერლობაში ოქროს ხანად ითვლება“<sup>2</sup>.

თუ კარამზინს გული წყდებოდა, რომ ისტორიამ ცოტა რამ შემოგვინახა ადრეფეოდალურ საქართველოზე, სამაგიეროდ იგი საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XV—XVI საუკუნეებში, მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთკავშირზე, კერძოდ ბორის გოდუნოვის საგანგებო ღონისძიებებზე ახლონათესაური კავშირი დაამყაროს უძველესი ქრისტიანული კულტურის მქონე საქართველოს მეფეთა საგვარეულოსთან, რათა ორი ერთმორწმუნე ხალხთა ურთიერთობას მტკიცე გენეტიკური საფუძველი ჰქონოდა. სწორედ ასეთი სპეციალური დავალება მისცა ბორის გოდუნოვმა თავის ელჩებს მ. ი. ტატიჩევის მეთაურობით, რომელიც 1605 წელს საგანგებო მისიით ჩამოვიდა ქართლის მეფე გიორგისთან. ელჩმა ქართლის მეფეს აუწყა ბორის გოდუნოვის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ამიერიდან რუსეთი მფარველობის ხელს გაუწვდიდა მის სამეფოს და, ამავე დროს, სთხოვდა გიორგის მეფის გვარეულობაში გამოენახა მისი ვაჟისათვის საცოლე, ხოლო ქალიშვილისათვის — საქმრო. გიორგი მეფემ კმაყოფილებით მიიღო ბორის გოდუნოვის წინადადება; სარძლოდ მან თავისი ქალიშვილი ელენე შეარჩია, ხოლო სასიძოდ — ძმისწული. ელჩებს მოეწონათ არჩევანი, შეთანხმდნენ კიდევაც, რომ სასიძო და სარძლო მოს-

<sup>1</sup> История государства Российского. Т. VI, изд. второе, исправленное, Санкт-Петербург, 1819, сс. 330—331.

<sup>2</sup> История государства Российского. Т. II, изд. второе, исправленное, Санкт-Петербург, 1819, с. 265.

კოვს მას შემდეგ გაემგზავრებოდნენ, როდესაც რუსეთიდან ქართლში ჩამოვიდოდა სამხედრო ნაწილი, რომელიც მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში დაიცავდა ქართლის საზღვრებს მოსალოდნელი სპარსეთ-ოსმალეთის თავდასხმისაგან. სამწუხაროდ, ამ შეთანხმებასაც განხორციელება არ ეწერა. ჯერ იყო და, რუსეთს თავს დაესხნენ პოლონეთისა და შვეციის ჯარები, კავკასიისაკენ გამოგზავნილი რუსეთის ჯარის ნაწილები გაანადგურეს ოსმალებმა და დაღესტნელებმა, შემდეგ ვარდაიცვალა ბორის გოდუნოვი, ხოლო ამას მოჰყვა მისი ვაჟისა და მეუღლის დახოცვა... ამრიგად ჩაიშალა კიდევ ერთი კეთილი წამოწყება, რომელსაც, როგორც კარამზინი სამართლიანად აღნიშნავს, ისტორიული მნიშვნელობა ექნებოდა. ყოველივე ამის შესახებ კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“ ნათქვამია: „მეფე ბორისს ორი შვილი ჰყავდა: თევდორე. უკვე მოწიფული ყმაწვილი და ახალგაზრდა ქალიშვილი ქსენია. მან გადაწყვიტა, როგორც სარძლო, ასევე სასიძოც გამოენახა სახელოვან თამარის სამშობლო იბერიაში. კირილე, ალექსანდრეს დესპანი, ფრიად უქებდა სილამაზეს იბერიის ბატონიშვილს თეიმურაზს დავითის ძეს, აქებდა აგრეთვე ქართლის მთავრის ასულს ელენეს, სიმონის შვილიშვილს. ბორისმა დაავალა თავის ელჩს ტატიშჩევს ორივე ეხილა“. კარამზინს მოჰყავს სასიძოსა და სარძლოს ელჩების მიერი დახასიათებაც „...მეფის ძე ტანად არ არის დაბალი, სწორი აგებულებისა და კარგი შეხედულებისაა, შავგვრემანი, სახის კანი გადატყეცილი, ღიდი, თაფლისფერი თვალები აქვს... საუბრობს დინჯად და აზრიანად, მეტყველებს სუფთად, კარგად იცის თურქული, სარწმუნოებით — ქრისტიანია ბერძნული კანონით, კარგად იცის ქართული წერა-კითხვა, წლოვანებით 23 წლისა“<sup>1</sup>.

... მეფემ ელჩებს აჩვენა თავისი ასული ელენე: მეფის ასულის გარეგნობა მიმზიდველია, თუმცა არ გამოირჩევა განსაკუთრებული სილამაზით, სახით თეთრია... თვალები კი შავი აქვს, ცხვირი პატარა... მეფის ასული ტანით მაღალია, წერწეტა, რადგანაც ჯერ ახალგაზრდაა, მეფე იურის თქმით იგი ახლა 9 წლისაა...

ელჩებმა, ნათქვამია წიგნში, მეფეს უთხრეს, რომ ქალიშვილი ელენე ღვთის ნაბოძებია, ღმერთის წყალობით კარგია, მეფის შვილს საცოლედ შეეფერება და იგი ახლავე გაგვატანეთ მის უდიდებულესობასთანო<sup>2</sup>.

ბორის გოდუნოვის ინტერესი საქართველოსადმი არა მხოლოდ სარწმუნოებით აიხსნება; იგი შორსმჭვრეტელი მეფე იყო და კარგად ესმოდა, თუ საქართველო მის მხარეს დაიჭერდა, მას გაუადვილდებოდა ოსმალებთან და სპარსელებთან ბრძოლა, გაამაგრებდა მისი სამეფოს სამხრე-

<sup>1</sup> С. Белокуров. Сношения России с Кавказом. 1889, с. 507.

<sup>2</sup> Там же, с. 509—510. განსხვავებით კარამზინისაგან, ბელოკუროვს მთლიანად მოჰყავს პირველი წყარო, ამიტომაც ვუთითებთ მის წიგნს.

თის საზღვრებს. როგორც ვთქვით, ამჟერადაც ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა, მაგრამ რუსეთის მეფეებს, ისე როგორც ქართველებს, არ შეუწყვეტიათ ფიქრი ერთმორმწუნე მეგობარ ხალხთა გაერთიანებისათვის, რომელიც XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ესოდენ წარმატებით დაგვირგვინდა.

კარამზინი საქართველოზე არა მხოლოდ „ისტორიაში“ წერდა, იგი ამ საკითხს ეხებოდა კერძო წერილებშიც, პოეტი კოლხეთს იხსენიებს მხატვრულ ნაწარმოებებშიც. კერძოდ, 1801 წელს შექმნილ ლექსებში, რომელიც ალექსანდრე I ტახტზე ასვლას უძღვნა. კარამზინი რწმენას გამოთქვამდა, რომ ნევის ნაპირებიდან „კოლხეთის ქვეყნამდე“ გადაჭიმულ რუსეთის ტერიტორიაზე მშვიდობა და ბედნიერი ცხოვრება დაეკვიდრებოდა.

ქართველმა ხალხმა, მისმა საუკეთესო შვილებმა, შეიყვარა რუსი მწერლის შემოქმედება და ფართო პროპაგანდა გაუწია მას. ჯერ კიდევ სოლომონ დოდაშვილი აღნიშნავდა ქართველთა შორის კარამზინის დიდ პოპულარობას და მას ჩინებულ მწერალთა რიცხვს აკუთვნებდა. ალექსანდრე ქვეკავაძე იცნობდა „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიას“, სარგებლობდა ამ მონუმენტური ნაშრომით. როდესაც თვითონ ქმნიდა „საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევს“ (1837). კარამზინის აღნიშნულ წყაროს იყენებდა გრიგოლ ორბელიანიც თავის თხზულებაში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (1832).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში კარამზინის ლექსები გადმოაქართულეს. პირველად ფარნაოზ ბატონიშვილმა თარგმნა კარამზინის „რაისა“, ამას მოჰყვა პოეტის უაღრესად ემოციური ელეგიის „გოდება მეგობრის დაკრძალვის გამო“ გადმოქართულება. როდესაც „ცისკარის“ დაარსებით შეიქმნა რეალური შესაძლებლობა ნათარგმნი ლიტერატურის გამოქვეყნებისა, ჟურნალის ფურცლებზე კარამზინის ნაწარმოებებმა საპატიო ადგილი დაიკავეს. საკმარისია დავასახელოთ, რომ „ცისკარმა“ (1857—1860) გამოაქვეყნა კარამზინის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები. მათ შორის „ფლორ სილინი“, „საბარალო ლიზა“, „მწერალს რა სჭირდება?“ და სხვ. უდავოა, რომ კარამზინის სანტიმენტალიზმმა თვითონ ჟურნალის თანამშრომლებზე ზეგავლენა მოახდინა და ამან ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ თერგდალეულებმა, ილია ქვეკავაძის მეთაურობით, განგაშიც კი ატეხეს. აღიარებდა რა რუსეთში, თავის დროზე, სანტიმენტალისტების ერთგვარ წარმატებას, ილია ქვეკავაძე ფიქრობდა, რომ ეს იყო გამოწვეული ლიტერატურის განვითარების დაბალი დონით; „მაშინ რუსეთის საზოგადოება ესთეტიკურად არ იყო ისე განვითარებული, როგორც პუშკინის შემდეგ და ნამეტნავად ახლა“. განსხვავებით რუსულისაგან, ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში კარამზინის სანტიმენტალური ნაკადის ზეგავლენა უფრო საგრძნობი იყო და ეს არ შეიძლებოდა შე-

უმჩინეველი დარჩენოდა ილიას, რომელსაც ქართული ლიტერატურა გან-  
ვითარების რეალისტური გზით მიჰყავდა. ილია ჭავჭავაძეს მოსწონდა  
კარამზინის მიერ სალიტერატურო ენის სალაპარაკო ენასთან დაახლო-  
ება, მისი ნეოლოგიზმები. ახალი სიტყვების გამოყენებას დიდი ქართვე-  
ლი მწერალი აზროვნების შემდეგი განვითარებით ხსნიდა, ხოლო ეს  
პროცესი კი, როგორც სამართლიანად ამტკიცებდა ილია, უწყვეტია, შე-  
საბამისად ენაც მუდმივ ზრდას განიცდისო.

კარამზინისა და ქართველი მოღვაწეების ურთიერთობაზე კიდევ ბევრი  
რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ აღნიშნულიდანაც კარგად ჩანს რუსუ-  
ლი მხატვრული აზროვნების ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის დადები-  
თი როლი ორი მოძმე ხალხის კულტურული დაახლოების დიად საქმეში,  
ამიტომაც, რომ თანამედროვე მკითხველი ასე პატივით მოიხსენიებს მას.

### დიდებით მოსილი კოეტი

მხატვრული აზროვნების იმ კორიფეთა შორის, რომლებმაც გაბედუ-  
ლად შეადგეს ცივილიზაციის, პროგრესისა და განახლების ძნელად მი-  
საწვდომი ტაძრის კარი, ალექსანდრე სერგის ძე პუშკინმა იმთავითვე სა-  
პატიო ადგილი დაიკავა. და აი, საუკუნე-ნახევარზე მეტია მკითხველებში  
სიამაყის, უკეთესი მერმისისათვის უკომპრომისო ბრძოლისა და გამარ-  
ჯების გარდუვალობის ურყევ რწმენას აღვივებს. რუსი ხალხის ამ  
დიდმა პოეტმა თავისი მაღალი მხატვრული იდეალებით ისტორიული  
წარსულიდან დღევანდელობაში გადმოაბიჯა. იგი ამჟამადაც ადამიანებს  
შორის ყველაზე სამართლიანი ურთიერთობის დამყარების სანუქვარ  
საქმეს ემსახურება. ამიტომ იყო, რომ ბელინსკი პუშკინზე წერდა, იგი  
ყველა ეპოქის შვილია და საზოგადოების განვითარების ყოველი მომ-  
ღვენი ეპოქა პოეტზე თავის ახალ სიტყვას იტყვისო.

მართლაც, კაცობრიობის ისტორიაში არცთუ ხშირია შემთხვევა, რო-  
დესაც პოეტი ყველა ერისა და ეპოქის კუთვნილება ხდება. ასეთ მცო-  
რერიცხოვან კაშკაშა თანავარსკვლავედს პუშკინი ორგანულად შეერწყო,  
ღროის დისტანცია კი სულ უფრო გამოკვეთილად გვიჩვენებს გენია-  
ლური პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ისტორიულ მნიშვნე-  
ლობას, მის ქმნილებათა დაუცხრომელ ძალას და საერთო საკაცობრიო  
ელერადობას.

პუშკინის პოეზიის თავყანისმცემელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება  
და ეს იმიტომ, რომ მას შერჩა „აწ გარდასულ უამთა“ გმირობისა და  
თავდადების, მეგობრობისა და სიყვარულის, მოქალაქეობრივი მოვალე-  
ობისა და მემამბოხური სულისკვეთების მომაჯადოებელი რომანტიკული  
პათოსი. სწორედ ამან განაპირობა, რომ პუშკინის პოეზიასთან ყოველი  
ახალი შეხვედრა ადამიანის შინაგან, ძნელად მისაწვდომ გრძნობათა

აუღერებას იწვევს; იგი მკითხველში სათნო და ფაქიზ განცდებს აღვი-  
ძებს, აკეთილშობილებს მათ ბუნებას, აფართოებს და სრულყოფს ადა-  
მიანის შემეცნების არეს, ამდიდრებს და აღრმავებს მის ცოდნას, ხელს  
უწყობს პიროვნების ზნეობრივ და მორალურ ჩამოყალიბებას.

პუშკინის ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდი ისტორიული მნიშ-  
ვნელობა პოეტის მიერ წამოჭრილი პრობლემების საერთო საკაცობ-  
რიო ხასიათში ვლინდება. ბევრი მათგანი დღესაც აქტუალურად უღერს,  
ეს კი განაპირობებს ამ პრობლემებისადმი ცხოველ ინტერესს, აზრთა  
ჭიდილსა და მძაფრ დისკუსიას. მოპაექრეთა გამოცოცხლება განსაკუთ-  
რებით იუბილეების მომზადების დღეებში იგრძნობა, რაც კიდევ ერთ-  
ხელ შთაგვაგონებს პოეტის მემკვიდრეობის გარდაუვალ მნიშვნელობას.  
პუშკინის არა მარტო შემოქმედება, არამედ თვით ცხოვრებაც ბევრის  
წიქმელია. მან, თუმცა ხანმოკლე, მაგრამ დრამატულად დაძაბული და  
მულღივი ძიებით გაცისკროვნებული ნათელი გზა განვლო. მთელი მისი  
ცხოვრება აურაცხელი სიძნელეებისა და მოულოდნელი წინააღმდეგობათა  
ვაჟაკური დაძლევის იშვიათი მაგალითია. პოეტი, როგორც იტყვიან,  
ტრადიკულ დასასრულსაც ფეხზე მდგომი შეხვდა, ქედი არაფრისა და  
არავის წინაშე მოუხრია. შემართებით, საკუთარი ისტორიული მისიის  
სრული შეგნებით იარა მან ფათერაკებით აღსავსე უკვდავებისაკენ მიმა-  
ვალი ვიწრო ბილიკით და კიდევაც მიაღწია უკვდავებას, რომელიც უამთა-  
სვლას არ ემორჩილება.

პუშკინი დაიბადა ქ. მოსკოვში 1799 წლის 6 ივნისს დიდგვაროვან  
არისტოკრატთა ოჯახში, რომელიც პოეტის დაბადების დროისათვის  
მშობლების უყაირათო და ხელგაშლილი ცხოვრების შედეგად გაღარი-  
ბებული იყო. მოსკოვშივე გაატარა მან თავისი ბავშვობა. მატერიალურმა  
სიღიწროვემ პუშკინის ბედ-იღბალზე გარკვეული ზეგავლენა იქონია,  
მთელმა მისმა შეგნებულმა ცხოვრებამ საარსებო სახსრების ძიების უსი-  
ამოვნო ზრუნვაში გაიარა. პოეტის მამა, სერგი ლევის ძე პუშკინი და  
მისი წინაპრები ოდესღაც რუსეთის გავლენიან წრეს ეკუთვნოდნენ.  
დედა კი პეტრე პირველის ცნობილი ზანგის იბრაჰიმ ჰანიბალის შთა-  
მომავალი იყო. პუშკინმა დეტალურად შეისწავლა მშობლების გვართა  
გენეალოგია და ამაყობდა კიდევაც, რომ მის წინაპრებს აქტიური მონა-  
წილეობა მიუღიათ რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. პოეტის  
ემოციური პატრიოტული განწყობილება წითელ ზოლად მისდევს მთელ  
მის შემოქმედებას.

ოჯახში ძირითადად ფრანგულად ლაპარაკობდნენ, მომავალი მწერა-  
ლიც ადრე დაეუფლა ფრანგულ მეტყველებას და პირველი თავისი ლექსე-  
ბიც ამ ენაზე დაწერა.

რუსული ენა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები პოეტს ძი-  
ძამ — გლეხის ქალმა არინა როდიონის ასულმა შეაყვარა, რის გამოც  
პუშკინი მას მთელი სიცოცხლის მანძილზე კეთილად იხსენიებდა, რო-

გორც ქვემოთ დაინახავთ, ძიძის ნათელ ხსოვნას მგოსანმა არა ერთი პოეტური სტრიქონი უძღვნა. მშობლიურ ლიტერატურისადმი სიყვარულს მომავალ მწერალს უნერგავდა აგრეთვე იმ დროისათვის ფრიად განათლებული ბებია — მარია ალექსის ასული ჰანიბალი, რომლის პატარა მამულში, მოსკოვის მახლობლად, პოეტს მრავალი ზაფხული გაუტარებია. აქ პუშკინს ჰქონდა საშუალება უშუალო ურთიერთობა დაემყარებინა გლახების შვილებთან, მოესმინა უბრალო ხალხის ცოცხალი, ძარღვიანი სალაპარაკო რუსული ენა.

პუშკინის გათვითცნობიერებას დიდად შეუწყო ხელი მამის მდიდარმა ბიბლიოთეკამაც, სადაც უმთავრესად ფრანგი კლასიკოსების წიგნები იყო დაცული.

პოეტის მშობლების ზრუნვა ბავშვების აღზრდაზე, როგორც ეს მამის იყო მიღებული, ძირითადად ფრანგი გუვერნიორების მოწვევით ამოიწურა. თვითონ დაკავებული იყვნენ სტუმრების მიღება-გაცილებით და ხშირად ბავშვებს ბედისა და გუვერნიორების ანაბარად ტოვებდნენ. ზომავალი პოეტიც სარგებლობდა ამ მდგომარეობით და მეცადინეობიდან მთელ თავისუფალ დროს მამის ბიბლიოთეკაში ატარებდა. პუშკინმა იმთავითვე შეიყვარა და საფუძვლიანად დაეუფლა ფრანგულ ლიტერატურას. მას განსაკუთრებით მოსწონდა ლაფონტენის, მოლიერისა და ვოლტერის თხზულებები.

ლიტერატურით გატაცებას მოჰყვა საკუთარი კალმის ცდა პოეზიაში. პუშკინმა ლექსების წერა ადრევე დაიწყო. ცხადია, მისი პირველი ლექსები სუსტი იყო, მაგრამ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მომავალმა დიდმა პოეტმა ჯერ კიდევ ბავშვმა იგრძნო მიღებულ შთაბეჭდილებათა ქალაქზე გადატანის საჭიროება.

1811 წელს ალექსანდრე პირველის მთავრობამ პეტერბურგის მახლობლად, ცარსკოე სელოში გახსნა პრივილეგირებული დახურული სპეციალური სასწავლებელი — ლიცეუმი, რომლის დანიშნულება სამინისტროებში თუ უწყებებში პასუხსაგები თანამდებობების დასაკავებლად მოხელეების მომზადება იყო. ლიცეუმში მოხვედრა ძნელი საქმე გამოდგა. სათანადო მომზადებასთან ერთად საჭირო შეიქმნა გავლენიანი რეკომენდატორების შოვნაც. პუშკინის მშობლებმა გამოიყენეს მრავალრიცხოვანი ნათესაობა და მომავალი პოეტი ლიცეუმის პირველ მსმენელთა რიცხვში აღმოჩნდა. პუშკინის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანა, რომელმაც ბევრად განსაზღვრა მისი მომავალი.

ვერ ვიტყვით, რომ პუშკინს ლიცეუმში ყველაფერი მოსწონდა, მაგრამ ის ამხანაგური ატმოსფერო, რომელიც მსმენელთა შორის სუფევდა, ასაზრდოებდა ოჯახურ სითბოს მოწყურებულ მოზარდს. მომავალ პოეტს მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა ი. პუშკინთან, შემდეგში ცნობილ დეკაბრისტთან და ა. დელვიგთან, რომელმაც თავისი გაბედული ლექსებით გაითქვა სახელი. ლიცეუმში პუშკინის მეგობრებიდან გამოირჩეოდა

აგრეთვე ვ. კუხელბეკერი — ცნობილი დეკაბრისტი და მწერალი. სასწავლებლის მსმენელებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ცარსკოე სელოში დაბანაკებულ გვარდიის ოფიცრებთან. პუშკინი ძალზე დაახლოებული იყო ა. ჩაადაევთან, ფართოდ განათლებულ და მოწინავე იდეებით აღჭურვილ ახალგაზრდა ოფიცერთან. ა. ჩაადაევის ფილოსოფიურმა შეხედულებებმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა პუშკინის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

ლიცეუმის მსმენელები, ისე როგორც მათთან დაახლოებული ოფიცრობა, ბევრს კითხულობდნენ, ხშირად კამათობდნენ ლიტერატურის, ხელოვნებისა და პოლიტიკის საკითხებზე. მათ აწუხებდათ სამშობლოს უხეირო აწმყო და კიდევ უფრო გაურკვეველი მომავალი. აღსანიშნავია, რომ ლიცეუმის თითქმის ყველა მსმენელი თვითონ წერდა და აქვეყნებდა საკუთარ ლექსებს; ლიცეუმში მსმენელთა ხელნაწერი ჟურნალი გამოდიოდა. მოწაფეების ლიტერატურით გატაცებას ადმინისტრაცია დადებითად ეკიდებოდა. მსმენელებს შორის პუშკინმა თავისი მუსიკალური ლექსებით იმთავითვე საგანგებო ადგილი დაიკავა. ამას კი ბუნებრივ ნიჭთან ერთად დიდად შეუწყო ხელი იმ ადრინდელმა ვარჯიშმა და შთაბეჭდილებებმა. რომელიც მას ოჯახში ჰქონდა მიღებული. პუშკინის მშობლების სტუმრებს შორის იყვნენ იმდროინდელი ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები კარამზინი და ჟუკოვსკი. მომავალი მწერლის ბიძა, ვასილ ლევის ძე პუშკინი, საკმაოდ ცნობილი პოეტი იყო.

ლიცეუმის პროფესორ-მასწავლებლებიდან პუშკინს დაამახსოვრდა და ხშირად კეთილად იგონებდა გალიჩისა და კუნიცინის ლექციებს. მისივე აღიარებით, ამ მოწინავე პროფესორების რადიკალური შეხედულებათა დადებითი ზეგავლენა განიცადა.

და მაინც პუშკინისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებელ მეცადინეობას. ამ გზით მან განსწავლულობის ისეთ დონეს მიაღწია, რომ მის ერულიციას განცვიფრებაში მოჰყავდა ევროპის გამოჩენილი მეცნიერებიც კი.

პუშკინის ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზისას ცალკე პერიოდად გამოყოფენ ლიცეუმში სწავლის წლებში შექმნილ თხზულებებს. ამისათვის საფუძველი უდავოდ არსებობს. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პუშკინის ადრეულ ლექსებს ჭერ კიდევ დერჟავინისა და ბატიუშკოვის, განსაკუთრებით ჟუკოვსკისა და ანდრე შენიეს პოეზიის ზეგავლენა ეტყობა. თუმცა სიმართლეს ვულალატებდით, თუ იმასაც არ ვიტყვოდით, რომ უკვე ლიცეუმის პერიოდის ლექსებში აშკარად ჩანს პოეტის გენია. მან აქ სხვა შესანიშნავ ნაწარმოებებთან ერთად დაიწყო თავისი ქეშმარიტად ხალხური პოემის „რუსლანისა და ლულმილას“ შექმნა.

პუშკინის ერთ-ერთი პირველი პოეტური ცდა „მეგობარ მოლექსე-

სადმი“ უერნალ „ევროპის მოამბეში“ 1814 წელს დაიბეჭდა, როდესაც მის ავტორს 15 წელიც არ შესრულებოდა. უკვე ამ ლექსმა ლიტერატორთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, ხოლო როდესაც 1815 წლის 8 იანვარს ლიცეუმის მოსწავლეთა საჯარო გამოცდაზე პუშკინმა თავისი ორიგინალური ლექსი „მოგონებანი ცარსკოე სელოში“ წაიკითხა, იქ დაწასწრე საქვეყნოდ აღიარებულმა მხცოვანმა მგოსანმა დერჟავინმა აღტაცებისაგან ცრემლები ვერ შეიკავა და პოეტს დიდი ლიტერატურისაკენ ნათელი გზა დაულოცა. ეს იყო პუშკინის პირველი აღიარება და ისიც ისეთი უბადლო მხატვრისაგან, როგორც გაბრიელ დერჟავინი იყო. ამ საჯარო კითხვიდან მიღებული შთაბეჭდილება პუშკინს სიკვდილამდე გაჰყვა.

მოგვიანებით პოეტმა შესანიშნავად გამოხატა თავისი სათნო დამოკიდებულება დერჟავინის ხსოვნისადმი, საგანგებოდ გაუსვა ხაზი დიდი მგოსნის მხარდაჭერას, რომელიც ასე სჭირდებოდა დამწყებ პოეტს:

მას გაუღიმებს წრე ღირსეული,  
ფრთები შეგვესხმის წარმატებისგან,  
გვენობს დერჟავინი მოხუცებული,  
გვაკურთხებს შვეეთს წაბრძანებისას !.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ „მოგონებანი ცარსკოე სელოში“ პირველი ნაწარმოებია, რომელსაც პოეტმა გამოქვეყნების დროს მთლიანად მოაწერა თავისი სახელი და გვარი, თუმცა მანამდე ახალგაზრდა პუშკინს უკვე რამდენიმე ლექსი ჰქონდა დაბეჭდილი.

ლიცეუმის პერიოდის პუშკინის ლექსებში აშკარად ჰარბობს იმ დროისათვის დამახასიათებელი პატრიოტული მოტივი. ამ შემთხვევაშიც დამწყები პოეტი სახელოვან წინამორბედთა ტრადიციებს აგრძელებს. მაგრამ ლიცეუმში სწავლისას მან შექმნა აგრეთვე სამოქალაქო ყდერადობის გაბედული სატირული ლექსები, რომლებშიც გამოიკვეთა პოეტის მემამოხური სული, მისი პროტესტი ბატონყმობით დამკვიდრებული ძალმომრეობის წინააღმდეგ. პოეტმა თავისი ბუნტარული განწყობილება აშკარად გამოხატა ლექსში „ლიცინიისადმი“ (1815). თუმცა ლექსი სავსებით ორიგინალური ნაწარმოებია, მაგრამ, პოეტი ცენზურის თვალის აწვევის მიზნით, იძულებული იყო შენიშვნა გაეკეთებინა, თითქოს ის ლათინურიდან გადმოთარგმნა და მოქმედებაც ძველ რომში გადაიტანა. ლექსით „ლიცინიისადმი“, რომლითაც ბუშკინის შემოქმედებაში იწყება სამოქალაქო ლირიკის მთელი ციკლი, საფუძველი ჩაეყარა სინამდვილის რეალისტურ აღქმას, გამოვლინდა ძალმომრეობისადმი აშკარა მტრული დამოკიდებულება. ახალგაზრდა პუშკინის აღნიშნული თავისებურებები

<sup>1</sup> ა. პუშკინი. რჩეული თხზულებანი. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1975, გვ. 452. თარგმ. თ. კელიძისა. შემდეგში ამ გამოცემიდან მოყვანილ ციტატების ბოლოს შიშობული იქნება მხოლოდ გვერდები და შთარგმნელის გვარი.



ჯანსაყუთრებით იგრძნობა ლექსებში „სურვილი“, „მეგობრებს“, „ამხანაგებს“ და სხვ. რაც მთავარია, თვითონ მწერალს კარგად ესმოდა ლიტერატურული მრწამსის ჩამოყალიბებისათვის ლიცეუმში სწავლის პერიოდში დაწერილი ლექსების მნიშვნელობა. თუმცა იგი უპირატესობას მაინც იმ თავისუფალ შემოქმედებითს ატმოსფეროს ანიჭებდა, რომელიც ლიცეუმის ორგანიზატორთა სურვილის საწინააღმდეგოდ და მათთვის მოულოდნელად რომ დამკვიდრდა ამ დახურულ სასწავლებელში. ამის შესახებ პუშკინი ყოველთვის სიამაყით წერდა. იგი ბოლომდე აუღელვებლად ვერ ლაპარაკობდა სიჭაბუკის რომანტიკული ოცნებებით აღსავსე წლებზე, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს მთელ მის შემოქმედებაზე.

1817 წელს პუშკინი, ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, პეტერბურგში იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. აქ ის მოეწყო საგარეო საქმეთა კოლეჯიაში. მაგრამ ჩინოვნიკის ბიუროკრატიული კარიერა მას არ იზიდავდა. ვერ ეგუებოდა მოხელისათვის აუცილებელ შეზღუდვებსა და სუბორდინაციებს. პუშკინის პოეტური ბუნება სულიერ საზრდოს სამინისტროს კედლების მიღმა ეძებდა. იგი ლიტერატურული წრის „არზამასის“ სხდომების მუდმივი მონაწილე გახლდათ, რომელსაც ჟუკოვსკი ხელმძღვანელობდა და აქტიურ ბრძოლას უცხადებდა რეაქციულ შეხედულებებს. 1819 წელს პუშკინი შედის უკვე სხვა, ახლად დაარსებულ, ლიტერატურულ წრეში „მწევანე ლამა“, რომლის სამოქმედო პროგრამა ბევრად სცილდებოდა წმინდა ლიტერატურულ სფეროს. ამ პერიოდისათვის პუშკინს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ პოეზიის თავისუფლებას ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. თუ თავისუფალი არ იქნებოდა მისი შემოქმედი. რაც შეეხება რუსეთში დამკვიდრებულ სოციალურ წყობას, იგი, პუშკინის რწმენით, გამორიცხავდა პოეტის თავისუფლებას. ამის შეგნებამ კი მწერალი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის აღიარებამდე მიიყვანა.

მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გზების ძიებამ პუშკინი დეკაბრისტებს დაუკავშირა. ერთხანს ცდილობდა კიდევაც მათ ფარულ ორგანიზაციაში შესვლას, მაგრამ ამის წინააღმდეგი იყვნენ თვითონ დეკაბრისტები, რომლებიც დიდად აფასებდნენ პოეტის ნიჭს და არ სურდათ მისი საფრთხეში ჩაგდება. სამაგიეროდ, დეკაბრისტები პუშკინის პოეზიას ყველგან უწევდნენ პროპაგანდას, კარგად ესმოდათ ამ პოეზიის საბრძოლო-განმათავისუფლებელი მნიშვნელობა, რის გამოც პოეტი დეკაბრისტების კერპი გახდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. და მართლაც, პუშკინის პოლიტიკური ლირიკის რეზონანსი საოცრად დიდი იყო.

მიუხედავად სასტიკი ცენზურისა, რომელიც ხშირად ძალზე ამახინჯებდა პოეტის ქმნილებებს, მისი ლექსების მემბოზური პათოსი ფართო მკითხველამდე მაინც აღწევდა. პოეტის საუკეთესო ნაწარმოებები,

მათ შორის ცენზურის მიერ აკრძალულიც, მთელ რუსეთში გავრცელდა დიდი მწერლის პოეზიამ ხალხში ეროვნული სიამაყის უძლიერესი გრძობა გააღვივა და დაარწმუნა იგი, თუ რამდენად ამოუწურავია მისი პოტენციალური შესაძლებლობა. რაც შეეხება პროგრესულ კრიტიკას, მან პუშკინის თხზულებები ხალხის გენიის რეალურ გამოვლენად მიიჩნია.

რომ დავრწმუნდეთ დიდი პოეტის შემოქმედების რევოლუციურ სულისკვეთებაში, საკმარისია გავიხსენოთ მისი ისეთი ლექსები, როგორცაა „ჩაადაევისადმი“, „თავისუფლება“, „სოფელი“ და სხვ. უკვე ამ ადრეულ ლექსებში კარგად ჩანს პოეტის გაბედული, უკომპრომისო საბრძოლო განწყობილება, მიმართული არა მარტო ბატონყმობის, არამედ თვით საზოგადოების გულგრილობის წინააღმდეგაც.

ლექსი „ჩაადაევისადმი“, რომელიც 1818 წელს დაიწერა, ნოვატორულია არა მხოლოდ ფორმით, მისი მეამბოხური შინაარსი დღესაც ხიბლავს მკითხველს. შეუძლებელია დამშვიდებით აღიქვა სინამდვილის ის სიღრმისეული გააზრება, რასაც დასკვნის სახით გვთავაზობს ცხრანეტი წლის პუშკინი:

იმედის, ტრფობის, ამაყ სახელის  
დიდხანს გვართობდა თურმე თილისმა  
გაქრა ბავშვობა დაუძრახველი,  
ვით კვამლი, როგორც ნისლი დილისა.

შენც, ამხანაგო! გჯეროდეს, მოვა  
სხივდანთებული ბედნიერება,  
რუსეთს დასტოვებს ძილი და გლოვა,  
თვითმპყრობელობის ნამსხერვეთა გროვას  
ჩვენი სახელი დაეწერება. (30, თარგმ. პ. იაშვილისა)

ლექსში „თავისუფლება“ პუშკინი იმდენად გაბედულად და პირდაპირ გამოთქვამს თავის შეხედულებას ტახტის მემკვიდრეთა უსამართლობაზე, რომ საღად მოაზროვნე მკითხველმა ეს ოდა საბრძოლო მოწოდებად აღიქვა. აშკარა იყო პოეტის მსოფლმხედველობის შემდეგი რადიკალიზაცია. შემადრწუნებელია ავტორის მიერ ლექსში ასახული სოციალური სინამდვილე, რომელიც თავისთავად მომაკვდინებელ საბრალდებლო დასკვნას წარმოადგენდა ბატონყმობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ:

ვაგლახ! — სადაც კი მივაპყარ თვალი,  
ყველგან ხუნდია, ყველგან შოლტები,  
კანონს თელავენ უხეში ძალით  
და ცხარე ცრემლებს ღვრიან მონები;  
ყველგან ტახტზე ზის ძალმომრეობა, —  
ყმობის, მონობის ბოროტი სული,

და აი, სწორედ ამ გულშემზარავმა სინამდვილემ აიძულა პოეტი უარი ეთქვა „ტკბილ პანგებისათვის“ და მოეხმო „თავისუფლების მრისხანე მუზა“.

ფეოდალური ყოფის დუხჭირ ცხოვრების შეულამაზებელ სურათს პუშკინი წარმოგვიდგენს ლექსში „სოფელი“. იქ, სადაც აღწერილია სოფლის ბუნება, მგოსანი ავლენს ფერებისა და გამების შერწყმის საოცარ უნარს, მისი პალიტრა ისეთივე ჭრელი და მრავალფეროვანია, როგორც თვით სოფლის პეიზაჟი. პეტერბურგის გამხრწნელ ბიუროკრატიულ ცხოვრებას გაქცეული პოეტი სოფლის ლაღი ბუნების წიაღში შვებით ამოისუნთქავს. მხოლოდ ბუნებასთან, მხოლოდ სოფლის მკვიდრთა უშრეტო ოპტიმიზმით გამსჭვალულ ცხოვრებასთან ახლო კონტაქტში იპოვა პუშკინმა, ისიც მცირე ხნით, სულიერი სიმშვიდე, რომელიც მაშინ ასე საჭირო იყო მისთვის. განსაკუთრებით დიდია იმ სტრიქონების მაგიური ძალა, რომლებშიც პუშკინმა მშობლიურ მხარისადმი ესოდენ დიდი სიბზო და ალერსი ჩააქსოვა. ერთი მხრივ, იგი მოჯადოებულია სოფლის ცხოვრების იდილიური სურათით, პოეტს აქ ყველაფერი იზიდავს. მაგრამ მას არ გამოჰპარვია ყმა გლეხთა უმწეო ზვედრი, მათი აუტანელი ყოფა. სოფლის პეიზაჟის აღწერისას გამოვლინდა პოეტის ნიჭის კიდევ ერთი თავისებურება, მის მიერ ნაძერწ ბუნების სურათს ამაღლებული სიყვარულის ბეჭედი აზის:

სალამი შენდა, მხარე ჩემო და უდაბურო,  
საეანე შრომის, სიმშვიდის და შთაონებისა,  
სადაც ღღეების ღენამ უნდა დაისადგუროს  
ჩემს მარტვილ ბედთან ჩაკონებითა.

შენი ვარ: დაეთმე გარყენილების სახლი მეფეთა,  
ძვირფასი ლხინი, დროს ტარება, გზაც აბურდული  
და ეამჭობინე მუხრანის ხმა. სიხუმე ველთა,  
სადაც ვიფიქრებ მარტობით შემოსუდრულით.

შენი ვარ; მიყვარს ჩრდილები ბაღის,  
ვუნოსავ ყვაილებს გულმოდგინებით.  
მიყვარს მინდორი, მოფენილი სურნელ ზერნებით,  
და წმინდა წყარო, ბუჩქებში რომ მჰქრის სილაღით.

(33, თარგმ. პ. იაშვილისა)

<sup>1</sup> ა. ს. პუშკინი. რჩეული ნაწერები ოთხ ტომად. ტ. 1. თბ., „სახელმწიფო გამომცემლობა“. 1949—1952, გვ. 10. თარგმ. ვ. წულუკიძისა. შემდეგში ამ გამოცემიდან მოყვანილ ციტატების ბოლოს მითითებული იქნება: ტომი, გვერდი და მთარჯმნელის გვარი.

პუშკინის მიერ აქ მოცემული ქალაქისა და სოფლის ცხოვრების დაპირისპირება, რომლის დროსაც პოეტი სოფლის იდილიურ ყოფას ანიჭებდა უპირატესობას. დამახასიათებელი იქნება მთელი მისი მომდევნო შემოქმედებისათვისაც. მწერალი მტკივნეულად განიცდიდა ურბანიზაციით გამოწვეული პატრიარქალური ყოფის რღვევას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლის პეიზაჟის სილამაზით გამთბარი სული, მგოსნის რომანტიკული განწყობილება ერთი ხელის მოსმით გაქრება, როდესაც პოეტი ყმა გლეხთა რეალურ ცხოვრებას დააკვირდება და შეიციფრება მათი ტრაგიზმით აღსავსე ხვედრის სოციალურ მიზეზებს. სოფლის უმშვენიერესი პეიზაჟის ფონზე, გულისტკივილით წერს პუშკინი. მით უფრო მიუტევებელია ადამიანის ისე დაბეჩაობა, როდესაც მას ბუნების მშვენიერების აღქმის უნარიც კი დაკარგული აქვს. ლექსის მიხედვით გლეხებისათვის ეს უნარი ძალმომრეობაზე დაყრდნობილ უგუნურობას წაურთმევეია და თვით ცხოვრებაც მიწიერ ჯოჯოხეთად ქცეულა:

კაცობრიობის მეგობარი დაღვრებით ამჩნევს,  
რომ ყველგან მეფობს ჩამორჩენის, სირცხვილის შმორი:  
იღვრება ცრემლი, გაისმის კვნესა,  
განგებამ ხალხს რომ მიუჩინა და მიაკუთვნა;  
მაგრამ გულცივ და უსამართლო ბატონებს დღესაც  
არ ესმით ხალხის... მებატონემ დაისაკუთრა  
შრომა, სახლ-კარი, დრო და ოფლი მიწის მონისა.

(34, თარგმ. პ. იაშვილისა)

აი რატომ იყო, რომ პოეტი გულდაკოდილი კითხულობდა:

ვიხილავ განა, მეგობარო, ხალხს დაუჩაგრულს,  
რომ მეფის ნებით აღარ იქნეს მონობა მეტი,  
რომ სამშობლოში ბოლოს მინც სხივებად ჩადგეს  
თავისუფალი განათლების ძვირფასი სვეტი.

(34, თარგმ. პ. იაშვილისა)

თვით ამ კითხვის დასმით პუშკინმა უფრო გაბედული აზრის გადმოცემა მოახერხა, ვიდრე ამას გეთავაზობდნენ ბატონყმობით უკმაყოფილო იმდროინდელი უტოპისტები, რომ არაფერი ვთქვათ ლიბერალებზე.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ზიზღითა და გესლით გაუღენთილ ლექსებს ემატებოდა მეფესთან დაახლოებულ ჩინოვნიკებზე ღვარძლიანი ეპიგრამები. მათ შორის მკითხველებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა პუშკინის სატირული ლექსები არაქივეზე, გოლიცინსა და არქიმანდრიტ ფოტიზე. მეფის ფავორიტთა პუშკინისეული დახასიათება ემთხვეოდა პროგრესულად განწყობილ საზოგადოების შეხედულებას, რის გამოც მკითხველთა ფართო მასამ ზეპირად იცოდა პოეტის სარკასტული ქდერადობის ლექსთა უმრავლესობა და პროპაგან-

დას უწევდა მას. პუშკინის ავტორიტეტი და გავლენა მოწინავე მკითხველზე ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ახალგაზრდა პოეტის მოწოდებამ სოციალური სინამდვილის გარდასაქმნელად საზოგადოების ყველა ფენაში პოვა გამოძახილი. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მიფის მოხელეებს, რომლებმაც სასახლე პუშკინის წინააღმდეგ განაწყვეს და მისი პეტერბურგიდან გასახლების გეგმა შეიმუშავეს. თავდაპირველად პოეტის ციმბირში ან სოლოვკებში გავზავნა უნდოდათ, მაგრამ კარაჩინის, უშკოვსკისა და სხვების ჩარევამ გასკრა და პუშკინის მტრებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ 1820 წლის 5 მაისს პოეტი ეკატერინოსლავში გადაიყვანეს სამუშაოდ; გაამწესეს იგი გენერალ ინზოვის ხელქვეითად. ინზოვი პუშკინის შორეული ნათესავი იყო და როდესაც პოეტი იმავე წლის ივნისში ავად გახდა, ნება დართო გენერალ რაევსკის ოჯახთან ერთად სამკურნალოდ კავკასიის მინერალურ წყლებზე გამგზავრებულიყო.

დიდია ამ მოწინავე იდეებისა და მდიდარი კულტურული ტრადიციების მქონე ოჯახის წევრთა გავლენა პუშკინის პირად თუ შემოქმედებითს ცხოვრებაზე. რაევსკის ოჯახის ყველა წევრმა ბრწყინვალედ იცოდა სხვა ევროპულ ენებთან ერთად ინგლისური ენაც. თვითონ გენერალი რაევსკი სამამულო ომის გმირი, ფრიად განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწე იყო. რაევსკის ქალიშვილებმა პუშკინს ასწავლეს ინგლისური ენა. იგი მთელი გატაცებით დაეწეა ბაირონის პოეზიას, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლა. ბაირონმა პუშკინზე თავისებური გავლენა მოახდინა. იგი დაშორდა ინგლისის გენიალურ რომანტიკოსს. მართალია, პუშკინს ძალზე მოსწონდა ბაირონის გმირების თავისუფლებისაკენ დაუცხრომელი ლტოლვა, მაგრამ მან არ გაიზიარა ინგლისელი პოეტის უკიდურესობაში გადაზრდილი „დამოუკიდებლობა“. განსხვავებით ბაირონისაგან, პუშკინმა მოქმედი პირების გმირული პათოსი მიწიერ, საზოგადოების წინაშე მდგომ მწვავე ამოცანებს დაუმორჩილა. რუსეთის დიდმა პოეტმა თავის სამხრეთულ რომანტიკულ პოემებში რეალისტური ელემენტები შეიტანა და ამით დაარღვია რომანტიზმის ევროპული გაგება. პუშკინი ამ შემთხვევაშიც ნოვატორად გვევლინება.

სინამდვილის რომანტიკული აღქმის დროს რეალისტური ნაკადის შეტანის არცთუ უშედეგო ცდას პუშკინის პოემა „კავკასიის ტყვე“, განსაკუთრებით კი „ბოშები“ წარმოადგენს. ამ გზით პოეტის რევოლუციურმა რომანტიზმმა განვითარების უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია.

კავკასიასთან დაახლოებამ, მის ბუნებისა და ხალხის გაცნობამ პუშკინს შემოქმედებითი ენერჯია შემატა. იგი სამხრეთში ცხოვრების დროს ბევრს მოგზაურობდა, მაგრამ ნაყოფიერადაც მუშაობდა, შედეგად რუსული ლიტერატურა ახალი შედეგებით გაამდიდრა, რომელიც ცნობილია „სამხრეთული პოემების“ სახელწოდებით. ამ ციკლში გარდა

უკვე დასახლებულებისა, კიდევ ორი სხვა პოემაც შედის: „ბახჩისარაის შადრევანი“ და „ქმები ყაჩაღები“. ცხოვრების უკუღმართობასთან შეურიგებლობითა და ახლის ძიების სულსკვეთებით ხასიათდება პუშკინის მიერ სამხრეთში შექმნილი ლირიკული ლექსებიც. მათ შორის გამოირჩევა: „ღღის მნათობი ჩაესვენა“, „დემონი“, „ნაპოლეონი“ და სხვ. სამხრეთში გადასახლების დროს პოეტმა დაწერა „ევგენი ონეგინის“ პირველი ორი თავი.

კავკასიიდან პუშკინი რაევსკებთან ერთად ყირიმში მიემგზავრება, ხოლო 1820 წლის გვიან შემოდგომაზე ჩადის ბესარაბიის დედაქალაქ კიშინიოვში, სადაც გენერალმა ინზოვმა თავისი რეზიდენცია გადაიტანა. კიშინიოვის პერიოდი პუშკინის შემოქმედებითს ცხოვრებაში შედარებით ნაკლებად ნაყოფიერია. მაგრამ აქ იგი დაუახლოვდა დეკაბრისტების „სამხრეთის საზოგადოების“ წევრებს, კერძოდ, ვლ. რაევსკის, პ. პესტელს, ვ. დავიდოვს, მ. ორლოვს და სხვებს. უდავოა, რომ მათთან ურთიერთობამ საგრძნობლად გაზარდა პოეტის ანტიმონარქისტული განწყობილება.

პუშკინზე დაწესებული იყო ფარული ზედამხედველობა... აგენტები ფხიზლობდნენ, აღწესდნენ პოეტის ყოველ ნაბიჯს, პეტერბურგში გაგზავნილ დოსიებში შეტანილი იყო ჩაიხანებში პუშკინის სახუმარო გამონათქვანებიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ბასრ ეპიგრაშებზე. თვითონ პოეტსაც მოსწყინდა კიშინიოვში ცხოვრება და მისივე თხოვნით 1823 წლის 3 ივლისს ოდესაში გადაიყვანეს, ამჯერად პუშკინის ზედამხედველი გახდა გენერალი ვორონცოვი, რომელიც, ინზოვისაგან განსხვავებით, მეტად ვერაგი, მეფის ერთგული მოხელე იყო. ვორონცოვი მკაცრად მოითხოვდა დისციპლინისა და სუბორდინაციის დაცვას. პუშკინი სწორედ ამას ვერ ეგუებოდა, რის გამოც გენერალსა და პოეტს შორის თავიდანვე დაიძაბა ურთიერთობა, რაც ხშირად აშკარა კონფლიქტში გადაიზრდებოდა ხოლმე. ყოველივე ამას დაემატა პუშკინის გესლიანი სატირა ვორონცოვზე. ამ უკანასკნელმა საბოლოოდ დაკარგა მოთმინება და აღრე გაგზავნილ დამაბეზლებელ დოსიეებს კიდევ ერთი დაუმატა, რომელშიც დაეინებით მოითხოვდა პუშკინის სხვაგან გადაყვანას. დამიხსენით პუშკინისაგანო, ცოფმორეული წერდა იგი ოდესიდან საგარეო საქმეთა მინისტრს.

მეფისა და მისი ერთგული მოხელეების იმედი, „გამოესწორებინათ“ პუშკინი, ფუქი აღმოჩნდა. პოეტი არამცთუ უკან იხევდა, არამედ მასში მეფის საწინააღმდეგო განწყობილებამ ბევრად უფრო რადიკალური ხასიათი მიიღო. ამით გააფთრებულმა ტახტის ფავორიტებმა 1824 წლის ივნისში პოეტი სამსახურიდან გააძევეს და ჩრდილოეთში გადაასახლეს. კერძოდ, მას მუდმივ საცხოვრებლად დედისეული პატარა მამული, სოფელი მიხაილოვსკოე მიუჩინეს, რომელიც ფსკოვის გუბერნიაში შედიოდა. აქ კი პუშკინის ზედამხედველობა დავალებული ჰქონდათ ადგი-

ლობრივ პოლიცემისტერსა და ახლომდებარე მონასტრის იღუმენს; პუშკინის ზედამხედველობის როლში გამოდიოდა აგრეთვე მამაც. ეს კი უაღრესად უმძიმდა პოეტს, რის გამო იგი ხშირად კარგავდა წონასწორობას და მამისადმი უპატივცემულობას იჩენდა. უფრო დაწვრილებით პოეტის საქმიანობაზე ჩრდილოეთში გადასახლების წლებში ქვემოთ შეენიერდებით, ახლა კი მოგვყავს ზოგადი ცნობები პუშკინის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ 1820 — 1824 წლებში, საიდანაც კარგად ჩანს, რომ პოეტის სამხრეთში გადასახლების წლები უაღრესად დაძაბული, მაგრამ მაინც ნაყოფიერი გამოდგა. ტახტის ერთგული დამცველები ყოველ ზომას მიმართავდნენ, რათა ხელი შეეშალათ პუშკინის პოეტური ზრდისა და სრულყოფისათვის. ამას ახალგაზრდული გართობები და ხელგაშლილი. დარღვიმანდული ცხოვრებაც დაემატა. რომანტიკულად განწყობილი ქაბუკი ბევრს მოგზაურობდა, იყო შეყვარებული... მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხრეთში გადასახლებულმა პუშკინმა კაცობრიობის მხატვრული საუხეჯე ახალი მარგალიტებით გაამდიდრა.

თუმცა, ჭერ კიდევ პეტერბურგში მყოფმა პოეტმა „თავისუფალი“ ლექსების ციკლით ერთბაშად მოიხვეჭა ავტორიტეტი და სამუდამოდ დაიმკვიდრა პოეტი-ტრიბუნის, პოეტი-მეამბოხის საპატიო სახელი, მაგრამ ჭერ კიდევ წინ იყო ბევრად უფრო გაბედული უკომპრომისო ბრძოლისა და შემოქმედებითი ძიების გზა, რომელმაც პუშკინს მსოფლიო აღიარება მოუტანა. პოეტის ეს დიდი წარმატება უშუალოდაა დაკავშირებული მის ტალანტთან, რომელიც მთელი შესაძლებლობით მხოლოდ ეპიკურ ტილოებში წარმოიჩინდა: დიდი პოეტის შემოქმედებაში ამგვარ ნაწარმოებთა სათავედ მიჩნეულია მისი პირველი დასრულებული პოემა „რუსლანი და ლუდმილა“.

პოემის წერა პუშკინმა სამხრეთში გადასახლებამდე დაამთავრა, მას არც ერთ სხვა ნაწარმოებზე, გარდა „ევგენი ონეგინისა“, ასე ხანგრძლივად და მონდომებით არ უმუშავია. მიუხედავად იმისა, რომ პოემაში უდავოდ იგრძნობა ლიტერატურული ტრადიციების გამოძახილი, „რუსლანი და ლუდმილა“ სავსებით დამოუკიდებელი ნოვატორული ნაწარმოებია, რაც, უპირველეს ყოვლისა, ავტორის მიერ კლასიციზმის სქოლასტიკური ნორმების უკუგდებაში გამოვლინდა. პოემის ხალხურობის საფუძველს ეროვნული სუნთქვა შეადგენს. მასში უხვად არის გამოყენებული რუსული ფოლკლორული მასალა, რომელიც ავტორმა ამ ეპიკური ტილოს თხრობის ქარგაში ორგანულად ჩააქსოვა და ჯადოქრული ხელოვნებით ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივ მთლიანობას დაუმორჩილა. პოემის ყველა მონაკვეთში ერთნაირი სიძლიერით იგრძნობა რუსი კაცის ჰუმანურობა და კეთილშობილება, მისი ხასიათის სიმტკიცე და თავდადება. „რუსლანი და ლუდმილა“, მიუხედავად სიუჟეტის დრამატულად დაძაბული განვითარებისა, ოპტიმისტური ქლერადობის ნაწარ-

მოვბია, მკითხველი სიამოვნებით აღიქვამს ზღაპრებისათვის დამახასიათებელ სიცოცხლის ტრფიალს. პოემაში აღწერილი სინამდვილე გარკვეულად ალევორიულია, თუმცა იგი სავსებით მიწიერ შთაბეჭდილებას ტოვებს; მოქმედი პერსონაჟები ავტორის მიერ რეალურ სინამდვილის მოთხოვნათა ფონზეა გააზრებული და ამიტომაც ისინი კონკრეტულ სოციალურ პრობლემებს ეხმაურებიან, რის გამო იზრდება მათი ქმედითი ზეგავლენა მკითხველზე. მრავალფეროვანი და მდიდარია „რუსლანი და ლუდმილას“ შინაარსობრივი მხარეც. იგი, როგორც თვით ცხოვრება, გამოირჩევა სიკრელითა და წინააღმდეგობებით, ფერებისა და ბგერათა სიუხვით, ზოგადსაკაცობრიო მოტივების გაბედული ჟღერადობით. პოემა ჩვენზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

„რუსლანი და ლუდმილას“ ნოვატორული ხასიათი თვით პოემის მხატვრულ ფორმაშიც ვლინდება, ახლებურია მისი ლექსიკა და კომპოზიცია, ავტორი გაბედულად არღვევს ლომონოსოვის „სამი შტილის“ თეორიას, რომელიც კანონმდებლური იყო კლასიციკური პოეზიისათვის. პუშკინის პოემის გმირების მეტყველებაში შეტანილია უბრალო სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი გამოთქმები და ფრაზეოლოგიური ერთეულები, პოეტმა უკუაგდო მისტიციზმი და რიტორიკული პათეტიკა. პოემის შინაარსის დემოკრატიზაციამ მოწინავე მკითხველთა აღფრთოვანება გამოიწვია, მაშინ, როდესაც მის ავტორს თავს დაესხა რეაქციული დოგმებით შეიარღვებული კრიტიკა, რომელსაც არ მოეწონა „რუსლანი და ლუდმილას“ ხალხურობა, პოემის იდეური ჩანაფიქრის ეროვნული ხასიათი და მიმართულება. როგორც არ უნდა ყოფილიყო ობიექტელთა რეაქცია, ერთი რამ იმთავითვე ყველასათვის ნათელი გახდა: პუშკინმა „რუსლანი და ლუდმილათი“ რუსულ ლიტერატურაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელსაც არა მარტო თვითონ, არამედ მწერალთა მომდევნო თაობები გაპყვია.

1820 წელს მუშაობა დაიწყო და მომავალ 1821 წელს დაამთავრა პუშკინმა თავისი პირველი რომანტიკული პოემა „კავკასიის ტყვე“, სადაც აშკარად იგრძნობა არა მარტო სუბიექტურ-ლირიკული ნაკადი, არამედ სინამდვილის აქტუალური პრობლემების რეალისტური გააზრების ცდაც. მგოსანს პოემა ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებადაც კი მიაჩნდა და ამაში არის ჭეშმარიტების მარცვალი, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ მთავარი გმირის მემამბოხურ, ბედისადმი დაუმორჩილებელ განწყობილებას. თვითონ პოეტის აღიარებით, ტყვის მხატვრულ სახეში მას სურდა XIX ს. ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელი ინერტულობა ეჩვენებინა, რომლის დიდი ნაწილი ცხოვრების მყუდროების როლში გამოდიოდა. მე მინდოდა, წერდა პუშკინი, ამესახა... გულგრილობა ცხოვრებისადმი, მისი სიამოვნებისადმი, ეს ნაადრევი სიბერე სულისა, რომელიც XIX ს. ახალგაზრდების დამახასიათებელ თვისებებად გადაიქცაო. და მართლაც, პოემაში მკითხველი მთავარი პერსონაჟის



ცხოვრებიდან არაერთ საგულისხმო ეპიზოდს წააწყდება, საიდანაც აშკარად ჩანს ტყვის დაღლილი, უიმედობით შეპყრობილი განწყობილება. მას მოსწყინდა ორპირობითა და მლიქვნელობით დაავადებული საზოგადოების წევრებთან ურთიერთობა. პროტესტის ნიშნად მან დეტოვა დედაქალაქი და სულიერი სიმშვიდის საძიებლად კავკასიას მიამურა:

მოსძულდა იქ მას დიდ კაცთა ხროვა,  
კრიფა საკმაოდ ცხოვრების ნარი,  
მეგობართ გულში ღალატი ჰპოვა  
და სიყვარულში — სიზმარი მტყნარი.  
მობეზრდა ყოფა ფუქსავატური,  
წესად ქცეული მისგან წამება,  
სულში ორპირთა ხელის ფათური  
და გულუბრყვილო ცილისწამება.

(2, 9, თარგმ. კ. ჰიქინაძისა)

პოეტი ტყვეზე პირდაპირ წერდა — მას მხოლოდ ერთი რამ, თავისუფლება სწყუროდაო. ამავე დროს, პუშკინმა ისიც კარგად იცოდა, რომ „თავისუფლების მოპოვების გზა“ რთული და წინააღმდეგობრივია, ხოლო ტყვის სწრაფვა, კავკასიის ბუნების წიაღში პოვოს სულიერი განახლება, ფუჰია და უშედევოდაც დამთავრდა, რადგანაც არისტოკრატიულ პეტერბურგში ფუქსავატური ცხოვრებით გამოწვეული დეპრესია ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ამჯერად უკვე მისგან განთავისუფლება პოემის გმირს ვერ ძალუძს, იგი ამ სოციალური სენის მუღმივ ტყეობაშია მოქცეული. სწორედ აქ, ამ ეპიზოდში ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა პუშკინის მიერ სინამდვილის რეალისტური აღქმის ცდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დასახული ცხოვრებისეული ამოცანის ხორცშესხმას პუშკინი რომანტიკული, სუბიექტური განცდების ეგზოტიკურ ტონებში გადმოცემით ცდილობდა, რამაც გარკვეული შეუსაბამობა წარმოშვა. ეს კი იმთავითვე სწორად შენიშნეს კრიტიკოსებმა. თვითონ ავტორსაც არაერთგზის გამოუთქვამს უკმაყოფილება ტყვის სახის წინააღმდეგობრიობის გამო. მე ვერ გამოვდექი პოემის გმირადო, წერდა გულდაწყვეტილი პუშკინი. „კავკასიის ტყვეს“ პერსონაჟები მანამდე რუსული ლიტერატურისათვის უჩვეული პირობებში არიან ჩაყენებული, ამან კი ბევრ რამეს აღმოსავლური კოლორიტი და იერი მისცა. მიუხედავად აღნიშნულისა, მკითხველმა პოემაში მაინც საკუთარი ეპოქისათვის დამახასიათებელი კოლიზია დაინახა, ხოლო გმირები კი მის თანამედროვე სინამდვილიდან აღებულ პერსონაჟებად წარმოიდგინა. „კავკასიის ტყვეზე“ ასეთი აზრისა იყო პოეტი ვიაზემსკი, ხოლო მოგვიანებით ბელინსკიმ, სრული დამაჯერებლობით, დაამტკიცა პოემის გმირების ცხოველმყოფელობა, რაც განპი-

რობებული იყო ლიტერატურის განვითარების ისტორიული აუცილებლობით.

გარდა ტყვის მხატვრული სახის იდეური ჩანაფიქრისა, რომანტიკულ პოემაში უთუოდ დისონანსად უღერს ბუნების სურათების რეალისტური ჩანახატები, ისე, როგორც ჩერქეზების ადათ-წესების აღწერა. მართალია, მათ დასურათებისას პუშკინის კალამს არ აკლია რომანტიკული პათოსი, მაგრამ სასიამოვნო რეაქციას იწვევს პოემის ამ არაფაბულური ნაწილების ცხოვრებისეულობა, მათი რეალიზმის მოთხოვნამდე აყვანილი დამაჯერებლობა, რასაც მოგვიანებით თვითონ პოეტიც კმაყოფილებით აღნიშნავდა. თანამედროვე მკითხველზე სასურველ ზეგავლენას სწორედ პოემის რეალისტური სურათები ახდენენ, მას იზიდავს ახალგაზრდა პოეტის გრძნობათა უშუალობა და სიფაქიზე.

ევროპული რომანტიზმის საწინააღმდეგოდ უღერს აგრეთვე პოემის ფინალი, სადაც აღწერილია პეტერბურგელი არისტოკრატის გულგრილი არაადამიანური დამოკიდებულება ჩერქეზ გოგონასადმი, რომელმაც იგი ტყვეობიდან იხსნა და სიკვდილს გადაარჩინა. ავტორის ეს იდეალური გმირი გაუზიარებელი სიყვარულის მსხვერპლია, იგი მთის მდინარეში გადაეშვება და თავს იხრჩობს. ხოლო ტყვე, რომელიც ტრაგედიის მიზეზი გახდა, არამტყუ შეეცდება გადაარჩინოს მსხნელი, არამედ მის სახეს შებრალების გრძნობაც კი არ შეტყობია; პოემის რომანტიკულმა გმირმა მოყვასისადმი სრული ინერტულობა გამოიჩინა.

ავტორი ამ მხატვრულ ტილოს ბევრად უფრო დიდ ლიტერატურულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე „რუსლან და ლუდმილას“. პოემის შექმნით პუშკინმა სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი ყუკოვსკის პასიურ რომანტიზმთან. ბ. ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამიერიდან დაიწყო „უახლესი რომანტიზმის“ ეპოქა, რომელიც სინამდვილეს უახლოვდება. რაც შეეხება თხრობის ცენტრში მოქცეულ პერსონაჟებს, ისინი ხომ ცხოვრების უკუღმართობით დევნილი არიან და ადამიანებს შორის სამართლიანი ურთიერთობის დამკვიდრების გზას ეძიებენ. საერთოდ კი პუშკინის სამხრეთული პოემების გმირებისათვის დამახასიათებელია არისტოკრატულ სამყაროდან გაქცევა, ვინაიდან თვითონ განიცადეს ბურჟუაზიული ცივილიზაციისა თუ ფეოდალური კასტის გამხრწნელი ზეგავლენა. მათ იზიდავს თავისუფალი დამოუკიდებელი ცხოვრება ბუნების წიაღში და მზად არიან მსხვერპლადაც კი შეეწირონ მაღალ იდეალს. ამან განაპირობა პოემის „კავკასიის ტყვე“ პოპულარობა, გაჩნდნენ მისი გმირების მიმბაძველებიც. „კავკასიის ტყვემ“ პუშკინს დიდი აღიარება მოუტანა და მის მიერ დამკვიდრებული პოეტური ფორმა დაკანონდა.

ამ ციკლის მეორე პოემა „ბახჩისარაის შადრევანი“, სხვა სამხრეთულ პოემებთან შედარებით, ყველაზე რომანტიკულად ითვლება. აქ სამართლიანად პოულობენ ბაირონის მოტივების ცალკეულ გამოძახილს.

„ბახჩისარაის შადრევანში“, ისე როგორც „რუსლანსა და ლუდმილაში“, შორეული წარსულია აღწერილი, მაგრამ „ბახჩისარაის შადრევანს“ საფუძვლად ლეგენდად ქცეული ისტორიული თქმულება უდევს, რომელიც მას ბილინებთან აახლოვებს.

ისე როგორც „კავკასიის ტყვე“, პოემა „ბახჩისარაის შადრევანში“ ავტორმა ნანახისა და გაგონილის მხატვრულ გააზრებაზე ააგო. ამჯერად პუშკინმა პოემის ქარგად ლეგენდად ქცეული ყირიმის ხანი გირეის ცხოვრება გამოიყენა. „ბახჩისარაის შადრევანში“ გვხვდება აგრეთვე ავტობიოგრაფიული ელემენტები, მაგრამ ყოველივე ეს „კავკასიის ტყვესაგან“ განსხვავებით ავტორს სიუჟეტისა და ხასიათების საზღვრებს გარეთ აქვს გატანილი და ლირიკული გადახვევების ჩარჩოებშია მოქცეული.

თვითონ ლეგენდა, უაღრესად რომანტიკულია, რომელსაც სავსებით შეესაბამება გირეისა და მის პარამხანაში დატყვევებულ ქალთა ტრაგედიის აღწერა. მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს პოლონელი თავადის ასული მარიას უმწიკვლო, ზეციური სისპეტაკით გაციკროვებული ხასიათი. განსხვავებით მარიასაგან ღრმა ემოციონალური, მიწიერი ყოფისათვის დამახასიათებელი გრძნობათა ღელვით გამოირჩევა ქართველი ზარემას ტრაგიკული ბუნება. მას მხოლოდ ერთხელ შეუძლია შეიყვაროს, ამიტომაც რჩეულს მთელი თავისი არსით მიენდობა და ღალატის შემთხვევაში შურს იძიებს მასზე.

პუშკინს მოგვიანებით ბევრი რამ არ მოეწონა გირეის მელოდრამატიულ ხასიათში. ამავე დროს, თვითონვე აღნიშნავდა, რომ ზარემასა და მარიას დიალოგის სცენა გამოირჩევა თავისი დრამატიზმით. ავტორის უკმაყოფილებას იწვევდა ალბათ, ისიც, რომ „ბახჩისარაის შადრევანში“ ეპოქისათვის დამახასიათებელმა მწვავე პრობლემამ ვერ პოვა ასახვა. როგორც ჩანს, ამით უნდა აიხსნას პუშკინის გადაწყვეტილება, შეეწყვიტა პოემაზე მუშაობა და იგი 1823 წელს შეუდგა რუსული და მსოფლიო ლიტერატურის მშვენიერების „ვეგენი ონეგინის“ წერას, რომელიც თითქმის 10 წელს გაგრძელდა. მწერლის ასეთი გადაწყვეტილება მიგვანიშნებს, რომ მას კვლავინდებურად აწუხებდა „საუკუნის გმირის“ რეალისტური სახის შექმნის იდეა. ალბათ, იგივე მოსაზრებამ განაპირობა პუშკინის გატაცება ვოლგისპირა ყაჩაღებზე გავრცელებულ ლეგენდებით, რომელთა ლიტერატურულ დამუშავებას მთელი მონდომებით შეუდგა და კიდევაც შექმნა ვრცელი პოემა. მაგრამ საბოლოოდ პოემით თვითონ ავტორი უკმაყოფილო დარჩა და დაწვა იგი. გადარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც გამოქვეყნდა ცალკე ნაწარმოებად სათაურით „ძმები ყაჩაღები“.

ეს პოემა გამსჭვალულია თავისუფლებისაკენ ლტოლვის უშრეტეი წყურვილით, სწორედ ეს ამოძრავებს პოემის გმირებს. თავისუფლებისათვის დაუცხრომელმა სურვილმა გააბედინა ყაჩაღ ძმებს ფეხებზე

ბორკილებით გადახტარიყვნენ აბობოქრებულ მდინარეში და სტიქი-ასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილით თავი ეხსნათ გარდაუვალ და-ლუპვისაგან. პოემის რეალისტურ მოტივად ითვლება ვოლგის ნაპირებზე თავმოყრილ ყაჩაღთა გაბოროტების მიზეზად სოციალური უსამართ-ლობის დასახელება. თუმცა, ახლა უკვე თითოეული მათგანის სინდისზეა არა ერთი ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ პოეტი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ეს ჭრელი, სხვადასხვა ერების წარმომადგენლებისაგან შემდგარი მასა ბოროტების გზას ბატონყმური წყობით დამკვიდრებული შემადრწუ-ნებელი უკანონობის შედეგად დაადგა. ავტორის ასეთი შეხედულება მკაფიოდ ჩანს ცოცხლად დარჩენილი ყაჩაღი ძმის სიტყვებიდან, რომე-ლიც პირდაპირ ასახელებს მათი გაყაჩაღების მიზეზებს: ბავშვობიდან უგრძნვითა თბილად დარჩენილ ძმებს სასტიკი ექსპლოატაციის სუსხი, ისე როგორც უუფლებო ცხოვრების მთელი სიმანინჯე, რასაც ძმებში ბუნებრივად გაუღვიძებია შურისგებისა და თავისუფალი ცხოვრების დაუოკებელი სურვილი...

პოემის ენის პლასტიკურობას ხაზს უსვამდა თვითონ ავტორი. ენის თვალსაზრისით, არაფერი უკეთესი არ დამიწერიაო, აღნიშნავდა ის. ფაქტიურად „ძმები ყაჩაღებიდან“ იწყება სალიტერატურო და ხალხური ენის დაახლოების საჭიროების შესახებ პუშკინის მიერ გამოთქმული მოსაზრების პრაქტიკული ხორცშესხმა. ამიერიდან დიდ მგოსანს, და არა მარტო მას, მოურიდებლად შეაქვს თავის პოეტურ სტრიქონებში და-ბალი სოციალური ფენებისათვის დამახასიათებელი რამდენაღმე უხეში, მაგრამ უაღრესად აზრიანი გამოთქმები და აფორიზმები, რომ არაფერი ეთქვათ მდიდარ ლექსიკაზე. დიალექტების ნაკადი, სალიტერატურო ენის დაახლოება სალაპარაკოსთან, არა მხოლოდ აძლიერებს პუშკინის თხზულებათა რეალიზმს, იგი, ამავე დროს, დიდი პოეტის სამართლიანი მტკიცებით, სალიტერატურო ენას საერთო ეროვნულ მეტყველების ნორმად აქცევს.

რომანტიკულ პოემების ციკლიდან „ბოშებს“ პუშკინის შემოქმედე-ბაში სამართლიანად თვლიან რეალიზმისაკენ გარდამავალ ხასიათის ნა-წარმოებად. აქ ბაირონისეული რომანტიკული ფორმა მხოლოდ საფარია, სინამდვილეში კი პოემა თავისი იდეურ-ფილოსოფიური მიმართულებით მოურიდებლად აშოშვლებს უკიდურესობამდე მისულ ინდივიდუალისტს, რომელიც საბოლოოდ განუყურნავ ეგოისტად ყალიბდება. პუშკინი არ იზიარებდა აგრეთვე ჟან ჟაკ რუსოს „გაველურების“ თეორიას, რომელ-საც უნდა ეხსნა კაცობრიობა. როგორც ცნობილია, სწორედ ეს თეორია უდევს საფუძვლად ევროპის უდიდესი რომანტიკოსის შემოქმედებას. პუშკინის ალეკოს არ აკმაყოფილებს ბესარაბიის ტრამალებში ცივილი-ზაციას მოკლებული ბოშათა ცხოვრება. ეს იმიტომ, რომ ქალაქის გარ-ყვნილმა გარემოცვამ, სადაც მისი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა, მოწამლა იგი. თავისუფლებაც მას სხვანაირად ესმის. იგი მხოლოდ სა-

კუთარ მეს სცემს პატივს, ამიტომ დროებით და ისიც ფორმალურად ეგუება ბოშათა თავისუფალ სამყაროს. მაგრამ მას მოსვენებას არ აღ-  
ლევს ცხოვრების რაობის საკითხი. მეტად დიდია ალექოსა და ბოშებს  
შორის გაჩენილი უფსკრული, რომლის გადალახვას გმირი ვერა და ვერ  
ახერხებს.

პოემა „კავკასიის ტყვესთან“ შედარებით ცხოვრებისეული სიმართ-  
ლის ასახვით „ბოშები“ წინ გადადგმული ნაბიჯია. პოეტი ალექოს  
ზნატერულ სახეს ბევრად უფრო რეალისტურ შტრიხებით ამდიდრებს,  
ცხოვრებისეულია აგრეთვე გმირის შინაგანი სამყარო და მისი მამოძრა-  
ვებელი იმპულსებიც, რომ არაფერი ვთქვათ თვით ხასიათის ძერწვის  
პრინციპებზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პოეტმა „ბოშებ-  
ში“ რომანტიკული საშუალებებით „ეპოქის გმირის“ დასურათების ისეთ  
დამაჯერებლობას მიაღწია, რომელიც მაშინ მიუწევდომელი იყო სხვა  
მწერლისათვის. ეს ხომ კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ რამდენად შე-  
უზღუდავია ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი შესაძლებ-  
ლობა, მისი ჯადოქრული ნიჭის სიღრმე და დიაპაზონი. პუშკინისათვის  
ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად ერთნაირად მისაწვდომი გახდა ყველა  
ფორმა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ორი საწყისის — რომანტიკულისა  
და რეალისტურის შერწყმით პოეტმა ნოვატორული შედეგები შექმნა.

განსხვავებით „კავკასიის ტყვესაგან“ პოემის დასაწყისშივე მწერალ-  
მა ბოშების ცხოვრების რამდენადმე იდეალიზირებული, მაგრამ მთლი-  
ანობაში რეალისტური აღწერა მოგვცა. თუ „კავკასიის ტყვეში“ პუშკინი  
ჩერქეზებზე ზოგადი ცნობების მიწოდებით დაკმაყოფილდა, „ბოშებში“  
მან მომთაბარე ტომების ბანაკის დეტალური აღწერით უაღრესად კო-  
ლორიტული სურათი შექმნა, რომელიც დღესაც ემოციურ ზეგავლენას  
ახდენს მკითხველზე. უკვე ჩვენ დროში, ვისაც ჰქონდა შემთხვევა ერთ-  
ხელ მაინც ენახა ბოშათა დასახლება, მას არ შეიძლება არ გახსენებოდა  
პუშკინის პოემის სათანადო აღვილი და, სახტად დარჩენილს, არ შე-  
ენიშნა ნანახთან პოეტის მიერ აღწერილის საოცარი მსგავსება. მართა-  
ლია, პოემიდან ჩანს პუშკინის აღტაცება ბოშათა ლალი. კერძომესაკუთ-  
რული ინსტინქტებისაგან თავისუფალი ცხოვრების გამო, მაგრამ პოეტმა  
მისთვის ჩვეული ოსტატობით აღწერა ამ მომთაბარე ხალხის სი-  
დუხჭირე და საარსებო წყაროსათვის ბრძოლა. მკითხველი ავტორთან  
ერთად განიცდის თავისუფლების მოტრფიალე ამ ტომის მომავლის  
უპერსპექტივობას. ბევრის მთქმელია აგრეთვე ზემფირას მამის სევდი-  
ანი მოგონება, თუ როგორ მიატოვა მეუღლემ იგი და აკვანში მწოლიარე  
ერთადერთი ქალიშვილი, შემდეგ მას ცოლი არ შეურთავს და მთელი  
ცხოვრება ქალიშვილს შეაღია. თითქოსდა გამოსავალი ნაპოვნი იყო,  
რადგანაც ზემფირას მამას თეორიულად გრძნობათა თავისუფლება და-  
საშვებად მიაჩნდა, მაგრამ მისი შინაგანი ადამიანური სამყარო დაუპი-  
რისპირდა ლოგიკურ დასკვნებს, ცხოვრებამ თავისი გაიტანა და მთელი

მისი შემდგომი ყოფა გახანგრძლივებულ აგონიას დაამსგავსა. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რა ღრმად ჩაწვდა პუშკინი ადამიანის ბუნებას.

ავტორმა პოემის მთავარი გმირის ალექოს სახის შექმნისას სტატიკურ ხერხს მიმართა და იგი მხოლოდ აწმყოში წარმოგვიდგინა. ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით პერსონაჟის წარსულზე, ხოლო მისი მომავალი მინიმუმ ნებულიც არ არის. ამ გზით ავტორმა მთელი ჩვენი ყურადღება მთავარ კითხვაზე გაამახვილა — შეძლებს კი ცივილიზირებული ალექო მიეღოს ველური ტომის „თავისუფალი“ ცხოვრება, რომელიც მათ მკაცრ კანონებს ეყრდნობა? პუშკინი უდავოდ განუდგებოდა ქვეშაირებებს, რომ დასმულ კითხვაზე პოზიტიური პასუხი გაეცა. მას არ ღალატობს პოეტური ინტუიცია, ვერც იმან შეიყვანა შეცდომაში, რომ ალექო ქალაქს გამოექცა, აუჯანყდა და უკუაგდო განცხრომით ცხოვრება. უფრო მეტიც, რაკი „იგი კანონს ემალება“, სავარაუდოა, რომ მან აშკარა პროტესტიც კი გამოუცხადა გაბატონებულ ძალმომრეობას. მაგრამ ყოველივე ეს, პუშკინის სამართლიანი მტკიცებით, არ ათავისუფლებს ალექოს იმ მოვალეობისა და ჩვევებისაგან, ზნეობრივი და მორალური საწყისებისაგან, რომელიც ცოდნასთან ერთად შეისისხლხორცა ცივილიზირებულ სამყაროში. მართალია, პუშკინმა ჯერ კიდევ თვითონ არ იცის, თუ რა გზას უნდა დაადგეს მისი გმირი თავისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ მწერლისათვის საესებით ცხადია, რომ საკუთარ არისტოკრატიულ წრიდან გაქცევა სხვა უცხო სოციალურ სამყაროში ეწინააღმდეგება, უპირველეს ყოვლისა, თვით ადამიანის ბუნებას, ამდენადვე ასეთი ნაბიჯი ვერ გამოდგება პრობლემის გადასაწყვეტად. მით უმეტეს, რომ ალექოს საკუთარ წრის წინააღმდეგ გალაშქრებას ეპიზოდური, ბუნტარული ხასიათი უნდა ჰქონოდა.

ძირითად იდეის გახსნას ემორჩილება „ბოშების“ სხვა პერსონაჟებიც, ისე როგორც პოემის მთელი არქიტექტონიკა. მოხუცი ბოშა, ზემფირას მამა, შემთხვევით როდი უყვება ალექოს მათ წრეში გავრცელებულ თქმულებას მეფის დევნილზე, რომელმაც თავი დუნაის ნაპირებზე ზომიბაბარე ბოშების ბანაკს შეაფარა. რადგანაც ლტოლვილი სრულად ფლობდა ლექსის ტექნიკას და საუცხოოდ მღეროდა — ყველას თავი შეაყვარა, ყველა პატივს სცემდა ამ ხანშიშესული კეთილი კაცის ბუნებასა და სათნო ხასიათს. თვითონაც არ იყო დამხდურებით უკმაყოფილო, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაივიწყა მშობლიური მხარე, იქ დატოვებული სიმდიდრე და განცხრომითი ყოფა. დასასრულ, ბევრის მთქმელია ამ მოხუცის ანდერძი — სიკვდილის შემდეგ მისი ცხედარის სამშობლოში გადასვენების თაობაზე.

ზემფირას მამისათვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ ალექოში ადრე თუ გვიან მაინც გაიღვიძებდა სურვილი დაუფლებოდა იმას, რაც მას არ ეკუთვნოდა, დაეთრგუნა და საკუთარ მესათვის დაემორჩილებინა

სხვისი თავისუფლება. ალექო სულის მღრღნელი ეჭვისა და დაკარგული პრივილეგიების გამო არა მარტო სიზმარში ბორგავდა; რაც დრო გადიოდა, მით უფრო ხშირად ახსენდებოდა მას წარსული. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ზემფირას არ უყვარდა, შეიცვალა მისი წარმოდგენა ბოშების თავისუფალ ცხოვრებაზე. სწორედ აქ იჩინა თავი მისმა ეგოიზმმა, მას ეუფლება სხვისი თავისუფლების უზურპაციის სურვილი, მასში იმარჯვებს შურისძიების ბოროტი გრძნობა, რაც ორი ადამიანის მკვლევლობით მთავრდება...

რაოდენ ძლიერად უღერს ზემფირას მამის განაჩენი, რომელიც მან ერთადერთი ქალიშვილის მკვლელს გამოუტანა. ეს ხომ მომავლინებელ ლახვარსა სცემს თვით ამაყი, თავისთავში დაჯერებული ზეკაცის ბაირონისეულ გაგებას. კვანძის ასეთი გახსნით პუშკინმა საბოლოოდ დაარწმუნა მკითხველი, რომ ადამიანი უძლურია გაეჭყეს საკუთარ თავს, ისე როგორც ერთი ხელის მოსმით განთავისუფლდეს იმ ჩვევებისა და ადათ-წესებისაგან, რომელიც შეისისხლხორცა და წლების მანძილზე მისი მოქმედების ნორმად რომ იქცა. აი პოემის ეს ადგილიც:

დაგვტოვე, წადი, ამაყო კაცო  
არ აქვს კანონი ჩვენს ველურ თესლსა,  
ჯალათის წესი ღმერთმა გვარიდა.  
არ გვინდა სისხლი, ტანჯვა და კენესა  
და მკვლელთან ყოფნა არა, არ გვინდა.  
ველური ყოფა ვერ გეუფლება,  
მხოლოდ შენთვის გსურს თავისუფლება.  
შენ ვერ გაიგებ ჩვენს გულის წადილს,  
შენთან ცხოვრებას ჩვენ ველარ ვბედავთ.  
შენ ხარ გულადი და ავი... წადი,  
გაგეშორდი, იყოს მშვიდობა შენდა.

(2, 69, თარგმ. მ. პატარძისა)

ავტორის იდეური ჩანაფიქრის ხორცშესხმას, მის ცხოვრებისეულ გააზრებას აძლიერებს აგრეთვე პოემაში გამოყენებული ფოლკლორული მასალა. პოეტმა „ბოშებში“ წარმოდგენილი ხალხური სიმღერები და თქმულებები მთლიანად დაუმორჩილა დასახულ მიზანს, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ნაწარმოების რეალისტური მიმართულება და თხრობას დამაჯერებლობა შემატა. საინტერესოდ არის გადაჭრილი აგრეთვე კომპოზიციის საკითხიც, თვითონ პუშკინის აღიარებით, მან „ბოშებში“ პირველად მიმართა დრამატულ ფორმას. მართლაც, შესაშური სრულყოფითაა გადმოცემული მოქმედ პირთა დიალოგი, პოეტმა ბრწყინვალედ გაართვა თავი მეტყველების პერსონიფიციკრებას, მდიდარი და მრავალფეროვანია პოემის ენა. პოემის მთელი მხატვრული სტრუქტურა სავსებით შეესაბამება მოვლენების რომანტიკულ აღქმიდან რეალისტურ გააზრებაზე გადასვლას.

ჩრდილოეთში, მშობლიურ მიხაილოვსკოეში. გადასახლებული პუშკინი მოწყვეტილი იყო თანამოაზროვნეთა წრეს. პირველ ხანებში პოეტი მეტად განიცდიდა მეგობრებთან იძულებით დაშორებას და ლიტერატურულ ცხოვრებასთან ჩამოშორებას. უნდა გქონოდა რკინისებური ნებისყოფა, რომ გეცხოვრა იმდროინდელ გარესამყაროს მოწყვეტილ სოფელში და არ დაგეკარგა წონასწორობა. პუშკინმა მართლაც გამოავლინა ხასიათის იშვიათი სიმტკიცე, იგი არამცთუ მიეცა პესიმისს, საოცარი უნერგიით გააგრძელა შემოქმედებითი ცხოვრება. მიხაილოვსკოეში გატარებულ ორ წელს ნაყოფიერების თვალსაზრისით ვერ შეედრება პუშკინის ცხოვრების ვერც ერთი წინა პერიოდი, დიდია მისი მნიშვნელობა შემოქმედებითს ზრდა-ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც. მიხაილოვსკოეში პუშკინმა დაამთავრა ოდესაში დაწყებული პოემა „ბოშები“, აქვე დაამთავრა „ევგენი ონეგინის“ მე-3 თავი, მთლიანად დაწერა ამ რომანისათვის მეტად მნიშვნელოვანი მე-4 თავი; ჩრდილოეთში გადასახლების დროს შექმნა მსოფლიო დრამატურგიის ისტორიაში ტრაგედიის პირველი რეალისტური ნიმუში „ბორის გოდუნოვი“, აქვე დაიწერა „გრაფი ნულინი“, „სცენა ფაუსტიდან“, დაბოლოს 90-ზე მეტი ლექსი და ჩანახატი, მათ შორის ისეთი შედეგები, როგორცაა „ყურანისადმი მიძახვა“. „წიგნის გამყიდველის საუბარი პოეტთან“, „ანდრე შენიე“, „19 ოქტომბერი“ და მრავალი სხვა. საინტერესოა აგრეთვე ამ პერიოდში შექმნილი პუშკინის ლიტერატურული ნაწარმოებების უანრთა მრავალფეროვნება. მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებად მაინც პუშკინის შემოქმედებაში კრიტიკულ რეალიზმის საბოლოო გამარჯვება ითვლება, რაც მისი ხალასი ნიჭის უდავო სიმწიფეზე მეტყველებს. პოეტის ასეთ დიდ შემოქმედებითს წარმატებას სამართლიანად გლახთა მასებთან მჭიდრო ურთიერთობას უკავშირებენ.

ცნობილია, რომ პუშკინი გლახის ტანსაცმელში გადაცმული ბაზრობის ხშირი სტუმარი იყო. აქ მას საშუალება ეძლეოდა ახლო კონტაქტი დაემყარებინა სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსულ გლახებთან, მოესმინა და ჩაეწერა მათი სიმღერები, უფრო ღრმად ჩაწვდომოდა ხალხურ სასაუბრო ენის ბუნებას. ჩრდილოეთში გადასახლების დროს პუშკინის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა, როგორც აღვნიშნეთ, აგრეთვე ძიძამ არიან როდიონოვნამ. იგი იყო მისი ერთგული მსახური და მომვლელი, ამავე დროს, ზღაპრების ოსტატური მთქმელი... ზამთრის გრძელ ღამეებს რომ ამოკლებდა. პუშკინმა სპეციალური რვეული დაუთმო ძიძის მიერ მოყოლილ ბილინებს, ზღაპრებს, სიმღერებს, თქმულებებს... პოეტი გულმოდგინედ იწერდა მათ და ვერ მაღავდა თავის აღფრთოვანებას ხალხური ლიტერატურული ნიმუშების დრმა აზრისა და პოეტური ფორმის სრულყოფის გამო. რვეულში ჩაწერილ ნიმუშების ცალკე წიგნად გამოცემასაც კი აპირებდა. დან ეს იმიტომ, რომ ბავშვობაში მოსმენილი ზღაპრები და ლეგენდები პოეტს ახლა უკვე



სულ სხვა სამყაროს უშლიდნენ, სხვა კუთხით ხედავდა იგი იქ ჩაქსოვილ დაუოკებელ ლტოლვას თავისუფლებისაკენ, გმირულ შემართებას თუ უსაზღვრო სიმამაცეს, ამოუწურავ ოპტიმიზმს თუ მსუბუქ იუმორს, მწარე სატირას თუ გაბედულ მხილებას... ერთი სიტყვით, მგოსანი მთელი გატაცებით ეუფლებოდა ხალხის წიაღში გაფანტულ სიბრძნეს. პოეტი არა მარტო ისმენდა და იწერდა მშობლიური ხალხის საუნჯის უჭკნობ მარგალიტებს, იგი უბადლო ოსტატობით ახერხებდა მათ ლიტერატურულ დამუშავებას და თავის პოეტურ ნაწარმოებებში შეჰქონდა. ამიერიდან პუშკინის შემოქმედება არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმითაც დაუახლოვდა იმ უშრეტ წყაროს, რომელიც ყველა ეპოქის დიდი მგოსნის შემოქმედებითს ფანტაზიას ასაზრდოებდა.

რადგანაც პოეტის ცხოვრებაში ძიძამ საპატიო ადგილი დაიკავა, იგი არ მალავდა მისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. ჩვენამდე გარდა ეპისტოლური მემკვიდრეობისა ძიძის სახით შთაგონებულმა პუშკინის არა ერთმა სტრიქონმა მოაღწია, მათ შორის ლექსმა, რომელიც გამოირჩევა იშვიათი ლირიკული სიფაქიზითა და გრძნობის უშუალობით, ნათელი ადამიანური სითბოთი და მაღალი პოეტური სრულყოფით. ვინაც ერთხელ მაინც წაუკითხავს ეს ლექსი, მას არასდროს დაავიწყდება ოღნავ მელანქოლიური, მაგრამ საოცრად პოეტური სტრიქონები:

ქარი ცაზე აფრენს ღრებელს  
და თოვლის ბუქს გრაგნის ბარში.  
ხან მხეცივით დაიღმევლებს.  
ხან კი ტირის, როგორც ბავშვი.  
.....  
საცოდავი ჩემ სიყრმის  
მეგობარო საფიცარო,  
მომე თასი, იქნებ ღვინით,  
გულის ჭაერი გავიჭარო!  
თან მიმღერე, ჩიტი-გვრიტი  
ცხრა მთის იქით რას ჩიოდა,  
ან გოგონა მარგალიტი  
წყალზე რისთვის დადიოდა!

(1, 71, თარგმ. ვ. წულუკიძის)

მიხაილოვსკოეში დაწერილ პუშკინის ლექსებში ახალი სიმძლავრით იფეთქა მემამბოხურმა განწყობილებამ. პოეტთან სტუმრად ჩამოვიდა სიყრმის მეგობარი, შემდეგში ცნობილი დეკაბრისტი და საზოგადო მოღვაწე ი. ი. პუშჩინი, რომელსაც გაუნდვია პოეტისათვის ფარული საზოგადოების არსებობა. არ გამორიცხავენ, რომ პუშჩინს უნდა ეთქვა პუშკინისათვის აჯანყების დრო და ადგილიც. მიღებული ინფორმაციის შედეგად, მკვლევართა აზრით, პოეტმა მთელი რიგი პოლიტიკური ლექსები დაწერა.

ჩრდილოეთში გადასახლების პერიოდში პუშკინი ინტენსიურად მუ-

შაობდა აგრეთვე ლიტერატურის თეორიის საკითხებზე. პეტერბურგიდან ძმა ამარაგებდა ახალი წიგნებითა და ჟურნალებით. მეგობრებთან მიწერილ წერილებში პოეტი განმარტავდა თავის შეხედულებას ლიტერატურისა და ხელოვნების, ისტორიისა და ფილოსოფიის, პედაგოგიკისა და დიდაქტიკის საკითხებზე. მიმოწერიდან ირკვევა აგრეთვე, რომ ის მშვენიერად იყო ინფორმირებული, თუ რა ხდებოდა რუსეთისა და ევროპის ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში, რომელი მწვავე პრობლემა მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადაჭრას.

იმ პრობლემებს შორის, რომელსაც პუშკინი მიხაილოვსკოეში ხალასი მეცნიერის მონღომებით სწავლობდა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მისი ცხოველი ინტერესი მშობლიური ქვეყნის წარსულისადმი, განსაკუთრებით კი საზოგადოების მამოძრავებელ იმპულსებისადმი, რომელიც გლახთა აჯანყებას იწვევდა. ამ შემთხვევაშიც დიდი მწერალი ეპოქის მოთხოვნებს უპასუხებდა. ბ. გ. ბელინსკის სამართლიანი მტკიცებით, XIX ს. პირველი მესამედის მოღვაწეთა ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანს საკუთარი ხალხის ისტორიით დაინტერესება წარმოადგენდა. ამას კი დიდი კრიტიკოსი ბუნებრივად მიიჩნევდა, რადგანაც ყველა პროგრესულად მოაზროვნე მოქალაქე, იყო რა აწმყოთი უკმაყოფილო, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის საწინდარს წარსულში ეძებდა. ისტორიულ წარსულში პუშკინი ეძებდა აგრეთვე ქვეყნის წინაშე მდგომი აქტუალური სოციალური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალურ გზებსა და საშუალებებს. ცნობილია, რომ პოეტის ეს ძიება ყოველთვის სასურველი შედეგით როდი მთავრდებოდა. მაგრამ აქ მთავარია დიდი პუშკინისტი დაუოკებელი ზრუნვა საზოგადოების წევრებს შორის თავისუფალი, ნამდვილად სამართლიანი ურთიერთობის დასამყარებლად, რომელმაც ძირითადად განაპირობა პუშკინის მთელი შემოქმედების იდეური მიმართულება.

ხალხის ყოფის, ქვეყნის ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის სიღრმისეული გაგება რელიეფურად აისახა „ევგენი ონეგინს“ მიხაილოვსკოეში შექმნილ სოფლის ცხოვრების ამსახველ თავებში და აქვე დაწერილ „ბორის გოდუნოვში“. ამ ორ ნაწარმოებზე პუშკინი პარალელურად მუშაობდა.

ტრაგედიის „ბორის გოდუნოვის“ შესაქმნელად პოეტი დიდხანს ემზადებოდა, მან ადრევე სცადა და შემდეგ თანმიმდევრულად ეუფლებოდა მხატვრულ აზროვნების დრამატულ ფორმას. რეალისტური პიესის შექმნა რუსეთის პირობებში რთული საქმე იყო, რადგანაც თეატრების რეპერტუარს კლასიციკლური პიესები შეადგენდნენ. პუშკინს არსებული მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა, ამიტომაც ფრიად საინტერესოა პოეტის იმდროინდელი თეორიული ხასიათის წერილები და გამონათქვამები, საიდანაც აშკარად ჩანს მისი უკმაყოფილება. ამ შემთხვევაშიც ნოვატორი მწერალი მოითხოვდა სცენის საფუძვლიან რეფორმას, რაც

უნდა მომხდარიყო კლასიციკლური და რომანტიკული ტრადიციების უკუგდებით. ამავე დროს, პუშკინს კარგად ესმოდა, რომ დასახული გრანდიოზული ამოცანის განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ შესაფერისი დრამატული ტილოების შექმნით, რომელიც უზრუნველყოფდა თეატრების რეპერტუარს.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ პუშკინმა დრამატული ფორმის ძიებისას თავის უახლოეს წინამორბედად შექსპირი დაასახელა. მისი ეპოქის ევროპის თეატრების სცენებზე გამეფებული იყო მელოდრამატიზმი, რომელიც უგულვებლყოფდა შექსპირის უკვდავ ტრაგედიებს. ინგლისელმა სცენის რეფორმატორმა პუშკინზე დადებითი გავლენა მოახდინა. განსაკუთრებით ეს იგრძნობა „ბორის გოდუნოვის“ პერსონაჟებისა და კოლოზიის უჩვეულო დრამატიზებაში, რომ არაფერი ვთქვათ თვით დაძაბულ სიუჟეტის განვითარებაზე. პუშკინმა „ბორის გოდუნოვი“ განავითარა აგრეთვე შექსპირისეული მიდგომა წარსულისადმი, ისე როგორც მისი აქტიური დამოკიდებულება ერის წინაშე მდგომი მწვავე პრობლემებისადმი.

1824 წლის ნოემბრიდან პუშკინმა „ბორის გოდუნოვზე“ თითქმის ერთი წელი იმუშავა. ეს პერიოდი არა მარტო პოეტის ცხოვრებაში იყო დაძაბული. რუსეთის მოწინავე საზოგადოება მოუთმენლად ელოდა „დიად გარდაქმნებს“, რომელიც 1825 წლის 14 დეკემბრის მოვლენებით დაგვირგვინდა. მართალია, სენატის მოედანზე დეკაბრისტების გამოსვლას, მათი მოძრაობის ცალმხრივობის გამო, ხალხთა ცხოვრების რაიმე რეალური გაუმჯობესება არ მოჰყოლია, მაგრამ ამიერიდან თვით იმპერატორიც კი კარგავს ძველებურ სიმშვიდეს და ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ყოველგვარ უღირს საშუალებებს მიმართავს. ეს მაშინ, როდესაც პროგრესულად მოაზროვნე თითოეულმა მოღვაწემ მთელი თავისი შესაძლებლობა მშობლიური ხალხის განთავისუფლების ისტორიულ საქმეს შეაღია. ცხადია, ყოველივე აღნიშნულს არ შეიძლებოდა თავისი პოზიტიური გამოძახილი არ ეპოვა დიდი მწერლის შემოქმედებაში, მით უმეტეს, რომ პუშკინმა საკუთარი მეამბოხური ქმნილებებით ბევრად შეუწყო ხელი ეროვნულ თვითშეგნების ზრდას. პოეტის შემოქმედებაში დეკაბრისტული იდეების პირველ გამოძახილს პიესა „ბორის გოდუნოვი“ ეპოულობთ, რომელიც ისტორიული წარსულის აწმყოს პოზიციებიდან შეფასების უბადლო მაგალითია.

„ბორის გოდუნოვი“ ავტორმა პირველად მხატვრულ აზროვნების ისტორიაში ხალხი სოციალური ძვრების ძირითად ძალად წარმოგვიდგინა. პიესის მასობრივი სცენები, რომელიც განსაკუთრებით არ მოსწონდა ნიკოლოზ პირველს, დრამის საუკეთესო პასაჟებია. სწორედ ამ კოლექტიურ სცენებში ვლინდება დრამატურგის რეალისტური დამოკიდებულება ისტორიის მამოძრავებელ ძალისადმი. „ბორის გოდუნოვის“ ძირითადი კოლიზიის სიმძაფრე, ისე როგორც ავტორის იდეური ჩანა-

ფიქრის აქტუალური ხასიათი ხალხისა და ტახტის მფლობელთა ურთიერთობის მწვავე და რთული პრობლემებითაა განპირობებული. იგივე შეიძლება ითქვას თვით პერსონაჟთა მამოძრავებელ სოციალურ იმპულსებზე. პიესაში პუშკინის ნოვატორობა იმაშია ცხადგამოვლინდა, რომ დრამატურგმა ისტორიული ფაქტები მთლიანად დრამის დედაზრს დაუმორჩილა. თურმე შესაძლებელი ყოფილა: წარსულის შესახებ არასწორი მონაცემების გაზიარების შემთხვევაშიც (მხედველობაში გვაქვს კარამზინის მცდარი ვერსია ბორისის ბრძანებით ტახტის მემკვიდრე დიმიტრის მოკვლის თაობაზე) შეიქმნას დიდი ძალის რეალისტური ტილო, რომელმაც თავისი ნოვატორობით დასაბამი მისცა მხატვრული აზროვნების ამ ფორმის შემდგომ განვითარებას და აგრეთვე ხელი შეუწყო თეატრალური ცხოვრების რეფორმასაც.

ისტორიული წარსულის გააზრების დროს „ბორის გოდუნოვის“ ავტორი, როგორც ამას თვითონ მოითხოვდა სხვებისაგან, ცდილობს „დარჩეს ბუნების პირმშოდ“ და „აწ გარდასულ ეამთა“ გაცოცხლებისას „სრულ ქეშმარიტებას“ მიაღწიოს. მხატვრისათვის ამ ურთულესი ამოცანის გადაჭრას პუშკინი მოქმედი პერსონაჟების ეპოქისათვის დამახასიათებელი სოციალური და პიროვნული შტრიხების შერწყმის გზით აღწევს. მისი გმირები სუნთქავენ, მოქმედებენ და მოძრაობენ რუსეთის ისტორიის მეტად ტრაგიკული წარსულის მოთხოვნების შესაბამისად, ყოველ მათ ნაბიჯს, მიზანსა და გადაწყვეტილებას ისტორიული აუცილებლობის ბეჭედი აზის. ამავე დროს, პუშკინს ერთი წუთითაც არ ავიწყდება, რომ მხატვარი მხოლოდ მაშინ აღწევს სასურველ შედეგს, როდესაც პერსონაჟი სოციალურთან ერთად ინდივიდუალური ნიშნების მატარებელია, სწორედ ამ ორი საწყისის მთლიანობას შეუძლია უზრუნველყოს გმირთა სიცოცხლე საუკუნეების მანძილზე, რასაც მართლაც რომ აღწევენ „ბორის გოდუნოვის“ პერსონაჟები.

პუშკინმა „ბორის გოდუნოვის“ შექმნისას უკუაგდო კლასიციზმის სქოლასტიკური, ხოლო რომანტიზმის პირობითი შეზღუდვები და ტრაგედიის არქიტექტონიკაში გაბედულად შეიტანა ცხოვრების რეალისტურად ამსახველი სცენები; პიესაში სინამდვილე წარმოდგენილია მისთვის დამახასიათებელი სირთულითა და წინააღმდეგობებით, ნაირფეროვნებითა და სიკრელით. დრამატურგის მიერ „ბორის გოდუნოვი“ შექმნილი ცხოვრების სურათების რეალისტურ ჟღერადობას აძლიერებს აგრეთვე იმ დროს ლიტერატურაში გაბატონებული „სამი პრინციპის ერთიანობის“ უკუღდება. ტრაგედიაში აღწერილი სინამდვილე გაშლილია ისტორიის ფართო ფონზე, პერსონაჟების მოქმედების არენაა როგორც რუსეთი, ასევე პოლონეთი და ბელორუსია-უკრაინა. გადალახულია მოქმედ პერსონაჟთა რიცხოვრებად შეზღუდვის ბარიერიც. „ბორის გოდუნოვი“ გამოყვანილია სამოცამდე გმირი საზოგადოების ყველა სოციალურ ფენიდან. პუშკინმა უარყო აგრეთვე სატრფიალო ფაბულა, როგორც ნა-

წარმოების არქიტექტონიკის ძირითადი საშუალება. მარინა მნიშეკისა და გრიგორი ოტრეპიევის სატრფიალო ეპიზოდი, თვითონ პუშკინის აღიარებით, მას მნიშეკის ხასიათის სირთულის გამოსაკვეთად დასკირდა. ამ ეპიზოდში გარკვეულად აირეკლა აგრეთვე ცრუ დიმიტრის ბუნების წინააღმდეგობრიობა და ამით პიესის სატრფიალო პასაჟის დანიშნულებაც ამოიწურა.

პუშკინს კარგად ესმოდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რეალისტურ ნაწარმოების გმირთა მოქმედების თუ მონოლოგის ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას, ისე როგორც მათი მსჯელობის ლოგიკურობას. აღნიშნულის მატერიალიზაციისათვის საჭირო იყო არა მხოლოდ ადამიანის შინაგანი სამყაროს სიღრმისეული ცოდნა; ამავე დროს, მწერალს უნდა გაეშიფრა ის სოციალურ-პოლიტიკური ატმოსფერო. რომელშიც მოქმედებენ პერსონაჟები და რომელიც ბევრად განსაზღვრავს მათ მოქმედების მიმართულებასა და ხასიათს. ამ თვალსაზრისით, დღესაც განცვიფრებას იწვევს „ბორის გოდუნოვი“ აღწერილი რუსეთის ისტორიის მეტად ტრაგიკული ეპოქის პოლიტიკური ვითარება. პუშკინი ბრწყინვალედ ერკვეოდა აგრეთვე პოლონეთის მეფისა და შლიახტების მამოძრავებელ მიზნების სოციალურ მიზეზებში. ყოველივე ამასთან ტრაგედიაში ექვემიუტანლად მოტივირებული ცრუ დიმიტრის ავანტიურისტული გადაწყვეტილების, ეპოქით შემზადებული, წინაპირობა, სხვანიარად დამაჯერებლობას მოკლებული იქნებოდა უბრალო ბერი გრიგორი ოტრეპიევის ფანტასტიკური წარმატებები მოსკოვის ტახტის ხელში ჩაგდებისას.

რომ დავრწმუნდეთ „ბორის გოდუნოვის“ ძირითადი კოლიზიის სინძაფრეში, საკმარისია ოდნავ დავეკვირდეთ თავადების ვოროტინსკისა და შუისკის დიალოგს. პიესაც ხომ ამ დიალოგით იწყება. შუისკი და ვოროტინსკი უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ ტახტის მემკვიდრედ ბორის გოდუნოვი უნდა გახდეს, რომელიც ჩამომავლობით ბევრად ჩამოუვარდება მათ. ამავე დროს, ბორისი, შუისკის მტკიცებით, დიმიტრის მკვლელია. აქედან ნათელი ხდება ის მთავარი წინააღმდეგობა, რომელიც წითელ ზოლად გაჰყვება ბორის გოდუნოვის მეფობის ხანას. აღსანიშნავია, რომ მომავალი დაძაბულობის ფორმალური საფუძველი უკვე წარმოდგენილია, ხოლო გოდუნოვი ჯერ კიდევ არ არის მოსკოვის ტახტის მემკვიდრე. იგი გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებებით არ იძლევა ასეთ შემთხვევისათვის საჭირო თანხმობას. ამ დიალოგიდან ისიც ნათელი ხდება, რომ თუ ვოროტინსკის განაწყენებას ძირითადად წოდებრივი ინტერესების დაცვა განსაზღვრავს, შუისკი წარმოგვიდგება, როგორც გაიძვერა, შორს გამიზნული ვერაჟი ზრახვების პატრონი, რომელიც ავანტიურისტული მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას გამოიყენებს. სიბინძურესა და მუხანათობაში მას ვერაჟინ შეედრება. მისთვის ერთნაირად მისაღებია აშკარა შანტაჟი, ქორების გავრცელება,

დაბეზლება, თვალთმაქცობა, ცილისწამება, ორპირობა და კიდევ ვინ მოთვლის რა... გენიალურ მხატვარს უზადოდ აქვს აღწერილი შუისკის პეტამორფოზი, როდესაც გაიგო, რომ გოდუნოვი ტახტზე ასვლაზე და-თანხმდაო.

პიესის ყველა მონაკვეთში იგრძნობა ხალხის განზოგადებული სახის სუნთქვა, რიგითი ადამიანის ფიქრები და ტკივილები. იმ სცენებშიც კი, სადაც ლაპარაკია ბოიართა ინტრიგებზე, ტახტისმფლობელთა ზრახვებზე, მკითხველი გრძნობს მასის მაჯისცემას, მის რეალურ არსებობას, რომლის ინტერესებისადმი ანგარიშგაუწვევლობა უთუოდ ტრაგედიის შომასწავებელია.

განა შეიძლება დაგავიწყდეს ნოვოდევიჩის მონასტრის მინდორზე თავმოყრილი ხალხის განწყობილების და მოქმედების შთაბეჭდავი სურათები. პუშკინმა ძუნწი რამდენიმე რეპლიკით და თითქოს უმისამართოდ ნასროლი ფრაზებით გრანდიოზული სურათი შექმნა. განუმეორებელი ხელოვნებითაა გადმოცემული უბრალო ხალხის იუმორი და დაუშრეტელი ოპტიმიზმი. რამდენის მთქმელია გლეხი ქალის მოქმედება, როდესაც იგი ხელში აყვანილ ბავშვს განზრახ ატირებს: „...რამ გაგაჩუმა?!. როს ტირილი საჭირო არის, ხმასაც არ იღებ!.. აგერ ბუა!.. მე შენ გაჩვენებ!.. აბა, იტირე, ნებიერო!.. ძლივს არ იტირა!..“<sup>1</sup>. ანდა სატირის რა მწველი სუსხია ჩაქსოვილი ორი გლეხის ირონიულ დიალოგში: „მაშ მოდი, ძმაო, ჩვენც ვიტყროთ... ძალიან მინდა, მაგრამ რა ვქნა?!. არ შემიძლია... მეც აგრე არ ვარ?!. ხახვი არა გაქვს? — თვალზე წავისვათ...“ დრამატურგმა ასე სხარტად, მაგრამ ერთობ გამოკვეთილად დაგვანახა ხალხის ნამდვილი დამოკიდებულება ბორისის მიერ გათამაშებულ ფარსის მიმართ.

მწერალმა შესანიშნავად იცოდა თუ რა სიძნელებთან ექნებოდა საქმე თვითმარქვია მეფის რეალისტური სახის შექმნისას. ბერის ავანტიურისტულ გადაწყვეტილებას, ისე როგორც მის მოქმედებას დასახული მიზნის განსახორციელებლად ცხოვრებისეული დამაჯერებლობა უნდა ჰქონოდა. აქ ბევრი რამ იყო გასათვალისწინებელი. უპირველეს ყოვლისა, პუშკინმა ცრუ დიმიტრის დინამიური სახე შექმნა. მან ბერი გრიგორი საზრიან, განათლებულ კაცად წარმოგვიდგინა, რომელიც ვერ ეგუება მონასტრის კარჩაკეტილ ცხოვრებას და იქიდან გაქცევა უნდა. კიდევაც სცადა გაპარვა, შემოიარა წმინდა ადგილები, მაგრამ მისმა ხიფათის მაძიებელმა სულმა სიმშვიდე ვერა და ვერ პოვა. ჩუდოვოს მონასტერში ყოფნისას გრიგორი ომის დაწყებაზე ოცნებობს, რათა მემა-

<sup>1</sup> ა. ს. პუშკინი. თბ., „ფედერაცია“, 1938, გვ. 107. თარგმ. კ. ჯაფარიძისა. შებღეგშიც „ბორის გოდუნოვიდან“ მოტანილი ციტატების თარგმანი კ. ჯაფარიძის ეკუთვნის, წყაროც იგივე წიგნია, ამიტომ ციტატის ბოლოს მხოლოდ გვერდებს მიუთითებთ.

ტიანე პიმენის მსგავსად იომოს, გაითქვას სახელი და მოიპოვოს განდი-  
ლება, ხოლო შემდეგ განცხრომით იცხოვროს. გრიგორის პროტესტან-  
ტულ განწყობილებას ამჯერადაც ვერ დააცხრობს ვერც ბერის შავი სა-  
წოელი და ვერც მემატიანე პიმენის რჩევა-დარიგება. ყოველივე ეს  
პიესაში ისე დამაჯერებლადაა გადმოცემული, რომ მკითხველი ოტრეპი-  
ევისაგან მართლაც მოელის რალაც უჩვეულოს, თუნდაც ავანტიურის-  
ტულს, მაგრამ გაბედულ ნაბიჯს. აი რატომაა, რომ ჩვენ არ გვიკვირს  
ოტრეპიევის გადაწყვეტილება თავის თავი ცრუ დიმიტრად გამოაცხა-  
დოს. ავტორმა მკითხველი შეამზადა სხვა შემთხვევისათვისაც, რის გამო  
იგი გაგებით ეკიდება გრიგორი ოტრეპიევის წარმატებას პოლონეთში.  
ტრაგედიაში რუსეთსა და პოლონეთს შორის შექმნილი დაძაბული ვი-  
თარება ბრძენი პოლიტიკოსის მახვილი თვალითაა დანახული. ერთი  
მხრივ, პოლონეთი დიდი ხანია ეძებდა საბაბს დაპყრობითი ომი დაეწყო  
რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, თვითონ რუსეთში მომწიფ-  
და ბორის გოდუნოვის საწინააღმდეგო განწყობილება, რადგანაც მისი  
ლიბერალური დაპირებები. რომლის განხორციელება მას არ შეეძლო,  
დაპირებებად დარჩა. ორ სახელმწიფოს შორის შექმნილი დაძაბული პო-  
ლიტიკური ვითარებით ისარგებლა ოტრეპიევმა და კიდევაც მიაღწია  
მიზანს.

თვითონ ოტრეპიევმა, როგორც ამას პუშკინი გვისურათებს, კარგად  
იცოდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარე. რომელსაც სწორედ შექმნილი  
პოლიტიკური ვითარება განაპირობებდა. ამის დასტურად საკმარისია  
შადრევანთან მარინა მნიშეკისა და ცრუ დიმიტრის დიალოგი გავიხსე-  
ნოთ. გრიგორ ოტრეპიევში თუმცა წამიერად, მაგრამ მაინც ილვიძებს  
სიყვარულით გამოწვეული ადამიანური სისუსტე და იგი გამოუტყდება  
მნიშეკს თავის ნამდვილ ვინაობაში, რათა დარწმუნდეს ვინ უყვარს მა-  
რინას. ანდა საერთოდ უყვარს კი პოლონელ თავადის ასულს იგი. რო-  
გორც ყმაწვილი, თუ მარინა მნიშეკი მასში მხოლოდ ტახტის მემკვიდრეს  
ხედავს. ცრუ დიმიტრი სწრაფად მოეგო გონს და პოლონელი თავადის  
ასულის ქალურ მუქარას, მისი საჯაროდ მხილების შესახებ, რკინისებუ-  
რი ლოგიკით უპასუხა, საიდანაც აშკარად ჩანს ოტრეპიევის გამჭრი-  
ახობა და შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ორიენტირების კარგი უნა-  
რი. აი, მისი პასუხიც:

ნუთუ გგონია შენ, მარინა, რომ შემაშინებ?  
დაგიჯერებენ შენ და არა რუსთ მეფის შვილსა?  
ნუთუ არ იცი, რომ არც მეფე და არც პანები  
ჩემი სიტყვების სიძარღვლზე არა ფიქრობენ —  
ვარ მე დიმიტრი, თუ სხვა ვინმე — მათთვის ერთია!..  
მე მათთვის მხოლოდ საბაბი ვარ განხეთქილების,  
დიახ, საბაბი ხალხთა შორის ომის დაწყების...  
სხვა არაფერი... ამის მეტი არა უნდათ რა!..  
და დამიჯერე, რომ შენ უცბად ჩაგაჩუმებენ!.. (122)

ოტრეპიევს არ აკლია გაბედულება, მან კარგად იცის, თუ რაზე მიდის; შაგრაშ მზად არის ყველაფერი აიტანოს დასახული მიზნის მიხედვით. პუშკინი ცრუ დიმიტრის სახის შექმნისას მიმართავს მონაცვლეობის ხერხს, რითაც იზრდება უშუალოდ შთაბეჭდილება. პიესაში აშკარა ავანტიურისტ ცრუ დიმიტრის პერიოდულად ცვლის სიყვარულის მაღალი გრძობით შეპყრობილი რაინდი, გრიგორისათვის უცხო არ არის სხვისი გმირობის ჯეროვნად დაფასება, ანდა ადამიანური განცდა, რომელიც განსაკუთრებით სასიკვდილოდ დაჭრილ ცხენთან გამოთხოვების ეპიზოდში წარმოჩინდა. გრიგორი აღფრთოვანებულია უმცროსი კურბსკის ამალღებულ სიყვარულით სამშობლოსადმი. ბერის ასკეტურ ცხოვრებასა და ცეცხლთან თამაშს ვერ ჩაუქვრია მასში ბუნების სილამაზის აღქმის უნარი, მიწიერი ცხოვრების სიმშვენიერის ტრფიალი და სხვ.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად ტრაგედიაში ცრუ დიმიტრი წარმოგვიდგება როგორც ისტორიულად განპირობებული ავანტიურისტის სახე, რომელსაც თავისი რეალისტური დამაჯერებლობით იშვიათად თუ მოეძებნება ანალოგი.

როგორც დავინახეთ, გრიგორ ოტრეპიევის ტრაგედიას დასახული მიზნის ავანტიურისტობა განსაზღვრავს, მაშინ, როდესაც ბორის გოდუნოვის ტრაგედია მის მიერ უკვე ჩადენილი დანაშაულითაა განპირობებული, რომელიც აჩრდილივით აედევნება, ბოჰავს მის საქმიანობას და ღუპავს მას. პუშკინის სამართლიანი მტკიცებით, ჩადენილი ბოროტება, უპირველეს ყოვლისა, თვითონ დამნაშავეს არ ასვენებს და მისგან სათანადო ხარკის გაღებას მოითხოვს.

ბორის გოდუნოვზე ცალმხრივი და არაზუსტი ცნობების მიუხედავად პუშკინმა საოცარი ინტუიცია გამოავლინა და შექმნა მონარქის დამაჯერებელი რეალისტური სახე. მწერალი ბრწყინვალედ ერკვევა ეპოქის სოციალური და პოლიტიკური ძალების განლაგებაში, იცის მათი პოტენციალური შესაძლებლობა. ბორის გოდუნოვის მონარქისტული ბუნების გახსნასთან დაკავშირებით პუშკინი ხაზგასმით აღნიშნავს ხალხის ქმედით როლს, მისი სიტყვის გადამწყვეტ მნიშვნელობას. ამავე დროს, მას არ ავიწყდება პიროვნების დანიშნულება საზოგადოების განვითარების ისტორიაში. ამ შემთხვევაშიც პუშკინი ერთგული რჩება მის მიერვე წამოყენებული პრინციპისა—„წარსულის ჰეშმარტი გაშუქების“ შესახებ. პიესაში გოდუნოვი წარმოდგენილია მეფედ, რომელიც ქვეყნის მართვის დროს ეყრდნობოდა ივანე IV მაგალითს. თვითონ ბორისის პიროვნება, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულისა, დადებითია, ვერ ვიტყვით, რომ იგი არ ზრუნავდეს ქვეყნის კეთილდღეობაზე, გოდუნოვი, როგორც პოლიტიკოსი კარგად ერკვევა შექმნილ ვითარებაში და საკმაოდ შორს იხედება, მას აღიარებენ, როგორც საზრიან დიპლომატსა და სამხედრო



სტრატეგს. პუშკინის სამართლიანი შენიშვნით. ბორის გოდუნოვს გა-  
დამწყვეტ მომენტში არ ყოფნიდა ზასიათის სიმტკიცე, რათა ზორცო  
შეესხა სწორი გადაწყვეტილებისათვის. გოდუნოვმა იცის, რომ მას ბო-  
იარები დალატობენ. მაგრამ განსხვავებით ივანე მეოთხისაგან, აყოვნებს  
საჭირო ზომების მიღებას, ბოლო წუთებამდე გაურბის სისხლისმღვრელ  
რეპრესიებს... მონარქის ორქოფობით დაუყოვნებლივ სარგებლობენ  
მისი მტრები...

დასასრულ ბორის გოდუნოვი პიესაში ნაჩვენებია როგორც სანიმუშო  
მამა და მეუღლე. სიკვდილის წინ წარმოთქმულ სიტყვებში, რომელიც  
მან ტახტის მემკვიდრე შეიღს უთხრა, კარგად ჩანს გოდუნოვის სიბრძნე  
და გამოცდილება:

ყური დამიგდე: შენ მრჩევლად, პირველ ყოვლისა,  
უნდა დანიშნო საიმედო, დასრულებული,  
ქვეა დამჭდარი, საყვარელი ხალხისთვის კაცი;  
ბოიარებში — საპატიო შთამომავლობით,  
ან და — სახელით, მაგალითად, როგორც შუისკი...  
ჯარს კი სჭირდება გამოცდილი, კარგი ბელადი,  
და შენც დანიშნე ბასმანოვი — კარგი იქნება...  
სიმტკიცით ზიდე ბოიართა შენ, შვილო, დრტეინვი...  
ბავშვობიდანვე შენ იჯექი საბუკოში ჩემთან  
და იცი კარგად — რა სჭირდება სამეფოს მართვას,  
საქმის მსვლელობას შენ ნუ შეცვლი, რადგან იცოდვე,  
რომ ჩვეულება სული არის სახელმწიფოსი...  
იძულებული ვიყავ, შეილო, რომ აღმედგინა...  
სიკვდილით დასჯა, დევნა. განკიცხვა...  
შენ შეგიძლია ეს გააქუქო —  
დაგიმადლებენ, როგორც ბიძაშენს,  
როცა სამეფო მრისხანესაგან მან ჩაიბარა,  
გაივლის დრო და, — შეგიძლია, რომ ისე მაგრად  
სამეფო ტახტის დაიჭირო ლაგამი ხელში,  
ახლა მთუ შეგი, მხოლოდ ხელი კი არ გაუშვა.

(128)

გოდუნოვს მხედველობიდან არც ტახტის მემკვიდრის უცხოელ  
დიპლომატებთან ურთიერთობის საკითხი გამორჩენია: „იყავ მოწყალე,  
მისადგომი უცხოელთათვის, იმათ სამსახურს უნდობლობით ნუ მო-  
ეპყრობი“. რამდენი სიბრძნეა ჩაქსოვილი გოდუნოვის შემდეგ სიტყვებ-  
შიც:

იყავი ჩუმი: სიტყვა მეფის არ წარმოთქმის  
ტყულებურალოდ ან არც უნდა იკარგებოდეს:  
ოსე, ვით წმინდა ხმა ზარისა, უნდა ამცნობდეს  
დიდ რომელიმე დღესასწაულს. ან მწყუხარებას...

(იქვე)

მომაკვდავ მეფეს არც შეილის ასაკი ავიწყდება, მან იცის, რომ მემკვიდრედ დარჩენილი მისი პირმშო, ისე როგორც ყველა კაცთაგანი, მომაკვდავია და მისთვისაც უცხო არ იქნება მიწიერი გრძნობები, ისე როგორც სხვა, ვერც ის აცდება ვნებათა ლელვას. მაგრამ რამდენი ცხოვრებისეული გამოცდილება და სისპეტაკეა ჩაქსოვილი მის სიტყვებში:

ოჰ, საყვარელო ჩემო შეილო! შენ ხდები იმ ხნის,  
როცა ქალის ხმა ჩვენ სისხლს ამღვრევს და ამღვავარებს,  
უმანკობის გაუფრთხილდი სისპეტაკესა  
და ნუ დაჰკარგავ მორიდების სიამაყესა,  
ვინაც სიყრმეში თავის გრძნობებს ვერ იმორჩილებს  
და შეეჩეია გარყვნილების მორევში ცურვას,  
იგი, როდესაც დავაჟკაცდება  
დაღვრემილია, უღმობელი და სისხლის მღვრელი;  
იმის გონებას ნადრევად ბნელი ედება...

(იქვე)

ბორის გოდუნოვის ანდერძიდან ისიც კარგად ჩანს, თუ როგორი უნდა იყოს მეფე ოჯახში, რა უნდა განსაზღვრავდეს მის დამოკიდებულებას მახლობლებთან. მეფის უფლებებში შესვლა არ ათავისუფლებს მემკვიდრეს შეილისა და ძმის მოვალეობისაგან, მაგრამ მას არც იმის უფლება აქვს, რომ დაივიწყოს მეფის მოვალეობა:

შენი ოჯახის სუყოველთვის იყავ უფროსი;  
პატივსა სცემდე დედას შენსას, მაგრამ იყავი,  
ჩემო ძვირფასო, თვითონ შენვე ხელისუფალი,  
რადგან შენა ხარ მამაკაცი და მეფე;  
შენი დისათვის ძმა იყავი მოსიყვარულე —  
პატრონი მისი ერთადერთი მხოლოდ შენ რჩები...

(იქვე)

ამ საპროგრამო ანდერძიდან კარგად ჩანს არა მარტო ბორის გოდუნოვის როგორც მეფის ბუნება, არამედ გამოიკვეთა აგრეთვე დიდი მწერლის რეალისტური შეხედულება განათლებულ მონარქზე. პუშკინის მიერ აქ გამოთქმულ რიგ მოსაზრებას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. დიდი პოეტის ზემოთ მოყვანილი სტრიქონები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ კლასიკური მემკვიდრეობის გარდუვალ მნიშვნელობას.

ტრაგედიაში საინტერესოდ არის გააზრებული მარინე მნიშეკის ავანტურისტული სახე. პოლონელ თავადის ასულს დედოფლობა სურს და მიზნისაკენ შეუპოვრად მიიწევს. იგი არაფერს არ ერიდება. მისი გადაწყვეტილება თავყვანისმცემელთა ყურადღებით განებივრებულ ასულის ახირებას უფრო ჰგავს, ვიდრე პოლიტიკურ მიზანდასახულობას. ავტორის აღწერით მარინე მნიშეკი უღამაზესი, მაგრამ ბოროტი ქალია, რომელსაც ჩანაფიქრის მისაღწევად გამომუშავებული აქვს თავშეკავებისა

და საჭირო შემთხვევაში თვით შეწირვის იშვიათი უნარი, ვერც გამბე-  
დაობასა და სიმამაცეს წაართმევთ მას. იგი არისტოკრატიული წრისათ-  
ვის უჩვეულო ფიზიკურ ამტანიანობას იჩენს. ყოველივე ამან განაპი-  
რობა მისი წარმატება...

სხვა მხატვრულ სახეებთან ერთად ფართოდ არიან წარმოდგენილი  
თვით პოეტის წინაპრები. რომლებიც გოდუნოვის ხელისუფლების  
უზურპაციით განაწყენებულნი, ცრუ დიმიტრის უჭერენ მხარს და მის  
მოსკოვის ტახტზე ასვლას დიდად უწყობენ ხელს...

ტრაგედიაში ხალხის განზოგადებული სახე ერთგვარ კომპოზიციურ  
ფუნქციასაც ასრულებს. იგი აშკარად თუ უხილავად პიესის მთელს  
მსვლელობას გაჰყვება და გარკვეულად ერთმანეთს უკავშირებს განსხვა-  
ვებულ ეპიზოდებსაც. საერთოდ კი ტრაგედიაში ხალხს დიდი როლი  
აქვს მიკუთვნებული, ნაჩვენებია მისი პოტენციური ძალა. ყოველ კრი-  
ტიკულ მომენტში ხალხი გადამწყვეტ სიტყვას ამბობს. ასე იყო ეს, რო-  
დესაც ტახტზე ბორის გოდუნოვი ავიდა, მაშინ ხალხი ყვიროდა: „ბო-  
რისი ჩვენი მეფეა, გაუმარჯოს ბორისს!“ ასე არის მაშინაც, როდესაც  
მოსკოვის ტახტს ცრუ დიმიტრი დაეუფლა. ამჯერად კი პოლონელ  
შლიახტი მოსულსკის მოწოდებას „გაუმარჯოს დიმიტრის!“ ხალხმა ღრმა  
დუმილით უპასუხა, რადგანაც მას უეცე არ მოსწონს პოლონელების  
პარპაში მშობლიურ დედაქალაქში. ეს კი ტახტის დამპყრობლის ტრაგი-  
კული დასასრულის გარდაუვალობაზე მიგვანიშნებს.

„ბორის გოდუნოვის“ შემდეგ ხალხის ისტორიული. გადამწყვეტი  
როლისადმი პუშკინისეული მიდგომა კანონად იქცა. ამიერიდან შეუძ-  
ლებელი იქნება რამდენადმე ფასეული სოციალური მხატვრული ტილოს  
წექმნა, სადაც საზოგადოების მოძრაობის ეს მხარე არ იქნება სათანა-  
დოდ გაშუქებული, მით უმეტეს. როდესაც საკითხი ეხება ქვეყნის  
ცხოვრების გარდამტეხ, ისტორიული შემობრუნების ეპოქას.

მოგვიანებით პუშკინმა მსოფლიო დრამატურგია გაამდიდრა სხვა  
შედევრებით, შექმნა ერთაქტიანი ოთხი პიესა, სადაც საერთო-საქაცობ-  
რიო პრობლემებმა გაბედული ასახვა ჰპოვეს.

პუშკინის ერთაქტიანი პიესები, რომლებსაც ავტორმა „პატარა ტრა-  
გედები“ უწოდა, აერთიანებს „ძუნწ რაინდს“. „მოკარტსა და სალი-  
ერს“, „ქვის სტუმარსა“ და „ლხინს უამიანობის დროს“. ამ პიესებში  
პუშკინმა მოქმედების ლაკონიური გადმოცემით პერსონაჟების ხასიათე-  
ბის გახსნის ისეთ სრულყოფას მიიღწია, შეიძლება გადაუჭარბებლად  
ითქვას, რომ პატარა ტრაგედიებს მსოფლიო ლიტერატურაში საგანგე-  
ბო ადგილი უკავიათ. „პატარა ტრაგედიებში“ დასმულ საერთო-საქა-  
ცობრიო პრობლემების აქტუალობას მწერლის მიერ ადამიანის ბუნების  
სიღრმისეული გახსნა და საზოგადოების განვითარების განჭვრეტის იშ-  
ვიათი უნარი განაპირობებს. პუშკინმა იცის პიროვნების მამოძრავებელი

სუბიექტური და მისი სურვილისაგან დამოუკიდებელი ობიექტური იმპულსები, რომლებსაც გამჭოლი ხასიათი აქვთ და ცხოვრების ყველა მონაკვეთში შექმნილ ვითარების შესაბამისად იჩენენ თავს.

ჩრდილოეთში გადასახლებული პუშკინი ბევრს მუშაობდა თავის ცოდნის გასაღრმავებლად. მიხაილოვსკოეში მყოფი პოეტი მთელი სერიოზულობით ეკიდება სხვადასხვა დარგის მეცნიერული წიგნების დამუშავებას, განსაკუთრებით კი გატაცებულია მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებით. მწერალმა საფუძვლიანად შეისწავლა შექსპირის, უოლტერ სკოტის, მილტონის, რუსოს, გოეთეს, შილერის, დანტეს, პეტრარკასა და მრავალი სხვა კლასიკოსთა ლიტერატურული მემკვიდრეობა. დიდი პატივისცემით ეპყრობოდა პუშკინი პოლონეთის გენიალურ პოეტს ადამ მიცკევიჩს, მაღალ შეფასებას აძლევდა მის რევოლუციურ პოეზიას.

ცნობილია, რომ პუშკინის როგორც პირად, ასევე შემოქმედებით ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყებამ. პოეტის ბევრი მეგობარი ამ გამოსვლის უშუალო და მთავარი მონაწილე იყო. ნიკოლოზ პირველის უღმობელი ბრძანებით, პუშკინის მეგობრების ნაწილმა სახრჩობელაზე პოვა დასასრული, ხოლო დიდი ჭგუფი კი შორეულ ციხეებში სამუდამო საკატორღო სამუშაოებზე გადასახლეს. ამავე დროს, პუშკინის ახლობელ დეკაბრისტების ნაწილი კავკასიაში აღმოჩნდა, სადაც მაშინ რუსეთის არმია ოსმალების ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდა. პოეტმა მძიმედ განიცადა მეგობრების ტრაგიკული ხვედრი. მაგრამ ბუნებრივია, მას უფრო აწუხებდა სამშობლოს მომავალი. დეკაბრისტების გამოსვლამ ცხადყო მათ მიერ არჩეული ტაქტიკის ცალმხრივობა, ახლა საჭირო იყო იმის გარკვევა, თუ როგორ და რა გზით განვითარდებოდა სასტიკ რეაქციის მარწუხებში მოქცეული ხალხის განთავისუფლების შემდეგი პროცესი, საჭირო შეიქმნა უკვე აღიარებულ ფასეულობათა გადაფასება და ახლებურად გააზრება, სასტიკ რეაქციის პირობებში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას უფრო რეალური ხასიათი რომ მიეღო, უნდა მოენახათ ახალი გზები და საშუალებები.

პუშკინი დეკაბრისტების მხარეზე იყო და არ დაუმალა თვით ნიკოლოზ პირველს, რომელმაც მოინდომა პოეტის უსაზღვრო ავტორიტეტის საკუთარ პოლიტიკურ მიზნებისათვის გამოყენება. პუშკინი არ შეუშინდა არც სასტიკ რეაქციას, რომელიც ტანტზე ახლადასულ მეფის წყალობით მთელს რუსეთში მძვინვარებდა, არც ნიკოლოზ პირველის პირად ცენზურას და არც ჟანდარმთა უფროსის ბენკენდორფის სასტიკ დევნას.

მეფისა და ჟანდარმთა მეთვალყურეობის გამო პუშკინი უფრო დაკვირვებული გახდა. უფრო ფრთხილობდა და თავისი რადიკალურ აზრების გამოსახატავად ხშირად ალეგორიულ ფორმებს მიმართავდა.

მაგრამ მისი საბრძოლო განწყობილება ოდნავადაც არ შერყეულა. ეს არც შეიძლება მომხდარიყო, ვინაიდან ნიკოლოზ პირველის რეაქციულ პოლიტიკას ხალხთა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება მოჰყვა. პოეტის ცალკეული ლექსის რამდენადმე ლიბერალური ტონი კონკრეტული საქველმოქმედო მიზნებით იყო გამოწვეული. ამავე დროს, პუშკინის თანმიმდევრულ პოზიციას. მის შეხედულებას სინამდვილის რევოლუციური გზით გარდაქმნის შესახებ ადასტურებს მისივე ლექსი „დეკაბრისტებს ციხიბრში“, რომელიც მან 1827 წელს გადასახლებაში მყოფ ქმართან მიმავალ მურავიოვის ცოლს გაატანა. ამ ლექსიდან აშკარად ჩანს პოეტის ოპტიმიზმი, მისი ურყევი რწმენა, რომ მხოლოდ მედგარი და შეუპოვარი ბრძოლით შეიძლება მოიპოვო კემშარიტი თავისუფლება. თვითმპყრობელობასთან შერკინების გარდუვალობა და საბოლოო გამარჯვების ღრმა რწმენა გახდა ამ ლექსის ლაიტმოტივი. აი ეს სტრიქონებიც:

გჭეროდეთ, უამი ნანატრი შოვა.  
სიყვარული და ძიობა თქვენთანაც  
შემოანათებს დილეგის ბნელში,  
როგორც ჩემი ხმა თავისუფალი  
შემოდის თქვენი კატორღის ხვრელში.  
დაინგრევიან საპყრობილენი,  
გატყდება მძიმე ხუნდების რვალო,  
მიგიღებთ ლალი თავისუფლება  
და მოგერთმევით ძმებისგან ხმალი.

(1, 78, თარგმ. კ. კვიციანიძისა)

პუშკინის ბრძოლა რუსული ლიტერატურის სრულყოფისათვის საკმაოდ მწვეავე ხასიათს ატარებდა. ეს ბრძოლა მას საერთო-საზოგადოებრივი მოძრაობის ნაწილად მიაჩნდა. ამან განაპირობა პრობლემისადმი პოეტის სერიოზული დამოკიდებულება. გარდა იმისა, რომ პუშკინი ხელოვნების საკითხს შეეხო „მოცარტსა და სალიერში“, მან აღნიშნულ პრობლემას უძღვნა სპეციალურად დაწერილი ლექსებიც „პოეტი“, „პოეტს“ და სხვ. ხელოვნების საკითხებზე პუშკინის მოსაზრებები გაბნეულია კრიტიკულ წერილებსა და პირად ბარათებში, მას ყოველთვის აწუხებდა მწერლობის ბედი, მისი მომავალი. ეს საკვებით გასაგებია, რადგანაც პუშკინი გვევლინება ლიტერატურის დიდ რეფორმატორად. მან ხომ ახალი, მანამდე მიუწვდომელი ეტაპი შექმნა მხატვრული აზროვნების ისტორიაში და ლიტერატურას აქტიური საბრძოლო ფუნქციებიც შემატა.

პუშკინი ბოლო წლებში პეტერბურგში ცხოვრობდა, რაც, ძირითადად, ოჯახური პირობებით იყო გამოწვეული. თვითონ პოეტი კიდევ უფრო მტრულად განეწყო სასახლისადმი. მას სული ეხუთებოდა მეფის ყურმოკრილ მსახურთა წრეში, უმძიმდა ოფიციალური მიღებები და

გულისამრევი მლიქვნელობა, რის გამოც გარბოდა სატახტო ქალაქიდან, სადაც მის შემოქმედებთს ფანტაზიას საოცრად ეკვეცებოდა ფრთები.

პუშკინი სულიერ სიმშვიდეს კავკასიაშიც, კერძოდ, საქართველოში ეძიებდა. ის თბილისში 1829 წ. 27 მაისს უნებართვოდ ჩამოვიდა. მაშინ კავკასიაში რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა. პუშკინმა სარდლობას სთხოვა და კიდევაც მიიღო ნებართვა გამგზავრებულიყო მებრძოლ არმიაში, სადაც მისი მეგობრები იყვნენ ჯარისკაცებად განწესებულნი. მდიდარი და მრავალფეროვანია პოეტის მიერ საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები. განსაკუთრებით კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პუშკინის ახალ შეხვედრებს კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან; ის შეხვდა და ახლო ურთიერთობა აღადგინა ნ. რაევსკისთან, მ. პუშჩინთან, ვ. ვოლხოვსკისთან, პ. კონოვიცინთან და მრავალ სხვასთან. რის გამოც მეფისნაცვლის, პასკევიჩის გაფრთხილება დაიმსახურა.

საქართველომ, მისი ხალხის უძველესმა კულტურამ და ფაქიზმა პოეტურმა ბუნებამ პუშკინის შემოქმედებაში წარუშლელი კვალი დატოვა. აქ მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად მგოსანმა დაწერა: „საქართველოს მთებზე“, „კავკასია“, „ზევი“, „მონასტერი ყაზბეგზე“. კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები საფუძვლად დაედო მოთხრობას „მოგზაურობა არზრუმში“, სადაც ბევრი საინტერესო ისტორიული ეპიზოდია გადმოცემული და დღეს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში ნანახისა და განცდილის გამომახილს ვპოვებთ პირად ბარათებსა და სხვა დაუმთავრებელ თუ დამთავრებულ ნაწარმოებებში.

საქართველოში ჩამოსვლით ა. პუშკინმა დიდი ხნის წადილი აღი-სრულა. მას ხომ ჯერ კიდევ 1819 წელს ჰქონდა გადაწყვეტილი ენახა „ოქროს საწმისის“ ქვეყანა, ხოლო 1821 წელს პოეტი მინერალური წყლებიდან კვლავ აპირებდა საქართველოში გამგზავრებას, მაგრამ მაშინაც და შემდეგაც პუშკინის სურვილს წინ აღუდგა მეფე და ეანდარ-მები, რომელთა წყალობით პოეტს სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ მოშორებია ფარული თუ აშკარა ზედამხედველობა. ჩვენამდე პირველმა დოკუმენტურმა ცნობამ, პუშკინის გადაწყვეტილებაზე ჩამოვიდეს საქართველოში, თვითონ მისივე, ნ. გნედიჩისადმი გაგზავნილი წერილიდან მოაღწია. შემდეგაც არა ერთხელ გაუზიარებია მეგობრებისათვის პოეტს თავისი განზრახვა კავკასიაში ემოგზაურა, მაგრამ პუშკინს მოუთმენ-ლობა განსაკუთრებით მას შემდეგ დაეტყო, როდესაც საქართველოში აღმოჩნდა მისი მეგობრების ერთი ჯგუფი. რაკი მეფემ 1828 წელს უარი უთხრა პოეტს კავკასიის მებრძოლ არმიაში ჩარიცხვის შესახებ, მან გადაწყვიტა ხელისუფალთა გვერდის ავლით ჩამოსულიყო საქართველოში და მოენახულებინა აქ გადმოსახლებული მეგობრები.

მართალია, 1829 წლამდე პუშკინი არ ყოფილა საქართველოში, მაგრამ მის შემოქმედებაში ქართული მოტივები, ქართველთა ცხოვრები-

სადმი ინტერესი ჯერ კიდევ 10 წლით ადრე გაჩნდა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ პოეტი ყმაწვილობაშივე დაინტერესებულა ჩვენი ხალხის ტრაგიკული, მაგრამ უაღრესად გმირული ისტორიით. ამას ადასტურებს პოემა „კავკასიის ტყვეს“ ერთი ავტორისეული შენიშვნაც, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს მშვენიერი კლიმატი, ამ დიდებულ ქვეყანას სულაც არ უნაზღაურებს იმ უბედურებას, რასაც იგი მუდამ განიცდის...“ მოთხრობაში „არზრუმში გამგზავრება“ მწერალი გულისწყრომით შენიშნავს, რომ ალა-შაჰმად-ხანმა „გიორგიევსკის ტრაქტატის“ შემდეგაც შეძლო საქართველოს აოხრება: „საქართველომ, — ვკითხულობთ მოთხრობაში, — რუსეთის მფარველობას 1783 წელს მიმართა, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა სახელოვან ალა-შაჰმად-ხანს აელო და აეოხრებინა თბილისი და 20.000 მცხოვრები ტყვედ წაეყვანა (1795 წ.)“ (4, 261, თარგმ. ი. აგლაძისა).

პუშკინი იქვე კმაყოფილებით აღნიშნავს რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს შესვლას, რამაც უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება. ეხება რა ქართველების ბუნებას, მწერალი ხაზგასმით მიუთითებს მათ მებრძოლ ხასიათზე და ნიჭიერებაზე. რომელიც განაპირობებს ჩვენი ერის ბრწყინვალე მომავალს: „საქართველო ალექსანდრე იმპერატორის სკიპტრას ქვეშ 1802 წელს მოექცა. ქართველები მეომარი ხალხია. მათ გონებრივ ნიჭიერებას დიდი განათლება მოეღის. ისინი საერთოდ მხიარული ზნისანი არიან და ურთიერთთან შეხვედრის მოყვარულნი“. (4, 261, თარგმ. ი. აგლაძისა).

თუ რამდენად დიდია პუშკინის ინტერესი ჩვენი ხალხისადმი, კარგად ჩანს აგრეთვე, საქართველოში ჩამოსვლამდე, 1828 წელს დაწერილ ერთი ლექსიდან. ამ ლირიკული ლექსის მოტივი პოეტს მაშინ თბილისიდან პეტერბურგში ახლად ჩამოსულ გრიბოედოვს უნდა შთაეგონებინა.

არა, ლაშაო, ნუ გამაგონებ  
ქართულ სიმღერას ესოდენ მწარეს:  
ამ ნალელიანის ჰანგით მაგონებ  
სხვა ცხოვრებას და შორეულ მხარეს.

(1. 83, თარგმ. კ. კვიციანიძისა)

საქართველოში ჩამოსულმა პუშკინმა შვებით ამოისუნთქა, თითქოს მკვდრეთით აღსდგაო, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მისი გული ახალი ძალით აძგერდა და პოეტის სულიერ სამყაროს სიყვარულის ფაქიზი გრძნობა დაეუფლა. ახლა უკვე თვით სევდაც, ალბათ გამოწვეული სამშობლოსა და ახლობლებთან დაშორებით, ნათელია. პუშკინმა ეს თავისი ოდნავ მელანქოლიური, მაგრამ ერთობ ამბლლებული განწყობილება: საოცარი ლირიზმით გადმოგვცა ლექსში „საქართველოს მთებზე“:

საქართველოს მთებს ღამის ბინდი შემოჰყენია,  
ხმაურობს ხევი არაგვის ხმაზე.  
ჩემი მოწყენაც იოლია, ის ნათელია —  
შენის მშვენებით და შუქით სავსე.

აღსავსე შენით, მხოლოდ შენით, სიჩუმე დადგა  
და აღარავინ მიღვიძებს დარდებს,  
და ისევ იწვის ჩემი გული და უყვარს, რადგან  
არ შეუძლია, რომ არ უყვარდეს.

(92, თარგმ. პ. იაშვილისა)

აღსანიშნავია, რომ ბობოქარი თერგისა და არაგვის ალგეორიული სახეები პუშკინის სიმწიფის პერიოდის თითქმის მთელ პოეზიას წითელ ზოლად გაპყვება, როგორც მოუთოკავი ძალისა და შეუპოვარი მებრძოლის სიმბოლო. მთის მდინარეების ასე გააზრება საეხებით შეესაბამებოდა თვითონ პოეტის მშფოთვარე და მუდამ ძიებით აღსავსე ცხოვრებას. რაც შეხება დარიალის ცათამწყდენ სალ კლდეს, რომელსაც ვერაფერს აკლებს ბრაზმორეული თერგი, პუშკინის შემოქმედებაში ძალმომრეობის ალგეორიას ქმნის. ამიტომაც უნდოდა პოეტს ჯერ კიდევ „კავკასიის ტყვეში“ თავისუფლების მაძიებელი გმირის მოქმედება გაეშალა „ხმაურიან თერგის ნაპირებზე, საქართველოს საზღვრებთან, კავკასიის ყრუ ხეობაში“. აქ თვითონ პუშკინიც „რკინის გალიას“ უდარებს თერგის მბოქავ კლდოვან ნაპირებს. ეს სიმბოლო უფრო გასაგები და აზრტევადი გახდება თუ გავიხსენებთ ლექსი „კავკასიის“ ბოლო სტროფს, რომელიც ცენზურის გამო მაშინ არ დაბეჭდილა. აქ ხომ ავტორის შემეცნებაში კლდოვანი ნაპირი უმკაცრესი „კანონის“ ასოციაციას იწვევს:

ასე სილაღეს სულს უხუთავს კანონი ავი,  
ასე კირთების ქვეშ ღონდება ველური ტომი,  
ასევე ბრაზობს დღეს კავკასი მღუმარედ მღვდომი,  
ასე სურს უცხო ძალებისაგან დაიხსნას თავი.

(101, თარგმ. პ. იაშვილისა)

ამ შედარებას წინ უსწრებდა არაგვისა და თერგის პოეტური დახასიათება, საიდანაც რიგითი მკითხველიც ადვილად გაიგებს ალგეორიული სახეების გადატანით მნიშვნელობას.

სადაც არაგვი ტყიან ნაპირებს მიარღვევს ჯახით;

იქ, სადაც თერგი მინავარდობს, ბრაზობს და ხენეშის,  
თამაშობს, ღმუის ისე, როგორც ნორჩი ნადირი,  
როდესაც რკინის გალიიდან თვალს მოპკრავს საეგებს.  
ასე ამაოდ ებრძვის ნაპირს, ვერაფერს აკლებს,  
მშვიდია ტალღა ლოკავს კლდეებს ხარბი წადილით...



ვაგლახ! არა აქვს იმას ლუკმა და სიხარული,  
მუნჯი კლდეებით არის იგი შემორკალული.

(1, 99, თარგმ. შ. პატარიძისა)

უთუოდ ბევრის მტკმელია ლექსის პირველი სტრიქონებიც: „კავკასია ჩემ ქვეშაა. ვარ მარტოდმარტო თოვლზე ზედა უფსკრულთან მდგომი“. პოეტის ლირიკულ გმირს, ზემოდან დამყურეს, მიეცა საშუალება ამიერი და იმიერი კავკასიელთა ყოფა განეჭვრიტა, მათ ცხოვრებაში დაენახა და გადმოეცა ის, რაც უბრალო მომაკვდავისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა. ამ მოზნის მისაღწევად პუშკინმა ორიგინალურ ხერხს მიმართა: პოეტმა კარგად იცის, რომ არაგვიც და თერგიც კავკასიონის პირშეშა, მხოლოდ იმ განსხვავებით — პირველი სამხრეთსა, ხოლო მეორე ჩრდილოეთისაკენ მიედინება და ერთად კავკასიისათვის დამახასიათებელ პანორამას ქმნიან. პოეტმა ისიც დაგვანახა, თუ რა ამოძრავებდა ლირიკულ გმირს, რით იყო იგი მოხიბლული:

შორეულ მთიდან აფრენილი არწივი ჩქარი  
ჩემს გასწვრივ დინჯად ფრთაგაშლილი ნანაობს ფართოდ.  
აქედან ვხედავ ნაკადების შე დაბადებას,  
ზეაუების პირველ მოძრაობას და დაქანებას.

არ უნდა იყოს ძნელი გასაშიფრი თუ ვის გულისხმობს ავტორი არწივის მხატვრულ სახეში, რომელიც მოშორებულ მთიდან აფრენილა და ახლა ლირიკული გმირის გასწვრივ ნავარდობს; ნაკადები, რომელთა „დაბადების“ მოწმე გახდა პოეტი. ქვემოთ ხომ აზვირთებულ თერგსა და არაგვს წარმოშობენ, ხოლო ზეაუის ალგეორიული სახე, რომელიც აქ პირველად გაჩნდა. მომდევნო ლექსში ბუნების სტიქიის პირქვეშ ძალად წარმოგვიდგება. რომელიც ვერაფერს დააკლებს გიჟმაე თერგს.

რაც შეეხება „ბრაზმორეულ მღუმარედ მდგომ კავკასიას“, რომელსაც ასე მოუზრინებლად „თრგუნავენ უცხო ძალები“ მომქმედ ვულკანს წააგავს და დღეს თუ არა ხვალ მაინც შეეცდება თავი დააღწიოს ბოროტ ძალებს. როგორც ვხედავთ, ლექსის გამოტოვებული სტროფის ალგეორიულობა იმდენად გამჭვირვალეა. რომ მაშინ მისი გამოქვეყნებაც კი ვერ მოხერხდა. თერგის უშედეგო ბრძოლით მკითხველი ვერ იქმნებოდა კმაყოფილი. მისი სურვილი, იხილოს მდინარე ნაპირებთან კიდილში დაუპარცხებელი, დღესაც ბუნებრივად გვეჩვენება. მოსალოდნელია, რომ თვითონ პუშკინიც ეძებდა სხვა, უფრო ოპტიმალურ ხვედრს ამ დაუოკებელ „ბუნტარისათვის“. როგორც ჩანს, მას ვერ აკმაყოფილებდა ბრძოლის თვითმიზნად გადაქცევა. რარიგ მაღალ იდეალებით არ უნდა ყოფილიყო იგი ნაკარნახები. ალბათ ამან გამოიწვია, რომ დიდი პოეტი დაუბრუნდა თერგისა და დარიალის სიმბოლურ სახეების შექმნას. ლექსში „ზეაუი“ კვლავ გაჩნდა არწივებისა და მწვერვალების, თერგის აქაფებული ზვირთებისა და მგმინავი ტყის სიმბოლოები. ამ-

ჯერად თერგი ბოროტ ძალებთან ქიდილში გამარჯვებული გამოდის და თუ ადრე უაზროდ იხარჯებოდა მისი ენერგია, რაც ავტორის გულისტკივილს იწვევდა, ახლა მან დასძლია დაუძლეველი და ჩრდილოეთისაკენ ამაყად მიაგორებს ზვირთებს.

ვერ შეიმაგრა იქ ერთხელ თავი —  
მოსწყდა საშინელ ქუხილით ზვაი,  
ხევი ჩათელა, ვიწრო და შავი,  
შიგ ჩაეყუდა,  
და მასში თერგი, მრისხანე, ავი,  
სრულად შეხუთა.  
უცებ, ო, თერგო, მოგესპო დენა,  
ლონემიხდილმა შეწყვიტე ღრენა,  
მაგრამ უკანა ტალების რბენამ  
უღრეკის ძალით  
გაგლიჯა თოვლის ვეება ფენა  
და დასძრა წყალი.  
და დიდხანს ზვაი ძირგარღვეული  
იწვა ყინულად გადაქცეული,  
მის ქვეშ კი თერგი გულამღვრეული  
ყალყზე დგებოდა,  
და ქათვი მისი ზეაფრქვეული  
თალსა წედებოდა.

(1, 100, თარგმ. კ. კიკინაძისა)

მეთხველს არ შეიძლება გამოეპაროს ბოროტ მზრახველთა ზეიმი, როდესაც შეწყდა თერგის დინება. ლექსის სტრიქონებიდან გვესმის ავსულთა ნიშნის მომგები ხითხითი... მაგრამ ხანმოკლე შეიქნა მათი სიხარული. უკანა ტალების დაწოლით თერგმა დასძლია წინააღმდეგობა და შმაგ მდინარე ძველებურად ბორგავს, იბრძვის და ყალყზე შემდგარი მიაგორებს ზვირთებს, იგი კვლავინდებურად თავის სტიქიაშია. ადვილი გასაგებია აგრეთვე თერგის მიერ თოვლის ყინულად გადაქცევის ალეგორია. ახლა ხომ მასზე — მგზავრები და ქარი დაძრწის, ქვევით კი განრისხებული თერგი მიედინება.

საქართველოში მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემისას პუშკინის მიერ ეზოპური ხერხის გამოყენება ადვილი გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ მწერლის იმდროინდელ მდგომარეობას, მას ხომ მეფისა და ჯანდარმთა უფროსის უმკაცრესი ცენზურა ავიწროებდა. ასეთ პირობებში პოეტის მეამბოხური განწყობილების პირდაპირი გადმოცემა შეუძლებელი იყო. მით უმეტეს ქართულ მოტივებზე დაწერილ ლექსებში, სადაც, მიუხედავად მათი ალეგორიულობისა, აშკარად იგრძნობა ავტორის საბრძოლო სულსკვეთება, ისე, როგორც მისი დაუოკებელი ლტოლვა თავისუფალი ცხოვრებისაკენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ პუშკინი, როგორც ვთქვით, საქართველოში თვითნებუ-

რად იყო ჩამოსული, მან ჩვენ მიწა-წყალზე ვერც მოასწრო ფეხის დადგმა. თბილისში კი პეტერბურგიდან უკვე მიღებული ჰქონდათ ჟანდარმთა მოწერილობა პუშკინისადმი უშკაცრესი კონტროლის დაწესების შესახებ. ხოლო სატახტო ქალაქში დაბრუნების შემდეგ პოეტი იძულებულია მეფის განკარგულებით წერილობითი ახსნა-განმარტება მისცეს ჟანდარმთა უფროსს კავკასიაში მისი მოგზაურობის გამო. ხელისუფალთა უნდობლობას პუშკინისადმი, როგორც დაინახეთ. თავისი საფუძველი ჰქონდა. მწერალმა დეკაბრისტ მეგობრებთან სიახლოვით ახალი ძალა შეიმატა, მისმა საბრძოლო განწყობილებამ უფრო კონკრეტული მიზანდასახულობა მიიღო. და ეს ბუნებრივია, მეგობრებს პოეტისათვის უნდა ეთქვათ ის. რაც გამელაგნებას არ ექვემდებარებოდა და რომელსაც საბოლოოდ უნდა გაემიშვლებინა ნიკოლოზ I ვერაგული სახე, ისე როგორც არსებული სოციალური წყობის მთელი სიღამპლე.

მართლაც, პუშკინი არამცთუ ზემოდასახელებულ ლექსებში არ მალავს თავის მეამბოხურ განწყობილებას. მან იგი გამოავლინა, ერთი შეხედვით, ისეთ ეგზოტიკურ ლექსშიც კი. როგორცაა „მონასტერი ყაზბეგზე“. პოეტის ლირიკული გმირი ოცნებობს ზურგი შეაქციოს სულისშემხუთავ სივიწროვეს, ცინიკურად უხდის ხეობას „ბოდიშს“ და სურს „თავისუფალ მწვერვალზე ავიდეს“. რათა „ღმერთთან მეზობლად“ დაიდოს ბინა, დატკბეს მყინვარის მეფური კარავის სიღამაზითა და „სამარადისო სხივების ფრქვევით“. დედანში პუშკინი სიტყვას „ბოდიში“ ბრჭყალებში ათავსებს და ეს შემთხვევითი როდია. ასევე ბევრის მთქმელია თვით მიმართვის ობიექტი — „ხეობა“. აქ ხომ გაიშიფრა, თუ რას და რატომ გაუტრბის პოეტის გმირი „ხეობას“, მას ხომ თავისუფალ სამყაროში სურს იპოვოს ნავსაყუდარი, რათა იგრძნოს სულიერი სიმშვიდე. არც მონასტრის შედარება „მფრინავ კიღობანთან“ არის მოულოდნელი, ეს სავსებით შეესაბამებოდა ლირიკული გმირის ამალღებულ განწყობილებას, რომელთანაც ახლოს იყო თვითონ ავტორიც. „მოგზაურობა არზრუმში“ პუშკინი კვლავ წარმოგვიდგენს სამების ეკლესიას. რომელსაც მონასტერს უწოდებს.

„დილით, — ვკითხულობთ მოთხრობაში, — ყაზბეგთან გასვლისას ჩემ თვალწინ საუცხოო სანახაობა გადაიშალა. თეთრი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბლები მთის მწვერვალს გადადიოდნენ და განმარტოებულნი მონასტერი, მზის სხივებით გაიცისკროვნებული და ღრუბლებზე დაყრდნობილი, თითქოს ჰაერში მიტურავდა“. (4, 287, თარგმ. ი. აგლაძისა).

თითქმის ყველაფერი ემთხვევა: ცაში გამოკიდებული მონასტერი, მისი ჰაერში ცურვის იმიტაცია, ღრუბლები... მაგრამ რაოდენ დიდი განსხვავებაა ამ ერთი და იგივე პეიზაჟის მხატვრულად გააზრებისას. თუ „მოგზაურობა არზრუმში“ იგი თავისი ეგზოტიკური სიმშვენეირით მწერლის აღფრთოვანების გამომწვევია, ლექსში „მონასტერი ყაზბეგზე“ მას ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ამ შემთხვევაში

მონასტრის ალეგორიული სახე პოეტს თავისუფლების მოტრფიალეთა საფანედ აქვს წარმოდგენილი, სადაც მისმა ქვეშეპირებების მადიებელმა გმირმა შვებით უნდა ამოისუნთქოს. გარემოს აღქმის ასეთი პლასტიკურობა პოეტური სახეების ძერწვის დროს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

საქართველოს მოტივების ცალკეულ გამოძახილს ვპოულობთ დაუმთავრებულ ლექსებში: „მთის მდინარეთა შორის თერგს აუწვევტია“ და „აი ბნელ კლდეთა ხეობა“. თერგი გვხვდება აგრეთვე პოემა „თაზიტიში“, ისე როგორც რომანში „ევეგენი ონეგინი“.

პუშკინის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ძნელია ვთქვათ, ბოლომდე ჩაწვდა თუ არა იგი მეფის მთავრობის ვერაგულ კოლონიალურ პოლიტიკას კავკასიაში, მაგრამ ერთი რამ უდავოა: პოეტისათვის საქართველოში მოგზაურობის შედეგად ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ ქართველები, ისე როგორც კავკასიის სხვა ხალხები, ორმაგად იჩაგრებოდნენ და მათი მდგომარეობა ბევრად უფრო უარესი იყო, ვიდრე ეს ერთის შეხედვით ჩანდა. სწორედ ამის შეგრძნებას შეეძლო პოეტისათვის შეექმნა ის საბრძოლო პროტესტანტული განწყობილება, რომელიც ასე გამოიკვეთა მის „ქართულ“ ლექსებში.

პუშკინი საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს აღტაცებით უზიარებდა მეგობრებს და ახლობლებს. თავის მხრივ ქართველმა საზოგადოებამ კეთილი მასპინძლობა გაუწია პოეტს. შემონახულია ცნობები, თუ რაოდენ დიდი ზემოთ მიიღო გენიალური რუსი პოეტი ქართველმა ხალხმა. ყველგან, სადაც კი პუშკინი გამოჩნდებოდა, პოეტის ტალანტის თაყვანისმცემლები დიდი სიყვარულით ეგებებოდნენ მას. თვითონ პუშკინიც აღფრთოვანებული იყო და ვერ მალავდა ქართულ სტუმართმასპინძლობით გამოწვეულ სიხარულს. ეს იყო ორი მოძმე ხალხის უკეთესი შვილების სულიერი სიახლოვის, დაუფარავი სიყვარულისა და ხალასი მეგობრობის საჯარო დემონსტრაცია. არ არის გამორიცხული, რომ სამხრეთში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს გაძლიერებინოს პოეტისათვის ინტერნაციონალური გრძნობა, რომელიც განსაკუთრებით იჩენს თავს მოღვაწეობის ბოლო პერიოდში. პოეტის ინტერნაციონალური სულისკვეთება რელიეფურად აისახა მის ისეთ შედეგში, როგორცაა „ძეგლი“.

საქართველოდან დაბრუნების შემდეგ პუშკინის შემოქმედებითმა ენერგიამ შემდგომი აღმავლობა განიცადა. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა 1830 წლის შემოდგომა, რომელიც პოეტმა შემთხვევით სოფელ ბოლდინოში გაატარა (დაახლოებით 3 თვე). აქ მან ძირითადად დამთავრა თავისი უკვდავი რომანი ლექსად „ევეგენი ონეგინი“ (დაწერა VIII და IX თავები, დაიწყო X). აქვე შეიქმნა უკვე დასახელებული „მცირე ტრაგედიები“, „ბელკინის მოთხრობები“, პროზისა და პუბლიცისტიკის სხვა ბრწყინვალე ნიმუშები, ისე როგორც ლირიკის უამრავი შედეგები. „ბოლდინოს შემოდგომა“ პუშკინის შემოქმედებითი ბიო-

გრაფიის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია, განცვიფრებას იწვევს პოეტურ ქმნილებათა უანრობრივი ნაირსახეობა, სტილი. მწერლის მიერ შექმნილი გმირები მოიცავენ საზოგადოების ყველა სოციალურ ფენას, და მაინც „ბოლდინოს შემოდგომა“ პუშკინის შემოქმედებითს. ცხოვრებაში დარჩება როგორც მაგისტრალური ხაზის შუქურა, რომელიც მთელ მომდევნო მწერლების გზის მანათობელი იქნება.

ალექსანდრე სერგის ძე პუშკინის რეალიზმის მწვერვალია „ევგენი ონეგინი“. მკითხველი პირველივე სტრიქონებიდან გრძნობს დიდი მგოსნის პოეტური აღმაფრენის სილალესა და შეუზღუდველობას, ფერებისა და ტონალობის ჰარმონიულ მონაცვლეობას. მხატვრული ტილოს ასეთი მასშტაბურობა დღესაც ხომ ძნელად მისაწვდომია, რომ არაფერი ვთქვათ მის პოეტურ სრულყოფის განუმეორებლობაზე... ამიტომ, ბუნებრივია, რომ რომანი იმთავითვე აღმოჩნდა მკითხველთა ყურადღების ცენტრში (ნაწარმოები ცალკე თავებად იბეჭდებოდა) და ყველას მოწონება დაიმსახურა, ხოლო ცალკე დასტამბვის შემდეგ იგი პოეზიის თაყვანისმცემელთა სამაგიდო წიგნად იქცა. პოეტის შედევრს არ მოკლებია არც კრიტიკოსთა ინტერესი. როგორც თანამედროვე, ასევე მომდევნო თაობის ლიტერატურათმცოდნეები „ევგენი ონეგინს“ უღრესად მაღალ შეფასებას აძლევენ. რომანის დახვეწილი ფორმით და შინაარსით აღტაცებული იყო XIX საუკუნის რუსული კრიტიკული აზროვნების ფუძემდებელი ბ. გ. ბელინსკი. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ავტორისეულ ჩანაფიქრის გრანდიოზულობას, მხატვრული სახეების რეალისტურ ძერწვის მანამდე მიუწვდომელ ოსტატობას, კრიტიკოსის სამართლიანი მტკიცებით, „ევგენი ონეგინი“ ბევრ რამეში კანონმდებლური აღმოჩნდა არა მხოლოდ რუსული ლიტერატურისათვის...

ამავე დროს, რომანში დასმულმა ცალკეულმა პრობლემებმა. ისე როგორც მათი ავტორისეული გადაწყვეტის ცდებმა გამოიწვია აზრთა სხვაობა, რომელიც გარკვეულ სფეროში დღესაც გრძელდება. აქ გასაკვირი არაფერი უნდა იყოს, რადგანაც „ევგენი ონეგინში“, ბელინსკის სხარტი გამოთქმით, XIX ს. პირველი მესამედის რუსეთის ცხოვრება ენციკლოპედიური მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. რომანის წყალობით ჩვენ ადვილად შეგვიძლია აღვადგინოთ და შევქმნათ საკუთარი შეხედულება მწერლის ეპოქის სოციალური ყოფის თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, ვიმსჯელოთ მათ ავკარგიანობაზე. აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ევგენი ონეგინში“ აშკარად გამოიკვეთა ავტორის მსოფლმხედველობის პოზიტიური ევოლუცია, მისი პოეტური კრედოს შემდგომი დახვეწა. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული სახეების კლასობრივ გააზრებაში გამოვლნიდა, ისინი ხომ გარკვეული სოციალური ფენის ტიპური წარმომადგენლები არიან.

მართალია, მწერალმა თხრობის ცენტრში არისტოკრატთა ფუქსავატური ცხოვრების ამსახველი სურათები მოაქცია, მაგრამ ის სოციალუ-

რი გარემო, რომელშიც პერსონაჟები მოქმედებენ უშუალოდ ემიჯნება საზოგადოების ყველა ფენას; უფრო მეტიც, გაბატონებულ კლასისა და შშრომელთა ინტერესების ანტაგონისტურმა სხვაობამ განაპირობა ნაწარმოების ძირითადი კოლიზია, ისე როგორც სიუჟეტის განვითარების მწვევე ხასიათი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით პუშკინმა შეძლო მთელი სისრულით გაეხსნა გმირების შინაგანი ბუნება, დაეჭირა და ჩვენთვის ეჩვენებინა მათი სულიერი განწყობილების ოდნავ შესამჩნევი ცვლილება კი. ონეგინი თუ ლენსკი, ტატიანა თუ ოლდა, რელიეფურად წარმოდგენილი გმირები თუ ეპიზოდური პერსონაჟები პოეტის ვირტუოზული ხელოვნების წყალობით მკითხველთა წინაშე მთელი სიცხადით წარმოდგებიან. ჩვენ ვხედავთ მათ მოძრაობას, მიხრა-მოხრას, სიცილს თუ დაღვრემილობას. მკითხველს იტაცებს მათი განსხვავებული, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი, თითქოსდა ხასიათთან შეუსაბამო მოქმედება. და ეს იმიტომ, რომ ყოველი მათი ნაბიჯი ფსიქოლოგიურად მოტივირებულია, ყველა მათი გადაწყვეტილება ლოგიკურია და სავსებით ესადაგება ავტორის იდეურ ჩანაფიქრს. ამიტომაც, რომ ჩვენ გვჯერა პუშკინის გმირებისა. განა ოდნავ დაკვირვებულ მკითხველს შეუძლია გულგრილი დარჩეს რომანის გმირებისადმი, არ განიცადოს მათი სულიერი ტკივილი თუ სიხარული, წარმატება თუ წარუმატებლობა! ხასიათების ასე ხელშესახებად ძერწვა, მათ სულიერ სამყაროში ღრმა წვდომა მხოლოდ გენიოსთა ხედრია...

„...ევეგენი ონეგინი“ თითქმის 9 წელი (1823—1831) იქმნებოდა. ეს პეროდი პუშკინის ცხოვრებაში, ისე როგორც მთლიანად რუსეთის საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ეპოქა უაღრესად რთული და დაძაბული იყო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით, რომლებმაც ბევრად განსაზღვრეს ქვეყნის შემდგომი განვითარება. განსაკუთრებით ეს ითქმის დეკაბრისტების გამოსვლებზე. ამიერიდან ძირფესვიანად შეირყა საუკუნეებით დამკვიდრებული ბატონყმური ურთიერთობა, დაიარღვა ტანტის ბურჯთა თვითდაჯერებული სიმშვიდე... რაც შეეხება საზოგადოების რევოლუციურ მოძრაობას მან კი ისეთი ძლიერი ბიძგი მიიღო, რომ მეფე და მისი ამაღლა გამოსავალს რეპრესიების შემდგომ გაძლიერებაში ეძებდა. ყოველივემ თავისი გამოძახილი „ევეგენი ონეგინშიც“ ჰპოვა.

აღნიშნულის გამო, როგორც ავტორს, ასევე მოწინავე კრიტიკას შეეძლო ეთქვა, რომ „ევეგენი ონეგინის“ მთავარ პერსონაჟებში რელიეფურად აისახა XIX საუკუნის რუსეთის თავადაზნაურული ახალგაზრდობის თვისებები, მხატვრულად გააზრებულია მათი მოქმედების, როგორც პიროვნული, ისე სოციალური იმპულსები. უკვე რომანს წამძღვარებულ ეპიგრამაში მინიშნებულია ონეგინის რთული ხასიათის რამდენიმე თავისებურება, კერძოდ, მისი ბუნებისათვის დამახასიათებე-

ლი პატივმოყვარეობა და ამპარტავნობა, გულცივობა, ხოლო შესავალში კი პუშკინი იძლევა „ევეგენი ონეგინის“ ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების, კომპოზიციისა და მხატვრულ სახვითი საშუალებების თავისებურებათა საკუთარ განსაზღვრას. ასეთი მარტივი ხერხით მწერალმა მკითხველი თავიდანვე გააფრთხილა, რომ მას „ევეგენი ონეგინში“ საქმე ექნება სრულიად განსხვავებულ ლიტერატურულ ფენომენთან:

მაშ ასე იყოს, ჩემგან თვალუბად  
მიიღე ფერად თავთა კრებული —  
ხან სასაცილო არის ნახევრად  
და ხან სანახევროდ დადამორეული,  
სრულქმნილ და სადა ხალხურ ჰანგებად  
თავშექცევისას შთაგონებული,  
უძილობისას სწრაფად ნაწერი  
უმწიფრად დაშრალ წლების ნაფიქრი,  
ცივი გონების თვალთ ნახვერი  
და მწუხარებად გულზე ნატეფრი.

(2, 99, თარგმ. თ. კელიძისა)

ეს და სხვა მსგავსი განმარტების შემდეგ პუშკინი მისთვის ჩვეული მოკრძალებით იწყებს თხრობას ონეგინზე. უპირველეს ყოვლისა, აცნობს მკითხველს მთავარი გმირის მორალურ და ფსიქოლოგიურ განწყობილებას ნაწარმოების შექმნის დროისათვის. ონეგინის სულიერი მდგომარეობა, მწერლის სამართლიანი მტკიცებით, მისი თანდაყოლილი თვისება როდია, ის თვით ეპოქის ნაყოფია. პუშკინი გვაცნობს ონეგინის გენეალოგიასა და არისტოკრატთა ფუქსავატურ ყოფას, დამაჭერებლად აღწერს მაშინ რუსეთში დამკვიდრებულ სწავლის ცალმხრივობასა და ფორმალისმს. საშური მომპირნეობით, სულ რამდენიმე ფრაზით პოეტმა შეძლო თავის ეპოქის მწვავე პრობლემების ისე ცოცხლად წარმოდგენა, რომ აღწერილი დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. უთუოდ ჩამაფიქრებელია პოეტის მიერ დანახტული მთავარი გმირის ტრაგედია, რომელიც არსებულმა სოციალურმა სინამდვილემ განაპირობა. ონეგინის ხასიათის გასახსნელად მწერლის მიერ შერჩეული შტრიხები, მუქი თუ ნათელი ფერები, პესიმისტური თუ მელანქოლიური ნოტები უნივერსალურ ქღერადობას აღწევენ და რომანის ამ მთავარ პერსონაჟს ცოცხლად წარმოგვიდგენენ:

ცოტა რაღაცას ყველა ვსწავლობდით,  
როგორც შეგვეძლო, სახელდახელოდ,  
ჩვენში არა პირს, ღმერთის წყალობით,  
თავი იოლად რომ ისახელოთ.  
ევეგენი იყოს (ბევრი მათგანის  
მოურიდებელ, მკაცრი ნათქვამით)  
განათლებული, ოღონდ პედანტი,  
მომადლებული ჰქონდა ტალანტი —

შეძლო ლაღად სიტყვის თამაში,  
ყოველ საგანზე სხარტად მსჯელობა —  
მცოდნეს იერით ემარჯვებოდა  
ბრძნული ღუმელი ნამდიელ კამათში...

(301—302)

ამ სტრიქონებიდანაც კარგად ჩანს პუშკინის გენიის 'მასშტაბურობა, საუკუნე ნახევარზე მეტი გავიდა, მაგრამ პოეტის სიტყვებს არ აკლია სიცხადე და ქმედითი ძალა. დღესაც ონეგინის რამდენი ანალოგიის დაძებნა შეიძლება, რამდენ ჩვენ გვერდით მყოფს მომარჯვებული აქვს „ბრძნული ღუმელი“, როდესაც ცხოვრება მისგან ცოცხალ აზრს მოითხოვს და ეს იმიტომ, რომ ეშინია არ გამოამჟღავნოს საკუთარი უვიცობა; ანდა რამდენი ცდილობს პირადი უმწიფრობა სიტყვების რახარუხითა და იაფფასიანი ანეგდოტებით დაფაროს? დიდი მგოსნის მტკიცებით, ზერელობა ისე საშიში როდია, როგორც მისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება. განსაკუთრებით ტრაგიკულია, როდესაც უწიგნური საქმის მოთავის "როლში აღმოჩნდება და მას სხვისი ბედის გადაწყვეტას მიანდობენ. ასეთი და მრავალი სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა „ევეგენი ონეგინის“ პირველივე გვერდების ოდნავ დაჯვირვებული წაკითხვა...

ონეგინის თვისებებიდან რომანში გამოკვეთილად არის ნაჩვენები ასაკთან შედარებით ნაადრევი სულიერი სიბერე, რაც ავტორის სამართლიანი მტკიცებით გამოწვეულია ქალებთან თავშეუქავებელი ურთიერთობით, დაუსრულებელი ორგიებითა და დარდიმანდული ღრეობებით. ხშირად იგი ორპირობდა, თვალთმაქცობდა, ფლიდობდა. მიუხედავად ამისა, მას არისტოკრატთა წრეში წარმატება არ აკლდა. ამის საწინდარი კი ონეგინის გარეგნული სილამაზე და მიმზიდველობა. იყო, ჰქონდა ამ წრისათვის დამახასიათებელი კარგი მანერები. მაღალ საზოგადოების წევრებს შორის გაბატონებული დამლუპველი ჩვევები რომ არა, ონეგინი თანდაყოლილი ჭანსალი გენების წყალობით შეიძლება სრულყოფილ მოქალაქედაც ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ არისტოკრატთა ფუქსეატურმა ცხოვრებამ ის თავის მორევში ჩაითრია:

რა აღრე შეძლო მან მაღღურობა,  
გამქვაღავ ივეით, ფარულ იმედით,  
გადარწმუნება და დარწმუნება,  
განგებ მოღუშეა ძალუმ მიზნდვით.  
რა გულქვა იყო და რა მორჩილი,  
რა ქედმაღალი და რა გულჩვილი,  
ხან სდუმდა იგი, როგორც კედელი,  
ხან ქადაგებდა, ვით მკვერმეტყველი;  
უსტარს თამამად წერდა ტრფიალზე,  
მაგრამ ერთ ბარათს გულზე იწერდა,  
რა რიგ შეეძლო თავდავიწყება!



მის მკვირცხლ მზერაში ენთო სინაზე,  
კლემა, მორცხოვა, კადნიერება,  
ხან ძალად ცრემლი და ცბიერება.

(303—304)

გამომუშავებული ყალბი მანერითა და თილისმური მაცდურობით ონეგინი „კეკლუცად ცნობილ ლამაზმანებს“ ადვილად იმორჩილებდა. „ბოლოს იღუპალ დიბარებდა, — აგრძელებს ონეგინის დახასიათებას პოეტი, — და ყუჩ ადგილას სუნთქვაგაკმენდილს დაასწავლიდა ჩუმად გაკვეთილს“. რადგანაც ონეგინმა ცხოვრების მიზნად დარდიმანდული, ფუქსავატური ყოფა ირჩია, ხოლო მისი წრისათვის ეს იყო ადამიანის დანიშნულების უმაღლესი გამოვლენა. იგიც გაჰყვა დინებას, ხელთათმანივით იცვლიდა საყვარლებს, ზოგჯერ დღეში 4 წვეულებაზეც ასწრებდა ყოფნას. მოდას აყოლილი თეატრებსაც ეწვეოდა, მაგრამ მას იქ გარდა მსახიობი ქალების კეკლუცობისა სხვა არაფერი იზიდავდა და ამიტომაც ისევე მოულოდნელად ტოვებდა დარბაზს, როგორც გამოჩნდებოდა ხოლმე. გადიოდა წლები და ონეგინის ყოველი ახალი დღე განვლილსა ჰგავდა. თუ არა ჰბუბუკური ენერჯია და ჯანმრთელობა ონეგინისათვის ყველაფერი თავიდანვე ტრაგიკულად დამთავრდებოდა. და აი, ჯანსაღი გენები „აუჯანყდნენ“ არისტოკრატთა პარაზიტულ ცხოვრებას. ონეგინს, ცხადია. არ შეეძლო რადიკალური ნაბიჯი გადაედგა, სულიერად ამაღლებულიყო და აქტიური პროტესტი გამოეცხადებინა დამყაყებულ გარემოსათვის. მან მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ ზურგი შეაქცია მაღალ საზოგადოებას და მარტოდ დარჩენილი ცდილობდა თავის ააჯში გარკვეულიყო:

თქვენც, ახალგაზრდა ლამაზმანებო,  
გვიანდამ ეტლით გაფრენილები  
ვინც ლაღობთ, ვისაც სასპარეზოდ  
გაქვთ პეტერბურგის ქვაფენილები,  
ჩემმა ეგვენიმ თქვენც მიგატოვათ,  
დასთმო მშფოთფარე ლხენა, გართობა,  
შინ ჩაიკეტა დრონატარები,  
ხელი მოჰკიდა კალამს მთქნარებით,  
წერა ეწადა, მაგრამ ეძნელა,  
სძაგდა სირთულე, შრომა ალალი,  
ვერაფერს ქმნიდა მისი კალამი  
და მათ ამქარში ვერ ჩაეწერა,  
რომელთა მიმართ აბა რა შეთქმის,  
თანამზრახველი ვართ ერთმანეთის.

(316—317)

ონეგინმა სცადა მეცნიერული ძიება დაეწყო, საჭირო ლიტერატურის შერჩევასაც შეუდგა. მაგრამ ამაოდ. თავი იჩინა „სახელდახელო სწავლამ“ და „გატაცებაც“ ჩანასახშივე ჩაკვდა. არ აღმოჩნდა ის მომზადე

ბული არც საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის, აკლდა საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. კიდევ უფრო უმწეო გამოდგა იგი როგორც მეურნე. ონეგინი, მიღებული აღზრდის წყალობით, სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ პუშკინი თავის გმირის ხასიათის შექმნისას აღნიშნულით არ კმაყოფილდება. რჩება რა სინამდვილის რეალისტური ასახვის ერთგული, მან უკუაგდო პერსონაჟთა ძერწვის სწორხაზოვანი გაუბრალოება, მისი ონეგინი რთული ფენომენია, მას უარყოფითთან ერთად რიგი პოზიტიური თვისებაც გააჩნია. შემთხვევითი როდია, რომ მის პიროვნებაში მწერალმა გარკვეულად საკუთარი განცდებიც ჩააქსოვა:

როს შევიცვალე წესი ცხოვრების,  
ფუსფუსი მისებრ როს აღვიკვეთე,  
დავეუმგობრდი მაშინ ონეგინს,  
მოაწონდა მისი ბევრი სიკეთე;  
ოცნების მონად ვცანი და მწამდა,  
უცნაურობით სხვას არ ზაძავდა.

(317)

რომანის სიუჟეტის შემდგომი განვითარებისათვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მთავარი გმირის ცხოვრებაში მომხდარ მოულოდნელ შემთხვევას. მას შეატყობინეს, რომ ბიძა, რომელიც დიდი ქონების პატრონია, უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ონეგინი კი მის ერთადერთ მემკვიდრედ ითვლებოდა. საჭირო იყო მამულში ჩასვლა. პუშკინის გმირიც სიამოვნებით ტოვებს სატახტო ქალაქს, თუმცა მას სულაც არ იზიდავდა ავადმყოფი მოხუცის მოვლა. ონეგინის ცხოვრების ეს ეპიზოდი ავტორს საშუალებას აძლევს გახსნას მთავარი გმირის ხასიათის ახალი შტრიხები, კვიჩენოს მისი ბუნების შემდგომი ევოლუცია. ონეგინი ბიძას ცოცხალს კერ ჩაუსწრებს და ამით სავსებით კმაყოფილი რჩება. აუცილებელი ამგლოვიარო ცერემონიალის შემდეგ ახლობლები ონეგინს მარტოდ ტოვებენ და იგი შვებით ამოისუნთქავს. კმაყოფილია სოფლის სიმყუდროვით, მისი ბუნებით, სურვილი აქვს მეურნეობას მიჰყოს ხელი. მაგრამ სულ მალე სოფლის იდილიით გამთბარი ამალღებული განწყობილება ქრება:

ორ დღეს სიახლედ ეჩვენებოდა  
მყუდრო მინდვრები ცვრით ვალუმპული,  
მუნხარში გრილი მწუხრი ჩერთოთა  
და ნაკადულის წყნარი ჟღერტული.  
მესამე დღესვე მთის და ჭალაჟთა  
ნახვის სურვილი გაუჩანავდა.

(321)

ონეგინს კვლავ დაეუფლა ძველი ავადმყოფობა. ამჯერად ამის გამო-  
 მწვევი მიზეზი იყო მის ბუნებისათვის უცხო პროვინციული გარემოცვა.  
 ონეგინი თავის თავს ვერ გაქცა. სევდა და კაეშანი დღითი დღე სულ  
 უფრო და უფრო ეუფლებოდა: იგი დიღემის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ  
 გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფს ბედმა გაუღიმა, მის მეზობელ მა-  
 მულში ჩამოვიდა ჰაბუკი მეპატრონე ვლადიმერ ლენსკი, ევროპული გა-  
 ნათლების მქონე პოეტი. ონეგინი და ლენსკი ორი რადიკალურად გა-  
 სხვაგვებული ადამიანები იყვნენ. მაგრამ სოფლის გარემოცვამ ისი-  
 ერთმანეთს დააახლოვა. ლენსკის მხატვრული სახის შექმნით პუშკინს  
 უფრო გამოკვეთა ონეგინის ხასიათი, ახალ სიბრტყეზე წარმოგვიდგის  
 მისი წარსული და აწმყო. ხანმოკლე გამოდგება ეს სულის წონასწორო-  
 ბაც, რაც ონეგინს ლენსკისთან დაახლოებამ მოუტანა. ვერც ტატიანას  
 გაცნობამ და მისმა უანგარო ამალღებულმა სიყვარულმა გამოიყვანეს  
 რომანის მთავარი პერსონაჟი აპათიური მდგომარეობიდან. სამაგიეროდ  
 ავტორს ონეგინის ტატიანა ლარინასთან ურთიერთობის დასურათებით  
 მთავარი გმირის ხასიათის შემდგომი გაღრმავების რეალური შესაძლებ-  
 ლობა მიეცა, გამოვლინდა მისი ბუნების კიდევ ერთი ახალი თვისება.  
 ონეგინი მცირე ხნით, მაგრამ მაინც რაინდად წარმოგვიდგება, იგი ცხოვ-  
 რებაში პირველად არ სარგებლობს ქალის სისუსტით. ტატიანამ მას ხომ  
 პირველმა მისწერა სატრფიალო ბარათი: ახლა მასთან მოსული ონეგინი  
 ცდილობს გადააარაწმუნოს თავდავიწყებამდე შეყვარებული ტატიანა:

თუ მოვისურვე ჩემი ცხოვრების  
 მყუდრო, შინაურ წრეში მოქცევა,  
 ხედდრს თუ მამობის, მეუღლეობის  
 უნდა სიამის ჩემთვის მოცემა,  
 თუ დამატყვევებს მხოლოდ სულ ერთი  
 წამით ოჯახურ ყოფის სურათი,  
 მაშინ თქვენს გარდა, ცხადზე ცხადია,  
 საცოლელ არეინ არა მწაღია.

მაგრამ შობილი სულ სხვა ქმნილებად  
 განცხრომისათვის უცხო სული ვარ;  
 უქმად ვცან თქვენი სრულყოფილება:  
 არა ვარ მისი ღირსი სრულიად  
 გწამდეთ (სინდისი მიდგას თავმდებად),  
 ჩენი ცოლქმრობა მიჩანს აებედად.  
 გულში რაც უნდა მაგრად გიკრავდეთ,  
 რომ შეგჩვევით, გადაგიყვარებთ.

(369)

ონეგინი გულახდილ საუბარში მეგობრულ რჩევა-დარიგებასაც ა-  
 ძღვეს ტატიანას:

...მაგრამ... ისწავლეთ:  
 ნუ გაამელავნებთ უცბად განზრახულს.

სხვა ვერ გაგიგებთ ჩემებრ გულწრფელად;  
მარცხი ხვედრია გამოუცდელთა.

(371)

მთავარი გმირის ასეთი სულგრძელობა, ერთგვარად მოულოდნელია მკითხველისათვის, გარკვეულად თვითონ ავტორის სასიამოვნო განცვიფრებასაც იწვევს, რაც აისახა მის პოეტურ რემარკაში:

ჩემო მკითხველო, დამეთანხმებით,  
რომ იგი ძლიერ თბილად მოექცა  
ტანიას დალილს დარდით, ნაღველით:  
მისგან პირველად კი არ მოგვესმა  
კეთილშობილურ სულის ლაღადი,  
თუმცაღა კაცთა შურით, ლალატი  
ულვთოდ გამწარდა მისი ცხოვრება;  
მოქიშპეებმა და მეგობრებმა  
(ვერ გამოარჩევ ერთს შერისგან)  
ზურგსუკან ბევრჯერ ლანძღეს, აძაგეს.

(371)

ონეგინის ბუნების კიდევ რამდენიმე თვისება გამოვლინდა ლენსკის-თან დუელის დროს. სერიოზულ საფუძველს მოკლებული იყო მისი გადაწყვეტილება შური ეძია ლენსკიზე და დაემციერებინა იგი მხოლოდ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ონეგინი სტუმრად წაიყვანა ლარი-ნებთან. რომლებსაც ტატიანას დღეობის გამო დიდი წვეულება ჰქონდათ... შემდეგ როდესაც ბარათი მიიღო ვლადიმერ ლენსკისაგან, მას თავისუფლად შეეძლო ეს გამოწვევა ჩაეთვლა რომანტიკულად განწყობილ კაბუკის ბავშვურ გამოხტომად და არ მიეღო იგი. მაგრამ საზოგადოებრივ აზრისადმი მონურმა მორჩილებამ, რაც გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა განუყურნავი სენი იყო, მას ამჯერადაც ტრაგიკული ნაბიჯი გადაადგმევინა და იგი მთელი ცხოვრება მეგობრის მკვლელად რჩება. ასეთი ნაბიჯის ფასი კი კარგად იცოდა „ბორის გოდუნოვის“ ავტორმა, რომლის დამაჯერებელი მტკიცებით, ადამიანს დანაშაული მოსვენებას არ აძლევს და ყოველ გადამწყვეტ მომენტში ბოროტ-მოქმედს მსხვერპლი აჩრდილად წარმოუდგება. ამიტომ არის, რომ ბოროტმოქმედს მსხვერპლი აჩრდილად წარმოუდგება. ამიტომ არის, რომ ბოროტების ჩამდენი გაუბრის წარსულის გახსენებასაც კი. მაგრამ ჩადენილ დანაშაულისაგან უკვალოდ განთავისუფლება არ ხერხდება; ის ბოჭავს ადამიანის აზროვნებას. სათანადო დაღს ასევე მის მოქმედებას და, საბოლოო ჯამში, აჩქარებს ტრაგიკულ დასასრულს. პუშკინის ამ ურმა ფსიქოლოგიურმა დაკვირვებამ ფართო აღიარება და მიმდევრები სპოვა. ეს შეგრძნება დღესაც ადამიანის ურთულესი შინაგანი სამყაროს განუყრელი ნაწილია. რომელიც სათავეს პიროვნების ინტელექტუალურ კანვიტარების საწყისებიდან იღებს.

საინტერესოა ავტორის ონეგინთან დამოკიდებულების ფორმალური მხარეც. ის ხშირად რომანის გმირს მიმართავს, როგორც გვერდში მდგომს, ესაუბრება მას ეპოქის საჭირობო საკითხებზე და ამით ისეთი ილუზია იქმნება თითქოს ონეგინი პოეტის თანატოლი და მახლობელია. უფრო მეტიც, ზოგჯერ ესაჩღება კიდევაც მას. ყოველ შემთხვევაში, მთელი შესაძლებლობით ცდილობს დაასაბუთოს და ჩვენც დაგვარწმუნოს მის მოქმედების ლოგიკურობაში. ასე იქცევა პოეტი მაშინაც კი, როდესაც ონეგინი ცდება, ანდა შეგნებულად ჩადის დანაშაულს. გარდა იმისა, რომ პუშკინი ასეთი პოეტური ხერხით თხრობის მთელ პროცესს უფრო ემოციურა ხდის, რომანის პერსონაჟი ახალი კუთხით წარმოგვიდგება. როგორც უკვე ითქვა, და ეს მთავარია, ონეგინი, პოეტის გააზრებით, თვითონ არის მსხვერპლი სოციალური წყობის უკუღმართობისა. ამიტომაც მისგან უფრო მეტი საზრიანი მოქმედების მოთხოვნა უსამართლობა იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში პუშკინი უღალატებდა რეალიზმის ძირითად პრინციპებს, რაც აუცილებლად დაარღვევდა წონასწორობას და მაშინ, ცხადია, ავტორი ვერ აცდებოდა შექმნილ პოეტურ სინამდვილის გაყალბებას, ხოლო ონეგინის მხატვრული სახე ცხოველმყოფელობასა და მიმზიდველობას დაკარგავდა.

ონეგინის მოქმედებას დამაჯერებლობას მატებს ხასიათის დინამიკურობაც. მას ჩვენ ვხვდებით სულ სხვადასხვა სიტუაციაში, თანმიმდევრულად იცვლება მისი ინტერესიცა და საცხოვრებელი ადგილიც. ამავე დროს. პუშკინი თავის გმირისაგან მოითხოვს საკუთარი სოციალური წრის ეტიკეტის დაცვას, რადგანაც საბოლოოდ ის მაინც ვერ გაექცა მშობლიურ გარემოს. სიუჟეტის განვითარების მთელს მანძილზე მკითხველი შეუწინაურებლად ადევნებს თვალყურს ონეგინის ყოველ ნაბიჯს, პოეტთან ერთად განიცდის რომანის გმირის წარმატებას თუ წარუმატებლობას, იზიარებს პრობლემის ავტორისეულ გადაწყვეტას. რაც მთავარია, პუშკინი იშვიათი ოსტატობით ახერხებს მკითხველისა და საკუთარი შეხედულებების მთლიანობაში წარმოდგენას. ამ შემთხვევაშიც ერთობ უჩვეულოა ავტორის თხრობის მანერა, ის თავის პოეტურ რემარკებში ხშირად მიმართავს მკითხველს, თითქოს ეთათბირება მას და მისი დასტურით თუ უარყოფითი დამოკიდებულებით აკონტროლებს მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორეს. ასეთი თავისებური ხერხით მწერალს რომანის ტექსტში ადამიანისათვის დამახასიათებელი ექსპანსიურობა შეაქვს.

ონეგინის ადამიანური თვისებები, მისი ხასიათის პიროვნული თავისებურება განსაკუთრებული სიძლიერით რომანის ფინალში გამოიკვეთა. მოვლენების ასე განვითარება ლოგიკურია კომპოზიციის თვალსაზრისითაც. ტატიანასა და ონეგინის უკანასკნელი შეხვედრის მეტად დაძაბული და დრამატიზმით აღსავსე სცენა დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. რამდენის მთქმელია ამ ორ გმირს შორის გამართული ბო-

ლო დიალოგი, რომელიც დღესაც შთამბეჭდავია. განა შეიძლება გვერდი აუარო მოვალეობისა და გრძნობის, ამდლებული სულიერისა და მიწიერის, იდეალურისა და სიმახინჯის პუშკინისებურ გააზრებას. აქ ხომ ყველაფერი დიდი ჰუმანისტის თვალითაა დანახული. ანდა რა ბევრზე შეტყველებს ონეგინის საბოლოო აღიარება. მისი „სულიერი სიბერე“, რომლის მომიზეზებით მან უარყო ტატიანას უმანკო გრძნობა, მხოლოდ ნიღაბი გამოდგა, ბუნების კანონი კი ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე ეს ონეგინს წარმოედგინა, ამიტომაც ვერ გაეჭეა იგი ცხოვრების მკაცრ სასჯელს და საბოლოოდ სრული კრაზი განიცადა. ძნელი წარმოსადგენია ონეგინისათვის უფრო მძიმე განაჩენი, ვინემ ტატიანას მამზღლებელი სიტყვებია:

მაშინ, შორ მხარეს — ხომ არ მეშლება?  
ყრუ უდაბნოში ობლად გაკრილი  
მწუნობდით ქალწულს, დღეს არ მეშვებით,  
კვალდაკვალ დამდევთ, როგორც აჩრდილი.  
რად ამომიღეთ ახლა მიზანში?..  
მისთვის, რომ მაღალ გვამთა წინაშე  
ეცხადდები ახლა, როგორც სწორებთან.  
რომ შევწვიდი სახელს, მდიდრულ ცხოვრებას,  
რომ ქმარი ომის მყავს სახიარო,  
მისთვის გვიფერებს კარი სამეფო  
და მომეჭრება თავი საქვეყნოდ,  
რომ ჩავიდინო რამ საზიზღარო.  
და თქვენ კი, ალბათ,  
ჩემი შეცდენა  
სახარბიელო პატივს შეგქმენდათ?

(437)

რომანის მეორე ცენტრალური პერსონაჟის ტატიანა ლარინას ხასიათი სავესებით განსხვავებულია. იგი ავტორის იდეალური გმირია. სიყვარულისა და მოვალეობის დაპირისპირებით გამოწვეული კომფლიქტის პუშკინისებური გადაწყვეტა, რომელიც ავტორმა ტატიანას ხასიათში ჩააქსოვა, საუკუნე-ნახევარზე მეტია აზრთა სხვაობას იწვევს, მაგრამ ეს კიდევ უფრო აღვივებს ინტერესს ამ განუმეორებელი მხატვრული სახისადმი. მისი სპეტაკი, სათნო ბუნება დღესაც ყველა ერისა და ასაკის მკითხველთა მოწონებას იმსახურებს. ის დამოუკიდებელი, საკუთარი შეხედულების გმირია, მაგრამ, ავტორის ჩანაფიქრით, ტატიანა ლარინა გარკვეულად გვეხმარება თვითონ ონეგინის ხასიათის გაგებაში, მის კეთილ და სათნო თვისებების წინა პლანზე წამოწვევით უფრო გამოიკვეთა ონეგინის ეგოიზმი, მისი ამპარტავენობა. თავის მხრივ, ონეგინის უარყოფით თვისებების ფონზე, ტატიანას სულგრძელობა, ისე როგორც მისი დემოკრატიზმი შეტ დამაჯერებლობას იძენს. ცენტრალურ გმირების ურთიერთკავშირში გააზრება აძლიერებს შთაბეჭდილებას, აღრმა-

ვებს ზეგავლენის ძალას და მკითხველს უადვილდება რომანის ძირითადი კოლიზიის მთლიანობაში აღქმა. ეს მაშინ, როდესაც ცალ-ცალკე ორივე პერსონაჟი მოქმედებს და ცხოვრობს მისთვის დამახასიათებელი მრწამსის შესაბამისად: თუ ონეგინისათვის ყველგან და ყოველთვის მთავარია პირადი „მეს“ წარმოჩენა, ტატიანა მისი ანტიპოდი: მას შესწევს უნარი სიყვარულის მაღალი გრძნობაც კი მოვალეობას დაუმორჩილოს. ამავე დროს, ამ სათნო არსებამ პირველი სიყვარული ბოლომდე ისე შეინარჩუნა, რომ არსად შეუბღალავს მანდილოსნის ღირსება. ასეთი დიდი მსხვერპლის გასაღებად საჭირო იყო ძლიერი ნებისყოფა, რომელიც ავტორის წყალობით ტატიანას საკმარისად აღმოაჩნდა.

მაგრამ აქ იბადება ის ბუნებრივი კითხვა, რომელიც პუშკინის ოპონენტებმა იმთავითვე დასვეს; კერძოდ, შეიძლება კი ოჯახი მტკიცე, ხოლო მისი წევრები ბედნიერნი იყვნენ, თუ ცოლქმრული კავშირი მხოლოდ მოვალეობის გრძნობას ეყრდნობა, ანდა რამდენად ეთიკურია ოჯახის წევრთა ურთიერთობა, როდესაც ის მარტო დრომოქმული ტრადიციებითაა გამაგრებული?..

მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ საზოგადოების წევრთა ურთიერთობაში ბევრი რამ შეიცვალა და ადამიანთა ყოფის რიგ საკითხებს ნათელი მოეფინა, დასმულ კითხვებზე გადაჭრით პასუხის გაცემა დღესაც შეუძლებელია, ვინაიდან კვლავინდებურად ძალაში რჩება კაცობრიობის მუდმივი ბიოლოგიური თუ სოციალური პრობლემები. თუმცა, არ ღირს საკითხის ტრაგიკულად დრამატიზირებაც, რადგანაც სულ უფრო გამოკვეთილად ყალიბდება ოჯახის შექმნის ძირითადი პირობა. რომელიც მომავალ ცოლ-ქმრის შეხედულებათა დამთხვევით განისაზღვრება. რა თქმა უნდა, ეს ჭანსალი ოჯახის შექმნის ერთადერთი პირობა როდია, მაგრამ უთუოდ განმსაზღვრელია...

აღნიშნულ და მრავალ სხვა ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს პაექონობა მკითხველი რომანის გმირების ავტორისეული ჩანაფიქრის გაშიფვრის დროს. ანდა რამდენ სითბოს იგრძნობს ის ტატიანას ხასიათის უშუალოდ, მისი კეთილი დემოკრატიული ბუნებითა და პრაქტიკული საქმიანობით. მაშინ, როდესაც ონეგინისათვის ყოველივე ეს უიმედოდ დაკარგულია.

ტატიანა ლარინას ხასიათის შექმნით პუშკინმა რუსულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში მყარი საფუძველი ჩაუყარა ქალთა დადებითი გმირების მთელ გაღვრვას, მისი ტრადიციები დღესაც წარმატებით გრძელდება. თავის დროზე კი, გარდა კონკრეტულ მიზეზებისა, პოეტის ზრუნვა ქალთა უფლებების დასაცავად განპირობებული იყო ისტორიული აუცილებლობითაც.

პუშკინის ეპოქის რუსულმა სინამდვილემ, საუკუნეების მანძილზე უმკაცრესი კანონებით შებოჭილი ქალი, ცხოვრების ფართო სარბიელზე

გამოიყვანა და იგი პატრიარქალურ ოჯახის უუფლებო დანამატიდან აქტიურ სოციალურ ძალად აქცია. ახლა უკვე ქალი არა მხოლოდ ოჯახისა და მეურნეობის წარმართველი იყო, ამავე დროს, იგი საზოგადოების ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენელიც გახდა. ასეთ პირობებში ისტორიული აუცილებლობით იყო ნაკარანახები ქალთა ემანსიპაცია, მათი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ღირსების, მორალური და ეთიკური უფლებების სრული აღიარება. პუშკინის სახელის სადიდებლად უნდა ითქვას, რომ მშობლიური ქვეყნის ეროვნული ყოფისათვის ეს მეტად საჭირო შემობრუნება მან ერთ-ერთმა პირველმა შეამჩნია და ტატიანა ლარინას მხატვრული სახის შექმნით ამ პროცესს ლიტერატურასა თუ ცხოვრებაში მწვანე გზა გაუხსნა.

კრიტიკულ ლიტერატურაში დიდხანს იყო დამკვიდრებული მცდარი შეხედულება თითქოს ტატიანას უპირატესობა მის პროვინციულ წარმომავლობით ყოფილიყოს განპირობებული; თითქოს პუშკინი ქალაქისა და სოფლის არისტოკრატიის დაპირისპირებისას ყოველთვის უპირატესობას პროვინციელებს აძლევდა. აქ უდავოა ერთი რამ — პუშკინი მართლაც ანიჭებს უპირატესობას სოფლის იდილიურ ყოფას, მაგრამ მის მკვიდრთა დასურათებისას იჩენს რეალისტი მწერლისათვის საჭირო დიფერენციალურ მიდგომას. განა სავსებით განსხვავებულად არ არიან წარმოიჩენილნი თვითონ ლარინების ოჯახის წევრები, რომ არაფერი ვთქვათ მათ სტუმრებსა და მეზობლებზე? უფრო მეტიც, როდესაც მწერალი ეხება მოსკოვის არისტოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლებს, განსხვავებულ ინდივიდუალურ თვისებებთან ერთად ხაზგასმითაა აღნიშნული ბევრი მათგანის კონსერვატიზმი. პირველ რიგში ეს ითქმის ლარინების ახლობლებზე, რომელთა სტუმარი ტატიანა იყო. მათთან გაცნობისას უნებლიეთ გაგონდებათ ფამუსოვის მოსკოვის საზოგადოების წევრები, რომლებსაათვის ისევე უცხო იყო ცივილიზაციით გამოწვეული გარდუვალი ცვლილებები, როგორც პროვინციის არისტოკრატებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას ლარინების სოფლელ სტუმრებზე, რომლებიც ბევრად არაფრით განსხვავდებოდნენ მათი მოსკოველ ნათესავებისაგან. თუმცა ისიც უდავოა, რომ ტატიანას ბუნების რიგი მომხიბლავი თვისება სწორედ მისი დაბალი წრის წარმომადგენლებთან ახლო ურთიერთობით არის შთაგონებული. ტატიანა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ტოლებისაგან, ბევრს კითხულობდა, უყვარდა მართობა, გაუბრბოდა პროვინციაშიც მოღად ქცეულ მეჭლისებსა და ხმაურიან თავყრილობებს. სულიერ სიმშვიდეს პოულობდა ბუნების წიაღში და ძიძასთან საუბარში, რომელიც გატაცებით უყვებოდა ზღაპრებსა და თქმულებებს. ყოველივე აღნიშნულის შედეგად ტატიანა ჩამოყალიბდა ბრწყინვალე ქალად, საუკეთესო თვისებების მქონე მანდილოსნად. რომლის მაღალი ინტელექტი და მდიდარი სულიერი სამყარო ხიბლავს ფართო მკითხველთა საზოგადოებას.



სულ რამდენიმე სტრიქონში შეძლო პუშკინმა აესახა ტატიანას უაღრესად პოეტური ბუნება:

ამრიგად, ერქვა მას ტატიანა,  
იგი იყო წიფელ რაქვა ბახსით,  
არც სიხარულით იყო დისთანა,  
არ მოგტაცებდათ თვალს სილამაზით.  
მორცხვი, სევდასთან მარტოდ შთენილი,  
უტყვი, მშობარა, მფრთხალი შველივით,  
მშობლიურ სახლშიც ფიქრად წასული  
გეგონებოდათ სხვისი ასული.

ბავშვურ ცეტობას ვეღარ უძღვებდა;  
გაფაციცებით, ხარბად უსმენდა  
საშინელ ამბავს ღამით, ზამთარში,  
გული რჩებოდა ნათქვამ ზღაპარში...

(336—337)

როდესაც, სრულიად შემთხვევით, მის სახლში გამოჩნდა დის საქმროს მეგობარი ევგენი ონეგინი. ტატიანამ გადაწყვიტა, რომ ონეგინი სწორედ ის გმირია, რომელიც მისმა ფანტაზიამ შექმნა და რომელსაც დიდი ხანია ელოდა სიყვარულს მოწყურებული მისი სული. „და, ჰა, ვლირსა... თვალი აეხილა, ქალწულს აღმოხდა: სწორედ ის არის!“.

ტატიანა სიყვარულის ფაქიზ გრძნობას სანამდე შეეძლო სათუთად ინახავდა, თავის დარდსა და ფიქრებს არავის უზიარებდა, კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და გატაცებით მიეცა რომანების კითხვას, თითქოს იქ ეძებდა პასუხსა და სიმშვიდეს აფორიაქებული სულისათვის; ხან ემიჯნებოდა და უკუაგდებდა მაცდურ გრძნობას, ხან კი მის ტყვეობაში დღეები გადიოდა. საბოლოოდ ტატიანა დარწმუნდა, რომ მისი სიყვარული ონეგინისადმი ერთობ ძლიერია და მას არ ძალუძს და არც სურს დათრგუნოს ეს გრძნობა, რომლის გამო იგი მზად არის გადადგას გაბედული. მაგრამ, ამავე დროს, მეტად სახიფათო ნაბიჯი...

პუშკინის ჩანაფიქრის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ მწერალმა იდეალურ გმირს ეპოქისათვის სრულიად უჩვეულო და მიუღებელი ნაბიჯი გადაადგმევინა. განა პროვინციაში მამა-პაპათა ტრადიციებზე გავრდალ ქალწულისათვის დიდი გამბედაობა არ იყო პირველს მიეწერა სატრფიალო ბარათი რჩეულისათვის? რამდენი შინაგანი სუბიექტური და გარეშე ობიექტური წინააღმდეგობები უნდა გადაელახა ტატიანას ვიდრე მიიღებდა გადაწყვეტილებას პირველს გაემყვანებინა ფაქიზი გრძნობა. უპირველეს ყოვლისა, მან ხომ აშკარად ზურგი შეაქცია მოძველებულ ადათსა და ჩვევებს...

ტატიანა ლარინას წერილი ონეგინისადმი თავისი პოეტური ღირსებით დღესაც მიუწვდომელ ნიმუშად რჩება ლიტერატურაში. რამდენ ღრმა აზრს, სპეტაკ და გულწრფელ გრძნობას, რამდენ ქალურ სინაზესა

და სათნოებას, უშუალობასა და უბრალოებას დაინახავს მასში მკითხველი. რამდენი სიტბო და ალერსია ჩაქსოვილი ბარათის მარტივ, ყველას გულში ადვილად ჩამწვდომ სიტყვებში.

ასეთი ბარათის წაკითხვის შემდეგ მხოლოდ ეგოისტს, თავისთავში უზომოდ შეყვარებულ ონეგინს შეეძლო დიდაქტიკოსის პოზა დაეკირა და გულცივად უკუეგლო უმანკო ქალის ცრემლნარევი ვედრება:

წერილს გწერთ, მეტი რა შემეძლება?  
სხვა რა სათქმელი მრჩება საშველად?  
ახლა კი ვიცი, ნება გეძლევათ —  
ზიზილი მიიღოთ ჩემს დასასყელად.  
მაგრამ თუ წამლად მოგეძევათ  
სულ მცირე ცვარიც სიბრაულისა,  
არ მიმატოვებთ ბედშავს უღირსად.

(358)

ანდა წერილის ბოლო სტრიქონები რამდენ სულიერ ტკივილს იტყვენ, რა სინაზითა და მოკრძალებით მიმართავს ტატიანა თავის მიჯნურს, რამდენი განცდა და შიშია ერთმანეთში არეული... აქ ხომ პოეტის იდეალური გმირი სხვა ასპექტში წარმოგვიდგება:

შენ გიციდი: მხოლოდ ერთი დახედვით  
გამიცოცხლებდე ჩამქრალ იმედებს,  
ან მძიმე სიზმარს გადამიკვეთდე,  
ვაგლახ, საკადრის წამოძახებით.  
ვამთავრებ ვშიშობ კვლავ გადაკითხვას...  
სირცხვილით ვიწვი და ვიდავები...  
მაგრამ თქვენს სინდისს ვენდე განმკითხავს,  
და ის იქნება ჩემი თავდები...

(360)

ტატიანა ლარინას ავტორი გვიხატავს, როგორც თავდაპირილს. საზრიანს. მოკრძალებულსა და კეთილშობილ მანდილოსანს. მწერალი ხაზგასმით წარმოაჩენს გმირის პატრიოტიზმს, მის უანგარო სიყვარულს მშობლიური კუთხისადმი, სადაც ტატიანასათვის ნაცნობი და მახლობელია მდინარე თუ ხეობა, ბუჩქნარი თუ ცადატყორცნილი მუხნარი. პოეტს არ ავიწყდება რუსეთის პეიზაჟისათვის დამახასიათებელი თვალუწვდენელი ველები, პურის ყანებითა თუ საძოვრებით. მშობლიური პეიზაჟი და მასთან რომანის გმირების დამოკიდებულება ავტორს საშუალებას აძლევს ახალი კუთხით დაგვანახოს ისინი. შემთხვევითი არ არის, რომ ლირიკულ გმირსა და ონეგინს შორის განსხვავების ერთ-ერთ ნიშნად პოეტმა მათი ბუნებასთან დამოკიდებულება დაასახელა. განსხვავებით ონეგინისაგან ტატიანას ბოლომდე და თავდავიწყებით უყვარს მშობლიური მხარე. ამ სიყვარულს ვერ დაჩრდილავს ვერც პეტერბურგის არქიტექტურ-

რულ ნაგებობათა სილამაზე და ვერც მისი უჩვეულო წარმატება მაღალ საზოგადოებაში, რომლის ქცევისა და მოღის ეტალონი გახდა. იგი მზად იყო უყოყმანოდ დაეთმო ყოველივე და მშობლიურ კუთხეს დაბრუნებოდა:

ოღონდ, ონეგინ, ამ ფუფუნებას,  
აბზარ ყოფნის ყალბ სამკაულებს,  
ჩემს წარმატებებს დიდებულებთან,  
მოღურ სახლს ჩემსას და საღამოებს  
განა რამედ ვთელი? მზად ვარ ამაღდროს:  
მთელ ამ ძველმანებს სამასკარადოს,  
ამ პეწს, ამ ხმაურს და ბულს ვარჩიო  
ის წიგნის თარო, ბალი საჩრდილო,  
ის ჩვენი ძველი ბინა საწყლური,  
ის სანატრელი მიღამოები,  
. . . . .  
ის სასაფლაო ფიქრში წასული.  
ახლა საცოდავ ჩემს ძიძას სადაც  
ტოტების ჩერო და ჭვარ ადგას.

(474)

პუშკინს პატრიოტული გრძნობის გამოვლენის ახალ იმპულსს აძლევს ლარინების მოსკოვში ჩასვლის სურათის აღწერაც. მწერალი არ მალავს თავის ამალღებულ გრძნობას რუსეთის სიდიადის, ისტორიული წარსულის მქონე ქალაქისადმი. პოეტს მოსწონს მოსკოვის ქუჩებისა და ნაგებობათა მასშტაბურობა, მისი სიძველისა და სიძლიერის ამსახველი პარკები და არქიტექტურული ძეგლები.

საერთოდ მოკრძალებული და ფრთხილი ტატიანა, სანამ მოსკოვს გამგზავრებოდა, მეორედ გამოიწვევს მაღალ საზოგადოებას, ის გაბედულად და აშკარად დაარღვევს პროვინციულ არისტოკრატთა მიერ დამკვიდრებულ წესებს. რამდენი სითამამე და ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა ამ სათნო ქმნილებამ, როდესაც გამომწვევად, შინამოსამსახურეთა თვალწინ შეაღო ონეგინის სახლის კარი, მისი სოფლიდან გამგზავრების შემდეგ. ტატიანამ იცოდა რაზე მიდიოდა, მაგრამ ის არ მოერიდა ღვარჟლიან კორებსა და ბოროტთა მითქმა-მოთქმებს, რომელიც, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, უთუოდ შელახავდა გასათხოვარ ლარინას რეპუტაციას. სამაგიეროდ რაოდენ დიდი საზღაური მიიღო მან ამ ნაბიჯის გადადგმით. ტატიანა გაეცნო წიგნებს, რომლებიც ონეგინს შეურჩევია, ყურადღებით წაიკითხა ყოველი მისი შენიშვნა და მინაწერი, გაშიფრა ფრჩხილით თუ ფანქრით გაკეთებული მონახაზი... და მოხდა მოულოდნელი რამ, გაშიშვლდა ის, რასაც ონეგინი ასე საგულდაგულოდ მალავდა. მის ნამდვილ სახეს ჩამოეხადა ნიღაბი და ტატიანას წინაშე ევგენი წარსდგა, როგორც თავისთავში უზომოდ შეყვარებული ეგოისტი, რომელსაც არამცთუ საგმირო, არამედ ჩვეულებრივი საქმეც

კი უმძიმდა. ტატიანა ახლა უკვე სულ სხვა კითხვაზე ეძებდა პასუხს, გონს მოსული სხვა კუთხით შეხედავს ონეგინის წარსულსა და აწმყოს:

ცნობს დაღვრემილ და ვერაგ უხიავს,  
ჯოჯოხეთის თუ ზეცის ნაშიერს,  
ანგელოს თუ ავ ეშმას საშინელს.  
ვინ არის იგი? ნუთუ აჩრდილი  
ან წამბაძველი ან მოსკოველი  
ტანზე პაროლის ლაბადმოსხმული,  
სხვათა ჩვევათა თარგზე აკრილი,  
მოდურ ფრაზებით სავსე სიტყვარი,  
თუ პაროდია დასაუწყარი.

(437).

თუმცა აღმოჩენამ, ონეგინის ხასიათის შეცნობამ, ბევრი რამ ახლედურად დაანახვა ტატიანას, მაგრამ პირველი სიყვარულის გრძნობა მას ბოლომდე არ გაჰქრობია. იგი გათხოვების შემდეგაც დარჩა ერთგული იმ ონეგინისა, რომელიც მისმა ფანტაზიამ შექმნა. ამიტომ შეეძლო მას რომანის დასასრულს გაბედულად ეთქვა შემდეგ სიტყვები:

... ახლა თქვენი ვალია  
დამთმობთ, გამშორდეთ. გთხოვთ, ლეთისნიერო;  
ვიცო, თქვენს გულში კვლავ სხივოსნდება  
სიამაყე და პატროსნება.  
ისევ მიყვარხართ, რად ვიცბიერო?  
მაგრამ სხვისი ვარ აწ და მარადის  
და ეუერთგულეზ მას სამარემდის,  
ქალე წამოდგა. დგას ონეგინი  
გამშრალე ელდით, მუხის ღაცემით.

(475).

ტატიანა სულიერი და ხორციელი სიწმინდის ისეთი ბუნებრივი შერწყმაა, რომ მკითხველი მას დღესაც იდეალურ გმირად აღიქვამს, ცდილობს მიბაძოს და ბევრ რამეში მას დაემსგავსოს, იყოს როგორც იგი კეთილი და გონიერი, სულით მაღალი და ფაქიზი... რა თქმა უნდა. „ევგენი ონეგინში“, უპირველეს ყოვლისა, ავტორის ეპოქის გმირებია გამოყვანილი და როგორც რომანი ის XIX საუკუნის რუსეთის სინამდვილის მხატვრული გააზრების ნაყოფია, მაგრამ მწერლის მიერ შექმნილი ტატიანას იდეალური სახე იმდენად ღრმად და მასშტაბურად არის წარმოდგენილი, რომ მან გაუძლო საუკუნეთა უმკაცრეს გამოცდას, წიგნის ფურცლებიდან ხალხში გადმოვიდა, შეიძინა უკვდავება და საყოველთაო სიყვარული.

„ევგენი ონეგინის“ სიუჟეტის მეორე ხაზს ვლადიმერ ლენსკი და ოლღა ლარინა ავითარებენ. ორივე მათგანს საკუთარი რთული სულიერი სამყარო გააჩნია და დამოუკიდებელი იდეური ფუნქციებიც აკის-

რიათ. ლენსკი რომანტიკული იდეალებით გატაცებული ახალგაზრდა პოეტი, წარმოშობით ნახევრად რუსი იყო. მას უკუღმართი სინამდვილის სუსხი ჭერაც არ შეხებია და ამიტომ ცხოვრებას ვარდისფერი სათვალეებით უყურებდა. რის გამო, როგორც ეს ხშირად ხდება ყმაწვილობისას, ლენსკი ვერ ამჩნევდა სოციალურ შეუსაბამობას და ნათელი მომავლის ილუზიებით იკვებებოდა. მისი პოეტური ბუნებისათვის უცხო იყო აგრეთვე ყოველდღიური ყოფის რეალისტური განჭკვრეტა, რიგითი ადამიანთა ტკივილების აღქმა და გააზრება, იგი მთლიანად წარმოსახვით სამყაროში იმყოფებოდა. აი, როგორ მიმზიდველად აგვიწერს პუშკინი ლენსკის ვინაობასა და მის ჩამოსვლას ონეგინის მეზობლად მდებარე საკუთარ მამულში:

სწორედ იმ ხანად თავის სოფელში  
ეტლით მოქენდა სხვა მებატონეც,  
და მისი ჯევეაც სამეზობლოში  
განსჯის გარეშე არ მიატოვეს.  
ვლადიმერ ლენსკი მათთან საზღვბა,  
გეტინგენელის სრული სახედა,  
ლამაზი, თითქმის დაჯაებული,  
პოეტი, კანტონ გატაცებული.  
მან გერმანეთით, ნიღლით ნაბურთ,  
წამოიძძლვარა სიბრძნედ რუსეთში  
ლაღად ოცნება, რწმენა, ნუგეში,  
სული დიცხი და თან უცნაური,  
სტუვე-მგზნებარე გელის ძაბილი  
და შავი თმები მხრებზე დაყრილი.  
საწუთროს ცივი, ბლწი შხამგესლით  
ჭერ არ მოესწრო ყრმაყას დაზრობა,  
მომძის საღამით, ასულთ ალერსით  
გაეთბო სულის ახალგაზრდობა.

(327 — 328).

პუშკინი საგანგებოდ აღნიშნავდა ვლადიმერ ლენსკის პოეტურ ნიჭსა და გაქანებას. ამავე დროს, მისი პოეზიის სუსტ მხარედ მიიჩნევდა ახალგაზრდა შემოქმედის ირეალური სამყაროთი გატაცებას. მის ლექსებში, ავტორის გადმოცემით, ყველგან იგრძნობა რომანტიკული იდეალებისადმი ტრფიალი; ლენსკის სული წმინდაა ანკარა წყაროსავით, მაგრამ ცივი და ინერტულია ადამიანთა მიმართ. ლენსკის პოეტურ მოწოდებაზე მსჯელობა პუშკინს საშუალებას აძლევს გამოავლინოს საკუთარი კრიტიკული დამოკიდებულება რომანტიზმისადმი, როგორც შემოქმედებითი მეთოდისადმი. ამიტომ შემთხვევითი როდია ახალგაზრდა პოეტის ტრაგიკული დასასრული. ამით პუშკინმა საბოლოო განაჩენი გამოუტანა იმ თაობას, რომელიც სიყმაწვილეშივე გრძნობდა „სულიერ სიბერეს“. ლენსკის პოეზიის თავისებურებას პუშკინი ასე გვიხასიათებს:

ტრფიას უმღერდა ყმა სიყვარულის  
და მისი ლექსი იყო ნათელი,  
როგორც ფიქრები სათნო ქალწულის,  
როგორც სიზმრების გზა ყრმობამდელი,  
როგორც მშვილ ცაზე მთვარე ფერმკრთალ  
ხეაშიალის და ოხერის ღმერთქალი.  
უმღერდა იგი გაყრას ნაღვლიანს,  
რალა ბუნდოვანს, სივრცეს ჭანდიანს.  
რომანტიკული ვარდის ტრფიალი,  
უმღერდა იგი ქვეყნებს შორეულს,  
სადაც ხანგრძლივად ცრემლებს მორეულს  
ყრუ სიჩუმეში ღვრიდა მტირალი;  
სიცოცხლე მკენარად ესახებოდა,  
ოდეს თვრამეტი წლისა ხლებოდა.

(329).

ამ სტრიქონების წაკითხვისას უნებლიეთ გვახსენდება პუშკინის ის ადრინდელი ლექსები, რომლებშიც აისახა მისი ამალღებული რომანტიკული განწყობილება. ამიტომაც ბუნებრივად გვეჩვენება ასოციაცია, გამოწვეული ლენსკის შემოქმედებითი ცხოვრების აღწერით, რომელიც ახლოსაა თვითონ ავტორის სიჭაბუქესთან. მით უფრო ანგარიშგასაწევია მწერლის მიერ რომანტიზმის საწინააღმდეგოდ გამოტანილი მკაცრი განაჩენი. როგორც უკვე ითქვა, „ვეგენი ონეგინზე“ მუშაობის დროს, რომანტიზმი პუშკინისათვის განვლილი ეტაპი იყო, რის შესახებაც რომანის ერთ-ერთ ლირიკულ გადახვევაში ავტორი პირდაპირ ლაპარაკობს:

ლორდ ბარონის ეინი ბრწყინვალედ  
რომანტიზმსვე ურევს მოასხამს  
თვით ეგოიზმის უსასობასაც.  
ძმებო, რას ვპოვებთ აქ სასიკეთოს?  
ეგებ მიპირებს ზეცა მაღალი,  
რომ პოეტობა მთლად აღმიკეთოს,  
სულს ჩამისახოს ეშმა ახალი,  
და ფერის ზავთთა არადჩამგდები,  
მდაბალ პროზამდე რომ დავმადბლდები,  
ძველი ყაიდის რომანს ხალისით  
განაერცობს დღეთა ჩემთა დაისი.  
არა მრისხანე საოცრებანი  
და ავკაცობის ტანჯვა ფარული.  
მსურს სადად გამცნოთ ქამგარდაული  
რუსული კერის გაღმოცემანი,  
ჯადო-სიზმარნო ძველთ სიყვარულის  
და წეს-ადათნი ჩვენი წარსულის.

(349—350).

მართალია, პუშკინმა რომანტიზმი უარყო, როგორც შემოქმედებითი მეთოდი, მაგრამ გულისტკივილით ეთხოვებოდა იგი სიყმაწვილის რომანტიკულ სამყაროს, იმ უღარდელ გატაცებებსა და დარდიმანდულ დროსტარებას, რომლითაც პოეტის არა ერთი ლირიკული გმირია შთაგონებული. ამავე დროს, ავტორი რომანში „ევეგენი ონეგინი“ იძლევა იმის ბრწყინვალე მაგალითს, თუ როგორ პლასტიკურად შეიძლება გამოიყენო წინამორბედთა ლიტერატურული მემკვიდრეობის ნიმუშები. ამ შემთხვევაში რომანტიკოსებისა, საკუთარი პერსონაჟების თავისებურებათა გამოსახატავად; პოეტმა სახეების შექმნის ეს ხერხი ჩინებულად გამოიყენა ლენსკის ხასიათის ძერწვის დროს. ასევე გაბედულად მიმართავს პუშკინი ლირიკული თუ ეპიკური გმირების შექმნისას კლასიციზმისა და სანტიმენტალიზმის მიმდევარ მწერალთა სახვით საშუალებებს, რომელთა წყალობით საჭირო ეპოქალური ატმოსფერო იქმნება. ამავე დროს, პოეტს ერთი წუთითაც არ ავიწყდება ძირითადი ამოცანა და ყოველივე აღნიშნულს ჯადოქრული ხელოვნებით „ევეგენი ონეგინის“ სიუჟეტურ ქარგას უმორჩილებს. ამ გზით პერსონაჟებმა მეტი ცხოვრებისეული უღერადობა მიიღეს, უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგინეს ის სოციალური თუ სულიერი სამყარო, რომლის გახსნას ავტორი გვთავაზობს. ასეთი, ერთი შეხედვით, მარტივი ხერხით იქმნება რომანის ის მრავალფეროვანი მხატვრული შრე, რომელსაც რთული ეპოქის კვალი აჩნია.

ლენსკის ტრაგიკულ დასასრულთან დაკავშირებით პუშკინი გვთავაზობს ვრცელ მსჯელობას ხელოვანის ვინაობისა და ხელოვნების რაობის შესახებ. აშკარა გულისტკივილით წერს იმდროინდელ რუსეთში მწერლის სავალალო ბედზე, რომელსაც იშვიათად თუ ასცდენია უღროლო დაღუპვა. მაგრამ პუშკინს ლენსკის ფიზიკურ სიკვდილზე მეტად მისი პოტენციალური შესაძლებლობების, მაღალი შემოქმედებითი იდეალების განუხორციელებლობა აწუხებდა. მწერალმა კარგად იცოდა, რომ პოეტის სიკვდილი, განსაკუთრებით, ქაბუკობისას, ბევრ კეთილ აზრსა და წამოწყებას დაუსვამდა წერტილს. ლენსკის უამრავი საშვილიშვილო საქმე დარჩა გაუკეთებელი. სწორედ ამის გამო ჩააქსოვა პოეტმა ესოდენ დიდი მწუხარება და სინანული რომანის იმ სტრიქონებში, სადაც აღწერილია ლენსკის დაღუპვა:

ეგებ ის ქვეყნის სიკეთისათვის  
და ან დიდების ღირსად შობილა;  
ეგებ აწ ჩუმი ჩანგით სიმართლის  
უწავებტ გუგუნად, ხმაშეწყობილად  
საუკუნეებს გადასწვდენოდა,  
ეგება პოეტს ხვედრი სწვეოდა  
და ღირსებოდა მზით გაჩაღებულს  
ცხოვრების კიბის მაღალ საფეხურს.  
მოწამებრივმა მისმა აჩრდილმა

ეგებ წაიღო თან ხეაშიად  
წმინდა, და ჩაქრა ჩვენთვის დიადი,  
ცხოველყოფელი ხმა საფლავს შინა,  
სად დროის ჰიმნი ველარ მისწვდება,  
ვერც თაობათა ლოცვა-დიდება.

(422—423).

პოეტი არ გამორიცხავდა ლენსკის საწინააღმდეგო ხვედრსაც. მის შემობრუნებას მშვიდი და უზრუნველი ცხოვრებისაკენ, რაც შემოქმედებითი წვის, პოეტური ფანტაზიის დაცხრომას მოასწავებდა. მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო ლენსკის აზროვნების მეტამორფოზა, პუშკინს გული შესტკივა და ჩვენც გვიხმობს, გავიზიაროთ მისი განცდები:

მაგრამ მკითხველო, რა გზას მოვძებნით,  
ვაგლახ! კაბუკი შეყვარებული,  
პოეტი ფიქრის, მაღალ ოცნების  
წეის მეგობრისგან წესაგებული!

(423).

კითხულობთ ამ სტრიქონებს და ფიქრობთ, როგორი უღმობელი და გაუტანელია წუთისოფელი, რამდენ მოულოდნელ სიურპრიზს უმზადებს იგი ისეთი გენიალური ნიჭის პატრონსაც კი, როგორც პუშკინი იყო. მართლაც რომ, ბედის უკუღმართობით პოეტის სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდება. ექვსი წლის შემდეგ არამზადის ტყვია, როგორც ეს რომანშია აღწერილი, უაზრო დუელში სამუდამოდ ჩააქრობს პუშკინის ანთებულ გონებას. ვაგლახ! მართლაც რამდენი სიბრძნე, რამდენი ნათელი ნააზრევი და სათქმელი წაიღო თან ამ ბუმბერაზმა აღამიანმა!..

თუ ლენსკის ხასიათში პუშკინი საგანგებოდ ხაზს უსვამს შემოქმედებითი ნიჭის პოტენციალურ შესაძლებლობის მასშტაბურობას და მისი უაზროდ დაღუპვის გამო ბევრ რამეზე ჩაგვაფიქრებს, სულ სხვა სიბრტყეზეა გააზრებული ოღლა ლარინას სახე. ამ შემთხვევაში პოეტს აინტერესებს ბუნების წიაღში აღზრდილი პროვინციელი ლამაზმანი, რომლის ინტერესი პირადი ცხოვრების კეთილმოწყობასა და ბუნებრივი ინსტინქტების დაკმაყოფილებას არ გასცდენია. ოღლას მხიარული, უდარდელი ყოფის გარდა სხვა არაფერი იზიდავდა, ამიტომაც იოლად გადაიტანა მან საქმროს ტრაგიკული დაღუპვა, მალე გამოიგლოვა იგი და ულანის ოფიცერს გაჰყვა ცოლად. ოღლას ასეთი მოქმედების ფონზე უფრო გამოკვეთილად სჩანს მისი დის ტატიანას ხასიათი, მისი მტკიცე და კეთილშობილი ბუნება... ოღლას თითქოს არაფერი არ უნდა აკავშირებდეს ონეგინთან, მაგრამ რა ადვილად აჰყვა იგი ამ ბო-



როტი სულის ცდუნებას, მასთან ცეკვის დროს თავს ისე გრძნობდა, თითქოს დიდი ხნის მეგობარი ყოფილიყო, რითაც უსაფუძვლო მიტქმამოტქმის საშუალება მისცა ჭორების მოყვარულ სტუმრებს; სწორედ ეს იყო მიზეზი რომანტიკული იდეალების მოტრფიალე ლენსკის პატივმოყვარე გრძნობის ანთებისა, რაც ჩვენთვის უკვე ცნობილია, თუ რით დამთავრდა. მაგრამ ონეგინისაგან განსხვავებით ოლლა თავის გრძნობებსა და მოქმედებაში ხალასია, მას არ სჭირდება ნიღაბი, რომელსაც ასე ვერაგულად იყენებს ონეგინი. მოთხოვნაც, რომელსაც ოლლა ცხოვრებას უყენებს, მისი წრის წარმომადგენლისათვის სავსებით ლოგიკურია და ამიტომაც ადვილი ასახსნელი. ისეთი ბუნებისა და აღზრდის პატრონი, როგორც ოლლა იყო სხვას ვერაფერს ინატრებდა. ამის გამო მკითხველი მას ბევრს პატიობს. სამაგიეროდ ვერ ვიტყვით, რომ ავტორმა ყველაფერი აპატია ოლლას; სიტყვებში, რომლებიც მის საქციელს შეეხება, აშკარად იგრძნობა მწარე ირონია. პუშკინს არ მოსწონდა ლარინას მოვლენების დინებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობა, მისი პასიურობა და უდარდელობა. სწორედ ოლლას ასეთი მოქმედებით გამოწვეულ განწყობილებას გრძნობს მკითხველი რომანის შემდეგ სტრიქონებში:

ჩემი საწყალი ლენსკო! ვარაძით  
 მის სატრფოს დიდხანს არ უტრეძლია.  
 ეაგლას! საცოლის კენესა ვალაღი  
 განა სანდოა და გულწრფელია?  
 ..  
 ა, საუღარში მასთან დადგება,  
 გვირგვინქვეშ მორცხვად გაიზაბება  
 საკურთხეველის წინ თავდახრილი,  
 ცეცხლოვან თვალთა ამო მიბნედეით.  
 ბაგეთა ლდი გამოლიმებით.

(430—431).

ასეთი ბუნებრივი, ძალდაუტანელი ხერხით რომანში იქმნება ის ცოცხალი ატმოსფერო, წმინდა პუშკინისეული კოლორიტი, რომლის გარეშე „ევგენი ონეგინი“ ვერ იქნებოდა ეტაპური მნიშვნელობის ქმნილება.

ნიშანდობრივია შემდეგიც: მართალია, პუშკინი ცდილობდა ევგენის დახატვით XIX საუკუნის ახალგაზრდობის განზოგადებული სახე მოეცა, ამის შესახებ თვითონ მას არაერთგზის უთქვამს, მაგრამ რომანზე მუშაობის დროს, როგორც ეს ხშირად ხდება დიდ მწერალთან, საგრძნობლად გაფართოვდა იდეური და შინაარსობრივი ჩარჩო, გაიზარდა სინამდვილის რეალისტური ასახვის პერსპექტივები, რის შედეგად „ევგენი ონეგინი“ ქეშმარიტად ენციკლოპედიურ მხატვრულ მოვლენად იქცა. სწორედ ცხოვრებისეული მოვლენების რეალისტურმა გააზრებამ

მოსთხოვა ავტორს სიუჟეტური ხაზის გართულება. სავსებით ნათელი გახდა, რომ ერთი მხატვრული სახე, რარიგ ტევადიცი არ უნდა ყოფილიყო იგი, არამცთუ მთლიანად XIX საუკუნის ახალგაზრდობის გამომსახველი ვერ იქნებოდა, არამედ ერთ გმირში შეუძლებელი შეიქმნათვით თავადაზნაურთა ყველა ფენის ინდივიდუალურ სახესხვაობათა განსახიერება. რაოდენ განსხვავებული ხასიათებია მოცემული ონეგინის, ლენსკის, ტატიანას, ოლლასა და სხვათა სახით, რომ არაფერი ვთქვათ რომანის ლირიკულ გმირზე!.. შემთხვევითი არც ისაა, რომ „ევგენი ონეგინში“ უშუალო ასახვა ვერ ჰპოვა დეკაბრისტთა წარმომადგენელმა. პოეტის ცდა, ეს მისია ლენსკისათვის დაეკისრებინა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, უშედეგოდ დამთავრდა. ვერც ონეგინის სავარაუდო მეტამორფოზა უპასუხებდა ამ მოთხოვნებს. ბუნებრივია. ყოველივე ამის ახსნა არც ცენზურული მოსაზრებებით იქნებოდა გამართლებული. ჩვენის აზრით, პრობლემის გაშიფრვა გაცილებით უფრო რთულია, ვინემ ეს ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ერთი წუთით დავუშვათ, პუშკინს ან ონეგინისათვის, ან ლენსკისათვის მართლაც დაეკისრებინა დეკაბრისტთა რადიკალური იდეალების ხორცშესხმა, რამდენად გაყალბდებოდა მათი მხატვრული სახე, რამდენს დაკარგავდა თვით რომანი, როგორც ხელოვნების ნიმუში. ასეთ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, რომანის პერსონაჟები დაკარგავდნენ თავიანთ სოციალურ და ინდივიდუალურ სახეს, გაყალბდებოდა ნაწარმოების მთელი იდეური ჩანაფიქრი, რომ არაფერი ვთქვათ რომანის რეალიზმზე.

გულისწყრომა, რომ „ევგენი ონეგინში“ დეკაბრისტებს არა ჰყავთ კონკრეტული წარმომადგენელი, ასეთი შეხედულება კი დღემდე გვხვდება პოეტზე შექმნილ ლიტერატურაში, არაფრით გამართლებული არ არის. პირიქით, დიდი მხატვრის პოეტურ ალლოს უნდა ვუმაძლოდეთ, რომ მან არ უღალატა რეალიზმის მოთხოვნებს და თავი შეიკავა იმ მოვლენების კონკრეტული ასახვისაგან, რაც შეიძლება მაშინ მისთვისაც გაუგებარი იყო. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ პუშკინი მხატვარია და ამიტომაც მან მთელი სისრულით გამოიყენა თავისი უფლებები ეპოქალური ტილოს შესაქმნელად, სადაც საოცარი ხელოვნებით ჩააქსოვა დეკაბრისტული იდეალების განუმეორებელი სუნთქვა. რუსეთის ცხოვრების ამ მეტად მნიშვნელოვანი პერიოდის გამოძახილი იგრძნობა რომანის ყველა პასაჟში.

„ევგენი ონეგინის“ სხვა პერსონაჟებიდან უთუოდ დიდი სიყვარულითაა ნაძერწი ტატიანას ძიძის სახე. იგი რუსი ყმა გლეხი ქალის კეთილი ბუნების ცოცხალი განსახიერებაა. აშკარაა, რომ ძიძის კოლორიტული ხასიათის გააზრებისას პუშკინს გამოყენებული აქვს საკუთარი გამზრდელის თვისებები, მისი მდიდარი ადამიანური ღირსება, მოგვიანებით თვითონ ავტორი იტყვის ამის შესახებ. შემთხვევითი არც ის

არის, რომ პოეტი რომანის სხვა ადგილასაც უშუალოდ მიმართავს აღმზრდელის სათნო ბუნებას და პირდაპირ წერს მასზე:

მე კი ოცნების ნაყოფს მაღლიანს  
და კეთილშოვან სიტყვათქმედობას  
უუკიოხავ მხოლოდ მოხუც გაღიას,  
ჩემი ბავშვობის ძვირფას შეგობარს.

(379).

ამ სტრიქონებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს თვითონ რომანის შექმნის ისტორიისათვის. რომანში მითითებულია აგრეთვე „ბორის გოდუნოვის“ დამთავრების პერიოდიც... საერთოდ კი „ევგენი ონეგინში“ წშირად გვხვდება ავტობიოგრაფიული დეტალები, განსაკუთრებით რომანის ლირიკული გმირის ხასიათში, რომელიც ესოდენ დიდ როლს ასრულებს ნაწარმოების არა მხოლოდ იდეურ-შინაარსობრივი თავისებურებების ჩამოყალიბებაში, არამედ თვით კომპოზიციური ქარგის შექმნაშიც. ლირიკული გმირის სუნთქვა იგრძნობა მაშინაც, როდესაც მწერალი ობიექტურ მოვლენებს აღწერს.

ლირიკულ გმირს რომანში ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციები აკისრია. მდიდარი და მრავალფეროვანია მისი სამოქმედო ასპარეზი; სად და რა სიტუაციაში არ გვხვდება იგი! ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ავტორი სულმოუთმენლად ელის შემთხვევას, ჩაერთოს თხრობის პროცესში და ვრცელი ლირიკული გადახვევებით მიაწოდოს მკითხველს ახალი ინფორმაცია. ყოველივე ეს ხდება საოცარი ახალგაზრდული აზარტით, რაც რომანის ტექსტს უჩვეულო სიცოცხლესა და ქმედით ძალას მატებს. იზრდება ნაწარმოების ემოციურობა მაშინაც, როდესაც ლირიკული გმირი მიმართავს მკითხველს, ანდა როცა თხრობის ქსოვილში შეტანილია დიალოგის ცალკეული კომპონენტი. ამავე დროს, ავტორი ლირიკულ გადახვევებში ისეთ უხვ და ეპოქის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის, რომ მათ გაუთვალისწინებლად უბრალოდ წარმოუდგენელია „ევგენი ონეგინის“ ენციკლოპედიური ხასიათი.

სწორედ ლირიკული გმირის წყალობით ვეცნობით ჩვენ ავტორის შეხედულებას წარსულსა და მისი თანამედროვე ცხოვრების უამრავ მოვლენებზე, ლიტერატურისა და ხელოვნების მწვავე პრობლემებზე, აღზრდისა თუ თავდაზნაურთა ყოფის ნეგატიურ საკითხებზე, იგივე იტქმის პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე, ადათ-ჩვევების კონსერვატიზმზე. ლაპარაკია ყმა გლეხთა უმწურო ხვედრზე, მემამულეებისადმი მათ მტრულ დამოკიდებულებაზე, იმ სოციალურ და პოლიტიკურ უუსაბამობებზე, რომლის მოგვარება აუცილებლობას წარმოადგენდა. ლირიკულ გადახვევებში პუშკინი ავლენს თავის დამოკიდებულებას რუსული და მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებისადმი, იგრძნობა საუკუ-

ნეთა გამოძახილი. გამოკვეთილია მისი პოზიცია პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, ტრადიციისა და მემკვიდრეობის საკითხებზე. განცვიფრებას იწვევს პოეტის ინფორმირებულობა და ჩაწვდომის უნარი ყმა გლეხთა ყოფის წვრილმან დეტალებშიაც კი, რომ არაფერი ვთქვათ, საკვირბოროტო საზოგადოებრივ პრობლემებზე, რომელიც ასე აწუხებდა ყველა ღირსეულ მამულიშვილს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „ევგენი ონეგინის“ ლირიკულ გადახვევებსა და რემარკებში, ისე როგორც მთლიანად რომანში, პუშკინს არ გამოჩენია ეპოქის არც ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის მიმართ თავისი დამოკიდებულება არ გამოემქდავებინოს და ყოველივე ამას ავტორი მაღალ და ფაქიზ ლირიზმში ჰხვევს, რომელიც მთელ თხრობას თავიდან ბოლომდე გაჰყვება.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ლირიკული გადახვევებისა და რემარკების სიუხვე ბევრად უწყობს ხელს ნაწარმოების ექსპრესიულობას, თანაც ავტორი იჩენს ვირტუოზულ ხელოვნებას, რათა ლირიკული და ეპიკური უწყვეტ მთლიანობაში წარმოგვიდგინოს, რის შედეგადაც იქმნება სრულიად ახალი ყანრის ნაწარმოები, რომლის ავტორი არავეს არ ბაძავს და არავეს არ იმეორებს; თუმცა მანამდე ცნობილი იყო რომანის ლექსად შექმნის არა ერთი მაგალითი, გავიხსენოთ თუნდაც ბაირონის „დონ უჟანი“, მაგრამ სრულიად დამაჩერებლად ქლერს მტკიცება იმის შესახებ, რომ „ევგენი ონეგინი“ ორიგინალური, მრავალფეროვანი რეალისტური ნაწარმოებია, სადაც ჯერ ერთმანეთს ავსებენ, ხოლო საბოლოოდ ორგანულად შეკრულ გრანდიოზულ ტილოს ქმნიან სხვადასხვა ზომისა და ხასიათის ლიტერატურული ფორმები და ფენომენები.

მდიდარი და მრავალფეროვანია რომანის ენა. აქ პუშკინი ხალხურსა და სალიტერატურო ლექსიკას უსადაგებს ერთმანეთს და ამით უზრუნველყოფს პერსონაჟთა მეტყველების ინდივიდუალობას.

ნაწარმოების რეალისტურ ქლერადობას აძლიერებს პეიზაჟიც, რომლის ცოცხალი სურათები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ მკითხველებზე, უბრალო, მაგრამ ღრმა ლირიზმით გამსჭვალული ბუნების სურათები ეხმარება ავტორს მეტი სისრულით გადმოგვეცეს გმირთა შინაგანი განწყობილება, მათი ხასიათი. პუშკინი არც ქალაქის პეიზაჟს ტოვებს უყურადღებოდ.

კითხულობთ პუშკინის ამ უკვდავ ქმნილებას და უნებლიეთ გებადებათ კითხვა, ნუთუ საუკუნე-ნახევრის მანძილზე ადამიანთა ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა, რომ პოეტის მიერ შექმნილი სინამდვილე ასე ახლოა შენთან, ასე გიტაცებს და გატყვევებს?! უთუოდ შეიცვალა და თითქმის რადიკალურადაც, მაგრამ უცვლელი რჩება და ყამთა მსვლელობას არ ემორჩილება მწერლის მიერ შექმნილი სამყარო, რომელიც მარადისობის კანონს ექვემდებარება, სადაც ადამიანთა ხასიათი,

მათი ბუნება ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნების შესაბამისადაა გააზრებული. ამას კი შემოქმედი მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც ღრმად წვდება მოყვასის სულიერ იმპულსებს, ჰყოფნის გამბედაობა წარმოაჩინოს საზოგადოების ყველა მანკიერი მხარე და ყველას თავისი მიუზღას: კეთილს კეთილი, ავს ავი. პუშკინი ენდობოდა ადამიანს, უყვარდა იგი და სწამდა მისი სიდიადე. დიდი ჰუმანისტი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის საუკეთესო შვილები უკომპრომისო ბრძოლას გამოუცხადებდნენ თვითმპყრობელობას და, ადრე თუ გვიან, მიაღწევდნენ თავისუფლებას.

„ევგენი ონეგინში“ ავტორმა რთული და წინააღმდეგობრივი სინამდვილის მანამდე მიუწვდომელ რეალისტურ ასახვას მიაღწია. ამ გრანდიოზულ ამოცანას სხვა პოეტურ ხერხებთან ერთად სრულად ემსახურება რომანის არქიტექტონიკაც, ისე როგორც ლექსის ზომის მრავალფეროვნება და სიუჟეტის განვითარების დინამიურობა. ამიტომაც რომანი თავის ფორმითა და შინაარსით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ახლოა ხალხურ ეპოსთან, „ევგენი ონეგინი“ ეპოქალური და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებით აღსავსე მხატვრული ტილოა.

პუშკინის შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდი აღნიშნულია აგრეთვე უაღრესად დახვეწილი პოეტური შედეგებით, როგორცაა პოემები „პოლტავა“ და „ბრინჯაოს მხედარი“. პოეტი ამ ტილოებში აგრძელებს პეტრე პირველის თემას, რომლის დამუშავება ადრევე დაიწყო და გამოაქვეყნა კიდევ ამ თემის ამსახველი რამდენიმე ლექსი („მოგონებები ცარსკოე სელოში“, „სტანსი“ და სხვ.). განსხვავებით ადრინდელი ნაწარმოებებისაგან პოემებში პუშკინი გვისურათებს პეტრე პირველის რეალისტურ სახეს. იგი არა მხოლოდ დიდი სახელმწიფო მოღვაწე და რეფორმატორია. მის საქმიანობას ახასიათებს მონარქებისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობა და გაუმართლებელი დესპოტიზმი, რაც ძირითადად მოსახლეობის დაბალი ფენების წინააღმდეგ იყო მიმართული. დიდი ჰუმანისტის რეალიზმის ძალა სწორედ იმაში ვლინდება, რომ ყოველივე აღნიშნული ხელს არ უშლის პოეტს სათანადოდ შეაფასოს პეტრე პირველის გარდაქმნების ისტორიული მნიშვნელობა, ისე როგორც მის მიერ ჩატარებული განმათავისუფლებელი ომების ეროვნული მნიშვნელობა. ნათქვამი განსაკუთრებით „პოლტავას“ შეეხება.

პოემა „პოლტავაში“ ნათლად ჩანს პეტრე პირველის გადამწყვეტი როლი შვედების წინააღმდეგ ბრძოლაში. პუშკინი საგანგებოდ წარმოაჩენს მეფის ორგანიზატორულ ნიჭს, მისი ბუნების დემოკრატიულ მხარეს, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა პეტრე პირველის ზეგავლენის ძალა მასებზე. სამშობლოს დაცვის სულისკვეთებით გამსჭვალული ხალხი თავდადებით იბრძოდა, ჭირსა და ლხინში გვერდში ედგა მეფეს და არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა რუსეთის გმირულ ისტორიაში, რომლითაც სამართლიანად ამაყოფს მომდევნო თაობა.

დიდი პოეტი „პოლტავაში“ გვერდს არ უვლის აგრეთვე რთულ საერთაშორისო პრობლემებს, იგი დამაჯერებლად აშუქებს პოლონეთ-უკრაინის წინააღმდეგობას, ხოლო თავის მხრივ ამ ორი ქვეყნის დაძაბულ ურთიერთობას რუსეთთან, რამაც გარკვეულად განაპირობა შვედების წინააღმდეგ ბრძოლის მწვავე ხასიათი. ასევე დამაჯერებლადაა აღწერილი ამ ქვეყნებს შორის შუღლისა და მტრობის გამომწვევი მიზეზები. რეალისტურად არის წარმოდგენილი აგრეთვე ისტორიული გმირების ხასიათები. პუშკინმა პოემაში ინდივიდუალურისა და საზოგადოებრივი საწყისების ორგანული შერწყმით შექმნა მაზეპას, კოჩუბის, მარიას, კარლ XVI-სა და სხვათა კოლორიტული ხასიათები. მიუხედავად პეტრესადმი პოეტის ამადლებული რომანტიკული დამოკიდებულებისა, „პოლტავაში“ ავტორი არ მალავს მონარქის სისასტიკესა და მის თავშეუკავებელ ბუნებას.

პოემა „ბრინჯაოს მხედარში“ პეტრე პირველის მოღვაწეობის ხასიათზე, მისი რეფორმების სოციალურ შეზღუდულობებზე ლაპარაკია გადატანით, ალეგორიულად, მაგრამ ავტორის პოზიცია ფართო მკითხველისათვის ადვილი გასაგებია, მკითხველი ასევე ადვილად აღიქვამს პოეტის კრიტიკულ დამოკიდებულებას მონარქის გადაწყვეტილებებისადმი ქაობში ქალაქის აგების თაობაზე. პუშკინმა თავისი ასეთი დამოკიდებულება პეტერბურგის წარსულსა და აწმყოსადმი გამოხატა პოემის მთავარ პერსონაჟების, წვრილი მოხელე ევგენისა და მისი საცოლის ტრაგედიის დასურათებით; მათი დრამატიზმით აღსავეს უდროო დასასრულში სრულყოფილად აირეკლა პეტრე პირველის არაბოლომდე გააზრებული გადაწყვეტილების ნეგატიური შედეგი. პოემის მიხედვით აშკარაა, რომ პუშკინმა შესანიშნავად იცოდა ამ ისტორიული პიროვნების მოღვაწეობის მნიშვნელობა და იგი არც უმალავს მკითხველს თავის აღფრთოვანებას, მაგრამ მწერალმა ისიც კარგად იცოდა, რომ მონარქის ყოველი შეცდომა თუ შეგნებულად ჩადენილი დანაშაული მთელი სიმძიმით ხალხს აწევებოდა. პუშკინის ეს მოსაზრება გამოიკვეთა ევგენის იმ მუქარაში, რომელიც ბრინჯაოს მხედრის მისამართითაა გამოთქმული:

ევგენი შეკრთა. მას მოაგონდა  
კვლავ ყველაფერი: ტალღათ კრებულს,  
წარღვნის ფართობი გააფთრებული,  
სადაც სტიქიას ზეიმი ჰქონდა.  
იცნო ლომები, ნისლით ბურვილი,  
და ის მხედარი ბრინჯაოს თაეთ,  
რომლის უღმობელ ამაყ სურვილით  
ზღვასთან ქალაქი დაარსდა ავი.

მოაწვა სისხლი. ის დაღვა მკვებელ  
ამაყ კერპის წინ, ბრაზმორეული,  
და კბილთა ღრქენით, ცოფიან სახით

სი...-ა, შეპყრობილმა ძალთ გრძნულთ:  
...მაჲ კარგი, ენახოთ, აღმშენებელ...“

(294 — 295).

პოემა „ბრინჯაოს მხედარი“ ბრწყინვალე ნიმუშია იმისა, თუ როგორ დაძლია პოეტმა პირადი სუბიექტური განწყობილება რეალიზმის სასარგებლოდ და შექმნა პეტრე პირველის ისტორიულად ქვეყნარტი მხატვრული სახე. რომელიც არა მარტო აჯამებს რუსული ლიტერატურის ამ გამჭოლ თემას, არამედ კანონმდებლური აღმოჩნდება მომდევნო თაობათა მწერლებისათვის, სწორედ პეტრე I მოღვაწეობისა და მისი პიროვნების ძლიერი და სუსტი მხარის გათვალისწინებით არის შექმნილი პროგრესული ისტორიული მოღვაწის მონუმენტური მხატვრული ხასიათი აღექსეი ტოლსტოის კლასიკურ რომანში „პეტრე პირველი“, რომელმაც საქვეყნო აღიარება მოიპოვა.

ჩვენ უკვე გავეცანით „ევეგენი ონეგინის“ იმ ადგილს, სადაც საუბარია პოეტის გადაწყვეტილებაზე ხელი მოჰკიდოს პროზაულ ნაწარმოებთა შექმნას. მწერლის ასეთი ნაბიჯი თვით რუსული მხატვრული აზროვნების შემდგომი განვითარების აუცილებლობით იყო ნაკარნახები. 30-იანი წლების ლიტერატურის განვითარების თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, მაღალი დონის პროზაული ტილოების შექმნაში გამოვლინდა და ეს სავსებით პასუხობდა იმ სოციალურ-ზნეობრივ პრობლემებს, რომლებიც მწერლობის წინაშე ქვეყნის ისტორიულმა განვითარებამ წარმოშვა.

ასევე სავსებით კანონზომიერად გვესახება ჩვენ ისიც, რომ პუშკინმა პროზაულ ნაწარმოებთა შექმნას ხელი მოჰკიდა თავისი შემოქმედების სიმწიფის პერიოდში. პოეტის სიფრთხილე ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ მის დიდ მომთხოვნელობას ამ ეპოქისადმი. ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ რუსულ ლიტერატურაში პროზის განვითარების დონე ბევრად ჩამორჩებოდა პოეზიისას. კიდევ უფრო დაუშუშავებელი იყო პროზაულ თხზულებათა სამწერლო ენა, რომელსაც პოეტი „აზრის ენას“ უწოდებდა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში პუშკინს, როდესაც იგი „ევეგენი ონეგინში“ წერდა:

რა ვქნა გახსენებთ კვლავ დანანებით:  
ჯერაც რუსულად ტრფობა დამების  
არ გამოთქმულა, რაც მართალია...  
ჯერ სიზვიადე ჩვენი ენისა  
საფოსტო პროზას ვერ შეეთვისა.

(356).

მართლაც რომ დიდ პოეტს იმთავითვე აწუხებდა მშობლიური ლიტერატურის პროზაულ ნაწარმოებთა დაბალი მხატვრული დონე. ჯერ კიდევ 1822 წელს, როდესაც პუშკინმა პირველად სცადა კალამი რო-

გორც კრიტიკოსმა, იგი სინანულით წერდა: რა შეიძლება ითქვას ჩვენს მწერლებზე, რომლებსაც სამარცხვინოდ მიაჩნიათ მარტივი, ყველაზე ჩვეულებრივი საგანი აღწერონ უბრალოდ, ცდილობენ საბავშვო პროზასაც კი სიცოცხლე რთული დამატებებითა და მეტაფორებით შემატონ. პოეტს თქმულის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი მოჰყავს და ირონიულად შენიშნავს: იქნებ ეს ფრაზები იმიტოა უკეთესი, რომ გრძელიაო. პუშკინი არ დაკმაყოფილებულა არსებული პროზის შესახებ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმით, იგი თვითონ გვთავაზობს პოზიტიურ შეხედულებას ლიტერატურის განვითარების ამ რთულ პრობლემაზე. სიზუსტე და სისხარტე, წერდა პუშკინი, აი, პროზის პირველი და მთავარი ღირსება. იგი მოითხოვს აზრებსა და აზრებს, მათ გარეშე ბრწყინვალე გამოანთქვამიც კი არაფერს არ იძლევაო. დიდი მწერლის ეს მოსაზრება საპროგრამო გახდება მომავალ თაობათა ლიტერატორებისათვის, მათ დღესაც არ დაუკარგავთ ქმედითი ძალა და აქტუალობა. ამავე დროს, პუშკინი სათანადოდ აღნიშნავდა მის წინამორბედ პროზაიკოსთა დამსახურებას, განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა კარამზინის ენობრივ რეფორმას.

პუშკინი ხაზს უსვამდა კარამზინის მოთხოვნების შინაარსის დემოკრატიზმსა და პერსონაჟთა მეტყველებაში ხალხური გამოთქმების მოწოდებელ შეტანას, მას მოსწონდა კოლიზიების სიმარტივე და ხალხურობა. მაგრამ პოეტს სამართლიანად მიაჩნდა, რომ კარამზინის პროზის სტილი, მისი ემოციონალური ტონალობა თუ დასაშვებია და სავსებით ესადაგება სანტიმენტალურ თხზულებებს, შეუსაბამო და მიუღებელია რეალისტური ტილოებისათვის. კარამზინი კი, პუშკინის მოსწრებული გამოთქმით, პროზაშიც პოეზიის ენით ლაპარაკობდა.

ყოველივე აღნიშნული როდი ნიშნავდა იმას, რომ პუშკინი უგულვებლყოფდა პროზაულ თხზულებათა პოეტურობას, რომლის გარეშე უბრალოდ წარმოდგენელია მხატვრული ნაწარმოები, იქნება იგი პოეზიის. პროზის თუ დრამატურგიის ნიმუშები. დიდი მგოსნის მოთხოვნით, ხელოვნების ყველა სახეობასა და ჟანრს უნდა გააჩნდეს საკუთარი ფორმა, რომლის გარეშე იგი ვერ იქნება სრულყოფილი და ვერ მოახდენს მასაზე სასურველ ზეგავლენას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი იგი მოითხოვდა პროზაულ თხზულებათა მხატვრულ დონის ამაღლებას, მის დახვეწას; მოგვიანებით ასეთი პროზის შექმნის მაგალითი თვითონ მოგვცა. ამიტომ სრულიად სამართლიანად პუშკინი ითვლება რუსული მხატვრული პროზის მამამთავრადც. ბ. გ. ბელინსკის მტკიცებით, პუშკინამდე რუსულ ლიტერატურაში არ გვხვდება პროზაული თხზულება, რომელიც სრულად აკმაყოფილებდეს მაღალი პოეტური ქმნილების ყველა მოთხოვნას.

ბუნებრივად იბადება კითხვა, რომელმა ლიტერატურულმა მიმართულებამ განაპირობა პუშკინის ესოდენ დაუღალავი ზრუნვა რუსული



პროზის განვითარებისათვის. აქ პასუხი ერთია. XIX ს. 30-იან წლებში პროზის უპირატესი განვითარება კრიტიკული რეალიზმის შემდგომი გაღრმავებით იყო გამოწვეული, რაც თავის მხრივ, სოციალური სინამდვილის რეალისტურმა გააზრებამ განაპირობა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ურთულესი კლასობრივი ძვრები და ფსიქოლოგიური გარდაქმნები სათანადო ლიტერატურულ ფორმას მოითხოვდა, რომელსაც მთლიანად უნდა მოეცვა მრავალფეროვანი სამყარო. ამის შეუზღუდავ შესაძლებლობებს კი, როგორც ცნობილია, მხატვრული პროზა იძლევა. დიდი მწერლისათვის სავსებით ცხადი იყო, რომ სოციალური მოვლენებით დამუხტული საზოგადოების წევრთა რთული ურთიერთობის წარმოჩენა ბევრად უფრო მოსახერხებელია ეპიკური ჟანრის პროზაულ თხზულებებში, იქნება ეს რომანი, მოთხრობა თუ თქმულება. სწორედ ამან განსაზღვრა პროზის პოპულარობა საზოგადოების დემოკრატიულ ფენებში, რაც მხედველობიდან არ გამოჩენია დიდ ჰუმანისტს. მოთხრობებსა და რომანებს, წერდა პუშკინი, ყველგან და ყველა კითხულობსო.

ყოველივე აღნიშნულის გამო პუშკინმა არა მარტო თვითონ მოჰკიდა ხელი პროზაულ ნიმუშების შექმნას, არამედ სხვებიც დაარწმუნა რუსული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის მხატვრული აზროვნების ამ ფორმის სრულყოფის აუცილებლობაში. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი პროცესი, რომელმაც საერთო ეროვნული კულტურული ფენომენის ხასიათი მიიღო, პუშკინის „ბელკინის მოთხრობებით“ დაიწყო.

ცნობილია, რომ დიდი პოეტი პროზაულ თხზულებათა შექმნას ჯერ კიდევ 1824 წელს შეუდგა, მაგრამ ამ ჟანრის დასრულებულ ნაწარმოებთა ციკლს მხოლოდ „ბელკინის მოთხრობები“ წარმოადგენენ, რომელიც 1830 წელს გამოქვეყნდა. პუშკინმა „მოთხრობათა“ გამოქვეყნებისას ორიგინალურ ხერხს მიმართა, რომლის წყალობითაც თავიდან აიცილინა ობივატელთა ცნობისმოყვარეობა და საფუძველს მოკლებული მემჩინაური მითქმა-მოთქმა. მწერალი ფარავს თავის ვინაობას, იგი ვინმე ივანე პეტრეს ძე ბელკინის სახელით იწოდება, რომელიც თითქოსდა აღნიშნული ციკლის მოთხრობების ავტორი იყოს, ხოლო თვითონ კი სხვისი ხელნაწერის გამომცემის ფუნქციები იკისრა. ასეთი ნაბიჯის დამაჯერებლობისათვის რომ მიეღწია „მოთხრობებს“ წინასიტყვაობა და მის „ავტორზე“ ბიოგრაფიული ცნობები წაუშმღვარა.

ბელკინი პუშკინისეული დახასიათებით, თავმდაბალი და კეთილი მემამულეა, რამდენადაც ეს შესაძლებელია ბატონისათვის. მოთხრობების ყველა ძირითადი კოლიზია სინამდვილიდანაა აღებული, რის გამოც მათ დამაჯერებლობას ხელს არ უშლის ზოგიერთი მოთხრობის აშკარა რომანტიკული ხასიათი.

ბელკინის პუშკინისეულ დახასიათებას, ისე როგორც მის „მოთხრო-

ბების“ ციკლის ავტორად გამოცხადებას სხვა მხატვრული ფუნქციაც აქვს. საუბრაუდო მწერლის განცხადება, რომ ის „მხოლოდ იმას აღწერს, რაც თვითონ ნახა და განიცადა“, ვრცელდება მოთხრობათა მთელს ციკლზე. ამით ავტორმა ხაზი გაუსვა იდეური ჩანაფიქრის ერთიანობას, რომელიც მიმართულია დამკვიდრებული ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ.

ფართო მკითხველმა საზოგადოებრიობამ, ისე როგორც პროგრესულმა კრიტიკამ „ბელკინის მოთხრობებში“ იმავეითვე ავტორის ღრმა ჰუმანიზმი და ჯანსაღი იუმორი დაინახა. ყოველივე აღნიშნულის გამო ერთხმად იყო აღიარებული, რომ „ბელკინის მოთხრობებმა“ თავისი მაღალი იდეურ-მხატვრული დონით რუსულ ლიტერატურის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო. რაც მთავარია, მკითხველმა აღნიშნულ ციკლის მოთხრობებში დიდი ხნის ნანატრი შეულამაზებელი სინამდვილე დაინახა, რომლის დამაჯერებლობა პუშკინის გამჭირახი თვალისა და ბასრი კალამის წყალობით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ნათქვამი განსაკუთრებით „სადგურის ზედამხედველს“ შეეხება, რომელმაც რუსული ლიტერატურის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა... საკმარისია გავიხსენოთ გოგოლისა და დოსტოევსკის, ტოლსტოისა და სხვა კლასიკოსთა პუშკინის პროზის ამ მარგალიტის მაღალი შეფასება, რომ დავრწმუნდეთ მის ისტორიულ დანიშნულებაში. ლიტერატურის განვითარების ისტორიაში იშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთი შეხედვით უბრალო, უპრეტენზიო და მოკრძალებულ ნაწარმოებს ესოდენ დიდი როლი ეთამაშოს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „სადგურის ზედამხედველმა“ სათავე დაუდო მაღალი მხატვრული დონის რუსულ პროზას, მან ტონი მისცა ამ ფორმის თხზულებათა შემდგომ განვითარებას.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟის სემიონ ვირინის ტრაგედია გულგრილს არავის ტოვებდა; მკითხველში მთავარი გმირის დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება და უღროდ დაღუპვა მწვავე ტკივილებს იწვევს. ერთობ დიდი ადამიანური სითბო, ხალასი გრძნობა და სულიერი განცდები ჩააქსოვა კეთილშობილმა ჰუმანისტმა ამ უბრალო ზედამხედველის ხასიათში. ანდა რამდენ მწვავე კითხვებს ბადებს ჩვენში ვირინის ცხოვრების ფინალი?!. განსაკუთრებით შემზარავია თავადი მინსკის არაადამიანური მოქმედება დუნიაშას მამის მიმართ. იგი შეურაცხყოფს, ფეხით გათელეს მისი ყველაზე ფაქიზი გრძნობა. ერთადერთი ქალიშვილი ვირინმა ობლობაში გაზარდა, მასზე ფიქრით იძინებდა და იღვიძებდა. ამჟამად მისი გარეგნული სილამაზითა და იშვიათი საზრიანობით. დუნიაშამ ვირინის ცხოვრებას აზრი შემატა, ბედისაგან დაჩაგრული მომავლის იმედით სულდგმულობდა. ამიტომაც ასე მოთმინებით იტანდა დაუმსახურებელ დამცირებას. განსაკუთრებულ აღვირაშვებულობას ოფიცრები ჩვენდნენ და კიდევაც გახდა ერთი მათთაგანის მსხვერპლი. ვირინს ისე

თავდავიწყებით უყვარდა ქალიშვილი, რომ მზად იყო უკან მიეღო მინ-სკის მიერ შეურაცხყოფილი ღუნიაშა, ხოლო დამნაშავესათვის ყველა-ფერი ეპატიებია.

როგორც ვხედავთ, პუშკინის გმირი ძალზე მცირეს, უმნიშვნელოს მოითხოვდა ცხოვრებისაგან. მაგრამ ეს მცირედიც, სოციალური უკუღ-მართობის გამო, ვერ მიიღო. მკითხველმა ვირინის ტრაგედიაში რუსე-თის მრავალმილიონიანი რიგითი ადამიანების ხვედრი შეიცნო, თვალ-ნათლივ დაინახა, თუ როგორ უცერემონიოდ ხელყოფდნენ მათ უფლე-ბებს, ისინი ხომ გაბატონებული კლასის მონები იყვნენ. ასეთი და მრავალი სხვა მწვავე კითხვები გვებადება, როდესაც ვეცნობთ მოთხრო-ბის ტექსტს. სწორედ ამიტომ იყო, რომ პუშკინის გმირის ტრაგიკულმა ხვედრმა ააფორიაქა ყველა, ვისაც ოდნავ მაინც შეეძლო მოყვასის ბედის განცდა.

რეალისტურადაა აღწერილი სემიონ ვირინის პეტერბურგში ჩა-სვლის, ქალიშვილთან შეხვედრის, უფრო ზუსტად, შორიდან დანახვის სცენები. დღესაც ძნელია დავასახელოთ ისეთი პასაჟი, როგორც „სად-გურის ზედამხედველშია“ მოცემული, როდესაც ავტორი ჰუსარ მინსკის საქციელს აღწერს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჰუსარს ავიწყდე-ბა, რომ ის თვითონ შვილია და ამჟამად ახალი თაობის გაჩენა-აღზრდა-ზე უნდა იზრუნოს. იგი ჯერ იყო და ფულით შეეცადა გამოესყიდა მიუტყევებელი დანაშაული, ხოლო შემდეგ შინიდან გააძევა ქალიშვილის სანახავად მოსული უბედური მამა, ისე რომ შვილთან დალაპარაკების საშუალებაც კი არ მისცა.

მოთხრობის ავტორის ჩანაფიქრით სადგურის ზედამხედველის ტრა-გედია სოციალურია, თანაც ანტაგონისტური ხასიათის, ამიტომაც სავსე-ბით ლოგიკურად გვეჩვენება სემიონ ვირინის ცხოვრების დასასრული, რომელსაც შინ დაბრუნებულს სხვა არაფერი დარჩენია არაყის სმის მეტი.

გარდა ამ ძირითადი კოლიზიისა მოთხრობაში პუშკინი მოკლედ, მაგ-რამ დამაჯერებლად გადმოგვცემს რუსეთის იმპერიის მრვალრიცხოვან წვრილ მოხელეთა უმწეო ხვედრს. ისინიც, ისე როგორც ვირინი, განწო-რულნი არიან უღიმამოდ იარსებონ და ტრაგიკულად დაამთავრონ თა-ვიანთი ცხოვრება. მწერალს სწორედ ის აწუხებდა, რომ არავინ იცოდა ადამიანთა უუფლებო ყოფას როდის მოეღებოდა ბოლო.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მოთხრობის ენა. დიდმა მწერალმა თვალნათლივ გვიჩვენა რაოდენ ამოუწურავია რუსი ხალხის ყოველდღი-ური სალაპარაკო ენის შესაძლებლობა, „ბელკინის მოთხრობები“ ბრწყინვალე ილუსტრაციას წარმოადგენს, თუ როგორ ბუნებრივად შე-იძლება ძერწო დახვეწილი პოეტური სახეები ხალხური გამოთქმების ფართო გამოყენებით, განსაკუთრებით კი პერსონაჟთა ინდივიდუალური მეტყველების გადმოსაცემად. მოთხრობის გმირები ლაპარაკობენ ხასი-

ათისა და სოციალური მდგომარეობის შესაბამისად, რაც ბევრად აძლიერებს მათ რეალისტურ აღქმას. პუშკინის მოთხრობაში მოურიდებლად შეაქვს დაბალი ფენების მეტყველებისათვის დამახასიათებელი მარტივი, მაგრამ უაღრესად კოლორიტული გამოთქმები, დიალექტები და ეარგონები.

ყოველივე აღნიშნულის გამო „ბელკინის მოთხრობებით“ რუსულ ლიტერატურაში დაიწყო დემოკრატიზაციის ახალი ეტაპი, რომელმაც რელიეფური ხორცმცხსმა „ნატურალური სკოლის“ აღმავლობაში პოვა. განუმეორებელ მარგალიტად დარჩა დიდი მწერლის პოეტური სტილი, რაც, უპირველეს ყოვლისა, სიტყვისა და ძერწვის ხერხების გამოყენების „მომჭირნობაში“ ვლინდება. დღეს საყოველთაოდ აღიარებულია და კანონად იქცა პუშკინის მიერ დამკვიდრებული სიტყვების იშვიათი „სიტუნით“ ღრმა აზრის გამოთქმა. მწერალი მხატვრულ სახეების შექმნისას შეგნებით გაურბის ვრცელ აღწერებსა და რთულ წინადადებებს. პუშკინმა უკუაგდო გმირთა პორტრეტების დეტალიზაცია და მოქმედების გაზვიადება. სამაგიეროდ მწერალი საოცარი ოსტატობით ძერწავს პერსონაჟთა ხასიათებს, დღესაც სანიმუშოა ადამიანის მოქმედებისა და შინაგანი სამყაროს გადმოცემის პუშკინისეული ოსტატობა — სულ რამდენიმე დამახასიათებელი დეტალი და ჩვენ თვალწინ წარმოდგება შთაბეჭდავი მხატვრული სახე, რომელიც მკითხველს არ ავიწყდება. იმის გამო, რომ პუშკინი ხატვის მარტივ ხერხს მიმართავს, შეიძლება ვინმეს მოუვიდეს აზრად მის პოეტურ სახეებს რამე აკლიათ, ანდა მათი დასურათება სხვანაირად შეიძლებოდა!..

საკუთარ პროზაულ თხზულებათა, კერძოდ, „ბელკინის მოთხრობების“ უპირატესობა კარგად ესმოდა თვითონ პუშკინსაც. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში მწერალს, როდესაც ერთი ნაცნობის კითხვაზე — თუ ვინ არის ბელკინი — უბასუხა: მე არ ვიცი მისი ვინაობა, მაგრამ ღრმად მწამს, რომ პროზაული ნაწარმოები ასე უნდა იწერებოდესო. იგივეს ამტკიცებდა უკვე საქვეყნოდ აღიარებული ლ. ნ. ტოლსტოი. მას მიიჩნდა, რომ დამწყებ პროზაიკოსებს წერა „ბელკინის მოთხრობების“ მიხედვით უნდა ესწავლათ. თვითონ მისთვის კი პუშკინი მხატვრული აზროვნების ეტალონი იყო.

ამ ციკლის სხვა მოთხრობებში ისე მძაფრად არ არის ნაჩვენები ეპოქის სოციალური წინააღმდეგობები, როგორც ეს „სადგურის ზედამხედველშია“, მაგრამ მათი მხატვრული სრულყოფა ნამდვილად რომ სანიმუშოა. მწერლის შემეცნების სფეროში მოექცა სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის მქონე კლასობრივი და ქონებრივი ბარიერებით გათიშულ ადამიანთა ცხოვრება. მოთხრობა „ნასროლში“ შთამაგონებლად აღწერილი ოფიცერთა უაზრო და უშინაარსო ყოფა, მათი სულიერი და ზნეობრივი გადაგვარება. ამ მოთხრობით მწერალმა რუსულ ლიტერატურაში სათავე დაუდო გამჭოლ თემას — სამხედრო კასტის შესვეურთა

კრიტიკულ ასახვას. ოფიცერთა განსხვავებულ სახეებს ვხვდებით მოთხრობა „ქარბუქშიაც“, თუმცა აქ ავტორი შეეცადა სამხედრო პირის დადებითი სახე შეექმნა, მაგრამ იგი მინც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქალაქის მკვიდრთა დაბალი ფენები წარმოდგენილია მოთხრობა „მეკუბოეში“. პუშკინის მახვილ თვალს შეუშინეველი არ დარჩენია ურბანიზაციით გამოწვეული ნეგატიური მოვლენები, რაც ქალაქში მეშჩანური ელემენტების მომრავლებით დაიწყო. დიდი ჰუმანისტი წერს, რომ გუშინდელი გამრჯე ყმა კარგავს ეროვნულ ღირსებას და მეშჩანთა წუმპეში ეფლობა, ფული ხდება მისი კერპი, რომლის დაგროვებისათვის ყველაფერს კადრულობს. მეკუბოე მკითხველთა თვალწინ ემშვიდობება ადამიანურ ღირსებას, განიცდის მორალურ და ზნეობრივ დეგრადაციას, ამიტომაც სოციალური გადაკვარება მისი განუკურნებელი სენია.

პუშკინი სულ სხვა პრობლემას ეხება მოთხრობაში „ქალბატონი — გლეხის გოგო“. მწერალს აინტერესებს რუსეთის უსაზღვრო ტრამალებში დაკარგულ მემამულეთა ბედი. საგანგებოდაა ნაჩვენები იქ მაცხოვრებელ მემამულეთა ფუქსავატური ყოფა. ამავე დროს ავტორს არ ავიწყდება ყმა-გლეხთა უმწეო ხვედრი. მათი არსებობის სიდუხჭირე. მაკრამ მწერალი იმასაც კარგად ხედავს, რომ სწორედ ეს უუფლებო გლეხობა ქმნის იმ მდიდარ მატერიალურ და სულიერ საუნჯეს, რომელიც ხალხის ეროვნულ სახეს განაპირობებს. პუშკინის სამართლიანი დასურათებით გლეხები, მიუხედავად აუტანელი ცხოვრებისა, არ კარგავენ მხნეობას, სწამთ უკეთესი მომავალი და ინარჩუნებენ იუმორის გრძნობას, ისინი საზრიანობით უფრო მაღლა დგანან ბატონებზე. ყმა-გლეხთა პუშკინისეული დახასიათება მისაბამი აღმოჩნდება მომდევნო თაობის მწერლებისათვის.

„ბელკინის მოთხრობებთან“ თავისი შინაარსით ახლოს დგას იმავე ბოლდინოში დაწყებული დაუმთავრებელი პროზაული თხზულება „სოფელ გორიუხინოს ისტორია“. პუშკინის პროზაულ ნაწარმოებთა შორის პოლიტიკური სატირის შემდგომი გაღრმავების თვალსაზრისით ამ მოთხრობას საგანგებო ადგილი უჭირავს. ავტორის ჩანაფიქრით, სოფელ გორიუხინოს ყმებს პუგაჩოვის აჯანყებაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამის მიზეზი კი ყმების მიმართ ბატონების სიმკაცრე უნდა ყოფილიყო. მოთხრობაში აღწერილ ბევრ ეპიზოდს ისტორიული საფუძველი აქვს. გორიუხინოს ისტორიაში ადვილად შეიცნობა თვითონ პოეტის მამულის კისტენეკას წარსული, რომლის გლეხები პუგაჩოვის მხარეზე გადავიდნენ და აქტიურად იბრძოდნენ მემამულეთა წინააღმდეგ. გლეხთა აჯანყების ასახვის თვალსაზრისით „სოფელ გორიუხინოს ისტორია“ წინ უსწრებს იმავე თემაზე დაწერილ და აგრეთვე დაუმთავრებელ რომანს „დუბროვსკის“, სადაც ავტორმა სცადა აჯანყებულ ყმა-გლეხთა მხარეზე

გადასული მემამულის მხატვრული სახის შექმნა. არსებობს მოსაზრება, რომ „დუბროვსკი“ მწერალს დაუმთავრებელი დარჩა იმის გამო, რომ იმდროინდელ რუსეთში ასეთი შემთხვევა იშვიათი იყო. ამავე დროს, მემამულეებისა და ყმა-გლეხების ერთიან გამოსვლას არ გააჩნდა ისტორიული საფუძველი და ეს არ შეიძლებოდა არ ეგრძნო მაშინ უკვე რეალიზმის პოზიციაზე მდგომ პუშკინს.

რომანი „კაპიტანის ქალიშვილი“ ავტორის ხანგრძლივი და გულმოდგინე შრომის ნაყოფია. პუშკინმა აქ ისტორიულ დოკუმენტებში დაცულ და ხალხში შემონახულ ცნობებისადმი კემპარიტი მეცნიერული მიდგომა გამოიჩინა. იგი ჯერ იყო და საარქივო მასალებს ჩაუჯდა, გულმოდგინედ ჩაკრიკიტებდა ბებერ ჩინოვნიკთა მიერ განზრახ გამრუდებულ ფაქტების გაშიფვრას, ხოლო შემდეგ კი შემოიარა პუგაჩოვის აჯანყების ადგილები, შეხედა და ესაუბრა მშფოთვარე წარსულის ცოცხალ მოწმეებს, დააგროვა უმდიდრესი ფაქტობრივი მასალა.

მრავალფეროვანი პირველადი წყაროებით შეიარაღებული პუშკინი პუგაჩოვის ეპოქაზე ისტორიულ გამოკვლევის შექმნას შეუდგა, რაც უალრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფიის „პუგაჩოვის ისტორიის“ გამოქვეყნებით დაასრულა. პუშკინის მონოგრაფიამ იმთავითვე საგანგებო ადგილი დაიკავა XVIII საუკუნის გლეხთა აჯანყების ამსახველ გამოკვლევათა შორის. მწერალი დიდი მოქალაქისა და მოაზროვნის ობიექტურობით მიუდგა პუგაჩოვის აჯანყების კლასობრივ ფესვების გამომზეურებას, რის შედეგად „პუგაჩოვის ისტორია“ დღესაც ერთ-ერთი პირველი წყაროა რუსი ხალხის რევოლუციური წარსულისა. მიუხედავად იმისა, რომ „ისტორიაში“ იგრძნობა ავტორის შეხედულებათა კლასობრივი შეზღუდულობა, პუშკინმა აჯანყების დაწყებისა და შემდგომი განვითარების ობიექტური სურათი შექმნა, ნარკვევი კი მთლიანად რეალისტურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

შრომის ავტორის აღწერით ემელიანე პუგაჩოვი თავზენელადებული ბანდიტი როდია, როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები ამტკიცებდნენ. პირიქით, პუშკინი პუგაჩოვს იმ ხალხის წინამძღოლად წარმოგვიდგენს, რომელმაც იგი წარმოშვა და ბელადად გამოაცხადა. მასში, ავტორის სამართლიანი მტკიცებით, ორგანულად შერწყმულია გლეხთა მოძრაობის წინამძღოლთათვის დამახასიათებელი, როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარე. „ისტორიაში“ პუშკინის დახასიათებით პუგაჩოვი გულადი და მტკიცე ნებისყოფისა იყო. მასში ადვილად შეიცნობოდა რაინდული სულის დემოკრატი კაცი, რომელსაც წერა-კითხვა უჭირდა, მაგრამ არ აკლდა საზრიანობა. ამავე დროს, პუშკინი არ მალავს პუგაჩოვის ხასიათის ნეგატიურ მხარეებს, მის ღესპოტიზმსა და ბარბაროსობას.

როგორც ცნობილია, დიდი პოეტი არ დაკმაყოფილდა ისტორიული ხასიათის გამოკვლევის შექმნით. დაგროვილი მასალა და მოგზაურობით

მოღებულ შთაბეჭდილება იმდენად უხვი აღმოჩნდა, რომ პუშკინმა მხატვრული ტილოს შექმნაც გადაწყვიტა, სადაც ყურადღების ცენტრი გლესთა აჯანყების გამომწვევი სოციალური მიზეზების წარმოჩენაზე იქნებოდა გადატანილი. შეერალს თვითონ ანტიერესულა და სხვებისთვისაც უნდოდა ეჩვენებინა, თუ რამ განაპირობა გლესთა ასეთი მასშტაბური გამოსვლები და აჯანყებულთა მოქმედების დესპოტური ხასიათი. ბუნებრივია, „პუგაჩოვის ისტორიასა“ და „კაპიტანის ქალიშვილს“ ზორის შინაგნი კავშირი არსებობს, ზოგჯერ პირველი გვეხმარება რომანის ავტორის ჩანაფიქრის გაშიფვრაში. მაგრამ „კაპიტანის ქალიშვილი“ ფართო მასშტაბის მხატვრული ტილოა და ხშირად იქ დასმული პრობლემები თავის მნიშვნელობითა და გადაწყვეტით სცილდება კონკრეტულ მოვლენების ფიქსირებას თუ მწარალ ინტერპრეტაციას

აქვე უნდა ითქვას, რომ პუგაჩოვის აჯანყების გაშუქების დროს პუშკინს ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. უპირველეს ყოვლისა, მას უნდა გაეთვალისწინებინა მეფის მოსალოდნელი ჩარევა (ნეკოლოზ I ხომ პუშკინის პირადი ცენზორის როლი იკისრა). გარდა ამისა რთული იყო შიშველი ისტორიული ფაქტების მხატვრულ სახეებში გადატანა. ისინი ჯერ კიდევ ცოცხლად აღიქვებოდნენ პოეტის მეხსიერებაში; მაგრამ ყველაზე ძნელი მაინც მომხდარ ისტორიული ძვრების პერსპექტივაში გააზრება აღმოჩნდა. თვითონ პოეტისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გაურკვეველი. მას არ შეიძლება სცოდნოდა, თუ რა მიმართულებას მიიღებდა მომავალში ის გრანდიოზული საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევარში დაიწყო და განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე სათანადო გამოძახილს პოულობდა. კერძოდ, პოეტისათვის გაურკვეველი იყო დეკაბრისტული მოძრაობის სოციალური მიმართულება. თუმცა, როგორც ვთქვით, ამ მოძრაობის ლიდერებთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ გლესთა აჯანყების მხატვრულად გააზრების ორი ადრეული ცდა მწერალმა დაუმთავრებელი დატოვა. ასეთ რთულ პირობებში დაიწყო პუშკინმა „კაპიტანის ქალიშვილზე“ მუშაობა, მით უფრო აღსანიშნავია მწერლის შემოქმედებითი გამარჯვება, რომელიც მისმა ლიტერატურულმა მტრებმაც კი აღიარეს.

„კაპიტანის ქალიშვილის“ წერა პუშკინმა 1833 წელს დაიწყო, დაასრულა კი 1836 წელს. რომანში ძირითადად XVIII საუკუნის პროვინციული რუსეთის მემამულე პეტრე გრინიოვის ცხოვრებაა აღწერილი, თხრობაც პირველ პირში მიმდინარეობს.

გრინიოვის ოჯახის წევრები, ავტორის აღწერით, რუსეთის მემამულეთა შედარებით ჯანსაღ ნაწილს მიეკუთვნებიან.

რომანში პეტრე გრინიოვს ბავშვობიდანვე ვეცნობით, იგი იზრდებოდა იმდროინდელი მემამულეთა ოჯახებში დამკვიდრებულ წესების შესაბამისად. აღმზრდელად ჯერ შინაყმა მეჯინიბე საველიჩი მიუჩინეს,

რომლის უპირატესობა ბევრ სხვასთან შედარებით მხოლოდ იმაში მდგომარეობდა. რომ არ სვამდა, საველიჩმა სასულიერო წიგნებით პეტრუშკას წერა-კითხვა ასწავლა. ხოლო შემდეგ მუსიე ბოპრე დაუქირავეს, მაგრამ მისი სწავლა-განათლება მალე დასრულდა, ლოთი და ქალების მოყვარული მუსიე ბოპრეს დათხოვნის გამო. პუშკინი საგანგებოდ აღნიშნავს პეტრე გრინიოვის ჩამოყალიბებაში ყმაბიჭების პოზიტიურ როლს. „ვიზრდებოდი ტლუ ბიჰად. დავდევდი მტრედებს და ოთურმას გადავდიოდი შინაყმა ბიჭებთან“<sup>1</sup>.

დადგა დრო და მამამ პეტრე ანდრის ძე გრინიოვი ნაცვლად პეტერბურგისა, სადაც მას, მომავალ გვარდიის ოფიცერს, სამსახური უნდა დაეწყო, ორენბურგში გააგზავნა, თანაც ბარათში ძველ მეგობარს თხოვდა, მის შვილს უშეღავათოდ მოჰყრობოდა, გენერალმაც პეტრე გრინიოვი ტრამალებში დაკარგულ ბელოგორის ციხე-სიმაგრეში განაწესა.

შთამბეჭდავდაა აღწერილი პეტრე გრინიოვის სახლიდან გაცილების სცენა. მამაშვილსა და მასთან მიმავალ გამზრდელ საველიჩს რჩევა-დარიგებას აძლევს. შვილისაგან მოითხოვდა სამხედრო მოვალებების პირნათლად შესრულებას, ფიცის გაუტეხაობას და საქმისადმი სიყვარულს, უფროსებისადმი მორჩილებას და პატივისცემას, თავდაჭერილობასა და მოკრძალებას. სინამდვილეში კი პეტრემ „სამსახურის შეჩვევის“ პირველი გაკვეთილი როტმისტრ ივანე ივანეს ძე ზურინისაგან მიიღო. ავტორს გრინიოვისა და ზურინის გაცნობის სცენის აღწერის დროს ეძლევა საშუალება მეფის არმიის ოფიცერთა გადაგვარების ცოცხალი სურათი დაგვიხატოს. ზურინის რჩევა-დარიგებიდან აშკარად ჩანს, თუ რა ამოძრავებდათ ოფიცერთა უმრავლესობას, საბურველი ეხდება მათ ამორალურ და ზნეობრივ დაკნინებას, ბოლომდე გამოშვლებულია მეფის ბურჯთა ობივატელური ყოფა. ზურინის მტკიცებით, ოფიცერთა ზრუნვის ძირითადი საგანია „ურჩების ცემა-ტყება“, ბილიარდისა და ბანქოს თამაში, ლოთობა, საროსკიპოებსა და ტრაქტირებში ჩხუბი და აყალმაყალი. სწორედ ზურინმა პირველად ცხოვრებაში უზომოდ დაათრო პეტრე გრინიოვი, ბილიარდზე თამაშის სწავლების მომიზეზებით გამოძალა 100 მანეთი და საღამოს „ვახშმად არინუშკასთანაც“ წაიყვანა. ზურინს ქალებზე და საერთოდ ოჯახზე უდიერი წარმოდგენა ჰქონდა, მისი რწმენით ოფიცერს ცოლი და შვილები არ უნდა ჰყოლოდა, რაც მთავარია, ზურინი გამონაკლისს როდი წარმოადგენს, რომანში გვხვდება სხვა ოფიცერიც (შეაბრინი), რომელიც ზნეობრივ და მორალურ გადაგვარებასთან ერთად ფიცის გამტეხიცაა და ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას მოკლებული. ავტორმა სულ რამდენიმე შტრიხით დაგვანახა დეგ-

<sup>1</sup> ა. პუშკინი. რჩეული თხზულებანი. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1975, გვ. 741. თარგმ. შალვა დადიანისა. შემდეგში, ციტატების ბოლოს მიკუთითებთ ამ გამოცემის მხოლოდ გვერდს.



რადაციის გზაზე დამდგარი ოფიცერთა სახეები, მაგრამ პუგაჩოვის აჯანყებამ დროებით შეაჩერა პეტრე გრინიოვის ოფიცერთა ობივაციულურ ყოფაში მოქცევა და მის ცხოვრებას სხვა მიმართულება მისცა.

პეტრე გრინიოვს, დანიშნულების ადგილას მიმავალს, სხვა ხიფათიც შეემთხვა. თუ არა პუგაჩოვთან მოულოდნელი შეხვედრა, ქარბუქში დაღუპვა მოელოდა, და მაინც მას ყველაზე მეტად ბელოგორის ციხე-სიმაგრეში სამსახურის დაწყება აწუხებდა, ეს მის წარმოდგენაში ნამდვილი ჯოჯოხეთური უნდა ყოფილიყო. მოლოდინის საწინააღმდეგოდ ციხე-სიმაგრის კომენდატი მოხუცი კაპიტანი მარონოვი კეთილი და სათნო ადამიანი აღმოჩნდა. მართალია, სამსახურებრივი მოვალეობა მას ერთობ თავისებურად ესმოდა, ფაქტიურად ციხეს მისი მეუღლე განაგებდა, მაგრამ იგი ფიცისა და დედოფლის ერთგული იყო. ასეთად დარჩა ბოლომდე, რითაც პუგაჩოვის რისხვა დაიმსახურა და ამიტომაც სიცოცხლის დასასრული სახრჩობელაზე ჰპოვა.

ბელოგორის ციხე-სიმაგრისა და მისი დამცველების აღწერით პუშკინმა თვალნათლივ დაანახა მკითხველებს თუ რაოდენ მერყევი იყო იქ მონარქის ხელისუფლება, რის გამო პუგაჩოვმა შედარებით იოლად დაამარცხა და ხელში ჩაიგდო ქვეყნის სამხრეთში განლაგებული ციხე-სიმაგრეები. ფაქტიურად ბელოგორის ციხე-სიმაგრე არ არსებობდა. ის 2—3 ათეული ჯარისკაცი, რომელიც ციხეს იცავდნენ, მოხუცები და ინვალიდები იყვნენ, კაზაკები კი თავიდანვე აჯანყებულებს უჭერდნენ მხარს. ყოველივე ეს პეტრე გრინიოვისათვის ნათელი გახდა მოსვლის დღიდანვე. სამაგიეროდ ახალგაზრდა გრინიოვი მოიხიბლა ცოლ-ქმარ მარონოვების ბუნებით, კიდევ უფრო სათნო და მიზიდველი აღმოჩნდა მათი 18 წლის ქალიშვილი მარია (მაშა), რომელიც პეტრე გრინიოვს მთელი გატაცებით შეუყვარდება, მაშამაც ასეთივე გრძნობით უპასუხა.

ბელოგორში გრინიოვის ყოფნას აზრი მიეცა. იგი უკვე აღარ ოცნებობდა პეტერბურგზე და არც სხვაგან გადასვლა სურდა. მაგრამ წუთისოფელი ბევრ ხიფათსა და მოულოდნელობას უმზადებდა ახალგაზრდებს. ჯერ იყო და მათ სიყვარულს შეაბრინის სულმდაბლობა გადაეღობა, რომელსაც დუელი მოყვა. მართალია, პეტრე მსუბუქად დაიჭრა, მაგრამ მისი და მაშას შეუღლების ამბავი სათუო გახდა. ამას მოჰყვა პუგაჩოვის მიერ ბელოგორის ციხე-სიმაგრის აღება, მაშას მშობლების დაღუპვა, გრინიოვის დატყვევება და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ.

ცხოვრების მკაცრი გამოცდა პეტრე გრინიოვმა შედარებით მშვიდად გაიარა; არ უღალატა ფიცსა და მიუხედავად პუგაჩოვის მაცდური წინადადებისა, — მისი თანაშემწე ყოფილიყო, დედოფალ ეკატერინე II ერთგული დარჩა, რამაც იგი ბევრგან ახალ განსაცდელში ჩააგდო. ხშირად გრინიოვის ცხოვრება ბეწვზე ეკიდა. პეტრე გრინიოვის ტრაგედიაში მეტად ცუდი როლი სწორედ შეაბრინმა ითამაშა, რომელმაც ყოველად უღირს ხერხსა და საშუალებებს მიმართა, რათა შური ეძია მაშა

მირონოვს და რაც არ უნდა დაქლომოდა ცოლად შეერთო იგი. შეაბრინა ამ შემთხვევაშიაც სულმდაბალი, ამორალური, გადაგვარების გზაზე დამღვარი ადამიანია. საწინააღმდეგოდ შეაბრინისა პეტრე გრინიოვს ავტორი რიგი მაღალი ადამიანური ღირსებებით აჯილდოებს. იგი კეთილი, რომანტიკულად განწყობილი ახალგაზრდაა, არ არის ძუნწი და ეგოისტი. პოეზიისა და მუსიკის ტრფიალია. ამავე დროს, პუშკინი ხაზს უსვამს პეტრე გრინიოვის დაუკვირვებლობას და სიფიცხეს, განსაკუთრებით არ მოსწონს მისი დიდკაცური გამოხედომები, რასაც იგი აჩენს თავდადებული გამზრდელის მიმართაც კი, რომელმაც ბატონი სიკვდილს გადაარჩინა.

რომანში საინტერესოდ არის გააზრებული მარია მირონოვას სახე, გარეგნულად ლამაზი, მაღალი სულის, მტკიცე ხასიათის მარიას მეგობრები უყვარს. იგი რომანში საუკეთესო თვისებების მქონე, ჭეშმარიტად რუს ქალს განასახიერებს. მამას სათანო, ფაქიზი ბუნება მკითხველს ხიბლავს და ატყვევებს. და ეს მამინ, როდესაც ბედის უკუღმართობამ მას ბევრი უსიამოვნება მიაყენა. თავის ასაკის მიუხედავად, მამამ იცის ადამიანების მუხანათობა. მირონოვა დაუნდობელი დევნისა და შეეწროვის მსხვერპლია. იგი ძალიან ადრე დაობლდა. მიუხედავად ყოველივე ამისა მამა ბოლომდე რჩება სპეტაკ ადამიანად.

როგორც ვთქვით, „კაპიტანის ქალიშვილის“ ძირითადი თემაა ყმა-გლეხთა მოძრაობა პუგაჩოვის მეთაურობით, მაგრამ რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი, აგრეთვე, გრინიოვისა და მირონოვას ურთიერთობის აღწერას. და ეს იმიტომ, რომ ავტორს არ ავიწყდება საკუთარი კლასი, ის ცდილობს ხალხთა გამოსვლებში პროგრესულად განწყობილ თავად-აზნაურობას მოუძებნოს სათანადო ადგილი. ამიტომ შემთხვევითი როდია პეტრე გრინიოვისა და პუგაჩოვის დაახლოების ცდა. თუმცა. რეალიზმის პრინციპებმა მწერალს პრობლემის პოზიტიურად გადაჭრის საშუალება არ მისცეს და საკითხიც ღიად დარჩა. უფრო მეტიც. პუშკინის საოცარი ინტუიციის წყალობით, ყმებსა და ბატონებს შორის არსებული წინააღმდეგობა ანტაგონისტურ ხასიათს ატარებს და მისი გადაწყვეტა ამ ორი კლასის დაახლოებით შეუძლებელია.

რომანში ემელიანე პუგაჩოვს პირველად გზაში ვხვდებით, როდესაც მან. როგორც უკვე ვთქვით, განსაცდელში მყოფნი პეტრე გრინიოვი და მისი თანმხლებნი იხსნა. საწინააღმდეგოდ ოფიციალური წყაროებისა, პუგაჩოვი „კაპიტანის ქალიშვილში“, პირველი შეხვედრისთანავე ჭკვიანი, დაკვირვებული. გარეგნულად მიმზიდველი კაცია. რომანში ვკითხულობთ: „...მისმა ალლომ და გამჭრიახობამ გამაკვირვა... მისი გარეგნობა ნამინვე თვალში მეცა. ორმოცი წლის თუ იქნებოდა, შუატანისა, გამხდარი და მხარბეკიანი. შავ წვერებში ჭადარა შეჰპარეოდა. ცოცხალ, შავ დიდრონ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. სახის გამომეტყველება სასიამოვნო კჳონდა...“ (751—753).

გლებთა მასების განწყობილების დასადგენად ბევრის მთქმელია ტრაქტირის პატრონისა და პუგაჩოვის დიალოგი. მართალია, იგი ნართაულად წარიმართა და შემთხვევით მსმენელს ბევრი რამის გაგება გაუჭირდებოდა, მაგრამ პეტრე გრინიოვი მაინც მიხვდა საუბრის ძირითად შინაარსს: „ამ ქურდული ლაპარაკიდან მაშინ მე ვერ გავიგე რა, მხოლოდ მიეხვდი, რომ საქმე 1772 წლის შემდეგ ახლად ჩაქრობილ იაკველი ჯარის ნაწილების აჯანყებას შეეხებოდა“ (754).

ვასშამზე გრინიოვი საბოლოოდ რწმუნდება, თუ რამდენად არაობიქტური იყვნენ მეფის მოხელეები, როდესაც პუგაჩოვში მხოლოდ „სისხლისმღვრელ ჯალათს“ ხედავდნენ. მას მოეწონა აჯანყებულთა წინამძღოლის მეგობრული დამოკიდებულება თანამებრძოლებთან. გრინიოვმა დაინახა, რომ პუგაჩოვი რამდენადაც დაუნდობელი იყო მტრებთან, იმდენად სულგრძელი და კეთილია თანამზრახველებთან. ამ შეხვედრის დროს უფრო გამოიკეთა აჯანყებულთა წინამძღოლის ნიჭი და საზრიანობა, თავდაპირის უნარი და დემოკრატიულობა. იგი თვითდაჯერებული კაცი იყო, თუმცა თავის მოსაზრებებს არავის არ ახვევდა თავს. „პუგაჩოვი, — წერს ავტორი. — სუდრის თავში იჯდა, მაგონას დაყრდნობოდა და თავისი ფართო მუშტი შავ წვერ ქვეშ ამოედო. სწორი და საქმაოდ სასიამოვნო სახის მოყვანილობა სისასტიკეს სრულიად არ გამოხატავდა. ხშირად მიმართავდა ორმოცდაათიოდე წლის კაცს, ხან გრავს ეძახდა მას, ხან ტიმოფერის, ხან ბიძას. ერთმანეთს ამხანაგურად ეპყრობოდნენ და არავითარ განსაკუთრებულ უპირატესობას არ ამქლავებდნენ თავიანთი წინამძღოლისადმი“ (802).

ვასშამის შემდეგ, როდესაც ღრეობის მონაწილენი დაიშალნენ. პუგაჩოვმა გრინიოვი თავისთან დატოვა და გულახდილად ესაუბრა. საუბრისას პუგაჩოვმა პირველად გამოამყვანა თავისი გადაწყვეტილება. მას უცვნია საველიჩი და მაშინვე გასცნებია ახალგაზრდა ბატონის საკეთი: „...აპორწილდებოდი კია. შენი მსახური რომ არა... მაშინვე ვიცანი ის გადაღრძეებული“ (804). კიდევ უფრო სულგრძელობა პუგაჩოვმა მაშინ გამოაქვინა, როდესაც გრინიოვმა კატეგორიულად უარყო აჯანყებულთა ბელადის წინადადება მასთან თანამშრომლობის თაობაზე, ვინაიდან არ ცნობდა მას მეფედ. თანაც ბატონიშვილი. განთავისუფლების შემთხვევაში, ვერც იმას შეპირდა, რომ მის წინააღმდეგ არ იბრძოლებდა. მოსალოდნელი იყო თვითმარქვია მეფის განრისხება, მაგრამ პუგაჩოვმა სათანადოდ დაათვსა ფიცის ერთგული ოფიცრის გულახდილობა. მისი პირდაპირი და გაბედული პასუხი. „ჩემმა გულწრფელობამ გააოცა პუგაჩოვი, — ვკითხულობთ რომანში, — აგრე იყოს. — თქვა მან და მხარზე ხელი დამკრა, — თუ სასჯელია — სასჯელი იყოს. პატიებაა და პატიება. გასწი, ოთხივ კუთხივ გზა ხსნილი გაქვს და რაც ვსურს, ისა ჰქენი. ხვალ მოდი, გამომეთხოვე, ახლა კი წადი და დაიძინე, მეც ძილი მერევა უკვე“ (805).

შემთხვევამ პეტრე გრინიოვი კვლავ შეახვედრა პუგაჩოვს და იგი საბოლოოდ დარწმუნდა აჯანყებულთა წინამძღოლის ადამიანურ ღირსებასა და ვაჟკაცობაში.

მარია მირონოვას წერილმა გრინიოვს მოსვენება დაუკარგა. როდესაც გენერალმა უარი უთხრა მისთვის ასეული და კაზაკთა ნაწილი გაძოყო ბელოგორის ციხის გასანთავისუფლებლად, რათა მირონოვა დაეხსნა შვაბრინის ტყვეობიდან, რომელიც სიკვდილით ემუქრებოდა ქალწულს, პეტრე გრინიოვმა გადაწყვიტა მარტო ემოქმედა საცოლის დასახსნელად.

პუგაჩოვის მებრძოლებმა შეიპყრეს ორენბურგიდან გაქცეული ოფიცერი და ბელადს წარუდგინეს, თანაც მოითხოვედნენ მის სიკვდილით დასჯას, რადგანაც გრინიოვმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, ამავე დროს, იგი მხვერავადაც მიიჩნიეს. მკითხველს ჰგონია, რომ პუგაჩოვი ახლა მაინც დაკარგავს წონასწორობას და მრჩევლების დაჟინებული მოთხოვნით. სასწრაფოდ ჩამოახრჩობს დედოფლის ერთგულ ოფიცერს. მაგრამ აჯანყებულთა ბელადი არ მოერიდა თანამებრძოლთა განაწყენებას და კვლავაც სულგრძელობა გამოიჩინა. უფრო მეტიც, როდესაც პუგაჩოვმა გრინიოვისაგან გაიგო, თუ რატომ მიდიოდა იგი ბელოგორში, განრისხდა და დამნაშავეს სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. „პუგაჩოვმა, — წერს ავტორი. — თვლები დააბრიალა. — რომელი ჩემი კაცთაგანი ბედავს ობლის შეწუხებას! — დაიყვრა მან. — ვინც უნდა იყოს იგი, ჩემს მსჯავრს ის ვერ გაექცევა. თქვი, ვინაა დამნაშავე?“

— შვაბრინია ის დამნაშავე, — ვუპასუხე მე. — მას დაპატიმრებული ჰყავს ის ქალიშვილი, რომელიც შენ ავადმყოფი ნახე მღვდლის ცოლთან, და ძალით უნდა იგი შეირთოს.

— მე ვასწავლი ჰკუთას შვაბრინს, — თქვა მრისხანედ პუგაჩოვმა. — ის გაიგებს, თუ როგორ უნდა ჩემთან თვითნებობა და ხალხის შევიწროება, მე მას ჩამოვახრჩობ“ (821).

უკვე გზაში, ბელოგორისაკენ ეტლით მიმავალი პუგაჩოვი ეუბნება გრინიოვს: „შენი ჭიქა ღვინო და კურდღლის ჯუბა მე მახსოვს. ხომ ხედავ, რომ მე არც ისეთი სისხლისმსმელი ვარ, როგორც თქვენთანები ამბობენ“ (826). პუგაჩოვმა თავისი ბუნებრივი ნიჭითა და დაკვირვების ომეიათი უნარით სწორად განსაზღვრა დაწყებული საქმის მარცხის ძირითადი მიზეზები, რასაც იგი, უპირველეს ყოვლისა, აჯანყებულთა მერყეობასა და უდისციპლინობაში ხედავდა. პუგაჩოვმა იცოდა აგრეთვე თვითმარქვიობის სუსტი მხარეც. „ — უფალმა უწყის, — ამბობს ის, — ჩემს ქუჩაბანზე ვიწრობაა, სრულუფლებიანი არა ვარ. ჩემი კაცები ჰკუთას ძალას ატანენ, ქურდები არიან. ყურებზე დაცქვეტილი უნდა მქონდეს: პირველსავე წაფორხილებზე ისინი თავიანთ კისერს ჩემი თავით გამოისკიდიან“ (827). ამავე დროს გლეხთა აჯანყების ბელადს ისიც კარგად ესმოდა, რომ უკან დასახევი გზა მოკვეთილი ჰქონდა, რის გამო ზვირთ-

თა დინებას მიჰყვებოდა, იქნებ ბოლომდე გამიყვანოსო. მისი ეს განწყობილება კარგად ჩანს გარინიოვთან საუბარში, განსაკუთრებით, როდესაც აჯანყების წინამძღოლი გატაცებით ყვება იგავს ყვავსა და არწივზე. მას ურჩევნია არწივის ხანმოკლე, ხიფათით აღსავსე, მაგრამ დაუდგარი ცხოვრება. თუმცა არჩევანის სისწორეში ბოლომდე თვითონაც არ არის დარწმუნებული. იგი საკმარდ ჰკვიანს იყო, რომ არ ეგრძნო ასეთი გადაწყვეტილების ცალმხრივობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას პუგაჩოვის დუმილი გარინიოვის შენიშვნაზე — „...მკვლევლობითა და მხარცელობით ცხოვრება, ჩემი აზრით, ლემის კორტნაა“. ამდენადვე მკითხველს არ უკვირს პუგაჩოვის, თავზეხულადებული კაცის მორალით მოქმედება, იგი კმაყოფილდება მოჩვენებითი კეთილდღეობით და გაურბის მომავალზე ფიქრს.

ყოველივე აღნიშნულიდან აშკარად ჩანს, თუ რამდენად ძლიერია რომანის, განსაკუთრებით კი პუგაჩოვის მხატვრული სახის რეალიზმის ძალა, ისე როგორც „კაპიტანის ქალიშვილის“ ძირითადი კოლიზიის სოციალური არსი. პუშკინმა კარგად იცოდა, რომ ისტორიული მოვლენების მხატვრული გააზრება სასურველ შედეგს არ გამოიღებდა, თუ ამ მოვლენების კლასობრივი ფესვები არ იქნებოდა გაშიფრული. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ხალხის გრანდიოზული აჯანყება პუგაჩოვის ხელმძღვანელობით შემთხვევითობით არ აიხსნებოდა; ბუნებრივია, იგი არც ერთი კაცის ავანტურისტული აზიერებულობის შედეგი იყო.

პუშკინის სამართლიანი მტკიცებით, აჯანყების სოციალური ფესვები ხალხის წიაღში შორს იყო გადგმული. სწორედ რომ გაბატონებული კლასის მიერ ხალხის ინტერესის შეუწყნარებელმა შებღალგამ, ექსპლოატაციამ და ძალმომრეობამ აალებინა ყმას ნაჯახი მეფისა და მემამულეთა წინააღმდეგ. „კაპიტანის ქალიშვილის“ ავტორი გადმოგვცემს მონარქიის ბურჯთა დესპოტიზმს და ამით გაპოწვეულ ხალხის გააფთრებას. პუშკინს ალღო არ ღალატობდა. მას ღრმად სწამდა, რომ უნდა შეეცვლილიყო არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა. ამისათვის კი საჭირო იყო ბრძოლა. მაგრამ ისტორიულმა პირობებმა მწერალს არ მისცა საშუალება ეჩვენებინა არსებულის მსხვერველი ძალა, რომელიც ბატონყმურ ურთიერთობას ახლით შეეცვლიდა. იგი ძირითადად კვლავ „განათლებული მონარქის“ პრინციპებს იცავდა, თუმცა თვითონვე გრძნობდა ასეთი შეხედულების ანაქრონიზმს. პუშკინს, როგორც თავის ეპოქის მოწინავე ადამიანს, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა რესპუბლიკური წყობილების უპირატესობა მონარქიულთან. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ის ბოლომდე ვერც ბურჟუაზიულ დემოკრატიის ცალმხრივობას შეურიგდებოდა. უდავოა, რომ პოეტი თავის ეპოქის პირმშოა და ძირითადად მისით არის დავალებული. ამავე დროს, ანგარიშგასაწევია მკვლევართა მტკიცება, რომ პოეტი ბევრ რამეში უსწრებდა

რუსეთში დამკვიდრებულ ბატონყმურ წყობის მოთხოვნებს. ამიტომაც მოიხვეჭა მან შორსმჭვრეტელი მოაზროვნის სახელი. განა ამის დასტური არ არის ხალხთა მასებისა და პუგაჩოვის ურთიერთობის ამსახველი სურათები „კაპიტანის ქალიშვილში“. განრისხებული გლეხთა მასები მსო-ლოდ მემამულეებისადმი იჩენენ დაუნდობლობას, სამაგიეროდ ზეიმი-თა და პატივისცემით ხვდებოდნენ პუგაჩოვს: „ხალხი ქუჩაში ჩერდებო-და და დაბალ სალამს იძლეოდა. პუგაჩოვი ორივე მხარეს თავს უკრავ-და“ (825). განა ხალხმა არ შექმნა უამრავი ლეგენდა თავის ბელადზე, რომელსაც მიაწერდა მთელ რიგ განსაკუთრებულ თვისებებს, უყვარდათ და ხალხით ასრულებდნენ ყოველ მის განკარგულებას, საზეიმოდ იძ-ლეოდნენ ფიცს, სიხარულით უერთდებოდნენ აჯანყებულთა რაზმს, რომ-ლის რიცხვი ფანტასტიურად იზრდებოდა: „მე დავინახე მემამოხეთა ჯარი ქალაქის კედლების მადლობებიდან. ისე მომეჩვენა, რომ მათი რი-ცხვი გაათკეცბულიყო უკანასკნელი იერიშის შემდეგ. რომლის მნახ-ველიც მე ვიყავი. მათ ჰქონდათ არტილერიაც. რომელიც პუგაჩოვმა ხელთ იგდო მის მიერ უკვე დაპყრობილ პატარა ციხეებში“ (814). სხვა-გან ვკითხულობთ: „პუგაჩოვი ჯერ კიდევ ორენბურგთან იდგა. ამასო-ბაში მის გარშემო რაზმები ერთიანდებოდნენ და ყოველი მხრით უერთ-დებოდნენ ბორცმოქმედის ბუდეს“ (835). მწერალი ხაზს უსვამს პუ-გაჩოვის გამბედაობასა და სამხედრო ნიჭსაც. მისი ეწინოდით არა მარ-ტო გუბერნატორებს, ის „სახელმწიფოსაც აწანსარებდა“.

მუშკინი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ პუგაჩოვი პირველმა დამარ-ცხვანამ არ შეაშინა. იგი ურალის მიდამოებში ახალ რაზმებს ქმნიდა და კვლავაც შიშის ზარს სცემდა ხელისუფლების წარმომადგენლებს: „ისევე გაიშა მისი გამარჯვების ხმა. ჩვენ გავიგეთ ციმბირის ციხე-სიმაგრეების განადგურების ამბავი. მალე ხმებმა ყაზანის აღებასა და მოსკოვზე პუ-გაჩოვის გალაშქრებაზე შეაშფოთა ჯარების უფროსები...“ (839).

მწერალს არც იმათი დაქასიათება გამორჩენია მზედველობიდან. ვინც მეფის მხარეზე იყო: „მარტო თავდაღწახურობა იყო აშკარად მთავრო-ბის მხარეზეო“ ნახვასით წერდა მუშკინი. ანდა რაოჯენ წარუშველ შთაბეჭდილებას ტოვებს თითქოსდა შემთხვევით თქმული ფრაზა: „ორენ-ბურგს რომ მიუუახლოვდით. დაინახეთ ჯალათის მარწუხით დასახიჩრე-ბულსახეებიანი, თავგადაპარსული ბრბო ხუნდებიანი ტუსადებისა: ისი-ნი სიმაგრეების ახლოს მუშაობდნენ. ციხის ინვალიდების ზედამხედვე-ლობით“ (810—811). წარუშველ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველ-ზე რომანში აღწერალი სოფლების გაჩანაგების სურათიც: „ჩვენ მივდი-ოდით აჯანყებულების მიერ განადგურებულ სოფლებზე და ძალაუფლებუ-რად ვართმევდით ღატაკ მოსახლეობას იმას, რისი გადამალვაც ვერ მოც-წროთ. მმართველობა ყველგან მოიშალა: ნემამულეები ტყე-ღრეში იმა-ლებოდნენ...“ (839).

რომანის სხვა პერსონაჟებიდან საინტერესოა გამზრდელი საველიჩის

სახე. რუსეთის სოფლებსა და ქალაქებში ბატონების მიერ დაბეჩავებული ყმების მთელი კასტა შეიქმნა, რომლებმაც ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც თავისი სურვილით გააგრძელეს ყმის მონური ყოფა. პუშკინის საველიჩი გამოიჩინევა არა მხოლოდ ბატონისადმი ერთგულებით, მას ანავე დროს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, ეს კი ზრდის მისადმი ინტერესს. ფეოდალურ რუსეთში ასეთ ყმათა რიცხვი, განსაკუთრებით რეფორმის შემდეგ, იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მათმა არსებობამ სოციალური პრობლემის ხასიათი მიიღო და ლიტერატურაში თუ ისტორიულ ნარკვევებში საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. ყველა დიდი კლასიკოსი მეტ-ნაკლებ სისრულით შეეხო ამ პრობლემას.

„კაპიტანის ქალიშვილის“ განხილვისას საჭიროა შევეხოთ პეტრე გრიგორივის ერთ ფრაზას, რომელიც ლიტერატურაში დღესაც აზრთა სხვაობას იწვევს: „...ღმერთმა ნუ განახოთ რუსული ჭანყი, უაზრო და დაუნდობელი“ (839). ზურუაზიული კრიტიკა პერსონაჟს ამ გამოხატულებას მწერლის შეხედულების გამოხატულებად თვლის და იყენებს მას იმის დასამტკიცებლად, თითქოს პუშკინი გმობდეს ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას, განსაკუთრებით კი გლეხთა აჯანყებას. ჭერ ერთი, ლიტერატურათმცოდნეობამ დიდი ხანია უკუაგდო ავტორისა და პერსონაჟის გაიგივების უმართებულო ცდა. ყოველი ქეშმარიტი მწერალი თავის ჩანაფიქრს მხატვრულ სახეებსა და გარემოსთან კავშირში გვიხატავს, და მეორეც, ეს ჩვენი აზრით, ძირითადი არგუმენტია, XVIII საუკუნის რომანტიკული ილუზიებით შეპყრობილი პეტრე გრიგორივი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გამოხატავდა დიდი მწერლის შეხედულებას ისეთ ნიშნულზე, ველოვან ეპოქალურ საკითხზე, როგორც რევოლუციური მოძრაობა, განსაკუთრებით დეკაბრისტთა გამოსვლების შემდეგ. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ გრიგორივი თავის ეპოქის პროვინციული ახალგაზრდა შემამულეთა ტიპური წარმომადგენელია. რომელსაც არ გააჩნია არამეტოე ჩამოყალიბებული სოციალ-პოლიტიკური მრწამსი, არამედ ცხოვრების ელემენტარული გამოცდილება. ჩვენ ასევე გაუმართლებლად მიგვაჩინია, როდესაც მკვლევართა ნაწილი საერთოდ გვერდს უვლის რომანის ამ მწვევე პრობლემას, ანდა უარყოფს ყოველგვარ კავშირს გრიგორივის აღნიშნულ ფრაზასა და ავტორის შეხედულებას შორის. XIX ს. დიდ პუშკინს, რომელსაც აწუხებდა მშობლიური ხალხის ბედი, რომელიც ასე გამუდმებით ფიქრობდა მის მომავალზე არ შეიძლება უყურადღებოდ დაეტოვებინა და გვერდი აველო რევოლუციასთან დაკავშირებულ მოვლენებისათვის. განსაკუთრებით იმ გაუმართლებელ დესპოტიზმისათვის, რომელიც თან ახლდა გლეხთა აჯანყებას. ამიტომ სავსა-პოეტუნებრივია, რომ მწერალი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ასე მონდომებით ეძებდა აღნიშნული მწვევე პრობლემის ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტას.

„კაპიტანის ქალიშვილის“ განხილვის დროს რატომღაც გვერდს

უელიან რომანის ფინალს, სადაც ეკატერინე II მომგებიან ფერებშია წარმოდგენილი, რაც არაფრით არ ესადაგება მთლიანად ნაწარმოების იდეურ მიმართულებას. აქ უდავოა, რომ მწერალმა ერთგვარი ხარკი გაუღო ცენზურას. რათა მკითხველამდე მიეტანა რომანის არსი. ასეთი დასკვნის საწულებას იძლევა თვითონ პოეტის უარყოფითი დამოკიდებულება „კაბიანი მონარქისადმი“. პუშკინი სიკვდილამდე დაუზოგავი იყო ეკატერინე II-ისადმი, მისი კოსმოპოლიტიზმისა და თვალმაქცობის გამო.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია „კაბიტანის ქალიშვილის“ მხატვრული დონე. ყველა ის მოთხოვნა, რასაც პუშკინი პროზაულ თხზულებას უყენებდა აქ ხორცშესხმულია: დახვეწილი, უალრესად მდიდარი სალიტერატურო ენა. მარტივი, მაგრამ აზრტევადი წინადადებები, სახეების ძერწვის უბადლო ტექნიკა; მოკლე, მაგრამ ზუსტი რემარკები; ყოველივე უფლებას გვაძლევს რომანი მსოფლიო და რუსული პროზის ერთ-ერთ მარგალიტად მივიჩნიოთ.

როგორც ვხედავთ, პუშკინის პოეტური ნიჭი ერთნაირი სიძლიერით გამოვლინდა პოეზიაში, დრამატურგიასა და პროზაში. რაც მთავარია, მან ყველგან თავისი ახალი სიტყვა თქვა, ეს კი გვარწმუნებს თუ რაოდენ ფართო და ღრმა იყო დიდი პოეტის შემოქმედებითი დიაპაზონი. სწორედ ამით აიხსნება, რომ პუშკინის რეფორმები პოეზიის, დრამატურგიის თუ პროზის სფეროში ტონის მიმცემი იქნება მომდევნო თაობის მწერლებისათვის, მის მიერ გაკვალული გზით ივლიან არა მხოლოდ ეროვნული კულტურის მოღვაწენი.

## მ. ი. ლერმონტოვი და თანამედროვეობა

ლიტერატურის ისტორიაში იშვიათად გვხვდება მწერალი, რომელიც თავის შემოქმედებით ებმურებოდეს ყველა ეპოქას, იყოს ყველა ქვეყნისა და ერის სულიერი მეგობარი. ცხადია, ასეთ შემოქმედზე ყოველი ახალი ეპოქა თავის სიტყვას ამბობს, სათანადოდ აფასებს მას და მის თხზულებებში თანამედროვეობის შესატყვის აზრებს ეძებს. ამიტომ არის, რომ ყოველი დიდი მწერალი კაცობრიობის განუყრელი თანამგზავრია. მოაზროვნეთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება რუსი ხალხის უსაყვარლესი შვილი, პუშკინის უკვდავი ტრადიციების გამგრძელებელი მიხეილ იურის ძე ლერმონტოვი.

ნამდვილად დიდ მწერლის ბედს, მის შემოქმედებითს მომავალს ნიქთან ერთად ეპოქა განსაზღვრავს, რომელშიც იგი ცხოვრობდა და რომლის ამსახველდაც გვევლინება.

განიხილავდა რა რუსული ლიტერატურის განვითარების დამოუკიდებელ გზებს. ბ. გ. ბელინსკი ხაზს უსვამდა ლიტერატორისათვის საკუთარი ერის ისტორიული წარსულის, მისი შინაგანი ბუნების ღრმა ცოდ-



ნის აუცილებლობას. ამავ დროს, კრიტიკოსს კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეპოქას პოეტის ჩამოყალიბებისათვის.

„იფიქრო, — წერდა ბელინსკი, — პოეტს ქმნის მხოლოდ ნიჭი — ნიშნავს უხეშად შეცდე, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანს პოეტად აქცევს ტალანტი: მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აგრეთვე ხასიათიც, განათლებაც. მიმართულებაც, რომლებსაც ის საზოგადოება განსაზღვრავს, რომელშიც პოეტი იშვება“.<sup>1</sup>

ბელინსკიმ ლერმონტოვი-პოეტის ზრდა-ჩამოყალიბების საქმეში ერთობ დიდი როლი ითამაშა, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია კრიტიკოსის დამსახურება ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესში მისი ადგილის განსაზღვრისას. ეს მან პირველმა შეამჩნია ლერმონტოვის ნიჭის თვითმყოფადობა, მგოსნის ნაწარმოებთა ქვეშაირი ნაციონალური ხასიათი და ანაღაზრდა პოეტი რუსულ სიტყვაკაზმულ მწერლობის უკეთეს ტრადიციების გამგრძელებლად გამოაცხადა.

ბელინსკი ა. ა. კრავეცკისადმი გაგზავნილ ბარათში მეგობარს ლერმონტოვზე წერდა, რომ ნამდვილად, მასში რალაცა დიდი იმალებაო. ცოტა მოგვიანებით, კრიტიკოსი ნ. ვ. სტანკევიჩს ატყობინებდა: რუსეთს მოველინა ახალი მძლავრი ნიჭი — ლერმონტოვიო<sup>2</sup>. ხოლო ვ. პ. ბოტკინისადმი გაგზავნილ წერილში კი ბელინსკიმ უკვე კონკრეტულად დაასახელა ლერმონტოვის ადგილი რუსულ ლიტერატურაში, იგი მან პუშკინისა და გოგოლის გვერდით დააყენა: „საშიშია თქვა, მაგრამ მგონია, რომ აქ ჰაბუკუმი მზადდება მე ს ა მ ე რუსი პოეტი, ხოლო პუშკინი არ მომკვდარა უმემკვიდრეოდ“.<sup>3</sup> ბ. ბელინსკი, შემდეგ კი ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი სასტიკ ბრძოლას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც ცდილობდა ლერმონტოვის წინააღმდეგ გალაშქრებას.

ბ. ბელინსკი აღნიშნავდა, რომ პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა და ამას მხოლოდ მათი ნიჭის თავისებურებებით არ ხსნიდა. კრიტიკოსისათვის ამ ორი დიდი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის დამოუკიდებელი ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, ეპოქათა სხვაობის შედეგი იყო.

„ღიახ, აშკარაა, — წერდა კრიტიკოსი, — რომ ლერმონტოვი სულ სხვა ეპოქის პოეტია, ხოლო მისი პოეზია ახალი სიტყვაა ჩვენი საზოგადოების განვითარების ისტორიაში“<sup>4</sup>. ცოტა მოგვიანებით იგივე ბელინსკი, ახასიათებდა რა ლერმონტოვის შემოქმედებას, აღნიშნავდა: „ჩვენ მასში შევიცნობთ რუს პოეტს ხ ა ლ ხ უ რ ს, ამ სიტყვის უმაღლესი და უკეთილშობილესი გაგებით. პოეტს რომელშიც აისახა რუსული საზოგადოების განვითარების ისტორიული მომენტი“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> В. Г. Белинский. Собр. соч., в трех томах. т. 3. М. 1948, с. 355.

<sup>2</sup> იქვე, 33- 378.

<sup>3</sup> იქვე, 33- 441.

<sup>4</sup> В. Г. Белинский. Собр. соч., т. XI, с. 503.

<sup>5</sup> იქვე, 33- 520 — 521.

ცხადია, კრიტიკოსი, ცენზურის გამო, ვერ იტყოდა ლერმონტოვის წინამორბედი რომელი ეპოქა ჰქონდა მხედველობაში. მაგრამ ექვეგარეშეა. რომ იგი დეკაბრისტების გამოსვლას გულისხმობდა, რომელმაც პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიას მემამბოხური სული შემატა.

რაც შეეხება ლერმონტოვის ეპოქას, ეს ხომ ნიკოლოზ I უმძიმესი რეაქციის პერიოდი იყო. ამიტომ, არც ამაზე შეიძლება და აშკარად ლაპარაკი. მაგრამ დიდი კრიტიკოსი, მისთვის ჩვეული გაბედულობითა და მოხერხებულობით, ადვილად მიანიშნებდა მკითხველებს თუ რასე და ვისზე იყო საუბარი.

მართალია, პუშკინის ცხოვრების თუ შემოქმედების გზა უთუოლ რთული და ტრაგიკული აღსავსე იყო, იგი საბოლოოდ ნიკოლოზ პირველის აგენტთა მსხვერპლი გახდა, მაგრამ მძიმე რეაქციის ეპოქას პუშკინი საყოველთაოდ აღიარებულ პოეტად შეხვდა. მაშინ, როდესაც ლერმონტოვმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ამ „ევროპის ქანდაკის“ სანაშინი დაიწყო. ცხადია, ასეთ დამაბულ პირობებს არ შეიძლება თანვისი დალი არ დაესვა დამწყებ პოეტის შემოქმედებაზე.

ახალგაზრდა პოეტს, რეაქციის მიმე წლებში, გაუძნელდა სწორად აერჩია მომავლის გზა, რომელიც შემოქმედების ფართო ასპარეზზე გამოიყვანდა. მაგრამ მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ პირობებშიც ინტუიციით თავიდანვე საზრიანი გადაწყვეტილება მიიღო — ზურიკი შეაქცია ყოველივეს, რაც ოფიციალური საზოგადოებიდან გამომდინარეობდა. დაგმო ყველაფერი, რაც კი აფერხებდა ადამიანის თავისუფლებას.

ა. ი. გერცენი, განხილავდა რა ლერმონტოვის ჩამოყალიბების გზებს, აღნიშნავდა, რომ მან დაძლია „ღრმა სასოწარკვეთილება და საყოველთაო ვულგატეზილობა“, რომელიც XIX საუკუნის 30-იანი წლების ახალგაზრდობისათვის იყო დამახასიათებელი. პოეტმა, გერცენის სამაროლიანი მტკიცებით, დაიკავა საპატიო ადგილი ეპოქის მოწინავე ადამიანთა რიგებში, ბოლომდე დარჩა დეკაბრისტთა ტრადიციების დამცველი და გამპრძლიბელი. იმ ჭკუფს, რომელსაც ლერმონტოვი მიეკუთვნებოდა ვ. ი. ლენინმა დეკაბრისტების მიერ „გამოღვიძებული“ უწოდა.

ლერმონტოვის მოუსვენარი ბუნება და შეუპოვარი ხასიათი, ლოგიკური აზროვნება და თავისუფალი მსჯელობა ვერ ეგუება გაბატონებულ კლასთა წარმომადგენლებს ფუქსავატურ ცხოვრებას, მათ ცბიერებასა და გაუტანლობას. თვალთმაქცობასა და ორპირობას, მათ სულიერ თუ ფიზიკურ დაკნინებას და ამიტომ ჭერ კიდევ ყმაწვილმა, გამოავლინა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება შალაღი წრისადმი. პოეტმა დაგმო ისეთი სოციალური წყობა, რომელიც „კანონმდებლობის საფარველით“ იცავდა „ბილწ წინაპართა ზეიად შთამომავლობას“.

ლერმონტოვის პოეზია ჩვენს თანამედროვეობასაც აქტიურად ეხმაურება. სანკოთა ახალგაზრდობას ბევრ მისაბამ მაგალითს აძლევს მისი

სახელოვანი ცხოვრება. რომელიც აღსავსე იყო უკომპრომისო ბრძოლითა და ვაჟაკური შემართებით. მწერლის დამოუკიდებელმა, პრინციპულმა ხასიათმა გააწყვეტინა მას კავშირი სასასლესთან, გახდა მისი დაუნდობელი მტერი. პოეტის მთელი ცხოვრება იმის ბრწყინვალე მაგალითია. თუ როგორ უნდა უყვარდეს კაცს საკუთარი ხალხი, სამშობლო, იყო დიდი პატრიოტი, ინტერნაციონალისტი და ჩაგრულთა ინტერესის დამცველი.

მომავალი პოეტის მოწინავე იდეების ჩამოყალიბების საქმეში დადებითი როლი ითამაშა იმ პროგრესულმა წრემ, რომელშიც ლერმონტოვმა ბავშვობიდანვე აღმოჩნდა. იგი თორმეტი წლისა იყო, როდესაც მოხდა დეკაბრისტთა აჯანყება, რომელმაც გამოათინა ჯა მოძრაობაში მოიყვანა მთელი რუსეთი. დეკაბრისტებზე არ შეეძლოთ არ ელაპარაკათ ლერმონტოვის ბებიის ე. ა. არსენიევის ოჯახში. საღაც დედის სიკვდილის შემდეგ იზრდებოდა მომავალი პოეტი. ეკატერინა არსენიევას ორი ძმა — დავით და ალექსანდრე სტოლიპინები ახლო იყვნენ დეკაბრისტებთან. პირველი, რომელიც კორპუსს მეთაურობდა, მეგობრობდა პესტელთან, ხოლო მეორეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რილევეთან. თუ არა მოულოდნელი სიკვდილი, რომელიც მოხდა დეკაბრისტთა გამოსვლის წინ. ა. სტოლიპინს უნდა მიეღო მონაწილეობა გამოსვლებაში. რა თქმა უნდა, ასეთ ოჯახში ცნობისმოყვარე და იმ დროისათვის საკმაოდ გათვითცნობიერებულ ლერმონტოვის ყურადღებას აო გამოჩნებოდა რევოლუციონერთა გამოსვლები, მით უმეტეს, რომ ყმაწვილი ადრევე იყო გატაცებული ბრძოლის რომანტიკით. შემდგომშიც ლერმონტოვი არა ერთხელ შეხვედრია დეკაბრისტულ მოძრაობის მონაწილეებს. რომლებთან ურთიერთობამ დადებითი გამოძახილი პოვა მებრძოლი პოეტის შემოქმედებაში.

მ. ლერმონტოვის მსოფლმხედველობაზე უდაოდ დიდი გავლენა იქონია აგრეთვე მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ პანსიონატსა და თვით უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა. ცნობილია, რომ მოსკოვის უნივერსიტეტი იმ წლებში მოწინავე იდეების კერა იყო. მ. ლერმონტოვი აღმოჩნდა არა მხოლოდ ოჯახალურად მოაზროვნე სტუდენტთა წრეში; 30—40-იან წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ მთელი რიგი პროგრესულად მოაზროვნე პროფესორებისა, რომლებიც სტუდენტებში ნერგავდნენ XVIII საუკუნის ფრანგი ენციკლოპედისტების განმანათლებლურ იდეებს. ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ იმ პერიოდში მოსკოვის უნივერსიტეტში და მასთან არსებულ პანსიონატში სწავლობდნენ XIX ს. რუსეთის საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ ბ. გ. ბელინსკი, ნ. ვ. სტანკევიჩი, ა. ი. გერცენი, ნ. პ. ოგაროვი, ი. ა. გონჩაროვი და სხვები.

ასეთ გარემოში ჩამოყალიბებულ პოეტს უნდა ეთქვა ახალი სიტყვა

და ლერმონტოვმაც თქვა ის სიტყვა, რომელმაც აალაპარაკა მთელი მოწინავე რუსეთი, მოაჯადოვა მკითხველი და გახდა რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდების მებაირალე.

ლერმონტოვი ჩვენ თანამედროვეობას ეხმიანება თავის ნაწარმოებებში დასმული თითქმის ყველა ძირითადი მოტივით, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ პოეტის ადრინდელ ლექსებში გვხვდება ელეგიური, ზოგჯერ უიმედო განწყობილებაც კი. პოეტის ასეთი სულიერი დეპრესია დეკაბრისტების დამარცხებით იყო გამოწვეული, ისე როგორც ნიკოლოზ პირველის სისტილიანი რეპრესიებით. რომელმაც მთელი რუსეთი მოიკვია. პოეტს ყველაზე მეტად ახალგაზრდობის უმოქმედება აწუხებდა, აჰა ჩააფიქრა ბელინსკი, გერცენი და ოგარიოვიც. „იძულებით დადუმებულები, — წერდა გერცენი, — ვიკავებდით რა ცრემლებს, კარჩაკეტილებმა გამოვიძუშავეთ უნარი გამოგვეტანა საკუთარი დასკვნები“.<sup>1</sup> ლერმონტოვის პოეზიის გამო ოგარიოვი წერდა: მე ძალზე მიძნელებდა მოვწყდე მის ლექსებსო. ეს ისე ძნელია, როგორც ხელი აიღო რომელიმე საკუთარ გრძნობაზეო.

მ. ლერმონტოვის ლექსი „ლოცვა“ ბელინსკიმ პირად განწყობილების ამსახველად აღიარა. 1840 წლის 9 თებერვალს ვ. პ. ბოტკინისადმი გაგზავნილ ბარათში კრიტიკოსი წერდა: ამ ლოცვას ვიზებირებ მე იმიტომ, რომ ის არის გარკვეული მომენტის ჩემი სულიერი მდგომარეობის სრული გამოვლენაო.

ლერმონტოვის პესნიმშიში აისახა გარდამავალი ეპოქის მებრძოლი სულის დაუქმყოფილებელი განწყობილება. ამავე დროს, კუშმარიტებას ვულაღატებდით თუ ლერმონტოვის ადრინდელ შემოქმედებაში მხოლოდ პესნიმშიმს აღვნიშნავდით. ბურჟუაზიული კრიტიკა კი პოეტის შემოქმედებას სწორედ ცალმხრივად განიხილავდა და მის საბრძოლო პათოსით გაუღენთილ ლირიკაში მხოლოდ პესნიმისტურ განწყობილებას ხედავდა. ეს მაშინ, როდესაც ლერმონტოვის თითქმის პირველი ლექსებიდან აშკარად ჩანს მათი ავტორის მებრძოლი სული, მისი დაუცხრომელი მძიებელი ბუნება და, რაც მთავარია, „პესნიმშიმს“ ქმედითი ხასიათი, როგორც ამის შესახებ სამართლიანად წერდა მ. გორკი<sup>2</sup>.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ დამაჯერებლად დაადგინა ლერმონტოვის საუკეთესო ლექსების საბრძოლო. მეამბოხური ხასიათი, ისე როგორც მათი ავტორის რევოლუციური განწყობილება. თუ ჯერ კიდევ დამწყები მწერალი ამ მებრძოლ სულისკვეთებას ალევგორიულ ფორმებში გამოხატავდა („თურქის ჩივილი“), უკვე ერთი წლის შემდეგ მან თავისი მამხილებელი პათოსი აშკარად გადმოგვცა ლექსში „1831 წლის 11 ივნისი“. ამ ლექსს პოეტის ადრინდელ შემოქმედებაში ერთგვარი დამაჯამებელი ხასიათიც აქვს.

<sup>1</sup> А. И. Герцен, Пол. собр. соч., т. VII., с. 225.

<sup>2</sup> М. Горький. История русской литературы. М., 1939, с. 160.

„თურქის ჩივილში“ ლერმონტოვმა მოქმედება საზღვარგარეთ გადაიტანა. მაგრამ რიგითი მკითხველისათვისაც კი ადვილი გასაგები იყო, რომ აქ ლაპარაკია ავტორის სამშობლოზე: „...დამონებული, ბორკილებში იქ კაცი კვნესის!.. იგი მხარეა, მეგობარო, სამშობლო ჩემი“<sup>1</sup>... ამბობს პოეტი ლირიკული გმირის პირით. ლექსში „1831 წლის 11 ივნისი“ ჩვიდმეტი წლის პოეტი უკვე მოუტირებლად ესწმის თავს და ზიზღით ლაპარაკობს თვითმპყრობელობაზე. აშიშვლებს დამკვიდრებულ სოციალურ წყობის მანკიერ მხარეებს. ის უკმაყოფილოა აგრეთვე თანამოქალაქეებით, რომლებიც მონური მოთმინებით ეწვეიან უმძიმეს ჭკანს, ქედს იხრიან ძალმომრეობის წინაშე და იჩენენ სრულ უმოქმედებას მაშინ, როდესაც თვითონ პოეტი აღსაყვება ენერგიითა და საბრძოლო განწყობილებით, მას ვერ წარმოუდგენია ადამიანი მოქმედების გარეშე:

მოსწყენია, თუ უბრძოლველად მიდის ცხოვრება.  
როს ვარჩევთ წარსულს, ნათლად ვხედავთ მაშინ მარტოღენ  
საქმეებს მტირედს; აუვავებ-ს ვაჟს სასოებას  
სულ არ მოგერიან ეს საქმენა უსახელონი.  
საქირო არის ვომოქმედო, მსურს დღე ყოველი  
უკვდავეუო ისე. ეთ აჩრდილი შექისმთოველი  
დიადი გმირის; და არა მესმის, თან მიძნელდება  
გაერგო, რაა დაღღღობა და მოსვენება (32, ვ. ნადირაძე).

ლერმონტოვის მიერ ამ ლექსში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ცხოვრება ბრძოლაა, რომ ადამიანი არაარაობაა მოქმედებისა და მოძრაობის გარეშე, მთელი ეპოქის ლოზუნგად გადაიქცა. ახალგაზრდა პოეტის დევიზს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ფორმით იმეორებენ ბელინსკი და გერცენი, ხოლო მაქსიმ გორკიმ სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა ძირითად კოდექსად შემოქმედებითი შრომის პოეზია და სინამდვილისადმი ქმედითი დამოკიდებულება გამოაცხადა. ის ლერმონტოვის პოეზიის ძირითად აზრსაც სწორედ ამაში ხედავდა. ლიტერატურის ისტორიის კურსში ლერმონტოვზე ვკითხულობთ: მისთვის დამანასიათებელია ცხოვრებაში აქტიური ჩარევა და უკეთესი მერმისისათვის ბრძოლა.

დღითიდღე იზრდებოდა პოეტის ინტერესი სამშობლოსა და მის გარეთ მომხდარი საზოგადოებრივი მოვლენებისადმი. 1830—1831 წლებში ლერმონტოვი ქმნის მთელ რიგ ლექსებს, რომლებიც გაელენთილია აშკარა პროტესტანტული სულით, დადადებენ მათი ავტორის დაუცხრომელ მისწრაფებას ქმედით ცხოვრებისაკენ; მოითხოვენ მკითხველებისაგან აქტიურ ბრძოლას დრომოკმული სოციალური წყობის წინააღმდეგ. პოეტი ვერ ისვენებს. იგი ამხედრებულია „ბრწყინვალე საზოგადოების“ წინააღმდეგ, ამკობს მას შესაბამისი ეპითეტებით: „ქედმაღა-

<sup>1</sup> მ. ი. ლერმონტოვი, რჩეული თხზულებანი. თბ., თსუ, 1948. ტ. I, გვ. 6. თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა. შემდეგში ამ გამოცემიდან მოყვანილი ციტატის ბოლოს მიუთითებთ გვერდსა და მთარგმნელის გვარს.

ლი“, „გულზვიადი“; ზუსტად ახასიათებს „უგუნურთა“ და „შურიანთა“ გარყვნილ და გადაგვარებულ ცხოვრებას. ე. წ. მაღალი საზოგადოება გულმოდგინედ ინიღბება, თავის ბინძურ ზრახვებს მალავს არისტოკრატიზმის ნიღბის ქვეშ. მაგრამ ახალგაზრდა პოეტის გამჭირაბ მხედველობას ვერ ატყუებს თვალთმაქცთა მაქინაციები, იგი დაუნდობელი რეალისტის ხელით აშიშვლებს მათ უმსგავსს საქმიანობას. აი, რას წერდა ლერმონტოვი გაბატონებულ საზოგადოების შესახებ. მას ეს საზოგადოება მიაჩნია „...უსულო ადამიანთა თავმოყრად“, რომლის წევრები უმსგავსი პატივმოყვარეები და შურით გაელენთილები არიან, ისინი ვერ იტანენ იმათ, ვის სულში შემონახულა თუნდაც ცეცხლის მცირედი ნაპერწკალი.

ამიტომ ჰქონდა დობროლიუბოვს უფლება ლერმონტოვზე ეთქვა, რომ ის ამათრახებდა თავადანსაურულ ყოფის მანკიერ მხარეს ისეთი დაუნდობელი ძალით, როგორიც მანამდე არც ერთ რუს პოეტს არ გამოუჩენიაო.

მ. ლერმონტოვის დამოკიდებულება მონარქებისადმი კარგად ჩანს საფრანგეთის 1830 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელშიც პოეტმა აშკარად გამოხატა აღფრთოვანების დიდი გრძნობა ტირანი მეფის კარლოს მეათის ტახტიდან ჩამოგდების გამო. ლერმონტოვი ამხელდა რა საფრანგეთის ჯალათს, ამით ის აფრთხილებდა ყველა ქვეყნის ტირანებს, რომ მათი უღირსი საქმიანობა დაუსჯელი არ დარჩებოდა, რომ ამ ქვეყნად არის ჯალათთა დათრგუნვის რეალური შესაძლებლობა:

... და შენ ფაქობდი  
ხალხი უღლის ქვეშ მოგეცა, ცული გეთესა,  
მაგრამ ჩანს, ფრანგებს შენ ვერ იცნობდი! —  
სულელებს ამქვეყნად მეფეთათვის კიდევ სამსჯავრო,  
მან დასასრული შენ გამცნო გრგვიანო;  
შეშ-თ გაქვეც და თავიდან მიშინ საჭაროდ  
შენ ჩამოგვარდა ოქროს გვირგვინი (24, კ. ნადირაძე).

იმავე წლის ოქტომბერში ლერმონტოვი, გამხნეებული ფრანგების წაგალითით, მიმართავს უკვე თანამემამულეებს და გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ რუსეთის ტირანიც ვერ აცდება სამართლიან დასჯის გზას.

თქვენ სლავებისა და თოელის ძენო,  
რისთვის დაეცით სულთ ესოდენ?  
დალუქება ტირანი თქვენო,  
ეთ სხვა ტირანი ილუქებოდნენ!.. (26, კ. ნადირაძე)

მოქალაქეობრივი მოტივები ლერმონტოვის პოეზიაში სულ უფრო გამოკვეთილად ისახება. მებრძოლ პოეტს არსებულის წინააღმდეგ გალაშქრება გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია. ის გულმოდგინედ ეძებს თავისი შეხედულების გამოხატვის სათანადო საშუალებას და ფორმას, რაც ნიკოლოზ პირველის რეაქციის ხანაში სულ უფრო და უფრო ძნელი

ხდებოდა. მაგრამ პოეტი არ ერიდებოდა მოსალოდნელ რეპრესიას და აშკარად თავს ესხმოდა როგორც მეფეს, ისე მის გარშემო მოკალათებულ „უგუნურთა“ ბრბოს.

მებრძოლი სული, მშფოთვარე და მუდამ მაძიებელი ბუნება ლერმონტოვმა განუმეორებელი ხელოვნებით გამოხატა მსოფლიო პოეზიის მშვენიერებაში — „იალქანი“. მელანქოლიურ საბურველში მოქცეულ ლირიკულ გმირს აწუნებს სამშობლოს დატოვება, მაგრამ იქაც რომ არაფერი დარჩენია?! ის უკმაყოფილოა ცხოვრებით, თუმცა პესიმიზმში არ ეარდება. ლერმონტოვის ლირიკული გმირი არ ჰგავს პუშკინის „თავისუფლების მაძიებელ“ ალექსს, თანაც არისტოკრატთა დარდიმანდულ ყოფას გარიდებია. ლექსში გატყვევებ! ბუნიბის მომაჯადოებელი სურათები; ისე როგორც დაუოკებელი სულის საბრძოლო განწყობილება:

ის კი, მშფოთვარე. უხმობს გრიგალებს,  
თითქოს გრიგალებში სიმშვიდე იყოს! (54, კ. ნადარაძე)

ყოველი დეტალი პოეტს ისეთი მხატვრული ძალით აქვს გადმოცემული, რომ მკითხველში ლექსი დღესაც განუმეორებელ ესთეტიკურ გრძნობას იწვევს. მართლაც, ძნელია მონახო მეორე ასე მკირე მოცულობის ლირიკული ლექსი, რომელშიც ესოდენ მნიშვნელოვანი აზრი გადმოცემული იყოს უფრო დახვეწილი ფორმით.

XIX საუკუნის რუსული პოლიტიკური ლირიკის მშვენიერებას წარმოადგენს ლერმონტოვის ლექსი „პოეტის სიკვდილი“. როგორც ყუშბარამ ღამის წყვილიაღში, ისე იქუხა ამ ლექსმა „უგუნურთა“ ბანაკში. მათ რისხვას საზღვარი არ ჰქონდა, არ იცოდნენ როგორ ეძიათ შური „თავგასულ“ პოეტზე, ბრბო ვერ ისვენებდა. III განყოფილების აგენტებმა გაუგზავნეს ნიკოლოზ პირველს ლექსის ტექსტი მინაწერით „რევოლუციისაკენ მოწოდებაო“.

ლერმონტოვმა ლექსით „პოეტის სიკვდილი“ გამოხატა ყველა პატიოსანი ადამიანის გულისწყრომა იმ შეუესებელი დანაკლისის გამო, რომელიც გამოიწვია პუშკინის დაღუპვამ. პოეტს ვერ წარმოედგინა თუ იქნებოდა ვინმე რუსეთში, რომ არ განეცადა ასე უაზროდ დაღუპული გენიალური პოეტის ბედი. მაგრამ გამოჩნდნენ ბოროტი ადამიანები, მეფის დამცველები, რომლებიც პუშკინის დაღუპვას ჩუმად და უხამსოდ ზეიმობდნენ, როგორც ეს მათ დაკნინებულ ცხოვრებას შეეფერებოდა. ამან კი საბოლოოდ ჩამოხადა ნილაბი სასახლის შავბნელ საქმეებს და ლერმონტოვმა უკვე ხალხში გავრცელებულ ლექსს დაუმატა ბოლო თექვსმეტი სტრიქონი, სადაც მეფისა და მისი გარემოცვის მამხილებელმა ძალამ კულმინაციას მიაღწია. პოეტმა გამოაშარავეა პუშკინის ვერაგი მკვლელები, დაუნდობლად გაკიცხა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ისინიც, ვინც ნილაბათარებული ნიანგის ცრემ-

ლებს ღვრიდა. ლერმონტოვი არც ამით დაკმაყოფილდა და მათ სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანა:

თქვენ კი, ზეადნო შთამომავალნო  
იმ წინაპართა, ვინც სიბილწით განითქვენნ ძველად,  
თქვენ, ბედის ბრუნვით დამცირებულ გვართ ნატამაღნი  
და ნამსხვრევები მონურ ქუსლით ნამშ გავითელავთ,  
მშიერ ბრბოსავით ტახტის ირგვლივ ერთად რომ დგახართ,  
თავისუფლებს, დიდების და ნიქის ჭალათნო!  
კანონდებლობის საფარველი თქვენ გიცავთ ახლა,  
და თქვენს წინაშე სდუმს სიმართლე და სასამართლო!..

(67, დ. გაჩეილაძე)

ლერმონტოვი დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან ჭალათები მიიღებდნენ საკადრის სასჯელს, ვერ იხსნის მათ ვერც მეფის მფარველობა და ვერც თვალთმაქცური ნიანგისებური ცრემლი. პუშკინმა კი თავისი გენიალური ქმნილებებით უზრუნველყო უკვდავება. ამ ტიტანის წინაშე უძლურია ბრბო, რომელიც „თავის ბინძური სისხლით ვერ წარბოცს დიდი პოეტის ალაღ სისხლს“.

იმ წარუშლელ შთაბეჭდილებაზე, რომელიც „პოეტის სიკვდილმა“ გამოიწვია საზოგადოებაში, წერდა ხელოვნების ცნობილი მოღვაწე ვ. ვ. სტასოვი, მაშინ ის თეატრალური სასწავლებლის მსმენელი ყოფილა. ლერმონტოვის ლექსს სასწავლებელშიც ხელნაწერის სახით შეუღწევია და მსმენელებში უჩვეულო გამოცოცხლება გამოუწვევია. აი, რას იგონებს ხელოვანი:

„თუმცა ჩვენ კარგად არც კი ვიცოდით, და არც არავინ იყო, რომ გვეკითხა, ვისზე იყო ლაპარაკი სტროფში „თქვენ მშიერ ბრბოსავით ტახტის ირგვლივ ერთად რომ დგახართ“ და ა. შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვბობოქრობდით, ვიყავით ღრმად აღშფოთებული ვილატაზე; ვღელავდით მთელი სულით, რომელიც აღსაესე იყო გმირული აღვზნებით. მართლაც ყველაფრის ჩადენა შეგვეძლო — ისე გვაძალღებდა ლერმონტოვის ლექსის ძალა, ისე გადამდები იყო მხურვალება, ანთებული პოეტის სტრიქონებში“<sup>1</sup>.

ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს ლერმონტოვის უკვდავი ლექსის რევოლუციური ძალა, მისი ზეგავლენის საყოველთაო ხასიათი.

თვითმპყრობელური რუსეთიც მკაცრად უსწორდება თავისუფლების მომღერალს. მეფის ბრძანებით ლერმონტოვი გადმოასახლეს კავკასიაში და განამწყესეს მოქმედ არმიაში, იმ ვარაუდით, რომ იგი აქ დაიღუპებოდა.

ადრე ლერმონტოვს, როგორც პოეტს თუ იცნობდა მკითხველთა ვიწრო წრე, ამიერიდან მასზე ალაპარაკდა მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოება.

<sup>1</sup> «Русская старина», 1881, № 2, с. 411.



სამშობლოდან გაქეცებულ ლერმონტოვში ახალი ძალით იფეთქა მებრძოლის პროტესტანტულმა სულმა. პოეტი არამცთუ ფიქრობდა დაეთმო პოზიციები, პირიქით, მან უფრო გაბედულად შეუტია თვითმპყრობელობას. მისი ხმა დღითი დღე მეტ ჟღერადობას იძენდა, ზღაპრულად იზრდებოდა პოეტის თაყვანისმცემელთა რიცხვი.

ლექსი „ბოროდინო“ 1812 წლის სამამულო ომის ერთ-ერთ ყველაზე გმირულ ეპიზოდს ეხება. სამამულო ომის თემას, კერძოდ, ბოროდინოს ბრძოლებს ლერმონტოვი ჯერ კიდევ 1830—31 წლებში შეეხო. მაშინ პოეტს ბოროდინოს ეპოპეა იზიდავდა, როგორც გმირული ფურცელი მშობლიური ერის ისტორიიდან. ახლა კი იგი უმღეროდა ვაჟაკებს, რომლებმაც თავისი გმირობით ასახელეს სამშობლო და სამაგალითო გამარჯვება მოიპოვეს. პოეტმა კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ხალხის ერთსულოვანი გამოსვლით შეიძლებოდა თავისუფლების მოპოვება. მაგრამ მის თანამედროვეებში პოეტი ასეთ ენთუზიასტს ვერ ხედავდა და წუხდა. ბ. ბელინსკიმ სწორად შეამჩნია ლერმონტოვის გულისწყრომის მიზეზები. წაიკითხა თუ არა ლექსი „ბოროდინო“ აღნიშნა:

ეს ლექსი — საჩივარი თანამედროვე მოდგომაზე, რომელიც სთვლემს უმოქმედობაში, ამავე დროს, იგი შურიტ თვალის გადავლება ისტორიულ წარსულზე, რომელიც აღსავსეა დიდებითა და გრანდიოზული საქმეებით<sup>1</sup>.

— დახ. ცხოვრობდა ჩვენს დროში ხალხ!

ახლანდელ კაცებს არ ჰქვანან სახით

შობლნი დევმირებად!

იყო სასტიკი იმათი ზვედრი:

შინ არ ნოსულა ასოდან ერთ... (61, დ. გაჩეჩილაძე).

მ. ლერმონტოვს უყვარდა სამშობლო, მაგრამ მის წარმოდგენაში სამშობლო რაღაც განყენებული ცნება როდი იყო, ანდა პოეტს ერის წარსულიდან ყველაფერი როდი მოსწონდა. ის სრულიად გარკვეულ ზღვარს ავლებდა ჩაგრულებსა და მჩავეგრელებს შორის. ამ შემთხვევაშიც ლერმონტოვი რადიშივევისა და პუშკინის მაგალითს მიყვებოდა. ყოველთვის ხალხის ინტერესს იცავდა და მოურიდებლად ამხელდა გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა ფუქსავატობას. ლერმონტოვის პატრიოტიზმის ეს თავისებურება ჰქონდა მხედველობაში დობროლუბოვს, როდესაც შეეხო მის ლექსს „სამშობლოს“:

ხალხისადმი წმინდა სიყვარულის სრული გამოვლინება, წერდა კრიტიკოსი, მეტი ჰუმანური შეხედულება მის ცხოვრებაზე არც კი შეიძლება მოსთხოვო რუს პოეტსო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> В. Г. Беллинский, Пол. собр. соч., т. I, с. 503.

<sup>2</sup> К. А. Добролюбов, Пол. собр. соч., т. I, М. Л. 1934, с. 238.

განა ხალხისადმი დიდმა სიყვარულმა არ ათქმევინა ლერმონტოვს:

გტოვებ, რუსეთო დაუბანელო,  
ბატონთა მხარეც, მონათა მხარეც,  
მუნდარსო, ლურჯად მოელვარენო,  
ხალხო, მათ ქედ რომ მოუხარე. (118, დ. გაჩეჩილაძე).

ლერმონტოვი გვასწავლის სამშობლოსადმი ქმედით სიყვარულს, ჰემმარიტად უნაგარო ზრუნვას ერის საკეთილდღეოდ. სამშობლო, რომელსაც უმღერის პოეტი, უნდა იყოს თავისუფალი, სადაც ადამიანს შეეძლება სიყვარული და მისადმი ნდობით იქნებიან გამსჭვალულნი. მერწმუნეთ, არაერთხელ უთქვამს პოეტს, ჩვენი სამშობლო იქ არის, სადაც ვუყვარვართო. ყველაზე სრულყოფილად ლერმონტოვმა ეს თავისი შეხედულება ერთ ავტობიოგრაფიულ უსათაურო ლექსში გამოხატა. ლექსი გადმოგვცემს პოეტის განწყობილებას, როდესაც ის გადასახლებიდან სამშობლოში ბრუნდებოდა. ეს ლექსი ლერმონტოვის შედეგებს მიეკუთვნება და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას პატრიოტული ლირიკის განუმეორებელი ნიმუშია. შიშით შეპყრობილი პოეტი, — იქნებ ის დაივიწყეს სამშობლოში, ყაზბეგს — „აღმოსავლეთის დარაჯს“ ევედრება:

კიდევ მაქვს ერთი, ერთი სურვილი!  
ეს ვეღარ მიტყვამს! — ვთრთი და დაივიწი!  
იქნებ სამშობლო მხედება დუმილით  
და, განდევნილო, სულ დაევიწყდი!  
იქ, სადაც წინათ პატივსა მცემდნენ,  
ვინმეს აღერსოთ თუ ეაგონდები?  
ტანჯულ-წამებულს ამდენ წლოს შემდეგ,  
თუ კვლავ მიცნობენ ძმა-მეგობრები? (82 — 83, მ. პატარიძე).

და თუ პოეტის შიში გამართლდა, მაშინ ლერმონტოვს ერთი და უკანასკნელი თხოვნა რჩება ყაზბეგისადმი, — „მიუხაფარი ცხედარი ჩემი ამ უფსკრულებში გაანიავე“. პოეტის სამშობლო — ეს თვალუწვდენელი ყანებია, გლეხების ქოხები, ჰალა-მინდვრები, რომლებთანაც მას ცხოვრების საუკეთესო წლები აკავშირებდა.

სამშობლოსადმი დიდ სიყვარულს ხელი არ შეუშლია პოეტისათვის ჰყვარებოდა სხვა ერის წარმომადგენლებიც. ეს განსაკუთრებით ითქმის ცარიზმის ჩექმის ქვეშ მოქცეულ ხალხზე. მართალია, ლერმონტოვი მონაწილეობს მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში, როგორც რუსი ოფიცერი, მაგრამ მწერალს არ ღალატობს ობიექტურობის გრძობა და იგი სათანადოდ აფასებს მოწინააღმდეგის მაღალ ღირსებებს; ლერმონტოვს მოსწონდა მთიელთა გამბედაობა და თავდადებულობა, მათი დაუცხრომელი ლტოლვა თავისუფალი ცხოვრებისაკენ, ურთიერთგამტანობა, ძმური სიყვარული და სხვა, საერთოდ კი ლერმონტოვი წინააღმდეგია ყოველგვარი სისხლისღვრისა. პოეტის დიდი ჰუმანური ბუნება ვერ ეგუ-

ება ძალმომრეობასა და თავისუფლების ყოველგვარ შეზღუდვას, რა მოტივითაც არ უნდა მოხდეს ეს. პოეტს ერებს შორის ურთიერთბრძოლა უაზროდ მიაჩნდა. „მზის ქვეშ ყველას ეყოფა მიწაც და სინათლეო“, წერდა იგი.

ლერმონტოვისათვის არ არსებობდა რასობრივი და ნაციონალური ზღუდეები. პოეტს ყოველი ღირსეული მოქალაქისათვის სავალდებულოდ მიაჩნია უყვარდეს ადამიანი განურჩევლად ეროვნებისა. არც ისე იშვიათია ლერმონტოვის შემოქმედებაში სტრიქონები, რომლებიც ასახავენ პოეტის დამოკიდებულებას ევროპისა თუ ამერიკის ხალხებისადმი. ლერმონტოვს უყვარს ბაირონის სამშობლო, აღფრთოვანებით წერს ფრანგებზე, განსაკუთრებით ივლისის რევოლუციის დღეებში. თანაგრძნობით აღწერს ტყვედ ჩავარდნილი ფრენჯი გოგონას ბედს. გმირად წარმოგვიდგენს ლიტველ გოგონა კლარას. სიმათიით ეპყრობა ებრაელებს. განიცდის აფრიკელთა მონურ მდგომარეობას და ა. შ.

მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო მჭიდროდ როგორც თავისი შემოქმედებით, ისე ცხოვრებით ლერმონტოვი საქართველოსა და ქართველ ხალხთან არის დაკავშირებული. შეიძლება ვადაუქარბებლად ითქვას, რომ საქართველომ გადამწყვეტი როლი ითამაშა ლერმონტოვის ცხოვრებაში. საქართველომ და მისმა თავისუფლებისმოყვარე ხალხმა საპატიო ადგილი დაიკავეს დიდი პოეტის უკვდავ თნულებებში. კავკასია პოეტის მეორე სამშობლოდ იქცა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ნათქვამის სისწორეში რომ დაერწმუნდეთ, საქმარისია დავასახელოთ ლერმონტოვის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „დემონი“, „მწირი“, „ჩვენი დროის გმირი“ და სხვა. რომლებიც ძირითადად საქართველოსა და კავკასიაში მიღებულ შთაბეჭდილებებით დაიწერა.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „პრავდას“, როდესაც თავისი სარედაქციო წერილში, რომელიც მიეძღვნა ლერმონტოვის დაბადებიდან 125 წლისთავს, წერდა: პუშკინის შემდეგ მოწინავე რუს საზოგადოებას ლერმონტოვმა აღმოუჩინა კავკასია, როგორც ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მედმივე მებრძოლთა ქვეყანა. ამაყ მთიელთა სახეები რუსულ ლიტერატურაში ბუნებრივად შევიდნენ, მშობლიური გახდნენ რუსი ხალხისათვის. ემსახურებოდნენ რუს ახალგაზრდობის რევოლუციურ აღზრდის დიად საქმეს. მწირი გახდა რუსი მკითხველის საყვარელი გმირი.

მწირის სახით ლერმონტოვმა თავისი იდეალური გმირის საუკეთესო თვისებები გადმოგვცა: „იციოდა მხოლოდ ძალა ფაქრისა — და ერთა — მგზნებარე ვნებას იცნობდა...“

ეს მგზნებარე ვნება იტაცებდა ჰაბუკ ქართველს „მღელვარებათა და ბრძოლების საუცხოო სამყაროში“. სახელგანთქმული სურათი ფოცხვერისა და მწირის მებრძოლებისა შთაგონებულია ქართველი ხალხის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილებით. ლერმონ-

ტოვმა ღრმად შეიცნო ქართველი ხალხის სული, მისი მისწრაფება თავისუფლებისაკენ<sup>1</sup>.

ცნობილია, რა დიდხანს ეძებდა პოეტი დემონის სახის დამაჯერებელ გახსნას, დიდხანს უსხლტებოდა ის ლერმონტოვს ხელიდან, ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ამ სახის კონკრეტულ ჩარჩოში მოქცევა. და აი საქართველოში ჩამოსულმა მგოსანმა მისთვის ჩვეული მონდომებით დაიწყო ქართველი ხალხის ლეგენდებისა და თქმულებების შესწავლა. წარმატებასაც მალე მიაღწია. ქართველმა ლეგენდებმა ბოროტ სულზე ისე როგორც ამ უკანასკნელის დამოკიდებულება უკეთილშობილეს ქართველ ასულთან პოეტს შთააგონა და უფრო გამოკვეთილად დაანახვა ის ძირითადი, რომელიც მას ადრე მკრთალად ესახებოდა. თუმცა, ავტორს პოემა დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ ამ სახითაც „დემონი“ მსოფლიო ლიტერატურის მშვენიერებაა, ღრმა ფილოსოფიური აზრისა და დახვეწილი პოეტური ფორმის მთლიანობის განუმეორებელი ნიმუშია.

მ. ლერმონტოვი „დემონში“ მსოფლიო ლიტერატურისათვის უკვე ტრადიციულ თემას შეეხო. ცნობილია, რომ ბოროტისა და კეთილის ურთიერთმიმართება ადამიანებს დასაბამიდანვე აინტერესებდათ და ლიტერატურაშიც ადრევეა ასახული. შეიქმნა მსოფლიო მნიშვნელობის რამდენიმე ნაწარმოები. მიუხედავად ამისა, პოეტმა შეძლო ეს საკაცობრიო პრობლემა საკუთარი ხელწერით წარმოეჩინა. თანამედროვე მკითხველი შეიძლება შეეკამათოს ლერმონტოვს (განა ის არ ეკამათება ბაირონს, გოეთეს და სხვა მწერლებს, რომლებმაც აღნიშნული პრობლემის თავისებური გადაწყვეტა მოგვცეს), მაგრამ ერთი რამ უდავოა, პოეტმა გამოავლინა ღიდი ჰუმანურობა, ისე როგორც მაღალი ნდობა ადამიანისადმი, ლერმონტოვს სწამს სიყვარულის კეთილშობილური ძალა. მართალია, თამარის სათნო ბუნებამ, მისმა ძლიერმა სიყვარულმა მიზანს ვერ მიაღწია, ვერ გააკეთილშობილა დემონი, მაგრამ ორთა ბრძოლაში გამარჯვებული მაინც თამარი გამოვიდა. ჯერ ერთი, თამარს თავის მოქმედებით ბზარი შეაქვს დემონის ხასიათის მთლიანობაში, ის უკვე გაორებულია, სურს გაკეთილშობილდეს:

მე გადაწყვიტე, ვფიცავ შენს თავს,  
რომ შევურიგდე მიწას და ზეცას;  
მურს შევიყვარო, ვილოცო მინდა,  
მინდა ვიწამო სიკეთე წმინდა<sup>2</sup>.

მეორე, რაც მთავარია, სიკვდილის შემდეგ თამარის სული ანგელოზებს სამოთხეში მიჰყავთ. ღმერთიც იძულებულია უკან დაიხიოს სიყვარულის ღიდი ძალის წინაშე და მფარველობის კალთა გადაათაროს მის

<sup>1</sup> «Прода», 1939 წლის 14 ოქტომბერი.

<sup>2</sup> მ. ლერმონტოვი, პოემები. თბ., „ფედერაცია“, 1939 წ. გვ. 37. თარგმ. კ. ჯაფარიძისა.

უმკაცრესი კანონების დამრღვევ მონაზონს. დემონმა აქაც მარცხი განიცადა:

სასტიკი ფასით გამოიყვანა  
თამარმა ცოდვა ყოველი თვის...  
იმას უყვარდა, და სწორედ მისთვის  
სამოთხეს მოხვდა სიყვარულისათვის! (47, კ. ჭაფარიძე).

შეიძლება, თავისთავად საკითხის ასე გადაჭრას იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომ თამარის უპირატესობა მისი ადამიანური ღირსებით არ იყოს ახსნილი.

ბურჟუაზიული კრიტიკა უსაყვედურებდა ლერმონტოვს, რომ მისი დემონი განსხვავებით ბაირონის ლუციფერისაგან, გოეთეს მეფისტოფელისა და დევეინის სატანისაგან უფრო „ადამიანურია“. ის უკვე არ წარმოადგენს აბსოლუტურ ბოროტ სულს, ეგოიზმის უცილურეს გამოვლინებას: რომ ავტორი გადაუდგა რელიგიის ორთოდოქსალურ პრინციპებს და სხვ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ჩამოთვლილი თვისებების უქონლობამ უზრუნველყო დემონის სახის საყოველთაო წარმატება. დიდმა პოეტმა კარგად იცის, რომ არ არსებობს ადამიანისაგან მოწყვეტილი, აბსოლუტურად განყენებული ცნება. რომ კეთილი და ბოროტი ადამიანისეული გაგებაა და არა რაღაც მის შესაძლებლობის მიღმა, მისთვის მიუწვდომელი ზეციური ძალების გამოვლენა. ამიტომაც, რომ ლერმონტოვის ადამიანი ამ ძალებზე ძლიერი აღმოჩნდა.

ლერმონტოვს დასაშვებად მიაჩნია, რომ ადამიანს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი განთავისუფლდება ბოროტი ძალებისაგან არ ექნება შესაძლებლობა ერთბაშად გადაჭრას ყველა საჭირობოროტო საკითხი, მაგრამ ერთი რამ მისთვის ცხადია: საზოგადოების ყველა ძირითადი პრობლემა სოციალური ხასიათისაა და ამდენადვე ადამიანები მათზე მალა დგანან, მათი გადაჭრა თვით ადამიანების ძალას არ აღემატება, თუმცა პოეტმა იცის, რომ ადამიანის შესაძლებლობა გარკვეულად შეზღუდულია გენეტიკური თუ ფიზიოლოგიური ჩარჩოებით, მაგრამ ეს მას ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია. აქედან გამომდინარეობს პოემის ოპტიმისტური ჟღერადობა, მისი სტრიქონების ქმედითი ძალა.

პოეტს გათვალისწინებული აქვს აგრეთვე საზოგადოების ცხოვრების ბევრი სხვა საკითხი, რომელიც მოუწესრიგებელია და ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება ასე, მაგრამ, ამავე დროს, ლერმონტოვის სამართლიანი მტკიცებით, ადამიანს ამ ცხოვრებაზე უკეთესი არაფერი გააჩნია. ამდენადვე მისი მოწესრიგება თვით ადამიანის საქმეა, უფრო მეტიც, გარდაუვალი მოვალეობაა. ამიტომ ამბობენ, რომ ლერმონტოვი მაშინაც კი, როდესაც ზეციურ მოვლენებს ეხება, მყარად დგას დედამიწაზე. განა ეპოქის მოუწესრიგებელი ცხოვრებით არ არის შთაგონებული პოემის შემდეგი სტრიქონები:

შენ დედამ-წას დაუწყებ ცქირას.  
სადაც ვერ ნახავ ვერც ნეტარებას  
და ვერცა ხანგრძლივ მშვენიერებას:  
სად სუფევს მხოლოდ ბოროტ-ქმედება.  
მკაცრი სასჯელი. წერილმანი ვნება,  
სადაც უშიშრად არა ხერხდება  
არც შექვლება, არც შეყვარება.

(38, კ. ჯაფარიძე).

ამ და სხვა სტრიქონებიდან ისიც აშკარად ჩანს, თუ რა ვირტუოზულ ოსტატობას იჩენს ლერმონტოვი, როდესაც განყენებულ ზოგადსაკაცობრიო ცნებებიდან მიწიერ საყოფაცხოვრებო დეტალების აღწერაზე გადადის. ამას პოეტი იმდენად დამაჯერებლად აკეთებს, რომ მკითხველს პოემის შინაარსის გაცნობისას ერთი მთლიანი შთაბეჭდილება ექმნება, რაც ზრდის ჩვენზე „დემონის“ ზეგავლენის ძალას. სწორედ განყენებულისა და კონკრეტულის ბუნებრივი მონაცვლეობით მიიღწია ავტორმა რომანტიკული პოემის ცხოვრებისეულ ამოცანებისადმი დაქვემდებარებას, რის გამოც ის დღესაც დიდი ინტერესით იკითხება და უამრავ აქტუალურ კითხვებს აღგვიძრავს.

პოემის სრულყოფილი ფორმა, ისე როგორც მისი სხვა მხატვრული ღირსება ავტორის ტექსტზე ხანგრძლივი და რულუნებითი მუშაობის შედეგია. პოეტი 6-ჯერ დაუბრუნდა პოემას, ყოველი ახალი შეხების შედეგად მისი სტრიქონები მეტ უღერადობას იძენდნენ, თანდათანობით იკვეთებოდა, კონკრეტული შინაარსით მდიდრდებოდა პოემის მთავარი პერსონაჟი, დაიხვეწა ნაწარმოების კომპოზიცია. ამასთან ერთად მხატვრული ტილოს ღირსებას ზრდის მდიდარი სალიტერატურო ენა, კავკასიის გრანდიოზული ბუნების მომაჯადოებელი პანორამა, ისე როგორც ფერებისა და ტონალობის მრავალსახიანობა. „დემონის“ სინამდვილესთან დაახლოების, მისი მასებში შეუხელებელი პოპულარობის ერთ-ერთი საწინდარია აგრეთვე პოემის სიუჟეტში ჩართული ხალხური თქმულებები თუ ლეგენდები, რომლებიც ისე ბუნებრივად ერწყმის თხრობის დინამიურობას, რომ ხშირად ძნელი ხდება მათი გამოცალკევება.

კავკასიაში, ძირითადად კი საქართველოში, მიმდინარეობს მოქმედება, რომელიც აისახა ლერმონტოვის მეორე სრულყოფილ პოეტურ ქმნილებაში „მწირი“. მართალია, პოეტის ამ ნაწარმოებში ჩვენ ვერ ვნახავთ რევოლუციურ ბრძოლისაკენ პირდაპირ მოწოდებას, იქ არც საზოგადოებრივი მოძრაობის კლასობრივ ხასიათზეა ლაპარაკი, მაგრამ მოწინავე მკითხველმა, რეაქციის მძიმე წლებში, პოემის მთავარი გმირის თავისუფლებისაკენ დაუცხრომელი ლტოლვა სამართლიანად აღიქვა საპყრობილედ ქცეული ცხოვრების წინააღმდეგ შეურიგებელ პროტეს-

ტად, ხოლო ის თვითონ რევოლუციონერი მებრძოლის სიმბოლოდ აღი-  
არა, და ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, ის არც შემცდარა.

პოემის მთავარი გმირი, ტყვედ წამოყვანილი მთიელი ბავშვი ფიზი-  
კურად სუსტი არსებაა. მაგრამ მასში მკითხველს, უპირველეს ყოვლისა,  
იზიდავს გაუტეხელი სული, რკინისებური ნებისყოფა და სამშობლოს  
უანგარო სიყვარული. ამჟამადაც შეუძლებელია აუღელვებლად მოისმი-  
ნო მწირის ნაამბობი იმ სამი დღის შესახებ, რომელიც მან, მონასტრი-  
დან გაპარულმა, ტყეში გაატარა:

ამ სამ დღეს ვიგრძენ შვება ნეტარი,  
გაეცოცხლე თითქმის მანამდე მკვდარი,  
ჩემი არსება, იმ სამ დღის გარდა,  
ჩემსაიეთ მოხუცს, უძლურსა ჰგავდა!

იბადება კითხვა: რით იყო ეს სამი დღე ასე მნიშვნელოვანი მწირი-  
სათვის, იქნებ მიაღწია მან მიზანს, ანდა ამ სამ დღეში ის ყველაფრით  
უზრუნველყოფილი იყო და უხიფათოდ ცხოვრობდა? პირიქით, მწირის  
სიცოცხლის ეს მცირე მონაკვეთი განცდებით აღსაყვება. რა არ გადახდა-  
მას ამ სამ დღეში. უძილოს, მოქანცულს, მშვიერ-მწყურვალს, ბოლოს  
ფოცხვერთან შერკინებაც კი მოუხდა. მაგრამ ყოველივე ამას მწირი  
ადვილად იტანს, რადგანაც ის თავისუფალია და მიზანი ნათელი აქვს,  
მას ამოძრავებს სამშობლოში დაბრუნების დაუოკებელი სურვილი.

იმ სამ დღეში ბუნების შვილმა ბუნების სტიქიაშივე პოვა ნამდვილი  
შვება. მწირი დარწმუნდა, რომ მონასტრის იქით ცხოვრება მშვენიერია  
და ღირს მისთვის ბრძოლა. მწირმა გასცა პასუხი იმ კითხვას, რომელიც  
მთელი ტყვეობის მანძილზე აწუხებდა: რისთვის ჩნდება ადამიანი —  
„თავისუფლებისათვის თუ ტყვეობისათვის?“. ამ სამ დღეში პოემის  
გმირს პირველად ცხოვრებაში სიყვარულის მაღალი გრძნობაც ეწვია  
„ქართველი ქალის ნორჩი მშვენიებისადმი“. და ბოლოს აღიდგინა მშობ-  
ლიური მხარის წარმტაცი სურათები. მის თვალწინ გაიარბინეს ბავშვო-  
ბის უღარდელმა წლებმა, ტოლ-მეგობრებისა და მშობელ-ნათესაეების  
სახეებმა. ამჯერად კი მწირი ღრმად მოხუცი და დასნეულებული, რო-  
მელსაც სიცოცხლის რალაც დღეები დარჩენია, სრული შეგნებით ლაპა-  
რაუობს:

ვაჰ, თუ მომცემდით ორიოდ წამით,  
ფრიალო კლდეებს, სადაც სიამით  
ჯერ ისევ ბაღლი მე ვთამაშობდი,—  
იმ საუკუნო ედემს დაეთმობდი. (28).

1 მ. ლერმონტოვი. მწირი, თბ., „საბლიტგამი“, 1946, გვ. 10. თარგმ. ბაბ-  
ლინა ხოსიტაშვილისა. შემდეგში ამ გამოცემიდან მოტანილ ციტატების ბოლოს მხო-  
ლოდ გვერდს მივუთითებთ.

მწიროს არ ეშინია სიკვდილის, ის ამას შედარებით მალე შეეგუა, რადგანაც მონასტერში გატარებული სიცოცხლე მის წარმოდგენაში სიკვდილისაგან ბევრი არაფრით განსხვავდებოდა. მაგრამ უდრეკ გმირს საფლავეში ერთი დარდი მაინც მიჰყვება: „მე გული მხოლოდ ერთზე-ღამყდება, — ამბობს იგი, — ჩემი გვამი, ტყავ-ძვალთა წყება მშობლიურ მიწას არ ჩაბარდება“.

პოემაში ძნელი არ არის დაინახო აგრეთვე თუ როგორი ცხოვრებისავენ უძამობს პოეტი მკითხველს:

და ჩემს ოცნებას იქით იხმობდა,  
სასურველ ქვეყნად... სადაც საბრძოლო  
განგაშს და გზნებას არ უჩანს ბოლო.  
სადაც კლდეებს ჰბურავს ბურუსი თალხი,  
სად ვით არწივი, ფრთასა მშლის ხალხი. (6).

თავისუფალი ცხოვრება თავისუფალ სამყაროში — ასეთია პოემის ავტორის დევიზი და სწორედ აქეთკენ მოუწოდებდა ის მკითხველსაც.

ლერმონტოვი უკვე 30-იანი წლების მიწურულისათვის მზად იყო შეექმნა ეპოქის ამსახველი რეალისტური ნაწარმოები. მან კიდევაც შექმნა ასეთი რომანი „ჩვენი დროის გმირი“. ამ ნაწარმოების რეალიზმზე, კერძოდ პეჩორინის სახის ტიპურობის შესახებ თვითონ ავტორი წერს რომანის წინასიტყვაობაში:

„ჩვენი დროის გმირი, მოწყალენო ხელმწიფენო, მართლაც რომ პორტრეტი, მაგრამ ერთი კაცისა კი არა: ეს არის პორტრეტი მთელი ჩვენი თაობის მანკთაგან შეთხზული, მათი სრული განვითარებული სახი“. იქვე ცოტა ქვემოთ, ვკითხულობთ: „რატომ არის, რომ აქ გამოყვანილი კაცის ხასიათი არ გეზოგებათ (ლაპარაკია პეჩორინზე. გ. გ.), თუნდ როგორც გამონაგონი? მისთვის ხომ არა, რომ ბევრად მეტი სიძარტლეა, ვიდრე თქვენ ეს გსურთ?..“<sup>1</sup>.

აქედან ცხადია, რომ ავტორს პეჩორინის სახის შექმნით სურდა ეჩვენებინა თავის ეპოქის გმირი, რომელიც რეაქციულ სინამდვილით წამოზრდილ რიგ მწვავე კითხვებზე გასცემდა პასუხს. უნდა ითქვას, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, მწერალმა კიდევაც მიიღწია მიზანს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბელინსკი ასე აღფრთოვანებით შეხვდა „ჩვენი დროის გმირის“ გამოქვეყნებას. დიდმა კრიტიკოსმა სპეციალური ნარკვევიც მიუძღვნა მას, სადაც პეჩორინი ონეგინის მომდევნო ეპოქის გმირად გამოაცხადა... პუშკინისა და ლერმონტოვის რომანებში ასახული ეპოქები სიახლოვის მიუხედავად, მართლაც რომ საგრძნობლად განსხვავდებიან მათ მიერ შექმნილი გმირები და არა მხოლოდ ინდივიდუალური თვისებებით. მართალია, ონეგინიც და პეჩორინიც ერთ და იმავე

<sup>1</sup> მიხეილ ლერმონტოვი. ჩვენი დროის გმირი. თბ., „ნაკადული“, 1963, გვ. 6. თარგმ. შ. დადიანისა. შემდეგშიც ამ გამოცემას გამოვიყენებთ.



სოციალური ფენის წარმომადგენლებია, ავტორებიც ერთ და იგივე მიზანს უსახავენ მათ, მაგრამ, როგორც ეპოქალური მოვლენა, სხვაობა ერთობ დიდია. ბელინსკის სამართლიანი მტკიცებით, განსაკუთრებით განსხვავებულია მათი ტრაგედიის გამომწვევი მიზეზები.

როგორც ცნობილია, ლერმონტოვის რომანში რელიეფურად აისახა ნიკოლოზ პირველის რეაქციით მოცული რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრებისა და მოქმედების რეალისტური სურათები. მიუხედავად იმისა, რომ „ჩვენი დროის გმირი“, ერთი შეხედვით, დამოუკიდებელი ნოველებისაგან შედგება, ის მთლიანი ნაწარმოებია და ამ მთლიანობას ქმნის ავტორის იდეური ჩანაფიქრი, მისი სურვილია პეჩორინის სახით წარმოგვიდგინოს საკუთარი ეპოქის ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის განზოგადებული სახე. ამიტომაც, რომ იმ ეპიზოდებშიც კი, სადაც პეჩორინი უშუალოდ არ მონაწილეობს, იგრძნობა მისი სუნთქვა; ძირითადად, მაინც, მასზე და მის საქციელზე საუბრობენ.

რომანის პოპულარობას უთუოდ შეუწყობ ხელი ავტორის უზადო ინტუიციამ, მან დროულად დაიჭირა ეპოქის მაჩისცემის გამსახვრელი იმპულსები. და, რაც მთავარია, პეჩორინის ტრაგედია სწორედ მოუწესრიგებელი სოციალური გარემოცვის მიზეზებით ახსნა. განსხვავებით ონეგინისაგან, პეჩორინს შესწევს უნარი, გმირული თუ არა გაბედული, ხშირად საშიშ სიფათებთან დაკავშირებული, ნაბიჯები გადადგას. უფრო მეტის გაკეთების საშუალებას კი ეპოქა. განსაკუთრებით პეჩორინის მიერ არჩეული პროტესტის გზა არ იძლეოდა. ბუნტარულ გამოსტომებს რამე სერიოზული შედეგი არასდროს მოჰყოლია. პეჩორინიც დახურდავდა. აბა რა მოუტანა ან მას პირადად. ანდა საზოგადოებას მისმა კონტრაბანდისტთან კავშირმა, ცხენის ქურდობაში მონაწილეობამ, ბელათი თუ მერთი დროებითმა, ისიც არა გრძნობით, არამედ ანგარებით გატაცებამ, უანრო დუელმა და ა. შ. პეჩორინის საქციელი განწირული კაცის საკუთარ თავთან ჰიდილს უფრო წააგავს, ვიდრე ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანის მოქმედებას. მაგრამ ყოველივე ეს ავტორს ისე აქვს წარმოდგენილი, რომ მკითხველი არამცთუ ადანაშაულებს რომანის მთავარ გმირს, ის მწერალთან ერთად განიცდის მის ტრაგიკულ ხვედრს: უფიქრდება საქმისათვის გაჩენილი კაცის დაკნინების მიზეზებს...

რომანში მთიელთა, განსაკუთრებით კახბიჩისა და პაზამატის მხატვრული სახეები, ძირითადად, რომანტიკულ ჩარჩოებშია მოქცეული; მათ გააზრებისას ავტორს წინა პლანზე წამოუწევია მთიელებისათვის უკვე დრომოკმული ადამიან-წესები, რომელიც აშკარა დანაშაულის საწინდარია. ამიტომაც, რომ მკითხველი დღესაც ერთობ მტკივნეულად განიცდის სრულიად უდანაშაულო ბელას შემზარავ ტრაგედიას. არც თავადის ასული მერის ხვედრია ბევრად უკეთესი. ისიც ხომ საკუთარი

არისტოკრატიული წრის წარმომადგენელთა ვერაგობისა და გაუტანლობის მსხვერპლია...

„ჩვენი დროის გმირის“ ერთ-ერთი მიზიდველი პერსონაჟია მაქსიმ მაქსიმოვი. ამ სახის შექმნით ლერმონტოვმა პუშკინთან ერთად სათავე დაუდო რუსი ოფიცრების იმ მცირერიცხოვან ნაწილის მხატვრულად გააზრებას, რომელიც შედარებით პროგრესულად აზროვნებდა და სამხედრო სამსახურში ყოფნას პატრიოტულ მოვალეობად თვლიდა. კაპიტან მირონოვსა და მაქსიმ მაქსიმოვის რუსულ ლიტერატურაში მემკვიდრეებიც ეყოლებათ. საერთოდ კი, რომანის დადებითი თუ უარყოფითი პერსონაჟები ისე ხელშესახებდად არიან ნაძერწი, რომ პროგრესულმა კრიტიკამ „ჩვენი დროის გმირი“ ლერმონტოვის შემოქმედებითი გამარჯვების უტყუარ საბუთად მიიჩნია.

„ჩვენი დროის გმირი“ თავისი განუმეორებელი მხატვრული სახეებით. მრავალფეროვანი ბუნების სურათებით, ღრმა ემოციური განცდებით თუ ბრწყინვალე მხატვრული ენით ახლაც ისევე ატყვევებს მკითხველებს, როგორც XIX საუკუნეში. ჩეხოვს მიაჩნდა, რომ დამწყებ მწერალს, დაოსტატების მიზნით, ლერმონტოვის ეს რომანი ხელით უნდა გადმოეწერა. საუკუნეების მიჯნის ამ დიდი მხატვრის რეკომენდაციაში უთუოდ იმალება რაციონალური მარცვალი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პუშკინის დალუპვასთან დაკავშირებით დაწერილი ლექსისათვის — „პოეტის სიკვდილი“ ლერმონტოვი კავკასიაში გადმოასახლეს.

1841 წლის იანვარში ლერმონტოვს შევებულება მისცეს. ის გაემგზავრა პეტერბურგს, მაგრამ მას მალე უბრძანეს დაბრუნებულიყო კავკასიაში. გზაზე ის პიატიგორსკში შეჩერდა.

1841 წლის 27 ივლისს ლერმონტოვს მოუწყვეს დუელი. პუშკინის მსგავსად ჯალათთა ხრიკების მსხვერპლი გახდა მეორე დიდი პოეტი, რომელსაც მთელი არსებით სძულდა მეფე, მისი მოხელეები, მაღალი საზოგადოება. ლერმონტოვი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა უსამართლობას, უმღეროდა თავისუფლებას და ქადაგებდა მოწინავე იდეებს.

ლერმონტოვის პოეზიის საუკეთესო ნიმუშების თარგმნა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში დაიწყო. დღეს კი მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება რამდენადმე მწიგნობარი ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდეს წაკითხული ლერმონტოვის უკვდავი თხზულებები, მას კითხულობენ ყველგან და ყველა ასაკში, ყველა ერის ადამიანები, რომლებიც აღტაცებით აღიარებენ მისი პოეტური სიტყვის დიდ ძალას.

მართალია, ლერმონტოვი თავისი უკვდავი ქმნილებებით ყველა ეპოქას ემსახურება, მაგრამ თავისუფლებისა და ძმობის, მშვიდობისა და მეგობრობის, შრომისა და თანასწორუფლებიანობის იდეებით ის მაინც

მომავლის შვილია, რაც უფრო მეტი დრო გაივლის, მით უფრო ნათელი გახდება ამ გენიალური მგოსნის იდეალების საერთო საკაცობრიო ხასიათი, მის მიერ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გარდუვალობა.

## პოეტი და მოქალაქე

მხოლოდ დიდი პოეტისა და მოაზროვნის შემოქმედება ეხმარება ხალხის სურვილებსა და საზოგადოების წინაშე დასმულ ამოცანებს. დიდი შემოქმედი ყოველთვის იყო ერის სულიერი მეგობარი და მესაიდუმლე. ქვეყნის მოამაგე და მოქირანახელე. სწორედ ამიტომ იტყვიან. რომ ჭეშმარიტი პოეტისა და ხალხის ინტერესი ერთია, რომ ხალხის წიაღში პოეებს ის ჩამოყალიბების სრულ შესაძლებლობას. ხალხია მისი ფანტაზიის მასაზრდოებელი. წინსვლისა და გაფურჩქვნის უშრეტი წყარო.

ნიკოლოზ ალექსის ძე ნეკრასოვმა იმთავითვე სავსებით დამსახურებულად დაიკავა საპატიო ადგილი ერის რჩეულთა შორის, მისი შემოქმედება გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა მოიპოვა. პოეტმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, დიდი ტალანტი და ენთუზიაზმი ხალხის სამსახურს მოახმარა. მართლაც, რომ იშვიათია მწერალი, რომელსაც უფრო სრულყოფილად აესახოს მშრომელთა პირვარამი, ქვეყნის მძიმე წარსული და აწმყო. ვიდრე ეს ნეკრასოვმა შეძლო. მაგრამ ნეკრასოვის დამსახურება მარტო ამით როდი ამოიწურება. ის იყო მოქალაქე, დაუცხრომელი მებრძოლი ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის, რევოლუციონერ-დემოკრატი. თითქმის 40 წელი იდგა ნეკრასოვი რჩეულთა შორის და მგზნებარე პოეტური სიტყვით თუ პუბლიცისტის მახვილი კალმით თავგამოდებით იცავდა ადამიანის ღირსებას, იყო სამშობლოს დიდი პატრიოტი, სწამდა რა მშობლიური ქვეყნის დიადი მომავლის, პოეტის მთელს შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს უშრეტი ოპტიმიზმი და ნათელი ხვალისდელი დღის ურყევი რწმენა. პოეტის ნაწარმოებები დღესაც კვლავინდებურად ეხმარება მკითხველს ღრმად ჩაწვდეს ცხოვრებას.

ნეკრასოვი დაიბადა 1821 წლის 10 დეკემბერს პოდოლსკის გუბერნიის სოფელ ნემიროვოში. პოეტის მამა ხელმოკლე მემამულე იყო და ჯარში ოფიცრად მსახურობდა. ნეკრასოვი 3 წლის იყო, როდესაც მამამ სამსახურს თავი დაანება და იაროსლავსკის მამულში ჩასახლდა. სწორედ აქ, ვოლგის ნაპირებზე, განვლო ნეკრასოვის ბავშვობამ.

ნეკრასოვის მამა საშუალო განათლების, შეზღუდული გონების ტიპური მემამულე იყო. მის მიერ დამკვიდრებული დესპოტიზმი არა მხოლოდ ყმებზე ვრცელდებოდა, არამედ ოჯახის წევრებსაც უჭირდათ უაზროდ მკაცრი რეჟიმისადმი შეგუება და სასტიკად განიცდიდნენ დესპოტ ადამიანის უხეშ მოპყრობას. ერთადერთი, რაც ბავშვის ცნობისმოყვარე

გონებას ასაზრდოებდა, ეს იყო ვოლგა თავისი განუშეორებელი ლამაზი ნაპირებით, რომლის ტალღების ბუტბუტში, მომავალ მგოსანს, ერის ხმა ესმოდა. ნეკრასოვი მოგვიანებით საოცარი პოეტური ემოციით გადმოგვცემს ვოლგის პირას აღძრულ გრძნობებს, ბავშვობისა და სიყმაწვილის მძაფრ განცდებს. პოეტისათვის ვოლგა მართო რომანტიკურ გრძნობათა შთაგონების წყარო როდი იყო. სწორედ ვოლგაზე გაეცნო ნეკრასოვი ბურლაკთა უმძიმეს ხვედრს, რომელთა ტანჯულმა, ნაღვლით აღსავსე გამომეტყველებამ, ძონძებში გახვეულმა სხეულმა და გოდებით გამსჭვალულმა სიმღერებმა ბავშვობაშივე პოეტს გული მოუკლეს. ბურლაკებთან ყოველი ახალი შეხვედრა ყმაწვილის შემეცნებაში ისედაც ბნელეთით მოცულ სინამდვილეს კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა, უბიძგებდა. მას მეტი მონღომებით ეძებნა შექმნილი მღგომარეობიდან გამოსავალი, ეპოვა პასუხი მწვავე კითხვაზე — თუ სადაა ხსნა. მაგრამ ეს მაშინ არცთუ ისე ადვილი იყო. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ პოემაში „ვოლგაზე“, მოახერხა ნეკრასოვმა ბავშვობისა და სიჭაბუკის მღრღნელი ფიქრების სისტემაში მოყვანა და დამაჭერებლად გადმოცემა. აქ მან ისიც თქვა, თუ რამ აიძულა ის დაეტოვებინა საყვარელი მდინარე და მისი წარმტაცი ბუნება:

არც დატოვებდი მე შენს ნაპირებს,  
არც წაუდოდი ნამდვილად არსად —  
რომ შემოგარენს, ო, ვოლგა, შენსას,  
არ აღაესებდეს გმინვა და კენესა!<sup>1</sup>

მაშინ ამ სიტყვებს პოეტთან ერთად იმეორებდა ათასობით ადამიანი, რომელიც ტოვებდა მშობლიური მდინარის ნაპირებს და ლუკმა პურის საშოვნელად უტხო მხარეს მიეშურებოდა. მაინც ვისი კენესა სმენია პოეტს, ვისი უმწუო ხვედრით ყოფილა იგი ასე შეწუხებული?

უეცრად კენესა მომესმა გაბმით  
და მყისვე მზერა მივაყარ ნაპირს:  
ლამის მ-წამდე თაეჩალებული,  
ფეხშეფუთენილი ძონძით და ბაწრით,  
ენახე ბურლაკთა შავი კრებულო  
მოზაზინებდა მდინარის გასწვრივ... (55).

ამ შემადრწუნებელმა სურათმა ყმაწვილს თვით ვოლგის სილამაზეც დაუკარგა. ტალღების ხმაური ახლა პოეტში მხოლოდ ავბედითობისა და განწირულობის გრძნობას ჰბადებდა. ნანახმა და გაგონილმა სამუდამოდ დაუკარგეს მგოსანს მოსვენება, სინამდვილე მთელი სისუსხით შეიგრძნო, გაქრა რომანტიკით აღსავსე ოცნება.

<sup>1</sup> ნ. ა. ნეკრასოვი. გლეხის ბავშვები. თბ., „საბლიტგამი“, 1951, გვ. 56. თარგმ. მურმან ლებანიძისა. შემდეგში ამ გამოცემიდან მოტანილ ციტატების ბოლოს მიუვითებთ მხოლოდ გვერდებს.

მწერლის დამოკიდებულება მდინარე ვოლგისადმი, რომელიც ნეკრასოვის პოეზიაში სამშობლოს სიმბოლოდ წარმოგვიდგება, ბოლომდე გაორებული რჩება. ის აღტაცებულია მისი სიძლიერითა და სილამაზით, მაგრამ პოეტს არასოდეს არ დავიწყებია ვოლგისპირეთის მკვიდრთა აუტანელი ხვედრი. თუ სხვაგან პოეტი ვერ მალავს თავის აღფრთოვანებას ვოლგისპირეთის პეიზაჟით, ლექსში „ფიქრები სადარბაზო კართან“ მან ერთობ შთაბეჭდავად აღწერა ის მძიმე უღელი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე კენესითა და გმინვით ეწეოდა რუსი ყმა-გლეხი:

გაღი ვოლგაზე: დედა ვოლგა გმინავს და კენესის,  
ვისი გმინვა? ვისი კენესა აღავსებს მთა-ბარს?  
სიმღერააო, ამ გმინვაზე ამბობენ ჩვენში —  
ეგ ბურღავები ეწევიან ვოლგისპირ ჰაანს,  
ო, ვოლგა, ვოლგა! აღდღე აპრილში როცა,  
შენ ველებს ისე არ აღავსებ ზვირთების დენით,  
როგორც სახალხო მწუხარებით, სახალხო სევდით  
აღუებულია უბედური ქვეყანა ჩვენი!<sup>1</sup>

რა თქმა უნდა, შევცოდავდით ჰემმარტიტების წინაშე, თუ დავიწყებდით იმის მტკიცებას, რომ ნეკრასოვის ვოლგისპირეთის ცხოვრების ამსახველი ლექსები და პოემები მხოლოდ მისი ბიოგრაფიით იყოს შთაგონებული. მწერლის მდიდარ შთაბეჭდილებებს, მის ძლიერ ემოციურ განცდებს ემატებოდა მისი ერთდღიან, ქვეყნის ისტორიული წარსული-სა და რთული სოციალური ვითარების კარგი ცოდნა. ყმაწვილი ყოველდღიურ ცხოვრებაში ამჩნევდა და აღიქვამდა თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ ფრიად საყურადღებო დეტალს, რომელიც მის შემოქმედებითს ლაბორატორიაში მძაფრ სოციალურ უღერადობასა და ფართო განზოგადებას აღწევდა. ამიტომ არის რომ პოეტის მიერ შექმნილი სახეები უაღრესად ცხოვრებისეული და ტიპურები არიან.

თუ ახალგაზრდა ნეკრასოვის პოეტური შთაგონების უშუალო წყარო მდინარე ვოლგა და ყმა-გლეხთა ცხოვრებაზე დაკვირვება იყო, მის სწავლასა და ლიტერატურულ გათვითცნობიერებას თავიდანვე დედა ხელმძღვანელობდა, ის იყო მომავალი პოეტის მეკვლე მეცნიერების დაუფლების რთულ და მძიმე გზაზე.

ელენა ანდრიას ასული მეუღლის სრულ ანტიპოდად წარმოგვიდგება. მას თავის დროისათვის კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, გამოირჩეოდა ნაკითხობითა და კეთილი ხასიათით. მისი სათნო ბუნება ერთნაირი სიყვარულით განაწყობდა მისადმი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. თვით ყმებიც კი მოკრძალებით და თავყვანისცემით ეპყრობოდნენ ქალბატონს. დედამ ნეკრასოვის პოეტურ მომავალშიც საგრძნობი როლი ითამაშა. ელენა ანდრიას ასულის წყალობით ნეკრასოვი ბავშვობა-

<sup>1</sup> ნიკოლოზ ნეკრასოვი. ლექსები, პოემა. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1975, გვ. 12. თარგმ. მ. ლებანიძესა.

მივე გაეცნო უცხოურ ლიტერატურას, დედა მოუთხრობდა მომავალ პოეტს ისტორიულ გმირებზე, მან შეაყვარა ხალხური ზღაპრები და თქმულებები. ელენა ანდრიას ასულის თხრობის შედეგად ყმაწვილის თვალწინ იშლებოდა ახალი, მის გარემოცვისაგან განსხვავებული წარმტაცი სამყარო, სადაც მოქმედებდნენ ძლიერი სულის ადამიანები, ვაჟკაცური შემართების გმირები. მათი ურთიერთობაც ლამაზი და მიმზიდველი იყო. ამ წმინდა და ამაღლებულ სამყაროსთან ერთად პოეტის გულში დედის ნათელმა სახემ დაისადგურა, რომლისადმი სიყვარული ნეკრასოვმა სათუთად ატარა მთელი ცხოვრების მანძილზე. დედისადმი პატრიისცემამ განაპირობა ისიც, რომ მწერლის შემოქმედებაში ასე ხშირად გვხვდება მშობლის ფართოდ განზოგადებული მიმზიდველი სახე. მკითხველი მასში დღესაც ბევრ ძვირფასსა და სათაყვანოს დინახავს. შემთხვევითი არც ის არის, რომ პოეტი სიტყვა „დედას“ სამშობლოს სინონიმად ხმარობს. იგი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დედის როლს საზოგადოების ცხოვრებაში. ამით ალბათ აიხსნება მისი გადაწყვეტილება შეექმნა ამ თემისათვის მიძღვნილი სპეციალური მხატვრული ტილო. სამწუხაროდ, პოემა „დედა“ ავტორს დაუმთავრებელი დარჩა. მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებიდანაც აშკარად ჩანს პოეტის დამოკიდებულება მთავარ გმირისადმი, რომელიც ასე სათუთად არის ნაძერწი ავტორის მიერ. ნეკრასოვს დედის სახის შესამკობად არ დაუშურებია არც თბილი, ალერსიანი სიტყვები და არც ნათელი, გამჭვირვალე ფერები. ის ფრაგმენტებშიც სათნო და მიმზიდველია.

ნეკრასოვმა ოჯახის შემდეგ, სწავლა იაროსლავლის გიმნაზიაში გაწაგრძო. მაგრამ არ დაუმთავრებია. ყმაწვილს იზიდავდა დამოუკიდებელი მუშაობა. ავტობიოგრაფიული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ნეკრასოვი მაშინ გატაცებული ყოფილა ბაირონისა და პუშკინის პოეზიით.

1838 წელს ნეკრასოვი პეტერბურგს გაემგზავრა. მას სურდა სწავლა უნივერსიტეტში განეგრძო. მამა კი შვილს სამხედრო კარიერას უმზადებდა. მაგრამ ნეკრასოვმა უარყო მამის სურვილი და უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად. ამით განრისხებულმა მამამ შვილს მატერიალური დახმარებაზე უარი უთხრა. 17 წლის ნეკრასოვი უცხო ქალაქში მარტოდმარტო, ბედის ანაბარა დარჩა. ძნელია აღწერო ის ვაჭირვება, რაც მწერალმა გადაიტანა. ყმაწვილი არავითარ შავ სამუშაოს არ თაკილობდა, მაგრამ ხშირად მაინც უმუშევარი რჩებოდა. ლუკმა პურისათვის მომავალ პოპოეტს ეკლესიის კიბეებსა და ხიდის თავზე მოწყალეობა არაერთხელ უთხოვია. მაგრამ გაუტეხელი აღმოჩნდა ნეკრასოვის ნებისყოფა და დაუცხრომელი ლტოლვა სწავლისაკენ. როგორც კი ყმაწვილმა ცოტათი გაიუმჯობესა ცხოვრების პირობები, მაშინვე უნივერსიტეტს მიაშურა. ნეკრასოვმა მთელი მონდომებით მოჰკიდა ხელი თვითგანვითარებას. ამავე დროს, ყმაწვილს მოსვენებას არ აძლევდა სურვილი ქალაქიდან

გადეტანა ნანახი და განცდილი, ის იწყებს ლექსების წერას. ნეკრასოვმა 1840 წელს თავის ლექსების პირველი კრებული „ოცნებები და ხმები“ საკუთარი სახსრებით გამოსცა. კრებულმა ავტორს სახელი ვერ მოუტანა. იქ თავმოყრილი სუსტი, ებიგონური ლექსები მკაცრად გააკრიტიკა ბელინსკიმ, თვითონ ნეკრასოვიც არ ყოფილა მაღალი წარმოდგენის თავის ლექსებზე და როდესაც მათ შესახებ სხვების აზრი მოისმინა, კრებულის მთელ ტირაჟს თავი მოუყარა და ცეცხლი წაუკიდა. პირველმა დამარცხებამ ვერ გატეხა პოეტი. იგი მონდომებით მუშაობდა თავის თავზე. დამწყები პოეტი ბელინსკის დაუახლოვდა, მისი მეგობარი და თანამებრძოლი გახდა. ბელინსკი, თვითონ პოეტის აღიარებით, მისი სულიერი მოძღვარი იყო. მან დიდი როლი ითამაშა ნეკრასოვი-პოეტის ზრდა-ჩამოყალიბებაში. პოეტი დიდი კრიტიკოსის ზეგავლენითა და დახმარებით საბოლოოდ დამკვიდრდა „ნატურალურ სკოლაში“ და გახდა ამ სკოლის ერთ-ერთი პიონერი. შეხვედრა ბელინსკისთან, ამბობდა მოგვიანებით ნეკრასოვი, ჩემთვის გადამრჩენი იყო.

თვითონ ბელინსკი იმ დროს გადაჭრით გმობდა რომანტიზმს და თავგამოდებით იცავდა რეალიზმს. ამ ბრძოლაში ნეკრასოვი თავის მასწავლებელს მხარში ამოუდგა და როგორც გამომცემმა და კრიტიკოსმა ბევრი რამ გააკეთა რუსულ ლიტერატურაში რეალიზმის პრინციპების გამარჯვებისათვის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ უკვე 40-იანი წლების პირველ ნახევარში ნეკრასოვმა მოასწრო აღმანახის ოთხი წიგნის გამოცემა. ამ აღმანახებში პოეტის თხზულებების გვერდით დასტამბული იყო ბელინსკის, გრიგოროვიჩის, დოსტოევსკისა და სხვა პოპულარული მწერლების ნაწარმოებები. რომლებმაც საგრძნობლად შეუწყვეს ხელი რომანტიზმზე რეალიზმის გამარჯვებას. ნეკრასოვი შემდეგშიც გაბედულად იცავდა რეალიზმის პრინციპებს ბულგარინისა და სხვა სლავიანოფილების მტრული თავდასხმებისაგან.

ნეკრასოვის კრიტიკული წერილები იმთავითვე გამოიჩინოდა ლიტერატურული მოვლენებისადმი მკაფიო რეალისტური მიდგომით, ავტორის მახვილი, გამოკვეთილი პოზიციით, იგი საოცარი ინტუიციით ამჩნევდა ხალას ნიჟს და მის ჩამოყალიბებას კოველნაირად უწყობდა ხელს. საკმარისია აღვნიშნოთ ნეკრასოვი-რედაქტორის დამოკიდებულება დამწყები ლ. ნ. ტოლსტოისადმი, რომ არაფერი ვთქვათ ჩერნიშევსკიზე და დობროლუბოვზე. ნეკრასოვმა მაშინვე შეამჩნია დიდი ნიჟის მოვლენება და მაღალი შეფასება მისცა ლ. ტოლსტოის პირველსავე ნაწარმოებს, რაც აშკარად ჩანს მისი ბარათიდან ავტორისადმი. ამ წერილში ნეკრასოვი არა მხოლოდ მიესალმება ახალი ვარსკვლავის გამოჩენას, არამედ დამაჯერებლად უხსნის მას, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის ლიტერატურასა და მწერლის მოღვაწეობას. ჩვენს სამშობლოში მწერლის როლი, წერდა იგი, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლის როლია და შეძლებისდაგვარად ის უნდა იცავდეს უუფლებოსა

და ჩაგრულსაო. თუ როგორი იყო ნეკრასოვის დამოკიდებულება ახალ-ბედა მწერლისადმი იქიდანაც ჩანს, რომ მან ლ. ნ. ტოლსტოის შესთავაზა ყველაზე მაღალი ჰონორარი, რომელსაც ეურნალი „სოვრემენიკი“ მხოლოდ ი. ს. ტურგენევის, მაშინ უკვე მსოფლიოში აღიარებულ მწე-რალს, უხდიდა.

ნეკრასოვი კრიტიკულ წერილებში დასმულ თეორიულ პრობლემებს თვითონვე უპასუხებდა საკუთარი თხზულებებით. „ნატურალური სკო-ლის“ უდავო შენამატს წარმოადგენს მწერლის „პეტერბურგის ჯურღმუ-ლებში“; ცალკეული თავები დაუმთავრებელი რომანიდან „ტიხონ ტროს-ნოვოვის ცხოვრება და თავგადასავალი“, ფელეტონი „მოლაყბე“ და სხვ. ამ თხზულებებში ნეკრასოვი სოციალურ სატირამდე ამაღლდა. ლექსში „მოხელე“, რომელმაც ბელინსკის დადებითი შეფასება დაიმსახურა, საგრძნობლად გამოიკვეთა ავტორის რეალისტური პოზიცია. ხოლო ლექსი „გზაში“, რომელიც 1845 წელს გამოქვეყნდა, ნეკრასოვის შემოქ-ნელებაში ახალი ეტაპია.

ი. ი. პანაევის გადმოცემით, როდესაც ბელინსკის წაუკითხავს „გზა-ში“, აღფრთოვანებულს მიუბრუნია ნეკრასოვთან, გადახვევია მას და უთქვამს: „იცი თუ არა თქვენ, რომ პოეტი ხართ, კემშარიტი პოეტი“. ამ ლექსის ანალიზს ბელინსკი იძლევა კრიტიკულ წერილში „პეტერბურ-გის კრებულის შესახებ“ და მაღალ შეფასებას აძლევს მას. წერილში ავტორს მთლიანად მოჰყავს ლექსი და კიდევ ერთხელ ამახვილებს მკი-თხველთა ყურადღებას ნაწარმოებზე, რომელიც ბატონყმობის წინა-აღმდეგ არის მიმართული. ლექსმა „გზაში“ თავის დროზე არა მხოლოდ ბელინსკის დადებით შეფასება დაიმსახურა, მის შესახებ ალაპარაკდა რუსეთის მოწინავე საზოგადოება, ეს იმიტომ, რომ ლექსში დასმული პრობლემა ყველას აწუხებდა, ვინც ერის მომავალზე ფიქრობდა. აქ ნეკრასოვი ილაშქრებს ბატონყმობის წინააღმდეგ, ამხელს თვითმპყრო-ბელური რუსეთის უბადრუკობას. ბატონყმობის ბნელეთით მოცულ რუსეთში განსაკუთრებით მძიმე იყო ქალის ხვედრი, რომელმაც ესოდენ შთამბეჭდავი ასახვა პოვა ახალგაზრდა პოეტის დასახელებულ ლექსში.

ყმა ქალის უმწეო ხვედრს ნეკრასოვი შემდგომშიც არაერთხელ უბრუნდება, კერძოდ, ლექსში „სამცხენა“ პოეტმა ძლიერი ემოციური დამუხტვითა და შეულამაზებელი სიმართლით გადმოგვცა მონურ ყო-ფაში მყოფი ქალის შემზარავი ცხოვრება. უკუღმართ სინამდვილეს იმ-დენად გამოუფიქრავს საბრალო მსხვერპლის სულიერი სამყარო, რომ მას წარმოდგენაც არ აქვს ნამდვილ ბედნიერებაზე. ამ ლექსის ცხოვრები-სეული კოლიზია, მაღალი მხატვრული ღირსება და მუსიკალობა განა-პირობებენ მის განსაკუთრებულ პოპულარობას. „სამცხენა“ როგორც სიმღერა გავრცელდა მთელ რუსეთში და ხალხის ნამდვილ კუთვნილე-ბად იქცა. აღსანიშნავია აგრეთვე სხვა ლექსები: „მეწვრილმანე“, „კარ-



ვად გრძნობდა ბავშვი თავს“, „მაღალ ჭეჭილში მე დავიკარგე“, „მიმი-  
თითე ისეთი მხარე...“, „ჰკნება, იღუპება ჩემი სილამაზე“ და სხვა.

1847 წელს ნეკრასოვმა გამოაქვეყნა თავისი ერთ-ერთი ყველაზე  
გავრცელებული ლექსი „თუ მე ვმგზავრობ დამით ბნელ ქუჩაში“. ამ  
ლექსში ქალი ამჯერად მსხვილი კაპიტალისტური ქალაქის მსხვერპლია.  
პოეტის გმირს პირად თავისუფლებისათვის მიუღწევია, მაგრამ ამით  
მისი ცხოვრება არ შეცვლილა. უსახსრობამ და შიმშილმა ის უკიდუ-  
რეს მდგომარეობამდე მიიყვანა. როდესაც მოსიყვარულე დედას ერთად-  
ერთი შვილი მოუკვდება, ხოლო დასნეულებული მეუღლე ლოგინაღ  
ჩაუარდება, იგი ყოველგვარ იმედს კარგავს. მას შვილის დასამარხი ფუ-  
ლიც კი არა აქვს. ის იჭლებულია მეძავეობით გაახანგრძლივოს თავისი  
და მძიმედ დაავადებული მეუღლის სიცოცხლე.

ნეკრასოვმა ამ ლექსით ერთ-ერთმა პირველმა რუსეთში ლახვარი  
ჩასცა ბურჟუაზიის იმ იდეოლოგებს, რომლებიც თავგამოდებით იცავ-  
დნენ მეძავეობას. მეძავეობა. ისე როგორც საერთოდ ბოროტება. პოეტის  
სამართლიანი მტკიცებით, სოციალური წარმოშობისაა და ამიტომ, უპირ-  
ველეს ყოვლისა. უნდა მოისპოს მისი წარმომშვეები მიზეზები, ის საზო-  
გადოებრივი წყობილება, რომლის განუყრელი თანამგზავრია ეს და  
მრავალი სხვა სამარცხვინო სენი. ლექსი „თუ მე ვმგზავრობ დამით  
ბნელ ქუჩაში“ დახვეწილი პოეტური ფორმისაა. ამ ლექსმა ნეკრასოვს  
აღიარება მოუტანა და მისმა მოწინააღმდეგეებმაც კი აღნიშნეს, რომ  
მისი სახით რუსულ ლიტერატურას დიდი პოეტი მოევიანა.

40-იან წლებში ნეკრასოვმა დაწერა მთელი რიგი სხვა ლექსები,  
რომლებშიც მომხიბლავი მკაფიო ფერებითა და დამაჯერებლობით გად-  
მოგვცა ქალაქისა და სოფლის რიგითი ადამიანების დუხჭირი ცხოვრება,  
მათი ტრაგიკული ხვედრი. ამ ციკლიდან მკითხველთა საერთო მოწო-  
ნება დაიმსახურა ლექსებმა: „ლოთი“, „ღვინო“, „მეეტლე“, „ქული“,  
„გაცილება“ და სხვა.

50-იან წლებში ნეკრასოვი რუსულ ლიტერატურას ამდიდრებს ახა-  
ლი ნაწარმოებებით. პოეტის ისეთი ლექსები, როგორიც არის „სოფე-  
ლი“, „მივიწყებული სოფელი“, „მოუმკელი ყანა“, „ველასი“ და სხვ.  
სამუდამოდ შევიდა რუსული მხატვრული აზროვნების ოქროს ფონდში.  
მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად მოიხანება სხვა ისეთი ნაწარმოები,  
სადაც ბატონყმობის დამღუპველი შედეგები უფრო სრულყოფილად  
იყოს ასახული, ვიდრე ეს ნეკრასოვის ლექსებშია. სწორედ ზემოთ ჩა-  
მოთვლილი ლექსები იმთავითვე შევიდა სასკოლო ქრესტომათიებში,  
რომლებზეც აღიზარდა და იზრდება თაობები.

ნეკრასოვის ლიტერატურული მოღვაწეობა განუყრელად არის და-  
კავშირებული მის საუბრნალო საქმიანობასთან. პოეტის უბრუნალებს  
„სოვრემენიკსა“ და „ოტჩინეტვენიე ზაპისკის“ იმდენად დიდი მნიშვნე-  
ლობა ჰქონდა რუსეთის კულტურული განვითარებისათვის, რომ ნეკრა-

სოც არც ერთი ლექსიც რომ არ დაეწერა, ის მიინც დარჩებოდა ერის ერთ-ერთ საუკეთესო შვილად. „სოვრემენიკმა“, რომლის პირველი ნომერი 1847 წლის ბოლოს გამოვიდა, გადამწყვეტი როლი შეასრულა რევოლუციონერ დემოკრატთა გაერთიანებაში, ის გახდა რაზნოჩინელთა რუპორი. „სოვრემენიკის“ იდეებზე აღიზარდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა მთელი პლეადა. სწორედ ამ პოპულარული ორგანოს უცვლელი რედაქტორი იყო ნეკრასოვი 20 წლის განმავლობაში, სანამ მთავრობამ არ აკრძალა ჟურნალის გამოცემა.

პირველ წლებში „სოვრემენიკის“ იდეური ხელმძღვანელი და პოლიტიკური მიმართულების განმსაზღვრელი ბელინსკი იყო. იმავეთვე ჟურნალის თანამშრომლებად გვევლინებიან გერცენი, ტურგენევი, ანტონოვიჩი და სხვები. ბელინსკის გარდაცვალების შემდეგ, განსაკუთრებით დასავლეთის რევოლუციური აღმავლობით შეშინებული ნიკოლოზ პირველის რეაქციის დროს, ნეკრასოვს ჟურნალის სწორი იდეური მიმართულების შენარჩუნება ძალზე გაუჭირდა, „სოვრემენიკის“ აკრძალვის რეალური საფრთხე შეიქმნა. თუ არა ნეკრასოვის მოხერხებულობა და საოცარი შრომისუნარიანობა, ჟურნალი დაიხურებოდა. მიუხედავად ამისა, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ცენზურა კრძალავდა უკვე აწყობილ ნომერს, გასავრცელებლად გამზადებულ მთელ ტირაჟს. ასეთ ურთულეს პირობებში ნეკრასოვი მანევრებს მიმართავდა. მიდიოდა ცალკეულ დათმობებზე და ბეჭდავდა ლიბერალური ხასიათის სტატიებს. ამჟამად მისთვის მთავარი იყო როგორმე შეენარჩუნებინა ჟურნალი. 1855 წელს, ნიკოლოზ I გარდაცვალების შემდეგ, რამდენადმე შემცირდა ცენზორთა სიმკაცრე, „სოვრემენიკის“ თანამშრომლად მოვიდა ჩერნიშევსკი, რომელმაც ბელინსკისა და გერცენის ტრადიციები აღადგინა. მოგვიანებით ჟურნალში მუშაობა დაიწყო დობროლუბოვმა და „სოვრემენიკმა“ კვლავ რადიკალური მიმართულება მიიღო.

50-იან წლებში ნეკრასოვი ქმნის აგრეთვე ეპიკურ ტილოებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წლებში დაწერილი პოემა „საშა“. გამოქვეყნდა თუ არა ნეკრასოვის ეს ნაწარმოები, მკითხველმა ერთხმად აღიარა პოეტის შემოქმედებითი წარმატება, პოემის იდეური შინაარსის აქტუალობა. პოემაში ავტორი ძირითადად ინტელიგენციის ბედით არის დაინტერესებული, მას აწუხებს განათლების მქონე ადამიანთა უმოქმედება. მაშინ, როდესაც სამშობლო ყოველ წესიერ მოღვაწესაგან მოითხოვდა აქტიურ ბრძოლას ბატონყმობის წინააღმდეგ, ლიბერალები ლაყობით კმაყოფილდებოდნენ. ბუნებრივია, მეამბოხე სულის მქონე პოეტი ვერ ურიგდებოდა მათ უმსგავსოებას და სასტიკად გმობდა შემრიგებლობას. ლიბერალ აგარინის საპირისპიროდ, ნეკრასოვმა დაგვიხატა ღარიბ მემამულეთა წრიდან წარმოშობილი ახალგაზრდა ქალი საშა. პოემაში მკითხველი ხედავს საშას სულიერ ზრდას, მის პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებას. ახლა ის უკვე მზად არის აქტიური მონა-

წილეობა მიიღოს ჩაგრულთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ნეკრასოვმა საშას მიმზიდველი მხატვრული სახის შექმნით რუსულ ლიტერატურაში დასაბამი მისცა ქალთა ტიპებს, რომელთა ხასიათის სიმტკიცე და სულიერი სიფაქიზე დღესაც ხიბლავს მკითხველს.

1855 წელს, როგორც კი ოდნავ განიმუხტა პოლიტიკური ატმოსფერო, ნეკრასოვი შეუდგა პოემა „ბ. გ. ბელინსკის“ შექმნას. აქ ავტორმა აღწერა კრიტიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების დაძაბული პროცესი. ამავე დროს, პოეტმა დიდი უშუალობით გადმოგვცა მასწავლებლისადმი თავისი წრფელი დამოკიდებულება. უფრო ადრე, 1853 წელს მგოსანმა პირველი ლექსი უძღვნა მასწავლებლის ნათელ ხსოვნას. ლექსიც ასეა დასათაურებული „ბელინსკის ხსოვნას“. ნეკრასოვის შემაჯამებელ ეპიკურ ტილოშიც „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“, რიგი ეპიზოდი დიდი კრიტიკოსის გაბედული გამოსვლებითაა შთაგონებული, ბელინსკის იდეების ზეგავლენა იგრძნობა მის ბევრ სხვა პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებში. რაც მთავარია, პოეტი არსად არ იფარგლება მემუარისტის შემზღუდავი ჩარჩოებით. ასევე იქცევა ის იმ შემთხვევებშიც, როდესაც ქმნის დობროლუბოვის. ჩერნიშევსკისა და სხვათა მომხიბლავ პოეტურ სახეებს. ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათი მოღვაწეობის ისტორიულ დანიშნულებას.

საზოგადოებრივ მოძრაობას რუსეთში ლოგოკურად ბატონყმობის გაუქმება მოჰყვა. მართალია, რეფორმა ცალმხრივი აღმოჩნდა, მაგრამ ქვეყნის სოციალური მოძრაობის დემოკრატიზაციის შემდგომი გაღრმავების საქმეში გარკვეულად დადებითი როლი შეასრულა. როგორც ცნობილია, რეფორმას წინ უძღოდა რუსეთის საუკეთესო შვილების შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლა. მათ შორის ნეკრასოვს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. საკმარისია გავიხსენოთ მისი როლი გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ბელადის ნ. გ. ჩერნიშევსკის ცხოვრებაში. ეს მან მიიღო ჩერნიშევსკი „სოვრემენიკის“ რედაქციაში. ჯერ ლიტერატურისა და კრიტიკის განყოფილება ჩააბარა 26 წლის ჰაბუქს, ხოლო ჟურნალში დობროლუბოვის მოსვლის შემდეგ, ჩერნიშევსკი ისტორიისა და პოლიტიკონომიის განყოფილებებს განაგებდა. ნეკრასოვმა თავიდანვე შენიშნა ჩერნიშევსკის დიდი ნიჭი და ნდობით განაწყო მისადმი. ჩერნიშევსკი „სოვრემენიკში“ მისვლის დღიდანვე ცდილობდა ჟურნალის იდეური მიმართულებისათვის რადიკალური ხასიათი მიეცა, უფრო გამოეკვეთა მის პოლიტიკური სახე. „სოვრემენიკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ჩერნიშევსკისა და გერცენის, დობროლუბოვისა და სალტიკოვ-შჩედრინის ძირითადი ნაშრომები. ამ ჟურნალში გამოქვეყნდა ი. ს. ტურგენევის ყველაზე ანტიბატონყმური თხზულებები. ყოველივე აღნიშნულს თუ დავუმატებთ ბატონყმობის მამხილებელ თვითონ ნეკრასოვის ბრწყინვალე თხზულებებს, ჩვენთვის ნათელი გახდება, რამდენად დიდი წვლილი შეიტანა მწერალმა ყმების განთავისუფლებისათვის გვირგვინ

ბრძოლაში. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ჩერნიშევსკის, როდესაც სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე წერდა: ნეკრასოვი ჩემი კეთილის-მყოფელი იყო. მხოლოდ მისი ჰკუის, სულის მაღალი კეთილშობილებისა და ხასიათის უჩვეულო სიმტკიცის გამო, აგრძელებდა მსჯელობას ჩერნიშევსკი, მე მქონდა შესაძლებლობა მეწერა ისე, როგორც ვწერდი. მე კარგად ვემსახურე ჩემს სამშობლოს და მაქვს უფლება ვიყო მისგან აღიარებული, მაგრამ სამშობლოს წინაშე ყველა ჩემი დამსახურება — ეს ნეკრასოვის დამსახურებაც არისო<sup>1</sup>.

ნ. გ. ჩერნიშევსკი უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდა აგრეთვე ნეკრასოვის მხატვრულ ნიჭს, მის განუმეორებელ პოეტურ თხზულებებს. მას განსაკუთრებით მოსწონდა ნეკრასოვის ლექსებსა და პოემებში საბრძოლო განწყობილება, მათი ავტორის რევოლუციური სულისკვეთება. ის მოხიბლული იყო პოეტის გრძნობათა უშუალოდითა და ლექსების უბადლო ხალხურობით. ჩერნიშევსკი ნეკრასოვის პოეტური ქმნილებათა მოქალაქეობრივ პათოსს სხვებისათვის მისაბამ მაგალითად ასახელებდა.

1856 წელს გამოვიდა ნეკრასოვის უკეთეს ლექსთა კრებული. წიგნში ზევრი ადრე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები შევიდა, კრებულმა მკითხველებში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ი. ს. ტურგენევი წერდა, რომ ასეთი წარმატება პუშკინის შემდეგ არავის არ ჰქონიაო. ნ. გ. ჩერნიშევსკიმ კრებულიდან „სოვრემენიკში“ გადმობეჭდა „პოეტი და მოქალაქე“, „მივიწყებული სოფელი“ და „ნაწყვეტები გრაფ გარანსკის სამოგზაურო ჩანაწერებიდან“ (იმ დროს ნეკრასოვი საზღვარგარეთ იმყოფებოდა სამკურნალოდ, ყურნალს კი ჩერნიშევსკი ხელმძღვანელობდა). მთლიანად კრებულს ჩერნიშევსკიმ უაღრესად მაღალი შეფასება მისცა.

ლექსთა კრებულში მოწინავე საზოგადოებამ დიდი პოეტის ჯანსაღი სული დაინახა. მკითხველებმა საგანგებო ყურადღება მიაქციეს ლექსს „პოეტსა და მოქალაქეს“, სადაც თვითონ ნეკრასოვი ეპოქის უდიდეს მოქალაქედ გვევლინება.

ამ ლექსს პოლემიკური ხასიათი ჰქონდა, ნეკრასოვმა „პოეტი და მოქალაქით“ უპასუხა დრუჟინინსა და მის მიმდევრებს, რომლებიც თავგანმოდებით იცავდნენ რეაქციულ ესთეტიკურ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. რევოლუციონერ-დემოკრატი პოეტისათვის ხელოვნების ძირითად დანიშნულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩარევა წარმოადგენდა. ნეკრასოვმა ლიტერატურის მთავარ ამოცანად სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნისათვის უკომპრომისო ბრძოლა გამოაცხადა. ხელოვანს, პოეტის სამართლიანი მტკიცებით, არ შეიძლება ჰქონდეს სხვა უფრო დიდი მიზანი, ვიდრე ემსახუროს ხალხის კეთილდღეობას, იყოს მისი ინტერესების დამცველი. ნეკრასოვის გაბედულმა

<sup>1</sup> Н. Г. Чернышевский. Пол. собр. соч., М., 1939, т. XV, с. 798.

მოწოდებამ რევოლუციური ბრძოლისაკენ იმ უკუნეთით მოცულ ჟამს  
სხნის იმედი წარმოშვა. პოეტის ხმის ექომ ყველა პარტიოსან ადამიანის  
გულში პოვა გამოძახილი. მართლაც, შეეძლო ცენზურულ პირობებ-  
ში უფრო მეტის თქმა; ანდა რომელი პატრიოტი დარჩებოდა გულგრი-  
ლი პოეტის ამ მოწოდების მიმართ:

სამშობლოსათვის ცეცხლში ჩაქარდი,  
მოკლდი რწმენისა და ტრფობისათვის...  
მოკლდი ამაყად, დაუძრახველი.  
ეს თავგანწირვა არ არის ფუჭი,  
სისხლი ტყუილად არ იღვრის ცხელი!

ლექსის მაღალი მხატვრული ღირსება და ხალხურობა, ავტორის მე-  
ამბობხური განწყობილება და გულწრფელობა. ჩაგრულებისადმი დიდი  
სიყვარული და პატივისცემა ამ ნაწარმოების ყველა სტრიქონს საგან-  
გებო ძალას ანიჭებს. „პოეტი და მოქალაქის“ საბრძოლო პათოსი ახლო  
და გასაგები იყო მოწინავე მკითხველებისათვის, რომელმაც მთლიანად  
გაიზიარა ავტორის იდეური ჩანაფიქრი. ეს ლექსი ეპოქის მანიფესტად  
გამოაცხადეს. მართლაც რომ იშვიათია მსგავსი ნაწარმოები. აქ პოეტმა  
საოცარი ოსტატობით გადმოგვცა მშრომელთა დაუოკებელი მისწრაფება  
უკეთესი მომავლისაკენ. ნეკრასოვმა ლექსში მოახერხა თავისი ეპოქის  
ყველა ძირითად პრობლემას შეხებოდა და თავისი დამოკიდებულება  
ეჩვენებინა. დრო ვერაფერს აკლებს ნეკრასოვის ამ მართლაც და საოცარ  
პოეტურ ქმნილებას, სადაც ნათქვამია აფორიზმად ქცეული სიტყვები:  
„არ გვევლება შენ პოეტობა, მოქალაქის კი მუდამ გდევს ვალი“. პოეტს  
მომავლის იმედი აქვს, რომლის საწინდარს ხალხის უკვდავებაში, მისი  
რწმენის სიმტკიცეში ხედავს:

ნუ ვაწა, რომ სულმოდ დაცა ხალხი:  
კვლავ ცოცხლობს ხალხს სულში ზენარი,  
და ლაღღსი მორჩმუნე გულის  
მისთვის ყოველთვის საგრძნობი არი! (24—45).

ნეკრასოვს მიეკუთვნება ის ლექსებიც, სადაც ყმების ცხოვრება რე-  
ალისტურად არის ასახული. ძნელია გულგრილი დარჩე ადამიანთა ისეთი  
წარსულისადმი, როგორც ეს ლექსში „მივიწყებულ სოფელშია“ აღწე-  
რილი. აღმაშფოთებელია, რომ მიწიერი ჯოჯოხეთი თვითონ ადამიანის  
მიერ იყო დამკვიდრებული. არანაკლები სიძლიერით გადმოგვცემს ნეკ-  
რასოვი სულისმხუთავ ბატონყმურ სინამდვილეს ლექსში „ფიქრები სა-  
დარბაზო კართან“. აქ ხომ თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ აპარატს  
პოეტმა მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა. წარუშლელ შთაბეჭდილებას

1 ნ. ა. ნეკრასოვი. ლექსები და პოემები. თბ. „ფედრაცია“, 1937. გვ. 24.  
თარგმ. გრ. ცეცხლადისა. შემდეგში ამ გამოცემიდან მოტანილ ციტატების ბოლოს მხო-  
ლოდ გვერდებს მიუთითებთ.

ტოვებს ლექსის ის ადგილი, სადაც აღწერილია უუფლებო, დაბეჩავე-  
ბული ყმების ნაღვლითა და გესლით აღსავსე ცხოვრება, მათი შემზა-  
რავი გმინვა და გოდება:

დამისახელე თუნდაც ერთი კუთხე ისეთი  
(არ მეგულება. არ მინახავს მე არასოდეს),  
რომ მხვენელ-მთესველი დაჩაგრული არ იყოს ბედით,  
შენი მფარველო რუსი გლეხი არა კენესოდეს.  
კენესის გადამშლილ მინდორ-ველში და შარა-გზაზე,  
კენესის ციხეში წამებული, გულსაკლავ ხმაზე,  
მლარობის ჭურღმულებში ხუნდებშეყრილი,  
თივის ზინის ქვეშ მოდრეკილი, წელში მოხრალი,  
ტიალ ტრამალზე, როცა ურმის ქვეშ ათეეს დამეს,  
კენესის საკუთარ ღარიბ ქოხში როდესაც არის,  
ღღის გათენებას არ შეჰხარის, არ გრძნობს სიამეს;  
ყოველ მიყარდნელ ქალაქებში ის კენესის მწარედ,  
სასამართლოს და პალატების კარებთან მდგარი. (24).

ნ. ა. ნეკრასოვის შემოქმედებაში საკმაოდ რელიეფური ასახვა პოვა  
ყირიმის ომმა და ამ ომით გამოწვეულმა ხალხის ტრაგედიამ. პოეტის  
სამართლიანი მტკიცებით, ომმა ხალხს მხოლოდ მსხვერპლი და შიმშილი  
მოუტანა; მისი ისედაც უკუენითთ მოცული ცხოვრება კიდევ უფრო  
აუტანელი გახდა. ცხარე ცრემლსა და ოფლს ახლა ტანჯულთა დაღვრი-  
ლი სისხლიც მიემატა, ათასობით ადამიანი უაზროდ დაიღუპა. ყოველზე  
ამაში ნეკრასოვმა მოურიდებლად მეფე და მისი ამაღა დაადანაშაულა.  
მაგრამ პოეტი ბოროტების მხილებით არ კმაყოფილდება, ის შექმნილ  
მდგომარეობიდან გამოსავალსაც ეძებს. ნეკრასოვის სამართლიანი მტკი-  
ცებით, რეპრესიებს გარდუვალად უნდა მოჰყვეს უკუმოქმედება. თუმცა  
პოეტი არ მალავს თავის უკმაყოფილებას იმის გამოც, რომ ხალხი ჭერ  
კიდევ პასიურია, „იგი ნელა იღვიძებს“. ამიტომ არის, რომ ნეკრასოვის  
ოპტიმიზმით აღსავსე პოეზიაში ზოგჯერ მელანქოლიური სტრიქონებიც  
გვხვდება.

ავტორის საბრძოლო განწყობილება აისახა ლექსში „სიმღერა იერე-  
მიკოსათვის“. აქ ზომ ნეკრასოვი პირდაპირ მოწოდებამდე ამაღლდა:

თავისუფლება, ძმობა, ერთობა.  
გიყვარდეს მუდამ, შესწირე თავი  
იმთ სამსახურს და ერთგულებას  
ვინ ჰპოვებს უფრო ბრწყინვალე გვირგვინს —  
ან უფრო ლამაზ დანიშნულებას! (38).

ნამდვილი ჯანსაღი ხალხური იუმორითა და უშრეტი ოპტიმიზმით  
გამორჩევა პოემა „მეწვირილმანე“. საერთო ოპტიმისტურ ელერადობი-  
სათვის ხელი არ შეუშლია პოემაში მოცემულ ყმათა ყოფის ამსახველ  
მძიმე სურათებს, ნეკრასოვი არ უმალავს მკითხველებს გმირების ტრა-  
გიზმით აღსავსე ცხოვრებას, რომელიც მათი უდროო დაღუპვით მთავრ-

დება. მიუხედავად ამისა პოემის ავტორს არ დაუკარგავს მომავლის იმედი; ის თვითონ დარწმუნებულია და ჩვენც გვარწმუნებს, რომ ცხოვრება შეიცვლება და ადამიანი თავისუფლებას მოიპოვებს.

ნეკრასოვის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უკავია საბავშვო ლექსებს. მშრომელთა შვილებში პოეტი ხედავდა ქვეყნის საიმედო მომავალს. ამ ციკლის ლექსებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „ფუტკრები“, „ბიძია იაკობი“, „ბაბუა მახი და კურდღლები“, „ბულბულები“. „გლეხის ბავშვები“ და სხვა.

მართალია, ნეკრასოვი პოპულარობას აღწევს და მსოფლიოში გაითქვამს სახელს ლირიკული ლექსებით, მაგრამ ღრმად მოაზროვნე დიდი პოეტი უფრო სრულყოფილად ეპიკურ ტილოებში წარმოგვიდგება. აქ მგოსანს მეტი შესაძლებლობა აქვს ფართოდ გაშალოს ფრთები და ცხოვრებაზე საკუთარი შეხედულებები გამოავლინოს. ეპიკური ტილოებიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად ამოუწურავი იყო პოეტის შემოქმედებითი შესაძლებლობა. ამ უანრის ნაწარმოებების შექმნა ნეკრასოვმა რეფორმის შემდეგ დაიწყო. მწერალი რუსეთის ცხოვრების რეფორმის შემდგომი პერიოდით დიდად იყო დაინტერესებული და არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა.

პირველად ბატონყმობის გაუქმებას ნეკრასოვი გამოეხმაურა ლექსით „თავისუფლება“. ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ ამ ლექსში ავტორმა ყველაფერი მოზომილად თქვა. აქ თავი იჩინა პოეტის ილუზიებმაც, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ნეკრასოვი რეფორმას განიხილავდა როგორც ჭერ კიდევ დაუმთავრებელი ბრძოლის ეტაპს: ვიცი, წერდა იგი, ბატონყმური ხუნდების ნაცვლად ადამიანები სხვა მრავალს მოიგონებენ, მაგრამ მათი დამსხვრევა უკვე გაუადვილებათ.

ნეკრასოვის სიხარული რომ ხანმოკლე იყო და ის მალე გაერკვა რეფორმის ცალმხრივობაში, აშკარად ჩანს ლექსებში „სოფლის მწუხარება თავის სტიქიაში“, „საღდათის ღედა არინა“, და განსაკუთრებით კი პოემაში „ყინვა ცხვირწითელა“. ამ უკანასკნელში ნეკრასოვმა მოგვცა როგორც რეფორმამდელი, ისე რეფორმის შემდეგდროინდელი გლეხის უღატაკესი ცხოვრების შემადარწმუნებელი სურათები. ბევრის მთქმელია ყმა ქალის არინას მხატვრული სახე, ბატონყმობის გაუქმებით არც არინას ცხოვრებაში შეცვლილა არაფერი. და თუ რამე შეიცვალა — უარესისაკენ. დასახელებულ ნაწარმოებებში ნეკრასოვმა გლეხთა ცხოვრების, მათი ადამიანისა და ზნე-ჩვეულების უბადლო ცოდნა გამოავლინა. პოემა „ყინვა ცხვირწითელას“ ძირითადი კოლიზიის სიმძაფრე არა მხოლოდ სოციალური მიზეზებით არის განპირობებული. ყმა-გლეხის მტერი იყო აგრეთვე მისი გაუნათლებლობა და ცრუმორწმუნეობა. პოემა „ყინვა ცხვირწითელაში“ ნეკრასოვი პეიზაჟის დიდ მხატვრულად გვევლინება. განუმეორებელია რუსეთის ზამთრის წარმტაცი სურათები, რომელსაც ასე მომაჯადოებლად გადმოგვცემს პოეტი.

1864 წელს ნეკრასოვმა დაწერა ერთ-ერთი შესანიშნავი პოემა „რკინიგზა“. პოეტმა ამ ნაწარმოებით, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება, მიაღწია დიდ შემოქმედებითს გამარჯვებას. პოემაზე დაიწერა ბევრი რეცენზია, თითქმის ყველგან აღიარებდნენ ნეკრასოვის წინსვლას, მის პოეტურ სიმწიფეს. აღნიშნული იყო აგრეთვე პოემაში დასმული პრობლემების აქტუალობა, ავტორის დიდი პატრიოტიზმი და კაცთმოყვარეობა. ავტორისეული ჩანაფიქრი მკაფიოდ გამოიკვეთა სწორედ პოემის მესამე ნაწილში, სადაც დადებით პერსონაჟს უპირისპირდება გენერლის გროტესკული სახე, რომელიც ვახრწნისა და გადაგვარების გზაზე მდგომი თვითმპყრობელური რუსეთის მეუფეთა ტიპური წარმომადგენელია.

1875 წელს ნეკრასოვმა გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი სატირული პოემა „თანამედროვენი“. აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა პოეტის უნარი ყოველდღიურ ცხოვრებაში დაენახა და სარკაზმამდე აეყვანა უკუღმართი სოციალური წყობის მესვეურთა დაკნინება. მისი კალამი კვლავაც ბასრი და უღმობელია მშრომელთა მტრების მიმართ. ნეკრასოვი სასტიკად ილაშქრებს ლიბერალების წინააღმდეგ და ბოლომდე ამხელს მათ ვერაგობას.

პოემის თავისებური ფორმა საშუალებას აძლევს ავტორს გამოიყვანოს სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომი პერსონაჟები. ჰიპერბოლა და გროტესკი ხელს არ უშლიდა მკითხველებს პოემის ცალკეულ პერსონაჟების უკან დაენახათ კოკნრეტული პირები, რომლებიც ცნობილი იყვნენ რეაქციული შეხედულებითა და მეშჩანური ბუნებით. მკითხველი მთლიანად იზიარებდა ნეკრასოვის მტკიცებას, რომ ქვეყანას განაგებდა „უვიცი ბაქიები და ამორალური ლოთები, რომელთა „მეობის“ გამოვლენის ყველაზე ხელსაყრელ ადგილს საროსკიპოები და რესტორნები წარმოადგენდა. პოეტს არც ქვეყნის მომავალი პატრონის, „ბატონ კაპეიკინის“ საქმიანობა გამორჩენია მხედველობიდან, ის კარგად ხედავდა, თუ რა მოჰქონდა ხალხისათვის ბურჟუაზიას და სასტიკად გმობდა მის მტაცებლურ ბუნებას.

70-იან წლების მეორე ნახევარში რუსეთში რევოლუციურმა მოსვლემ იმატა. ნეკრასოვს არ დაუყოვნებია, მან საეურონალო თუ ლიტერატურული მოღვაწეობით საერთო ბრძოლაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა. სწორედ ახლა შეეცადა პოეტი ხორცი შეესხა დიდი ხნის ოცნებისათვის და შეექმნა დეკაბრისტთა გმირული სახეები. ნეკრასოვმა ამ თემაზე ზედინედ გამოაქვეყნა პოემები „პაპა“ და „რუსი ქალები“.

პოემაში „პაპა“ მთავარი გმირის პროტოტიპია დეკაბრისტი ს. გ. ვოლკონსკი. ლიტერატურაში ნეკრასოვის შესახებ თითქმის ჩვენ დრომდე მომდინარეობდა კამათი, თუ რამდენად ახლოა პოეტის მიერ შექმნილი მხატვრული სახე პროტოტიპთან. ბურჟუაზიული კრიტიკა უსაყვედურებდა ავტორს. თითქოსდა მას დაერღვიოს ისტორიული ჭეშმარიტება და ვოლკონსკისათვის მიეწეროს რევოლუციონერისათვის დამახასიათე-



ზელი თვისებები, მაშინ, როდესაც ის ლიბერალი იყო. მაგრამ ასეთი მტკიცება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ახლა უკვე ექვემოთა-ნელი დოკუმენტებით დადგენილია, რომ ს. გ. ვოლკონსკი ბოლომდე დარჩა თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტერი. პაპა, ნეკრასოვის გა-ანრებით, ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო შვილია, გამირულმა საქმეებმა მას ხალხის აღიარება მოუტანეს.

პოემის მთავარი გმირის ისტორიულ პერსპექტივაში გააზრებისას ნეკრასოვს გამოუყენებია რუსეთის რევოლუციური მოძრაობის რაზნო-ჩინული ეტაპის გამოცდილება. უდავოა, რომ ნეკრასოვის პაპის მსჯე-ლობაში ბევრი რამ 70-იანი წლების მებრძოლთა იდეებით არის შთაგო-ნებული. განსაკუთრებით ეს იგრძნობა, როდესაც იგი შვილიშვილ სა-შას მოუწოდებს შურისძიებისაკენ და მოზნის მისაღწევად, განსხვავებით დეკაბრისტებისაგან, აუცილებლად მიიჩნევს მასების ერთობლივ გამო-სვლას.

არა ჩლუნგი მორჩილება,  
ერთობლივი გასტრის ძალა:  
ბედის გრგუნეა მხარეს სრულად  
შეაბრუნებს ყოიამალა.  
ერთსულთან მოქმედება.  
გამარჯვება მუდამ ელის.  
მაგრამ უცებ ვერას იზამ.  
საქმე არის შეტად ძნელი!

მართალია, პოემა ძირითადად დეკაბრისტების საქმიანობას შეეხება, მაგრამ ამყარად ჩანს აგრეთვე ავტორის საბრძოლო განწყობილება. ამავე დროს, პოემის მთავარი გმირის შეხედულებათა პოზიტიური ცვლილებები თვითონ ნეკრასოვის რევოლუციურ-დემოკრატიზმის გა-ღრმავებანეც მიგვიჩინებენ.

ნეკრასოვმა დაამთავრა თუ არა მუშაობა პოემა „პაპაზე“, ის იქვე, იმავე თემაზე მეორე ნაწარმოების „რუსი ქალების“ შექმნას შეუდგა. ეს პოემა ავტორს ვრცელ ეპიკურ ტილოდ ჰქონდა ჩაფიქრებული. მოწინა-ვე, რევოლუციურად განწყობილ რუს ქალთა ტიპური მხატვრული სა-ხეების შექმნა ნეკრასოვს დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდა. და ეს სავ-სებით გასაგებია, რადგანაც ქალთა აქტიურმა ბუნებამ, მათმა დაუცხრო-მელმა ლტოლვამ ცხოვრების გარდაქმნისაკენ განსაკუთრებული როლი ითავაშა ეროვნული კულტურის შექმნის პროცესში. ცოტა როდი იყო მათი წვლილი რუსეთში რევოლუციური მოძრაობის გაღვივებისა და განმტკიცების საქმეშიც.

თავის დროზე დეკაბრისტთა მეუღლეების გადაწყვეტილება, რომ-ლებმაც ნიკოლოზ პირველის უკმაყოფილება გამოიწვია, უაღრესად გა-

<sup>1</sup> E. ნეკრასოვი. ლექსები. თბ., „საბლიტგამი“, 1947, გვ. 77. თარგმ. გრ. ცეცხ-ლაძისა.

ბედული ნაბიჯი იყო. როგორც ცნობილია, მეფის განკარგულების საწინააღმდეგოდ კატორღაში მყოფ დეკაბრისტების ვოლკონსკის, ტრუბეცკოს, დავიდოვის, ენტალცევის, მურავიოვის, იუშნევსკის, როზენისა და ფონვიზინის მეუღლეებმა დატოვეს პეტერბურგი, ზურგი შეაქციეს არისტოკრატიულ კომფორტს და ქმრებთან გაემგზავრნენ შორეულ ციმბირში, რათა მათი უმძიმესი ხვედრი გაეზიარებინათ. ასევე მოიქცნენ დეკაბრისტების — ანენკოვისა და ივაშევის საცოლები. მოწინავე ქალების გმირულმა ნაბიჯმა მთელი პროგრესული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. შემდგომშიც მათ ბევრი მიმბაძველი ჰყავდათ, რომლებმაც ერისთვის მრავალი სასარგებლო საქმე გააკეთეს. ბუნებრივია, ეს მეტად ნიშანდობლივი პროცესი უნდა ასახულიყო ლიტერატურაში. მართლაც, მოწინავე რუს ქალთა გმირული საქმეების სადიდებლად პოეტებმა შექმნეს მხატვრული ტილოები. ამჟამადაც ძნელია აუღელვებლად ილაპარაკო პუშკინის, გერცენის, ტურგენევის, ოსტროვსკის, გონჩაროვის, ტოლსტოისა და სხვა კლასიკოსების მიერ შექმნილ სახეებზე, გვხიბლავს მათი პერსონაჟების სულიერი სიმტკიცე და გმირული შემართება. მხატვრული სახეების ამ მდიდარ გალერეაში ნეკრასოვის ქალთა ტიპებს თავისი, განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ნეკრასოვმა ქალთა გმირულ, მაგრამ ფაქიზ ბუნებას შესაფერისი შტრიხები მოუძებნა და რაინდული ლირიკის შესანიშნავი ნიმუშები მოგვცა.

სამწუხაროდ, პოეტმა „რუსი ქალების“ დამთავრება ვერ მოასწრო, ჩვენამდე მოღწეულია მისი ორი ნაწილი, რომლებსაც ცალ-ცალკე დამთავრებული ნაწარმოებების სახე აქვს. პირველი მათგანი „თავადი ტრუბეცკოსი მეუღლე“ ნეკრასოვმა დაწერა 1871 წელს, ხოლო მეორე „თავადის მეუღლე მ. ნ. ვოლკონსკაია“ კი მომავალ 1872 წელს იქნა დაწერილი.

„რუსი ქალების“ პოპულარობა ამ ნაწარმოების მაღალ მხატვრულ ღირსებასთან ერთად ავტორის იდეური ჩანაფიქრის აქტუალობით არის განპირობებული. მიუხედავად ცენზურული დამახინჯებებისა, პოემას მაინც შერჩა მემამობური სული და მამხილებელი პათოსი. ამაში სამოცდაათიანი წლების მკითხველმა საკუთარი მისწრაფებათა გამოძახილი დაინახა, დაეწაფა მის კითხვას და სწორად აღიქვა ნაწარმოების დედააზრი. ამიტომ ნეკრასოვს შეეძლო ეთქვა, რომ არც ერთ მის ნაწარმოებს ისეთი პოპულარობა არ ჰქონია, როგორიც ხვდა წილად პოემას „რუს ქალებს“.

პოემის ძირითადი პერსონაჟები მაღალ არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნიან, მაგრამ ნეკრასოვმა საგანგებოდ აღნიშნა მათი ბუნების დემოკრატიულობა. პოემაში გვხვდება აგრეთვე რიგითი ადამიანების მიმზიდველი სახეებიც. ნეკრასოვი ხაზს უსვამს მთავარ გმირების ხასიათის შინაგან სიმტკიცესა და სიახლოვეს მშრომელ მასებთან. პოეტის სამართლიანი მტკიცებით, არ არსებობდა გადაულახავი ზღუდე პროგრესულად

შოაზროვნე ინტელიგენტსა და რიგით ადამიანებს შორის, რადგანაც მათი ძირითადი ინტერესი ემთხვეოდა ერთმანეთს. სწორედ ამით აიხსნება, რომ გადასახლებაში მიმავალ თავადის ქალებს ასე დიდი თანაგრძნობით ეპყრობიან გლეხები, ცდილობენ რითაც შეუძლიათ შეუმსუბუქონ მათ მომქანცველი მგზავრობით გამოწვეული განცდები. გლეხების კეთილმა დამოკიდებულებამ შესაბამისი გამოძახილი ჰპოვა „რუსი ქალების“ წამყვან პერსონაჟებში, ისინი დიდი ნდობითა და სიყვარულით განეწყვენენ ყმებისადმი, აღიარეს ხალხის სიძლიერე და კეთილშობილება:

ოტა შეჩერდით, გამოვხატო მე ახლა მინდა  
რეს ხალხისადმი გრძნობა მადლობა.  
ტრემლი, ეება. რაც კი გზაში გადამხდენია,  
ცოცა ციმბირის წამება მთელი —  
ხალხო. მე შენმა თანაგრძნობამ შემაძლება.  
შენით ავზიდე ეს ტერით ძნელი.  
სხვის კარს შენად ცნობ. რომ თვითონაც გტანჯეს, გაეცნეს,  
ამისათვის წამებაც აგრტანა,  
და იქ კი, სადაც ჩემი ტრემლი უნდა დაეცეს,  
შენი დაეცა დიდი ხანია!

პოემა „რუსი ქალები“ განსხვავებით ნეკრასოვის ბევრი სხვა ნაწარმოებებისაგან, სადაც მოჭარბებულად გვხვდება დიალექტიზმი და ჟარგონული გამოთქმები, დაწერილია უზადო ლიტერატურული ენით, რამაც ბევრად შეუწყო ხელი პოემის პოპულარობას. მას გატაცებით კითხულობდნენ საზოგადოების ყველა ფენაში. „რუსი ქალები“ დღესაც საოცარ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს.

როგორც ცნობილია, ყოველ დიდ მწერალს აქვს ერთი შემაჯამებელი ხასიათის ნაწარმოები, სადაც მთელი მისი შემოქმედების ძირითადი არსია გადმოცემული. ნეკრასოვის ასეთი ტილოა „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“. ეს პოემა არა მარტო ნეკრასოვის შემოქმედების ზენიტია, ის მთელი XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის მშვენიერებაა. პოემის მასშტაბურობა ნეკრასოვს თავიდან ჰქონდა ჩაფიქრებული. უზიარებდა რა მკითხველებს ნაწარმოების გეგმას, ნეკრასოვი აღნიშნავდა, რომ პოემაში მას სურს ჩააქსოვოს მთელი თავისი შემოქმედებითი გამოცდილება, პირველ რიგში კი ხალხის ცხოვრების ღრმა ცოდნა, რომელიც მწერალს 20 წლის მანძილზე უგროვებია. პოემას კი „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ ნეკრასოვი 13 წლის განმავლობაში წერდა. მაგრამ მანაც დაუმთავრებელი დარჩა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია პოემის პოპულარობისათვის. და ეს იმიტომ, რომ ამ ეპიკურ ტილოში ნეკრასოვმა მანამდე მიუწვდომელი სისრულით თქვა მთავარი, რაც

1 ნ. ნეკრასოვი. რუსი ქალები. თბ., „საბლიტგამი“, 1953, გვ. 68. თარგმნეს ვ. გაბესკირიამ და ვ. გორგაძემ.

აწუხებდა იმ დროინდელი რუსეთის ყველა მოწინავე ადამიანს. მისმა მრავალმხრივმა პოეტურმა მუშამ გამოვლენის ფართო სარბიელი პოეზია და მკითხველს თვალნათლივ დაანახა, რომ არსებულის შეცვლა მხოლოდ რევოლუციური გზით იყო შესაძლებელი.

პოემაში ნეკრასოვი ძირითადად რეფორმის შემდგომ რუსეთის ცხოვრებას ასახავს. მაგრამ ის არც რეფორმამდელ გლებთა ყოფას ტოვებს უყურადღებოდ. პოეტი ერთნაირი სიძლიერით აღწერს ქვეყნის ისტორიული განვითარების ამ ორ ეტაპს და მათ შორის ორგანულ კავშირს ხედავს. რაც განსაკუთრებით გლებთა უნუგემო ყოფაში ვლინდება. პოემის მიხედვით, რეფორმამ არამცთუ გადაჭრა, არამედ კიდევ უფრო გააძწვავა საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობა, სოციალურმა კრიზისმა მძაფრი ხასიათი მიიღო.

რუსეთის მშრომელებისათვის ამ უმძიმეს ეპოს ნეკრასოვი თავისი პოემით „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ შეეცადა პასუხი გაეცა მწვავე და აქტუალურ კითხვებზე — სად არის ხსნა? ანდა რა უნდა გაკეთდეს, რომ სალხი განთავისუფლდეს? ყველამ, ვინც კი ოდნავ დაკვირვებით წაიკითხა პოემა, ერთხმად აღიარა, რომ ნეკრასოვმა რეალისტურად ასახა სინამდვილე და მიგვითითა, რომ გარდაუვალი ხდება გაბატონებული სოციალური წყობის დამხობა. სწორედ ეს ჰქონდათ მხედველობაში კრიტიკოსებს, როდესაც საგანგებოდ უსვამდნენ ხაზს პოემის შინაარსის აქტუალობასა და ავტორისეული ჩანაფიქრის მუდამობურ ხასიათს.

პოემის პროლოგი ისეა დაწერილი, რომ მკითხველი თავიდანვე ავტორის თანამზრახველი ხდება და ბოლომდე დაძაბული ყურადღებით აღდევნებს თვალს სიუჟეტის განვითარებას. პოეტთან ერთად განიცდის პერსონაჟთა ტრაგიკულ ხვედრს, თუ გამამხნეველ მაჟორულ სულისკვეთებას, რომელიც დადებით გმირთა საბრძოლო განწყობილებით არის შთაგონებული. პოემის კომპოზიციაც იმავე მიზანს ემსახურება. მოვლენების დინამიკური განვითარება, პერსონაჟთა მძიმე ბუნება და ყმა-გლებების მიზანი — დაადგინონ თუ ვინ ცხოვრობს კარგად, ავტორს საშუალებას აძლევს გვიჩვენოს მთლიანად რუსი ხალხის ყოფა მისი რთული სოციალური სტრუქტურით. „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ მრავალსიუჟეტური ნაწარმოებია და ნეკრასოვი ცდილობდა რაც შეიძლება კომპოზიციურად შეეკრა პოემა. ამ სიძნელის გადალახვა პოეტმა იდეური ჩანაფიქრის მთლიანობით შეძლო. ნაწარმოების ყველა თავში ადვილი დასანახია ავტორის გაბედული მოწოდება ხალხის ინტერესებისათვის გმირული ბრძოლისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ პოემაში „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ პერსონაჟებს უარესად მძიმე ცხოვრება აქვთ, მათი უმრავლესობა სულიერად გაუტეხელი და მორალურად გაურყვნელია. ამის საწინდარს

პოეტი გლეხების შრომითს ჩვევაში ხედავს. შრომა, ნეკრასოვის სამარ-  
თლიანი მტკიცებით, ხალხის ძალისა და ოპტიმიზმის საფუძველია:

ჩვენ ვართ ძლიერნი, ბუნებრახები,  
შრომითა და ღრუბრის ღრთადაც!..  
ყოველ გლახაკს სული ჰგავს ღრუბელს  
გაქავედრებლად გაორქუშებელს —  
ის მრახანაა და მის სიღრმეში  
უნდა გაისმა ბიჭაქუხელი,  
მოვარდეთ სისხლი წვემების ღვარი!.

მართალია, იმ დროს ყველა გლეხი ასე როდი ფიქრობდა. ბევრი მათგანი ვერ ხედავდა გამოსავალს და ბოლშას ღვინოში ახშობდა, მაგრამ პოემის ავტორს ღრმად სწამდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც გამო-  
იღვიძებდა „ხალხი ბუმბერაზი“ და მონობას სამუდამოდ მოსპობდა.

პოემის გმირების გარკვეული ნაწილი ისეა დაბეჩავებული, რომ ან სულ არა, ანდა ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ბედნიერებაზე, კიდევ უფრო უსუსურია მათი შეხედულება ცხოვრების დანიშნულებაზე. ასეთ პერსონაჟებად, პირველ რიგში, ის შეიდი გლეხი გვევლინება, რომლებსაც განუზრახავთ დაადგინონ თუ ვინ ცხოვრობს რუსეთში კარ-  
გად. მათზე უბადრუკი აღმოჩნდნენ ისინი, ვისაც შეხვდნენ მოგზაურები და ვისგანაც უნდოდათ მიეღოთ პასუხი. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის შინამოსამსახურებებზე, ჭარისკაცზე, ქვრივზე და დიაკვანზე. ცხოვრებას წმინდა კლასობრივი პოზიციებიდან უყურებენ მღვდელი, ბატონი და სხვა ექსპლოატატორთა წრის წარმომადგენლები. ამავე დროს, ნეკრასოვი უღალატებდა ქეშმარიტებას, თუ არ წარმოაჩენდა იმ ემა გლეხებს, რომელსაც თავიდანვე მებრძოლი პოზიცია ჰქონდათ და არ ემორჩილებოდნენ ცხოვრების უკუღმართობას. პოემის ასეთ გმირებს შორის აღსანიშნავია იაკიმი ნაგი, რომელიც ბუნტარული ხასიათის გამო მუდმივ დევნას განიცდიდა, ციხეშიც იყო, მაგრამ სულით არ დაცემულა. იგი პეტერბურგიდან კვლავ სოფელს უბრუნდება და გონივრულად წარ-  
მართავს მეურნეობას. პოეტი ამ გმირზე ამბობს, რომ მას ყველაფერი წაართვეს, მაგრამ შერჩა ვეჟაკური შემართება, რომელსაც ის საჭირო შემთხვევისათვის ინახავსო.

საინტერესოა ერმილე გირინის სახე. ის განსხვავებით იაკიმისაგან სიტყვიდან საქმეზე გადადიოდა. ერმილე გირინმა წერა-კითხვა იცოდა, რაც ყმებში უნიკალური შემთხვევა იყო. ის ჰკუთნა ცამოიარჩეოდა, რის გამოც გლეხები მისადმი ნდობითა და სიყვარულით იყვნენ გამსქვა-  
ლულნი. ცენზურის გამო ნეკრასოვს გირინზე მეტის თქმა არ შეეძლო. პოემიდან ჩანს, რომ გირინი დაუპატიმრებიათ მემამულე ობსკუროვის

1 ნ. ა. ნეკრასოვი; ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად. თბ., „სახელგამა“, 1950, გვ. 48—49. თარგმ. გრ. ტეცხლაძისა.

ყმების ბუნტთან დაკავშირებით. მკითხველს არ უძნელდება იმის მიხედვით, თუ რა მიზეზით უნდა აღმოჩენილიყო გირინი საპყრობილში.

პოემამი „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ საგანგებო ადგილი უჭირავს კატორიდან დაბრუნებული გლეხი საველის სახეს. მას ავტორი დიდი რუსეთის რაინდს უწოდებს და ამკობს ბილინის გამიერებისათვის დამახასიათებელ თვისებებით. საველის ახალგაზრდობაში ცოცხლად დაუმარხავს დესპოტი მოურავი, რისთვისაც 20 წლით მძიმე საკატორლო სამუშაოზე გაუგზავნიათ. კატორლაში მას არ დაკლებია ცემა-ტყევა და შეურაცხყოფა, მაგრამ საველი სულიერად არ გატეხილა და გოდებას არ მისცემია, ის ბოლომდე რჩება თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტერი. სწორედ მან თქვა თავისთავზე, ვარ დადაღული, მაგრამ არ ვარ მონაო. ძვირად უჯდება საველის შინაგანი თავისუფლება. მაგრამ მას ღრმად სწამს, რომ ადამიანისათვის ეს თვისება აუცილებელია. ამჯერად საველის მხოლოდ იმაზე წყდება გული, რომ ხალხის აურაცხელი ენერგია ტყუილუბრალოდ იხარჯება და იგი არასწორ გზაზე დგას. საველის პირით ნეკრასოვი ხშირად თავის სათქმელს ამბობს. ხალხის ინტერესების დამცველთა რიცხვში ნეკრასოვს ყაჩაღი კუდღეიასოვიც ჩაურაცხავს, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან მოკლა დესპოტი ბატონი. ამ ნაბიჯის ვამო ავტორი კუდღეიასოვის ბევრ ცოდვებს გვერდს უვლის.

პოემის ყველა დადებითს გამიერებს შორის ცენტრალური ადგილი გრიგორ დობროსკლონოვს უკავია. ის გამოირჩევა არა მხოლოდ ნათელი იდეალებითა და ნებისყოფის სიმტკიცით, მას მკაფიოდ გამოკვეთილი სამოქმედო პროგრამაც აქვს. გრიგორი დობროსკლონოვის ხასიათში პოეტის თანამედროვეებმა დობროსკლონოვისათვის დამახასიათებელი არაერთი თვისება შენიშნეს. ასეთი მტკიცებისათვის მართლაც არსებობს საფუძველი, ვინაიდან ნეკრასოვი უაღრესად აფასებდა დობროსკლონოვს, იყო მისი ხალასი ნიჭის თაყვანისმცემელი და ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ პოეტმა ზოგიერთი რამ მისგან აიღო. მიუხედავად ამისა, გრიგორი დობროსკლონოვის მხატვრული სახის დაყვანა დობროსკლონოვის პორტრეტამდე არაფრით არ არის გამართლებული. გრიშა დობროსკლონოვი XIX საუკუნის 60—70-იანი წლების რევოლუციონერი-რაზნოჩინელების ტიპური განსახიერებაა. შესაძლოა, როდესაც ნეკრასოვი ქმნიდა დობროსკლონოვის სახეს მას თვალწინ დობროსკლონოვი ედგა თავისი უაღრესად ორგანიზებული ნებისყოფით, მაგრამ პოეტი დობროსკლონოვის ხასიათის ძერწვის დროს უნდა წასულიყო უფრო შორს, მოეხდინა ცალკეული დეტალების განზოგადება. ეს ასედაც მოხდა.

გრიგორი დობროსკლონოვის მხატვრული სახე ისე ფართო განზოგადებას აღწევს, რომ მან იმთავითვე საპატიო ადგილი დაიკავა XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურის საუკეთესო გმირთა ვალერეაში. შემთხვევითი როდია, რომ ნეკრასოვი მთელ რუსეთში მხოლოდ დობროსკლონოვს თვლიდა ბედნიერად, რადგანაც ის რევოლუციონერი და

ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი იყო. ასევე კანონ-ზომიერია, რომ პოეტი ამ დიდ ეპიკურ ტილოს ამთავრებს მოგზაურთა ფუჰი ცდის მხილებით. სამაგიეროდ აღიღებს დობროსკლონოვს. ისინი, წერს ნეკრასოვი მოგზაურებზე, დიდი ხნით ადრე შინ იქნებოდნენ მისული (მათ დათქმული ჰქონდათ, მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნებულიყვნენ. როცა ბედნიერ კაცს მონახვდნენ), რომ სკოდნოდან „რა ამოძრავებდა გრიგორის გულს“. სამწუხაროდ, მოგზაურები ჯერ კიდევ ვერ წვდებოდნენ რევოლუციური ბრძოლის არსს. მით უმეტეს მიუწვდომელი იყო მათთვის ამ ბრძოლით გამოწვეული ბედნიერება.

რუსულ პოეზიაში იშვიათად შეიძლება მოინახოს მეორე ნაწარმოები, სადაც ასე სრულყოფილად იყოს გამოყენებული პოეტური ხერხები. მრავალფეროვანია ლექსის რითმი და ზომა, უხვად არის გამოყენებული ფოლკლორული მხატვრული სახეითი საშუალებები. პოემის ენა ხალხურია ამ სიტყვის ფართო გაგებით. ნეკრასოვმა შეძლო რუსული ენის მდიდარი საუნჯის ისე სრულყოფილად გამოყენება, რომ მისმა ნაწარმოებმა უმაღლეს პოეტურ ელერადობას მიაღწია. შთაბავთებელია ბუნების აღწერა, რომელიც სავსებით შეესაბამება გმირთა შინაგან განწყობილებას, მათი წყალობით პოეტმა შეძლო პერსონაჟთა სულიერი მოძრაობის უმნიშვნელო ნიუანსების გადმოცემაც კი. „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ გენიალური პოეტის უბადლო ფუნქციითაა შექმნილი, მას, ისე როგორც ნეკრასოვის სხვა ნაწარმოებებს, გაუფერულება არ უწერია.

ნეკრასოვის შემოქმედების მთლიანი განხილვა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რაოდენ ღრმად ჩასწვდომია მის აზრს ვ. ი. ლენინი, რომელიც ახასიათებდა მას როგორც რევოლუციონერ-დემოკრატ მწერალს.

დიდი იყო პოეტის ზეგავლენა 50-იან, განსაკუთრებით კი მომდევნო ათეულ წლების საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზე. ქართველი მოწინავე ინტელიგენცია შეუწელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს დიდი პოეტისა და მოაზროვნის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. და ეს იმიტომ, რომ ნეკრასოვის მიერ წამოჭრილი პრობლემები უაღრესად საჭირობოროტო და აქტუალური აღმოჩნდა საქართველოშიც. ყველა პროგრესულად მოაზროვნე მკითხველმა ჩვენში და საზღვარგარეთაც ნეკრასოვში მეგობარი და გზის მაჩვენებელი დაინახა, მის თხზულებებში ბევრი სასარგებლო აზრი და რჩევა ამოიკითხა.

თვითონ ნეკრასოვი ქართველი ხალხის კულტურას ადრევე გაცნობია. შემოქმედებითს გარიყრაჟზე მან გამოაქვეყნა საკმაოდ საინტერესო და მენარსიანი რეცენზია პლატონ იოსელიანის წიგნზე „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“. ნეკრასოვის რეცენზია დაიბეჭდა „ლიტერატურნაია გაზეტას“ 1843 წლის 35-ე ნომერში. პოეტის არჩევანი შემთხვევითი როდი იყო. იოსელიანის წიგნი მაშინ სულ მოკლე დროში მეორედ გამოვიდა (პირველი იყო 1841 წელს) და მკითხველთა საყოველ-

თაო ყურადღება მიიპყრო. ნეკრასოვი სარეცენზიო წიგნში აღნიშნული ფაქტების მიმოხილვით როდი შემოფარგლულა, მან ქართველი ხალხის მძიმე, მაგრამ გმირული ისტორიის კარგი ცოდნა გამოავლინა. თანაგრძნობით მოეკიდა ჩვენი ხალხის მდიდარ სულიერ მემკვიდრეობას. პოეტს ქართველი ხალხის ცხოვრებისადმი ინტერესი არც შემდგომში შეუწელებია, მასთან თანამშრომლობენ ჩვენი პუბლიცისტები ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე. მის ყურნალში იბეჭდება ქართველი საზოგადო მოღვაწეების წერილები, უნდა დაბეჭდილიყო ქართული ლიტერატურის მიმოხილვა და ა. შ.

საქართველოში ნეკრასოვის შემოქმედებისა და საქურნალო მოღვაწეობის პირველ პროპაგანდისტებად გამოვიდნენ ქვეყნის უკეთესი შვილები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ლომოური და სხვები. პირველმა ცნობებმა ნეკრასოვის მოღვაწეობის შესახებ ჩვენამდე ჯერ კიდევ 40-იან წლებში მოაღწია. 1846 წლის ოქტომბრის დასაწყისში თბილისში დაიდგა ნეკრასოვის ვოდევილი „პაპას თუთიყუშა“. 8 ოქტომბერს გაზეთმა „კავკაზმა“ მაღალი შეფასება მისცა როგორც ნეკრასოვის ნაწარმოებს, ასევე მსახიობთა კარგ თამაშს. აქედან მოკიდებული საქართველოს პერიოდულ გამოცემებში ხშირად გვხვდება ცნობები ნეკრასოვის მოღვაწეობის შესახებ, იბეჭდება რეცენზიები და კრიტიკული წერილები მწერლის თხზულებაზე, მაღალ შეფასებას აძლევენ ნეკრასოვის როგორც პოეტურ, ასევე დრამატულ ნაწარმოებებს. ამავე დროს სათანადო ყურადღება ექცევა ნეკრასოვის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნას.

პირველად ქართულ ენაზე ნეკრასოვი 1861 წელს დაიბეჭდა. ყურნალ „ცისკარის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნდა ნეკრასოვის ლექსი „როდის შემესმის კვლავ ბრძოლის ხმა“, თარგმნილი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურცელაძის მიერ. ანტონ ფურცელაძის არჩევანი კანონზომიერია. ნეკრასოვის დასახელებული ნაწარმოები განოიჩრჩევა ძლიერი საბრძოლო განწყობილებითა და მკაფიო იდეური მიმართულებით, იგი უშუალოდ ეხმაურებოდა თერგდალეულთა სულისკვეთებას, მათ სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან თავის დაღწევის საბრძოლო განწყობილებას. ა. ფურცელაძეს ეკუთვნის აგრეთვე 1867 წელს იმავე ყურნალში გამოქვეყნებული ნეკრასოვის „ფიქრები საპარადო შესასვლელთან“ თარგმანი. ორივე ნაწარმოების ქართულად თარგმნა იმ დროისათვის შესაფერის დონეზე იყო შესრულებული.

1864 წელს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კირილე ლორთქიფანიძემ შეადგინა და თავის რედაქციით გამოსცა ქართველ მწერლების თხზულებათა კრებული „ჩონგური“, სადაც მან მოათავსა ნეკრასოვის ლექსები „პოეტი და მოქალაქე“ და „მიდის დრო“, თარგმანი მასვე ეკუთვნოდა. უფრო გვიან, მაგრამ პოეტის სიცოცხლეშივე, დაიბეჭდა ნეკრასოვის



სხვა ლექსების თარგმანებიც. მათ შორის: „კარგი ზნეობის კაცი“, „მა-  
შა“, „მებაღე“ და სხვ.

1864 წელს დავით ერისთავმა ოდესიდან ჩამოიტანა ნეკრასოვის დრამატული ნაწარმოების „აქტიორის“ ხელთნაწერი, რომელიც პანსიონატში დადგა. დ. ერისთავი შემდგომშიაც დიდ ინტერესს იჩენდა ნეკრასოვის შემოქმედებისადმი, იყო მისი პოეტური თხზულებათა ერთ-ერთი პირველი მთარგმნელთაგანი. რევოლუციამდე ქართულად ითარგმნა ნეკრასოვის სხვა ლექსებიც, მათ შორის „დობროლუბოვის ხსოვნას“, „მძიმე იყო მისი ხვედრი“, „თუ ბნელ ქუჩაში ღამით მივიღვივარ“ და სხვა. ნეკრასოვის თხზულებათა მთარგმნელები იყვნენ ცნობილი ქართველი ლიტერატორები და საზოგადო მოღვაწეები: ირ. ევდოშვილი, ს. მგალობლიშვილი, მ. გურიელი, მ. კინწურაშვილი და სხვები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ნეკრასოვის ლექსი რევოლუციამდე ქართულად დაუბეჭდიდათ ოთხჯერ სხვადასხვა ავტორების მიერ ნათარგმნი. ასეთი პოპულარობა ხვდა ლექსს „როდის შემესმის კვლავ ბრძოლის ხმა“, რაც უდაოდ ნეკრასოვის ამ ნაწარმოებისა და საერთოდ მისი პოეტური ნიჭის დიდი აღიარება იყო.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქართველი კრიტიკოსებისა და მწერლების მოსაზრებები ნეკრასოვის ლიტერატურული შემოქმედებისა და საერთო მოღვაწეობის შესახებ. ქართულ რევოლუციამდელ პრესაში ბევრი საინტერესო აზრი გამოთქმულა ნეკრასოვის პოეტური სტილის თავისებურებასა და თხზულებათა მემამბოხურ ხასიათზე, აღუნიშნავთ ნეკრასოვის რევოლუციური იდეების ზეგავლენა ილიასა და აკაკის, განსაკუთრებით კი ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილისა და ეკატერინე გაბაშვილის მსოფლმხედველობაზე. თვითონ ილიასა და აკაკის ნეკრასოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ არაერთი საინტერესო დაკვირვება გამოუქვეყნებიათ.

ნეკრასოვის ლიტერატურულ და საჯურნალო მოღვაწეობას დიდად აფასებდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ხშირად იყენებდა პოეტის თხზულებებს საკუთარ დასკვნების საილუსტრაციოდ. ივანე გომართელს ასევე ბევრი საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნეკრასოვის პოეზიის რევოლუციურ ელერადობაზე.

დიდი იყო აგრეთვე ქართველ მოწინავე ახალგაზრდების გატაცება ნეკრასოვის პოეზიით. ნეკრასოვზე რამდენ გულწრფელ გამონათქვამს შეხვდება მკითხველი მემუარულ ლიტერატურაში, რამდენ აღმაფრთოვანებელ ფრაზას მოუღწევია ჩვენამდე პოეტის თხზულებათა წარუშლელ შთაბეჭდილებაზე. საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი მათგანი, რომ მკითხველმა ნათელი წარმოდგენა იქონიოს იმ მაგიურ ძალაზე, რომლითაც ნეკრასოვი იზიდავდა მკითხველებს. 1873, წელს შემდეგში აღიარებული პოეტი და საზოგადო მოღვაწე, გიორგი ჭალადიდელი დღიურში წერდა: „ღამის თერთმეტი საათია და კიდევაც დავამთავრე ნეკრასოვის

თხზულების „რუსი ქალების“ („ოტჩესტვენნიე ზაპისკი“, 1873 წ., იანვარი) კითხვა. რა მშვენიერი რამ არის! რა ცვლილებას ახდენს კაცის გულში ეს მშვენიერი თხზულება! შორს ვარ თორემ მინდა მის გულს თაყვანი ვცე და ხელებს ვაკოცო! რა ძალა გაქვს, პოეზია!.. წყეული იყოს ის, ვისაც შენ არ წამხარ! ნეტავ თუ ვინმემ თქვას, რომ ეს ათ ფურცელზე დაწერილი პოემა არა სჯობდეს ზოგიერთ თორმეტრომიან რომანს?“<sup>1</sup>.

მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოების ღრმა მწუხარება გამოიწვია ნეკრასოვის უდროოდ დაღუპვამ (ის ყელის კიბოთი გარდაიცვალა 1877 წლის დეკემბერში) და თან წაიღო უამრავი განუხორციელებელი ჩანაფიქრი. ნეკრასოვის დაკრძალვა პეტერბურგში საყოველთაო სამგლოვიარო მიტინგად გადაიქცა. ნ. ნიკოლაძის გაზეთმა „ობზორმა“ 1878 წლის 10 იანვრის ნომერში მოათავსა აკაკი წერეთლის პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილი, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი ნეკრასოვის დაკრძალვის ცერემონიალი. ახალგაზრდა აკაკი საგანგებოდ უსვამდა ხაზს იმ მწუხარებას, რაც ნეკრასოვის სიკვდილმა გამოიწვია ხალხში. წერილში დაწვრილებით აღწერილია სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც დილის 9 საათზე დაიწყო და საღამომდე გაგრძელდა. ა. წერეთელს არა ყველა ორატორის სიტყვა მოსწონებია. მას მიაჩნდა, რომ გამოსვლებში მეტი ლირიზმი და სითბო უნდა ყოფილიყო. ნეკრასოვის გარდაცვალებას გამოეხმაურა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის „ივერია“. ამ გაზეთს აღრეც არა ერთხელ დაუბუკდავს წერილი ნეკრასოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ამჯერადაც გაზეთი უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდა ნეკრასოვის პოეტურ ნიჭსა და საყურნალო მოღვაწეობას, საგანგებოდ აღნიშნავდა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის გარდაუვალ მნიშვნელობას, რომელიც „დიდხანს იქნება რუსეთის მრავალი თაობის აღმზრდელი“.

მიუხედავად ნეკრასოვის ასე დიდი წარმატებისა, საქართველოში რევოლუციამდე არც ერთი მისი პოემა არ თარგმნილა, არც მისი თხზულებათა წიგნი გამოსულა ცალკე და ამაში, როგორც ჩანს, ცოტა ბრალი როდი მიუძღვის მეფის ცენზურას, რომელიც სასტიკად დევნიდა ნეკრასოვის ლექსებისა და პოემების გავრცელებას არარუსულ ენაზე. ქართველი მკითხველის ფართო მასა მშობლიურ ენაზე სათანადო სისრულით მხოლოდ ჩვენ დროს გაეცნო ნეკრასოვის უკვდავ მემკვიდრეობას. ახლა უკვე თარგმნილია და არაერთგზის ცალკე წიგნად არის გამოცემული პოეტის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები. მათი უბრალო ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

ყოველივე თქმულს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ნეკრასოვს საბჭოთა საქართველოში მკვლევართა და პოპულარიზატორთა დიდი ჯგუფი

<sup>1</sup> თხზულება გიორგი ქოჩოქიძისა (ვალდიდელისა), ქუთაისი, 1913, გვ. 193—194.

აღმოაჩნდა, ჩვენთვის ნათელი გახდება უწყვეტი კავშირი, რომელიც დამყარებულია რუსეთის დიდი პოეტის მემკვიდრეობასა და ქართველ მკითხველებს შორის. პოეტისადმი ჩვენში განსაკუთრებული პატივისცემის დასტურია აგრეთვე მისადმი მიძღვნილი ლექსებიც. პირველი პოეტური სტრიქონები, მიძღვნილი ნეკრასოვისადმი, დაიბეჭდა „ტიფლისკის ვესტნიკში“ 1878 წლის იანვარში. აქედან მოკიდებული ქართველ მგოსნებს არა ერთი პოეტური თხზულებით აღუნიშნავთ თავიანთი დამოკიდებულება ნეკრასოვის „მრისხანე“ მუზისადმი. მათ შორის საგანგებო აღნიშვნის ღირსია ვალერიან გაფრინდაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, ვარლამ რუხაძის ფაქიზი ლირიზმითა და მადლიერების გრძობით აღსავსე ლექსები.

ნ. ა. ნეკრასოვის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვაც კი ნათელყოფს მის პოეტურ თხზულებათა ინტერნაციონალურ ხასიათს, მწერლის შემოქმედების მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას. ამიტომ არის, რომ პოეტის ნაწარმოები მგოსნის სიცოცხლეშივე ითარგმნა ევროპისა და სხვა რეგიონში მაცხოვრებელ ხალხთა ენებზე, მათ შესახებ ყველა წამყვან ქვეყანაში დაიწერა ღრმა შინაარსის კრიტიკული წერილები და გამოკვლევები. ნეკრასოვის უკვდავებაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ ყოველ მის იუბილეს მოწინავე კაცობრობა საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს, ცხოველ ინტერესს იჩენს დიდი პოეტისა და მოქალაქის შემოქმედებისადმი. ჩვენი ხალხის საპირველობად უნდა ითქვას, რომ საქართველოს ამ საერთო პროცესში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია.

### რუსი ხალხის სიამაჲე

კაცობრიობის ისტორიას არცთუ ბევრი მოღვაწის სახელი შემოუნახავს, რომელსაც ტოლსტოის მსგავსად ესოდენ ღრმა კვალი დაეტოვებინოს ერის სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. გენიალური მწერალი ბავშვობიდანვე გაიმსჭვალა მშობლიური ხალხის სიყვარულით და, იყო რა ღრმად დარწმუნებული უკეთესი მერმისის დამკვიდრების გარდაუვალობაში, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე დაუღალავად ეძებდა გამოსავალს შექმნილ ტრაგიკულ მდგომარეობიდან. ამიტომაც მოიპოვა მან ერის სულიერი მესაიდუმლისა და მოჭირისუფლის, საყუთარი პოეტური თვალთახედვისა და ორიგინალურ ფილოსოფიურ შეხედულებათა გადმოცემის უბადლო ხელოვანის სანუკვარი სახელი. ამ მძიმე, მაგრამ სასახლო გზაზე მწერალმა საყოველთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა.

ტოლსტოი მრავალმხრივ დაჯილდოებული ბუმბერაზი მწერალი და მოაზროვნეა, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკული, საზოგადო-

ებრივი და აღმზრდელიობითი მოღვაწეობაც. დიდი მწერლის გენიალურ ნიჭს შეეძლო ადამიანის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მხარეს ჩასწვდომოდა, ამოეკითხა და შემოქმედებითს ლაბორატორიაში გაეტარებინა პიროვნების განვითარების ისეთი საკითხები, რომლებიც სხვებისათვის მიუწვდომელი რჩებოდა.

ტოლსტოის ლიტერატურული მემკვიდრეობა, თავისი საუკეთესო ნაწარმოებებით, ჯერ კიდევ გასულ საუკუნის 70-იან წლებში გასცდა საშობლოს ფარგლებს და მსოფლიო აღაირება მოიპოვა. ეს იმიტომ, რომ მწერლის ეპიკური ტილოების რეალიზმის ძალა უდიდეს ზეგავლენას ახდენს მკითხველზე, საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს დიდი მხატვრის პოეტური სამყარო, ვირტუოზული სრულყოფით ნაძერწი სახეები. ყველგან, სადაც კი პატივს სცემდნენ სიტყვაყაზმულ მწერლობას, უყვართ გაბედული აზრი და ვაჟკაცური შემართება, ტოლსტოის მემკვიდრეობისადმი იჩენენ საგანგებო ყურადღებას, მის სახელს მოკრძალებით იხსენიებენ.

საქართველო, მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ხალხის ყოველი ახალი თაობა დიდი ინტერესით აღიქვამდა და აღიქვამს გენიალური მხატვრის მარად ცოცხალ სახეებს. ქართველი მკითხველი, ისე როგორც მთელი ცივილიზებული სამყარო, დავალებულია ტოლსტოის ხალასი ნიჭით, მან მწერლის უკვდავ ტილოებში დაინახა საკაცობრიო იდეალები, რომლებსაც ქმედითი ძალა და აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავთ.

მკითხველი იმთავითვე აღტაცებული იყო გენიალური მოაზროვნის გაბედულებითა და შემოქმედებითი ფანტაზიის უსასრულობით. ის ხომ შეგნებულად იჭრებოდა პიროვნების სულიერ სამყაროში და საოცარი ძალით გადმოგვეცმდა მის შინაგან ტკივილებსა თუ აღფრთოვანებას, სინანულსა თუ სიხარულს. მწერალი ჩვენთვის ერთნაირად მახლობელი და გასაგებია. როდესაც გვაუწყებს ტრაგიკულს, ანდა ოპტიმისტურს, საკუთარი ბუნების სუსტსა თუ ძლიერ მხარეს. ჩვენ გვჭირა მისი გულწრფელობისა და ამიტომაც, მაშინაც კი, როდესაც დიდი მხატვარი გვთავაზობს საკამათო ან მიუღებელ კონცეფციას, გაგებით ვეკიდებით მის დასკვნებსა და დაკვირვებებს, ვეძებთ გადახვევის მიზეზებს.

ლ. ტოლსტოიმ ადამიანის ბუნებაში ამოიკითხა არა მხოლოდ სიკეთე და სიფაქიზე, ნათელი და ამაღლებული. იგი კარგად ხედავდა აგრეთვე პიროვნების სიმანხიჩესა და დაკნინებას, მორალურ გადაგვარებასა და ზნეობრივ გახრწნას. თუ პოზიტიური იმპულსები, ტოლსტოის რწმენით, ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა და ძირითადად განაპირობებს კიდევაც მის ხასიათს, ნეგატიური შტრიხები კი მრუწყსრიგებელი საზოგადოებრივი წყობით არის შექმნილი და ამ ორ საწყისებს შორის მუდმივი და შეუწყნარებელი ბრძოლა მიმდინარეობს. ეს ბრძოლა მით უფრო მწვავე ხასიათს იღებს, რაც უფრო მოუგვარებელია საზოგადოების

წევრებს შორის ურთიერთობა. ლ. ტოლსტოი დიდი ჰუმანიტია, მაგრამ, ამავე დროს, მოუსყიდველი რეალისტიცაა, რის გამო მის თხზულებებში კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლა ყოველთვის პირველის გამარჯვებით როდი მთავრდება.

ვ. ი. ლენინს არაერთგზის აღუნიშნავს ტოლსტოის გენიალობა, მისი შემოქმედების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. ლენინის აზრით, ლ. ტოლსტოის როგორც მხატვარსა და მოაზროვნეს ბადალი არ ჰყავდა თავის ეპოქის მსოფლიო ლიტერატურაში. ვინ შეიძლება ევროპაში დაუუყენოთ ტოლსტოის გვერდით, რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ უკითხია ლენინს გორკისათვის და თვითონვე უპასუხია. არაჲინო! <sup>1</sup>.

საყოველთაოდ ცნობილია ლ. ტოლსტოის მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრივი ხასიათი, რომელიც თავის დროზე შენიშნა და ამომწურავად დაახასიათა ლენინმა. აღსანიშნავია, რომ ტოლსტოის თეორიულ შეხედულებათა წინააღმდეგობებს დიდი ბელადი მაშინდელი ეპოქის განვითარებისათვის დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნევდა, ეს ეპოქა კი რელიეფურად აისახა დიდი მწერლის შემოქმედებაში.

„წინააღმდეგობანი ტოლსტოის შემოქმედებაში. — წერდა ვ. ი. ლენინი. — მარტო მისი პირადი აზროვნების წინააღმდეგობანი კი არ არის, არამედ იმ უაღრესად რთული, წინააღმდეგობრივი პირობების, სოციალური გავლენების, ისტორიული ტრადიციების ასახვაა, რომლებიც განსაზღვრავდნენ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასისა და სხვადასხვა ფენის ფსიქოლოგიას რეფორმის შემდეგ დროინდელ, მაგრამ რევოლუციამდელ ეპოქაში“ <sup>2</sup>.

ძირითადად პატრიარქალურ გლეხთა მოძრაობამ განაპირობა დიდი მწერლის ქმნილებათა შინაარსობრივი მხარე, რომელიც ისეთი მხატვრული ძალით არის გადმოცემული, რომ მკითხველს თვალნათლივ წარმოუდგება ხალხის ცხოვრების გრანდიოზული პანორამა. სწორედ ამას გულისხმობდა ვ. ი. ლენინი, როდესაც წერდა, ტოლსტოი გენიალური მხატვარია, „...რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბრალო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებიც“ <sup>3</sup>. ასეთ მწერლებზე უთქვამთ. რომ მათ მიმართ დრო უძლეურიაო. კითხულობთ ტოლსტოის და ძალაუწებურად გებადებთ კითხვა: როგორ მოხერხდა, რომ მწერალი, რომელსაც შენი თაობის ცხოვრებასთან არაფერი ჰქონდა საერთო, რომელიც დაიბადა და ჩამოყალიბდა სულ სხვა სოციალურ წრესა და ეპოქაში, ასე ღრმად ჩაწვდა შენ სულიერ ტკივილებს, შეძლო გაეშიფრა შენი ყოფის მამოძრავებელი იმპულსები, ეჩვენებინა ადამიანის განცდების სოციალურ-ეკონომიკური

<sup>1</sup> М. Г о р ь к и й. Пол. собр. соч. М., «Наука», 1974, с. 41.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 16, თბ., 1950, გვ. 404.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 15, გვ. 237.

და გენეტიკურ-ფსიქოლოგიური საწყისების ყველა მხარე! ტოლსტოის იდეალები გაკეთილშობილებენ, მოგიწოდებენ ამაღლებისაკენ, შთაბაგონებენ ხვალინდელი დღის ურყევ რწმენას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი მწერალი ხშირად უფრო მახლობელია, ვინემ შენი თანამედროვე. ამაში, უპირველეს ყოვლისა, მწერლის გენიალობა და თვით მხატვრული აზროვნების სპეციფიურობა ვლინდება. აქვე უნდა ითქვას. რომ ყოველივე აღნიშნული ტოლსტოის თხზულებებში რეალიზმის ისეთი ძალითაა გადმოცემული, რომ მკითხველს არაფერი რჩება საყოყმანო და საექვო, იგი ავტორთან ვერ კამათობს მაშინაც, როდესაც არ იზიარებს ცალკეული შემთხვევის მწერლისეულ ინტერპრეტაციას ჯა ეს იმიტომ, რომ ლ. ტოლსტოი თავის გმირებს მოქმედების ისეთ ტაპურ გარემოში აყენებს, სადაც თვით მკითხველიც სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. მწერალი თხრობის მთელ მანძილზე უწყვეტი ძაფითაა დაკავშირებული მკითხველთან, გრძნობს მის მაჯისცემას. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ტოლსტოი წინასწარ გვითანხმებდეს თავის სათქმელს და მხოლოდ ამის შემდეგ გადააქონდეს ქალაღზე.

შემოქმედებითი ჩანაფიქრის გასხვისების, ისე როგორც პერსონაჟთა გარდასახვის იშვიათი უნარი მწერლის უკვდავ ტილოებში ახალ, წმინდა ტოლსტოისებურ სამყაროს ქმნის, რომლის შთაგონების ძალა ნამდვილად რომ უსაზღვროა, ამის საწინდარი კი მის ხალხურობაშია. ამ სიტყვის ღრმა და ფართო გაგებით. უდიდესი მხატვარი მაშინაც მემბოხნება, როდესაც საზოგადოების განვითარების დინებას გარეგნულად მშვიდად გადმოგვცემს. ტოლსტოის შემოქმედების ეს თავისებურებაც პქონდა მხედველობაში ლენინს, როდესაც მან მწერალს „რევოლუციის სარკე“ უწოდა. ამასთან დაკავშირებით დიდი ბელადი მიუთითებდა, რომ ტოლსტოის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გადმოცემულია „...საოცრად ძლიერი, უშუალო და გულწრფელი პროტესტი საზოგადოებრივი სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგ... კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღმობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოსა და სახელმწიფო მმართველობის კომედიის მხილება, სიმდიდრის ზრდისა, ცივილიზაციის მონაპოვრებისა და მუშათა მასის სიღატაკის, ველურობისა და ტანჯვა-წვალების ზრდის წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა... უაღრესად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღბის ჩამოგლეჯა...“<sup>1</sup>

ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა აგრეთვე იმას, რომ „...ტოლსტოის... პირით ლაპარაკობდა რუსი ხალხის მთელი ის მრავალმილიონიანი მასა, რომელსაც უკვე სძულს თანამედროვე ცხოვრების ბატონ-პატრონი...“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 15, გვ. 237—238.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 16, გვ. 440.

ეს ბუმბერაზი ადამიანი, რომელსაც ხშირად „მიწიერ ღმერთს“ უწოდებდნენ, ცხოვრობდა უბრალოდ, უპრეტენზიოდ, რაც ბოლომდე გაუგებარი დარჩათ მისივე სოციალური ფენის წარმომადგენლებს. ტოლსტოი ყოველთვის ხალხში ტრიალებდა, მისგან იღებდა სიბრძნეს, რომელსაც საკუთარ შემოქმედებითს ლაბორატორიაში ატარებდა, ხეწნდა, მაღალ პოეტურ სრულყოფამდე აჰყავდა და შემდეგ ისევ ხალხს უბრუნებდა. ამ გზით შეერწყო იგი საკუთარ ხალხს. ამ გზით დაიმსახურა მან სახალხო მწერლის საპატიო წოდება, რომელსაც ერი მხოლოდ თავის საუკეთესო შვილებს ანიჭებს.

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი დაიბადა 1828 წლის 9 სექტემბერს იასნაია პოლიანაში. ტულის მახლობლად. მშობლები — ნიკოლოზ ილიას ძე ტოლსტოი და მარიამ ნიკოლოზის ასული ვოლკონსკაია დიდგვაროვან აზნაურთა წრეს ეკუთვნოდნენ. მომავალ მწერალს დედა ადრე გარდაეცვალა, იგი მამის 2 წლის არ იყო, 1837 წელს მამაც მოულოდნელად დაეღუპა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ლ. ტოლსტოის დედის შორეული ნათესავი ტ. პ. ერგოლსკაია ზრდიდა. 1841 წლამდე ლ. ტოლსტოი იასნაია პოლიანაში იზრდებოდა, შემდეგ კი ოჯახი საცხოვრებლად ყაზანში გადავიდა, რომელიც მოსკოვისა და პეტერბურგის შემდეგ რუსეთის მესამე საუნივერსიტეტო ქალაქი იყო. ყაზანში დაიწყო მომავალი მწერლის დამოუკიდებელი ცხოვრება. აქ იგი კერძო მასწავლებლებთან ემზადებოდა უნივერსიტეტში შესასვლელად, ხოლო 1844 წლის სექტემბერში ტოლსტოი ჩარიცხეს უნივერსიტეტის აღმოსავლური განყოფილების ფილოსოფიის ფაკულტეტზე, თურქულ-არაბულ ენათა სპეციალობის განხრით.

უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ ახალგაზრდა ტოლსტოი მისი წრისათვის დამახასიათებელ დარდიმანდულ ყოფას მიეცა და წლის ბოლოს საკურსო გამოცდაც ვერ ჩააბარა. ამიტომ იგი იძულებული გახდა იურიდიულ ფაკულტეტზე გადასულიყო. ამ ფაკულტეტზე ყოფნისას ტოლსტოიმ სწავლას უფრო მონდომებით მოჰკიდა ხელი, მაგრამ უნივერსიტეტის სრული კურსი მაინც ვერ დაამთავრა, რადგანაც მასში მთელი ძალით გაიღვიძა დამოუკიდებელ სულიერ ცხოვრებისადმი მიდრეკილებამ. მომავალმა მწერალმა მიზნად დაისახა საკუთარი შეხედულება ჩამოყალიბებინა ფილოსოფიის ზოგადსაკაცობრიო და მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე. საბოლოოდ, 1847 წელს, დაანება თავი უნივერსიტეტს და შეუდგა თვითგანათლების გზით მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა ათვისებას. ტოლსტოი იმთავითვე ისწრაფოდა ჩაწვდომოდა ადამიანის ცხოვრების აზრს, გაეგო საზოგადოების მოძრაობის წარმმართველი კანონები, ამოეცნო პიროვნებისა და ბუნების ურთიერთმიმართების საიდუმლოება. მართალია, ტოლსტოიმ დასახული გრანდიოზული პროგრამიდან ბევრი რამ ვერ შეასრულა, მაგრამ მწვავე საკაცობრიო პრობლემებთან თვით შეხებაც კი საკმაოდ შედეგიანი აღ-

მოხნდა. ასე გამოვიდა იგი იმ დიდ სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე, რომელიც ხასიათდება დაუსრულებელი ძიებით, მწვავე განცდებით, რეალიზირებული და ხორცშეუსხმელი რომანტიკული ოცნებებით. რთული და წინააღმდეგობრივი, მაგრამ ყოველთვის შინაარსიანი და საინტერესო იყო ამ ბუმბერაზი ადამიანის მთელი ცხოვრება.

უნივერსიტეტს რომ თავი დაანება, ტოლსტოი იასნაია პოლიანაში დაბრუნდა, დროგამოშვებით კი მოსკოვში ცხოვრობდა. საკუთარ მამულში დაბრუნებული მომავალი მწერალი, ახალ, უფრო გრანდიოზულ გეგმებს ადგენს, თავს უყრის დიდძალ ლიტერატურას ფილოსოფიის, ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ემზადება სამაგისტრო გამოცდების ჩასაბარებლად. ერთ ხანს გატაცებული იყო სამეურნეო საქმიანობითაც, უნდოდა ყმა გლეხების ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება. ახლა, როდესაც ვეცნობით მომავალი მწერლის იმდროინდელ დღიურებს, აშკარა ხდება, რომ ახალგაზრდა მოაზროვნე ღრმად იყო დარწმუნებული, თუ რაოდენ საჭიროა ფუნდამენტური ცოდნა მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რომ თვითონ გამოიმუშაეო, შემდეგ კი მოიპოვო საკუთარ შეხედულებათა გამოთქმის უფლება.

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის უაღრესად შინაარსიანი და ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებების შექმნით როდი ამოიწურება. გენიალური მწერალი დიდ დროსა და ენერჯიას ხარჯავდა მომავალ თაობათა აღზრდაზე. ტოლსტოისათვის პედაგოგიური მოღვაწეობა, აღზრდის თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების დამუშავება ყოველთვის პირველხარისხოვანი ამოცანა იყო. უფრო მეტიც, დიდი მწერლის აზრით, მხატვრულ ტილოებში გატარებული რღევები კონკრეტულ ხორცშეუსხმას თაობათა აღზრდის პროცესში პოულობს, მწერლისათვის უმთავრესია თვით მხატვრულ ნაწარმოებთა აღმზრდელობითი მხარე. ტოლსტოის პედაგოგიური მოღვაწეობა დიდი პატრიოტის მშობლიური ხალხის ხვალისდელ დღეზე ზრუნვის ფასდაუდებელი მაგალითია.

ტოლსტოის პედაგოგიკური მოძღვრებიდან პროგრესულ შეხედულებათა გამოცალკევება მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ როდესაც ამას მოვახერხებთ, ადვილად ვრწმუნდებით, თუ რაოდენ ძვირფას მარგალიტებთან გვაქვს საქმე. დიდი მწერლის მოსაზრებები აღზრდის საკითხებზე მიმოფანტულია მის მრავალრიცხოვან სპეციალურ შრომებსა და პირად ბარათებში, მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში. ერთად თავმოყრილი ეს მოსაზრებები ქმნის სრულიად გამოკვეთილ დიდაქტიკურ მოძღვრებას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია. განა შეიძლება გვერდი აუაროს პედაგოგიკის ისტორიის მემატიანემ ლევ ტოლსტოის ისეთ მტკიცებებს, როგორიცაა სწავლის დროს ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა, ინფორმაციის შეგნებული ათვისება, მოსწავ-



ლის პიროვნებისადმი ნდობითა და სიყვარულით დამოკიდებულება, სწავლის პროცესში სრული თავისუფალი ურთიერთობის დამყარება, როგორც მსმენელებში, ასევე მოწაფეებსა და მასწავლებლებს შორის, მასწავლებლის აქტიური, წარმმართველი როლის აღიარება და მრავალი სხვა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ბურჟუაზიული აღზრდის ლ. ტოლსტოისეული უღმობელი კრიტიკა; მან თავიდანვე გაილაშქრა მეფის რუსეთის სკოლებში დამკვიდრებული დესპოტური კანონების წინააღმდეგ, მოითხოვდა სახალხო სკოლების დაარსებას, რომლის მართვა-გამგებლობა თვით ხალხის ხელში უნდა ყოფილიყო. ერთი სიტყვით, დიდი მწერლისა და მოაზროვნის პედაგოგიური მოძღვრების ბევრი დებულება გაჰყვება კაცობრიობას და დადებით როლს შეასრულებს თაობათა სწავლა-აღზრდის ისტორიულ საქმეში.

ლევ ტოლსტოი გლახთა შვილების სწავლით ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დაინტერესდა. პირველად მასწავლებლობა მან 1849 წელს დაიწყო იასნაია პოლიანას დაწყებით სკოლაში. მაგრამ აღზრდის საკითხებით იგი გატაცებულია და პედაგოგიკის თეორიული პრობლემების დამუშავებას მთელი სერიოზულობით ჰკიდებს ხელს 50-იანი წლების ბოლოს. ამ დროისათვის მან მოასწრო საზღვარგარეთ ორჯნის მოგზაურობა, რომლის დროს გაეცნო ევროპის იმ სკოლების გამოცდილებას, სადაც ატარებდნენ „თავისუფალი აღზრდის“ პრინციპებს, ჰქონდა შეხვედრები გამოჩენილ პედაგოგებთან. მონდომებით სწავლობდა სპეციალურ ლიტერატურას.

სპეციალურ ლიტერატურაში დიდი მწერლის პედაგოგიურ მოღვაწეობას სამ პერიოდად ყოფენ. პირველი პერიოდია 1859—1862 წლები. ამ წლებში ლ. ტოლსტოი იასნაია პოლიანას გლახთა შვილებისათვის ხსნის საკუთარ სკოლას, ეწევა ნაყოფიერ პრაქტიკულ მოღვაწეობას, აარსებს სპეციალურ პედაგოგიურ ჟურნალს „იასნაია პოლიანას“, რომლის 12 ნომერი გამოვიდა.

ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა იასნაია პოლიანას სკოლის ანგარიშები თეორიული განზოგადებებით. რომელთაც თვითონ ტოლსტოის თხოვნით კრიტიკულად აფასებდა ჩერნიშევსკი და „სოვრემენიკში“ გამოაქვეყნა სპეციალური რეცენზია. ცხადია, რევოლუციონერ-დემოკრატიც ყველაფერი როდი მოსწონდა ტოლსტოის თეორიული მტკიცებებიდან, მაგრამ ის მაღალ შეფასებას აძლევდა არსებული სკოლების მანკიერი მხარის დაუნდობელ კრიტიკას. პირველ პერიოდში გამოქვეყნდა ტოლსტოის სხვა თეორიული შრომებიც სწავლა-აღზრდის საკითხებზე. მათ შორის ისეთი პრობლემური ხასიათის წერილებიც, როგორიცაა „სახალხო განათლებაზე“, „ხალხში სკოლების თავისუფალ წარმოშობასა და მათ განვითარებაზე“, „წერა-კითხვის სწავლების მეთოდებზე“ და სხვ.

მეორე პერიოდად ითვლება 1870—1876 წლები, როდესაც მწერალმა

შექმნა „ანბანი“, „საკითხავი წიგნი“ და სხვა სახელმძღვანელოები დაწყებითი სკოლებისათვის. სახელმძღვანელოების შექმნას ტოლსტოი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, თვითონ წერდა მოთხრობებსა და მხატვრულ ნარკვევებს, თვითონვე ამუშავებდა ლეგენდებსა და თქმულებებს. ტოლსტოის მიერ შექმნილი სასწავლო წიგნების პოპულარობაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ „ახალი ანბანი“ 30-ჯერ გამოიცა. ამ პერიოდში დიდი მწერალი კვლავაც განაგრძობს მასწავლებლობას, აღმზრდელებთან ხშირად ატარებს მეთოდოლოგიური ხას-ათის საუბრებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს სახალხო განათლების ორგანიზაციების საქმიანობაში...

მესამე პერიოდი მწერლის მოღვაწეობა 80-იან წლებიდან დაწყებული სიცოცხლის ბოლომდე. ამ წლებში ტოლსტოის მსოფლმხედველობა სუბიექტურ იდეალიზმისაკენ იხრება, ამას კი არ შეიძლებოდა თავისი უარყოფითი ზეგავლენა არ მოეხდინა მწერლის პედაგოგიურ საქმიანობაზე. მიუხედავად ამისა, კვლავაც ძლიერია ტოლსტოის კრიტიკა, რომელიც ბოლომდე აშიშვლებს ბურჟუაზიული აღზრდის სიმანქინჯეს, თვით საზოგადოების ზნეობრივ დაკნინებას. მესამე პერიოდში ტოლსტოი აქტიურად თანამშრომლობდა გამომცემლობა „პოსრედნიკთან“, რომლის მეოხებით თავის პედაგოგიკურ შეხედულებებს ფართო პროპაგანდას უწევდა. 1906—1908 წლებში ტოლსტოიმ კვლავ აიყვანა მოწაფეები, რომლებთან მეცადინეობისას ამოწმებდა საკუთარი დიდაქტიკური მოძღვრების ქმედითობას. ამ წლებში იგი ნაყოფიერად მუშაობდა პედაგოგიის თეორიულ საკითხებზე, გამოაქვეყნა მეთოდოლოგიური ხასიათის წერილები. დიდ მწერალს ბოლომდე არ მიუტოვებია სკოლა და აღსაზრდელები, იგი მოწაფეების ხშირი სტუმარი იყო.

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის პედაგოგიკურ შეხედულებათა ყველაზე პროგრესული დებულებები ძირითადად 60—70-იან წლებში ჩამოყალიბდა, იმ დროს, როდესაც მოწინავე საზოგადოება ძველი რუსეთის შაბლონების წინააღმდეგ გამოდიოდა. მწერალი მაშინ ახლოს იდგა რევოლუციონერ-დემოკრატებთან, მათთან ერთად ეწეოდა ჰაპანს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

1859 წელს ტოლსტოიმ მეორედ იმოგზაურა საზღვარგარეთ. 9 თვეზე მეტი დაჰყო მან ევროპის ქვეყნებში. ამ მოგზაურობის დროს ტოლსტოი ძირითადად დაინტერესებული იყო გერმანიისა და საფრანგეთის, იტალიისა და ინგლისის, შვეიცარიისა და ბელგიის სკოლებში აღზრდის საკითხებით. ხშირად ესწრებოდა გაკვეთილებს, განსაკუთრებით გერმანულ სკოლებში, ისმენდა ლექციებს, ჰქონდა შეხვედრები გამოჩენილ პედაგოგებთან, პირადად გაიცნო და მოისმინა დიკენსის გამოსვლები აღზრდის თეორიულ საკითხებზე. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მან გამოაქვეყნა პედაგოგიკური ხასიათის წერილები, სადაც მომაკვდინებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებული სწავლების სქოლასტიკური მეთოდი. განსაკუთრებით ძლიერი

იყო გერმანელ პედაგოგთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის მხილება. ტოლსტოის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია ბავშვის პიროვნების სრულმა იგნორირებამ, მისი ბუნებისა და ხასიათის მსხვერველ ნაადრევი და ზომაზე მეტი მეცნიერული ინფორმაციის სისტემატური მიწოდებით, რაც ხელს უშლის ბავშვის თანდაყოლილი ჯანსაღი თვისებების სრულ გამოვლენას. ასეთი აღზრდის შედეგად, ლ. ტოლსტოის სამართლიანი მტკიცებით, ყალიბდებოდა არა მოქალაქე მალაღობრივი მორალური თვისებებით, არამედ ცბიერი და ორპირი, მატყუარა და პირმოთხე ჩინოვნიკი, რომელიც ასე სჭირდებოდა კაპიტალისტურ სახელმწიფო მანქანას. პერბერტის აღზრდის თეორიის მიხედვით სკოლამ „კაცობრიობის სული უნდა გატეხოს, ისე როგორც ამას აკეთებს ფიზიკური ვარჯიში სხეულის მიმართ“. ცხადია, ტოლსტოი ასეთ შეხედულებას ვერ გაიზიარებდა. 60-იან წლებში ტოლსტოიმ შეისწავლა ამერიკულ და ევროპულ სკოლებში მიღებული სახელმძღვანელოები და მათი უემპაოფილო დარჩა, მწერალს განსაკუთრებით არ მოეწონა სახელმძღვანელოთა მშრალი დიდაქტიზმი. სწავლის პროცესისადმი ფორმალური მიდგომა. დიდი მწერალი ასევე დაუნდობელი იყო რუსული სკოლების მიმართ, სადაც იგრძნობოდა ევროპული პედაგოგიის გამხრწნელი ზეგავლენა. ტოლსტოი ამტკიცებდა, რომ რუსეთს სჭირდება საკუთარი პედაგოგიკური მოძღვრება, რომელიც სხვა მოთხოვნებთან ერთად გაითვალისწინებს რუსული ეროვნული ხასიათის თავისებურებას, მშრომელი მასების ტრადიციებსა და ჩვევებს, რის შედეგადაც აღზრდება მალაღობრივი თვისებებით აღჭურვილი პატრიოტი.

ამავე პეროდში ტოლსტოი საგანგებო ყურადღებას უთმობდა სახალხო სკოლების შექმნის ორგანიზაციას. მან პირველმა დააყენა საკითხი რუსეთში საერთო სახალხო განათლების შემოღების თაობაზე, უკუთავდო ზურჯუაზიული თეორია ყმა გლეხთა შვილების უუნარობის შესახებ. დიდი მწერალი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით სრულიად დამაჯერებლად ამტკიცებდა საწინააღმდეგოს, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხალხს სწყურია ცოდნის მიღება და საზოგადოებამ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესს. მწერალი მოითხოვდა სკოლების განთავსუფლებას მეფის ხელისუფლებისაგან, მათი დამოუკიდებლობის აღიარებას. ტოლსტოი-პედაგოგის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო სასოფლო სკოლები, დიდი პუმანისტის მოთხოვნით, რუსეთის ყოველ სოფელს ერთი დაწყებითი სკოლა მაინც უნდა ჰქონოდა.

ტოლსტოის პედაგოგიკურ წერილებში მკითხველს ხიბლავს ბავშვის ბუნების სიღრმისეული ცოდნა და ანალიზის იშვიათი უნარი. მეტად საინტერესოა ლ. ტოლსტოის შეხედულებები დიდაქტიკის კონკრეტულ საკითხებზედაც. კერძოდ, ეან-ეაკ-რუსოსაგან განსხვავებით მას ბავშვი „დაუწერავ დაფად“ როდი მიაჩნდა. პირიქით, მწერალი, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, ზომაზე

მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ბავშვის თანდაყოლილ თვისებებს. უდავოდ ანგარიშგასაწევია ტოლსტოის მოთხოვნა, სწავლის დაწყებისას ინდივიდუალურ თავისებურებასთან ერთად გათვალისწინებულ იქნეს მოწაფის მიერ უკვე დაგროვილი ინფორმაცია, სწავლის პროცესის წარმართვა მარტივიდან რთულისაკენ და მრავალი სხვა. ბოლო წლების პედაგოგიკური შრომებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტოლსტოის განხაურებულ წერილს „ზოგადი შენიშვნები მასწავლებლისათვის“, რომლის ცალკეულ დებულებებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

მეტად საინტერესოა ტოლსტოის დღიურები, რომლებსაც მწერალი სიყმაწვილიდან დაწყებული სიცოცხლის ბოლომდე თითქმის შეუწყვეტლივ წერდა. დიდი მწერლის დღიურები დღესაც შეუცვლელი დოკუმენტია მისი მსოფლმხედველობის ზრდა-ჩამოყალიბების დასადგენად. ამ ჩანაწერებიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ ფართო იყო ტოლსტოის ინტერესი ჯერ კიდევ ყმაწვილობაში, რა იზიდავდა მწერალს ცხოვრების სხვადასხვა დროს, რა ამოძრავებდა და ასულდგმულებდა ახალგაზრდასა თუ უკვე ხანდაზმულს. დღიურებს წითელ ზოლად გასდევს ტოლსტოისათვის დამახასიათებელი პირდაპირობა. მათში ძნელი არ არის ამოიკითხო აგრეთვე რუსეთის ისტორიის საინტერესო ეპიზოდები.

1850 წლის ბოლოს ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი მოსკოვს მიემგზავრება. 1851 წლის გაზაფხულზე კავკასიიდან იასნაია პოლიანაში ჩავიდა მწერლის უფროსი ძმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი. კავკასიაში იგი ოფიცრად მსახურობდა. მოსკოვიდან იასნაია პოლიანაში დაბრუნდა ტოლსტოიც. ძმები შეთანხმდნენ და იმავე წლის აპრილის ბოლოს ორივე კავკასიაში გამოემგზავრნენ. ერთ ხანს ისინი თერგის ოლქის სტანიცა სტაროგლადკოვსკაიაში ცხოვრობდნენ და ლევ ტოლსტოი სამხედრო სამსახურში შესასვლელად ემზადებოდა. 1852 წლის 1 ნოემბერს იგი ძმასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა, რათა გამოცდები ჩაებარებინა, რომ ოფიცრის თანამდებობა მიეღო. თითქმის ორთვენახევარი დაპყრო ტოლსტოიმ თბილისში. აქ გატარებულმა დღეებმა უდიდესი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. თბილისში დაიწერა ტოლსტოის პირველი რომანი „ბავშვობა“, რომლის შემდეგ მან თავი ნამდვილ მწერლად იგრძნო. თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლ. ტოლსტოი კავკასიაში, კერძოდ, თბილისში გატარებულ დღეებს, კარგად ჩანს მის 1852 წლის 12 იანვრის ბარათიდან, რომელიც თავის გამზრდელ ტ. ერგოლსკაიას გაუგზავნა. მე ვთვლი, ვკითხულობთ წერილში, რომ ჩემში მოხდა დიდი ზნეობრივი ცვლილება... ვგრძნობ, რომ აქ უკეთესი გავხდი. ნათქვამი კიდევაც ცოტაა, რადგან მე იმდენად ცუდი ვიყავიო.

თავის ამალღებულ შემოქმედებით განწყობილებაზე, რომელიც ახალგაზრდა ტოლსტოის აქ დაეუფლა, იგი წერდა ჯერ კიდევ 1851 წლის 12 ნოემბერს ტ. ერგოლსკაიასადმი თბილისიდან გაგზავნილ ბარათში: „გახსოვთ, კეთილო დეიდავ, ოდესღაც თქვენ მირჩევდით დამეწერა რო-

მანი, აი, უკვე ვასრულებ თქვენს რჩევას — ჩემი საქმიანობა, რომელზე-  
დაც ვწერთ — ლიტერატურულია. არ ვიცი, ოდესმე იხილავს კი დღის  
სინათლეს ის, რასაც ვწერ, მაგრამ ეს სამუშაო მიტაცებს, ამავე დროს,  
ისე დიდი ხანია შეპყრობილი ვარ ჩანაფიქრით, რომ თავის დანებება არ  
მინდა“.

გავიდა ერთი წელი და ტოლსტოი თბილისში გატარებულ პერიოდზე,  
აქ მიღებულ შთაბეჭდილებათა მნიშვნელობაზე თავის დღიურში ასე  
წერდა: „უკვე გუშინ საღამოს ვიგრძენი იმ განწყობილების ნამდვილი  
სარგებლობა, რომლის ზეგავლენის ქვეშ ვიმყოფებოდი თბილისსა და  
ჰიატიგორსკში“.

საქართველოს დედაქალაქმა ახალგაზრდა მწერალზე წარუშლელი  
შთაბეჭდილება მოახდინა, მას იმდენად მოეწონა თბილისი, რომ თუ  
სამხედრო სამსახურში ვერ მოეწყობოდა. მხოლოდ აქ აპირებდა სამო-  
ქალაქო საქმიანობის დაწყებას. „თბილისი — წერდა ლ. ტოლსტოი 1851  
წლის 12 ნოემბერს, — ცივილიზებული ქალაქია, ბაძავს პეტერბურგს,  
ზოგჯერ კი წარმატებითაც, საზოგადოება აქ მრავალრიცხოვანია და რჩე-  
ული, არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლებითაც ვსარ-  
გებლობ, რამდენადაც ამის საშუალებას მაძლევს ჩემი მცირედი სახსრე-  
ბი“.

საინტერესოა ლ. ტოლსტოის სხვა აღიარებაც. რომელიც ეხმაურება  
ბ. ბელინსკის დასკვნებს ა. პუშკინისა და მ. ლერმონტოვის პოეზიის  
სრულყოფაში კავკასიის როლის შესახებ: „არ ვიცი, — წერდა იგი თბი-  
ლისიდან გაგზავნილ წერილში, — არის თუ არა კავკასია შთაგონების  
ქვეყანა, მაგრამ ეკვვარეშეა, რომ იგი სიყვარულის ქვეყანაა...“

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ქართულ ინტელიგენტებს შორის  
მრავალრიცხოვანი ნაცნობები ჰყავდა, ბევრ მათგანთან მწერალს ბო-  
ლომდე არ გაუწყვეტია ახლო ურთიერთობა. მათ შორის იყვნენ: ი. ნაკა-  
შიძე, ს. ესაძე, ნ. ნაკაშიძე და სხვები.

ცხადია, ტოლსტოის ინტერესი საქართველოს წარსულსა და აწმყო-  
სადმი უნდა ასახულიყო მის ნაწარმოებებში. ასედაც მოხდა. რომ არა-  
ფერი ვთქვათ კავკასიურ მოთხრობათა ციკლზე, ისე როგორც მდიდარ  
პუბლიცისტურ მემკვიდრეობაზე, საკმარისია დავასახელოთ უკვე მსოფ-  
ლიოდ აღიარებული მწერლის ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობა რო-  
მანზე „ჰაჯი მურატი“, რომელიც, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დარჩა.  
რომანი ძირითადად საქართველოში და საერთოდ კავკასიაში მიღებულ  
შთაბეჭდილებებზეა აგებული, დიდი როლი ითამაშა აგრეთვე თბილისი-  
დან გაგზავნილმა დოკუმენტებმა. ტოლსტოი ბოლომდე რჩება ქარ-  
თველი ხალხის ერთგული, იგი ყოველთვის მხარს უჭერდა ქართველე-  
ბის პროგრესულ წამოწყებას. 900-იან წლებში, როდესაც დასავლეთ სა-  
ქართველოში, კერძოდ, გურიაში გახშირდა თვითმპყრობელობის წინა-  
აღმდეგ გლეხების გამოსვლები, ტოლსტოიმ ამ მოვლენებისადმი საგან-

გებო ინტერესი გამოიჩინა, მას მიაჩნდა, რომ გურიაში ხდებოდა მისი იდეების ხორცშესხმა.

1852 წელს თბილისში სამხედრო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ლ. ტოლსტოი იუნკერად გაამწესეს მეოცე საარტილერიო ბრიგადაში, რომელიც სტანიცა სტაროგლადკოვსკიაში იდგა. მწერალი აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლებში ჩრდილოეთ კავკასიასა და ყირიმში. თავი ისახელა როგორც მამაცმა ოფიცერმა. საზოგადოებას არ დარჩენია შეუძმნველი ტოლსტოის უარყოფითი დამოკიდებულება ოფიცერთა კარიერიზმისადმი, რომელიც სწორად მათ მოჩვენებით გმირობაში ვლინდებოდა. გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა ქედმაღლობასა და ამპარტავნობას მწერალმა რიგითი მეზობლების მასიური გმირობა დაუპირისპირა, ნამდვილი პატრიოტები სწორედ ისინი იყვნენ. რაც მთავარია, ბრძოლებში უშუალო მონაწილეობამ ლ. ტოლსტოის მდიდარი მასალა მისცა, რომელსაც იგი უხვად გამოიყენებს „სამხედრო“ მოთხრობების შექმნის დროს. ეპიკური რომანი „...ში და მშვიდობის“ კოლორიტული ბატალური სურათების სათავე ლ. ტოლსტოის იმ გამოცდილებებში უნდა ვეძიოთ, რომელიც მან ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომებში მონაწილეობით რომ მიიღო. აქვე უნდა ითქვას. რომ საბრძოლო გამოცდილებამ ლ. ტოლსტოი ომის სასტიკ დაგმობამდე მიიყვანა. იგი მას შშრომელთა ტრაგედიად მიაჩნდა, რომელსაც რუსი ხალხისათვის გარდა უბედურებისა სხვა არაფერი მოჰქონდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ლ. ტოლსტოი ომის წამოწყებაში ბრალს სდებდა გაბატონებულ კლასს მეფის მეთაურობით. მწერალი მოურიდებლად ამხელდა მათ მიზნებს, რომლებიც ნაკარანახები იყო ეგონიზმითა და შურისგების ვიწრო გრძნობით. მწერალი, განსხვავებით თვითმპყრობელობის ბურჯებისაგან, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე ომს კოლონიურად მიიჩნევდა და მხარს უჭერდა ჩაგრულ ტომებს.

არმიის რიგებში ლ. ტოლსტოი 1855 წლის შემოდგომამდე დარჩა, იგი ამ დროისათვის უკვე აღიარებული მწერალი გახდა და სამხედრო კარიერა, რომელმაც ტოლსტოი ერთხანს გაიტაცა, ახლა მძიმე ტვირთად დააწვა. ამიტომ იყო, რომ სამხედრო სამსახურიდან გადადგა და პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც მას დიდი ინტერესით მოელოდნენ. სწორედ ამ ქალაქში, ნეკრასოვისა და ჩერნიშევსკის ჟურნალ „სოვრემენიკში“ დაიბეჭდა 1852 წელს ლ. ტოლსტოის კავკასიიდან გაგზავნილი პირველი რომანი „ბავშვობა“, რომელმაც დასაბამი მისცა გენიალური მხატვრის სამწერლო მოღვაწეობას. პირველმა რომანმა ლევ ტოლსტოის დამსახურებული აღიარება მოუტანა.

ავტობიოგრაფიულ ტრილოგიაზე („ბავშვობა“, „ყრმობა“, „სიკვამლე“) ტოლსტოი ძირითადად კავკასიაში ყოფნის დროს მუშაობდა. აქედან იყო გაგზავნილი ჟურნალ „სოვრემენიკში“ მეორე რომანიც. სამივე რომანს აერთიანებს ცენტრალური პერსონაჟის ნიკოლენკა ირტენიოვის

მიმზიდველი სახე, მისი შანაგანი ბუნების ევოლუცია ძირითადად მწერლის პირადი ცხოვრებიდან აღებული ეპიზოდებით არის ნაქარნახები. ამ რომანში ჩვენ წინ გადაიშლება თვითონ ტოლსტოის ძიებით აღსავსე გზა. ტრილოგიიდან ნათლად ჩანს, რომ მომავალი მწერლის ინტერესთა სფერო თავიდანვე განსხვავებული იყო და სცილდებოდა თანატოლთა მისწრაფებებს.

ნიკოლენკა ირტენიოვს ადრე გაუჩნდა სურვილი ცხოვრების არსს ჩაწვდომოდა. სულიერი ტკივილები, რომელიც ავტორს გმირის ზრდისა და ჩამოყალიბების მთავარ იმპულსებად გაუაზრებია, ირტენიოვის განცდების თანამოზიარედ გვხდის, ბევრ რამეზე გვაფიქრებს და გვადლევენს. მკითხველს ხიბლავს ჭაბუკის დაკვირვებისა და განზოგადების იშვიათი უნარი, მისი, თუმცა ზოგჯერ ბავშვური, მაგრამ ყოველთვის გულწრფელი მსჯელობა. ამავე დროს, მომაჯადოებელია ახალგაზრდის ნათელი სულიერი სამყარო, რომლის რომანტიკული ილუზიები მკაცრ სინამდვილესთან პირველსავე შეხების დროს იმსხვერვეა. მწერალი დამაჯერებლად გადმოგვცემს პერსონაჟის სულიერი მოძრაობის ოდნავ შესამჩნევ ნიუანსსაც კი.

აღსანიშნავია ტოლსტოის „სამხედრო“ მოთხრობები (ასეთ ნაწარმოებთა პირველი ციკლი ცნობილია „კავკასიური მოთხრობების“ სახელწოდებით). მასში გაერთიანებულია მწერლის ისეთი თხზულებები, როგორცაა: „კახაკები“, „თავდასხმა“, „ტყის კაფეა“ და სხვები, რომლებიც „სევასტოპოლის მოთხრობების“ მსგავსად, ძირითადად მწერლის უშუალო დაკვირვებისა და განცდების მხატვრული გააზრებაა. ტოლსტოი ზრუნავდა მაქსიმალურად შეენარჩუნებინა თხრობის ბუნებრივი ქარგა და ამით ნაწარმოებისათვის დოკუმენტურობის ღირსება შეემატებინა.

„კავკასიურ მოთხრობებში“ ავტორს, პირველ რიგში, გულადობის არსის გაგება აინტერესებს, მისი მიზანია გაშიფროს გმირობისა და თავდადების გამომწვევი მიზეზები. აქვეა დასმული, ტოლსტოის მიერ გაზიარებული, ყან-ყაყ რუსოს „გაუბრალობის“ პრობლემა („კახაკები“).

ციკლში „სევასტოპოლის დაცვა“ ტოლსტოის დემოკრატიზმმა ახალ მაღალ ეტაპს მიაღწია. მწერალმა სევასტოპოლისათვის თავდადებული ბრძოლების ნამდვილ გმირად რუსი ხალხი წარმოგვიდგინა, რომლის შვილებს ჯარისკაცთა ფარაჯები გადაუცვამთ და მედგრად იბრძვიან სამშობლოს დასაცავად.

დამახასიათებელია, რომ ამ ციკლის მოთხრობებში პროტესტანტული განწყობილება, ისე როგორც თხრობის ექსპრესიულობა თანდათან იზრდება და ბოლო, მესამე ნაწილში დრამატული ხდება. დიდია მოთხრობებში ჩაქსოვილი მამხილებელი ძალა. მწერალი მოურიდებლად ჩამოხდის ნიღაბს გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს, რომლებიც

ჩინ-მედლებისათვის იბრძოდნენ და ჯარისკაცების გმირული თავგანწირვის მიუხედავად ომი მიანიც წააგეს.

პეტერბურგში ტოლსტოი უკომპრომისო ბრძოლის მოწმე გახდა, რომელიც ლიბერალებსა და რევოლუციონერ-დემოკრატებს შორის მიმდინარეობდა, ბრძოლა გაჩაღდა თვითონ ტოლსტოის გადაბირებისათვისაც, მაგრამ მწერალი არც ერთ ბანაკს არ მიმხრობია და ცდილობდა საკუთარი პოზიცია შეენარჩუნებინა.

1856 წელს ტოლსტოიმ დაამთავრა მუშაობა რომანზე „მემამულის დილა“, რომლის წერაც კავკასიაში ყოფნისას დაიწყო. ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცა ნ. ჩერნიშევსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ მწერალმა დასძლია სოციალური ბარიერი და მიაღწია ყმა გლეხთა ბუნების სრულყოფილ გახსნას, წარმოაჩინა მათი სულიერი სამყარო. ძირითადი დასკვნა, რომელსაც მწერალი გვთავაზობს რომანში — ეს არის მემამულეებსა და ყმებს შორის გადაუღალავი უფსკრულის არსებობა. გლეხები არ მიიღებენ მემამულეების ლიბერალურ წყალობებს. ამან კი საგონებელში ჩააგდო რომანის მთავარი გმირი ნეხლიუდოვი. იგი ცდილობს გაარკვიოს, თუ რა არის ამის მიზეზი, სად არის შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი.

რომანში ტოლსტოის რეალიზმის ძალა ძირითადად იმაში გამოვლინდა, რომ ავტორი არ გვთავაზობდა მზამზარეულ რეცეპტს. შესაძლებელია მწერალს ჰქონდა მისთვის სასურველი დასკვნა, მაგრამ რაკი ის არ გამოჰდინარეობდა მოვლენების განვითარების შინაგანი ლოგიკიდან, არ გაუჟღავნებია. ასეთი მტკიცების საშუალებას სწორედ ის იძლევა, რომ ნეხლიუდოვის მიერ დასმულა კითხვა ღიად რჩება, მას ვერ გაუგია, რატომ არ უნდათ გლეხებს ცალმხრივი დათმობები. ნეხლიუდოვმა ყმების გული ვერც საჩუქრებით მოიგო. აღსანიშნავია, რომ ყმების მხატვრული სახეების შექმნით ტოლსტოიმ რუსულ ლიტერატურაში ახალი ეტაპი დაიწყო. თუმცა არა ბოლომდე, მაგრამ დიდი მწერლის მიერ შექმნილ გლეხთა სახეებს შესამჩნევად ეტყობათ ლტოლვა კლასობრივი თვითშეგნებისაკენ, რაც მემამულეებსა და ყმებს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავებითაა განპირობებული.

აქვე უნდა ითქვას, რომ მემამულეებსა და ყმებს შორის საერთო ენის გამოხატვის, მათ შორის ურთიერთობის მოწესრიგების პრობლემა ერთ-ერთი მთავარია ტოლსტოის მთელ შემოქმედებაში. იგი მწერლის პირველსავე რომანშია დასმული და წითელ ზოლად გაჰყვება მთელ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ცნობილია, რომ ტოლსტოი ცხოვრების ბოლო დრომდე ეძებდა ერთიან სოციალურ პლატფორმას, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები იქნებოდა, მაგრამ რაკი ვერ იპოვა იგი, პრობლემა გადაუქრელი დატოვა. მიუხედავად ავტორის არაერთგზის ცდისა, მწერლის შემოქმედებაში ჩვენ ვერსად ვერ ვხედავთ ნაპი-



რების შემაერთებელ ხიდს, უფსკრული უფსკრულად რჩება, ხიდი კი ჩატეხილია.

1857 წლის დამდეგს ტოლსტოი საზღვარგარეთ გაემგზავრა. მოინახულა გერმანია, შვეიცარია, საფრანგეთი, ყველაზე დიდხანს პარიზში დარჩა. მწერალი ყურადღებით აკვირდებოდა ევროპელთა ცხოვრებას. ბურჟუაზიული „თავისუფლების“ ცალმხრივობისა და მოჩვენებითობის მიუხედავად, მწერალი დარწმუნდა ევროპელთა ცხოვრების უპირატესობაში ბატონყმურ რუსეთთან შედარებით.

მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები და დაკვირვებები ტოლსტოიმ გადმოსცა მოთხრობაში „ლუცერნი“, რომელშიც მან მთელი პირდაპირობით გამოაშკარავა ნაქები ბურჟუაზიული კულტურის ცალმხრივობა და სიყალბე. ლ. ტოლსტოი აქვე შეეხება ხელოვნების საკითხს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული მან საგანგებო ყურადღება დაუთმო ესთეტიკის პრობლემებს. ძირითადად აინტერესებდა ორი რამ: სურდა გაერკვია, თუ რა ადგილი ეჭირა ხელოვნებას საზოგადოების ცხოვრებაში და მეორეც — რა მიმართებაში იყო თვითონ ხელოვნება სინამდვილესთან. მოთხრობებში „ლუცერნი“, „ალბერტი“, „სამი სიკვდილი“... ტოლსტოი სხვა საკითხებთან ერთად ესთეტიკის მწვავე პრობლემებსაც შეეხო და გააშიშვლა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხელოვანის უმწეო ხედრის სოციალური ფესვები. ამით მომაკვდინებელი განაჩენი გამოუტანა ბურჟუაზიულ სამყაროს, იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლისათვის ორგანულად უცხოა ნათელი და ამალღებული, რომელიც ჩანასახშივე კლავს დიადსა და კეთილს, ჰუმანურსა და წმინდას. პიროვნებათა კონკურენციაზე აგებული ურთიერთობა, ლ. ტოლსტოის სამართლიანი მტკიცებით, თავისი არსით ეწინააღმდეგება იმ საწყისებს, რომელიც ადამიანის ხასიათში თვით ბუნების მიერ არის დაპროგრამებული და რომლის დატკეიდრებას ყოველმხრივ ხელს უწყობს სწორედ ხელოვნება მისი ზოგადსაქაცობრივ იდეებით.

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ ტოლსტოის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაიკავა ადამიანის ბუნებასთან მიმართების პრობლემამ. მწერლის მტკიცებით, პიროვნება მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო ახლოს დგას ბუნებასთან, იგი უნდა დაუბრუნდეს და თუ შეძლებს კიდევაც შეერწყას მას, რადგანაც ადამიანი ბუნების ორგანული ნაწილია. ყოველ შემთხვევაში, მწერლის სამართლიანი მტკიცებით, პიროვნების ცდა დაუპირისპირდეს გარეშე სამყაროს — უგუნურობაა და უცილობლად მისივე მარცხით დამთავრდება. საკითხის ასე დასმაში უთუოდ იგრძნობა ჟან-ჟაკ რუსოს იდეების გამოქანლიო.

ტოლსტოი ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის პრობლემებს ადრეც შეხებია. მაშინ მას უპირატესად სიკვდილის რაობის საკითხი აინტერესებდა, რომელსაც თვით ცხოვრების განვითარების ლოგიკურ ფი-

ნალად მიიჩნევდა. ტოლსტოის მტკიცებით, ცხოვრების დასასრული მით უფრო მშვიდი და ბუნებრივია, რაც უფრო მარტივად მიმდინარეობდა იგი. აქედან იღებს სათავეს მწერლის „გაუბრალობის“ თეორია. ამჟამად კი ტოლსტოის ადამიანის ბუნებასთან ურთიერთმიმართება მთლიანობაში აინტერესებს. ამ პრობლემას მწერალი საგანგებოდ ეხება „სამ სიკვდილში“, განსაკუთრებით კი „კაზაკებში“.

„კაზაკები“ ტოლსტოის დაუმთავრებელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მან მოთხრობაზე დროგამოშვებით 12 წელი იმუშავა და ბოლოს მაინც მოთხრობა დაუსრულებელი გამოაქვეყნა 1863 წელს ურნალ „რუსკი ვესტნიკში“. „კაზაკებში“ აღწერილი მოქმედება ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებს. მოთხრობის ძირითადი კოლიზია ცივილიზებული საზოგადოების წარმომადგენლის ოლენინისა და ბუნების წიაღში აღზრდილების მარიანას, ლუკაშკასა და მოხუცი ეროშკას ურთიერთ დაპირისპირებაზეა აგებული. ავტორის მთელი სიმპათია ბუნების შვილების მხარეზეა, მწერალს მოსწონს მათი ცხოვრება. ლ. ტოლსტოის განსაკუთრებულ სიყვარულს იმსახურებს მოხუცი ეროშკა, რომელიც ბუნებას ისე კარგად იცნობს, რომ მისთვის არ არსებობს მცენარეთა თუ ცხოველთა სამყაროს საიდუმლოება.

მწერალი ცდილობდა ოლენინსა და ბუნების შვილებს შორის წონასწორობა აღედგინა. თვითონ ოლენინი ბევრს ეცადა დაახლოებოდა მათ, ამოეხსნა ამ უბრალო ადამიანების ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულების საიდუმლოება, მზად იყო კიდევაც მიეღო ცხოვრების ის ნორმები, რომელიც მის აღზრდასა და ჩვევებს ეწინააღმდეგებოდა. უფრო მეტიც, ის შეიყვარებს მარიანას, ფიქრობდა მის ცოლად შერთვას, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მათ შორის აღმართული უხილავი კედელი ამის საშუალებას არ იძლევა. მარიანა უპირატესობას თავისი წრის წარმომადგენელ ლუკაშკას ანიჭებს და ეს იმდენად ბუნებრივია, რომ ოლენინს სხვა არაფერი რჩება, თუ არა ბედს შეუპოვდეს.

ტოლსტოი არ ცნობდა საზოგადოების კლასებად დაყოფის სოციალური წანამძღვრების არსებობას. მით უმეტეს მათ ანტაგონისტურ ხასიათს. არადა საზოგადოების განვითარების ლოგიკა, ადამიანებს შორის ურთიერთობის აღქმის რეალისტური პრინციპები, ისე როგორც მოაზროვნის შინაგანი ინტუიცია და საკუთარი ჩანაფიქრის განსხვავების იშვიათი უნარი არ იძლეოდა პრობლემის ხელოვნურად გადაჭრის საშუალებას, სუბიექტურზე ყოველთვის რეალიზში იმარჯვებდა და მწერალიც ვერ აერთიანებდა იმას, რაც ისტორიული გარდუვალობით იყო გათიშული.

როგორც უკვე ითქვა, თითქმის ყველა დიდი მწერლის შემოქმედებაში გვხვდება ერთი შემაჯამებელი ხასიათის ნაწარმოები, სადაც ავტორის ნიჭი და პოტენცია ყველაზე სრულად წარმოჩინდება. ტოლსტოის შემოქმედებაში ასეთი ნაწარმოებია რომანი-ეპოპეა „ომი და მშვიდობა“.

ლიტერატურათმცოდნეობაში დიდი ხანია დამკვიდრდა აზრი, რომ ტოლსტოის, გარდა ამ ეპიკური ტილოსი სხვა რამე არ დარჩენოდა, იგი მაინც სამუდამოდ დაიკავებდა საპატიო ადგილს მხატვრულ აზროვნების მსოფლიო კორიფეებს შორის. ასეთი მტკიცება დღეს მით უფრო საფუძვლიანია, რომ „ომი და მშვიდობა“ ყველგან აღიარებულია, როგორც კაცობრიობის მხატვრული აზროვნების შედეგი. და მართლაც, ძნელია დაასახელო მეორე ნაწარმოები, სადაც ქვეყნის უაღრესად დამაბული, დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება უფრო სრულყოფილად იყოს გადმოცემული. რომანის მასშტაბურობაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ ავტორს 558 პერსონაჟი შეუქმნია, თანაც ისინი ერთმანეთს არ იმეორებენ. ხასიათების ასე უხვად და გამოკვეთილად ძერწვა მხოლოდ რჩეულთა ხედრია. ეპიკური ტილო გამოირჩევა რთული ცხოვრებისეული პრობლემებითა და ღრმა ფილოსოფიური მსჯელობებით. ავტორმა ევროპაში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების მაგალითზე მოგვცა კაცობრიობის განვითარების გარკვეული ეტაპის მხატვრული გააზრება. რომანზე მუშაობის დროს ტოლსტოის წინაშე სხვა სიძნელეებთან ერთად ურთულესი სიუჟეტის მქონე ეპიკური რომანის კომპოზიციურად შეკვრის ამოცანად იღგა, რასაც ავტორმა ჩინებულად გაართვა თავი. მოაქცია რა თხრობის ცენტრში ბოლკონსკებისა და როსტოვების ოჯახები, მწერალმა სიუჟეტის განვითარების ისეთ თანმიმდევრულ დინამიკას მიიღწია, რომ „ომი და მშვიდობა“ სრულყოფილი არქიტექტონიკის წყალობით მთლიან შთაბეჭდილებას ტოვებს, მკითხველს ერთნაირად იზიდავს დრამატიზმით დამუხტული პერსონაჟთა ცხოვრებისეული ეპიზოდები თუ ბატალური სცენები, საზოგადოების ქვედა ფენის ინტერესის ამსახველი სურათები თუ არისტოკრატთა ყოფის აღწერა.

„ომი და მშვიდობის“ შექმნას წინ უსწრებდა რომან „დეკაბრისტებზე“ მუშაობა, რომელიც ტოლსტოიმ 1856 წელს დაიწყო. ამ რომანზე მუშაობისას იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დეკაბრისტული მოძრაობა სამამულო ომმა განაპირობა, რომლის ტრაგიკულმა ეპიზოდებმა ბევრ რამეს ახადეს ფარდა და საბოლოოდ დააჩქარეს რუსეთის მოწინავე საზოგადოების სოციალური განვითარება. გარდა ამისა, ამიერიდან რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდობა სასურველ კონტაქტს ამყარებს დასავლეთის გამოჩენილ მოღვაწეებთან. უშუალოდ ეცნობა ევროპელთა ცხოვრებას. ამავე დროს, სამამულო ომში ყმა გლეხების მონაწილეობამ გაზარდა მათი კლასობრივი თვითშეგნება.

ყმა გლეხმა, რომლის ზურგზე გადაიარა ომის მთელმა სიძნელემ, თავი ადამიანად იგრძნო, ის დარწმუნდა, რომ სიმამაკითა და გამბედაობით არამცთუ ჩამოუყარდებოდა, არამედ ჯობნიდა კიდევაც თავის ბატონს, რომ არაფერი ვთქვათ სულიერ და ფიზიკურ მონაცემების უპირატესობაზე. ყოველივე აღნიშნული იმასაც მიგვანიშნებს, თუ როგორ მივიდა ტოლსტოი პირველი სამამულო ომის თემის დამუშავების საჭი-

როების აღიარებამდე, რომელმაც ესოდენ რელიგიური ასახვა ჰპოვა რომანში „ომი და მშვიდობა“.

„დეკაბრისტები“ ტოლსტოის დაუმთავრებელი დარჩა, თუმცა სამჯერ მიუბრუნდა ამ რომანს. ამის მთავარი მიზეზი, როგორც სამართლიანად თვლიან მკვლევარები, მწერლის მსოფლმხედველობის თავისებურება უნდა იყოს. დეკაბრისტში ტოლსტოის რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების „ცდუნებად“ მიაჩნდა, რომელმაც „უზღვეურება“ მოოჯანა ქვეყანას. იგი უარყოფდა ძველის გარდაქმნას რევოლუციის გზით. მწერლის შეხედულებათა წინააღმდეგობა აშკარად ჩანს რომანშიც „ომი და მშვიდობა“, მაგრამ ეს მკითხველს ხელს არ უშლის სრულად აღიქვას გრანდიოზული მხატვრული ტილო.

რომანზე „ომი და მშვიდობა“ ტოლსტოი მუშაობდა 1864—1869 წლებში. ეს იყო მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების უაღრესად დაძაბული, მაგრამ ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი. თუ რაოდენ სიძნელეებს წააწყდა ავტორი რომანზე მუშაობისას, კარგად ჩანს პოეტ თ. ფეტი-სადმი გაგზავნილ ბარათიდან. მე დიდი წვალებით ვმუშაობო, წერდა ტოლსტოი აღრესატს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, განაგრძობდა მწერალი მსჯელობას, თუ რა ძნელია ჩემთვის წინასწარი სამუშაო: ღრმად უნდა მოიზნას ნიადაგი, სადაც იძულებული ვარ ვთესო. საშინლად ძნელია, ჩიოდა ტოლსტოი, მოიფიქრო და გადახარშო ყოველივე, რაც კი შეიძლება შემთხვევს ჩაფიქრებულ დიდი თხზულების მომავალ გმირებს, გაითვალისწინო მილიონი შესაძლო კომბინაცია და მათ შორის აირჩიო ერთი მემილიონედით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტოლსტოი არ შემოფარგლულა მხოლოდ სამამულო ომის ისტორიით. რომანში ასახული ფართო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-ფილოსოფიური საკითხთა წრის საჭირო სისრულით გადმოცემამ ავტორისაგან საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა ტიპური გააზრება მოითხოვა დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში. თანაც მწერალი ყოველ სოციალურ ჯგუფში ხედავს ადამიანთა განსხვავებულ ბუნებას, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნეგატიური თუ პოზიტიური თვისებებითა და განსხვავებული მიზნებით. ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა პერსონაჟთა სიუჟე.

რომანზე მუშაობის დროს ლ. ტოლსტოი დარწმუნდა, რომ ნაპოლეონის რუსეთზე თავდასხმა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პირდაპირი შედეგი იყო. თავის მხრივ ამ საკითხის გააზრებამ მოითხოვა ისტორიული ექსკურსი ევროპისა და რუსეთის წარსულში. ეკატერინე II ეპოქის არისტოკრატებს „ომსა და მშვიდობაში“ პიერ ბეზუხოვისა და ანდრეი ბოლკონსკის მამები განასახიერებენ. კირილე ბეზუხოვი ეკატერინე II მიერ დამკვიდრებული თვალთმაქცობისა და პირმოთნეობის უშუალო ნაყოფია. მთელ მის ღირსებას გარეგნული სილამაზე და ზღაპრული წარმოდგენს. იგი „შემთხვევით წამოჩიტული ველმოჟაა“,

რომელიც დარღვივებულ გარყვნილ ცხოვრებას ეწევა. სულ სხვა რაკურსშია გააზრებული ნიკოლოზ ბოლკონსკის სახე. იგი რომანში თავისი ეპოქის საუკეთესო ადამიანია. ნიკოლოზისა და მისი თანამოაზრეებისათვის უპირველესი ამოცანა სამშობლოს და ერის ღირსების დაცვაა. ის ყველგან და ყოველთვის რუსეთის ძლიერებისათვის ზრუნავდა. მაგრამ ასეთები გამოაყლის წარმოადგენდა. რაც შეეხება თავად-აზნაურებს, რომლებსაც ეყრდნობოდა მეფის მონარქისტული ხელისუფლება, ტოლსტოის განსახიერებით, გახრწნილებისა და გადაგვარების უკიდურესი გამოვლენაა. კრიტიკამ თავის დროზე სამართლიანად შენიშნა, რომ „ომი და მშვიდობის“ ავტორის სატირის მთელი სუსხი „უმადლეს საზოგადოებას ხვდა წილადო“. არც ალექსანდრე I დაკლებია დიდი მწერლის მამხილებელი რისხვა.

რუსულ ეროვნულ ხასიათს რომანში როსტოვების ოჯახის წევრები წარმოგვიდგენენ. მათი ურთიერთობა ემყარება სიყვარულს, ნდობასა და პატივისცემას. ამავე დროს ტოლსტოი შორსაა როსტოვების იდეალიზირებულ სიყვარულს. მართალია, ოჯახის უფროსი ნიკოლოზ როსტოვი პირდაპირი, მართალი ადამიანია, მაგრამ არცთუ იშვიათად მის მოქმედებაში იგრძნობა მკაცრი ბატონის უაზრო გამოხდომები. ნატაშა როსტოვას ხასიათში მწერალმა ჩააქსოვა მშობლიური ხალხის უმაღლესი ზნეობრივი და მორალური თვისებები. იგი მკითხველის წინაშე წარსდგა, როგორც ჭკვიანი და სანაირი, უბრალო და კაცთმოყვარე, რომლის გარეგნულ სილამაზეს სავსებით შეესაბამება მისი ფაქიზი და წმინდა სულიერი სამყარო.

ნატაშასა და შინამოსამსახურეების ურთიერთობა ქალბატონის ყმებში ადამიანურ ღირსებათა აღიარებას ეყრდნობა. ამიტომაც ნატაშა უყვართ ყმებს, კეთილად არიან მისადმი განწყობილი. იგი ბავშვობიდანვე ბუნების წიაღში იზრდებოდა, უყვარდა შრომა, გატაცებით ისმენდა ხალხურ სიმღერებს, თქმულებებსა და ზღაპრებს. ნატაშა როსტოვა მშობლიური ხალხის შვილია, მას აზრადაც არ მოსვლია ადამიანებთან ურთიერთობის დროს რაღაც უპირატესობა ჰქონოდა. მისი ზრუნვის საგანი სამშობლოა. როდესაც ქვეყანამ მისგან მსხვერპლი მოითხოვა, ის უხმოდ დაემორჩილა ბედს და ლაზარეთში სასიკვდილოდ დაჰრიდ ანდრეი ბოლკონსკის თავზე აღვას.

ლევ ტოლსტოის ღრმა რწმენით საზოგადოების კეთილდღეობა ოჯახის სიმტკიცეზეა დამოკიდებული, ამიტომაც ნატაშას მოწოდებაა იყოს ერთგული მეუღლე და მოსიყვარულე დედა. იგი ყველგან გულწრფელია. ნატაშა როსტოვას მხატვრული სახე მსოფლიო ლიტერატურის ნამდვილი მშვენიერებაა. მამაკაცებში ნატაშას ხასიათის უკეთეს თვისებებს განასახიერებენ ანდრეი ბოლკონსკი და პიერ ბეზუხოვი.

მართალია, ბოლკონსკისა და პიერ ბეზუხოვის ცხოვრების გზა, ისე როგორც პირადი თვისებები, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთი-

საგან (ეს კი ავტორის ამოუწურავ შესაძლებლობებზე მიუთითებს), მაგრამ მათ აერთიანებთ ადამიანური ღირსების გამომხატველი ისეთი თვისებები, როგორც არის დემოკრატიზმი და უბრალოება, პრინციპულობა და პირდაპირობა, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული, საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, კარიერიზმისა და პატივმოყვარეობის უარყოფა, ბუნებრივი, მოჩვენებითობას მოკლებული, გმირობა და სიმამაცე, ყმებისადმი ჰუმანური მოპყრობა, ზრუნვა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ოჯახის სიყვარული და პატივისცემა, მოქალაქეობრივი ვალი და ა. შ.

ტოლსტოის ოსტატობა სწორედ ისაა, რომ მწერალი გმირების ხასიათების ძერწვას ერთმანეთისაგან განსხვავებული გზით წარმართავს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ავტორი პოულობს პერსონაჟთა ინდივიდუალურ შტრიხებს, ყოველი მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავდება ოჯახური ტრადიციებით, სულიერი და ინტელექტუალური მოთხოვნილებებით: ყველას საკუთარი სულიერი სამყარო აქვს. ინდივიდუალურია მათი ქცევაც, პორტრეტიც...

რომანში „ომი და მშვიდობა“ პატრიარქალური გლეხის ტოლსტოისებური იდეალია პლატონ კარატაევი. იგი უბრალო, უპრეტენზიო, მორწმუნე, საქმის მცოდნე და შრომისმოყვარე ყმაა. პლატონს უყვარს სჯაბასი ცხოვრების ფილოსოფიურ პრობლემებზე. მისი ფილოსოფია მარტივია, რომელიც ბუნებასთან უშუალო კონტაქტში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა. კარატაევი ცხოვრებასაც მშვიდად უყურებს, შედარებით იოლად იტანს განსაცდელს. და ეს იმიტომ, რომ მას ცხოვრების აზრი შრომაში უპოვნია. შრომა, თუ გნებავთ, სხვისათვის გარჯა და სიკეთის მოტანა, მას უმაღლეს სიამოვნებას ანიჭებს. კარატაევი მთელი თავისი არსებით მოწოდებულია მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, იგი ორგანულად ვერ იტანს ომს, უაზრო სისხლის ღვრას. თუმცა ბრძოლაში მამაცი და გამბედავია. კარატაევის სახის გააზრებისას ავტორმა ხაზი გაუსვა აგრეთვე მის უპირატესობას გაბატონებულ წრის წარმომადგენლებთან შედარებით. პლატონის ყოველ მოქმედებას მშრომელი კაცის საზრიანობა და სიღინჯე ატყვია.

რომანში ბევრია ბატალური სცენები. ყოველი მათგანი მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ბრძოლების აღწერა კი ავტორის იმისათვის სჭირდება, რომ მთელი სისრულით გვიჩვენოს რუსი ხალხის გმირობა ქვეყნის გადასარჩენად, რომელმაც სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა. სამამულო ომის თავდაცვითმა ხასიათმა, ტოლსტოის სამართლიანი მტკიცებით, განაპირობა პატრიოტიზმის უმაგალითო გამოვლინება. სამშობლოს ბედი წყდებოდა არა მარტო ფრონტის წინახაზზე, არამედ მტრის ზურგშიაც, რომელიც პარტიზანულთა მოქმედების ფართო არენად გადაიქცა. მებრძოლებს მხარს უჭერდა და საჭირო სანოვაგით ამარაგებდა რუსეთის მთელი მოსახლეობა.

„ომი და მშვიდობის“ მხატვრულ ღირსებაზე როდესაც ლაპარაკობენ, უთუოდ მხედველობაში აქვთ აგრეთვე დიდის გემოვნებითა და რუღღუნებით ნაძერწი ბუნების სურათები. მარტო ბერმუხის მხატვრული სახე რად ღირს! რამდენის მთქმელია მისი სიძლიერის ალგორითული აღწერა, რომელიც მკითხველში ზოგჯერ ამაღლებულ, ზოგჯერ კი სევდანარევე გრძნობას აღვიძებს. ანდა, როგორ მოერგო დიდი ხნის შემდეგ მშობლიურ მამულში მიმავალ ფიქრებში წასულ ანდრეი ბოლკონსკის განწყობილებას მისი პირქუში მრისხანე ფონი. ბოლკონსკიმ ხომ სამამულო ომის პირველ წლებში რუსეთის ჯარის დამარცხების ტრაგიკული შედეგები იწვნია. არც წელიწადის სხვადასხვა დროს მუხის განსხვავებული, მაგრამ ყოველთვის სიძლიერის გამომსახველი პეიზაჟია შემთხვევითი. ამ ხერხით მწერალმა ჯერ კიდევ უთქმელი თუ უკვე გამქლავებული შინაგან გრძნობათა გადმოცემის საოცრად ბუნებრივ დინამიკურობას მიაღწია. უწყვეტი იყო თვითონ ავტორის ფიქრი და ზრუნვა სამშობლოზე. რომანში ფესვებგადგმული მძლავრი ბერმუხა ხომ რუსეთის სიძლიერის სიმბოლოა. „ომსა და მშვიდობაში“ ასევე გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს ნადირობის სცენა, ბუნების გაღვიძების თუ უსაზღვრო ცის სილაყვარდის აღწერა...

უმაგალითოდ მდიდარია რომან-ეპოპეის ენა. მწერალს მთელი სისრულით გამოუყენებია რუსული ხალხური ენის ამოუწურავი შესაძლებლობა. ტოლსტოი ხალხური ენის არსენალს მიმართავს როგორც თხრობის, ისე აღწერის დროს, ის ამ საუნჯეს დაესესება მაშინაც, როდესაც ახდენს გმირთა პერსონიფიციურებას. ამიტომაც, რომ მათ მონოლოგებში თუ დიალოგებში ყოველთვის გამოკვეთილად მქლავნდება შინაგანი სულიერი ტკივილები თუ ამაღლებული შემართება, ხასიათის სიმტკიცე თუ მელანქოლია, ვნებათა დღევა თუ მოვალეობის მაღალი შეგნება.

ტოლსტოის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის რომანი „ანა კარენინა“, რომლის შექმნაზე ავტორი 1873—1877 წლებში მუშაობდა.

„ანა კარენინას“ წინ უსწრებდა მწერლის პეტრე პირველის თემით გატაცება. ტოლსტოი თითქმის სამი წელი აგროვებდა მასალას ჩანაფიქრის განსახორციელებლად. დაიწყო კიდევაც რომანის წერა, მაგრამ საქმე ცალკეული ფრაგმენტების შექმნას არ გასცილებია. ამასობაში მწერლის შემეცნებაში მომწიფდა ახალი ჩანაფიქრი თანამედროვე თემაზე და ტოლსტოიც მთელი გატაცებით შეუღდა „ანა კარენინას“ წერას.

ამ რომანზე მუშაობაც ძნელი გამოდგა, იგი წელი ტემპით მიმდინარეობდა, იცვლებოდა თავდაპირველი ჩანაფიქრი. საბოლოოდ „ანა კარენინა“ პირველად ჩაფიქრებული ოჯახური ქრონიკის ამსახველი ნაწარმოებიდან ფართო სოციალურ ტილოში გადაიზარდა. შესაბამისად შეიცვალა სათაურიც და გმირების სახელებიც, შეიცვალა თვით მოქმედ პერსონაჟთა ხასიათიც. ანა დამანაშავე, ოჯახისა და შვილის მოლაღატე ქალიდან არისტოკრატიული საზოგადოების მახინჯი კანონების უდანაშაულო

მსხვერპლად წარმოგვიდგება. სამაგიეროდ, საგრძნობლად „გაუარესდნენ“ კარენინი და ვრონსკი. ამ შემთხვევაშიაც გვიმარჯვა ლ. ტოლსტოის რეალიზმმა.

რომანზე მუშაობის პროცესში ტოლსტოი დარწმუნდა, რომ მოუწესრიგებელ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი სიყალბეზე, პირად ეგონისტურ და ვიწრო კარიერისტულ საწყისებზეა აგებული, ოჯახური ბედნიერება შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ანას თავის მეუღლესთან, ვაიდა ეკლესიის წესით ქორწინებისა, არაფერი აკავშირებდა. თუ გავითვალისწინებთ ტოლსტოის პოზიტიურ შეხედულებას ოჯახის დანიშნულებაზე, რომელიც მან ბოლომდე შეინარჩუნა, ჩვენთვის ცხადი გახდება სინამდვილის რეალისტური ასახვის პრინციპების შენარჩუნებისათვის თუ რაოდენ „დათმობაზე“ წასულა დიდი მწერალი, როდესაც მან ანას სიყვარულის მაღალი გრძნობისათვის ოჯახის დანგრევა და ერთადერთი შვილის მიტოვება „აპატია“. ასევე რეალიზმის პრინციპების მოთხოვნების გათვალისწინებით არის დაწერილი რომანის ფინალიც. ანა ტრაგიკულ ბედს ვერ აცდებდა თუნდაც იმიტომ, რომ მისი ჯანყი გამეფებულ მორალის წინააღმდეგ ერთპიროვნულია. ასეთ შემთხვევაში თვით უმაღლესი ჰუმანური სურვილიც კი: „იყო კეთილი და სხვებსაც სიკეთე მოუტანო“ უძლურია. როგორც რომანშია ნაჩვენები, უდიდესი მსხვერპლიც ბერის ვერაფერს შეცვლის. ვანა ანას აკლდა ხასიათის სიმტკიცე, სულიერი სისპეტაკე, ბუნებრივი ნიჭი და საზრიანობა. ის გაბედულადაც დაუპირისპირდა გააბატონებულ არისტოკრატიულ ზედაფენას, მათ დაკნინებულ ზნეობრივ თუ მეშინურ ჩვევებს, მაგრამ ფარისევლურ კანონებზე დაყრდნობილი საზოგადოების მხილება, მით უმეტეს დამარცხება, თუნდაც ძლიერი ინდივიდების ბუნტით ვერ ხერხდება. ამით ჩვენ იმის თქმა როდი გვინდა, რომ ანასა და მსგავს გმირების პროტესტმა უშუდგოდ ჩაიარა. მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში, ამავე დროს, მათ მიერ არჩეული ბრძოლის ხერხით უფრო მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. თუმცა, თავისთავად, ცოტა როდია ანას მაგალითის მნიშვნელობა, მისმა პროტესტმა სასურველი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოების ჯანსაღ ნაწილში, ამიერიდან კარენინებიცა და ვრონსკებიც დაპყარგავენ ჩვეულ სიმშვიდეს.

რომანის მეორე სიუჟეტურ ხაზს კონსტანტინე ლევინი ავითარებს, რომელსაც ბევრი რამ აახლოვებს თვითონ ავტორთან. იგი რომანში უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა, მაგრამ ავტორი მას მუდმივ ძიებისა და წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესში წარმოგვიდგენს. ლევინში ნამდვილი დემოკრატიული თვისებები შერწყმულია აზნაურულ იდეოლოგიასთან, ეს ართულებს და ფაქტიურად შეუძლებელს ხდის ჩანადიჭრის ხორცმესხამს. მაგრამ იგი იმ შემთხვევაშიც არ კარგავს იმედს, როდესაც დასასულ გეგმას განხორციელება არ უწერია და იმსხვრევა მისი იდეალი. ანასაგან განსხვავებით, ლევინი ოპტიმისტურად უყურებს



მომავალს, რადგანაც ხალხის სჯერა. რა ვუყოთ, რომ მან ამჯერად ვერ დაიშახურა გლეხების ნდობა, მაგრამ გადადგმული ნაბიჯის სისწორეში ღრმადია დარწმუნებული, სწამს აგრეთვე, რომ მისი ზრუნვა უნაყოფოდ არ ჩაივლის. განსხვავებით ნესლეუდოვისაგან („მემამულის დილა“) ლევინი თავის ექსპერიმენტებს. თუ ასეთი გაამართლებდა. ამჟამად მთლიანად რუსეთისათვის. უფრო მეტიც, მისი მტკიცებით რუსეთში გამარჯვებულ სოციალურ წყობას საერთაშორისო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ცხადია ლევინის რეფორმებს პრაქტიკულად განხორციელება არ ეწერათ, რადგანაც ჩანაფიქრის ხორცშესხმას ევოლუციის გზით ფიქრობდა და თანაც ამ გარდაქმნებში ხელმძღვანელ როლს აზნაურებს მიაკუთვნებდა. მაგრამ ლევინი ფიზიკელი გონების კაცია და ღრმად მიხვდა, რომ წამოწყებას უცილობლად კრახი მოელოდა, ამიტომ შეიცვალა ტაქტიკა. ახლა უკვე მორალურ გზით ფიქრობს მიზნის მიღწევას, ლევინს მიაჩნია, რომ საზოგადოება გარდაიქმნება, თუ ყველა მისი წევრი თვითსრულყოფის გზით გამოსწორდებოდა. ცხადია, ლევინის ხასიათის გაორება, მისი ბუნების წინააღმდეგობრივობა ავტორისეულია. ლევინის მსგავსად, ვერც ტოლსტოიმ იპოვა საზოგადოების გარდაქმნის რეალური გზები და საშუალებები.

რომანში „ანა კარენინა“ ლ. ტოლსტოი დაუნდობელია ლიბერალების მიმართ, რომლებიც თითქოს დაინტერესებულები იყვნენ ხალხით. მაგრამ სინამდვილეში არც იცნობდნენ და არც უნარი შესწევდათ დახმარებოდნენ მას. მართალია, კონსტანტინე ლევინი არ იზიარებდა რევოლუციონერთა იდეოლოგიას, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა ეწეოდა მას რევოლუციონერთა ბანაკისაკენ. ამიტომ არის იგი თავისი ძმის ნიკოლოზ ლევინის ხშირი სტუმარი, მასთან პაექრობისას გუმანით გრძნობს, რომ ძმამ იცის რაღაც ისეთი, რომელიც მისთვის მიუწვდომელია.

ანასა და ლევინს ბევრი რამ აკავშირებს ერთმანეთთან. თუმცა მათი ცხოვრების გზა, ისე როგორც მიზანი, სულ სხვადასხვაა. ორივეს კი ბევრი რამ აქვთ საერთო ტოლსტოის სხვა დადებითს პერსონაჟებთან, მაგრამ. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს ეპოქალური მოვლენის ახალ მხატვრულ გააზრებასთან.

რომანი „ანა კარენინა“ ნოვატორულია კომპოზიციური თავისებურებებითაც. მასში ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს ორი, თითქმის დამოუკიდებელი სიუჟეტური ხაზი.

80-იან წლების დასაწყისში ტოლსტოის სულიერ ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა. ამ პერიოდში მწერალი უფრო მეტ დროს პუბლიცისტიკას უთმობდა და მის მეშვეობით ზნეობრივ თვითსრულყოფას ქადაგებდა. ამავე დროს, დაუნდობლად ამხელდა გაბატონებული კლასის თვალთმაქცობასა და ორპირობას. კლასისა, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რაც შეიძლება მეტი მიეღო ხალხისაგან, ხოლო მას კი სიბნელეში ტოვებდა. ტოლსტოის არ აკმაყოფილებდა ოფიციალური რელიგია და ბო-

ლომდე აწიშვლებდა მას, მაგრამ უკეთესს ვერაფერს სთავაზობდა მკითხველს, თუ არა „განწმენდილი“ ქრისტიანულ დოგმას. ტოლსტოის მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, მისი თხზულებების მამხილებელი ძალა იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით მეფე ალექსანდრე III ჩაერია საქმეში და მწერლის ცალკეული მოთხრობები და პიესები აიკრძალა.

ამ პერიოდის ნაწარმოებებიდან უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენენ „ივანე ილიას ძის სიკვდილი“, რომლის სიუჟეტური ქარგა სინამდვილიდან არის აღებული. თავისი მამხილებელი ძალით გამოირჩევა აგრეთვე „კრეიცერის სონატა“, დღემდე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველებზე დიდი მწერლის დრამა „წყვდიადის მეუღეობა“, რომლის წარმოდგენა აკრძალული იყო. ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად „განათლების ნაყოფს“.

ლ. ტოლსტოის შემოქმედების ბოლო წლები აღინიშნა ახალი მასშტაბური რომანით „აღდგომა“. რომანზე ტოლსტოი წყვეტილად თითქმის ათი წელი მუშაობდა, დაიწყო 1889 წელს, ხოლო დაამთავრა 1899 წელს. ეს პერიოდი მრავალმხრივ რთულია დიდი მწერლის ცხოვრებაში. იგი ერთხანს თვლიდა, რომ შეცდომა დაუშვა, როდესაც ხელი მოჰკიდა მასშტაბურ მხატვრულ ტილოების შექმნას გაბატონებულ კლასის ცხოვრებაზე. მაგრამ მოხდა სასურველი შემობრუნება, პროგრესული საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ლ. ტოლსტოის ახალ რომანს.

„აღდგომაში“ კრიტიკული რეალიზმის ძალამ ზენიტს მიაღწია. თუ ადრე ტოლსტოი ძირითადად დაინტერესებული იყო თავისი დადებითი გმირების ჩამოყალიბების სოციალური გზების ძიებით, ამჟერად დიმიტრი ნეხლიუდოვში ეს პროცესი ერთ დღეში მოხდა. ნეხლიუდოვმა, როდესაც სასამართლო პროცესზე კატია მასლოვა დაინახა ბრალდებულის როლში, გადაწყვიტა ენახა იგი, რადგანაც თავი დამნაშავედ იგრძნო. თავდაპირველად იგი შეეცადა მოეხსნა კატიასათვის ცრუ ბრალდება, მაგრამ ბიუროკრატიულ რუსეთში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. დიმიტრი ნეხლიუდოვმა ნათლად დაინახა მეფის ხელისუფლების სრული გადაკვარება. ტოლსტოი არ იშურებს მუქ საღებავებს, რათა რუსეთში დამკვიდრებული ბიუროკრატინში დაუნდობლად ამხილოს. რომანში ბოლომდეა გაწიშვებული მეფის რუსეთის სასამართლო, სახელმწიფო აპარატი, გაბატონებული კლასის სრული დეგრადაცია და ზნედაცემულობა. არ შეიძლება გულგრილი დარჩეთ, როდესაც ნეხლიუდოვთან ერთად შემოივლით გლეხების ქოხებს, ეცნობით მათ ყოფას, რომელთა მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია, არსაიდან ჩანს ნათელი სხივი. ანდა იმედის მომცემი იმპულსი, რომ ისინი ხვალ უკეთესად იცხოვრებენ. ყველაფერ ამაში, ტოლსტოის ღრმა რწმენით, დამნაშავეა არსებული სოციალური წყობა.

სამწუხაროდ, რომანში თავი იჩინა დიდი მწერლის მსოფლმხედვე-

ლობის სუსტმა მხარემაც, არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს იგი კვლავ ადამიანის თვითსრულყოფაში ეძებდა. ამავე დროს უარყოფდა მისთვის საძულველი სოციალური სინამდვილის შეცვლას მსხვერვის გზით. ტოლსტოის ფილოსოფიის ცალმხრივობით უნდა აიხსნას დიმიტრი ნეხლიუდოვის „აღდგომის“ უშედეგო ცდაც. ნეხლიუდოვმა ფუჟად დახარჯა დიდი ენერჯია და დრო, რომ მიეღო თანხმობა კატია მასლოვასაგან შეუღლებაზე. რომანის 1895 წლის პირველ რედაქციაში კი ნეხლიუდოვი მართლაც მიიღებს ასეთ თანხმობას და ისინი, ციმბირში დაქორწინების შემდეგ, საზღვარგარეთ გაიქცევიან. მწერლის დიდმა რეალისტურმა ინტუიციამ და სწრაფად მზარდმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ უკარნახეს მწერალს ასეთი ფინალის სიყალბე. მართლაც, რაოდენ ხელოვნური და ცხოვრების ლოგიკურ მსვლელობის საწინააღმდეგო იყო კვანძის ასე გახსნა.

რომანის ბოლო რედაქციაში ტოლსტოიმ ნეხლიუდოვისა და მასლოვას „აღდგომის“ სხვა სტიმული შემოგვთავაზა. ნეხლიუდოვი ჯერ გზაში, შემდეგ ადგილზე დაუახლოვდა კატორამისძილ რევოლუციონერებს. მათთან საუბარში ბევრი რამ გაიგო და ბევრ რამეზე კიდევაც შეიძვალა შეხედულება. თუმცა, თავიდანვე ცხადი იყო, რომ ის ვერც ამ გზით აღორძინდებოდა, რადგანაც მძიმე იყო ჩადენილი დანაშაული და სოციალურ წრის მიერ აკიდებული ტვირთი. ამ მიმართებით უფრო მეტ წარმატებას კატია მასლოვამ მიიღწია, ის ნაცვლად ნეხლიუდოვისა, რევოლუციონერ სიმონსონს გაჰყვა ცოლად. საკითხის ასე გადაწყვეტას მეტი რეალური საფუძველი გააჩნია, ამდენადვე ბუნებრივადაც გამოიყურება. მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაშიაც მასლოვას სასურველ აღორძინებამდე შორი მანძილია. ანდა შექმნილ პირობებში შეიძლება კი იმის უკან დაბრუნება, რაც წარსულს ჩაბარდა? ყოველ შემთხვევაში, ნორმალურ ურთიერთობაზე ფიქრიც ზედმეტია. ამიტომაც, საბოლოო ჯამში, ავტორმა გმირების „აღდგომის“ საკითხი ღიად დატოვა. ეს მაშინ. როდესაც ტოლსტოის სურვილი დახმარების ხელი გაეწოდებინა მათთვის ერთობ დიდი იყო, ის დაძაბულ ტრაგიკულ მდგომარეობიდან მონდომებით ეძებდა გამოსავალს. ამავე დროს მწერალში კვლავაც უფრო ძლიერი აღმოჩნდა ცხოვრებისეული მოვლენების რეალისტურად გაზრების სურვილი, რომელმაც ააცდინა ის პრობლემის არაბუნებრივ გაშუქებას.

სინამდვილის რეალისტური ასახვის შემდგომი ზრდით აიხსნება აგრეთვე „აღდგომაში“ რევოლუციონერთა მხატვრული სახეების შექმნა. როგორც ზემოთ იყო თქმული, ტოლსტოი არ იზიარებდა ცხოვრების რადიკალური საშუალებებით გარდაქმნის თეორიას. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ის საერთოდ გვერდს აუვლიდა საზოგადოების განვითარების ამ მხარეს, და თუ შეეხებოდა, როგორც ეს უკვე იყო რუსულ ლიტერატურაში, შექმნიდა რევოლუციონერთა ცალმხრივ კარიკატურ-

რულ სახეებს. მაგრამ ეს ბუმბერაზი რეალისტი მწერალი სულ სხვა გზას დაადგა, მან ბოლომდე შეინარჩუნა ობიექტურობა. უფრო მეტიც, ტოლსტოიმ XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსულ ლიტერატურის ძირითად თემად რევოლუციის თემა გამოაცხადა და თვითონაც „აღდგომაში“ საკმაოდ მიმზიდველი რევოლუციონერთა სახეები შექმნა, მას მოწონდა მათი ქმედითი ხასიათი. თუმცა, ვერც იმას ავუვლით გვერდს, რომ ტოლსტოი უპირატესობას რევოლუციონერ ხალხსნებს ანიჭებდა, რადგანაც მის შეხედულებასთან უფრო ახლო იყო მათი პროგრამის რეფორმისტული ხასიათი.

რუსი ხალხის გენიამ თავის შემოქმედებაში განსაცვიფრებელი სიღრმით გააშუქა სოციალური სინამდვილე და განსაკუთრებული მნიშვნელობის ტიპური განზოგადებები შექმნა. მხატვრული სიტყვის ამ დიდოსტატმა ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მართლაც რომ მოგვცა მთელი რიგი უაღრესად შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც მას მსოფლიოს დიდ მწერალთა რიცხვში აყენებენ.

დიდი მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელი წლები წინააღმდეგობათა შემდგომი გართულებით აღინიშნა, მაგრამ იგი ბოლომდე დარჩა მრავალმილიონიანი პატრიარქალური გლეხობის სულიერ მოძღვრად, რამაც მისი შემოქმედება რუსეთის რევოლუციის სარკედ აქცია.

იმ მწვავე სოციალური პრობლემების მხატვრული გააზრება, რომელიც ტოლსტოის მოსვენებას არ აძლევდა მთელი ცხოვრების მანძილზე, წილად ხვდა რუსეთის მიწის მეორე დიდ მწერალს. ეს იყო მაქსიმ გორკი, რომელმაც უშუალოდ მიიღო კვერთხი ტოლსტოისაგან.

## ცრემლნარევი სიცილის ჯაღოქარი.

რამდენ სიხარულს, რამდენ დაუვიწყარ შთაგონებასა და სულიერ მღელვარებას, ცრემლნარევი სიცილსა და გულში მწვდომ მელანქოლიას უღვიძებს მკითხველებს მხატვრული სიტყვის ამ ჯაღოქარის ნაწარმოებები. გენიალური მწერლის პოეტური განცდის სისპეტაკე და უშუალობა სულ უფრო მეტად იზიდავს ყველა ერისა და ასაკის ადამიანებს, ვისაც ოდნავ მაინც შესწევს უნარი აღიქვას ხელოვნების მშვენიერება და განიცადოს პოეზიის ემოციური ძალის გაკეთილშობილებული ზეგავლენა.

ანტონ პავლეს ძე ჩეხოვის რეალიზმის უჩვეულო ძალამ იმთავითვე პოვა აღიარება, მასზე ჟამთა მსვლელობა მხოლოდ გამაძლიერებელ ზეგავლენას თუ ახდენს; დიდი მხატვრის უკვდავი ტილოები დღესაც აქტუალურად ეხმაურება ცხოვრებას, მის მიერ შექმნილი სახეები ახლო და გასაგებია თანამედროვე მკითხველისათვის. დიდი მწერლის გმირები

ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ ჩვენი ეპოქის ადამიანებს, მათი სულიერი სამყაროს შემდგომი სრულყოფის დიად საქმეში. ამით არის განპირობებული ჩეხოვის ნიჭის თაყვანისმცემელთა ურიცხვი არმიის შეუწყვეტელი ზრდა, „მისი საფლავისაკენ მიმავალი ბილიკი ბალახით არასდროს დაიფარება“.

ანტონ პავლეს ძე ჩეხოვს შემოქმედებით სრულყოფის მწვერვალები-სკენ იოლი გზით როდი უვლია, მაგრამ არანაკლები მძიმე და რთული იყო მისი ცხოვრების შარავზაც: განუკურნავი სენი, მრავალრიცხოვანი ოჯახის მატერიალური უზარუნველყოფისათვის უწყვეტი ზრუნვა, მემჩანური სოციალურ გარემოცვასთან შეუწელებელი ჭიდილი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რა, მაგრამ ჩეხოვი ყოველთვის ჩეხოვად რჩებოდა. ამ ფიზიკურად სუსტ ადამიანის სხეულში იმდენი სულიერი ძალა აღმოჩნდა, რომ მან საშურველი მხნეობით დაძლია ყოველივე და კაცობრიობას ფასდაუდებელი საგანძური დაუტოვა.

ანტონ პავლეს ძე ჩეხოვს სრულიად ახალგაზრდას უცდია კალამი (14 წლის ასაკში), მაგრამ ამ ცდას მისთვის მწერლის სახელი არ მოუტანია. იგი ლიტერატურულ სამყაროში 80-იან წლებში გამოჩნდა და მაშინვე ეპოქის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად იქცა. დამწყებმა მწერალმა მიიპყრო არა მარტო კრიტიკოსთა ყურადღება, ანტონმა ჩეხოვს ფელეტონებს მოუთმენლად ელოდა მკითხველიც, რომელთაც მოეწონათ მისი ნათელი და ძალდაუტანებელი იუმორი.

ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი დაიბადა 1860 წელს ტაგანროგში. წერილვაკრის ოჯახში. მისმა ბავშვობამ და სიჭაბუკემ აქვე განვლო. მას თავიდანვე ჰქონდა შესაძლებლობა დაკვირვებოდა მეშინათა ცხოვრებას. და თუ მომავალში მწერალი ასე საფუძვლიანად ამხედრდა ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ, ამის სათავეები მისი ოჯახის გარემოცვაში უნდა ვეძიოთ. ამითვე აიხსნება მწერლის შემოქმედების შინაარსის მრავალფეროვნება, იგი ბავშვობაშივე ახლო გაეცნო იმდროინდელი საზოგადოების ყველა ფენას...

მომავალი მწერლის მამას პატარა სავაჭრო ჰქონდა ტაგანროგში, მაგრამ თვითონ ბუნებით არ ყოფილა მდებო: თავის ცხოვრების დიდ დროს იგი ეკლესიებში სიარულს, წიგნების კითხვასა და მუსიკას უთმობდა. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მისი კომერციული საქმიანობა ცუდად მიდიოდა. საკუთარი ხასიათის ამ „ნაკლის“ გამოსწორებას პავლე ეგორის ძე ჩეხოვი სავაჭრო საქმეში ვაჭიშვილების ჩართვით ცდილობდა. მაგრამ, როგორც მომავალი მწერალი, ასევე მისი ძმები მოწოდებით შორს იყვნენ ჩარჩთა საქმიანობისაგან, ვაჭართა ფსიქიკამ ახალგაზრდებში თავიდანვე სიძულვილი გამოიწვია. რაც დრო გადიოდა, მით უფრო უარესდებოდა ჩეხოვთა ოჯახის მატერიალური მდგომარეობა. ეს კი პავლე ჩეხოვის, ისედაც თავისებური ხასიათის ადამიანის უაზრო სიმკაცრეს იწვევდა და ოჯახის წევრების ცხოვრება აუტანელი

გახდა. საბოლოოდ ჩეხოვთა ოჯახის სავაჭრო კარიერა იმით დამთავრდა, რომ მამა იძულებული შეიქნა მოვალეებს გაქცეოდა, მოსკოვისათვის შეეფარებინა თავი. ცოტა მოგვიანებით მოსკოვში საცხოვრებლად გადავიდნენ ჩეხოვთა ოჯახის სხვა წევრებიც, ტაგანროგში გიმნაზიის კურსის დასამთავრებლად მარტოდ დარჩა მომავალი მწერალი.

გიმნაზიაში პატარა ანტონი 1868 წელს მიაბარეს, ამით მომავალი მწერლის ცხოვრებაში მაინცდამაინც საგრძნობი ცვლილება არ მომხდარა. ნით უმეტეს, რომ გიმნაზიაში დამკვიდრებული იყო მკაცრი სკოლასტიკური რეჟიმი, რომელიც მსმენელებსა და მასწავლებლებში გაბატონებულ შლიქვენლობას, უსულო ფორმალიზმს, დამბეზღაობასა და ორპირობას ემყარებოდა. გიმნაზიაში ჩეხოვმა 11 წელი დაჰყო. მაგრამ მისი მომავალი საქმიანობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო სამ (1877—1879) წელს ჰქონდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც ჩეხოვი მარტოდ დარჩა ტაგანროგში. თავისთავს მინდობილი ყმაწვილი ბევრს კითხულობდა, სერიოზულად მოეკიდა მომავალ ცხოვრების მოწყობის პერსპექტივებს, ოცნებობდა საზოგადოების წევრთა შორის ისეთი ურთიერთობის დამყარებაზე, რომელიც გამორიცხავდა სილატაკესა და მეჭიანობას. ამ წლებში ჩეხოვი თეატრით იყო გატაცებული, მაშინ ტაგანროგში საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ საქვეყნოდ განთქმული დასები, ჩეხოვს არც ერთი წარმოდგენა არ გამოუტოვებია.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1879 წლის ზაფხულში ჩეხოვი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. მანამდე კი მომავალმა მწერალმა ტაგანროგის ქალაქის ხელისუფლებისაგან უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად სტუდენტის დანიშვნის გარანტია მიიღო. ჩეხოვი იმავე წელს მოეწყო მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლები მომავალი მწერლისათვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა, იგი ლიტერატურით გატაცებასთან ერთად ბეჭითად მეცადინეობდა, საფუძვლიანად ეუფლებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო დარვინის მოძღვრებით. ამავე დროს, სტუდენტი ჩეხოვი იძულებული იყო კერძო გაკვეთილები ჩაეტარებინა და ოჯახს მატერიალურად დახმარებოდა. სტუდენტობის წლებში ინტენსიურად იბეჭდებდა ჟურნალ-გაზეთებში მისი იუმორისტული პუბლიცისტიკა, რომელიც ძირითადად ჰონორარისათვის იწერებოდა.

80-იანი წლები რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში რეაქციული ნაკადის გაძლიერებით აღინიშნა. ამას სპეციალურ ლიტერატურაში საზოგადოების განვითარების კლასობრივი ხასიათის წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავებით ხსნიან. ამ დროისათვის ხალხოსნების ილუზიებმა სრული კრაზი განიცადეს, ხოლო პროლეტარიატის იდეოლოგიამ — მარქსიზმმა ჯერ კიდევ ვერ პოვა სასურველი გავრცელება. მასების იდეურ ცხოვრებაში ერთგვარი ვაკუუმი გაჩნდა. შექმნილ მდგომარეობით დაუყოვნებლივ ისარგებლეს ბურჟუაზიის იდეოლოგიებმა და ცხოვრების

განვითარების პერსპექტივა უიმედობის ბურჟსში გახვიეს. ბუნებრივია, ყოველივე ამას არ შეეძლო თავისი დალი არ დაესვა დამწყები მწერლის შემოქმედებაზე. ამითვე უნდა აიხსნას ჩეხოვის თანამშრომლობა ისეთ უიდეო იუმორისტულ ჟურნალებში, როგორცაა „სტრეკოზა“, „ბუდილნიკი“ და „ზრიტელი“.

მინიატურული მოთხრობები, ფელეტონები, ჩანახატები, რეპორტაჟები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ ჟურნალებში დაიბეჭდა ანტონმა ჩეხოვს ხელმოწერით, მიუთითებენ მხოლოდ ავტორის იძულებით ნაბიჯზე, ჩეხოვის ამ პირველი ცდებიდან უკვე ჩანს მომავალი დიდი მწერალი, მისი ნიჟის იშვიათი თავისებურება; კერძოდ, ლაკონიურობა, მსუბუქი იუმორი, კატმოყვარეობა და დაუფარავი სიძულვილი ყოველგვარი ძალმომრეობისადმი...

გამოიყენა რა დამწყები მწერლის შემოქმედების სუსტი მხარე, ბურჟუაზიულმა კრიტიკამ ჩეხოვის 80-იანი წლების ლიტერატურული მემკვიდრეობა აპოლიტიკურად გამოაცხადა. ეს იარაღი მწერალს დიდხანს არ მოსცილებია. ზოგი კრიტიკოსი, განსაკუთრებით კი ხალხოსნების ზანაიდან, უფრო შორს წავიდა და აპოლიტიკურად გამოაცხადა ჩეხოვის მთელი შემოქმედება. ამავე დროს, შეგნებულად უვლიდნენ გვერდს ახალგაზრდა მწერლის ისეთ ნაწარმოებებს, როგორცაა „მოხელის სიკვდილი“, „მსუქანი და გამხდარი“, „ქამლეონი“, „უნტერ პრიშიბეევი“ და მრავალი სხვა. სადაც ჩეხოვის რეალიზმის მომავლინებელი მახვილი მოურიდებლად გაბატონებულ მეშჩანური ცხოვრების წინააღმდეგ არის მიმართული. დასახელებული ნაწარმოებები ავტორმა სწორედ 80-იანი წლების პირველ ნახევარში შექმნა, მათ გარეშე წარმოუდგენელია XIX საუკუნის მიწურულის რეალისტური ლიტერატურა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩეხოვს სხვა რომ არაფერი დაეწერა, იგი მანც შევიდოდა დიდ ლიტერატურაში და საპატიო ადგილს დაიჭერდა მისი განვითარების ისტორიაში.

1884 წელს ჩეხოვმა უნივერსიტეტი დაამთავრა და ერთხანს ექიმის პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა. 1892—1893 წლებში ჩეხოვი საექიმო პუნქტს განაგებდა სოფელ მელიხოვოში, სადაც მას პატარა აგარაკი ჰქონდა ნაყიდი. როდესაც ამ მიდამოებში ქოლერის ეპიდემია გავრცელდა, მაშინ უკვე საქვეყნოდ ცნობილმა მწერალმა, პირადი სახსრებით ახალი სამედიცინო პუნქტი გახსნა. აქ ექიმად მუშაობამ, ისე როგორც გლეხებთან უშუალო კონტაქტმა, ჩეხოვი ახალი შთაბეჭდილებებით გაამდიდრა. პრაქტიკოსი ექიმის გამოცდილება უდევს საფუძვლად მის შედეგებს: „გლეხები“, „ხრამში“, „სამსახურებრივი საქმის გამო“, „სახლი მეზონინით“ და მრავალი სხვა.

1890 წელს ფილტვების ტუბერკულოზით მძიმედ ავადმყოფმა ჩეხოვმა სამოქალაქო გმირობა ჩაიდინა, მან ეტლითა და მარხილებით გადალახა რამდენიმე ათასი კილომეტრი და კუნძულ სახალინზე მყოფ

კატორღელთა ცხოვრება შეისწავლა. მის მოგზაურობას სავსებით კონკრეტული მიზანი ჰქონდა: უნდოდა საზოგადოების ყურადღება მიეპყრო კატორღელთა ტრაგიკულ მდგომარეობისათვის, ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა განწირულთა ყოფა. იმის წარმოსადგენად თუ რაოდენ შრომატევადი სამუშაო შეასრულა მწერალმა, საკმარისია დავასახელოთ მის მიერ შედგენილი 10 ათასამდე კართოტეკა, რომლებშიც შეტანილია კატორღელთა არა მხოლოდ გვარი, სახელი და მამის სახელი, არამედ ზოგადი ბიოგრაფიული ცნობებიც. მოგზაურობიდან მიღებულ დაკვირვებისა და შთაბეჭდილებების საფუძველზე ჩეხოვმა 1894 წელს გამოსცა ფართოდ განმარტებული კრებული „კუნძული სახალინი“, რომლის შექმნას 4 წელი მოჰანდომდა. ჩეხოვს განწირულთა დასახმარებლად ბრძოლა შემდეგშიაც არ შეუწყვეტია, განსაკუთრებით იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გვალვიან წლებში შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თვითონ წირავდა და სხვებსაც მოუწოდებდა სახსრები გაეღოთ ტრაგიკულ პირობებში აღმოჩენილ გლეხების სასარგებლოდ. ჩეხოვმა საკუთარი დანაზოგით რამდენიმე სკოლა გახსნა სოფლის ბავშვებისათვის, იგი ყოველთვის გაჭირვებულ თანამემამულეთა მხარეზე იყო.

1899 წელს ჩეხოვმა გაყიდა მელიხოვის აგარაკი და კოლეგების დაბეჯითებითი რჩევით საცხოვრებლად იალტაში გადავიდა, მას აქაც არ გაუწყვეტია კავშირი მშრომელ მასებთან, ყოველთვის საქმის კურსში იყო, თუ რა ხდებოდა დედაქალაქების ცხოვრებაში.

1900 წელს იალტაში მწერლის საპატივცემულოდ საგანგებოდ ჩამოვიდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მთელი დასი; ამ კოლექტივთან ჩეხოვმა ახლო მეგობრული ურთიერთობა დაამყარა 1898 წელს. როდესაც თეატრმა დიდი წარმატებით უჩვენა მისი პიესა „თოლია“. ახლა იალტაში ჩამოსულმა სამხატვრო თეატრის კოლექტივმა მწერალს უჩვენა მისი პიესები „ძია ვანია“ და „თოლია“, ასევე წარმოადგინეს იბსენის „ედა გაბლერი“ და ჰაუპტმანის „მარტოხელები“. აქვე უნდა ითქვას, რომ იალტაში ანტონ პავლეს ძე ჩეხოვის ხშირი სტუმრები იყვნენ რუსეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის უკეთესი წარმომადგენლები, მათ შორის ლევ ტოლსტოი, გორკი, კუპრინი, მამინ-სიბირიაკი, ბუნინი, სერაფიმოვიჩი და სხვები. ჩეხოვი იალტაში ცხოვრების დროს მეორედ იმოგზაურებს საქართველოში.

მწერალი ბირველად საქართველოში 1888 წლის ზაფხულში იყო. ამ მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებები იმდენად მდიდარი აღმოჩნდა, რომ მწერალს იგი სიკვდილამდე არ დავიწყებია. როგორც კი მიეცემოდა შემთხვევა, ჩეხოვი გატაცებით უზიარებდა ახლობლებს თავის კავკასიურ დაკვირვებებს. ცნობები ამ მოგზაურობის შესახებ შემონახულია თვითონ მწერლის იმდროინდელ ბარათებში. მას მაშინ შემდეგი მარშრუტით უმოგზაურია: სოხუმი, შემდეგ ახალი ათონი, კვლავ სოხუმი, ფოთი, ბათუმი, თბილისი, შემდეგ საქართველოს სამხედრო



გზის გავლით ვლადიკავკაზი. ამ მოგზაურობის შესახებ ჟურნალ „ოსკოლკის“ რედაქტორისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: ფედოსიიდან გემით ბათუმში გავემგზავრე. გზად ნახევარი დღით სოხუმში შევჩერდი — პატარა, ულამაზესი ქალაქია, ტროპიკული სიციხით, მთლიანად ჩაფლულია მწვანეში, რომელიც არ გავს ჩვენს, რუსულს. ერთი დღით ვიყავი ახალ ათონში, მონასტერში. აქ, ათონში ისე კარგია, რომ აღწერაც არ შეიძლება: წყალვარდნილები, ევკალიპტები, ჩაის ბუჩქები, კვიპაროსები, ზეთის ხეები; მთავარი მაინც ზღვა და მთებია, მთები, მთები... ათონის შემდეგ სოხუმიდან ფოთში ჩავედი. აქ განთქმულია მდინარე რიონი თავის ხეობითა და ზუთხებით. მდინარია მწვანე საფარი, ყველა ქუჩები ალვის ხის ხეივანად წარმოგვიდგება.

გზა ბათუმიდან თბილისამდე, განთქმული სურამის უღელტეხილით, მიმზიდველი და პოეტურია; თვალმოუწყვეტლივ იცქირები ფანჯარაში და ოხრავ: მთები, გვირაბები, კლდეები, მდინარეები, წყალვარდნილები, ჩანჩქერები...

კავკასია, განაგრძობდა მწერალი, თქვენ ნანახი გაქვთ, მკონა გიმგზავრიათ აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზითაც. და თუ თქვენ ჯერ კიდევ არ ყოფილხართ აქ, მაშინ დააგირავეთ ცოლი, შვილები, „ოსკოლოკი“ და გაემგზავრეთ. მე ცხოვრებაში არაფერი მინახავს ამის მსგავსიო, აღფრთოვანებული ამთავრებდა მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებათა აღწერას ჩეხოვი.

სხვა აღრესატისადმი გაგზავნილ ბარათში მწერალი ატყობინებდა, რომ კარგად გადავიტანე საქართველოს სამხედრო გზით. ეს გზა კი არა — პოეზიაა; უმშვენიერესი ფანტასტიკური მოთხრობა, დაწერილი დემონის მიერ და მიძღვნილი თამარისადმიო, წერდა მოგზაურობის შემდეგ ჩეხოვი.

მსგავსი აღფრთოვანებული გამოთქმები უხვად გვხვდება სხვა ბარათებშიაც. ჩეხოვის მეხსიერებაში ისეთი ღრმა კვალი დატოვა საქართველოში ნანახმა და განცდილმა, რომ მოგვიანებით, როდესაც მან იმოგზაურა შვეიცარიასა და იტალიაში, მას მიეცა შესაძლებლობა შეედარებინა იქაური ბუნება საქართველოს ჰეიზელსათვის და ყოველთვის უპირატესობას ჩვენს ფლორას ანიჭებდა; ასეთივე შეხედულების იყო საქართველოს სილამაზეზე მაქსიმ გორკი.

მეორედ ჩეხოვმა მაქსიმ გორკისთან, მხატვარ ვასნეცოვთან და სხვებთან ერთად 1900 წლის ზაფხულში იმოგზაურა. ამჯერადაც მგზავრები ყირიმშიდან იკემით ჩავიდნენ ბათუმში, შემდეგ თბილისში, ხოლო ჩეხოვი უკან სამხედრო გზის გავლით დაბრუნდა. ამ მოგზაურობის შესახებ ჩვენამდე მოღწეულია უმუალო, მონაწილეების მრავალი მოგონება, რომლებშიც შემონახულია სკანდინავიის ეპიზოდები, როგორც ჩეხოვის, ასევე სხვა მონაწილეთა ცხოვრებიდან. აღსანიშნავია, რომ მოულოდ-

ნელმა შემთხვევამ ბათუმიდან თბილისისკენ მგზავრობისას, მატარებელში, ერთმანეთს შეახვედრა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი ო. ლ. კნიპერი და ჩეხოვი. მწერალი მაშინ უკვე სიმპათიით იყო განწყობილი „მხატის“ განთქმული მსახიობისადმი, ცოტა მოგვიანებით ისინი შეუღლდნენ. ო. ლ. კნიპერმა მეტად საინტერესო ცნობები შემოგვიანახა ამ მოგზაურობის შესახებ...

ცხოვრების ბოლო წლებში მწერლის ხშირი მოგზაურობა გამოწვეული იყო არა მხოლოდ ეგზოტიკური ინტერესით, იგი შემართებით ებრძოდა ავადმყოფობას, რომელიც სულ უფრო და უფრო ურთულდებოდა. მწერალს ბოლომდე არ დაუქარგავს სულიერი სიმტკიცე, მასთან ყოფნა ყოველთვის საინტერესო იყო. მწერალი ოხუნჯობდა, მისთვის ჩვეული იუმორით ყვებოდა ანეგდოტებსა და კურიოზულ შემთხვევებს, რომლის მარაგი ამოუწურავი ჩანდა. ვინ არ ყოფილა ავადმყოფ ჩეხოვთან იალტაში... და ყველა მათგანი მომავლის იმედით ტოვებდა მწერლის პატარა ავარაკს.

1904 წლის ივნისში ჩეხოვი სამკურნალოდ გერმანიაში გაემგზავრა, მაგრამ არც ამან უშველა, იმავე წლის 2 ივლისს იგი გარდაიცვალა და მისი ცხედარი მოსკოვში ჩამოასვენეს. მწერალი დასაფლავებულია ნოვოდევიჩიის სასაფლაოზე. ამ გენიალური მწერლის სასაფლაოც უბრალო და მოკრძალებულია, როგორც იყო მთელი მისი ცხოვრება. ჩეხოვის დასაფლავება, მიუხედავად ხელისუფალთა მკაცრი ზომებისა, საპროტესტო დემონსტრაციად გადაიქცა. განსაკუთრებით აქტიურობდა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა, რომელმაც ამ ბუმბერაზი მხატვრის ქმნილებებში უკეთესი მერმისისათვის უკომპრომისო ბრძოლის მოწოდება ამოიკითხა. საწინააღმდეგოდ ბურჟუაზიული იდეოლოგიის მესვეურებისა, რადიკალურად განწყობილმა მასებმა ჩეხოვი თანამებრძოლად გამოაცხადეს.

ანტონ პავლეს ძე ჩეხოვის პირველი მოთხრობა „დონელი მემამულის სტეფანე ვლადიმერის ძის წერილი განსწავლულ მეზობელ ექიმ ფრიდრიხისადმი“ გამოქვეყნდა ჟურნალ „სტრეკოვის“ მეათე ნომერში 1880 წელს. უკვე ამ მოთხრობაში ჩეხოვი მწარედ დასცინის დონის თვალუწვდენელ ტრამალებში გადაკარგულ მემამულეებს, ამხელს მათ გონებრივ შეზღუდულობასა და ველურობას, ეს მაშინ, როდესაც ისინი დიდძალ სიმდიდრეს ფლობდნენ. მწერალი უკვე თავის ადრინდელ იუმორისტულ მოთხრობებსა და ფელეტონებში გვარწმუნებს, რომ ცხოვრება სოციალურად მოუწესრიგებელია და ადამიანს მძიმე ტვირთად აწევბა დრომოკმული ადათ-წესები. ჩეხოვის 80-იანი წლებს მოთხრობებშივე იგრძნობა აგრეთვე მთელი მისი მომდევნო პერიოდის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი კომიზმი, გამოწვეული პოლარულად საწინააღმდეგო, ერთმანეთის გამომრიცხველი ხასიათების დაპირისპირებით; ავტორი ცდილობს ერთ სიბრტყეზე წარმოგვიდგინოს სრულიად

განსხვავებული პერსონაჟები და ამიტომაც მათი დაახლოების ცდა ფი-  
სკოთი მთავრდება.

მართალია, ანტონო ჩეხოვს იუმორისტულ ჩანახატებსა და ფელე-  
ტონებს ცხოველი ინტერესით შეხვდა მკითხველი, მაგრამ მის შესახებ  
პროგრესული პრესა აღაპარაკდა მოთხრობათა პირველი კრებულის გა-  
მოსვლის შემდეგ, 1884 წელს. კრებული გამოვიდა ჩეხოვის პოეტური  
ნიჰილათვის დამახასიათებელი სათაურით — „მეღობინის ზღაპრები“.  
ნიჰიერი მწერლის სახელი ჩეხოვს მოუტანა მისმა მეორე კრებულმა,  
რომელიც „ჭრელი მოთხრობების“ სახელწოდებით 1886 წელს გამო-  
ვიდა. მკითხველი ამ კრებულს აღფრთოვანებით შეხვდა და სხვანაირად  
არც შეიძლება ყოფილიყო. „ჭრელ მოთხრობებში“ შევიდა ახალგაზრდა  
მწერლის ისეთი შედეგები, როგორიცაა: „უნტერ პრიშიბაევი“, „ქამე-  
ლეონი“, „მსუქანი და გამზდარი“, „მოხელის სიკვდილი“ და სხვა. ეს  
მოთხრობები ერთად გაერთიანებული წარუშლელ შთაბეჭდილებას ტო-  
ვებს მკითხველებზე. აქ ჩეხოვი წარმოგვიდგება როგორც ჩამოყალიბე-  
ბული რეალისტი მწერალი, რომლის თხზულებათა მამხილებელი ძალა  
განუზომლად დიდია. კრებულში შესულ მოთხრობებში ავტორი უკუღ-  
მართი ცხოვრების უმსგავსო შედეგების კონსტატაციით როდი დაკმაყო-  
ფილდა, მან ბოლომდე გააშიშვლა საზოგადოების დაკნინების სოციალუ-  
რი ფესვებიც. მოთხრობები საინტერესოა ფორმის თვალსაზრისითაც,  
აქ საბოლოოდ გამოიკვეთა მწერლის სატირული კალმის იშვიათი თავი-  
სებურება, ისე როგორც თხრობის უნიკალური უნარი, სახეების შექმნის  
უზნადო ოსტატობა — სულ ორი-სამი დამახასიათებელი შტრიხი და  
ჩვენს წინ წარმოსდგება ხელშესახებად ნაძერწი პერსონაჟი.

ამ კრებულთ ჩეხოვი გვევლინება დიდი სოციალური მოვლენების  
მცირე მოცულობის მოთხრობებში გადმოცემის უბადლო ოსტატად.

უნტერ პრიშიბაევის სახე იმავე სახელწოდების მოთხრობიდან, გაზ-  
და სიმბოლო გაუნათლებელი, თვითდაჯერებული თავხედი სოლდაფო-  
ნისა, რომელიც საკუთარი სურვილით ხდება ჯაშუში და მამზელარა.  
წესრიგის ფხიზელი „დარაჯი“, პრიშიბაევი თვითონ ჩადის ათასგვარ  
უმსგავსობებსა და სიბინძურეს. სარგებლობს რა უფროსების მხარდა-  
ჭერით, ყოველმხრივ ავიწროვებს პატიოსან ადამიანს, რომელსაც ვერც  
კი წარმოუდგენია პიროვნების პრიშიბაევიების დონემდე დაცემა. მწერ-  
ლის მიერ პრიშიბაევის სახე ისე სრულყოფილად არის ნაძერწი, იმდენ  
უარყოფით თვისებებს შეიცავს მისი დაკნინებული ბუნება, რომ იგი  
მკითხველმა იმთავითვე გახრწნილების უკიდურეს მოვლენად აღიქვა და  
არა მხოლოდ რუსეთში. პრიშიბაევი კონკრეტულმა ზოგად საკაცობრიო  
უღერადობას მიადწია.

არც „ქამელეონის“ მთავარი პერსონაჟი ოჩუმალოვი წასულა შორს  
უნტერ პრიშიბაევისაგან, იგი ისეთივე უსულგულო, მეზიანისა და მა-  
ზეზლარა ადამიანის განსახიერებაა, მხოლოდ უფრო სხვა ფორმით. მას

სძულს ადამიანი, გაურბის საზოგადოებას, შეპყრობილია პირადი მენ-  
განდიდების მანიით. საკუთარი ვიწრო ეგოისტური ინტერესების დასა-  
ცავად ოჩუმალოვი არაფერზე უკან არ იხევს: ორპირობს, ადვილად  
ეგუება ყველაზე დამამცირებელ შეურაცხყოფას, მლიქვნელობას, ენა-  
ტანიაობას, ერთი სიტყვით, არ არსებობს სიბინძურე, რომელიც ოჩუმალ-  
ლოვმა არ მოიმოქმედოს, ოღონდაც კი საკუთარი დაკნინებული შე-  
შენარჩუნოს. რადგანაც თვითონ მზად არის მუცელზე იხობოს უფრო-  
სების წინაშე, მასზე დაბალ ჩინოვნიკებისაგან კონპესაციას მოითხოვს,  
მათ მიმართ იჩენს ველურ სიმკაცრესა და აღვირახსნილობას, უსაფუძ-  
ვლოდ აყენებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, დაუმსახურებ-  
ლად მოითხოვს სხვებისაგან სრულ მორჩილებას. სამწუხაროდ, არც  
ოჩუმალოვებს დაუტოვებიათ სარბიელი...

ადამიანის ღირსების, მისი კაცური კაცობის შემბლაღავ მლიქვნელო-  
პისა და მამამებლობის ასახვას ჩეხოვი შემდეგშიც არაერთგზის დაბრუ-  
ნებია. ყოველი ახალი პერსონაჟი მანამდე უცნობ, თითქოსდა გამორჩენი-  
ლი შტრიხის მატარებელია, ამიტომ არის რომ მკითხველში ჩეხოვის ყო-  
ველი ახალი მოთხრობა ნაცნობ თემაზე განსხვავებულ რეაქციას იწვევს,  
სულ სხვა კუთხით წარმოგვიდგენს იმავე სინამდვილიდან აღებულ პერ-  
სონაჟებს. სწორედ ასეთები არიან მოთხრობა „მსუქანისა და გამხდა-  
რის“ გმირები. მაღალი ჩინის წინაშე შიშისაგან ქრება ყოველგვარი ადა-  
მიანური, დავიწყებას ეძლევა ერთად გატარებული ბავშვობა და სიყმაწ-  
ვილე. ისედაც დაკნინებულ აზროვნებას ცხოველური ინსტიქტი ეპატ-  
რონება..

პიროვნების დაკნინების, ადამიანური ღირსების უიმედოდ დაკარგვის  
წმინდა ჩეხოვისებურ განსახიერებას წარმოადგენს ჩინოვნიკი ჩერვია-  
კოვი მოთხრობაში „მოხელის სიკვდილი“. ერთი შეხედვით, თითქოსდა  
უმნიშვნელო, კერძო შემთხვევა აღუია მწერალს, მაგრამ რამდენის  
მთქმელია ქვეტექსტი: ავტორი, მისთვის ჩვეული ოსტატობით, ბოლომ-  
დე აშიშვლებს ადამიანს, რომელიც ბიუროკრატიული ყოფის მსხვერპ-  
ლია.

განსხვავებით გოგოლის ბაშმაჩკინისაგან, რომელიც მკითხველების  
უდავო თანაგრძნობას იწვევს, ჩეხოვის მოხელეები მხოლოდ ზიზღს  
გვრიან. არ არსებობს ისეთი სიბინძურე და გახრწნილობა, ისეთი მო-  
რალური თუ ზნეობრივი გადაგვარება, რომელიც ჩეხოვის მოხელეებმა  
არ იკისრონ. აქ „პატარა ადამიანი“ მართლაც რომ დაკნინდა.

განა შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს უფრო მეტი მორალურ-ზნეობ-  
რივი გადაგვარება, ვინემ მოთხრობა „ლურსმანშია“ აღწერილი. მოხელე  
სტრუჩკოვმა თავის დღეობაზე თანამოსამსახურეები მიიპატიჟა და მათ-  
თან ერთად შინისაკენ გასწია. მაგრამ შეაღეს კარი თუ არა, დაინახეს,  
რომ ლურსმანზე მათი უფროსის ქუდი კიდია, რომელიც სტრუჩკოვის  
მეუღლესთან მოსულა... მოხელეები და მათ შორის სტრუჩკოვიც და-

ფრთხებიან და ტრაქტირისავენ გაემართებიან. საათნახევრის შემდეგ კვლავ მოადგებიან იუბილარის სახლს, მაგრამ ქუდი ამჭერადაც ლურსმანზე კიდა... ყველაზე აღმაშფოთებელია უკანდაბრუნებული მოხელეების მსჯელობა, გამიზნული დაბნეული სტრუქტურის დასარიგებლად: პროკოტილოვი — ძალაა!, „ამშვიდებენ“ მეგობრები სტრუქტურს, ერთი საათით შენ ცოლთან დროს გაატარებს, სამაგიეროდ შენ... ათი წელიწადი იბაირამე. ტუზი დაგეცაო. აი ის მორალი, რომლითაც სუნთქავენ და ცხოვრობენ ჩეხოვის მოხელეები...

მოთხრობა „ნილაშში“ ავტორმა დაუზოგავად ამხილა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ინტელიგენტთა სიმხდალე, მათი ორპირობა და მლიქვნელობა „ამა ქვეყნის ძლიერთა“ წინაშე. მწერალი, თუ საკითხი ადამიანის ღირსებას ეხება, მოურიდებელია ყველას მიმართ, რა მდგომარეობაც არ უნდა ეყავოს მას საზოგადოებაში, მართალია, ჩეხოვი ადამიანის მანკიერების მხილების დროს იუმორსა და სევდანარევე ლირიზმს მიმართავს, მაგრამ ამით სულაც არ ასუსტებს მამხილებელი რეალიზმის ძალას.

როგორც დავინახეთ. ჩეხოვმა უკვე პირველივე მოთხრობებში იმდენად გააშოშვლა გაბატონებული სოციალური წრის მესვეურთა ვინაობა, რომ ბევრმა მოხელემ მწერლის გმირებში საკუთარი თავი შეიცნო და, ბუნებრივია, უემაყოფილო დარჩა. სამაგიეროდ მკითხველი, რომელსაც ჩეხოვი რემარკების საშუალებით ხშირად მიმართავს, აღფრთოვანებული იყო მწერლის ხალასი ნიჭით და ბოლომდე დარჩა მისი თაყვანისმცემელი.

ჩეხოვის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას მიესალმნენ აგრეთვე იმ დროს უკვე საქვეყნოდ აღიარებული რუსული კრიტიკული რეალიზმის კორიფეები ლ. ტოლსტოი, სალტიკოვ-შჩედრინი, ვ. კოროლენკო და სხვები.

ჩეხოვის შემოქმედებაში თავისი შინაარსითა და იდეური მიმართულებით ცალკე დგას მოთხრობა „სევდა“. ავტორმა იონიჩის მხატვრული სახის შექმნით რიგითი ადამიანის სულიერი ტკივილი გვიჩვენა. იონიჩი მწვევედ განიცდის შვილის სიკვდილს, ადგილს ვერ პოულობს, უნდა ვინმეს გაუზიაროს მოზღვავებული სევდა, უამბოს თავისი ვაჭირვება, მაგრამ ადამიანებმა, ვისთანაც სცადა დალაპარაკება, ზურგი შეაქციეს მას; უხეშად გააწყვეტინეს დაწყებული საუბარი. მაშინ მოხუც მეეტლეს სხვა არაფერი რჩება, თუ არა ცხენებს გაანდოს გულისტკივილი, მათ უამბოს, რაოდენ აუტანელია მისი მდგომარეობა, და ამ გზით ოდნავ მაინც განტვირთოს ბოლმით დაკოდილი სული. დღესაც ძნელია გვერდი აუარო მოხუცი იონიჩის შემზარავ გოდებას, მის წმინდა ადამიანურ სულიერ განცდებს.

„სურელი მოთხრობების“ გამოსვლით ჩეხოვის შემოქმედებაში მთავრდება აღრინდელი პერიოდი და იწყება ახალი ხანა, როდესაც მწერალმა

თავი იგრძნო ლიტერატორად და მთელი სერიოზულობით შემოქმედებითს მოღვაწეობას მოჰკიდა ხელი. მომავალში მწერალი დაკვირვებით სწავლობდა ცხოვრების უკუღმართობის სოციალურ მიზეზებს, აღრმავებდა კოლიზიის კლასობრივ ფესვებს, უფრო გაბედული და მოუზრდელებელი იყო, როდესაც საქმე თვითმპყრობელური რუსეთის ბურჟუაზიული ყოფის სიმახინჯის მზის სინათლეზე გამოტანას ეხებოდა.

80-იანი წლების მეორე ნახევარში ჩეხოვის შემოქმედებაში დომინირებს სამშობლოს თემა და ამიერიდან, რა საკითხზედაც არ უნდა წერდეს იგი, მისი ზრუნვის უპირველესი საგანია მშობლიური ხალხის მომავალი. ა. ჩეხოვმა ახალ თემას გამოსახვის ახალი საშუალება მოუძებნა, მისი ალეგორია ნათელი და გამჟვირვალეა, მხატვრული სახეები დასრულებული და მთლიანია. ყველგან იგრძნობა მწერლის ნიჰისათვის დამახასიათებელი ლირიზმი, მისი მსუბუქი იუმორი, რომელიც გამთბარია აღამიანებისადმი დიდი სიყვარულით. ლიტერატურულ მოღვაწეობაში ახალი ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით ჩეხოვი განმარტავდა, სერიოზულ საკითხებზე სერიოზულად დავიწყებ წერაო. თქმულის საილუსტრაციოდ „ველის“ დასახელებაც კმარა.

ამ მოთხრობის ყველა სტრიქონში იგრძნობა მშობლიური ქვეყნისადმი მამულიშვილის დიდი და უანგარო სიყვარული. მწერალს აწუხებდა ხალხის დაბეჩავებული მდგომარეობა, იგი მტკივნეულად განიცდიდა მშრომელი რუსი ადამიანის ტრაგედიას, მაგრამ სასოწარკვეთილებაში მაინც არ ჩავარდნილა. ჩეხოვი ღრმად იყო დარწმუნებული და ცდილობდა მკითხველიც დაერწმუნებინა, რომ არსებული სოციალური ურთიერთობა შეიცვლება, ბოლო მოეღება ძალმომრეობას და ხალხი წელში გაიმართება. მწერლის ასეთი ოპტიმისტური განწყობილება კარგად ჩანს მოთხრობა „ტრამალში“, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „სევერნი ვესტნიკში“. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სქელტანიანმა, სერიოზულმა ჟურნალმა დაუთმო თავის ფურცლები ახალგაზრდა მწერლის თხზულებას. მოთხრობას უჩვეულო წარმატება ხვდა წილად, თვითონ ჩეხოვს „ტრამალი“ თავის ერთ-ერთ უკეთეს ქმნილებად მიაჩნდა. მოთხრობის გამოსვლას მიესალმა სალტიკოვ-შჩედრინი და მის ავტორს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ჩეხოვის მსოფლმხედველობის ზრდა-ჩამოყალიბების რთული პროცესის სწორი გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოთხრობა „ცეხლს“, რომელიც იმავე 1888 წელს დაიწერა და დაიბეჭდა იმავე ჟურნალში. ამ მოთხრობის იდეური შინაარსიდან აშკარად ჩანს ავტორის გამიჯვნა 80-იან წლებში ფართოდ გავრცელებულ პესიმიზმთან. იგი არ იზიარებდა უიმედობას და რწმენით შეჰყურებდა მომავალს. თუმცა მოთხრობაში მწერლის პოზიცია ბოლომდე თანმიმდევრული არ არის, მაგრამ საბოლოოდ მაინც ოპტიმისტური განწყობილება იმარჯვებს, რადგანაც ავტორს მიაჩნია, რომ პესიმიზმს გარდა მავნებლობისა

არაფერი მოაქვს ადამიანისათვის. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ჩეხოვი კატეგორიულად უარყოფდა ბურჟუაზიული კრიტიკის თავგამოდებულ მტკიცებას, თითქოს მწერალი იზიარებდა პესიმისტურ განწყობილებას და თავის ოპტიმისტური პოზიციის დასამტკიცებლად იგი საკუთარ მოთხრობა „სტუდენტზე“ მიუთითებდა, სადაც გამოკვეთილად ივრძნობა ავტორის ცხოვრებისადმი დიდი სიყვარული და მომავლის ურყევი რწმენა.

1889 წელს ჩეხოვმა გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი მოთხრობა „მოსაწყენი ისტორია“. ეს მოთხრობა გამიზნულია ცხოვრებიდან განდგომის, უმოკმედობისა და სოციალური მოვლენებისადმი პასიური დამოკიდებულების წინააღმდეგ. მოთხრობის მთავარი გმირი პროფესორი ნიკოლაი სტეფანეს ძე მსოფლიო მასშტაბის მკვლევარია, მისი მეცნიერული ღვაწლი ყველგან აღიარებულია, რის გამოც მას მიაჩნია, რომ მისთვის საჭირო არ არის დაინტერესდეს საზოგადოების ცხოვრებით, ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო წვრილმანებით, ამიტომ ცხოვრების მსვლელობიდან განწეღვას და ცდილობს ბოლომდე შეინარჩუნოს მკვლევარის როლი. მაგრამ მეცნიერს ავიწყლება, რომ ცხოვრებას თავისი რკინისებური კანონები გააჩნია, იგი არავისა და არაფერს ტოვებს საკუთარ გავლენის სფეროს მიღმა. რა თქმა უნდა, ვერც ჩეხოვის გმირმა მოახერხა ცხოვრებიდან გაქცევა, რადგანაც იგი საზოგადოების წევრია და ისე როგორც ყველა სხვა რიგითი ადამიანი, იძულებულია ანგარიში გაუწიოს სოციალურ კანონებს, შეეცდება კიდევაც შეცვალოს თავისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, მაგრამ უკვე გვიანდაა, მისი გარდაქმნა შეუძლებელია, რაც პროფესორის ტრაგიკულ დასასრულს განაპირობებს.

ჩეხოვი დიდად აფასებდა პოპულარული პროზაიკოსის ვ. მ. გარშინის შემოქმედებას, მაგრამ უფრო მეტად მის კრისტალურ პიროვნებას სცემდა პატივს. მოსწონდა ამ უანგარო მოღვაწის სისპეტაკე და სიფაქიზე, ის, რომ მწერალი ავადმყოფურად განიცდიდა სიბინძურეს, ადამიანების ვერაგობასა და გაუტანლობას, მათ მონურ მორჩილებასა და პასიურობას. სწორედ ასეთი თვისებებით არის დაჯილდოებული მოთხრობა „ავზნანის“ მთავარი გმირი ვასილიევი, რამაც კრიტიკოსებს საშუალება მისცა ეთქვათ, ვასილიევის პროტოტიპად ჩეხოვმა გარშინი გამოიყენაო.

მოთხრობის მთავარი გმირი გაბედულად გმობს არსებულ სოციალურ უსამართლობას. რომელიც დაუზოგავად ასახიჩრებს ადამიანებს და უღმობლად გადაისვრის ცხოვრების წუმპეში. ვასილიევა უარყო აგრეთვე საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკური ნორმები, უკუაგლო ბურჟუაზიული ყოფის ზნე-ჩვეულება.

80-იანი წლების მიწურულის ჩეხოვის შემოქმედების მნიშვნელოვან შენამატად ითვლება მისი მოთხრობა „მტრები“, სადაც ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა ორი საწინააღმდეგო ხასიათი. თანაც მათ შორის

არსებული წინააღმდეგობა მწერალმა სოციალური მიზნებით ახსნა. ჩეხოვის მთელი სიმბათია ექიმ კირილოვის მხარეზეა, რომელიც ადამიანის საუკეთესო თვისებებს განასახიერებს, მოსაწონია მისი მომავლისადმი რწმენა, მოუსვენარი მაძიებელი ბუნება... ჩეხოვი 80-იანი წლების მიწურულის სხვა მოთხრობებშიც ილაშქრებს ბურჟუაზიული ყოფის უხამსობის წინააღმდეგ; მისი დადებითი გმირები ვერ ურიგდებიან ვაბატონებულ ძალმომრეობას, ისინი გმობენ აღვირაშვებულობასა და გახრწნილობას, ზნეობრივ თუ მორალურ გადაგვარებას. მაგრამ მათი პროტესტი ჯერ კიდევ სუსტია, რადგანაც სოციალურად ბოლომდე არ არის გააზრებული და ამიტომაც სტიქიურ ხასიათს ატარებს. ყოველ შემთხვევაში, ჩეხოვის მტკიცებით, 80-იანი წლების ინტელიგენცია ჯერ კიდევ ვერ ხედავდა გამოსავალს შექმნილ მდგომარეობიდან. მაგრამ თვითონ ჩეხოვი არ ეპუებოდა ეპოქის უკუღმართობას და არ თმობდა მოპოვებულ პროგრესულ პოზიციას. პირიქით, მწერალი სულ უფრო გაბედულად ესმოდა თავს ბურჟუაზიულ ბიუროკრატიზმს და სააშკარაოზე გამოჰქონდა იგი.

ანტონ პავლეს ძე ჩეხოვის შემოქმედებითს ცხოვრებაში 90-იანი წლები შემდგომი, ბევრად უფრო ძლიერი წარმატებებით აღინიშნა, შესამჩნევად გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა მისი ესთეტიკური: მრწამსი, დაიხვეწა და საბოლოო სახე მიიღო მისმა წერის მანერამ. ახლა უკვე ჩეხოვის ყოველი მოთხრობა ცხოვრების აქტუალურ სოციალურ პრობლემას ეხება და მწერალი რეალიზმის დაუნდობელი ძალით ამიშვლებდა ბურჟუაზიული ყოფის სიმახინჯეს, მისმა სატირამ სარკაზმის ძალას მიაღწია, განსაკუთრებით ეს იგრძნობა, როდესაც ჩეხოვი ამხელს ვაბატონებული კლასის მესვეურთა ზნეობრივ და მორალურ გადაგვარებას. ჩეხოვის სახელი 90-იან წლებში გასცდა რუსეთის საზღვრებს და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მის მოთხრობებს ახლა უკვე მოუთმენლად ელიან არ მხოლოდ რუსეთში. იმავე წლებიდან ჩეხოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში, მისი მოთხრობები თითქმის გამოქვეყნების პარალელურად ითარგმნებოდა ქართულად და ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა.

90-იან წლებში ჩეხოვმა კაცობრიობის მხატვრული საუნჯე გაამდიდრა ისეთი მოთხრობებით, როგორცაა „პალატა № 6“, „ცქმუტია ქალი“, „უცნობი კაცის ნაამბობი“, „სტუდენტი“, „სამი წელი“, „კაცი ფუტლიარში“, „იონიჩი“, „გლეხები“, „ახალი აგარაკი“, „სამსახურებრივი საქმის გამო“, „მანდილოსანი ძაღლით“, პიესები — „თოლია“, „ძია ვანია“ და მრავალი სხვა.

ა. ჩეხოვის რეალიზმის მამხილებელი ძალა განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა „პალატა № 6“-ში, რომელიც უურნალ „რუსკაია მისლში“ დაიბეჭდა 1892 წელს. ავტორი ამ ნაწარმოებში ამხელს და სა-



ბოლო მომაკვდინებელი განაჩენი გამოაქვს პასიურობის, დესპოტიზმისა და ძალადობის წინააღმდეგ, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმი ეყრდნობოდა. „პალატა № 6“ რევოლუციამდელი რუსეთის სიმბოლოდ იქცა, სადაც პატიოსანი ადამიანები თავს ან საპყრობილეში, ანდა საგიჟეთში გრძნობენ. მათ ხომ ყველგან ჟანდარმები, ჯაშუშები უთვალთვალევენ, ძალმომრეობით დაბეჩავებულებს ყველგან ციხისა და სულით დაავადებულთა საკნების რკინის ბადურები ელახდებათ...

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დამ, ანა ილიას ასულმა ულიანოვა-ელიზაროვამ შემოგვინახა მეტად საინტერესო წერილი, სადაც ახალგაზრდა ვალოდია უზიარებს თავის დას იმ ძლიერ შთაბეჭდილებას, რომელიც მასზე „პალატა № 6“-მა მოახდინა.

თუ როგორ იფიქტებთან, როგორ ეფლობიან ცხოვრების წუმბეში ნათელი იდეალების მქონე ახალგაზრდებიც კი, როდესაც პროვინციული ქალაქებს მეშხანური ცხოვრების პირისპირ რჩებიან, კარგად ჩანს მოთხრობაში „იონიჩი“. განსაკუთრებით ამის ნათელი განსახიერებაა მოთხრობის მთავარი პერსონაჟი დიმიტრი სტარცევი, რომელიც ბავშვობიდანვე ილტვოდა ამაღლებულ წმინდა მომავლისაკენ. ერთ ხანს ებრძოდა კიდევაც გახრწნილ, მეშხანურ ყოფას და გარკვეულ დრომდე შეძლო შეენარჩუნებინა წონასწორობა. მაგრამ, როდესაც პროვინციული ქალაქის ობიექტელთა გარემოში აღმოჩნდა, ცხოვრების კომფორტმა გაიტაცა და მშვენივრად იგრძნო თავი მეშხანთა წრეში. იონიჩი ახლა უკვე თვითონ არის ტონის მიმცემი გარემოცვისათვის. დიდი მწერლის ამ გმირის მაგალითი კიდევ ერთი გაკვეთილია, თუ სანამდე მიიყვანს ადამიანს ნათელი იდეალებისადმი ღალატი.

უაღრესად ნიშანდობრივია მწერლის იდეური ჩანაფიქრი მოთხრობაში „უკმუტია ქალი“ (ამ მოთხრობის სათაურს „ხტუნია ქალადაც“ თარგმნიან). აღფრთოვანებას იწვევს ამ რთული იდეური ჩანაფიქრის შნატერული ხორცშესხმის სრულყოფა. აქ მოცემულ კოლიზიას ერთი შეხედვით არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო სანოგადოების სოციალურ ფესვებთან. მოთხრობაში პიროვნული, საყოფაცხოვრებო დეტალები ჰკარბობს. მაგრამ საკმარისია ოდნავ დავაკვირდეთ სიუჟეტის განვითარებას, რომ საწინააღმდეგო დასკვნები გავაკეთოთ: ოღლა ივანოვნა, მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, იმ ფუქსაეატური, ზერელე, მეშხანური ყოფის ნაყოფია, რომელსაც ასე გულმოდგინედ ამკვიდრებდა რუსეთში ბუჩქუაზიულ-მემამულური ხელისუფლება. აქ ხომ ყველაფერი ყალბი და მოჩვენებითი იყო. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ოღლა ივანოვნა გატაცებულია სწორედ შარლატანი მხატვრით. რომელსაც აღიღებს და აღმერთებს. მაშინ, როდესაც მან ვერ გაუგო და ზურგი შეაქცია ნამდვილი ხალასი ნიჭის პატრონს — დიდ მეცნიერსა და კეთილშობილ მოქალაქეს, როგორც მისი მეუღლე დიმიტრი იყო. ჩეხოვი დასცინის და ბოლომდე აშიშვლებს ადამიანებს შორის ზერელე, უსულგულო დამოკი-

დებულებას. იგი არ პატიობს თავის გმირს ფუქსავატურ მანჭიაობას მაშინაც კი, როდესაც ხედავს მისი დაცემის ობიექტურ მიზეზებს.

ჩეხოვის მხედველობიდან არ გამოჰპარვია „პატარა საქმეების“ პროპაგანდის უსუსურობა, რომელსაც 80—90-იან წლებში თავგამოდებით ეწეოდა საშუალო ინტელიგენტი. მწერალმა დროულად შენიშნა ასეთი ნაბიჯის უარყოფითი შედეგი და დაუინებით გაილაშქრა მის წინააღმდეგ. განსაკუთრებით მისთვის მიუღებელი იყო ასეთი პროპაგანდის ანტიხალხური ხასიათი. მწერალი მიხვდა, რომ ამ გზით ბურჟუაზიული იდეოლოგიის მესვეურები ცდილობდნენ მოწინავე მასები აეცდინათ ნამდვილი მიზნისათვის და მოექციათ მეშინაურ „პატარა საქმეების“ ტყვეობაში. ეს მაშინ, როდესაც საჭირო იყო შეურიგებელი, აქტიური ბრძოლა ცხოვრების კარდინალურად გარდაქმნისათვის.

„პატარა საქმეთა“ მოტრფილებების დაკნინებულ, ერთ დონეზე გაყინულ ადამიანთა უღირს საქციელს, მათი მოქმედების დამღუპავი შედეგების საქვეყნო სამსჯავროზე გამოტანას ეძღვნება ჩეხოვის ტრილოგია „კაცი ფუტლიარში“, „ხურტკმელი“ და „სიყვარულზე“. ეს მოთხრობები 1898 წელს გამოქვეყნდა, მათ ტრილოგიად აერთიანებს საერთო იდეა და ცალკეულ პერსონაჟთა განმეორება (ნიკოლოზ ივანეს ძე ჩიშნაპიშალისკი, ბურკინი და სხვები). თხზულებათა მთავარ პერსონაჟებმა უარყვეს საზოგადოების გარდაქმნის დიადი იდეალები, ხელი აიღეს ბრძოლაზე ნათელი მიზნებისათვის და კმაყოფილი იყვნენ „მცირედით“, რამაც მათი მორალური და ზნეობრივი გადაგვარება გამოიწვია. ბელიკოვის მხატვრული სახე „კაცი ფუტლიარში“ ცნობილი გახდა მთელ ცივილიზებულ სამყაროში, მას აღიქვავენ, როგორც სიმბოლო დაკანონებული ჯაშუშობისა და აღვირაშვებულობისა. ავტორის სამართლიანი მტკიცებით, მონარქისტული სახელმწიფო, რომელიც უარდარმთა და სამხედრო ნაწილთა ბანაკად გადაიქცა, ბადებს ბელიკოვებს. ეს უკანასკნელი კი თავის სურვილით იკლავს ყოველგვარ ადამიანურს, ცოცხალსა და ამალღებულს, რაც კი გააჩნია პიროვნებას და ბიუროკრატიული აპარატის უბრალო დანამატად იქცევა. ბელიკოვების წყალობით მონარქიამ დაიმორჩილა და დააკნინა საშუალო ინტელიგენტი, რომელიც საზოგადოებრივ საქმისადმი სრულ უდარდებლობას იჩენს. ბელიკოვი თვითონ მშინარა და მფრთხალია, მაგრამ შინის ზარს სცემს სხვებს, რადგანაც ყველამ იცის, რომ იგი მზად არის ჩაიღინოს წარმოუდგენელი სიბინძურე. ბელიკოვი დამსმენელი და ყალბისმქმნელია, მაშინ, როდესაც თვითონ წესიერი კაცის ნიღაბს ატარებს. მაინც ყველაზე დამაფიქრებელი ის იყო, რომ ბელიკოვების საქმიანობა რუსეთის იმპერიაში კანონით იყო გამაგრებული. მეფის მინისტრები სპეციალურ ცირკულარებით მოხელეებისაგან მოითხოვდნენ ჯაშუშობასა და უარდარმთა სხვა ფუნქციების შესრულებას.

მოთხრობა „ხურტკმელის“ მთავარი პერსონაჟი ნიკოლაი ივანოვიჩი

ბელიკოვის სულიერი ძმაა, რომელმაც სურტემელის ნარგავებიანი ბაღის ყიდვა დაისახა მიზანად. ამ, ერთი შეხედვით, იმ დროისათვის ჩვეულებრივი სურვილის განხორციელებას ნიკოლაი ივანოვიჩი ყველაფერს შესწირავს, რაც კი მასში ადამიანური იყო. ჩანაფიქრის ხორცშესხმის გზაზე ნიკოლაი ივანოვიჩი ყველა საშუალებას გამოიყენებს, ის არ თაკილობს მორალურ და ეთიკურ ნორმების დარღვევას, აშკარა სიყალბესა და მაქინაციებს. დასასრულ მიზანი მიღწეულია, მოთხრობის გმირი გახდა ახალი ტიპის მემამულე, რომელიც ჩეხოვის დასურათებით ბევრად უფრო დაბლა დგას მის წინამორბედებთან შედარებით. ნიკოლაი ივანოვიჩი სასიათდება გონებრივი და სულიერი შეზღუდულობით. ეს კი ძირითადად დასახულ მიზნის არარობაში გამოვლინდა. ნიკოლაი ივანოვიჩი 80-იან წლების ტიპური ლიბერალია, რომელიც ბევრს ლაპარაკობს არსებული ურთიერთობის გარდაქმნის საჭიროებაზე, მაგრამ თვითონ მას ამის ეშინია და გმობს ყოველგვარ სიახლეს.

ჩეხოვმა დაინახა, რომ რუსეთში საუკუნეობით დამკვიდრებულმა პატრიარქალურმა ადათ-წესებმა, მკაცრმა უნდარმულმა კანონებმა დაბადეს შიში და უნდობლობა, ამიტომ საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობა აგებული იყო სიცრუესა და ორპირობაზე, მლიქვნელობასა და თვალთმაქცობაზე. საყოველთაოდ გავრცელდა დაბეზლება და ჯაშუშობა, შურიანობა და ეჭვიანობა. რის გამოც მწერალი დაუნდობელია ყოველგვარი სიყალბის მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნეგატიური მოვლენები სოციალური ხასიათისაა. ჩეხოვის ასეთი რადიკალური პოზიცია ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიმართ იშვიათ სისრულით აისახა მოთხრობაში „მანდილოსანი ძალით“ (1899 წელი).

მოთხრობაში გაბატონებულ საზოგადოების მონურ მორალს მწერალმა ამაღლებული პოეტური სიყვარული დაუპირისპირა, რომლის საფუძველია ურთიერთ ნდობა და რწმენა. სწორედ სიყვარულის ასეთი იშვიათი გრძნობა აკავშირებს მოთხრობის მთავარ გმირებს, რის გამოც ანა სერგეევნა და გუროვი გაბედულად შეხვდნენ საზოგადოების გამოწვევას. ისინი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მათი სიყვარული გაუძლებს დროს გამოცდას. ანა სერგეევნა და გუროვი მალა დგანან მეშინაური გარემოცვის ჭორიკანულ მითქმა-მოთქმაზე. თუმცა ისიც კარგად აქვთ გაგებული, რომ არსებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შეუძლებელია კაცს ჰქონდეს სრული ბედნიერება, ამიტომაც იმედით შეჰყურებენ მომავალს, სწამთ უკეთესი მერმისისა, სადაც ადამიანებს შორის ურთიერთობას ჯანსაღი საფუძველი ექნება.

მომავლის იმედით გამსჭვალულია ანტონ პავლეს ძე ჩეხოვის 90-იანი წლების სსვა მოთხრობებიც. მწერალს სძულს უმოძრაო, უზრუნველყოფილი, მაძლარი ცხოვრება, იგი ვერ იტანს თვითდამშვიდებას მიცემულ ადამიანს, რომელიც „მცირედით“ კმაყოფილდება და განზე დგას საზოგადოების მოძრაობის მაგისტრალური ხაზიდან. ა. ჩეხოვი არამტოუ

იზიარებდა ტოლსტოის თვითსრულყოფის დოქტრინას, არამედ კატეგორიულად მოითხოვდა ცხოვრების მსვლელობაში აქტიურ ჩარევას. მწერლის ასეთ იდეურ ჩანაფიქრს ადვილად დაინახავს მკითხველი მოთხრობებში „დუელი“, „ჩემი ცხოვრება“ და სხვ.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჩეხოვმა თავის ეპოქის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ დატოვა უყურადღებოდ: იგი ცდილობდა და საკმაო წარმატებასაც მიაღწია ცხოვრების მწვავე პრობლემებისადმი. საკუთარი დამოკიდებულება ეჩვენებინა, მის მხატვრულ-ტილოვებში ყველგან იგრძნობა მწერლის აქტიური პოზიცია.

90-იან წლებში ჩეხოვის მოთხრობებში გვხვდება ისეთებიც, სადაც ავტორი შთამავონებლად გვისაბუთებს ბურჟუაზიული საზოგადოების რღვევის დასაწყისს („სამი წელი“). განსხვავებით ი. ტურგენევისაგან „ახნაურთა ბუდის“ ნგრევის აღწერისას ჩეხოვი შეუბრალებელია („ნაცნობებთან“, „მამულში“, „მშობლიურ მხარეში“ და სხვ.). მწერლის მახვილ თვალს არც კულაკთა წარმოშობა-გაბატონების პროცესი გამორჩენია („კულაკის ბუდე“). მიუხედავად იმისა, რომ ჩეხოვი ძირითად ყურადღებას ქალაქის მკვიდრთა ცხოვრების აღწერას უთმობს, მან არც გლეხთა უმწეო ხვედრს აუარა გვერდი. მწერალი ჩინებულად იცნობდა რუსეთის ცხოვრებას სოფლადაც, ამიტომ იგი ღრმად წვდებოდა გლეხკაცის სულიერ სამყაროს.

ჩეხოვი სოფლის თემით ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაინტერესდა. მაშინ იგი ძირითადად სოფლის მცხოვრებთა პოეტურ მხარეს, ბუნების სილამაზეს, მშრომელი გლეხის მორალურ სიმტკიცეს შეეხო („ტრამალი“, „ბედნიერება“ და სხვ.). მოგვიანებით, როდესაც მწერალმა მელიხოვოში აგარაკი იყიდა, იგი დაუახლოვდა ადგილობრივ მოსახლეობას, ახლო გაეცნო მათ ჭირ-ვარამს. იგი ახლომახლო სოფლების ხშირი სტუმარიყო, აკვირდებოდა და სწავლობდა გლეხთა ცხოვრებას. ის, რაც მან დაინახა აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა ხალხოსნების მიერ აღწერილ გლეხთა ყოფას. სოფლებში ყველგან იგრძნობოდა ცრუმორწმუნეობა და მონური შიში. მწერლის სამართლიანი დასკვნით ყოველივე ეს იმ სოციალური უსამართლობის შედეგი იყო, რომელსაც საუკუნეების მანძილზე შეგნებით ამკვიდრებდა. ბატონყმური მართვის ინსტიტუტი. სწორედ ამან გამოიწვია გლეხთა დიდი ნაწილის სიღატაკე, დაუსრულებელი ლოთობა და სოციალური პასიურობა. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას ყოველწლიური შიმშილისა და სიბინძურისაგან ფიზიკური განადგურება ემუქრებოდა, გლეხებს განსაკუთრებით უჭირდათ გვალვიან, მრუსავლიან წლებში, მათ მუსრავდა ეპიდემია. ჩეხოვი მოწმე იყო გლეხთა არაადამიანური შრომის; დიდი და პატარა, ქალი და კაცი დილიდან საღამომდე მინდორში იყენენ, მგვრამ მოსავალზე მაინც წახევარი წლის ხარჩო-საკეებად თუ ყოფნიდათ. ასეა დაწახტლი და აღწე

ჩილი გლახთა ტრაგიკული მდგომარეობა მოთხრობებში „გლახები“, „ხევში“, „ახალი აგარაკი“ და სხვ.

მოთხრობაში „გლახები“ ძირითადად გადმოცემულია ლატაკი ჩიკილდეების ოჯახის წევრთა ცხოვრება. მათ ხასიათში ისე, როგორც სარაკეში არეკლილია იმდროინდელი გლახებისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი თვისება: უპერსპექტივო და მომქანცველი მონური შრომა საფხულ-ზამთარ, ლოთობა და ველური სიმკაცრე თვით ოჯახის წევრებისადმი, ცრუმორწმუნეობა და შიში, ლანძღვა-გინება და ცემა-ტყევა. ქალებისადმი არაადამიანური დამოკიდებულება და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამე.

თუ „გლახებში“ ავტორი აცნობს მკითხველს სოფლის მკვადრთა მრავალმილიონიანი მასის უკუნეთით მოცულ ცხოვრებას, ამ ყოფის სხვა მხარე მწერლის მიერ აღწერილია მოთხრობაში „ხევი“. აქ სოფლის კულაკის ტიპური სახეა შექმნილი. ამ ნაწარმოებში ჩეხოვის რეალიზმმა ახალ, მანამდე მიუწვდომელ სრულყოფას მიაღწია. მწერალი ციბუკინების ოჯახის წევრთა ცხოვრების მაგალითზე, იმ საზოგადოების უაღრესად ჩამაფიქრებელ სურათს იძლევა, სადაც ყველაფერი იყიდება. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ ციბუკინების ოჯახის ყველა წევრისათვის ფული — ყოვლისმძლე კერპია, ამიტომ მის საშოვნელად არაფერს ერიდებიან. ახალგაზრდა ციბუკინისათვის, რომელიც ყალბ ფულებს ქრის, საცოლესაც ფულით იყიდიან. მისი მუელღე, ულამაზესი ლიპა, შემოვა თუ არა ციბუკინების ოჯახში, მაშინვე იგრძნობს ამ ჭაობს, ლიპა ცდილობს წინ აღუდგეს, პროტესტი გამოუცხადოს ციბუკინებთა ველურ ტრადიციებს, მაგრამ ამაოდ. ციბუკინები ჯერ კიდევ ძლიერები არიან და ლიპა ორთაბრძოლიდან დამარცხებული გამოდის, თუმცა იგი იმედს მაინც არ კარგავს და სწამს, რომ დადგება დრო და ციბუკინებს არ ექნებათ ნავსაყუდელი.

„ხევში“ იმდენად ძლიერად არის დასურათებული კულაკის მტაცებლური ბუნება, რომ მან მთელ რუსეთში ფართო რეზონანსი გამოიწვია. მოთხრობამ დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც მკითხველებში, ასევე მოწინავე კრიტიკოსთა წრეში. უკმაყოფილონი დარჩნენ ხალხოსნები და კულაკთა ის ნაწილი, რომელმაც ციბუკინების ოჯახის წევრებში საკუთარი თავი შეიცნო.

რაც შეეხება მოთხრობას „ახალი აგარაკი“, აქ ჩეხოვი ჩვენს ყურადღებას რეფორმის შემდგომი სოფლის ცხოვრებაზე ამახვილებს. ამ შემთხვევაში მას აინტერესებს გლახების დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი. უფრო ზუსტად, მწერალი შეეცადა დაედგინა, თუ რა შედეგი გამოიღო „ხალხში სიარულმა“. ა. ჩეხოვი კარგად ხედავდა, რომ გლახებსა და ინტელიგენტებს შორის უფსკრული არსებობდა, რომლის გადალახვის გზებსა და საშუალებებს ის ვერ ხედავდა. რაც შეეხება ხალხოსანთა თეორიას გლახების გათვითცნობიერების შესახებ — ილუზიური

გამოდგა. სინამდვილის რეალისტური გააზრება და მწერლის შინაგანი ინტელიცია პრობლემის სხვა სიბრტყეზე გადაჭრას კარნახობდნენ, რომელიც ბოლომდე თვითონ ავტორისათვისაც არ იყო გარკვეული, რის გამოც მან თავი შეიკავა პოზიტიური დასკვნისაგან. ხოლო „ახალი აგარაკის“ მკითხველი უცილობლად იმ დასკვნამდე მიდის, რომ სოფელი ჩიხ-შია მოქცეული. გლახთა ასეთი ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, საჭიროა საფუძვლიანი სოციალური გარდაქმნები, რათა სოფლის მკვიდრთა ცხოვრება შეიცვალოს.

ჩეხოვის სოფლის ცხოვრება რეალისტურად აქვს აღწერილი. წარმოუდგენლად დიდი იყო მოთხრობების ზეგავლენა მკითხველებზე, რომ არაფერი ვთქვათ მწერლებზე. ჩეხოვის მიდგომა სოფლის თემისადმი კანონმდებლური აღმოჩნდა. დიდმა მწერალმა ამ შემთხვევაშიც ეპოქის მოთხოვნებს უპასუხა.

ანტონ პავლეს ძე ჩეხოვის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე რუსული დრამის რეფორმაც, მისმა პიესებმა ახალი ეტაპი შექმნეს თეატრის განვითარების ისტორიაში. ჩეხოვმა სცენაზე უარყო საუკუნეებით დამკვიდრებული მოქმედების პრიორიტეტი, უკუაგდო მყვირალა განყენებული დეკლარაციები და მაყურებელს ცხოვრებისეული სიმართლე შესთავაზა. სტანისლავსკი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ ჩეხოვის პიესების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია, მათი „წყალქვეშა დინება“. სწორედ სინამდვილის სიღრმისეულ გააზრებაში, რომლის რეალიზაცია ხდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო დეტალების საზრიანი შერჩევით, გამოიკვეთა ჩეხოვი-დრამატურგის ნოვატორული სახე. მან დასაბამი მისცა ფსიქო-ფილოსოფიურ დრამის განვითარებას, რომელიც სრულყოფილად მაქსიმ გორკის პიესებში გამოვლინდა. როგორც ყოველი ნოვატორული ჩეხოვის დრამის სიახლეც ძნელად იკიდებდა ფეხს. ინსცენირების დროს ადგილი ჰქონდა აშკარა ჩაფარდნასაც კი. მაგრამ ჩეხოვმა მტკიცედ გადაწყვიტა უარი ეთქვა მანამდე არსებულ დრამის ფორმაზე. მწერლის ღრმა რწმენით, საჭირო იყო ცხოვრებისეული სიმართლის შეუღამაზებელი გადატანა სცენაზე. ეს კი თეატრში რეალიზების შემდგომ განმტკიცების უთუო გარანტიას იძლეოდა.

ჩეხოვის მიერ არჩეული გზა საკმაოდ სახიფათო აღმოჩნდა. დრამატურგს უხდებოდა საკუთარ თავთან ბრძოლა, რათა დაეძლია ტრადიციით გამომუშავებული ჩვევები; ძნელი იყო ძიებით გამოწვეული სირთულეების გადალახვაც, რომ არაფერი ვთქვათ მსახიობებსა და რეჟისორებზე. არანაკლებ სიძნელეს წარმოადგენდა მაყურებლის პრობლემა. როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, ყოველივეს დაძლევა მხოლოდ მაშინ მოხერხდა, როდესაც დამდგმელი რეჟისორი და მსახიობთა დასი ჩაწვდა ჩეხოვის პიესის ნოვატორობას. ეს საპატიო მისია თავის დროზე იკისრეს მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობებმა და რეჟისორებმა სტა-

ნისლაესკიმ და ნემიროვიჩ-დანჩენკომ. ამ კოლექტივის სახელთან არის დაკავშირებული ჩეხოვი-დრამატურგის ტრიუმფი.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩეხოვმა შექმნა დიდი მოცულობის პიესა „უმამობა“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. შემდეგ, უკვე მეორე კურსის სტუდენტი ჩეხოვი აქვეყნებს თეორიული ხასიათის წერილს, სადაც ავტორი სავანგებოდ ლაპარაკობს დრამის განვითარების ხასიათზე, რომელმაც უნდა შეიტანოს სიახლე თვით თეატრის ცხოვრებაში. ჩეხოვის შეხედულება დრამის რეფორმის შესახებ კარგად ჩანს მისი შემდეგი მტკიცებიდან: ცხოვრებაში ყოველ წუთს არ ხდება თავის მოკვლა, თავის ჩამოხრჩობა და სიყვარულის ასწნა, ანდა ყოველთვის ჰკვიანურად როდი ლაპარაკობენ... და ამიტომაც საჭიროა, რომ სცენაზე ეს ასევე გამოჩნდეს. ისეთი პიესა უნდა შეიქმნას, სადაც ადამიანები მოვლენ, წაგლენ, ისადილებენ ხოლმე, ამინდის შესახებ ილაპარაკებენ, ბანქოს ითამაშებენ... სცენაზე ყველაფერი ისევე რთულად უნდა იყოს და, ამავე დროს, ისევე უბრალოდ, როგორც ეს ცხოვრებაშია. ადამიანები როდესაც სადილობენ, მხოლოდ სადილობენ, ამ დროს კი იწყება მათი ბედნიერება, ასევე უბრალოდ ინგრევა მათი ცხოვრება... დიდი დრამატურგის ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი აქტუალური მნიშვნელობა.

მართალია, ჩეხოვი-დრამატურგი წარმატებას აღწევს მოგვიანებით, შემოქმედებით სიმწიფის პერიოდში. მაგრამ ლტოლვა ახლისაკენ, ნოვატორული ფორმის ძიება უკვე ადრინდელ პიესებში იგრძნობა („უსათურო“, „თამბაქოს მავნებლობის შესახებ“ და სხვ.), რაც შეეხება პიესა „ივანოვს“, რომელიც დრამატურგმა 1887 წელს შექმნა, იგი უკვე სერიოზული ნაწარმოებია. პიესას გმირებს დაკარგული აქვთ მომავლის რწმენა. თვითონ ივანოვი ალა-მართალი კაცია, ბევრს ლაპარაკობს ცხოვრების განახლებაზე, მაგრამ ნათქვამს რომ ხორცი შეასხას არ ძალუძს...

ჩეხოვი ერთხანს გატაცებით წერდა ვოდევილებს, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა პროვინციულ და დედაქალაქების თეატრების სცენებზე. მაყურებელი იმთავითვე აღფრთოვანებით შეხვდა ნიჟიერ დრამატურგის ამ მცირე ფორმის პიესებს, კერძოდ, დიდი ინტერესი გამოიწვია ვოდევილებმა: „დათვი“ (1888), „წინადადება“ (1888), „ქორწილი“ (1899). „იუბილე“, (1891) და სხვა. ა. ჩეხოვის ვოდევილებისადმი ინტერესი დღესაც არ შენელებულა, მათი ტელეეკრანიზაციის შემდეგ ამ ნაწარმოებთა მეორე სიცოცხლე დაიწყო. ვოდევილებში, ისე როგორც ჩეხოვის სხვა პიესებში მთავარ როლებს მსოფლიოში აღიარებული მსახიობები ასრულებენ, მათ შორის ილინსკი, ულიანოვი, ტაბაკოვი, ლეონოვი, ბატალოვი და სხვ. ყველა მსახიობისათვის ჩეხოვის გმირების განსახიერება საპროგრამო ოცნებაა.

და მიხედავ, ჩეხოვი-დრამატურგის ტრიუმფი პიესა „თოლიასთან“ არის დაკავშირებული. ნიშანდობლივია, რომ ჩეხოვის, როგორც დრამატურგის ფიასკოც ამ პიესას უკავშირდება, უფრო ზუსტად, პიესის პირველი დადგმა პეტერბურგში სრული კრახით დამთავრდა. ეს მოხდა 1896 წელს. მწერალმა მძიმედ განიცადა წარუმატებლობა და ერთხანს გაგონებაც არ უნდოდა, რომ ახალი პიესა შეექმნა. როდესაც „თოლია“ წაიკითხეს თეატრალური ხელოვნების ისეთმა კორიფეებმა, როგორიც იყვნენ სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო, მიხვდნენ, თუ რით იყო გამოწვეული სპექტაკლის ჩავარდნა. პიესის დადგმის ნებართვა თხოვეს ავტორს, რომელიც თავიდან კატეგორიულ უარზე იყო, მაგრამ შემდეგ ჩეხოვი დაითანხმეს და თეატრის მთელი დასი შეუდგა სერიოზულ სამზადისს. ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მოხდა ის, რასაც არ ელოდა არამცთუ ავტორი, არამედ თვით დამდგმელი კოლექტივი. მაყურებელმა „თოლია“ უჩვეულო ზეიმით მიიღო, მეორე დღეს მთელი პრესა აკრელებული იყო დადებითი რეცენზიებით, აღნიშნავდნენ მსახიობთა დიდ წარმატებასაც.

პიესის ძირითადი თემაა ხელოვნებისადმი დამოკიდებულება. დრამის ავტორს აინტერესებს შემოქმედის ნიჟის განსაზღვრა მის პრაქტიკულ საქმიანობაში. როგორც ჩანს, ჩეხოვს. ეს პრობლემა დიდი ხანია აწუხებდა. მწერალი დარწმუნებული იყო, რომ ხელოვნება მხოლოდ მაშინ მოუტანდა საზოგადოებას სარგებლობას, როდესაც იგი ცხოვრებისეულ კოლიზიას ასახავდა. რაც შეეხებ დრამატურგს, რეჟისორსა და მსახიობებს მათი გამარჯვება, ჩეხოვის ღრმა რწმენით, უშუალოდ არის დაკავშირებული ნიჟთან, ასახვისა და გარდასახვის უნართან. გარდა ამისა, ხელოვანი უნდა იყოს მზად მთელი თავისი მოწოდება და უნარი მთლიანად მოახმაროს საყვარელ საქმეს. სწორედ ასეთ მაღალ მოთხოვნებს პიესაში „თოლია“ პასუხობს ნინა ზარეჩნაია, რომლის წარმატებაც ესოდენ დიდია. მაგრამ ჩეხოვი უღალატებდა რეალიზმს თუ იგი ზარეჩნაიას ბედნიერად წარმოგვიდგენდა. იმ სოციალურ წრეში, სადაც გაიზარდა და იმყოფება ზარეჩნაია, ადამიანი არ შეიძლება იყოს ბედნიერი, რადგანაც იქ ყველაფერი სიყალბეზეა აგებული, ცრუობენ და თვალთმაქცობენ ახლობლებიც. თვით მსახიობთა მეშჩანური გარემოცვა ხალასი ნიჟის პირველი მტერია.

ა. ჩეხოვის ამ დრამის წარმატების საწინდარი, უპირველეს ყოვლისა, თვით პიესის შინაარსისა და იდეური ჩანაფიქრის ცხოვრებისეულობაში უნდა ვეძიოთ. ავტორს თავად სჯერა და ჩვენც გვარწმუნებს, რომ კომფლიქტი, რომელიც საფუძვლად უდევს პიესის პერსონაჟების მოქმედებას სოციალური წარმოშობისაა და თვით საზოგადოების უკულმართი კანონებით არის განპირობებული. ამიტომ საჭიროა მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა და არა პასიური თვითდამშვიდება, რა გზასაც საშუალო ინტელიგენტი დადგომია.



თითქმის 90 წელია „თოლია“ არ ჩამოდის სცენიდან. მის წარმატებით ინსცენირებას დღესაც ახორციელებს მსოფლიოს ყველა პროგრესული თეატრი. და ეს სახეებით გასაგებია, რადგანაც ჩეხოვის მიერ პიესაში დასმული საკითხთა უმრავლესობა დღესაც აქტუალურად უღერს. განა ვინმეს დატოვებს გულგრილად ნინა ზარეჩნაიას წინააღმდეგობებით აღსავსე ტრაგიკული ცხოვრება, ისე როგორც მისი თავგანწირული ერთგულება ხელოვნებისადმი? განა შეიძლება მაყურებელმა არ განიცადოს ტრეპლიკოვის სულიერი ტკივილები, გამოწვეული მისი კეთილი, ამალღებული სურვილებისა და მათი რეალური განხორციელებას შორის გაჩენილი უფსკრულით, რომელიც თვითმკვლელობამდე მიიყვანს ამ უღანაშაულო მსხვერპლს.

უღაველ განსხვავებულია. მაგრამ არანაკლებ მტკივნეულია ტრიგორინის ტრაგედია. იგი როგორც მწერალი ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ბევრ სწორ და მისაღებ დებულებას წამოაყენებს. თვითონ რეალისტური ხელოვნების მომხრეა, მაგრამ როგორც მოღვაწემ მან თავის თავი საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოაშორა. ტრიგორინს არ აწუხებს სხვების ტრაგედია, იგი ცდილობს მხოლოდ ხელოვნებით შემოიფარგლოს. ცხადია, ასეთი გზით სიარული მას ჩიხში მოაქცევს. იფიქრება მისი შემოქმედებით: ფანტაზია. საბოლოოდ მას რჩება მიზნის მიუღწევლობით გამოწვეული ტკივილები და ტრაგედია.

რომელი ერთი სახე გინდათ აიღეთ პიესიდან და თქვენ უთუოდ აღფრთოვანებული დარჩებით დრამატურგის პოეტური ხედვით, მისი შთამაგონებელი მხატვრული სახეების ძერწვის იშვიათი უნარით. ავიღოთ თუნდაც ექიმი დორინის სახე. რამდენი სიტბო, ჭკუა და ადამიანობაა ჩაქსოვილი მასში. მისი ფართო ერუდიცია და განსწავლულება. ფაქიზი და სათნო ბუნება. კაცთმოყვარეობა და ჰუმანიზმი დღესაც ხიბლავს მაყურებელს. ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი, რომ დორინის პირობით ჩეხოვი ბევრ თავის სათქმელს ლაპარაკობს. ასეთი მტკიცებისათვის არსებობს რეალური საფუძველი...

1897 წელს ჩეხოვმა კომედია „ტყის კაცი“ გადააკეთა და ახალი სათაური მისცა „ძია ვანია“. ამ პიესის მთავარ პერსონაჟთა ტრაგედია მათ მიერვე შექმნილ ცხოვრებაში ვლინდება. ავტორი პიესაში თავის ეპოქის უაღრესად მწვავე საკითხს შეეხო. მას აინტერესებს გაარკვიოს, თუ რა მიმართებაშია შრომის პროცესი მწარმოებელთან. დრამატურგი უარყოფს შრომას, რომელიც თვითმიზნად ქცეულა და ადამიანში არ იწვევს შემოქმედებითს აღმავლობას. ასეთ შემთხვევაში, დრამატურგის სამართლიანი მტკიცებით, შრომა ადამიანის დაკნინების წყაროა. სწორედ ახტ ნეგატიურ როლს ასრულებს შრომა პიესის მთავარ მოქმედ პერსონაჟების ცხოვრებაში: ძია ვანია და სონია, მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე კეთილსინდისიერად შრომობდნენ. მაინც

ტრაგიკულად ამთავრებენ ცხოვრებას და ეს იმიტომ, რომ მათ შრომას აკლდა შემოქმედებითი მხარე, რომლის გარეშე თვით შრომა ვერ იქნება ბედნიერების მომტანი.

1900 წელს ჩეხოვმა შექმნა პიესა „სამი და“. ეს იყო ჩეხოვის დრამატული ნიჟის მორიგი გამარჯვება. პიესის ძირითადი კოლიზია საწინააღმდეგო მორალის დაპირისპირებაზეა აგებული. აქ ერთმანეთს დაეჯახა ორი რადიკალურად განსხვავებული სამყაროს მორალური და ეთიკური ნორმები. ერთ მხარეზე არიან დები პროზოროვეები და მათი ახლობლები გერშინინი და ტუზენბახი, ხოლო საწინააღმდეგო ბანაკს პროზოროვეების რძალი ნატაში წარმოგვიდგენს. ამ უკანასკნელის მტაცებლურ ბუნებას, მის მორალს დებმა პროზოროვეებმა ვერაფერი მოუხერხეს და საკუთარი პასიურობის მსხვერპლი გახდნენ. ეს მაშინ, როდესაც დები პროზოროვეები აღამიანის საუკეთესო თვისებებით ხასიათდებიან. ჩეხოვი დაუნდობელია და ბოლომდე აშიშვლებს ნატაშას მეშჩანურ ბუნებას, დრამატურგს მომაკვდინებელი განაჩენი გამოაქვს მთელი მისი სოციალური ფენისადმი, მაგრამ ვერც დების უღიმღამო, მათი ფუჭი ოცნებითა და ილუზიებით აღსავსე ცხოვრებას იზიარებს... ჩეხოვი აქტიური ცხოვრების პროპაგანდისტია, მას კარგად ესმის, რომ აღამიანმა თვითონ უნდა მოიპოვოს თავისი ადგილი.

ჩეხოვის დრამატურგიის მწვერვალია პიესა „ალუბლის ბაღი“, ეს მისი გედის სიმღერა იყო. პიესაში კრიტიკული რეალიზმი განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს. ჩეხოვი კარგად გრძნობდა რევოლუციური აფეთქების მოახლოებას, ყურადღებით ადევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა დედაქალაქებში, იყო საზოგადოების მოძრაობის საქმის კურსში. მწერლის მხნე მოქალაქეობრივი განწყობილება თავის ასახვას პოეზებს „ალუბლის ბაღში“, სადაც აშკარად იგრძნობა რევოლუციური სუნთქვა. თუმცა ავტორი არ აკონკრეტებს დადებითი გმირების ტროფიმოვისა და ანიას საქმიანობას, მაგრამ ჩვენ ვეჭვიც არ გვეპარება, რომ ისინი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლთა რიგებში იქნებიან. სწორედ ტროფიმოვი და ანია ოცნებობენ მთელი რუსეთი ბალად გადააქციონ, ხოლო აღამიანებს შორის კეთილი და სამართლიანი ურთიერთობა დაამკვიდრონ. ავტორის ოპტიმიზმიც ამ გრძნობით არის განპირობებული. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგანაც „ალუბლის ბაღი“ (1903 წელი) საზოგადოების რევოლუციური აღმავლობის პერიოდში იწერებოდა. ჩეხოვი კი, როგორც ცნობილია, სწრაფად აღიქვამდა ყოველივე ახალს, რაც მშობლიური ხალხის მომავალთან იყო დაკავშირებული. ამავე დროს, მწერალი არასდროს ყოფილა პასიური მაყურებელი, იგი ყოველთვის ცდილობდა განესაზღვრა მოვლენების განვითარების მიმართულება და გამოეცვინა თავისი დამოკიდებულება მიმდინარე პროცესისადმი. დიდი დრამატურგის სწორედ ეს აქტიური პოზიცია იპყრობს მაყურებლის ყურადღებას.

„ალუბლის ბალის“ დადებით პერსონაჟთა ოპტიმიზმი უფრო რეალური და დამაჯერებელი რომ ყოფილიყო. ჩეხოვმა პიესაში შექმნა სოციალური ფონი და იმდროინდელ რუსეთში გაბატონებულ კლასთა წარმომადგენლები წარმოაჩინა. მწერალი დაუნდობელია ისტორიულად დრომოქმულ შემამულეების მიმართ, თუმცა თავადის ასული ლუბა რანევსკაია თავისი გარეგნობით ულამაზესი ქალია და ხასიათიც საკმაოდ რბილი აქვს, მაგრამ მაინც ვერ იმსახურებს მკითხველის სიმპათიას. ასევეა უსაქმური, ფუქსავატი გაევიც. ვერც მათი ყოფილი მოურავი, ახლაც მათივე მამულის ახალი მემპატრონე ლოპახინი განაწყობს მაყურებელს თავის სასარგებლოდ. მართალია, იგი ენერგიული, საქმიანი კაცია, მაგრამ მისი საქმე წინასწარ განწირულია დასალუპავად, რადგანაც მასაც, როგორც ალუბლის ბალის ადრინდელ პატრონებს, განდიდების ვიწრო ეგოისტური მიზანი ამოძრავებს, ფიქრობს სხვისი შრომის ექსპლოატაციით გამდიდრდეს, უზრუნველყოს პირადი ცხოვრება. ხალხის ინტერესებიდან შორს მდგომი მიზანი კი, დრამატურგის სამართლიანი მტკიცებით, არ შეიძლება იყოს ბედნიერების მომტანი. ამიტომაც ლოპახინის ტრაგიკული დასასრული გარდუვალია. ბურჟუაზიული საზოგადოების კრაზის გარდუვალობის შეგრძნებას აძლიერებს აგრეთვე დადებით გმირთა ოპტიმისტური განწყობილება.

„ალუბლის ბალი“ ისე, როგორ ჩეხოვის სხვა პიესები, დღესაც დიდი წარმატებით იდგმება მსოფლიოს ყველა პროგრესული თეატრების სცენებზე. დამდგმელი რეჟისორები და მსახიობები ჩეხოვის გმირებში სულ ახალ შტრიხებს ნახულობენ, დიდი დრამატურგის ზოგადსაკაცობრიო იდეალები კვლავინდებურად ხიბლავენ მაყურებელს, რომლებიც ამ ჰუმანისტის პერსონაჟებში საკუთარი სულიერი განცდების გამოძახილს პოულობენ.

ჩეხოვის ცხოვრება, მისი შემოქმედების უქცნობი მარგალიტები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ ყველა თაობის მკითხველებზე. დიდი მწერლის ფაქიზი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სათნო პოეტური სტილი იმთავითვე აღფრთოვანებით მიიღო მკითხველმა და რაც დრო გადის, მით უფრო მიმზიდველი და მომაჯადოებელია; ადამიანისადმი რამდენი სიყვარული და სითბო იგრძნობა ამ უბადლო მხატვრის ყოველ სტრიქონში! სწორედ მოყვასისადმი დიდმა ნდობამ და სიყვარულმა აიყვანა ჩეხოვის, ერთი შეხედვით, უმტკივნეულო იუმორი მწარე სატირამდე, რათა თანამემამულეს და არა მარტო მას, შთააგონოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის აუცილებლობა. იყო რა ბუნებით რბილი ხასიათის, ჩეხოვს არსად უღალატნია პრინციპულობისათვის. დიდი ჰუმანისტი იშვიათი ტაქტიკითა და მორიდებით ახერხებდა ეთქვა მახლობლისათვისაც კი ყველაზე მწარე სიმართლე. ავტორის ეს მართალი პოზიცია ყველგან იგრძნობა, ვკითხულობთ ჩვენ მის მოთხრობებსა

თუ დრამატულ ნაწარმოებს, პირად ბარათებსა თუ პუბლიცისტურ წერილებს.

ჩეხოვის უკვდავ ქმნილებებზე აღზრდილია და კვლავაც აღიზრდება მკითხველთა არაერთი თაობა.

## მაქსიმ გორკი და ქართველი საზოგადოებრიობა

მ. გორკის შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, რევოლუციური ეპოქის რუსული ნაციონალური ხასიათის გამოძერწვაა, ხოლო ამ დიდი მწერლის ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა საკუთარი ხალხისადმი უანგარო სამსახურის განუმეორებელი ნიმუშია. გორკის შემოქმედებითი პათოსი ჭერ კიდევ ცხრაასიან წლებში გასცდა რუსეთის ფარგლებს და მოწინავე კაცობრიობის რევოლუციურ საბრძოლო ლოზუნგად იქცა. მის ნაწარმოებთა ცხოველი ძალის ზეგავლენა დღითი დღე იზრდებოდა და ამიტომ მწერალმა სიცოცხლეშივე დაიმსახურა დიდი შემოქმედისა და მოაზროვნის საპატიო სახელი.

გორკის მხატვრულ ნაწარმოებებს საზოგადოების ყველა ფენაში ყავდა მკითხველი, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დიდმა მწერალმა მშრომელთა მასებში მოიპოვა. იგი გახდა მეგრძოლი პროლეტარიატის. განუყრელი თანამგზავრი, მისი სულიერი სამყაროს მესაიდუმლე და უბადლო ამსახველი. პროლეტარიატის ცხოვრებაშივე ჰპოვა მან უშრეტი ძალისხმევა, რომლის შემეცნებამ და გათავისებამ შემოქმედების უფართოესი ასპარეზი გადაუშალა.

გორკის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ქმედითს ძალას უნარჩუნებს მის მიერ დასმული პრობლემების საყოველთაო ხასიათი და აქტუალობა. დიდმა მწერალმა უბრალოდ. ყველასათვის მისაწვდომად ილაპარაკა რუსეთისა და მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანთა სარზუნავსა და სატკივარზე. მის თხზულებებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა და იქცევს სოციალური თუ ნაციონალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული საბრძოლო განწყობილება. მწერლის მრავალფეროვანი პუბლიცისტკა დღესაც ინარჩუნებს მუდამობურ პათოსს, სადაც ავტორი დაბეჭითით მოითხოვს ადამიანთა ღირსების შემლახველ საზოგადოებრივ წყობის საბოლოო მოსპობას, მოქალაქის სრულ თავისუფლებას და მრავალ სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრას. ყოველივე ამას მწერალი გვაწვდის მაღალმხატვრულად, რეალიზტურ ფერებისა და ხერხების გამოყენებით, რაც კიდევ უფრო აქტუალურ და ცხოვრებისეულ ღვერადობას ანიჭებს მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი (მაქსიმ გორკი) დაიბადა 1868 წლის

28 მარტს ნიჟნი ნოვგოროდში. მამამისი მაქსიმ სავატის ძე პეკუჟოვი დურგალი იყო. დედა ვარვარა ვასილის ასული კაშერინა მეშჩანთა წრეს ეკუთვნოდა: პაპა დედის მხრიდან ვასილი ვასილის ძე კაშერინი ადრე ბურღაკი ყოფილა ეოლგაზე, მერე კი რამდენიმე სამღებრო სახელოსნოს მფლობელი გამხდარა. ქალაქში ერთ დროს კაშერინთა ოჯახი საკმაოდ შეძლებული ტიპური მეშჩანური ოჯახი იყო. ახლობლებიდან მომავალ მწერალზე ბებიამ დატოვა კეთილი კვალი, რომლისადმი პატივისცემის გრძნობა მას ბოლომდე გაჰყვა. გორკი ყოველთვის თბილად იხსენიებდა ადრე გარდაცვლილ მამასაც. ქვრივად დარჩენილი ვარვარა კაშერინა ასტრახანიდან მამისეულ ოჯახს დაუბრუნდა. ამ დროისათვის კი ვასილ კაშერინის მატერიალური მდგმარეობა საგრძნობლად გაუარესდა და საბოლოოდ სრული გაკოტრებით დამთავრდა. ადრე ოჯახის წევრებს შორის დამოკიდებულება მატერიალური კეთილდღეობის გამო შედარებით მშვიდი იყო. მერე და მერე, გაღატაკებისა და გაკოტრების კვალდაკვალ, ამ დიდ ოჯახში გამწვავდა ურთიერთობა, ხშირი იყო კონფლიქტი. ვასილ კაშერინის შვილები, გორკის ბიძები, ერთმანეთს გადაემტერენ. იყო ერთი აყალმაყალი, ჩხუბი, ლანძღვა-გინება. მალე დედა მეორედ გათხოვდა და ალიოშა მოხუცი მშობლების ანაბარად დატოვა. სწორედ ამ დღიდან იწყება მომავალი მწერლის მეტად მძიმე ცხოვრების გზა. შვიდი წლის ალიოშა იძულებულია საკუთარი შრომითა და ოფლით იშოვოს: პური არსებობისათვის. მომავალი მწერალი პატარაობიდანვე იჩენს მტკიცე ნებისყოფას, არ უდრკება ცხოვრების სიდუხჭირეს და 10—11 წლის ასაკში არა მარტო თავს ირჩენდა, არამედ მოხუც პაპასა და ბებისაც უზრუნველყოფდა დიდი გაჭირვებით ნაშოვნი ლუკმით.

წერა-კითხვა ალიოშას პაპამ ასწავლა. ერთი წელი სკოლაშიც კი იარა, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებულია სწავლაზე უარი თქვას, თუმცა წიგნების კითხვა არ მიუტოვებია — თვითგანათლებით ღრმა ცოდნა შეიძინა. მოგვიანებით, მის ფართო ერუდიციას და მაღალ კულტურას განცვიფრებაში მოჰყავდა აკადემიურად განათლებული ადამიანებიც კი.

გორკიმ ადრე დაიწყო საზოგადოებრივი და რევოლუციური საქმიანობა. ბავშვობიდანვე ცხოვრების ორომტრიალში მოხვედრილმა ყმაწვილმა ირწმუნა არსებული წყობილების დამხობისა და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო ამისათვის საპირო საშუალებათა ძიება. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგანაც მან საკუთარ ზურგზე გამოსცა და სოციალურად მოუწყობელი სინამდვილისა და უკუღმართი წყობის მიერ დამკვიდრებული ადამიანის ღირსების დამამცირებელი კანონების მთელი სიმწარე.

მ. გორკი ნიჟნი ნოვგოროდშივე გაიცნობს და დაუახლოვდება რადიკალურად განწყობილ ახალგაზრდობასა და პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, აქვე გადადგა პირველი წაბიჯი საზოგადოებრივ მოღვაწეობის სარბიელზე; აქედან იწყება ძიებისა

და წინააღმდეგობათა გადალახვის, განსჯისა და განკვერტის, სულიერი ტკივილებისა თუ შინაგანი აღმავლობის რთული გზა. ცხოვრების ამ ორომტრიალში გორკიმ შესძლო საკუთარი ბილიკის მონახვა, მშვენიერად დააღწია თავი სიძნელეებს და შემოქმედების ფართო ასპარეზზე გავიდა.

გორკის მტკიცედ სწამდა, რომ ცხოვრებისეული გაკვეთილები გაცილებით მეტს იძლევიან, ვიდრე წიგნები და ამიტომ მოთხოვდა ახალგაზრდა მწერლებისაგან სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას. გორკის რწმენით, უშუალოდ გაცდილი სამყარო უფრო ღრმაა და მეტ ხანს ამახსოვრდება ადამიანს. ეს შეხედულება დიდმა მწერალმა კიდევ უფრო გამოკვეთილად ჩამოაყალიბა 1933 წელს, რომენ როლანისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც ვკითხულობთ: თქვენ იცით, მე მარქსისტი ვარ, არა იმიტომ, რომ წამიკითხავს მარქსი... საერთოდ წიგნებში მე ვეძებ არა ჭკუის სწავლებას, არამედ იმ დიდ სიამოვნებას, რომელსაც გონების სილამაზე და ძალა იძლევა. სიცრუე, ორპირობა და სხვა ბინძური საშინელებანი კლასობრივი წყობისა მე უშუალოდ აღვიქვი ცხოვრებისეული მოვლენებისაგან, ყოფიერების ფაქტებისაგან. ამიტომ ის, რაც ჩვენს დროში ხდება, მართალია, ზიზღს მიღვიძებს, მაგრამ მაინცდამაინც არ მაკვირვებსო<sup>1</sup>.

1884 წელს გორკი ნიჟნი ნოვგოროდიდან ყაზანში ჩავიდა. თექვსმეტი წლის ყმაწვილი უნივერსიტეტში შესვლაზე ოცნებობდა, მაგრამ ოცნება ოცნებადვე დარჩა. თვითმპყრობელურ რუსეთში არამცთუ უმადლესი, არამედ საშუალო სასწავლებლის კარებიც იშვიათად იღებოდა იმ საზოგადოებრივ ფენის წარმომადგენელთათვის, გორკი რომ ეკუთვნოდა. სამაგიეროდ მომავალ მწერალს ცხოვრების უნივერსიტეტმა ფართოდ გაუღო კარი.

გორკი ყაზანში დაუახლოვდა პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდობას; შევიდა ხალხოსან ინტელიგენტთა წრეში და ერთხანს გატაცებით ისმენდა იმ ადამიანთა ნაამბობს, რომლებსაც უკან ჰქონდათ მოტოვებული კატორღებში გატარებული უმძიმესი წლები, მაგრამ ამჭერადაც ახალგაზრდული ენერგიით ნათელი იდეალებისაკენ მიისწრაფოდნენ. ასეთ ადამიანთა პირად მაგალითს არ შეეძლო გარკვეული გავლენა არ ჰქონოდა ახალგაზრდა პეშკოვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამიტომ ბევრ მათგანთან გორკის ახლო ურთიერთობა არ გაუწყვეტია ცხოვრების მთელ მანძილზე. ეს ურთიერთობა გაგრძელდა მაშინაც, როდესაც გორკი საბოლოოდ დარწმუნდა ხალხოსნების იდეურ შეცდომასა და მათ მიერ აღიარებულ ბრძოლის საშუალებათა უსუსურობაში. გორკიმ მძიმედ განიცადა ხალხოსნებში იმედის გაცრუება. პროლე-

<sup>1</sup> М. Горький, Собрание Сочинений в тридцати томах, т. 30, М., «Наука», 1955, с. 309.

შემდგომშიც, გარდა ცალკეული შემთხვევისა, ამ გამოცემაზე მივუთითებთ.

ტარიტის მომავალმა დიდმა მწერალმა, მაშინ სრულიად ახალგაზრდამ, ინტუიციით იგრძნო, რომ ხალხოსნებს მომავალი არ ეკუთვნით და მათი იდეური კრაზი გარდუვალი იყო. ხალხოსნებთან ურთიერთობის გარკვევაში გორკის უთუოდ დაეხმარა ე. ფედოსეევი, რომელსაც ის შეხვდა არალეგალურ შეკრებაზე. ფართოდაა ცნობილი, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევს. ნ. ფედოსეევს ვ. ი. ლენინი, რომელიც მას, როგორც რუსეთის პირველ მარქსისტთა ნიკიერ წარმომადგენელს, თავის ერთ-ერთ მასწავლებლადაც კი თვლიდა.

გორკიმ 1888 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ რაც კულაკებმა სოფელ კრასნოვიდოვოში დაწვეს ხალხოსანი მ. ა. რომასის დუქანი, სადაც თვითონაც მუშაობდა, მიატოვა ის და ასტრახანში ჩავიდა, ერთხანს კასპიის ზღვის სანაპიროზე მეთევზეებთან მუშაობდა, ხოლო შემდეგ ცარიცინში გაემგზავრა და მ. ი. ნაჩალოვის დახმარებით მოეწყო რკინიგზის სადგურდობრინკაში ლამის დარაჯად, აქედან ის გადაიყვანეს სადგურ ბორისოვლებსკში. 1889 წლის იანვარში ეს სადგურიც დატოვა. მოგვიანებით გორკი მუშაობს მწონაუდ სადგურ კრეტაიაში, ხოლო აპრილის შუა რიცხვებში მიემგზავრება იასნაია პოლიანაში, რათა ლ. ნ. ტოლსტოის სთხოვის მიწის ნაკვეთი და ჩამოაყალიბოს სამიწათმოქმედო კოლონია. ამჯერადა გორკი ვერ შეხვდა ტოლსტოის და დაბრუნდა ნიჟნი ნოვგოროდში, სადაც დაუახლოვდა რევოლუციონერებს ა. ვ. ჩეკინსა და ს. გ. სომოვი. მათთან ერთად ცხოვრობდა ერთ ბინაში, თვითონ ეწეოდა მოწინავე იდეების პროპაგანდას და ხშირად ჩადიოდა ყაზანში. იქ თავის აღრიზნულ მეგობრებს ხვდებოდა. ოქტომბრის შუა რიცხვებში ა. ჩეკინის, ს. სომოვისა და ა. პეშკოვის ბინა გაჩხრიკეს, ახალგაზრდა პროპაგანდისტი დააპატიმრეს. ეს იყო გორკის პირველი დაპატიმრება. მომავალი მწერალი განთავისუფლების შემდეგ ჯერ იმყოფებოდა პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო შემდგომში ეს ზედამხედველობა შეცვალეს ფარული მეთვალყურეობით, რაც არ მოცილებია მწერალს ოქტომბრის რევოლუციამდე. ციხიდან განთავისუფლებული ა. პეშკოვი ბევრს კითხულობდა, მონდომებით მუშაობდა თავის თავზე, ქიმიკოს სტუდენტ ნ. ზ. ვასილიევის დახმარებით ეუფლებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, სწავლობდა ფილოსოფიას და ა. შ. მაგრამ გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ადრე გაუჩნდა სურვილი ნახოს სად ცხოვრობდა, ცოდნოდა თუ ვინ იყო მის გარშემო. ამ წყურვილის დაკმაყოფილების მიზნით 1891 წლის გაზაფხულზე იგი ტოვებს ნიჟნი ნოვგოროდს, ვოლგით დაემევა ცარიცინამდე და დაიწყო რუსეთის სამხრეთში ფეხით მოგზაურობა. იმავე წლის 1 ნოემბერს თბილისსაც მიაღწია და თითქმის ერთი წელი იცხოვრა საქართველოში.

თბილისში და საერთოდ საქართველოში გატარებული ერთი წელი მ. გორკის ცხოვრებაში გარდატეხის პერიოდად ითვლება. აქ დაიწყო პროლეტარიატის დიდი მხატვრის პოეტური აკვანი. აქ დაიწერა და გა-

მოქვეყნდა გაზეთ „კავკაზში“ გორკის პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, აქვე შექმნა მან რიგი მოთხრობებისა, რომლებიც მოგვიანებით დაიბეჭდა, თბილისშივე დაიწერა ახალგაზრდა გორკის ბრწყინვალე პოეტური ქმნილება „ქალიშვილი და სიკვდილი“.

საქართველოში გატარებული წელი გორკის იდეური ჩამოყალიბების საქმეშიც გარდამტეხი აღმოჩნდა. აქ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ბევრად განაპირობეს პროლეტარიატის დიდი მოძღერლის მსოფლმხედველობის თავისებურებაც. მართალია, გორკი აღრეც შეხვედრია მუშებს, დაუმყარებია მათთან კონტაქტი, მაგრამ რევოლუციური ტრადიციების მქონე. ნამდვილად მოწინავე პროლეტარიატს ის პირველად მხოლოდ თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში შეხვდა, სადაც თვითონ ჯერ უბრალო მუშად მოეწყო, ხოლო შემდეგ აღმრიცხველადაც მუშაობდა. თბილისში გორკი მთელი ვატაცებით ჩაება საზოგადოებრივ მოძრაობაში, ის ხშირად გამოდიოდა რევოლუციური იდეების პროპაგანდისტად. იმდროინდელ კრასნოგორსკის ქუჩაზე (ახლა მ. გორკის ქუჩა ოქტომბრის რაიონში) გორკის ინიციატივით ჩამოყალიბდა „კომუნა“. აქ გამართულ საღამოებზე დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. გორკი მოხსენებებით გამოდიოდა ქალაქის სხვადასხვა უბანშიც, მისი მსმენელი აუდიტორია მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ძირითადად მუშა ახალგაზრდობისაგან შედგებოდა.

თვითონ გორკი თბილისში ყოფნის დროსაც ბევრს კითხულობდა, პირველად აქ მიიღო მან რევოლუციური ნათლობაც, როგორც არალეგალური წრის ორგანიზატორმა. გორკი მაშინ დაუახლოვდა ჩულურეთის რევოლუციურ ორგანიზაციას, სადაც მას ამარაგებდნენ აკრძალული ლიტერატურითაც. ამ წრის ხელმძღვანელის ა. ლეჟავას სახე მწერალს სამუდამოდ დაამახსოვრდა და მასთან რევოლუციის შემდეგაც ახლო მეგობრობა ჰქონდა. თბილისში გორკიმ გაიცნო რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა. ბევრ მათგანთან ურთიერთობა მწერალს შემდგომშიაც არ გაუწყვეტია. მის მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვეს ე. ნინოშვილმა, ძმებმა გოლა და შიო ჩიტაძეებმა, ი. ჯაბაღარამა, მ. ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ, ს. ალილუევამ და ბევრმა სხვამ. აქვე ის შეხვდა თავის ძველ ნაცნობს მ. ნაჩალოვს, გაიცნო ა. კალიუჟინი, ე. ფლეროვსკი, ი. დანკო, ფ. აფანასიევი და სხვები, რომლებმაც გორკის ცხოვრებაში საკმარის მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. მათი მადლიანი სახე დიდ მწერალს არასოდეს დავიწყებია და ყოველთვის მოკრძალებით იხსენებდა თბილისელ მეგობრებს.

გორკი ჩვენში ყოფნის დროსაც აგრძელებს მოგზაურობას, ფეხით შემოიარა მთელი საქართველო, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა მისი შთაბეჭდილებები. გორკიმ მაშინ იმოგზაურა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. იყო თელავში, ხაშურში, ქუთაისში, გურიაში, სოხუმში და სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ამ მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებები ისე უხვი აღმოჩნდა, რომ მწერლის შემოქმედებითს ფანტაზიას



ასაზროვებდნენ მოღვაწეობის თითქმის მთელ მანძილზე. საქართველოში შაშინ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, ჩვენი ქვეყნის წარმტაცმა ბუნებამ, ქართველი ხალხის ცხოვრებამ, ზნე-ჩვეულებებმა მეტ-ნაკლები სისრულით ასახვა პოვეს გორკის მთელ რიგ ნაწარმოებებში. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „შურისძიება“, „ჩემი თანამგზავრი“, „შეცდომა“, „ყაჩაღები კავკასიაში“, „სილამაზე“, „კალინინი“, „პირველ სიყვარულზე“, „ადამიანის დაბადება“ და სხვ. დიდ მწერალს არასოდეს დავიწყებია საქართველოში 1891—1892 წლებში გატარებული დღეები, ის ყოველთვის აღფრთოვანებით, ამავე დროს, გარკვეული მელანქოლიური სევდით იგონებდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის ეამს და მოკრძალებით ლაპარაკობდა ქართველი ხალხის რომანტიკულ სულზე, რომელმაც მასზე წარუშლელი ზეგავლენა იქონია: „ულამაზესი დღესასწაულია. — წერდა გორკი 1931 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის იუბილესთან დაკავშირებით, — რომელსაც მინდოდა დავსწრებოდი უბრალო მაყურებლად და კიდევ ერთხელ მომეგონებინა საქართველო ისეთი, როგორც მინახავს ის ორმოცი წლის წინათ. მომეგონებინა თბილისი — ქალაქი. სადაც დავიწყე ლიტერატურული შემოქმედება.

მე არასოდეს არ მაგიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე. რომელზედაც ვადგივარ ავერ მეოთხე ათეული წელია. შეიძლება იფიქრო, რომ ქვეყნის ულამაზესმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სიფაქიზემ — სწორედ ამ ორმა ძალამ მომცეს ბიძგი, რომელმაც მაწანწალიდან ლიტერატორი გამხადა“.

1892 წლის სექტემბრის ბოლოს გორკიმ დატოვა თბილისი და მწიგნობრივ ნიენი ნოვგოროდს მიაშურა. მაგრამ ახლა უკვე ის თავის ქალაქში ჩავიდა როგორც მწერალი, რომლის პირველმა მოთხრობამ მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. გორკის შემოქმედების უაღრესად საპასუხისმგებლო გზაზე უკვე აღებული ჰქონდა საგზური. მაგრამ წინ იყო ახალი უძილო დამეები, ძიებისა და ჭეშმარიტების მარცვლის მიკვლევით გამოწვეული სასიამოვნო გულის ძგერა. მიუხედავად იმისა, რომ გორკის მიერ არჩეული გზა უაღრესად რთული იყო. მწერალი არ შეუშინდა სიძნელებს და გაბედულად მიიწევდა წინ. ვერც მატერიალურმა სიძნელებებმა და ვერც შეუწყვეტელმა დევნამ ვერ გასტეხეს დიდი ჰუმანისტი და მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს მოახმარა.

გორკის, როგორც ნოვატორი-მწერლის ავტორიტეტი ზღაპრული სისწრაფით იზრდებოდა და უკვე 1898 წელს, როდესაც გამოვიდა მისი ორტომიანი კრებული. მთელ ცივილიზებულ სამყაროს დიდ მწერლად მოეკლინა. მის ნაწარმოებებზე ალაპარაკდა მკითხველთა ფართო საზოგადოება. გორკის ლიტერატურული ავტორიტეტის ზრდასთან ერთად იზრდება მისი საზოგადოებრივ მოღვაწეობის მნიშვნელობაც, ის საბოლოოდ პრო-

ლეტარიატის თანამებრძოლი და სულიერი მესაიდუმლე გახდა. რა თქმა უნდა, თვითმპყრობელობის ბურჟებს სრულიად არ აწყობთ „ურჩი“ მწერლის ასეთი დიდი წარმატება საზოგადოების სწორედ იმ ფენებში, რომელთა მიმართ ზიზღითა და შიშით არიან გაყდენილნი. ამიტომ მეცის მოხელეები მონდომებით ეძებდნენ საბაბს, რათა იერიში მიეტანათ ახალგაზრდა მწერალზე, შური ეძიათ მათთვის არასასურველ შემოქმედზე. ასეთი მომენტიც დადგა. თბილისში დააპატიმრეს გორკის თანამებრძოლი ფ. აფანასიევი, ჟანდარმერია თავგამოდებით ეძებდა ხელმოსაკიდებელს, რათა გაება ბინძური ქსელი და ჩაეთრია დაპატიმრებულთა საქმეში მწერალიც. მართალია, ხელმოსაკიდი ფაქტები ტანტის ერთგულ დარაჯებს არ აღმოაჩნდათ, მაგრამ გორკი მაინც დააპატიმრეს და 1898 წლის 11 მაისს თბილისში ჩამოიყვანეს. ამ დროისათვის უკვე დასნეულებული მწერალი მეტეხის ციხეში მოათავსეს. ჟანდარმი კონისკი ცდილობდა გორკი დამნაშავედ გამოეყვანა, მაგრამ ყოველივე უშედეგო აღმოჩნდა. თვითონ გორკი, ისევე როგორც მისი მეგობრები, ფრთხილობდნენ, ჟანდარმთა ერთგულება არ აღმოჩნდა საკმარისი „დანაშაულის“ დასამტკიცებლად. თუმცა კონისკი დარწმუნებული იყო, რომ აფანასიევისა და სხვა დაპატიმრებულთა წრეში გორკის დიდი გავლენა ჰქონდა, მიუხედავად ამისა სათანადო საბუთებს ვერ მოუყარა თავი, გარდა ამისა საქმეში ჩაერია პეტერბურგის მოწინავე ინტელიგენცია და ის იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა იგი პატიმრობიდან. მწერალს განსაკუთრებული ზედამხედველობა დაუწესეს.

გორკი 1899 წლის 29 სექტემბერს პირველად ჩავიდა პეტერბურგში. პეტერბურგის ლიტერატორები აღფრთოვანებით შეხვდნენ მას, მაგრამ თვითონ მწერალს არ მოსწონდა მისდამი გადამეტებული ყურადღება და ამ შეხედულებას არც მალავდა. პეტერბურგში მ. გორკი დაუახლოვდა მოწინავე ინტელიგენციას, სტუდენტობას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ გამოსვლებში და ა. შ.

იმავე 1899 წელს ეურნალ „ცხოვრებაში“, რომელიც ვ. ი. ლენინმა დადებითად შეაფასა, დაიბეჭდა გორკის პირველი დიდტანიანი რომანი „თომა გორდეევი“. ამ წლიდანვე იწყება მისი ნაწარმოებთა ინტენსიური თარგმნა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ენებზე. ამავე წელს გამოჩნდა პირველი უცხოური თარგმანიც. გორკის ნაწარმოები პირველად ქართულ ენაზე აყდერდა იმავე 1899 წელს. ეურნალ „კვალის“ 39-ე ნომერში დაიბეჭდა ირ. ევლოშვილის მიერ თარგმნილი მწერლის პამფლეტური ხასიათის თეთრი ლექსი „სიმღერა შვეარდენზე“.

მართალია XIX ს. 90-იან წლებში გორკიმ საერთო აღიარებას მიაღწია, მაგრამ მისი დიდი წარმატება თანხედენილია რევოლუციის შემდგომ აღმავლობასთან. ცხრაასიან წლებში გამოიკვეთა მწერლის იდეური ზრდის ახალი ასპექტი, საოცრად გაფართოვდა მისი შემოქმედებითი ჰორ-

რიზონტი, მწერლის მხატვრულმა სახეებმა ბევრად მეტი კონკრეტულობა და დამაჯერებლობა მიიღეს.

1900 წლის ზაფხულში გორკი ა. ჩეხოვთან, მხატვარ ვ. ვასნეცოვთან, ა. ლექსინთან და სხვებთან ერთად მესამედ ჩამოდის საქართველოში. სტუმრებმა ორ კვირაზე მეტი დაჰყუეს ჩვენს ქვეყანაში, დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები, თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მცხეთაში და ა. შ.

სამშობლოში დაბრუნებული მწერალი მთელი მონდომებით აგრძელებს როგორც შემოქმედებით, ასევე საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ინტენსიურად მუშაობს მხატვრულ ტილოებზე. მან გადადგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი დრამატულ ჟანრშიაც, რომელიც 1901 წელს პიესა „მეშხანების“ შექმნით დაგვირგვინდა. აქედან მოკიდებული, განსაკუთრებით კი პიესის „ფსევრზე“ შექმნიდან, იწყება დრამატურგიის ისტორიაში ახალი ეტაპი. გორკის პიესებმა თავის დროზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, კამათი ზოგჯერ ცხარე ხასიათისა იყო, მაგრამ საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ შექმნილია ნოვატორული ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური დრამატული ტილოები, რომლებიც იდეური შინაარსითა და ახალი ფორმით უფრო ღრმად წვდებიან ცხოვრებისეულ მოვლენებს და სინამდვილეს უფრო დამაჯერებლად ასახავენ. შემთხვევითი როდია, რომ გორკის პირველი ნაბიჯები დრამატულ ჟანრში დაემთხვა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ აღმავლობას. მწერალმა კარგად იცოდა ამ ჟანრის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი მოძრაობის აღმავლობის პროცესში. დრამატურგის პიესებს არა მარტო კითხულობდნენ, არამედ ისინი სცენაზე იდგმებოდა და დიდძალი მაყურებელიც ჰყავდა. გორკის პიესების მხატვრული სახეები, მათი მებრძოლი პათოსი ისე უშუალოდ ეხმიანებოდა სინამდვილის მოთხოვნებს, რომ სპექტაკლების შემდეგ პოლიტიკური დემონსტრაციები იმართებოდა. მაყურებლების საპროტესტო გამოსვლებმა გრანდიოზული მასშტაბი მიიღო, რის გამოც შეფის მოხელეები ვერ მალავდნენ შიშსა და შეშფოთებას. სხვა ვერაფერი მოიგონეს, გამოსავალს პიესების წარმოდგენის აკრძალვაში ეძებდნენ. მაგრამ შეფის ჟანდარმთა ცდა ამო აღმოჩნდა. პიესებმა მთელი რუსეთის სცენები შემოიარეს და დიდი წარმატებაც ხვდა წილად. ამ პიესებს მაყურებელი საზღვარგარეთაც განსაკუთრებული ინტერესით შეხვდა.

1901 წელს გორკის წინააღმდეგ იწყებენ ახალ „საქმეს“. მას ბრალად ედებოდა მიმეოგრაფის შექმნა, სორმოვოს მუშებისადმი პროკლამაციებისა და მოწოდებების დაბეჭდვა, სტუდენტთა მოძრაობებში აქტიური მონაწილეობა და სხვა. ყოველივე ამის გამო მწერალი დევნას განიცდიდა და 16 აპრილს კიდეც დააპატიმრეს. მაგრამ რეპრესიებმა გორკი არათუ შეაშინა, არამედ უფრო დიდი მონდომებით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. მწერალი ნიჟნი ნოვგოროდში გადმოსახლებულ პოლიტიკურ

პატიმართა იდეური ხელმძღვანელი გახდა, ეხმარებოდა მათ მატერიალურად და მორალურად.

თითქმის ორი წელი გაგრძელდა გორკის „საქმის“ ძიება, მაგრამ ჟანდარმერია როგორც წინააღმდეგობას, ამჯერადაც წააწყდა პროგრესული საზოგადოების გაბედულ წინააღმდეგობას. ლენინური „ისკრა“ მოითხოვდა მწერლის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, ასეთივე ლოზუნგებით მთელ რუსეთში ეწყობოდა საპროტესტო დემონსტრაციები, თვითონ ნიჟნი ნოვგოროდში არ წყდებოდა ახალგაზრდების გამოსვლები, მიტინგები და მანიფესტაციები, პოლიციის დეპარტამენტი და ჟანდარმერია ამჯერადაც იძულებული იყო, საკითხის უფრო მეტად გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, ძიება შეეწყვიტა. მწერალი კვლავ საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

1903 წლის ზაფხულში გორკი მეოთხედ ჩამოდის საქართველოში. ახლა მას თან ახლდნენ მეუღლე ე. პეშკოვა, გამოძევებულა „ზნანის“ დირექტორი კ. პიატნიცი და სხვა. ჩვენში მწერალს ყველგან აღტაცებით ხვდებოდნენ. იმდროინდელმა ადგილობრივმა პრესამ სათანადოდ გააშუქა მწერლის ჩამოსვლა და მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

გორკი და მისი მეგობრები თითქმის ერთ თვეს დარჩნენ საქართველოში. მწერალმა გზის დიდი ნაწილი ფეხით გაიარა. ყურადღებით აკვირდებოდა საქართველოს ცხოვრებას. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ნაციონალური საკითხისადმი, მატერიალურად ეხმარებოდა როგორც სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტს, ასევე აქ პარტიის ცალკეულ წევრებს, ესწრებოდა არალეგალურ კრებებს. 24 და 25 ივნისს იგი დაესწრო სპეციალურად მის საპატივცემულოდ თბილისში გამართულ წარმოდგენას. უჩვენეს მისივე პიესა „ფსევრზე“, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მწერალი ეწვია ბათუმს, სოხუმს, ბორჯომს, აბასთუმანს, ქუთაისს, აქედან კი რაჭისაკენ განაგრძო გზა. ხოლო მამისონის უღელტეხილის გავლით, 16 ივლისს, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩავიდა. გარდა იმისა, რომ ინტერესს იჩენდა საქართველოს მუშათა მოძრაობისადმი, მას სურდა რაც შეიძლება ახლოს გასცნობოდა საქართველოს კულტურას, ახალი დაკვირვებებით გაემდიდრებინა ადრე მიღებული შთაბეჭდილებები.

დიდი მწერლის ასეთი ყურადღება ქართული კულტურისადმი მოწინავე საზოგადოებამ სათანადოდ დააფასა, ჩვენმა ხალხმა სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხა. როგორც კი გამოქვეყნდებოდა დიდი მწერლის მოთხრობა, ის თითქმის პარალელურად ქართულად ითარგმნებოდა და ჩვენ მკითხველთა აღფრთოვანებას იწვევდა, 1902 წელს ქართული ენაზე ზედიზედ გამოვიდა გორკის მოთხრობათა ორი კრებული. პერიოდულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა მწერლის ისეთი დიდტანიან ნაწარმოებთა თარგმანები, როგორიცაა რომანები „თომა გორდეევი“ და „სამნი“. რაც შეეხება ქართულ პროგრესულ კრიტიკას, ის ხომ გორკის ცხოვრებისა თუ შემოქმედების არცერთ რამდენადმე მნიშვნელოვან მოვლენას

რეაგირების გარეშე არ ტოვებდა. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელმა ქართულმა კრიტიკამ ძირითადად სწორად შეაფასა მწერლის შემოქმედება. ქართველმა კრიტიკოსებმა მაღალი შეფასება მისცეს გორკის ნაწარმოებთა ნოვატორულ ხასიათს, მათ ოპტიმისტურ უღერადობას. საგანგებოდ აღინიშნა რევოლუციის დიდი მომღერლის შემოქმედების საბრძოლო პათოსი, მისი პუბლიცისტური ნაწარმოებების მნიშვნელობა.

1905 წლის რევოლუციის მომზადებაში გორკის პატარა წვლილი როდი მიუძღვის. მაგრამ თვით რევოლუციური სინამდვილე მწერლისათვისაც აუცილებელი შეიქმნა. მუშათა კლასის გმირულმა შემართებამ, აჯანყებულ დედაქალაქების ბარიკადებზე მებრძოლთა ერთსულოვნებამ ბევრი რამ ახლებურად დაანახა მწერალს, დაკონკრეტდა და ხორცი შეისხა მისმა იდეალმა. ახლა უკვე მის წინაშე მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და ინტელიგენცია სულ სხვა კუთხით წარმოდგა. მან დაინახა და მხატვრულ სახეებში ჩააქსოვა ისტორიის მამოძრავებელი ძალის მანამდე შეუმჩნეველი თავისებურებები. პროლეტარიატი, იბრძოდა რა სინამდვილის გარდაქმნისათვის, თვითონაც იცვლებოდა. ზღაპრული სისწრაფით ყალიბდებოდა მშრომელებში ახალი. ქვეყნის პატრონისათვის აუცილებელი თვისებები. რევოლუციურმა სინამდვილემ რადიკალური გარდაქმნები გამოიწვია თვით ადამიანის ბუნებაში. ეს პროცესი პირველად მსოფლიო ლიტერატურაში გორკის მიერ იქნა ასახული სოციალისტური რეალიზმის ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა რომანი „დედა“. პიესა „მტრები“ და სხვა. თუ ლენინის თქმით ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იყო 1905 წლის რევოლუციის გარეშე, ასევე წარმოუდგენელია პელაგია ნილოვნას. პავლე ვლასოვის და სხვა რევოლუციონერთა მხატვრული სახეების შექმნა ამ „გენერალური რეპეტისის“ გაუვლელად.

აღსანიშნავია, რომ 1905 წლის მოსკოვის დეკემბრის გმირული აჯანყების მომზადებაში გორკიმ უშუალო მონაწილეობა მიიღო. ის ხშირად გამოდიოდა მოხსენებებითა და ლექციებით, მახვილი კალმითა და სიტყვით მოუწოდებდა ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მეფის მოხელეებს არ გამორჩენიათ ციხიდან პირობით ახლახან გამოშვებული მწერლის საქმიანობა (მ. გორკი დაპატიმრეს 1905 წლის იანვარში, რევოლუციური მოწოდების შედგენისათვის, რომელშიაც ამხელდა 9 იანვრის საშინელებას და მუშებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა). მეფის ჯალათები ცდილობდნენ ფიზიკურად გასწორებოდნენ დიდ მწერალს, ვერაგულად თავს დასხმოდნენ რევოლუციის დაუცხრომელ მომღერალს. მოსკოვის კომიტეტის სპეციალური დადგენილებით გორკის და სხვა გამოჩენილი მოღვაწეების დასაცავად გამოიყო შეიარაღებული მებრძოლი რაზმები, რომლებსაც ევალებოდათ რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობის დაცვა შავრაზმელთა მოულოდნელი თავდასხმისაგან. გორკისა და მისი ბინის დაცვის საპატიო მოვალეობა ქართველ

რაზმელებს დაევალოთ ვასო არაბიძის მეთაურობით. ქართველი რაზმელები თითქმის ერთი თვე იცავდნენ დიდი მწერლის ბინას მოულოდნელი დარბევისაგან, მწერალი დაუახლოვდა ქართველ რაზმელებს, რომლებთან ურთიერთობა შემდგომშიაც გაგრძელდა.

დეკემბრის აჯანყების მომზადების პერიოდში გორკი პირველად შეხვდა ვ. ი. ლენინს. ეს მოხდა პეტერბურგში 1905 წლის 27 ნოემბერს. ლ. კრასინმა მ. გორკი და ვ. დენსიცი გამოიძახა მოსკოვიდან, რათა ვ. ი. ლენინისათვის მოეხსენებინათ. თუ როგორ ემზადებოდა მოსკოვის კომიტეტი შეიარაღებული აჯანყებისათვის, რამდენად ძლიერი იყო მუშათა საბრძოლო განწყობა და მათი მორალური სიმტკიცე. მართალია, ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა მ. გორკის შემოქმედებას, ჰქონდა წერილობითი კავშირი დიდ მწერალთან, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს პროლეტარიატის მხატვრის ზრდას, მაგრამ ამიერიდან საფუძველი ჩაეყარა ეპოქის ორი დიდი ადამიანის პირად მეგობრობას, მათი ურთიერთობა იყო საქმიანი, პირდაპირი და პრინციპული, ამავე დროს, მაღალი ადამიანური, კითხილი და ზედმიწევნით თბილი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის ცნობილი გახდა, რომ მეფის მთავრობა დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ ამზადებდა პროლეტარიატის დიდ მწერალზე ვერაგულ თავდასხმას და მას ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა. პარტიის დავალებით და მოთხოვნით გორკი სტოვებს რუსეთს, ერთხანს ფინეთში ცხოვრობს, შემდეგ ბერლინზე გავლით საფრანგეთში ჩადის. აქ ლიბერალურ გაზეთებში აქვეყნებს საფრანგეთის მთავრობის მამხილებელ წერილებს, მოუწოდებს ფრანგ ხალხს აიძულოს საკუთარი მთავრობას ზელი აიღოს თვითმპყრობელური რუსეთის დახმარებაზე, რომელიც საფრანგეთიდან მიღებული სახსრებით სისხლის ტბორებში ახრჩობს მუშათა მოძრაობას. საფრანგეთიდან მწერალი ამერიკაში გაემგზავრა. აქ ის ფიქრობდა დიდხანს დარჩენილიყო და რუსი კლასიკოსების გამოცემებით პარტიული სალაროსათვის სახსრები დაეგროვებინა. გორკის მამხილებელმა პუბლიცისტურმა წერილებმა გამოააშკარავეს ამერიკელ კაპიტალისტთა ორპირობა და თვალთმაქცობა, მათი ნამდვილი მტაცებლური ბუნება. ადგილობრივმა ბურჟუაზიამ დაიწყო ბინძური მაქინაციები და მწერლის უშვერი ლანძღვა, უხეშად ესხმოდა თავს და აიძულა იგი დაეტოვებინა ამერიკა.

გორკი იტალიაში კუნძულ კაპრზე ჩასახლდა, ვინაიდან რუსეთში დაბრუნების საშუალება მას უკვე აღარ ჰქონდა. ის პოლიტიკურ ემიგრანტად გამოაცხადეს და სამშობლოში ჩამოსვლის უფლება არ მისცეს.

გორკის ადრინდელ შემოქმედებაში გვხვდება როგორც რომანტიკული, ისე რეალისტური ნაწარმოებები. ახალი შემოქმედებითი მეთოდი კი, რომელიც თვითონ მწერალმა მოგვიანებით ჩამოაყალიბა, ამ ორ ძირითად ნაკადს შთლიანობაში წარმოგვიდგენს. რომანტიზმი და რეალიზმი საზოგადოებრივი ცნობიერების ობიექტური მოვლენებია და თუ მათ შორის

ზოგჯერ დისონანსი შეიმჩნევა, ეს გამოწვეულია საზოგადოების ტალღისებური განვითარებით. ცხადია, რომანტიზმსა და რეალიზმს შორის წინააღმდეგობების ძეგნა, რასაც ასე გულმოდგინედ ცდილობდნენ ბურჟუაზიის იდეოლოგები. სრულიად უსაფუძვლოა. ცხოვრებაში მეტ-ნაკლები სისრულით ყოველთვის გვხვდება როგორც ერთი, ისე მეორე და ამიტომ მწერალს თუ ძალუძს სინამდვილის ობიექტური ასახვა, მან აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიოს ამ ერთიანი მოვლენის ორივე მხარეს.

ახალი მეთოდის, ისე როგორც ამ მეთოდით შექმნილი ლიტერატურის ფუძემდებლად მთელ მსოფლიოში, სრულიად სამართლიანად, გორკია აღიარებული. მან მოგვცა ახალი ტიპის მხატვრული ტილოები, რომლებმაც სიტყვაკაზმულ მწერლობაში შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურს მი-აღწიეს. გორკის ლიტერატურული მემკვიდრეობის თავისებურებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ მის ნაწარმოებებში სინამდვილემ მანამდე მიუწვდომელი, ბევრად უფრო სრულყოფილი, ფილოსოფიურად ღრმა და კლასობრივად გააზრებული ასახვა პოვა.

ცხოვრების დიალექტიკური აღქმით, მწერალმა შეძლო მისი გარდაქმნის კანონზომიერება ეჩვენებინა, რის შედეგადაც გორკის შემოქმედებაში საზოგადოების განვითარება პერსპექტიულად მზარდი და დინამიკურად ცვალებადი წარმოგვიდგა. მისი შემოქმედების მაგალითზე ცხადი გახდა, რომ ახალმა შინაარსმა და შემოქმედებითმა მეთოდმა შესაფერისი ფორმის გამომუშავება მოითხოვეს. ამავე დროს, საბჭოთა მწერლებმა მხატვრული ასახვის ძირითად ობიექტად მშრომელი ადამიანი აქციეს მთელი თავისი მდიდარი ინტერესით. გორკის ლოზუნგი — „ადამიანი ეს ყველაფერია, ადამიანი — დიდებულად უღერს“ — საბჭოთა ლიტერატურის განვითარების შემოქმედებით პროგრამად იქცა და ძირითადად განაპირობა მისი თავისებურებაც.

გორკის აღრინდელი ნაწარმოებები „ქალიშვილი და სიკვდილი“, „სიმღერა შევარდენზე“, „მოხუცი იზერგილი“, „შაკარ ჩუდრა“, „სიმღერა ქარიშხალაზე“ და სხვა, მკითხველს ხიბლავს მოქმედ პირთა ძლიერი ხასიათებით და თავისუფლებისაკენ სწრაფვით. მწერალმა ამ ნაწარმოებებში რკინისებურ ნებისყოფას დაუპირისპირა ობივატელური მორალი. მონური „ფილოსოფია თვითდამშვიდებისა“. მეშხანური ორპირობა, სიმბ-დალე და შიში ახლის წინაშე და სხვა. ლოიკო ზობარის, რადას, შევარდენისა და ქარიშხალას მხატვრული სახეები დღესაც აჭადრობენ მკითხველებს ძლიერი. შეუპოვარი ხასიათით და მოუსვენარი ბუნებით. ამავე ნაწარმოებებში გორკიმ მოგვცა სინათლის უკუნეთთან ბრძოლის პათოსი, ახლის, მონინავის დაპირისპირება რეაქციულთან. რამდენის მთქმელია ჭიჭიკავის სიმღერა „გაზაფხულის მელოდოებში“. ეს ხომ ოპტიმიზმის უმაღლესი გამოვლინებაა. ამ ალემგორიული სურათით იწყებოდა „სიმღერა ქარიშხალაზე“.

გორკიმ, ჭერ კიდევ დამწყებმა მწერალმა „მოხუცი იზერგილში“ დაღე-

ბითად გადაჭრა სოციალურ ბრძოლებში ლიდერის აღიარების ურდულესი პრობლემა. ავტორმა დანკოს ხასიათის შექმნით ახალი ტიპის წინამძღოლის მხატვრული სახე გვიჩვენა. მართალია, გორკი პრობლემის გადაწყვეტას რომანტიკული ხერხებით ცდილობს, ცხოვრებისეულში ხშირად იჭრება საგმირო-ლეგენდარული ელემენტები, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მწერალს ჩამოაყალიბოს მასის ხელმძღვანელის მიმზიდველი ხასიათი. რაც მთავარია, მკითხველს სჯერა პრობლემის ავტორისეული გადაწყვეტა და ის დარწმუნებულია, რომ პიროვნებას მეგზურის როლის შესრულება მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც ის მასის მიერ არის წამოწეულზე, გრძნობს კოლექტივის მაჯისცემას და მზად არის, საჭირო შემთხვევაში, თავიც კი შეწიროს ხალხს.

ამავე დროს, გორკის 90-იან წლების შემოქმედებაში საკმაოდ მრავალრიცხოვანადაა წარმოდგენილი ისეთი ნაწარმოებებიც, სადაც, სინამდვილის რეალისტური ასახვა ქარბობს. თვითონ მწერალი თავის ადრინდელ შემოქმედების ორ ძირითად ნაკადის გამომწვევ მიზეზებზე წერდა:

მაშ — კითხვაზე: რატომ დავიწყე წერა? ვპასუხობ: განვიცადე „გამტანჯველად დატაკი ცხოვრების“ ძლიერი დაწოლა და იმიტომაც, რომ იმდენად მოჭარბებული შთაბეჭდილებები მქონდა „არა მეწერა არ შეეძლო“. პირველმა მიზეზმა, განაგრძობს ის, მაიძულა „ღარიბ ცხოვრებაში“ შემეტანა ისეთი მონაგონები, „შეთხულები“, როგორცაა ლეგენდები „შევიარდენზე და ანკარაზე“, „ლეგენდა ანთებულ გულზე“, „ქარიშხალა“, ხოლო მეორე მიზეზის გამო მე დავწერე „რეალისტური“ ხასიათის მოთხრობები — „ოცდაექვსი მამაკაცი და ერთი ქალიშვილი“, „ცოლ-ქმაზა: ორლოვები“, „ანცი“ (24, 473).

ცნობილია, თავის შემოქმედებაში თუ რა დიდი ადგილი დაუთმო გორკიმ „გუშინდელ ადამიანებს“ მხატვრულ სახეებს. საზოგადოების ფსკერზე აღმოჩენილებში მწერალმა დაინახა და რომანტიკულ ფერებში დაგვისურათა ხასიათის ისეთი თვისებები, რომლებიც გაბატონებულ კლასის წარმომადგენლებს საბოლოოდ დაკარგული ჰქონდათ. მართალია, „გუშინდელი ადამიანები“ უკუღმართი ცხოვრების მიერ იმდენად გათელილი იყვნენ, რომ მათი უკან დაბრუნება და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დაკავება უკვე აღარ შეიძლებოდა, მაგრამ გორკის დასურათებით მაწანწალებში ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი ადამიანური ღირსების ნაპერწკალი. მკითხველებს მწერლის ფსკერის „გმირებში“ განსაკუთრებით მოსწონთ მათი დაუცხრომელი ლტოლვა თავისუფლებისაკენ. გორკის პერსონაჟებმა იციან მეგობრობა, ურთიერთ გამტანობა და მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ გორკის ნაწარმოებში „ფსკერის“ მოქმედ პირობებს აშკარად ეტყობათ თავისი წარსულის ნიშნები. მაგალითად, ბარონი პიესიდან „ფსკერზე“ აწმყოშიაც ყველაზე უქნარა პარაზიტია, მაშინ როდესაც სატინი კოსტილიოვის აშმორებულ სარდაფშიც კი გამოიჩინევა თავისებური ჰუმანურობითა და პირდაპირობით. თუ პირველი ცრუ და



ორპირია, მეორეში ადვილი შესამჩნევია ჯერ კიდევ ჩაუქრობელი მისწრაფება თავისუფალი ცხოვრებისაკენ. ამიტომაა, რომ მ. გორკის „ფსკერის“ გმირები არ წუწუნებენ, ისინი არ თხოულობენ მოწყალეებას ცრემლების ფრქვევით და აკანკალებული ხმით, როგორც ეს ადრე გვხვდებოდა ლიტერატურაში, არამედ მოითხოვენ მათდამი სამართლიან დამოკიდებულებას. ზუნებრივია გორკის „ფსკერის“ გმირების პროტესტიც არ გასცილებია უბრალო ბუნტს და საზოგადოების მოძრაობის მსვლელობაზე რამდენადმე შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია, მაგრამ ერთი რამ უდავოა — დიდი მწერლის მიერ ასახული მაწანწალათა სამყარო თვითმპყრობელური რუსეთის შემადრწუნებელი და დაუნდობლად მამხილებელი აქტია.

გორკის შემოქმედებას მაგისტრალურ ხაზად გაყვება რუსეთში ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვის, განვითარებისა და კრიზისის მხატვრულ სახეებში გადმოცემის წარმატებითი ცდა. მწერალმა, თავიდანვე შენიშნა, რომ კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის საჭირო სისრულით ამსახველი მხატვრული ლიტერატურა მის სამშობლოში არ იყო შექმნილი. ისტორიული აუცილებლობა კი მოითხოვდა საკითხის დადებითად გადაჭრას, ამიტომ მან თვითონ იკისრა ამ პრობლემის გაშუქება. მითუმეტეს, რომ პროლეტარიატის დიდმა მწერალმა ბავშვობიდანვე გაიცნო კაპიტალისტთა მტაცებლური ბუნება და გულდასმით შეისწავლა ბურჟუაზიული ურთიერთობის სოციალური ფესვები. გორკის მიერ აღნიშნულ თემაზე შექმნილია უაღრესად დიდი მნიშვნელობის მხატვრული ტილოები, რომელთა გაუთვალისწინებლად დღეს უკვე შეუძლებელია ვიქონიოთ სრულყოფილი წარმოდგენა რეფორმის შემდგომი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა „თომა გორდქევი“, „სამნი“, განსაკუთრებით კი მსოფლიო მნიშვნელობის ტილოები: „არტამონოვების საქმე“ და „კლიმ სამგინის ცხოვრება“. ამ რომანებში რევოლუციამდელი რუსეთის ყველა სოციალურმა ფენამ ღრპა და დამაჯერებელი ასახვა პოვა.

რაც შეეხება ისეთ ეპოქალურ ტილოებს, როგორცაა რომანი „დედა“, პიესა „მტრები“ მ. გორკიმ თხრობის ცენტრში მოწინავე პროლეტართა სახეებზე მოაქცია, ამავე დროს მას არც ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლები დაჭიწყებია. მართალია, მის ძირითად საზრუნავს მშრომელთა მასების სულიერი ზრდა, მათი კლასობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება და რევოლუციური საკითხები შეადგენენ, მაგრამ ეს ხომ უშუალოდ არის დაკავშირებული პროლეტარიატის ბრძოლასთან ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რაც ამ უკანასკნელის მხატვრულად გააზრებას მოითხოვდა. ამიტომ გორკიმ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში, პირველად მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, პროლეტარიატი დაუპირისპირა კაპიტალისტებს და ამუშავდა წარმოგვიდგინა ისტორიული მოვლენების განმსა-

ზღვრელ ძალად, რომლებსაც შეგნებული ჰქონდათ საკუთარი კლასობრივი უპირატესობა. ეს მაშინ უთუოდ გაბედული ნაბიჯი იყო, ხოლო შემდგომში კი ფართოდ მისაბამ მაგალითად იქცა.

დიდმა მწერალმა შექმნა ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა არაერთი ღრმად გააზრებული სახეც, გვიჩვენა მათი რენეგატობის სოციალური მიზეზები („მზის შვილები“, „მოაგარაკენი“, „ბარბაროსები“ და სხვ.). გორკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ინტელიგენტთა საერთო ენა უნდა გამოენახა ხალხთან ან განწირული იყო დასაღუპავად. გარდა აღნიშნულისა მწერლის შემოქმედებაში ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ასლებურადაა გაშუქებული და ყველგან ყურადღების ცენტრში ადამიანი დგას მისი ყოველდღიური საზრუნავით.

მწერალი ითვლებოდა რა პოლიტიკურ ემიგრანტად, ერთი წუთითაც არ წყვეტდა კავშირს სამშობლოსთან, ის ახერხებდა ყოფილიყო საქმის კურსში, კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა მის ქვეყანაში, ამავე დროს, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მსოფლიო მუშათა მოძრაობას. რეაქციის ბნელეთით მოცულ დროშიაც გორკი იმედის თვალით შეჰყურებდა მომავალს და მტკიცედ სწამდა გამარჯვებას.

1907 წელს გორკი პირველად დაესწრო ყრილობას, ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ პროლეტარიატის დიდი მწერალი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლონდონის ყრილობაზე წარგზავნილი იყო სათათბირო ხმის უფლებით. გორკი ყრილობის დელეგატად არჩეულ იქნა საქართველოს ბოლშევიკების მიერ<sup>1</sup>.

გორკი ასეთ დიდ პატივსა და ნდობას აღფრთოვანებით შეხვდა. ყრილობის სხდომებზე განსაკუთრებული ინტერესით ისმენდა ვ. ი. ლენინის გამოსვლებს. რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. 1924 წელს მწერალმა ეს შთაბეჭდილებები გამოიყენა მწკრივითა დიდი ზეღადის ვ. ი. ლენინის უკვდავი მხატვრული სახის შექმნის დროს.

გორკის არქივში ინახება მ. თ. ანდრეევას მოგონებები, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული ის სიხარული და აღტაცება, რომელიც პროლეტარიატის დიდმა მწერალმა განიცადა მისი დელეგატად არჩევის გამო. მოგონებებში ვკითხულობთ: ალექსი მაქსიმეს ძე, როდესაც ყრილობაზე მოწვევა მიიღო, ვერ მალავდა სიხარულს, ლელავდა. ის აღფრთოვანებული იყო იმის გამოც, რომ მას იწვევდნენ სათათბირო ხმის უფლებით. ამ ნდობამ განსაკუთრებით დაახლოვა ის რუსეთიდან ჩამოსულ ამხანაგ-მუშებთან. გორკი ძალზე განიცდიდა სამშობლოდან იძულებით დაშორებასო, წერს მ. ანდრეევა.

თუ როგორ აღტაცებული იყო გორკი ყრილობის მუშაობაში. მონაწილეობით, მოგვითხრობს აგრეთვე ყრილობის დელეგატი ნ. ნაკორიაკოვი, რომელიც განსაკუთრებით ხაზს უსვამს მწერლის სიახლოვეს საქართ-

<sup>1</sup> Пятый (Лондонский) съезд РСДРП, М., «Пол. литер.», 1963, с. 160.

ველოს დელეგატებთან. როგორც ნაკორიაკოვი გადმოგვცემს, პრილეტარიატის დიდი მწერალი ხშირად მართავდა საუბრებს საქართველოს წაგზავნილებთან. ეს საუბრები ეხებოდა საქართველოს მუშათა მოძრაობას. პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, ნაციონალურ საკითხს, ირანის რევოლუციას, რომლის ერთ-ერთ მონაწილეს ს. მგელაძეს მ. გორკი სწორედ ყრილობაზე დაუახლოვდა და შემდგომში მასთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა.

„ხშირად მ. გორკი, — წერს ნ. ნაკორიაკოვი, — საუბრობდა კავკასიელი ბოლშევიკების წრეში ი. ბ. სტალინთან, მ. ცხაკაიასთან, ს. შაუმიანთან და სხვებთან. საპასუხოდ ერთ-ერთ ურალელის ხუმრობაზე, რომ ალექსი მაქსიმეს ძე უპირატესობას კავკასიელებს აძლევს, მან ხუმრობითვე უპასუხა — ჩვენ ხომ თანამემამულეები ვართ, — ჩემი ლიტერატურული ცხოვრება კავკასიაში დაიწყო... თქვენ დაუგდეთ ყური — დაუმტა მან — ჩვენთანებს როგორი სტამბა აუგიათ მიწის ქვეშ“<sup>1</sup>.

1913 წელს გორკის სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მიუღია. რადგანაც მან სახლვარგარეთ გამოსცა რუსეთში აკრძალული თავისი ნაწარმოებები, მათ შორის „დედა“ და ამიტომ მასზე ამნისტია არ ვრცელდებოდა. მიუხედავად ამისა მწერალი 31 დეკემბერს პეტერბურგში ჩამოვიდა, ის არ მოერიდა მოსალოდნელ დაპატიმრებასაც კი. რუსეთში დაბრუნებული გორკი სცემს პროგრესულ ჟურნალ „მატიანეს“, მოგვიანებით მწერალმა გამომცემლობა „პარუსი“ შექმნა. როგორც კი მიეცა საშუალება ის, ჯერ კიდევ 1902 წელს დაწყებულ ნაციონალურ კრებულების გამომცემის სამსაღისის შეუდგა. გადამგმულ იქნა პრაქტიკული ნაბიჯი ქართული კრებულის გამოსაცემადაც. პროლეტარიატის მწერლის გარშემო თავს იყრის რუსეთის ყველა პროგრესული მოღვაწე. მან იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მოწინავე მასები დარაზმა, დიდი პუმიანისტი გაბედულად ამხელდა ომის ტრაგიკულ შედეგებს და კაცობრიობის ამ უსასტიკესი და უზარო სისხლის ღვრის წინააღმდეგ მოუწოდებდა.

გორკი ალტაცებით შესვდა სოციალისტურ რევოლუციას. პირველ წლებში ქართვენილების ეს გაბედული მომღერალიც კი შეაკრთო რევოლუციის გრანდიოზულმა მასშტაბმა, მაგრამ ვ. ი. ლენინის დახმარებით მალე დააღწია თავი ცალკეულ პოლიტიკურ შეცდილებებს და მთლიანად რევოლუციის სამსახურში ჩადგა. სამოქალაქო ომის წლებში იგი ახალგაზრდული ენერგიით სოციალისტური კულტურის მშენებლობაში ჩაება. მის სახელთანაა დაკავშირებული საბჭოთა ქვეყნის რიგი გამარჯვებები კულტურული მშენებლობის ფრონტზე. გორკის ეს მეტად საპირო საქმიანობა პარტიამ და პირადად ვ. ი. ლენინმა მოიწონა და მხარში ამოუდგა მას. დაძაბულმა შრომამ გორკის ფიზიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ლენინის დაქინებული მოთხოვნით დიდი მწერალი სამკურნა-

<sup>1</sup> М. Горький в эпоху революции 1905—1907 годов. М., «Наука», 1957, с. 118.

ლოდ საზღვარგარეთ გაემგზავრა. ის 1921 წლიდან ძირითადად იტალიაში, კერძოდ სორენტოში ცხოვრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ მწერალი იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო, მას არ ავიწყდებოდა სოციალისტური ქვეყანა, ფიზიკურად იდგა მისი ინტერესების სადარაჯოზე.

ოქტომბრის რევოლუციამ, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ მწერლის შემოქმედებითი დიაპაზონი კიდევ უფრო გააფართოვა. ჩვენი ქვეყნის უდიდეს გამარჯვებების ფონზე უფრო შესამჩნევად გამოიკვეთა კაპიტალისტური სამყაროს სრული დაკნინება და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელი გახდა ბურჟუაზიული ურთიერთობის მოსპობის გარდუვალობა. ყოველივე ამის შედეგად შესაძლებელი გახდა ისტორიული წარსულის მეტი სიზუსტით განჭვრიტა. გამართლდა ლენინის აზრი, რომ რუსული ბურჟუაზიის განვითარების ყველა ეტაპის ამსახველი მხატვრული ტილოს, კერძოდ, რომანის „არტამონოვების საქმე“ დაწერა შეიძლება მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ამ რომანზე მუშაობის დროს მწერლის ჩანაფიქრი, ისე როგორც მოპოვებული მასალა იმდენად მდიდარი აღმოჩნდა, რომ მის ერთ ნაწარმოებში დატევა შეუძლებელი შეიქმნა. ის შეუდგა ახალი დიდი რომანის წერას. ამჯერად გორკის სურს რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვება გვიჩვენოს, ამ ისტორიული პროცესის ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი და ლოგიკურად თანმიმდევრული განზოგადება მოგვეცეს. ახლა უკვე უდიდესი გამოცდილებით აღჭურვილი, დახვეწილი და ნატიფი გემოვნების პატრონი გორკი შეუდგა ეპოქის კარდინალური პრობლემის ვადაქრას. ამავე დროს, პირველად მხატვრული აზროვნების ისტორიაში მწერალმა მოგვცა მეშჩანისა და მეშჩანობის ისეთი განზოგადება, რომ მისი კლიმ სამგინი რომანიდან „კლიმ სამგინის ცხოვრება“ სამუდამოდ შევიდა მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრულ სახელთა გალერეაში. ჩვენ უკვე არაფერს ვლაპარაკობთ მის მეტრძოლ პუბლიცისტიკაზე, რომელიც სამშობლოს როგორც შინაგანი, ასევე გარეშე მტრების წინააღმდეგ იყო მიმართული. გორკი რაზმავდა მსოფლიო მკითხველებს ფაშიზმთან საბრძოლველად, მოუწოდებდა კაცობრიობას ერთიანი ძალით შეებოდა ამ საშინელ სენს.

გორკის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში საბჭოთა სინამდვილემ რელიეფური ასახვა პოვა. მწერალს აღაფრთოვანებდა მუშათა სახელმწიფოს გრანდიოზული წარმატებები. გორკი განცვიფრებული იყო იმ ძნელად წარმოსადგენი გარდაქმნებით, რომლებსაც საბჭოთა ქვეყანამ მოკლე დროში მიაღწია. ეს წარმატებები გორკისათვის განსაკუთრებით ნათელი გახდა 1928 წელს, როდესაც ის საბჭოთა სამშობლოში შვიდი წლის შემდეგ ჩამოვიდა.

საბჭოთა ხალხმა მაშინ დიდ სახეიმო ვითარებაში აღნიშნა გორკის

დაბადების სამოცი წლისთავი. ყველგან ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის შორეულ კუთხეებშიც კი, საბჭოთა ადამიანებმა გულწრფელი სიხარულით აღნიშნეს მწერლის იუბილე. გორკი ასობით და ათასობით წერილებს იღებდა, მას საპატიო სტუმრად იწვევდნენ შორეული ტუნდრის მწყემსები და მალაროელები, დნეპრპესის მშენებლები და ციმბირის მშრომელები. ცხადია, ყველას წადილის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. გორკის დასძლია სურვილმა და გადაწყვიტა შემოეღარა ის ადგილები, რომლებიც „რუსეთში დიდი მოგზაურობის“ დროს გაიარა და შეეღარებინა მომხდარი ცვლილებები, უშუალოდ განეცადა სოციალისტური მშენებლობის აღმავლობა.

ბუნებრივია, მწერალმა მისი ჰოეტური სამშობლოც ინახულა. საქართველოში დიდ ინტერნაციონალისტს განსაკუთრებით აღფრთოვანებით შეხვდნენ. თვითონ მწერალიც დაუმალავი მღელვარებითა და ალტაცებით აღნიშნავდა იმ სიტბოსა და სიყვარულს, რომელიც მისდამი ქართველმა ხალხმა გამოავლინა. მწერალმა დაათვალიერა განახლების გზაზე მდგარი თბილისი, მისი ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, იყო ზაქესის მშენებლობაზე, რევოლუციის მუზეუმში, კოჯრის ბავშვთა სახლში და სხვაგან.

გორკი დიდ ყურადღებას იჩენდა ჩვენი ლიტერატურისადმი. საგანგებოდ შეხვდა ქართველ მწერლებს. გამოვიდა სიტყვით მათ წინაშე. ინტერნაციონალიზმის დაუღალავმა მქადაგებელმა ქართველ მწერალთა ყურადღება კულტურული ძალების მკიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას მიაპყრო. მოუწოდა ჩვენს ლიტერატორებს თავიანთი შემოქმედებითი პროდუქტით, რუსულ ენაზე თარგმნით, ფართო მკითხველთა მისაწვდომი გაეხადათ. თავის მხრივ, ქართველ მკითხველებამდე დაეყვანათ მსოფლიო და რუსი კლასიკოსების შედეგები. გაეცნოთ ფართო მასები-სათვის თანამედროვე მწერალთა საუკეთესო ნიმუშები. აი, რას წერდა გორკი 1929 წელს ლიტერატურის ინტერნაციონალურ დანიშნულებაზე:

ჩემის აზრით, ლიტერატურა ყველაზე ადვილად და უკეთესად აცნობს ხალხს ხალხთან. ეს არ არის პროფესიონალის მსჯელობა. რომელიც შეყვარებულია თავის საქმეში, არამედ არის დასკვნა, გამოტანილი საკუთარი დაკვირვებებიდან შეგნებული ცხოვრების 40 წლის მანძილზე. ეს დასკვნა მტკიცდება იმითაც, რომ არსად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არ ითარგმნება ისე ბლომად წიგნები, როგორც ჩვენთან, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში (30, 115—116).

გორკი 1928 წლის 27 ივნისს თბილისში შეხვდა ჟურნალისტებს, რომლებთან საუბრის დროს შეეხო იმ დროისათვის მრავალ საინტერესო და აქტუალურ პრობლემებს. მწერალმა გასცა პასუხი კითხვებზე, განმარტა ლიტერატურის, ხელოვნების და შიდა კულტურული მშენებლობის მთელი რიგი საკითხები.

განახლებულ სამშობლოში მოგზაურობიდან მიღებული მდიდარი შთა-

ბეჭდილებები მწერალმა ასახა და მხატვრულად განაზოგადა ნარკვევში „საბჭოების კავშირი“.

1929 წლის ზაფხულში გორკი მეექვსედ და უკანასკნელად ჩამოდის საქართველოში. მართალია, მან მხოლოდ ერთი ღღე დაჰყო თბილისში, მაგრამ მოასწრო შეხვედროდა ქართველ მწერლებს, ჰქონოდა მათთან ხანგრძლივი საუბარი. გორკიმ მ. ორახელაშვილთან ისაუბრა საქართველოს მიღწევების პროპაგანდის ორგანიზაციის შესახებ, იყო საქართველოს მუზეუმებში, დაათვალიერა ჩვენი დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობები. გორკი შემდეგშიაც შეუხელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ქართველი ხალხის სულიერ ზრდას. მას ახარებდა ამ უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის ახალი წარმატებები და მისი აღორძინება.

ღღეს უკვე ყველგან აღიარებენ საბჭოთა გორკმცოდნეების უდიდეს მიღწევებს. მწერლის შესახებ შექმნილია მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურა. დიდი შემოქმედის მხატვრული მემკვიდრეობის ბევრმა კარდინალურმა საკითხმა ღრმა და დამაჭერბელი გაშუქება ჰოვა. მაგრამ, ამავე ღროს, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ გორკის შემოქმედებას ჭერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ საპრობლემო საკითხებს, რომლებიც შემდგომ კვლევა-ძიებასა და ანალიზს მოითხოვს. ასეთი რიგის პრობლემებს მიეკუთვნება მ. გორკის შემოქმედებაში ქართული მოტივების, აქ მიღებულ შთაბეჭდილებათა მნიშვნელობისა და ადგილის განსაზღვრა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი მწერლის შემოქმედება, განსაკუთრებით მისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში, მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან. უფრო მეტიც, გორკის ზოგიერთი მოთხრობის სრულყოფილი, მეცნიერულად დამაჭერბელი ანალიზი საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებების გაუთვალისწინებლად შეუძლებელიცაა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა მკვლევარი, რომელიც კი შეხებია პროლეტარული მწერლის ურთიერთობას საქართველოსთან, მის დამოკიდებულებას ჩვენს კულტურასთან, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „გორკი საქართველოში იშვა, როგორც მწერალი“, რომ „მან ჩვენი ქვეყანა მეორე სამშობლოდ“ აღიარა და სხვ. ასეთი მტკიცებისათვის უთუოდ არსებობს საფუძველი, მაგრამ სანამ ნაჩვენები არ იქნება, თუ რა ადგილი უჭირავს მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ქართულ მოტივებს, აქ მიღებულ შთაბეჭდილებებსა და განცდებს, მანამ ეს კეთილი ზრახვით გამოთქმული მოსაზრებაც შიშველი და დეკლარაციული დარჩება. ცხადია, საქმეს ვერ შევლის ის ორიოდ ციტატი, რომელიც ასეთ შემთხვევაში მოჰყავთ ხოლმე.

ამავე ღროს ყველასათვის აშკარაა, რომ მწერალი, რომელმაც გულთან მიიტანა „სათნო და რომანტიკოსი“ ქართველი ხალხის ბედი, გაიცნო ჩვენი ქვეყნის მდიდარი და უძველესი კულტურა, ვერ აიცდენდა მის და-

დებით ზეგავლენას, მით უმეტეს, რომ საქართველოში ცხოვრების პერი-  
ოდი ემთხვევა მის შემოქმედებითს ჩამოყალიბებას. ქართველთა ცხოვ-  
რებამ, ჩვენში განცილილმა და აღქმულმა შესამჩნევი ადგილი დაიკავა  
მწერლის მემკვიდრეობაში. მწერალმა იმდროინდელი თავისი განწყობი-  
ლება საკმაოდ რელიგიურად ასახა მოთხრობებში „შურისგება“, „ჩემი  
თანამგზავრი“, „შეცდომა“, ნარკვევში „ყაჩაღები კავკასიაში“ და სხვა-

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ გორკის ის ნაწარმოებები, რომლებ-  
შიც ქართულმა მოტივებმა სათანადო ასახვა პოვა, რაღაც განსაკუთრე-  
ბულ ნაკადს არ ქმნიან, პირიქით, ისინი მწერლის მთლიანი შემოქმედე-  
ბის ორგანულ ნაწილს შეადგენენ და საგრძნობლად განსაზღვრავენ თვი-  
თონ მის ლიტერატურულ მიმართულებასაც.

გორკის შემოქმედებაში ქართული მოტივების გაშუქება საჭიროა იმი-  
ტომაც, რომ მწერლის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ჯერაც არ არის  
დაძლეული ცალმხრივი, არასწორი დამოკიდებულება ჩვენთვის საინტე-  
რესო პრობლემისადმი, სამწუხაროდ, ამ საკითხს ან სრულიად უვლიან  
გვერდს, ანდა, რაც უფრო მეტად მიუღებელია, მისი მნიშვნელობა დაპ-  
ყვით უბრალო მემუარული ხასიათის მასალებამდე. აღნიშნულ ნაწარმო-  
ებებს ყოველგვარი შეზღუდვისა და პირობითობის ვარეშე გორკის ბი-  
ოგრაფიის შესაქმნელად იყენებენ. განსაკუთრებით ეს ითქმის მოთხრო-  
ბა „ჩემს თანამგზავრზე“.

ქართული მოტივების შემცველი ისეთი ნაწარმოების თარგმნა, რო-  
გორიცაა „შურისგება“, მხოლოდ 1956 წელს მოხერხდა, ხოლო „ყაჩაღე-  
ბი კავკასიაში“ დღესაც არ არის თარგმნილი მთლიანად. ეს კი ქართველ  
მკითხველს აშკარად უშლის ხელს, დიდი მწერლის შემოქმედებაში და-  
ინახოს და სწორად შეაფასოს ქართული მოტივების ადგილი და მნიშვნე-  
ლობა. „შურისგება“ 1949 წლამდე არც გორკის თხზულებათა კრებულ-  
ში შესულა (სამწუხაროდ, „ყაჩაღები კავკასიაში“ ახლაც არაა შესუ-  
ლი), მაშინ როდესაც ავტორმა „შურისგება“ ჯერ კიდევ 1898 წელს გა-  
უგზავნა გამომცემელ ს. დოროვატოვსკის „ნარკვევებისა და მოთხრობე-  
ბის“ III ტომში შესატანად. რატომღაც მოთხრობა მაშინ კრებულში ვერ  
შევიდა, შემდეგ კი მისი არსებობაც დაივიწყეს.

„შურისგება“ მ. გორკის შემოქმედებაში პირველი ნაწარმოებია, სა-  
დაც საქართველოს სინამდვილემ მხატვრული ასახვა პოვა. ამავე დროს.  
ამ მოთხრობაში გორკიმ პირველად მოგვცა ქართველი მაქსიმე ზლახის  
დადებითი, მეტად მიმზიდველი და სანდომიანი მხატვრული სახე. მოთხ-  
რობა თავისი კომპოზიციით ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირს“ წა-  
ავავს. მწერალი სამ სხვადასხვა, თითქოსდა დამოუკიდებელ ნარკვევში  
შურისძიების სამ ფორმას აგვიწერს; ამავე დროს, მოქმედება სხვადასხვა  
ადგილას მიმდინარეობს. პირველ ნაწილში საქართველოს მოიანი რაიონია  
დახატული მისი გრანდიოზული ბუნებითა და სილამაზით. მეორეში —  
მოქმედება ხერსონის მიდამოებში გადააქვს, ხოლო მესამეში — სამხრეთ

ყირიმის მიმზიდველი ბუნებაა ნაჩვენები. ამ ნაწარმოებში აღწერილ შურისძიებებსაც სულ სხვადასხვა მოტივი უდევს საფუძვლად. მაქსიმე ბუაძის მოქმედებას წარმართავს შვილის მკვლელისათვის სამაგიეროს გადახდის მიძიმე, მაგრამ ადვილად გასაგები გრძნობა. მამა, რომელმაც უდანაშაულოდ დაკარგა ერთადერთი შვილი, დაუნდობელი და შეურიგებელია მკვლელის მიმართ. მკითხველს არ შეუძლია, არ უთანაგრძნოს მოხუცს. ბუაძე მტკიცედ და უკომპრომისოდ იბრძვის განზრახულის სისრულეში მოსაყვანად. თუმცა მოხუცს არ „წყურია“ სისხლი, მაგრამ ის იძულებულია ასეთი ნაბიჯი გადადგას, რათა ამ გზით მაინც სამართლიანობას მიაღწიოს. მკითხველს ხიბლავს მაქსიმე ბუაძის ვაჟაკური, მტკიცე ხასიათი; ასევე, არ შეიძლება ჩვენში სრულიად საწინააღმდეგო რეაქცია არ გამოიწვიოს მენავის, ბატონისა და წერილის ავტორის უბადრუკმა სახეებმა. მწერალმა თითქოს სპეციალურად შექმნა უარყოფითი გმირები. რათა მაქსიმე ბუაძის ხასიათი კიდევ უფრო გამოეკვეთა.

მკითხველის განსაკუთრებულ ზიზღსა და რისხვას იწვევს მეშჩანურ წუმბეში ჩაფლული მენავის მორალურად და ზნეობრივად დაცემული მახინჯი სახე. მას საბოლოოდ დაუკარგავს ყოველივე ადამიანური და ცხოველურ ინსტიქტთა მონად ქცეულა. იგი ფულისათვის ყველაფერს აკეთებს. მის ქალიშვილს კატიას ბატონიშვილმა ნამუსი ახადა, ხოლო ფეხშიძემ შინამოსამსახურე სახლიდან გააგდო. კატიას მდგომარეობა ტრაგიკულია, იგი მეძავეობით ირჩენს თავს; მას ყველა სცემს და შეურაცხყოფას აყენებს. ყოველივე ამას ხედავს მამა; მან იცის, ვინ არის დამნაშავე, მაგრამ ნაცვლად შურისძიებისა, ბოროტმოქმედისაგან ფულს იღებს და ამით კმაყოფილდება.

კიდევ უფრო მეტ ზიზღს იწვევს ბატონი, რომელსაც მენავის ყველა უარყოფითი თვისება გააჩნია, მაგრამ მისი გამბედაობა და პირდაპირობა აკლია — მხდალი, ორპირი და გაიძვერაა. ადამიანი მისთვის არსებობს, მხოლოდ პირადი ინსტიქტებისა და ჟინის დასაოკებლად. იგი მენავის შესაფერისი პარტნიორია, თუმცა ისინი სხვადასხვა სოციალურ ბანაკს მიეკუთვნებიან.

როგორც ვხედავთ, ავტორმა ამ ნაწილში გვიჩვენა შურისძიება უსისხლოდ. მაგრამ მწერალს, რომელიც ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლაში ხედავდა გამოსავალს, არ შეეძლო, მიეღო შურისძიების ეს მშვიდი „ფორმა“, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ნაკარნახევი იყო ბურჟუაზიული საზოგადოების მორალით: ბურჟუზიას, არ შეუძლია დაუშვას შურისძიება, რადგანაც ის, უპირველეს ყოვლისა, მის წინააღმდეგ შემობრუნდება. იციან რა ყოველივე ეს, ბურჟუაზიის იდეოლოგები „ბედისადმი და მორჩილებას“, უკუღმართობასთან შერიგებას ლაღადებენ, რაც ასე ეწინააღმდეგებოდა დაუცხრომელი ზასიათის ახალგაზრდა მწერლის ბუნებას.

ნაწარმოების მესამე ნაწილში არ არის არამცთუ სისხლისღვრა და მკვლელობა, არამედ ის მოჩვენებითი ძალადობა და მუქარაც, რაც მე-



ორე ნაწილში გვხვდება, მწერალი გვიჩვენებს, რა გზით იძია შური არისტოკრატმა „შეურაცხყოფილი ღირსების“ გამო. ლაპარაკია წერილის ავტორზე, რომელიც თავის მეგობარს მოუთხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაარწმუნა მისადმი სიყვარულში უღამაზესი ქალი ვარვარა ვასილის ასული და როგორი იძია მასზე შური მხოლოდ იმიტომ, რომ მანდილოსანი თავდაპირველად ქედმაღლურად შეხვდა წერილის ავტორის წინადადებას და არ გაიზარა მისი გრძნობა. ვადის დრო, წერილის ავტორი არისტოკრატიული სიღინჯითა და მეთოდური თანმიმდევრობით უმტკიცებს ვარვარა ვასილის ასულს სიყვარულს და ბოლს კიდევაც აღწევს მიზანს. მაგრამ, როცა ვარვარამ თანაგრძნობით უბასუხა წერილის ავტორს, ამ უკანასკნელმა უტიფრად შეაქცია ზურგი და გულწასული ქალი ბაღში დატოვა.

წერილის ავტორს მიაჩნია, რომ მან დიდი გმირობა ჩაიდინა. მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობდა მწერალი. გორკი როდი უარყოფდა საკუთარ თავზე გამარჯვების სირთულეს. მხოლოდ მიაჩნდა, რომ ადამიანის უოველ მოქმედებას უნდა განსაზღვრავდეს საპატიო მიზანი, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამართლდეს იგი. რა თქმა უნდა, წერილის ავტორს კი მხოლოდ ვიწრო, ეგოისტური გრძნობები ამოძრავებდა.

გორკიმ აღნიშნულ ნაწარმოებში გვიჩვენა სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შურისძიება და სამივე შემთხვევაში ადამიანის მაღალი ინტერესებიდან გამოდიოდა, იცავდა მოქალაქის თვითდაცვის კანონიერ უფლებებს. მწერალმა კარგად იცის, რომ საზოგადოების ბრძოლა თავისუფლებისათვის რთულია, რომ ხშირად ეს ბრძოლა წინააღმდეგობებითაც ხასიათდება. მწერალს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ პიროვნული შურისძიება თავისთავად პრიმიტიული, საკმაოდ მარტივი იარაღია სოციალურ თუ პიროვნულ უთანასწორობასთან ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, გორკი იმ დროს სხვა უფრო რეალურ საშუალებას ვერ ხედავდა და ამიტომაც მეშინაურ თვითკმაყოფილებას, ბურჟუაზიის იდეოლოგთა „ბედთან შერიგების“ უხამს პროპაგანდას პროტესტის თუ ბრძოლის ამ იარაღს უპირისპირებდა.

„ბუნებრივია, — წერდა მ. გორკი, — რევოლუციურ ჯგუფთა ტერორისტული აქტები თვითდაცვისა, ანდა შურისძიებისა სრულიად კანონიერია...“ იქვე, ცოტა ქვემოთ მწერალი განაგრძობს: „მე ისე დიდად ვაფასებ ადამიანს, რომ არ შემიძლია მკვლელობა გავამართლო, მაგრამ... მას ვერც თვითდაცვის უფლებას წავართმევ“<sup>1</sup>.

სწორედ ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა გორკი მოთხრობა „შურისგების“ გმირების გამოძიარწვის დროს. ამიტომ ბუნებრივია რომ, მწერალმა უპირატესობა მაქსიმე ბუაძეს მიაკუთვნა. ამავე დროს, გორკი გაშმაგებით ესხმის თავს და სასტიკად გმობს ბურჟუაზიული საზოგადო-

<sup>1</sup> М. Горький в эпоху революции 1905—1907 годов, М., 1957, с. 61.

ების მერკანტილისტური მორალით დაკნინებულ ადამიანებს. სწორედ ასეთ ადამიანთა განსახიერებას იძლევა მენავის, ბატონისა და წერილის ანონიმი ავტორის სახეებში. ისინი პირად „მეს“ აძლევენ უპირატესობას, რომელიც თავიდან ბოლომდე განაპირობებდა მათ შორის ურთიერთობასაც.

გორკი ამჟამად და თავისუფლების მოტრფიალე მთის შვილებს ბურჟუაზიული საზოგადოების გადაგვარებული ადამიანები დაუპირისპირა და თვითონ მთლიანად მაქსიმე ბუადისა და მისი შვილის ვანოს მხარეზე დადგა. რომანტიკულად განწყობილმა ახალგაზრდა მწერალმა თავისი მეამბოხური სულის გამოძახილი მთიელებში პოვა და მათი გმირული საქმეები მისაბამ მავალითად დასახა.

გორკი ქართულ სინამდვილეს ისე დაუახლოვდა, რომ შესაძლებლად მიიჩნია ჩვენი ცხოვრებიდან აღებული უარყოფითი მოვლენების დასურათებაც. პროლეტარიატის დიდი მწერლის აღრინდელ შემოქმედებაში „ჩემი თანამგზავრი“ საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. ავტორი გამოკვეთილად წარმოგვიდგენს ცხოვრების აზრის მაძიებელ დადებით გმირს. მოთხრობაში ასეთი პერსონაჟია მაქსიმოჩი, რომელიც კლასობრივ თვითშეგნების გზაზე შემდგარი პროლეტარიატის მხატვრული განზოგადების აღრინდელი წარმატებითი ცდაა.

როგორც ცნობილია, თვითონ გორკი პროლეტარიატთან ერთად იკაფავდა გზას და მასთან ერთად ეძიებდა არსებულ სოციალურ უკუღმართობასთან ბრძოლის საშუალებას. ეს ძიება საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. მაგრამ მწერალმა სიძნელეებს მშვენივრად გაართვა თავი და ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიაღწია. გორკის შემოქმედებითი ძიების მძიმე გზაზე მოთხრობა „ჩემი თანამგზავრი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ეტაპური ხასიათის ნაწარმოებია. აქ ავტორმა მეტად ყურადსაღები პრობლემები წამოჭრა: ქმედითი, მებრძოლი და მოწინავე იდეების მქონე მაქსიმოჩის ანარქისტული ნიჰილიზმით აღჭურვილი შაქროპტაძე დაუპირისპირა.

„ჩემმა თანამგზავრმა“ თავის დროზე პროგრესულად მოაზროვნე კრიტიკოსებისა და მკითხველების მოწონება დაიმსახურა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ მათგანს ნაწარმოების ძირითადი აზრი ყურადღების მიღმა დარჩა; მსჯელობის ცენტრში კი შაქროპტაძის ქართველური წარმოშობა აღმოჩნდა. ამ გზით ბურჟუაზიული კრიტიკა ცდილობდა ავტორისეული ჩანაფიქრის დაჩრდილვას და მთავარისაგან მკითხველის ყურადღების ჩამოშორებას, მის გაღატანას მეორეხარისხოვან უმნიშვნელო დეტალებზე.

გორკი თითქმის გრძნობდა ამას და შეეცადა ობიგატელისათვის ასეთი მტკიცების საბაზი არ დაეტოვებინა. მწერალს სურდა „ნარკვევებისა და მოთხრობების“ III წიგნში ერთდროულად შესულიყო „შურისგება“ (სადაც, როგორც დავინახეთ, საქართველოს სინამდვილიდან აღებული დადებითი ტიპია დახატული) და „ჩემი თანამგზავრი“. ზემოთ ითქვა,

„შურისგება“ კრებულში არ შეუტანიათ, ხოლო „ჩემი თანამგავზრი“ ავტორის გარკვეული მერყეობის შემდეგ მაინც შევიდა III წიგნში. ამან უდაოდ ხელი შეუწყო იმ ცალმხრივ მტკიცებას, რომელიც საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული როგორც რუსულ, ასევე ქართულ რევოლუციამდელ კრიტიკაში, სამწუხაროდ, ამ წინასწარ აკვიტებული შეხედულების ცალკეული გამოძახილი დღემდე გვხვდება, რომელსაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არავითარი საფუძველი არ გააჩნია<sup>1</sup>.

გორკი „ჩემ თანამგზავრზე“ ძირითადად 1894 წელს მუშაობდა და იმავე წელს დაბეჭდა „სამარსკაია გაზეტაში“. რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ავტორი მოთხრობას, ამკარად ჩანს თვით ნაწარმოების შექმნის ისტორიიდანაც. „ჩემს თანამგზავრს“ ის სახე, როგორითაც ამჟამად ვიცნობთ, თავიდან როდი ჰქონდა. მწერალი თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე და ყოველ მოსახერხებელ შემთხვევაში უბრუნდებოდა მას, შეაქონდა შესამჩნევი ცვლილებები, რის შედეგად ფაქტიურად „ჩემი თანამგზავრის“ ახალი რედაქცია შექმნა. გამოქვეყნებული მოთხრობის ტექსტში პირველი შესწორებები მ. გორკიმ 1891 წელს შეიტანა, ხოლო მეორე საგრძნობი ცვლილებები 1902 წელს. ავტორი მოთხრობის ტექსტზე უკანასკნელად 1922 წელს მუშაობდა.

გორკის ასეთი საგანგებო ყურადღება მოთხრობისადმი გამოწვეული იყო არა მხოლოდ მისი შინაარსის მნიშვნელობით. არამედ თვით ჩანაფიქრის სირთულითაც. მწერალს, როგორც თვითონ აღიარებს, გაუძნელდა მოთხრობის ძირითადი იდეური აზრის სრულყოფილი ჩამოყალიბება, ძნელი აღმოჩნდა თვით ხასიათების განმსაზღვრელი თვისებების გამოკვეთაც. „ჩემი თანამგზავრი“, წერდა გორკი ი. ვ. რეპინს, ცუდად ასახული შემთხვევაა. ეს კი საწყენია, — კარგი თემაა. დიდ მწერალს მისგან შეეძლო კლასიკური ნაწარმოები შეექმნაო (28. 101).

იმავე შეხედულებას „ჩემი თანამგზავრის“ მხატვრულ სრულყოფაზე გორკი უფრო კატეგორიულად იმეორებს ჩეხოვისადმი გაგზავნილ წერილში: „რაც შეეხება ჩემი უკეთესი მოთხრობების ცალკე წიგნად გამოცემას, ეს თქვენ ჩინებულად მოგიფიქრებიათ. მე ამას გავაკეთებ, მხოლოდ გადაჭრით არ ვეთანხმები იმას, რომ „ჩემი თანამგზავრი“ კარგი მოთხრობაა. განა ასე უნდა დაწერილიყო ამ თემაზე?“ (28, 113).

როგორც ირკვევა, მწერალს ასეთი მტკიცებისათვის საფუძველი ჰქონია. ავტორის ძირითადი ჩანაფიქრი, წარმოგიდგინოს მოწინავე კლასის სოციალური თანამგზავრი, სრულყოფილად მხოლოდ ნაწარმოების ბოლო რედაქციაში გამოიკვეთა.

<sup>1</sup> П. Коверда. Спутник Горького. «Литературная Россия», 1985, № 11, 15 марта.

გაიოზ იმედაშვილი. იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზებზე. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1984, გვ. 34 — 36. როგორც ჩანს, ამ საკითხზე სხვა დროს და სხვაგან კიდევ ერთხელ მოგვიწევს დეტალური საუბარი.

მ. გორკის სურდა დაედგინა, რამდენად სწორად იყო გაგებული მოთხრობის ავტორისეული იდეური ჩანაფიქრი, რომელიც თვითონ მწერალმა ასე განსაზღვრა: „მე, ჩემი აზრით, საკმაო გარკვეულობით ვაჩვენე ცხოველური ეგოიზმის „სიმშვენიერენი“ „ჩემს თანამგზავრში“. ეს ეგოიზმი შერწყმული „არამზადას“, ლუკას და მარკუსას („კოჟემიანიკში“) თაღლითურ ფილოსოფიასთან იძლევა იმას, რაც ჩვენ, რუსებს. ვვლუპავს, — ეს არის ჩვენი მოუშუშებელი ავადმყოფობა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ პასიური ანარქიზმი. ამ ავადმყოფობას საფუძვლად უდევს სასოწარკვეთილება, უიმედობა, საკუთარ ძალებში რწმენის უქონლობა“<sup>1</sup>.

გორკი „ჩემს თანამგზავრზე“ და მის გმირებზე საუბრობდა ლ. ტოლსტოისთანაც, რომელსაც მოთხრობის რეალისტური მხარე მოსწონებია. ამ გენიალურ მწერალთან საუბრის დროს, მაშინ ჭერ კიდევ ახალგაზრდა გორკი, გაბედულად ავითარებს თავის შეხედულებას სოციალურ თანამგზავრობაზე და არწმუნებს ლ. ტოლსტოის ასეთი თანამგზავრების მოსპობის აუცილებლობაში. „მე შევნიშნე, — წერდა მ. გორკი, — სანამ ჩვენ ვცხოვრობთ... „თანამგზავრთა“ მკიდრო გარემოცვაში, მანამ ჩვენს შიგნით ყველაფერი შენდება მერყევე ნიადაგზე, მტრულ გარემოში“ (14, 295)

გორკის სხვა დროსაც ხაზგასმით არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ მოთხრობის აზრი გაცილებით ღრმაა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ წარმოდგენიანთ. ამიტომ მწერალს დაუშვებლად მიაჩნია „ჩემი თანამგზავრის“ ცალმხრივად განხილვა, მისი მნიშვნელობის მემუარულ ნაწარმოებამდე დაყვანა. ასეთ შემთხვევაში, გორკის ღრმა რწმენით, მოთხრობის მთავარი კოლიზია სიმძაფრეს კარგავს, ხოლო ნაწარმოების ძირითადი დანიშნულება და მისი მამხილებელი ძალა შეუმჩნეველი რჩება.

ამავე დროს, დიდი მწერალი არ უარყოფდა, რომ „ჩემი თანამგზავრიც“ ისე როგორც თითქმის ყველა სხვა მისი მოთხრობა, დაწერილ იყო ფაქტობრივ მასალებსა, პირადი განცდებისა და მოგონებების საფუძველზე. მწერალს მიაჩნდა, რომ მოთხრობაში არის „ბიოგრაფიული ზღაპრის მონაცემები“, მაგრამ ის არ არის მემუარული ნაწარმოები და მისი ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებად აღიარება უსაფუძვლოა. თუ არა ამით. სხვა რით უნდა აიხსნას ის განაწყენებული ტონი, რომელიც ასე აშკარად ჩანს მ. გორკის წერილში თავისი ბიოგრაფიისადმი. ილია გრუზდევმა 1926 წ. მ. გორკის მოთხრობების მიხედვით შეადგინა წიგნი: „მაქსიმ გორკის ცხოვრება და თავგადასავალი“. ამ წიგნში, სხვათა შორის, თითქმის მთლიანად შეიტანა „ჩემი თანამგზავრი“, განსაკუთრებით ის ადგილები. სადაც შაქრო პტაძის მხატვრული სახე იკვეთება, მეტ კონკრეტულობას ღებულობს. სამწუხაროდ, ყოველივე ეს ისეა წარმოდგენილი, თითქოს მას დოკუმენტური ხასიათი ჰქონდეს. უფრო მეტიც, ბიოგრაფიამ ადამ...

<sup>1</sup> Архив А. М. Горького. ПГ—рл—23—15.

გინა ის მუქი, ნატურალისტური შტრიხებიც, რომლისაგან ავტორმა გაანთავისუფლა თავისი გმირი, როგორც მისთვის არადამახასიათებელი. მხატვრული ნაწარმოებისადმი ასეთი მიდგომით ჩვენ ვერ ავცდებით მის ცალმხრივ აღქმას, ხოლო ავტორს უნებლიეთ ჩრდილს მივაყენებთ. შევეუქმნით მას არახელსაყრელ რეპუტაციას. ამას გრძნობდა თვითონ გორკი.

„ახლა მე თქვენ, გრუზღევ, — წერდა მ. გორკი აღნიშნული წიგნის თაობაზე, — დეპეშით გამოგიგზავნეთ ნებართვა, დაბეჭდოთ წიგნი ბავშვებისათვის: „მ. გორკის ცხოვრება“, მაგრამ გეტყვით პირდაპირ: თქვენ რომ ეს გეკითხათ მანამ, ვიდრე დაიწყებდით მუშაობას ამ წიგნზე, რა თქმა უნდა, არ დაგრთავდით ნებას“<sup>1</sup>.

მწერალი ვერ ურიგდებოდა აგრეთვე, როცა არასწორად იგებდნენ მისი მოთხრობის აზრს და ცალკეულ სახეთა იდეურ მხარეს ამახინჯებდნენ. განსაკუთრებით განიცდიდა იგი შაქრო პტაძის მხატვრული სახის გაყალბებას, მისი სოციალური ბუნების იგნორირებას. „თავადი შაქრო. — წერდა გორკი კ. ჩუკოვსკის, — ჩემი, თქვენი, ჩვენი თანამგზავრია, მე მისი იდელოგი კი არა, მტერი ვარ“<sup>2</sup>.

თვალნათლივ ვხედავთ, როგორ სცოდავდნენ ბურჟუაზიული კრიტიკის მესვეურები, (სამწუხაროდ, არა მხოლოდ ისინი) როდესაც „ჩემი თანამგზავრის“ განხილვას წინასწარ აკვიატებული მოსაზრებებით უდგებოდნენ და მის ავტორს ნაციონალურ მიკერძოებას უკიყინებდნენ. ცხადია, ასეთი გამონხდომების ძირითადი მიზანი იყო დიდი მწერლის ავტორიტეტის შეზღუდვა; არ არის გამორიცხული ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრის გაუუგებლობაც.

ობიექტურად მოაზროვნე მკითხველმა თავიდანვე სწორად აღიქვა „ჩემი თანამგზავრი“ და არ გაიზიარა მოსაზრება, თითქოს ის მხოლოდ მემუარული ნაწარმოები ყოფილიყო. მოთხრობის იდეური შინაარსისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ასახვა პოვა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სარედაქციო წერილში, რომელიც 1903 წლის ოქტომბერში დაიბეჭდა „ჩემი თანამგზავრის“ ქართული თარგმანის გამოქვეყნების გამო. საკითხის შემდგომმა შესწავლამ საკვებით ნათელჰყო „ცნობის ფურცლის“ რედაქციის პოზიციის სისწორე, მოთხრობის მთელ რიგ ადგილებს, კერძოდ, შაქრო პტაძის მხატვრულ სახეს, დაეძებნა ლიტერატურული წყაროებიც, რომლებსაც შაქროს პროტოტიპებთან არ შეიძლებოდა რამე საერთო ჰქონოდა. ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და ცალკე წერილებში, პირველწყაროებზე დაყრდნობით, ეს საკითხი ვრცლად არის განხილული, რაც მთავარია, ჩვენმა მტკიცებამ სპეციალისტთა აღიარება მოიპოვა, ამიტომ აქ ამაზე საუბარს არ გავაგრძელებთ.

<sup>1</sup> Архив А. М. Горького. т. XI, М., «Наука», 1966, с. 49.

<sup>2</sup> Журнал «Молодая гвардия». 1938, № 6, с. 55.

მოთხრობა „შეცდომა“ გორკის ადრინდელი შთაბეჭდილებების, დაკვირვებებისა და განცდების შემაჯამებელ ნაწარმოებად ითვლება. ამ მხატვრულ ტილოში ავტორი ძირითადად ხალხოსნებთან ურთიერთობით მიღებულ გამოცდილებას განაზოგადებს. მოთხრობაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა თბილისში მაცხოვრებელ „სამოცდაათიანელებთან“ კატორღის შემდგომ საქმიანობას, მათ ურთიერთობას რადიკალურად განწყობილ ახალგაზრდობასთან. როგორც იყო თქმული, გორკი თბილისში ჩამოსვლისთანავე რევოლუციონერ ინტელიგენტთა წრეში აღმოჩნდა, დაუახლოვდა ამ წრის წევრებს და ბევრ მათგანთან ახლო ურთიერთობაც დაამყარა.

საერთოდ ცნობილია, რომ გორკის ხალხოსან ინტელიგენციასთან ყმაწვილობიდანვე ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. ამ წრესთან სიასლოვემ გარკვეული კვალი დატოვა მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც. ფაქტიურად ხალხოსანი რევოლუციონერები იყვნენ ის ადამიანები, რომელთა წრეში გორკიმ პირველად მიიღო არაღვანულური დავალება და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ მოძრაობაში. ცნობილია ვოლგისპირეთის ხალხოსანთა ზეგავლენა ახალგაზრდა პეშკოვის ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, როგორც თვითონ გორკის არაერთგზის აღუნიშნავს, ვ. კოროლენკომ, ა. ლანინმა, მ. რომასმამ, ა. დერენკოვმა, გ. პლეტნიოვმა და სხვებმა მომავალ მწერალზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს. აქედან უნდა ითქვას, რომ ხალხოსანთა წრე, რომელთანაც ახალგაზრდა პეშკოვს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, სამოცდაათიანელებს უკავშირდებოდა. ამ წრის ზოგიერთმა წევრმა შემდგომში ევოლუცია განიცადა სოციალ-დემოკრატიისაკენ. აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ იგივე ვ. კოროლენკო და გ. პლეტნიოვი. იმავე წრესთან ურთიერთობა ჰქონდათ რევოლუციური მოძრაობის სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებს, რომლებიც მოგვიანებით ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები გახდნენ, მათ შორის — ს. სომოვის, ვ. დენნიცისა და სხვებს. ამავე დროს მეცნიერული ჰუმანიტება მოითხოვს საგანგებოდ აღინიშნოს ახალგაზრდა პეშკოვზე ხალხოსან-ინტელიგენტთა, უწინარეს ყოვლისა, პირადი მაგალითის ზეგავლენა. ახალგაზრდა პეშკოვს ხიბლავდა მათი გმირული წარსული, ფართო ერუდიცია, ცხოვრების უშუალო განცდით მიღებული მდიდარი შთაბეჭდილება, პატიოსნება, მოუსყიდველობა და, რაც მთავარია, რომანტიკულად განწყობილ ახალგაზრდას ატყვევებდა ამ კეთილშობილ ადამიანთა ურყევი რწმენა და საქმისადმი ფანატიკური სიყვარული. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ მ. გორკი მას შემდეგაც, როდესაც საბოლოოდ გაწყვიტა ურთიერთობა პრაქტიკოს ხალხოსნებთან და დაგმო მათი ბრძოლის მეთოდი, ბოლომდე პატივს სცემდა სამოცდაათიანელთა ბევრ წარმომადგენელს, მათ შორის კოროლენკოს, ლანინს, კალიუჟინს თავის მასწავლებლად თვლიდა.

მაგრამ ხალხოსნებმა მწერალს იმედი გაუცრუა. ერთხანს დაიბნა კი-

დევ, დაკარგა ორიენტაცია და თვითმკვლელობაც კი სცადა. მის მოუღვენრობა დაეტყო და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სწირად იცვლიდა საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს, ცდილობდა საკუთარი დაკვირვებით დამოუკიდებლად გაეკაფა გზა, ამოეხსნა ცხოვრების უკუღმართობის მიზეზები. როგორც უკვე ვთქვით, ძიების ამ ურთულეს პროცესში მყოფი მომავალი მწერალი თბილისში აღმოჩნდა.

90-იან წლებში თბილისში აღმოჩნდნენ სამოც-სამოცდათიანელების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორც იყვნენ ვ. ბერევი-ფლეროვსკი, კალიუჟინი, დანკო და სხვები, რომლებიც ბოლომდე მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში დარჩნენ. მოთხრობა „შეცდომის“ მთავარი გმირის კრავცოვის პროტოტიპი გოლა ჩიტაძეც რევოლუციონერ-ინტელიგენტა ამ წრეს მიეკუთვნებოდა. ისე როგორც ბევრ-მა სხვამ, ჩიტაძემაც 80-იანი წლების მიწურულში შეიცვალა შეხედულება, გაეცნო მარქსისტულ ლიტერატურას და მისი დადებითი ზეგავლენა განიცადა. ამიტომ შეეძლო გორკის ეთქვა, რომ გ. ჩიტაძე ერთ-ერთი პირველი მარქსისტი იყო საქართველოში.

მოთხრობამ — „შეცდომა“ — ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე გამოიწვია აზრთა სხვაობა თვით ხალხოსნების წრეში. ნ. მიხაილოვსკიმ, რომელსაც ეს მოთხრობა უნდა დაებეჭდა თავის ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოში“, დაინახა, რომ იგი ხალხოსნების დოგმების წინააღმდეგ იყო მიმართული და უარი თქვა მის გამოქვეყნებაზე. აქედან მოკიდებული „შეცდომას“ არ მოკლებია როგორც მკითხველთა. ასევე კრიტიკოსთა ყურადღება. მაგრამ მოთხრობის ანალიზის დროს ზემოაღნიშნული მომენტებისათვის გვერდის ავლამ ნაწარმოების მთელი რიგი ადგილები ამოუხსნელი დატოვა და „შეცდომამ“ საჭირო სისრულით გაშუქება ვერ პოვა. დღეს უკვე ეს ცალმხრივობა დაძლეულია, ბევრი რამ გაიჩკვა. ამდენადვე აქ მოთხრობაზე საუბარს არ გავაგრძელებთ.

გორკის ადრინდელ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ნარკვევს „ყაჩაღები კავკასიაში“ საპატიო ადგილი უკავია. აქ ავტორმა თავისი დროისათვის მეტად აქტუალური საკითხები წამოჭრა და კიდევაც გასცა მათ მეცნიერულად დამაჯერებელი პასუხი. პუბლიცისტმა საგანგებოდ აღნიშნა მეფის რუსეთის იმპერიაში შეშავალ ხალხთა უუფლებო მდგომარეობა. ჩაგრულთა დიდი მეგობარი გაბედულად ექომაგებოდა მათ, ფხიზლად იდგა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების სადარაჯოზე. ეს ნარკვევი 1896 წელს გაზეთ „ნიეგოროდსკი ლისტოკის“ რამდენიმე ნომერში გამოქვეყნდა. ნარკვევში ავტორი მოურიდებლად ამხელს ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას კავკასიაში. მზის სინათლეზე გამოაქვს და სასტიკად გმობს ამ პოლიტიკის ვამანადგურებულ შედეგებს. სორკის მტკიცებით, კავკასიაში ფართოდ გავრცელებული ყაჩაღობა ამ მახინჯი პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი იყო.

ცნობილია, რომ მ. გორკი ნიენი-ნოვგოროდში ადვოკატ ა. ი. ლანინ-

თან წლების მანძილზე მუშაობდა გადამწერად. ამ ცნობილ იურისტს მდიდარი პრაქტიკა ჰქონდა და მომავალი მწერალიც ინტერესით ადევნებდა თვალყურს რუსეთის იურისპრუდენციის განვითარებას, გულდასმით სწავლობდა სპეციალურ ლიტერატურას, ეძებდა პასუხს დანაშაულებათა ზრდის მიზეზებზე. ნარკვევში „ყაჩაღები კავკასიაში“ აშკარად ჩანს ავტორის გათვითცნობიერება, ისე როგორც მისი სპეციალურ ლიტერატურის საჭირო ცოდნა. გორკი ნარკვევში ავლენს დანაშაულებათა გამომწვევი სოციალური მიზეზების მიგნების საოცარ ალღოს. ამ ნარკვევებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ მწერალი ბრწყინვალედ იცნობდა კავკასიის რეგიონს, ასახელებს უამრავ ქალაქებსა და სოფლებს, სადაც თვითონ ყოფილა, მათ შორის სიღნაღს, გორს, დუშეთს, ქუთაისს და სხვ.

გორკის, ვიდრე ნარკვევის წერას შეუდგებოდა, შეუსწავლია სათანადო ლიტერატურა, დაუმუშავებია ა. ს. ფრენკელის 1892 წელს გახმაურებული წიგნი — „კავკასიაში ყაჩაღობის ისტორიისათვის. ტატო წულუკიძე“ და გამოჩენილი ქართველი იურისტების გეგიძისა და ლახვარის შრომები. საგანგებო აღნიშვნის ღირსია გორკის გაბედული მოთხოვნა, კავკასიაში სასამართლოების რეფორმის შესახებ. მწერალი აყენებდა წინადადებას სახალხო სასამართლოების შექმნისა და პროცესების ეროვნულ ენებზე წარმართვის თაობაზე. ეყრდნობოდა რა გეგიძის დასკვნებს, გორკი წერდა: უაზრობა იქნება შევედოთ გეგიძის პროექტსო, რომელიც ავტორს კავკასიაში სასამართლო პრაქტიკის კარგმა ცოდნამ უკარნახა. თუ ადგილობრივი მცხოვრებლები, აგრძელებს მწერალი მსჯელობას, დაინახავენ თავიანთ თავს უშუალო კავშირში მართლმსაჯულებასთან, თუ მოდავე მხარეები ერთმანეთს გაუგებენ საეჭვო პირების შუამდგომლობის გარეშე, რომლებიც თარჯიმანის როლში გამოდიან, და ბოლოს, თუ ფშავი გაასამართლებდა ფშავს, თათარი — თათარს, ქართველი. — ქართველს, რასაც უდავოდ ექნება ადგილი, როდესაც ხელმწიფის სასამართლოში სახალხო მსაჯულებს შეიყვანენ, მაშინ, დაასკვნის გორკი, მოსახლეობა არ დაიწყებდა მართლმსაჯულების ძებნას... ყაჩაღებთან, რომლებიც მოსახლეობას აწიოკებენ და ფიზიკურად უსწორდებიანო.

გორკი ნარკვევში „ყაჩაღები კავკასიაში“ ამხელს აგრეთვე მეფის მოხელეთა უაზრო სიმკაცრეს, რომლებიც მიმართული იყო ხალხის შესაშინებლად. მეფის დამქაშები ერთ-ერთ ასეთ საშუალებად საჯაროდ სიკვდილით დასჯას მიიჩნევდნენ, რაც კავკასიაში ფართოდ გავრცელებული იყო. დიდმა ჰუმანისტმა ამ საზიზღრობაში სულ სხვა რამ დაინახა. გორკის ნარკვევში ხალხს არამცთუ ეშინია ასეთი ღონისძიების, არამედ ყოველმხრივ თანაუგრძობენ განწირულთ, რომლებიც თავის მხრივ ისე გამირულად ხვდებიან სიკვდილს, რომ თავის მოქმედებით ამხნევენ და მსწრეებს, ხოლო „უსახო“ ჩინოვნიკებს კი შიშის ზარსა სცემენ. ასეთი სიკვდილით დასჯა გორკიმ აღწერა ნარკვევის ბოლოს. მწერალი გვიჩვენებს 1892 წელს გორში ორი ყაჩაღის ჩამოხრჩობას და ხაზგასმით აღნიშ-



ნავს, თუ როგორ გმირულად შეხვდნენ ისინი დანაჩენს. ყაჩაღებს იუმორის გრძნობა ბოლომდე არ დაუკარგავთ. ისინი ხუმრობდნენ, თითქოს სახარხობელა მათთვის არ ყოფილიყო გამზადებული. ხალხიც მშვიდი თანაგრძნობით უყუებდა მათ.

გორკის ღრმა რწმენით, სასურველ შედეგებს მოიტანს არა სიკვდილით დასჯა, არამედ აღმზრდელი ღონისძიებები და სამართლიანი კანონები. მწერალი საერთოდ გმობდა სიკვდილით დასჯას, მის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ეს კი ახალგაზრდა გორკის გაბედული გამოსვლა იყო.

დიდი მწერლის თხზულებებში საქართველოს ლანდშაფტის თითქმის ყველა კომპონენტმა პოვა ასახვა, გორკი გვიხატავს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებს, მთებსა და აქაფებულ მდინარეებს, მინდვრებსა და ხეობებს. ბუნების გრანდიოზული სილამაზის ალეგორიული აღწერა მწერალს ეხმარება როგორც ადამიანის ხასიათის, ასევე საზოგადოების ცხოვრების ცალკეული დეტალების პოეტიზირებაში. მწერალს ადამიანის ყოფიერებისათვის დამაბასიათებელი ეპიზოდები ხშირად გადააქვს ბუნების წიაღში და მასთან მთლიანობაში განიხილავს, რაც ბევრად აძლიერებს აღწერილის უშუალოებასა და მიძიდელოებას. ამავე დროს, წარმოებთა ქსოვილში ჩართული მცენარეებისა და ცხოველების, ფრინველებისა და მწერების მხატვრული სახეები უაღვილებდა მწერალს გვერდი აველო ცენსორთა გაძლიერებულ მეთვალყურეობისათვის და უფრო მოხერხებულად გამოეთქვა საკუთარი შეხედულება.

პროლეტარიატის დიდი მწერალი საქართველოში ყოველი ახალი ჩამოსვლის დროს კიდევ უფრო ღრმად სწვდებოდა ჩვენი ცხოვრების ცალკეულ მხარეებს, გულდასმით აკვირდებოდა „რომანტიკოსი ქართველი ხალხის“ სულიერ ცხოვრებას, მისი უძველესი კულტურის აღორძინებასა და განახლებას. გორკის ასეთ გულისხმიერ დამოკიდებულებას ჩვენს ხალხის სულიერი საუნჯისადმი უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან ჩვენს ცხოვრებაზე დაკვირვებით კიდევ უფრო გაიფართოვა ისედაც მრავალმხრივი და საოცრად ვრცელი პორიზონტი. გორკისათვის ქართველი ხალხის ცხოვრებასთან დაახლოება ნაყოფიერი აღმოჩნდა სხვა მხრივაც. ამის დასტურია საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა, საიდანაც აშკარაა, რომ გორკი, საკმაოდ კარგად იცნობდა ქართულ მუსიკალურ კულტურასაც: „სიმართლისაგან ძალზე შორსაა, — ამბობდა გორკი, — რომ ძველი რუსული, უკრაინული და ქართული სიმღერების მელოდიები მწუხარებითა და სევდით აღსავსეა. ალბათ თათრებსა და სომხებსაც აქვთ სამარშო, საგუნდო, სახუმარო და შრომითი სიმღერები. მაგრამ მე ვლაპარაკობ მხოლოდ იმაზე, რაც ვიცი. ძველი რუსული, ქართული, უკრაინული სიმღერები გამოირჩევა უსაზღვრო მუსიკალური მრავალფეროვნებით“.

ყურადღებას იპყრობს გორკის მოთხოვნები, რომლებიც მან ახალგაზრდა საბჭოთა მწერლებს წაუყენა. ის კარგად გრძნობდა. თუ რამდენ-

ნად აუცილებელი იყო ლიტერატორისათვის სხვა ერის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა. ამ მიზნის მიღწევა, გორკის მტკიცებით, ორი გზით შეიძლებოდა: პირველი — ეს იყო მხატვრული ნაწარმოებების თარგმნა. მაგრამ, ამავე დროს, ლიტერატორს უნდა შესძლებოდა სხვა ხალხის სიტყვაკაზმულ მწერლობის ნიმუშებს ორიგინალშიც გასცნობოდა. მწერალი მოუწოდებდა ახალგაზრდა ლიტერატორებს, შეესწავლათ უცხოური ენები, მაგრამ მას საბჭოთა მწერლებისათვის უფრო საჭიროდ და გადაუდებელ ამოცანად საბჭოთა ხალხების ენების შესწავლა მიაჩნდა.

არა ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ამბობდა იგი ყრილობაზე, აზერბაიჯანელების, თურქების, სომხების, ქართველებისა და სხვათა ენების შესწავლა. საჭიროა დამწყებ მწერლებთან მეცადინეობისათვის გამოვიმუშაოთ საერთო პროგრამა. ეს პროგრამა ჩვენი მუშაობიდან უნდა გამოორიცხადდეს სუბიექტივიზმს, რომელიც უკიდურესად მავნებელია ახალგაზრდობისათვის.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, გორკი ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში გაეცნო და შემდეგ მას ჩვენი მწერლობისათვის ყურადღება არ მოუკლია. მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ირკვევა, 1901 წელს გორკის დაუწყია ზრუნვა ქართული ლიტერატურული ნიმუშების რუსულად თარგმნისათვის. ამ მიზნით ახლო ურთიერთობა დაუწყებია პროფ. ა. ხახანაშვილთან, ცნობილ მთარგმნელ ვ. გიუნაშვილთან და სხვებთან. იგი ცდილობდა ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების რუსულად თარგმნით ხელი შეეწყო ჩვენი ეროვნული საუნჯის ფართო მასებში გატანისათვის.

1903 წელს, როდესაც გორკი მეოთხედ ჩამოვიდა საქართველოში, ის საგანგებოდ შეხვდა ჩვენს მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, გააგრძელა მათთან მოლაპარაკება ქართველი მწერლების თხზულებათა რუსულად თარგმნის თაობაზე. ცოტა მოგვიანებით გორკი გამომცემლობა „ზნანიას“ დირექტორს სწერდა, რომ მისი ოცნებაა რუსულად გამოსცეს ნაციონალურ ლიტერატორთა საუკეთესო ნიმუშები, მათ შორის ქართული. მაშინ ამ უაღრესად კეთილი და საჭირო ღონისძიების განხორციელებას ხელი შეუშალა მწერლის იძულებითმა ემიგრაციამ. მაგრამ იტალიაში მყოფმა გორკიმ, მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, მაინც არ შეწყვიტა კავშირი სამშობლოსთან, არ დავიწყებია არც რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა მწერლების ბედი, თუმცა მათთან ურთიერთობის დაწყება კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა.

სწორედ ამ დროს გორკიმ იტალიაში მიიღო ქართველ ლიტერატორთა წერილი. ჩვენი მოღვაწეები მოახსენებდნენ დიდ მწერალს ბაქოში შექმნილი მთარგმნელთა ჯგუფის მიზნების შესახებ. ნ. ვ. კანდელაკი ამ ჯგუფის სახელით სწერდა, რომ განზრახული აქვთ ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა რუსულად თარგმნა. კანდელაკი და მისი ამხანაგები ჩვენი ხალხის დიდ მეგობარს სთხოვდნენ

დანმარებას. ყველაზე დიდი დანმარება თქვენი მხრივ იქნებოდა, წერდა ნ. კანდელაკი, თუ თქვენ ამ კრებულს რედაქტორობას გაუწევდითო. წერილის ავტორი და მისი მეგობრები კარგად გრძნობდნენ, თუ რაოდენ რთულ საქმეს თხოვდნენ გორკის, მაგრამ ამავე დროს ღრმად დარწმუნებული იყვნენ, რომ იგი მათ მხარს დაუჭერდა. ქართველ მოღვაწეებს იმედმა არ უმტყუნა. გორკი საპასუხო წერილში იუწყებოდა: ვფიქრობ, თქვენს მიერ წამოწყებული საქმისათვის გამოსადეგი ვიქნებიო. მე ის, აგრძელებს მწერალი, უადრესად მნიშვნელოვან საქმედ მიმაჩნია, რადგანაც ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდესაც „რუსეთის სულიერი შეკრება“, საწინააღმდეგოდ იმ ძალებისა, რომლებიც მას არღვევენ და საბოლოო განადგურებას უქადიან, დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაწყებულიო.

ამავე წერილში, ცოტა ქვემოთ, გორკი თუმცა, ქართული ენის უტოდი-ნარობის გამო, გრძნობდა ერთგვარ უხერხულობას, მაგრამ მაინც დათანხმდა კრებულის რედაქტორობაზე და სთხოვა თავის ქართველ კოლეგებს გამოეგზავნათ მისთვის საჭირო ლიტერატურა რუსულ ენაზე საქართველოსა და მისი მწერლების შესახებ. გორკიმ ეს ლიტერატურა იტალიაშივე მიიღო და ახლა უკვე საგანგებოდ შეისწავლა ჩვენი ერის მდიდარი კულტურა, მისი გმირული წარსულის ისტორია და აწმყო.

თუ რამდენად ენერგიულად მოეკიდა გორკი ქართველთა წამოწყებას, ჩანს იმავე წერილიდან: გადავდივარ საქმეზე, ვკითხულობთ საპასუხო წერილში, თუ თქვენ უკვე გაქვთ ქართველ ავტორთა ნაწარმოებები, თარგმნილი რუსულ ენაზე, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ. ალბათ მათი ნაწილის დაბეჭდვა ჟურნალ „სოვრემენნიკში“ მოხერხდება, რომელიც 1913 წლიდან მიზნად ისახავს შექმნისდაგვარად გააშუქოს ტომებისა და მხარეების საკითხები. ამის შემდეგ მე გთხოვდით „სოვრემენნიკისათვის“ გამოგზავნოთ ნაკვეთი ქართულ ლიტერატურის ისტორიის შესახებ, ასევე წერილი თემაზე — „საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა, მისი მოთხოვნები და საჭიროებანი“. თქვენ, რა თქმა უნდა, ეს თემა უფრო ფართოდ და ღრმად გესმით, ვინემ მე. ჩემს თავზე თარგმნების რედაქტორობის აღება მეუხერხულება, მაგრამ თქვენ თუ საჭიროდ თვლით. ვიკისრებ. ასეთ შემთხვევაში მე დამპირდებოდა მოადგილე, რომელსაც საქმოდ კარგად ეცოდინება მშობლიური ენა და ლიტერატურა. შემძლია თუ არაო, კითხულობდა მწერალი, იმედი ვიქონიო, რომ მეყოლება ასეთი დანმარებ? მაშინ, აგრძელებს მწერალი. გთხოვთ დამისახელოთ ყველა ცნობილი წიგნი და სტატია რუსულ ენაზე საქართველოსა და ქართულ ლიტერატურის ისტორიის შესახებ. თუ რამე ასეთი ხასიათის მასალა თქვენ უკვე ხელთა გაქვთ გთხოვთ გამომიგზავნეთო.

მიიღეს რა მაქსიმ გორკის ასეთი ერთსულოვანი მხარდაჭერა, ქართულმა ლიტერატორებმა საქმეს დიდი ენთუზიაზმით მოკიდეს ხელი და მოკლე დროში წარმატებასაც მიაღწიეს. ინიციატორთა ჯგუფმა სპეციალური მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხს. მოწოდებას ქართველმა საზოგა-

დობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. შეიქმნა სპეციალური კომიტეტები თბილისსა და ქუთაისში. ნათარგმნ ლიტერატურას გზავნიდნენ აგრეთვე პეტერბურგიდან და მოსკოვიდან, ხელნაწერები მოდიოდა საზღვარგარეთიდანაც.

სამწუხაროდ, ამ კარგ წამოწყებას ბევრი ობიექტური მიზეზი გადაელობა და ოქტომბრის რევოლუციამდე მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა რუს მკითხველთათვის ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების მიწოდება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ისე ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი მოღვაწეობა, რომ ქართველმა მკითხველმა მშობლიურ ენაზე წაიკითხა რუსული ლიტერატურის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ასევე რუსი მკითხველი გაცნო ქართულ ლიტერატურას.

გორკიმ ჯერ იტალიაში, შემდეგ ფინეთსა და პეტერბურგში მიიღო ქართველი მწერლების თხზულებათა რუსული თარგმანი, განსაკუთრებული ყურადღებით წაიკითხა ის და კიდევ უფრო დაუახლოვდა ჩვენი ხალხის სულიერ სამყაროს. ქართველ კლასიკოსთა მხატვრულ ტილოებში იგი ხედავდა მისთვის ნაცნობ, მაგრამ რაღაც სულ სხვა კუთხით დანახულ სინამდვილეს და ამიტომ ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის მუდმივი პატივისმცემელი და პროპაგანდისტი გახდა.

ქართული ლიტერატურის ნიმუშების გაცნობასთან ერთად გორკი უნდა დაინტერესებულყო ჩვენი ერის ბუნებითაც. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ფლობდა გორკი ქართულ ენას, მაგრამ დიდი მწერლის შემოქმედებაში ქართული ენის კვალი აშკარად ჩანს.

მწერალს თავიდანვე ყურადღება ჩვენი ენის ლექსიკისათვის მიუქცევია და არ მორიდებია მის გამოყენებას. როგორც ქვემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, გორკის სცოდნია ჩვენი დამწერლობის ძირითადი პრინციპიც, მას ყურადღება მიუქცევია იმ დამახასიათებელ შეცდომებისათვის, რომელსაც უშვებენ როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში გრამატიკული სქესის არამქონე ენაზე მოლაპარაკენი. მას სცოდნია აგრეთვე, რატომ უძნელდებათ ქართველებს რუსული რბილი თანხმოვნების გამოთქმა და სხვ. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, როგორც ცნობილია, გორკოს, გარდა იმისა რომ ის ხანგრძლივად ცხოვრობდა საქართველოში, თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე ანლო პირადი ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან, კარგად იცნობდა საქართველოს გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიას. ყოველივე ამას დიდი მწერლის შემოქმედებაში თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა. ეს ასედაც არის.

გორკის ჯერ კიდევ 90-იან წლებში სცოდნია, რომ ქართულ ენას მრავალი დიალექტი აქვს. ამიტომ მწერალი მოითხოვდა არა მარტო სალიტერატურო ქართულის შესწავლას, არამედ მისი კილოების ცოდნასაც. მხოლოდ ასეთ პირობებში, გორკის მტკიცებით, კავკასიაში მომუშავე; რუს ჩინოვნიკებს შეეძლოთ უშუალო კონტაქტი დაემყარებინათ ჩაოხ-

თან. ყურადღებას იპყრობს, რომ გორკი 1896 წელს ქართული ენის თითქმის ყველა ძირითად დიალექტს ასახელებს.

„კავკასია, — წერდა მ. გორკი, — წარმოადგენს ენების ბაბილონისეზური არევის სრულ სურათს. იმისათვის, რომ მართლმსაჯულების წარმომადგენლები უშუალოდ ახლოს იყვნენ ხალხთან, ისინი უნდა ლაპარაკობდნენ თათრულად, სომხურად, ქართულად. უნდა იცოდნენ ქართული ენის ყველა დიალექტი: მეგრული, სვანური, ფშაური, ხევსურული, თუშური, გურული...“

გორკის შემოქმედებაში გვხვდება სულ სხვადასხვა მნიშვნელობისა და ხასიათის ქართული წარმომავლობის სიტყვები, განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელწოდებები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი ბრწყინვალედ იცნობდა ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და მხარეებს. ხშირად გვხვდება Тифлиси, Мухета, Кутаиси, Батуми, Сухуми. მწერალი იცნობს თბილისს არა ზოგადად, არამედ ასახელებს მის ცალკეულ უბნებს: Авлабарт, Дидубе, Муштанд, Навтлуг, Нарикаლა, Верийский мост. მან იცის ქალაქის ნაგებობების სახელწოდებები: Михайловская больница, Метехი და სხვ. გორკი ასახელებს აგრეთვე საქართველოს ცალკეულ კუთხეებს, მათ შორის: Имерети, Гурია, Мингрелия, Аджария, Хевсурети, Пшавი, Араგვი... გორკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ვხვდებით ჩვენი მთებისა და ხეობების დასახელებას: Кавказ, Дарниальское ущелье, Мамисонский перевал, Гудаური, Малокавказский хребет. გორკიმ იცის ჩვენი ქვეყნის ანტიკური სახელწოდება — Иберия და რამდენჯერმე იყენებს მას. ვხვდებით აგრეთვე ჩვენი ქალაქების დასახელებასაც: Ахалкалаки, Ахалцихе, Гори, Сигнахи, Душети, Квრილა, Очамчирე; აქვეა აღნიშნული Новый Афон, Гелати, Коджორი. მდინარეებიდან გარდა მტკვრისა გორკის შემოქმედებაში გვხვდება Араგვი და Кодორი.

თუ რამდენად გათვითცნობიერებული იყო მწერალი ჩვენს ჩვევებსა და ადათში, ქართველთა ყოფაცხოვრების დეტალებში, აშკარად ჩანს მის შემოქმედებაში შესული ქართული სიტყვებიდან. დიდ მწერალს რუსულ ენაში თამამად შეუტანია ქართული სიტყვები: Шампур, гамарджоша, чонгури, хоруми, перху.ли, аахли, арба, духан და სხვა. მწერალი კარგად იცნობს ქართულ სამზარეულოს. ის ხშირად ხმარობს ჩვენი კერძების დასახელებას. მათ შორის: Чахохбили, чихиртма, плавни, лавაши და სხვ.

მ. გორკის შემოქმედებაში გვხვდება აგრეთვე ქართული საკუთარი სახელები. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მწერალი მათ არ „არუსულებს“, ისევე გადმოგვცემს, როგორც ამ სახელებს საქართველოში ხმარობენ: Вано Буадзе, Васо Арабидзе, Коте Давлишвили, Тато Цулукидзе, Шакро Птадзе, Романоз Гватуа, Власа Мгеладзе, Андро

ლეჟავა, მაქსიმ ბუაძე, გეგიძე, გლდანელი, დადიშკელიაშვი, გურიელი, დზადვანი და სხვა.

გორკის შემოქმედებიდან საერთოდ, განსაკუთრებით კი მოთხრობა „ჩემი თანამგზავრიდან“ აშკარა ხდება, რომ მწერალს მიუქცევია ყურადღება ჩვენი დამწერლობის ფონეტიკურ პრინციპისათვის. როდესაც ის შაქრო პტაძის მხატვრულ სახეს გვისურათებს, მისი ხასიათის ინდივიდუალური თვისებების გამოსაკვეთად ჩვენი ორთოგრაფიის ამ თავისებურებასაც იყენებს. მოთხრობაში შაქროს მეტყველების გადმოცემის დროს ხშირად გვხვდება რუსული ორთოგრაფიისათვის მიუღებელი, მაგრამ ქართული დამწერლობისათვის დამახასიათებელი ჩანაწერი: харашо, ка-нечно, пайду, цавელი და სხვა. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ უკვე ნათქვამიდან კარგად ჩანს, რომ გორკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში საქართველოსა და ქართველებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რაც ნათლად მოწმობს დიდი მწერლის სიყვარულსა და ინტერესს ჩვენი ხალხისა და მისი უძველესი კულტურისადმი.

გორკის მეტად ნაყოფიერი და სასახელოდ გავლილი ცხოვრებისა და შემოქმედების გზაზე სხვა უამრავი მაგალითის დასახელებაც შეიძლებოდა, მაგრამ ერთ რამეს გვერდს მაინც ვერ ავუვლით. დიდი მწერალი აი. ი. ვაწეობის უკანასკნელი წლები კიდევ ერთი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენით აღინიშნება. გორკი იყო საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან გენიალური შორსმჭვრეტელობით განსაზღვრა საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელობა. პროლეტარიატის დიდ მწერალს კარგად ჰქონდა შეგნებული საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალური ხასიათი და ამასთან დაკავშირებული სიძნელებები.

გორკი ყოველთვის მომაჯადოებელი გულახდილობით ლაპარაკობდა მის ჩამოყალიბებაში ქართველი ხალხის მდიდარი კულტურის როლზე, იმ განცდებზე, რომლებიც მან აქ აღიქვა. ჩვენი ერის წარმომადგენლებთან ხანგრძლივი ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად გორკის შექალოეთქვა, რომ საქართველო მისი პოეტური სამშობლოა, რომლის კულტურულ მემკვიდრეობას მაღალ შეფასებას აძლევდა. ქართულ ლიტერატურისადმი ასეთი დამოკიდებულება მწერალმა ერთობ დამაჯერებლად საბა სულხან ორბელიანის თხზულებათა წაკითხვის შემდეგ ჩამოაყალიბა: „ყმაწვილობისას, — წერდა იგი, — როდესაც განურჩევლად ვკითხულობდი ყველა წიგნს, რომელიც კი ხელთ ჩამივარდებოდა, ერთ ძველმანებით მოვაპრე დუქანში შევამჩნიე დაძინილი, მოსაწყვენ რუს ყდაში ჩასმული წიგნი, წიგნის ყდა ნოტიოსაგან ყვითელი ლაქებით იყო დაფარული, რომლის ქვემოდან მოჩანდა შავად დაწერილი ტიტულის მეტად ყურადსაღები სიტყვები: „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“. თუმცა მე მაშინ საამისოდ ფული არ მქონდა, მაგრამ მაინც შევიძინე... „წიგნი სიბრძნისა“ გამოდგა ქართული ზღაპრების კრებული... რამდენიმე თვის წინათ ეს წიგნი კვლავ

ჩამივარდა ხელში, ის შედგენილია საბა სულხან ორბელიანის მიერ და გამოცემულია პეტერბურგში აღმოსავლური ენების ფაკულტეტის განკარგულებით 1878 წელს; ამჯერად ეს წიგნი დიდი სიამოვნებით წავიკითხე და იგი მართლაც რომ ბრძნული აღმოჩნდა..." (24, 283).

ქართველი ხალხისა და მისი კულტურისადმი მაქსიმ გორკის გულისხმიერი დამოკიდებულების ამსახველი ბევრი სხვა დოკუმენტის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულიც საკმარისია, რომ დავინახოთ თუ როგორი ყურადღებით ეკიდებოდა დიდი მწერალი იბერთა ქვეყანას და მის მკვიდრთა უნიკალურ კულტურას.

რაც უფრო დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება გორკის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საოცრად ფართო პორიზონტი, მწერლის მიერ წამოჭრილი პრობლემების მნიშვნელობა და მათი ხორცშესხმის ისტორიული აუცილებლობა.

### ბალდაღის მთებშიდან აფრენილი არწივი

ვლადიმერ მაიკოვსკი, ჩვენს ლიტერატურაში შევიდა მუდმივი განახლებისა და სიჭაბუკის სიმბოლოდ. განა ვინმეს მოუვა აზრად, რომ პოეტი დაძაბუნებულ მოხუცად დაგვიხატოს? ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ოცდაჩვიდმეტისა არ იყო, ცხოვრებიდან რომ წავიდა, არამედ იმიტომ, რომ ჟამთა სვლა ვერაფერს აკლებს მულამ ახლის ძიების შთამაგონებელ სტრიქონებს. მისი უკვდავი მემკვიდრეობა საუკუნეებს შერჩება, როგორც პოეზიის განახლების ბრწყინვალე ნიმუში. აკი პოეტმა ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც მისი სახით დაუცსრომელი მომღერალი შეიძინა, „კაცობრიობის გაზაფხული“ უწოდა!

მხატვრული აზროვნების ისტორიამ არ იცის მეორე პოეტი, რომელიც ისე ორგანულად შერწყმოდეს რევოლუციურ სინამდვილეს, როგორც ეს ვლადიმერ მაიკოვსკიმ შეძლო და ქარიშხლით შობილმა მგზნებარე ტრიბუნის საპატიო სახელი დაიმკვიდრა, გახდა რევოლუციური სინამდვილის უბადლო ტრუბადური. ამის ახსნა მხოლოდ პოეტის გენიალური ნიჭით არ შეიძლება. ამომწურავ პასუხს ვერც მწერლის ეპოქალური დამთხვევის მოშველიებით მივიღებთ. ფართოდ არის ცნობილი ვ. ი. ლენინის საყოველთაოდ აღიარებული დებულება, რომ ჭეშმარიტად დიდ მწერალს ყველა დროში საზოგადოების რევოლუციური განვითარების რომელიმე ერთი მხარე მაინც აუსახავს. ვ. მაიკოვსკის არნახული წარმატება ამასთან ერთად თვით სოციალისტური რევოლუციის ხასიათში უნდა ვეძიოთ, რომელიც ესოდენ რელიეფურად ჩანს მწერლის შემოქმედებაში, მანვე ბევრად განსაზღვრა პოეტის სახელის მსოფლიო რეზონანსი, რადგან ოქტომბერმა არა მარტო რუსეთი გარდაქმნა ძირფესვიანად, მან მეტნაკლები

გამოძახილი პოვა ჩვენი პლანეტის სხვადასხვა რეგიონში. ამდენადვე სავესებით ბუნებრივად გვესახება, რომ დიდი პოეტის შემოქმედებამ, რომელიც ისტორიული მოვლენების ცოცხალი აღქმის ნაყოფია, თავიდანვე საერთაშორისო ყდერადობა შეიძინა. ოქტომბრის პოეტის ნიჭის მაღლით დავალებული აღმოჩნდა ჩვენი საუკუნის ყველა საღად მოაზროვნე შემოქმედი. საღ არ შეხვდებით დღეს მისი ხალასი ტალანტის გამოძახილს! რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციას სხვა მომღერალი არ ჰყოლია, მაგრამ კაცობრიობის ისტორიის შემოზრუნების ეს ურთულესი პროცესი მხატვრულ ლიტერატურაში სწორედ ვ. მაიაკოვსკის პოეზიაში აისახა ყველაზე კოლორიტულად და რელიეფურად. ამასთან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტი თვითონ იყო რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, ჩვენთვის აღვილი გასაგები განდება ვ. მაიაკოვსკის მემკვიდრეობის დიდი მნიშვნელობა.

ვ. მაიაკოვსკი რევოლუციური სინამდვილის ასახვით არ დაკმაყოფილებულა. იმდენად შეესისხლბორცა სოციალისტურ გარდაქმნებს, რომ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა საბჭოთა ადამიანის პოეტური სახე, ფხიზლად იღგა ქვეყნის ინტერესების საღარაჯოზე და ყველგან ჩვენი ცხოვრების დაულაღვი პროპაგანდისტი იყო. განსაკუთრებით ეს იგრძნობა საზღვარგარეთ მოგზაურობის შედეგად შექმნილ ლექსებში. სამშობლოდან შორს მყოფი პოეტის შემეცნებაში მეტი სიცხადით გამოიკვეთა საბჭოთა ქვეყნის უპირატესობა, ხელშესახებად გამომქლავნდა ის სიახლენი, რაც მოჰყვა სინამდვილის სოციალისტურ პრინციპებზე გარდაქმნას. დიდი პატრიოტის ცეცხლოვან სტრიქონებში დღესაც იგრძნობა 20-იანი წლების რომანტიკა.

რა დიდი სიამაყის გრძნობას ბადებს ყველა ქართველში იმის შეგნება, რომ ეს ბუმბერაზი პოეტი და მოქალაქე საქართველოში დაიბადა, ბაღდათის ცამ აკურა სამხრეთული მცხუნვარება, მისცა ცეცხლოვანი ტემპერამენტი და გაიყვანა შემოქმედებითი ცხოვრების ფართო გზაზე. მან ბაღდათში გატარებულ ბავშვობას „რომანტიკის ფესვები“ უწოდა და უაღრესად პოეტურად აღწერა: „პირველი სახლი, რომელსაც გარკვევით ვიგონებ. ორი სართული. ზედა ჩვენ გვეკუთვნოდა. ქვედა — მარანი იყო. წელიწადში ერთხელ ყურძნით საესე ურმები. წურავენ. მე ვჭამდი. ისინი სეამდნენ. ყოველივე ეს უძველესი ქართული ციხის ტერიტორიაა ბაღდათთან. ციხეს ოთხკუთხად დაზენული მიწა აქვს შემოვლებული. კუთხეებში ზარბაზნების უკუსაგორებელი ადგილებია... თხრილებს იქით — ტყეები და ტურები... წამოვიზარდე. ავრბოდი ყველაზე უფრო მაღალზე. მთები ჩრდილოეთისაკენ დაბლდებიან“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> აქედ და ქვემოთ ვ. მაიაკოვსკის მოგონებები და ბავშვობის დროინდელი წერილები ციტრებულია სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენიდან. 1983, № 43—44, გვ. 105—107.



ბავშვის შემეცნებაში წარუშლელი კვალი დატოვა მამასთან ტყეში სიარულმა, წერა-კითხვის სწავლის დაწყებამ, სოფლის თანატოლებმა: „იძლებული ვიყავი ანგარიში დაემეწყო ვაშლებითა და მსხლებით, რომლებსაც ბიჭებს ვურიგებდი. მე ხომ ყოველთვის მაძლევდნენ, მეც ყოველთვის უანგარიშოდ ვარიგებდი“. სწავლის გასაგრძელებლად ვალოდია ოჯახთან ერთად ქუთაისში გადავიდა. ქუთაისი მამინ საგუბერნიო ქალაქი იყო, გამოირჩეოდა საკმაოდ მაღალი კულტურითა და მდიდარი ტრადიციებით.

მომავალი პოეტი ემზადება გიმნაზიაში შესასვლელად, მისაღებ გამოცდებსაც წარმატებით აბარებს. იწყება სწავლისა და ცოდნის შეძენის საინტერესო წლები „მოსამზადებელი 1-ლი და მე-2. პირველი მოსწავლე ვარ. სულ ხუთები მაქვს. ვკითხულობ ვიულ ვერნს, საერთოდ ფანტასტიკურს. ვილაც წვერიანმა ჩემში მხატვრის ნიჭი აღმოაჩინა. მუქთად მასწავლის“. 1905 წლის რევოლუციის მზადების პერიოდში გიმნაზიელი ვ. მაიაკოვსკი ეზიარა რევოლუციურ იდეებს. რუსეთ-იაპონიის ომის წლებში პირველად გაეცნო არალეგალურ ლიტერატურას, რომელიც ამ სამარცხვინო ომის წინააღმდეგ იყო მიმართული. ავტობიოგრაფიაში რევოლუციური ლიტერატურის გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებას პოეტი ასე აღწერს: „მომწონდა. მეტად სახიფათო იყო... ეს რევოლუცია იყო, ლექსებით გამოხატული. ლექსი და რევოლუცია როგორღაც გაერთიანდა თავში“.

საკმაო დრომ განვლო, ვიდრე ვ. მაიაკოვსკიმ შეძლო საკუთარ პოეტურ ქმნილებებში გააერთიანებია „ლექსი და რევოლუცია“, მაგრამ ერთობ მნიშვნელოვანია, რომ ამის საჭიროება მომავალმა დიდმა პოეტმა ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის მსმენელმა იგრძნო. მანამდე მთელი გატაცებით ჩაება მოსწავლეთა რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 წელს ქუთაისის კლასიკური გიმნაზია ამ მოძრაობის ცენტრი იყო, მომავალი პოეტი კი მუშაობდა განწყობილ მსმენელთა ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა. მოვეუსმინოთ თვითონ პოეტს: „სწავლისათვის ვის ეცალა... ჩემთვის რევოლუცია ასე დაიწყო: ჩემი ამხანაგი, მღვდლის მზარეული ისიდორე განარებული ფეხშიშველი ქურაზე შეხტა—მოკლეს გენერალი ალიხანოვი, საქართველოს დამსჯელი. დაიწყო დემონსტრაციები და მიტინგები. მეც წავედი. კარგია. მხატვრულად ჩამრჩა გონებაში: შავებში ანარქისტები, წითლებში სოცრევოლუციონერები, ლურჯებში სოცდემოკრატები, სხვა ფერებში — ფედერალისტები“. ამ ჩანაწერიდან, სხვათა შორის, საგანგებო ყურადღებას იპყრობს ვ. მაიაკოვსკის სათანადო ორიენტირება მამინდელი საქართველოს არა მარტო საერთო რევოლუციურ ატმოსფეროში. იგი ერკვევა პარტიულ ძალთა განლაგებაში. იცის პოლიტიკური მოძრაობის რთული ხასიათი.

ისე, როგორც ყველგან რუსეთში, რევოლუციურ აღშავლობას ქუთაისშიც რეაქციის პირქუში ხანა მოჰყვა, რომლის მკაცრ გამოცდას ბევრმა

ვერ გაუძლო. პროლეტარიატს ჩამოშორდა „თანამგზავრთა“ დიდი ჯგუფი. ყმაწვილი ვ. მაიაკოვსკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არა მარტო დაგმო რენეგატობა, სწორედ რეაქციის მძიმე წლებში იგი პროფესიული რევოლუციონერი გახდა, გაბედულად ჩაება თვითმპყრობელობასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ფრიად საინტერესოა ჩვენამდე მოღწეული ვლადიმერ მაიაკოვსკის იმდროინდელი წერილები. ქუთაისიდან მოსკოვში უფროსი დის ლუდმილასადმი მიწერილ ბარათებიდან აშკარად ჩანს ახალგაზრდების მემბოხური განწყობილება, მათი გაბედული საპროტესტო გამოსვლები, რომლებშიც გიმნაზიელი ვ. მაიაკოვსკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. იგი არა მარტო ქუთაისის პოლიტიკური ცხოვრების საქმის კურსშია, იცის, თუ რა ხდება საერთოდ საქართველოში და ქვეყნის სხვა რეგიონებში. ყურადღებას იპყრობს წერილების მშვიდი, დამაჯერებელი ტონი და მოსწავლე კორესპონდენტის შეხედულებათა ჩამოყალიბებული, სავსებით გამოკვეთილი მიმართულება: „ძვირფასო ლუდა! მაპატიე, გეთაყვა, რომ წერილი ასე დავიგვიანე. როგორ არის შენი ჯანმრთელობა? არის თუ არა თქვენთან მეცადინეობა? ჩვენ ხუთდღიანი გაფიცვა გვქონდა, შემდეგ ოთხი დღით გიმნაზია დახურული იყო, რადგანაც ეკლესიაში „მარსელიეზა“ ვიმღერეთ. 15-ში ქუთაისში არეულობას ელიან, რადგანაც ჯარში ახალი გაწვევა იქნება. 11-ში აქ იყო მზარეულთა გაფიცვა. გაზეთებიდან ჩანს, რომ თქვენთანაც დიდი არეულობაა...

მაგრად გკოცნი. შენი ძმა ვალოდია“.

იმავე პერიოდის მეორე წერილიდან, გიმნაზიელი ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებიდან ჩვენამდე უფრო მეტმა ინფორმაციამ მოაღწია. გამოკვეთილად იგრძნობა მისი მხნე, ოპტიმისტური განწყობილება:

„ძვირფასო ლუდა!

ჩვენ მივიღეთ თქვენი 1-ში დაწერილი ბარათი და მაშინვე ყველამ პასუხის წერა დავიწყეთ. ქუთაისში ჯერჯერობით არაფერი საშინელი არ მომხდარა, თუმცა გიმნაზია და რეალური გაფიცულებია და სამართლიანადაც: გიმნაზიას დაუმისნეს ზარბაზნები, ხოლო რეალურში კიდევ უფრო უკეთესი გააკეთეს: ქვემეხები ეზოში დადგეს და გააფრთხილეს — პირველივე ხმის ამოღებისთანავე ქვა ქვაზე არ დარჩებო. კაზაკებმა ახალი „ბრწყინვალე გამარჯვება“ მოიპოვეს ქალაქ თბილისში. იქ ნიკოლოზის სურათით პროცესია მიდიოდა და გიმნაზიელებს უბრძანეს ქუდი მოიხადეთო. გიმნაზიელთა უარს კაზაკებმა ტყვიით უპასუხეს. ორი დღე გრძელდებოდა ეს ცემა-ტყეპა. მეფის ბაზიბუზუქებზე პირველი გამარჯვება მოპოვებული იქნა გურიაში. ეს ძაღლები იქ ორასამდე მოკლეს.

ქუთაისი ასევე იარაღდება. ქუჩებში „მარსელიეზას“ ხმები თუ გაისმის მხოლოდ. აქაც მღეროდნენ „თქვენ მსხვერპლად დაეცით“, როდესაც პარაკლისი გადაუხადეს ტრუბეცკოისა და თბილისის მუშებს.

შენც მოიწერე. მაგრად გკოცნი. შენი ძმა ვალოდია“.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუთაისში ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობები შემონახულია პოეტის მეორე დის წერილებშიც. ოლია მაშინ ქუთაისის ქალთა გიმნაზიის V კლასის მოსწავლე იყო. ამ წერილებიდანაც აშკარა ხდება იმდროინდელი ქუთაისის მჩქეფარე რევოლუციური ცხოვრება: „ჩვენთან, ქუთაისში, — წერდა ოლია თავის დას მოსკოვში, — პოლიციელებსა და ჯაშუშებს, როგორც ძაღლებს ისე ახრჩობენ. გუშინწინ დაკრეს ორი პოლიციელი და ერთი ბოქაული. ერთი მათგანი უკვე მოკვდა, ორი ჯერჯერობით ცოცხალია...

დღეს გიმნაზიელებს მეცადინეობის დაწყების წინ ლოცვა უნდა ჰქონოდათ, მათ კი აიძულეს თბილისში დაღუპულებისათვის პარაკლისი გადაეხადათ...“

ოლიას სხვა წერილში ვკითხულობთ: „ახლა ჩვენთან „ხულიგნები“ ემზადებიან ქუჩებში გაიარონ ნიკოლოზის სურათით. მაშინ, რა თქმა უნდა, განმეორდება თბილისის ისტორია“.

ვ. მაიაკოვსკის ოჯახის წევრთა სხვა დოკუმენტებიდან შეიძლებაოდა კიდევ ბევრი საინტერესო ცნობების მოტანა, მაგრამ უკვე ციტირებულიდანაც კარგად ჩანს 1905 წლის ბობოქარ დღეებში გიმნაზიელ ვალოდიას უაღრესად დამუხტული ცხოვრება. ის საოცარი ინტუიციით მიხვდა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების უპირატესობას და უყოყმანოდ მიიღო იგი, არასოდეს გადაუხვევია სინამდვილის რევოლუციური აღქმის მარქსისტული გზიდან. „სიტყვები, გაზეთები. — წერდა ვ. მაიაკოვსკი, — ყველაფერიდან — უცნობი ცნებები და სიტყვები. მოვთხოვე ჩემს თავს განმარტება... ვყიდულობ ყველაფერს. ვდგები დილის ექვს საათზე. ვკითხულობ გატაცებით... ძალზე გამაოცა სოციალისტების მიერ ფაქტების გარკვევის, ქვეყნების სისტემატიზების უნარმა... გადავიკითხე ყველაფერი, რაც მირჩიეს. ბევრი რამ არ მესმის. ვეკითხები სხვებს. მარქსისტულ წრეში შემეყვანეს... თავი სოციალ-დემოკრატად ჩავთვალე: ვაუპარე მამის ბერდანა სოც-დემოკრატიულ კომიტეტში... დავდიოდი რიონზე. ვამბობდი სიტყვებს...“

ვლადიმერ მაიაკოვსკის პოლიტიკური ლიტერატურით გატაცებასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო ცნობას ვხვდებით პოეტის დის ოლიას იმდროინდელ წერილში: „... ახლა ვკითხულობ მეტად საინტერესო წიგნებს. შევიძინე — „ქალთა მდგომარეობა ახლა და მომავალში“, „სოციალ-დემოკრატები“, „სოციალიზმი იაპონიაში“, „შრომელთა პროგრამის შესახებ“, „რა არის სამუშაო დღე“, „მარქსისტული იდეები გერმანიაში მუშათა პარტიაში“, „ბურჟუაზია, პროლეტარიატი და კომუნიზმი“, „მოაზროვნე ადამიანთა შორის“. 10 ცალი ასეთი წიგნი თავისთვის იყიდა ვალოდიამაც“.

სოციალისტური მოძღვრების გარკვეული ცოდნის მარაგითა და პრაქტიკული რევოლუციური გამოცდილებით შეიარაღებული ახალგაზრდა ვ. მაიაკოვსკი 1906 წელს ტოვებს საქართველოს და ოჯახთან ერთად

საცხოვრებლად მოსკოვში გადადის. ამის მიზეზი იყო ოჯახის უფროსის ვ. კ. მაიაკოვსკის ტრაგიკული გარდაცვალება (დაიღუპა სისხლის მოწამვლით). ერთადერთი მარჩენალის სიკვდილმა ოჯახი მძიმე მდგომარეობაში ჩაავლო. მაშინ თბილისის დახურულ ქალთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში სწავლას განაგრძობდა პოეტის უფროსი და ლუდმილა. გამგზავრება სწორედ მისი რჩევით მოხდა. მომავალი პოეტი აქაც არ ყოფილა მოწყვეტილი ქართულ გარემოცვას. მაშინ მოსკოვის სხვადასხვა საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ბევრი ქართველი სწავლობდა. ისინი ცხოვრობდნენ მდგმურად. ვ. მაიაკოვსკის ბინაშიც. პოეტის დედა იგონებს: „ჩვენთან ჩასახლდა ლუდას ნაცნობი ქართველი, რომელიც მალე გადავიდა, მაგრამ თავის ნაცვლად დატოვა მეგობარი — მეორე კურსის სტუდენტი, ისიც ქართველი, სოციალ-დემოკრატი“. ეს სტუდენტი იყო ცნობილი რევოლუციონერი ვასო კანდელაკი, რომლის შესახებ პოეტი მოგვიანებით თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს: „მანსოვს, თითქოს თვალწინ მედგეს ჩემთვის პირველი „ბოლშევიკი“ ვასო კანდელაკი“. თავის მხრივ, ვ. კანდელაკმა დაწერა მოგონებები, სადაც ვლადიმერ მაიაკოვსკი თავიდანვე წარმოგვიდგება უაღრესად საზრიან ახალგაზრდად, რომელიც ასაკთან შედარებით ბევრად უფრო მოზრდილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მოგონებებში ხაზგასმულია მომავალი პოეტის რევოლუციური ლიტერატურით გატაცება, მისი ფართო ნაკითხობა. სწორედ ვ. კანდელაკმა და მისმა ამხანაგებმა ჩააბეს ვ. მაიაკოვსკი არალეგალურ პარტიულ მუშაობაში. ისიც მთელი მონდომებით ასრულებდა ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებას. „სულ მალე, — წერს ვ. კანდელაკი, — მან თავის ოთახში ბევრი ბოლშევიკი ნახა: ესენი იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები — ამხანაგები და ჩამოსულნი... „თვითონ მაიაკოვსკი თავისი ცხოვრების ამ პერიოდზე წერს: „1908 წელი. შევედი რსდმ (ბოლშევიკების) პარტიაში. გამომცადეს სავაჭრო-სამრეწველო ქვერეაიონში. გამოცდები ჩავაბარე. პროპაგანდისტი ვარ. ვეწვიე მეფუნთუშეებს, შემდეგ ფესსაცმლის მკერავებს, ბოლოს სტამბის მუშებს. საერთო-საქალაქო კონფერენციაზე მოსკოვის კომიტეტში ამიჩრიეს. სახელად „ამხანაგი კონსტანტინე“ მერქვა“. მაიაკოვსკის ბინა მესამე ტვერსკიაია-იამსკიას ქუჩაზე გახდა არალეგალურად მომუშავე რევოლუციონერთა შეხვედრის ადგილი, განსაკუთრებით კი ქართველებისა, რომლებთანაც კავშირი ვ. მაიაკოვსკის ოჯახის წევრებს ბოლომდე არ გაუწყვეტიათ. მათი ხშირი სტუმრები იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი ნაცნობებიც. ეს ტრადიცია გაგრძელდა რევოლუციის შემდეგაც: ვ. მაიაკოვსკის ბინის კარები ყოველთვის ღია იყო ქართველი მეგობრებისათვის, რომელთა რიცხვი იზრდებოდა მისი პოპულარობის ზრდასთან ერთად. მოგვიანებით, პოეტის დედა აღნიშნავდა: „ნაცნობობა კავკასიელ ამხანაგებთან არათუ შემცირდა, პირიქით, კიდევ უფრო გაფართოვდა. ჩვენთან ცხოვრობდნენ ღები თურქები სოხუმიდან. მათთან მოდიოდნენ ქა:ა:—

ველი სტუდენტები. უფრო გვიან ცხოვრობდნენ მესხიშვილები... გვანახულობდნენ ქუთაისელი ძმები სტავრაკოვები. ჩვენ მათთან კარგი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა...”

ვლადიმერ მაიაკოვსკის აქტიური რევოლუციური საქმიანობა ჟანდარმერიას არ გამოპარვია მხედველობიდან. რალაც წელიწადსა და სამ თვეში იგი სამჯერ დააპატიმრეს. პირველ ორ შემთხვევაში მამხილებელი საბუთები არ აღმოაჩნდათ და თვითონ პატიმარსაც თავი ფრთხილად ექირა, ხოლო 1909 წლის 2 ივლისს ვ. მაიაკოვსკი მესამედ დააპატიმრეს ქალთა ციხიდან 13 პოლიტიკური პატიმრის გაქცევაში მონაწილეობის გამო. ეს გაბედული ოპერაცია ჩაიფიქრეს და განახორციელეს ვ. მაიაკოვსკის ბინაში მცხოვრებმა რევოლუციონერმა სტუდენტებმა და მათმა მეგობრებმა. ოპერაციაში ვალოდისთან ერთად ოჯახის სხვა წევრებიც იყვნენ ჩამულე.

აქასრულწლოვანების მიუხედავად, ვ. მაიაკოვსკის სამი წლით გადასახლება ელოდა ნარიმსკის მხარეში. საქმის ვითარება, მამის ქუთაისელი მეგობრის მახმუდბეკოვის ჩარევამ შეცვალა. მან ჯერ კიდევ მეორედ დააპატიმრებისას პოლიციას განუცხადა, გაჩხრეკის დროს ნაპოვნი რევოლვერი ჩემიო და მოითხოვა დაბრუნება. ახლა კი ოჯახის მეგობარმა გამოიყენა თავისი ახალი ნაცნობობა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან. ვ. მაიაკოვსკი თითქმის 7 თვეს ცალკე საკანში ჯდომის შემდეგ გაათავისუფლეს და დაუწესეს პოლიციის მეთვალყურეობა, ხოლო შვილის შემდგომი საქმიანობისათვის დედას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა.

ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა.

ჯერ კიდევ ბუტირსკის ციხის 103-ე საკანში ყოფნისას ვ. მაიაკოვსკი სერიოზულად ჩაუფიქრდა თავის მომავალს. იგი ამ ხნის განმავლობაში უქმად არ იჯდა, გადაიკითხა ციხის ბიბლიოთეკის ყველა წიგნი; საჭირო ლიტერატურით, მათ შორის კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომით, მას ამარაგებდნენ დები. ციხიდან გაშვების შემდეგ უფრო იზრდება თვითნაყოფობით ცოდნის გაღრმავების სურვილი. გიმნაზიაში სწავლის განგრძობის საშუალება მას უკვე არ ჰქონდა. გარიცხული იყო „მგლის ბილეთით“, მხოლოდ კერძო სასწავლებელში შეიძლებოდა მეცადინეობა. ვლადიმერი პ. კელინის სახელოსნოს მიადგა. პ. კელინი სეროვის მოწაფე იყო, მკაცრად იცავდა რეალიზმის პრინციპებს. შეგირდებისაგან მოითხოვდა სინამდვილის სიღრმისეულ გააზრებას. ვ. მაიაკოვსკიც მთელი მონღო-მებით შეუდვა დერწერისა და ქანდაკების საიდუმლოებათა ამოხსნას. ერთი წლის შემდეგ თავი მომზადებულად იგრძნო და სამხატვრო სასწავლებელში შევიდა: „ერთადერთ ადგილას, — წერდა იგი, — სადაც კეთილსაიმედობის მოწმობა არ მომთხოვეს. კარგად ვმუშაობდი.

გამოცა: მიმბაძველებს თავს ევლებიან, დამოუკიდებლებს ერეკებიან. ლარიონოვი. მაშკოვი. რევოლუციური ინსტინქტით იმათ მხარეზე დავდექი, ვისაც ერეკებოდნენ“.

ამ სასწავლებელში ყოფნისას შეხვდა ვლადიმერ მაიაკოვსკი დავით ბურლიუეს, რომელმაც მოუწონა ლიტერატურული ვარჯიში და ურჩია სერიოზულად მოჰკიდებოდა პოეტური ნიჭის სრულყოფას, რადგანაც პოეზია მისი ნამდვილი მოწოდება იყო. ვ. მაიაკოვსკი ჯერ კიდევ ბავშვი გრძნობდა გარემოს პოეტური აღქმის უპირატესობას, მაგრამ ვერ მოენახა პასუხი კითხვაზე, თუ რა განაპირობებდა სინამდვილის მხატვრული ასახვის გზებსა და საშუალებებს, რა ანიჭებდა მწერლის მიერ აღწერილ ჩვეულებრივ მოვლენას იშვიათ მომხიბვლელობასა და მიმზიდველობას. მოგვიანებით ვ. მაიაკოვსკის ახალი საზრუნავი გაუჩნდა: არ სურდა გაემეორებინა უკვე თქმული, მით უმეტეს, გაცვეთილი ფორმით. ახლის შექმნა კი ყოველთვის მძიმე და სახიფათოა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩაფიქრებული გაქვს „სოციალისტური ხელოვნების კეთება“, თანაც ამ მიზნის მისაღწევად პოეტმა თავიდან სწორი გზა როდი აირჩია. ამდენადვე საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ვლადიმერ მაიაკოვსკიმ თავისი ტიტანური ნიჭისა და უჩვეულო შრომის წყალობით დაძლია წინააღმდეგობები და დაგვიტოვა გარდაუვალი მნიშვნელობის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომლის ნოვატორული ხასიათი მაშინვე შენიშნეს, თუმცა ყველას როდი მოეწონა.

დღეს კი როდენ სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ვ. მაიაკოვსკის გმირული პოეზიის ნოვატორული სტრიქონები ისევე ცოცხლად ეხმაურებიან ჩვენს სინამდვილეს, როგორც შვიდი ათეული წლის წინათ. მათ არ დაუკარგავთ ქმედითი ძალა და მკითხველებს განუწყვეტლად შთააგონებენ უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის აუცილებლობას და ეს იმიტომ, რომ პოეტმა სოციალური გარემო თავიდანვე რევოლუციურ გარდაქმნათა ასპარეზად აღიქვა.

ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზიის ოპტიმიზმის უსრეტი ძალა, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა პოეტის ადამიანებისადმი დიდ ნდობასა და სიყვარულში. სწორედ ადამიანის მძიმე ხვედრმა, მისმა მონურმა, დაბეჩავებულმა მდგომარეობამ, ისე როგორც საზოგადოების წევრთა ურთიერთობის სრულმა მოუწესრიგებლობამ, უბიძგეს მას, რომ დაეწყო შექმნილი ტრაგიკული ვითარებიდან გამოსავალი გზებისა და საშუალებების ძიება, რომელმაც თავის დროზე მიიყვანა სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობის აღიარებამდე, ხოლო როდესაც დღის წესრიგში ოქტომბრის რევოლუციის მომზადების საკითხი დადგა. ვ. მაიაკოვსკის მერყეობა არ დაუწყია. „ჩემი რევოლუციაა. წავედი სმოლნში. ვმუშაობდი. ვაკეთებდი ყველაფერს, რაც მომხვდებოდა“, — წერდა იგი.

ასეთ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა ლიტერატურული ფენომენის ძიების, წინააღმდეგობათა გადალახვის, ახალი შინაარსისათვის ახალი ფორმის შექმნის რთული, მაგრამ სახელოვანი გზა, რამაც მთელ მის პო-

ეზიას მიანიჭა განსაკუთრებული, მხოლოდ მიაკოვსკისათვის დამახასიათებელი უღერადობა.

ვლადიმერ მიაკოვსკი, მაქსიმ გორკისთან ერთად იდგა სოციალისტური კულტურის მშენებლობის სათავეებთან, საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ რეალიზმს პოეზიაში, მოგვევლინა ლექსის რეფორმატორად, გახდა საბჭოთა პოეზიის მამამთავარი. ვ. მიაკოვსკის შემოქმედებაში სრულიად გამოკვეთილი ნოვატორული ხასიათის მიუხედავად, აშკარად იგრძნობა ის შინაგანი ორგანული კავშირი, რომელიც მას კლასიკასთან აკავშირებს. ამიტომ საკვებით ბუნებრივია, რომ პოეტი გვევლინება იმ უკეთესის კანონიერ მემკვიდრედ, რაც ცივილიზებულ სამყაროს შეუქმნია. სწორედ ამან განაპირობა მისი პოეზიის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. იგი წარმოგვიდგება მხატვრული აზროვნების ისტორიის ახალი ეტაპის პიონერად.

ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთში ფართო აღიარება მოიპოვეს ვ. მიაკოვსკის პროტესტანტული ხასიათის პოემებმა, როგორც არის „შარვლიანი ღრუბელი“, „ფლეიტა ხერხემალი“, „ომი და მსოფლიო...“ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ცოფნარევი გაბრაზება და სკანდალი გამოიწვია ტრაგედიის „ვლადიმერ მიაკოვსკის“ პეტერბურგის სცენაზე წარმოდგენამ. პოეტს არც შემდეგ მოკლებია „სტვენა და ლანძღვა“, მაგრამ მთავარი უკვე გაკეთებული იყო: მკითხველთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა... ამერიიდან მის გამოსვლებს ანგაროშს უწევენ, როგორც თანამზრახველები, ასევე ლიტერატურული მოწინააღმდეგეები. მისი საჯარო ლექციები ყოველთვის ცხოველ ინტერესს იწვევდა.

...პოემა „შარვლიანი ღრუბელი“ ვ. მიაკოვსკის რევოლუციამდელი შემოქმედების შემაჯამებელი ხასიათის ნაწარმოებია. აქ მთელი ძალით გამოვლინდა პოეტის მემამოხური განწყობილება, ისე როგორც მისი დაუშლავი ზიზლი ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი. პოეტი მოურიდებლად ამხელს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს კაპიტალისტური წყობის მანკიერებას, მის კაცთმოძულე მორალსა და კანონებს. ამ საზოგადოებაში ხომ ყველაფერი იყიდება, ყველაფერს ფულით ზომავენ! ავტორის სამართლიანი მტკიცებით, სწორედ ამიტომ გაქრა ადამიანი, წაიბილწა და ფეხბით არის გათელილი პიროვნების საუკუნეობით გამოიმუშავებული ეთიკური და ზნეობრივი ნორმები. რამდენად ღრმად უნდა ცნობოდა პოეტს თავისი ეპოქის ნეგატიური მოვლენები, რომ ასე სიღრმისეულად გაეშიფრა მათი წარმომშობი სოციალური ფესვები, ემხილებინა და საერთო სახალხო სამსჯავროზე გამოეტანა არსებული წყობის მთელი სიმახინჯე!

ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე წელს ვ. მიაკოვსკიმ აღადგინა ცენზურის მიერ ამოღებული ადგილები და პოემა ცალკე წიგნად გამოსცა. ტექსტს წაუშმღვარა წინასიტყვაობა, სადაც თვითონ განსაზღვრა ნაწარმოების იდეური შინაარსი. პირველი, რასაც გმობს პოეტი — ეს არის

ბურჟუაზიულ ნორმებს დაქვემდებარებული სიყვარული, რომელიც ყიდ-  
ვა-გაყიდვის საგანი გამხდარა. პოეტმა დაგმო ბურჟუაზიული ხელოვნე-  
ბა, რომელიც უმღერის ასეთ სიყვარულს, უკუაგდო რელიგია, რომელიც  
ღმერთის სახელით ამართლებს ადამიანთა უმაღლესი ზნეობრივი მონა-  
პოვრის ასე უსინდისოდ გათელვას და, რაც მთავარია, პოეტი ამაღლდა  
პირდაპირ მოთხოვნამდე — ძირს თვით წყობა, რომლის პირმშოა ყველა  
ეს სიბინძურე.

ასეთი ყოველმხრივ დასაბუთებული მომაკვდინებელი განაჩენი მა-  
შინ რუსეთში გაბატონებული ბურჟუაზიული წყობისათვის არავის ჯამო-  
უტანია. პოეტის ყოველი მოთხოვნა მეცნიერული სიზუსტითაა არგუმენ-  
ტირებული, ყოველ მის დაკვირვებას თუ დასკვნას სილოგიზმის შეუწყე-  
ველი ლოგიკურობა ამაგრებს. დიდია ავტორის განჭვრეტის უნარი, ისე  
როგორც დაუშრეტელია მისი ოპტიმიზმის ძალა:

ღღის თაობა

ჩემს ცხოვრებას და ჩემს მომავალს

აბუჩად რგდებს,

როგორც გრძელ და უხამს ანეგდოტს, —

მაგრამ მე ვხედავ შორეთიდან ჩვენს მომავალს,

რომელსაც ვერვინ ამჩნევს საერთოდ.

მიუძღვის მშვიერ ურდოს გუჯუნთ,

სადაც ვერ სწვდება მზერა ვერც ერთი,

რევოლუციის ეკლს გვირგვინით

მოდის მქუხარე ცხრაას თექვსმეტი<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ „შარვლიან ღრუბელში“ თავისი ასახვა პოვა ეპო-  
ქის არა მხოლოდ კარდინალურმა პრობლემებმა: პოეტს უყურადღებოდ  
არ დაუტოვებია საზოგადოების ყოფის არც ერთი რამდენადმე მნიშვნე-  
ლოვანი მოვლენა, რომლის შესახებ თავის შეხედულება არ გამოეთქვას,  
თანაც პოემის ავტორი სათქმელს გვაწვდის გაბედული რევოლუციური  
პოზიციებიდან. იგი კარგად გრძნობს თავისი ტიტანური ნიჭის უპირატე-  
სობას, დარწმუნებულია, საკუთარი მისიის ისტორიულ გარდაუღალო-  
ბაში.

„შარვლიან ღრუბელში“ გამოვლინდა ავტორის ფაქიზი ლირიზმიც და  
თუ ის იძულებულია „ყელზე ფეხი დაიდგას“, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ  
ბობოქარმა ეპოქამ მას „საყვირის“ ფუნქციები დააკისრა. პოეტმა უნდა  
ამცნოს სამყაროს „უენო ქუჩის“ სატკივარი, იყოს მისი ტრუბადული და  
ქომავი: „უენო ქუჩა იკრუნჩხება, ვერ იღებს ხმასაც, უენომ როგორ  
იყვიროს და ილაპარაკოს?!. იტანჯებოდა ქუჩა უხმოდ, კენესის გარეშე,  
ყვირილიც აღარ შეეძლო მეტი... პოეტი პირდაპირ წერს, რომ იგი რე-  
ვოლუციის „მაცნეა“, მასების გაძლიერება კი „ბედმა არგუნა“.

<sup>1</sup> ვლადიმერ მაიაკოვსკი. პოემები. თბ., „მერანი“, 1983, გვ. 17. თარგმ.  
ვ. ჯავახიძისა.



პრემიაში ავტორს არც ხელოვნების კემპარიტი დანიშნულების საკითხი გაშრობარვია მხედველობიდან. იგი კარგად გრძნობდა „წიგნის კეთებასთან“ დაკავშირებულ ტკივილებს, იცოდა მხატვრული სიტყვის ძალა და ფასი.

ანდა რა გაბედული და უკომპრომისოა ღმერთთან დიალოგი, რომელიც გორკის განსაკუთრებით მოსწონებია. პოეტი ადამიანის ბედისადმი უღარდელი, ინერტული დამოკიდებულების გამო არ ინდობს „უზენაესს“, არც მისი „უცვლელი ცხოვრება“ აკმაყოფილებს. „... მე შენ მაღალ და ყოვლისშემძლე უფალს გეძახი, შენ კი ყოფილხარ პაწაწინა უვიცი ღმერთი. ხედავ, დავაძრე მე წალიდან დანა მეწალის და რასაც ვიზამ, მიყურ, ერთი!“ ძნელი წარმოსადგენია უფრო გაბედული და სარკასტული მიმართვა „უზენაესისადმი“, ისიც მკაცრ ცენზურულ პირობებში...

„შარვლიანი ღრუბელი“ რევოლუციამდელი ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებას აჯამებს მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისითაც. პირველი, რაც პოემის წაკითხვის დროს თვალში გვეცემა: ავტორმა საბოლოოდ უკუაგლო ფუტურისტების ფორმალისტური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. აქ სტრიქონსაც ვერ ვიპოვით, რომელიც აზრით არ იყოს დამუხტული და არ ეხმაურებოდეს მწვავე სოციალურ პრობლემებს. მართალია, „შარვლიანი ღრუბელში“ ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნეოლოგიზმით გატაცება, რომელიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ავტორი ყველგან ცდილობს ნათქვამს შესატყვისი ფორმალური საბურველი მოუქებნოს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა შედარებების მოტივის დროს. პოეტი გვთავაზობს, გარკვეულად მოულოდნელ. მაგრამ გაუცვთელ შედარებებს, რომლებიც სავსებით შეესაბამება იმ შინაარსსა და განწყობილებას, რომლის გადმოცემა სურს. იგივე ითქმის მეტაფორებზე, ლირიკული გმირის რემარკებზე და ა. შ.

შინაარსით, იდეური მიმართულებითა და მხატვრული ფორმის სრულყოფით მის გვერდით დგას იმავე 1915 წელს დაწერილი პოემა „ფლეიტა ხერხემალი“, რომელიც ფაქტიურად პირველის გაგრძელებაა. „ფლეიტა ხერხემალში“ მაიაკოვსკი კვლავ სატრფოს განზოგადებულ სახეს ქმნის, რომელთან მიმართებაში იკვეთება პოემის ძირითადი კოლოზიის მიმართულება. ავტორის სამართლიანი მტკიცებით, გაუზიარებელი სიყვარულით სპეკულაცია, ისე როგორც მისი მერკანტილურ საგნად გადაქცევა არსებითად ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას. სიყვარულის ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაქცევა ყოველთვის იწვევდა სულიერ ტკივილს. სწორედ ასეთი ადამიანების გულისწყრომას გამოხატავს პოემის ლირიკული გმირი, როდესაც აღნიშნავს: „ვერ შეურიგდა ამ ჭოჭოხეთს ჩემი გონება! ნეტავი რომელ გოფმანს დასჭირდა. წყეულო, შენი გამოგონება?!“ „ფლეიტა-ხერხემალში“ მაიაკოვსკი კვლავ შეეხო ომის თემას და კატეგორიულად დაგმო უაზრო ხოცვა-ჟლეტა. უარყო მან ადამიანებს შორის ძალმომრეობაზე აგებული ურთიერთობაც.

1916 წელს ვ. მაიაკოვსკი თითქმის ერთდროულად მუშაობდა ორ პოემანზე — „ომი და მსოფლიო“ და „ადამიანი“. პირველი დაამთავრა იმავე წლის ზაფხულში და უნდოდა დაებეჭდა გორკის ჟურნალ „ლეტოპისში“. მაგრამ სამხედრო ცენზურამ არ დართო ნება. თვითონ გორკიც ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ოქტომბრის რევოლუციამდე პოემა ხალხში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და ფართო რეზონანსიც გამოიწვია მკითხველებსა თუ მსმენელებში. იმდენად დიდია პოემის ომის საწინააღმდეგო პათოსი, რომ იგი დღესაც გამაფრთხილებელ ბრალდებად ქდება. ვ. მაიაკოვსკი რეალიზმის მოუგერიებელი ძალით ამიშველებს ომის შემადრწუნებელ საშინელებას, „სიკვდილის ცეკვის“ პასაჟი თანამედროვე მკითხველზეც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. „ომი და მსოფლიო“ მთავრდება ადამიანისადმი ოპტიმისტური მიმართვით. პოეტს სწამს, რომ გაიმარჯვებს გონიერება და ბოროტება საბოლოოდ დაიჭრება. ოპტიმიზმის უშრეტეი ძალა ჩააქსოვა ვ. მაიაკოვსკიმ პოემა „ადამიანიში“. ეს ნაწარმოები 1917 წელს დაიბეჭდა „ლეტოპისში“ მ. გორკის იმავე თემაზე დაწერილ პუბლიცისტურ სტატიასთან ერთად.

საერთოდ, ამ წლებში ვ. მაიაკოვსკი დაუახლოვდა გორკის და უტუოდ განიცადა მისი იდეების დადებითი ზეგავლენა. ეს განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს პოემა „ადამიანიში“, სადაც პოეტი გვისურათებს თავისუფალ, მშრომელ ადამიანს და უმღერის მას. ასეთი განწყობილება შთაგონებულია რევოლუციური აღმავლობით, რომლის გარდაუვალობაც იწინასწარმეტყველა იმპერიალისტური ომის მძიმე წლებში, როდესაც ასიათასობით ადამიანი უაზროდ იღუპებოდა. პიროვნების ღირსების დაცვა, ისე როგორც იმის ღრმა რწმენა, რომ სიკეთე უტუოდ გაიმარჯვებს ბოროტებაზე, დიდი მოქალაქეობრივი გმირობა იყო და ეს პოეტისაგან მოითხოვდა არა მარტო სინამდვილის სიღრმისეულ ცოდნას, არამედ მორალურ და ზნეობრივ სიწმინდესაც, ადამიანისადმი უსაზღვრო ნდობასაც და სიყვარულსაც.

მართალია, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ბევრი რამ გააკეთა სინამდვილის რევოლუციურ გარდაქმნათა მოახლოებისათვის, მაგრამ ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეები მისთვისაც მასაზრდოებელ წყაროდ იქცა. სწორედ სოციალისტურმა რევოლუციამ პოეტის შემეცნებაში გამოიწვია შემოქმედებითი კრედოს საბოლოო დადგენა, დაკონკრეტდა და ხორცი შეისხა პოეტის იდეალმა, ჩამოყალიბდა მისი შემოქმედებითი პროგრამა. თუ არა ოქტომბრის რევოლუცია, მწერალს გაუქირდებოდა თავი დაეღწია ფუტუროზმის ნეგატიური გავლენისაგან. სოციალისტურმა სინამდვილემ უკარნახა მას ახალი თემა. მისმა მხატვრულმა სახეებმა ახალი იდეური შინაარსი და მიმართულება შეიძინეს. რევოლუციურმა სინამდვილემ შთაგონა პოეტს ადამიანის გარდაქმნის, მისი ზრდისა და ჩამოყალიბების ერთადერთი სწორი გზა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სა-

ზოგადობის სოციალისტურ მშენებლობასთან, ადამიანთა თანასწორი, ნამდვილად თავისუფალი ურთიერთობის დამკვიდრებასთან.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაწერილ ერთ-ერთ პირველსავე ლექსში ასე განსაზღვრა მან თავისი დანიშნულება:

მშრომელთ მასში ჩვენ ერთნი ვართ,  
ერთად ვაშენებთ,  
სული და ხორცი პროლეტარია — ერთი არსების.  
ერთად ვქენებით —  
დედამიწას ჩვენ დაეაშვენებთ,  
ახმაურებულს დაეძრავთ მარშებით<sup>1</sup>.

პოეტის სადიდებლად უნდა ითქვას, რომ ეს საზეიმო ფიცი მან ბოლომდე პირნათლად შეასრულა, მაგრამ ჯერ წინ იყო შინაური და გარეშე მტრებისაგან თავს მოხვეული სამოქალაქო ომის სუსხიანი წლები. პოეტმა გადადო „დედამიწის დამშვენება“ და ოქტომბრის მონაპოვრის დამცველთა რიგებში ჩადგა, თავისი ბასრი კალმითა და პრაქტიკული საქმიანობით ბევრად უწყობდა ხელს საბჭოთა ხალხების მტრებზე გამარჯვებას. მსწედ, ყველას გასაგონად გაისმოდა მისი ხმა: „კომუნას ვერ მოსპობ, ომო! მარცხნივ! მარცხნივ! მარცხნივ!“. სამოქალაქო ომის მძიმე წლებში დაიწერა ხალხის საბოლოო გამარჯვების მტკიცე რწმენით გამსჭვალული ვ. მაიაკოვსკის პირველი საბჭოთა პიესა „მისტერია ბუფი“. რევოლუციური ოპტიმიზმით არის შთაგონებული პოემა „150.000.000“ და პოეტური ნიჭის მრავალი სხვა შედეგრი.

თანამედროვეობის დიდი პოეტის შემოქმედებაში საგანგებო ადგილი უკავია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახეს. ამ რთული და საპატიო თემის დამუშავებისას გამოვლინდა ვ. მაიაკოვსკის ტიტანური ნიჭის შეუზღუდავი შესაძლებლობა. იგი კარგად ერკვევა არა მარტო დიდი ლენინის ცხოვრება-მოღვაწეობის ურთულეს პერიპეტებში, გაშიფრა ახალი ტიპის ბელადის ისტორიით განპირობებული წანამძღვრებიც და შექმნა მონუმენტური მხატვრული სახე, რომლის ზეგავლენის ძალა დღითიდღე იზრდება.

ვლადიმერ მაიაკოვსკის შემდეგ ვ. ი. ლენინზე მსოფლიოს მრავალენაზე დაიწერა მასშტაბური ტილოები. უთუოდ მომავალშიც ბევრი დაიწერება, მაგრამ ეპიკური პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ მათ შორის ყოველთვის მარგალიტად დარჩება.

ვ. მაიაკოვსკის მთავარი დამსახურება ის არის, რომ მხატვრული აზროვნების ისტორიაში პირველად მშრომელი მასების წინამძღოლის

<sup>1</sup> ვლადიმერ მაიაკოვსკი. რჩეული, თბ. „სახელმწიფო გამომცემლობა“. 1952, გვ. 34. თარგმ. ვ. ხუნაშვილისა. შემდეგში ამ გამოცემა-დან ციტატების ბოლის მითითებული იქნება გვერდი და მთარგმნელი.

სახე ცივილიზაციის განვითარების აუცილებლობით გაიანზრა და ორგანულად დაუტყავშრა იმ სოციალურ წრეს, რომლის ბელადიც იყო. არაფერს ვლაპარაკობთ იმ მხატვრულ სრულყოფაზე, რომელსაც ავტორმა პოემაში მიაღწია. აქ ხომ ყველა დეტალი ვირტუოზის ხელით ნაძერწია, პოემის ბევრი ადგილი ხალხში აფორიზმად გავრცელდა, ეს პოემა დღესაც კონკრეტული, ისტორიული მოვლენების მხატვრული გაანზრების იშვიათ ნიმუშად რჩება. განა შეიძლება პარტიისა და მისი ბელადის ორგანულ მთლიანობაზე უფრო მხატვრულად და დამაჯერებლად თქმა, ვიდრე ეს პოემაშია მოცემული:

ჩვენი პარტია და ლენინი —  
ტყუპნი არიან. —  
ისტორიაში  
      ე-ნ იქნება  
                          უფრო ჩენილი.  
ეამბობთ — ლენინი  
                          და ვგულისხმობთ  
  მუდამ პარტიას,  
ეამბობთ —  
      პარტია  
                          და ვგულისხმობთ —  
  ჩვენი ლენინი.

(139, თარგმ. მ. პატარიძისა)

ანდა რაოდენ შთამბეჭდავია პოემაში მოცემული პარტიის სიღიადის განმსაზღვრელი იმპულსების ავტორისეული დახასიათება! აქ ხომ მეტაფორული სისხარტით გადმოცემულია ის ძირითადი, რითაც ხასიათდებოდა ზამთრის სასახლის დამლაშქრავი ბოლშევიკების პარტია, რომელიც მოწოდებულია ადამიანებს შორის ყველაზე სამართლიანი ურთიერთობის დასამკვიდრებლად:

პარტია არის  
      ხერხემალი მუშათა კლასის,  
და ჩვენი საქმის უკვდავება  
                          არის პარტია.  
ერთადერთია,  
      რაც არასდროს არ მილატებს  
და დღეს ნოქარი —  
      ხეალ სამეფოს  
                          მოვშლი ქარტიდან.  
კლასის ტენი.  
      კლასის საქმე,  
                          ძალა კლასის,  
  მისი დიდება —  
  აი პარტია.

(139, თარგმ. მ. პატარიძისა)

ვ. მაიაკოვსკის ნიჭი სულ უფრო ლაღად შლიდა ფრთებს. დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა მის პოეტური სტილი, მდიდარი და მრავალფეროვანია პოემის გმირთა მეტყველება.

დიდი პოეტის შემოქმედებითი ზრდის უცილობელი ნიმუშია ოქტომბრის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი ეპიკური პოემა „ქარგია“. ეს ხომ კაცობრიობის ისტორიაში მანამდე უნახავი სოციალური ძვრების მხატვრული მატიაწეა! დღესაც ვერ დავასახელებთ მეორე ნაწარმოებს, სადაც ოქტომბრის მონაპოვარი უფრო სრულყოფილი პოეტური ძალით ასახულიყო. ავტორის მახვილ მზერას სოციალისტური სინამდვილის დამკვიდრების არც ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი არ გამოჩენია, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოეტის მიერ დასურათებული ახალი საბჭოთა ადამიანის გმირული ბუნება, რომელიც უპირატესად ლირიკული პერსონაჟის ხასიათით ვლინდება. მან არ იცის შური და ორპირობა, მისი დამოკიდებულება შრომისადმი მაღალი და შეგნებულია, იცის უანგარო მეგობრობის ფასი, უყვარს ადამიანი და იბრძვის მისი კეთილდღეობისათვის. ლირიკული გმირი სათნო და ფაქიზია. როდესაც საქმე პირად გრძნობებს ეხება... პოემის ყველა სახე ხელშესახებად არის გამოკვეთილი. ყველგან იგრძნობა გენიალური მხატვრის უბადლო ოსტატობა.

მაიაკოვსკიმ პოემაში „ქარგია“ ოქტომბერი და მისი გმირული პათოსი არა მარტო ეპიკური საშუალებებით გამოძერწა, საოცარ ლირიკულ სამოსელშიც გახვია და მკითხველს მთელი სიცხადით დაანახა ქართვეილებში შობილი საზოგადოების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. პოეტი პოემაში სიამაყის მაღალი გრძნობით სოციალისტურ სამშობლოს „კაცობრიობის გაზაფხულს“ უწოდებდა:

მე დაუცხრომელ  
შრომაში და  
ბრძოლაში შობილს,  
კაცობრიობის  
გაზაფხულსა და  
მ-ს განახლებას.  
ჩემს რესპუბლიკას  
ჩემს სამშობლოს  
ეულმერი ქებას.  
ცხრა დღესასწაულს  
ოქტომბრისას  
და მაისისას,  
წითელ დროებშით  
ტურფად მორთულს  
მე დაეცნარა  
და ჩემი გული  
მუდამ იყო  
გულთან მაისია,

(398—399, თარგმ. გ. ცეცხლაძისა)

პოემას ა. ლუნაჩარსკიმ „ბრინჯაოში ჩასხმული ოქტომბრის რევოლუცია“ უწოდა.

20-იან წლებში ვ. მაიაკოვსკიმ საბჭოთა და მსოფლიო პოეზია მრავალი ლექსით გაამდიდრა: „კომკავშირული“, „ამხანაგ ნეტეს“, „ბრუკლინის ხიდი“, „საუბარი ამხანაგ ლენინთან“, „ვერსალი“, „პარიზი“, „პასუხი მოვთხოვით“, „მიმართვა პროლეტარულ პოეტს“, „სერგეი ესენინს“, „დამკვრელური ბრიგადების მარში“, დაუმთავრებელი პოემა „მთელი ხმით“ და მრავალი სხვა. განცვიფრებას იწვევს პოეტის ინტერესის მრავალფეროვნება. მის შემოქმედებაში აისახა ეპოქის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი საკითხი, იგი არ ერიდება „წვრილმანებს“, მისთვის ერთნაირად საინტერესოა მძაფრი პოლიტიკური პრობლემები და ყოველდღიური ყოფის „უმნიშვნელო“ დეტალები; რას და ვის არ შეხებია პოეტი! იგი ცხოვრობდა თავისი ეპოქის აკუმულირებული ცხოვრებით, მთელი არსებით იღვწოდა დიადი მომავლისათვის, მის შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს ხვალისდელის ურყევი რწმენა.

მართალია, „მთელი ხმით“ საბჭოთა ხუთწლეულებზე ჩაფიქრებული დიდი პოემის მხოლოდ შესავალია, მაგრამ იგი გარკვეული თვალსაზრისით დასრულებული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც წესი, ვლადიმერ მაიაკოვსკი პოემის შესავალში იძლევა იმის თეზისურ გეგმას, რასაც მთლიანად ნაწარმოებში ხორცი შეესხმის, ამ შემთხვევაშიც „მთელი ხმის“ სახით გვაქვს დიდი ეპიკური ტილოს ავტორისეული „კონსპექტი“, საიდანაც აშკარად ჩანს პოეტის ჩანაფიქრის მასშტაბურობა. იგი ერთგვარად შემეჩაფებელი ხასიათის ნაწარმოებიც არის, როგორც მწერლის თანამედროვეები აღნიშნავენ, პოემაზე, კერძოდ, მის შესავალზე ვ. მაიაკოვსკი დიდ იმედებს ამყარებდა... დღეს კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მთელი ხმის“ რეზონანსმა მოსალოდნელს გადააქარბა. მსმენელთა დასტურით პოემა ავტორის წაკითხვით განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებდა. დამსწრეთა აღფრთოვანებულ ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. ეს გასაგებიც არის: „მთელი ხმით“ დღესაც წარუშლელ კვალს ტოვებს მკითხველის სულიერ სამყაროში და ასეთად დარჩება მომავალშიც. აკი პოემაში ავტორმა თვითონაც იწინასწარმეტყველა მისი მემკვიდრეობის უკვდავება:

შთამომავლებო!

თვითონ გეტყვით

სათქმელს დანარჩენს, —

აგრატორი,  
 წინამძღოლი,  
 მოძღვართ მოძღვარი,  
 ლარიკულ ტომებს  
 გადმოვალაჭებ,  
 ჩავახშობ ლექსთა ნიაღვრებს და  
 კვლავაც მრავალჭერ  
 გესაუბრებით ისე,  
 როგორც ცოცხლებს ცოცხალი.  
 კომუნისტური  
 მე მომიყვანს თქვენთან  
 მყობადი !.

პოემაში ვ. მაიაკოვსკიმ მომავლის განვკერების იშვიათი უნარი გამო-  
 ავლინა. აქ მან უკუაგდო პოეტის დანიშნულების ტრადიციული გაგება,  
 გაბედულად იცავს მის მიერ შემოღებულ ლექსის რეფორმას. იგი ღრმად  
 არის დარწმუნებული, რომ მომავალშიც უამთა დინება რევოლუციის  
 განუხრელ კანონებს დაემორჩილება და ამდენადვე „ბრძოლაში აშენებუ-  
 ლი სოციალიზმი“ მისთვის შორეული, განყენებული ოცნება როდია. იგი  
 პოეტისათვის უკვე ყოვლისმომცველ რეალობად იქცა, რომელიც თითოე-  
 ულის ნამოღვაწარის შეფასების ეტალონია:

შენ მოკვდი,  
 ლექსო,  
 ვით მებრძოლო კვდება რიგ-თი,  
 როგორც კვდებოდნენ  
 უსახელო ომში ჩვენები.  
 არატრად ვავდებ  
 ჩამწკრივებულ ძეგლებს რეგებალ,  
 არც ბრინჯაო და მარმარ-ლო  
 მექაშნე-კება,  
 შევთანხმდეთ. —  
 ერთი მიწ-სა ერთ.  
 ერთი აღ-ზის, —  
 ჩვენი საერთო  
 და უკვდავი  
 ძეგლი იქნება  
 აშენებული  
 სოციალიზმი.

ამის გარანტიას ვ. მაიაკოვსკი ხედავდა მის მიერ გაწეულ გმირულ  
 ბრძოლასა და შრომაში, რომელიც შთამომავლობას დარჩა პოეტის უკვ-  
 დავი ლიტერატურული მემკვიდრეობის სახით. ამიტომ შეეძლო ოქტომბ-  
 რისა და სოციალისტურ სამშობლოს ტრუბადურს სიამაყით ეთქვა:

\* ვლადიმერ მაიაკოვსკი. პოემები. თბ. „მერან“-ი, 1983, გვ. 63—64.  
 თარგმ. ვ. ჯავახიძისა.

და მალა ავჩევ.  
ბოლშევიკურ პარტიულით.  
ნემი  
პარტიულ წიგნაკების  
ტომებს  
ასივს.

ვლადიმერ მაიაკოვსკის თავისი სამშობლო საქართველო და მისი დედაქალაქი არც მაშინ დავიწყებია, როდესაც საქვეყნოდ აღიარებული პოეტი გახდა. პირველად ის თბილისში 1906 წელს ჩამოვიდა, აქ მაიაკოვსკი და მისი ოჯახის წევრები ცოტა ხანს დარჩნენ. ამის შემდეგ პოეტი თბილისს 1914 წელს ეწვია. ერთი დღით ქუთაისშიც ჩავიდა. პოეტი ყველგან დიდი პატივით მიიღეს. მის სიხარულს საზღვარი არ უჩანდა. ოპერის თეატრში ლექციით გამოსვლის წინ მან ხალხით გაჰყვანილ აუდიტორიას ქართულად მიმართა, რამაც დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მაშინ მასთან ერთად მოგზაურობდნენ პოეტები ვასილ კამენსკი და დავით ბურლიუკი, რომლებმაც ამ მოგზაურობის შესახებ ბევრი საინტერესო ცნობა შემოგვინახეს. მაიაკოვსკი ახლო მომავალშიც აპირებდა საქართველოში მოგზაურობას, მაგრამ სურვილის ხორცმცხსმას მოულოდნელი ობიექტური მიზეზები გადაეღობა და ის მხოლოდ ათი წლის შემდეგ მოახერხებს სამშობლოში ჩამოსვლას. ეს მოხდა 1924 წლის აგვისტოს მიწურულს. აი რას წერდა 30 აგვისტოს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ პოეტის თბილისში ჩამოსვლის შესახებ: „თბილისში ნოვოროსიისკიდან ჩამოვიდა პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, მოველით, რომ ის გამოსვლების დროს წაიკითხავს თავის ახალ ლექსებს“.

პოეტის თბილისში ამ ჩამოსვლისა და მწერლებთან მისი შეხვედრის შესახებ ლიტერატურაში დღემდე გვხვდება საწინააღმდეგო მოსაზრებები, განსაკუთრებით წინააღმდეგობრივ მტკიცებებს ვხვდებით მოგონებებში. მკვლევარები ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ შეთანხმებულან მაიაკოვსკისა და ესენინის აქ შეხვედრის თაობაზე. ესენინის ბიოგრაფების უმრავლესობა, ისე როგორც მაიაკოვსკისა, ამ ფაქტის შესახებ არაფერს წერს. მკვლევართა იმ ნაწილს, რომელიც პოეტების ცხოვრების აღნიშნულ ეპიზოდს გვერდს უვლის, მიაჩნია, რომ ეს შეხვედრა ქრონოლოგიურად არ შეიძლება დაემთხვეს მაიაკოვსკისა და ესენინის თბილისში ყოფნის პერიოდს. მაგრამ ამჯერად დადგენილია, რომ ასეთი მტკიცება საფუძველს მოკლებულია. ესენინი თბილისში ჩამოვიდა არა უგვიანეს 1924 წლის 7 სექტემბრისა, ხოლო მაიაკოვსკი, როგორც უკვე ითქვა, 29 აგვისტოს და დარჩა აქ სექტემბრის შუა რიცხვებამდე. ასე რომ, კალენდარულ მონაცემებით პოეტების შეხვედრა თბილისში საკვებით დასაშვებია. უფრო მეტიც. ისინი თბილისში ერთმანეთს ვერ აცდებოდნენ, რადგანაც ორივეს „მასპინძლობდა“ „ზარია ვოსტოკას“ რედაქცია. ამიტომ ეჭვს არ უნდა იწვევდეს გაზეთის იმდროინდელი ლიტერატურული გან-



ყოფილების გამგის ნ. ვერებიცის ცნობა, პოეტების თბილისში შეხვედრის შესახებ. მით უმეტეს, რომ მემუარისტი თავის საინტერესო წიგნში „შეხვედრები ესენინთან“ დეტალურად აღწერს პოეტების თბილისში ყოფნის მრავალ საყურადღებო ეპიზოდს. კერძოდ, ერთობ საინტერესოა ვერებიცის მიერ აღწერილი მიაკოვსკისა და ესენინის დიალოგი ზელოვნების დანიშნულების შესახებ, ისე როგორც მათი ბოლო ხანებში გამოქვეყნებული ლექსების ურთიერთ შეფასება. „ზემოთ რომ მივდიოდით, — იგონებს ვერებიცე, — ესენინმა კლდოვან ფლატეზე მიუთითა და ეშმაკურად ჰკითხა მიაკოვსკის: — ვლადიმირ ვლადიმროვიჩ, იქნებ ეს მთაც მოთხაროთ, რომ უკეთ წარმოადგინოთ თქვენი მისტერია?“

— სწორედ იმ დღეებში, — განაგრძობს მემუარისტი, — დიდი მითქმა-მოთქმა იყო: მიაკოვსკი მოლაპარაკებას აწარმოებდა რეჟისორ მარჯანიშვილთან თავისი „მისტერია ბუფის“ ღია ცისქვეშ. მამადავითზე დადგმის თაობაზე... ამას დაეუმატებთ, რომ „ზარია ვოსტოკაში“ ერთი კვირის წინ (სამ სექტემბერს) დაიბეჭდა მიაკოვსკის ლექსი „ვლადიკავაში — თბილისი“, რომელიც ასე მთავრდება:

აშენე,  
იმ ძველს დანგრევაც მოასწრე  
და ახალ სართულებს  
ჩაუღეჯ დარაჯად!  
ყაზბეგოც  
რომ სავშეს  
გომლიდეს. —  
მოაძრე!  
რა უშავს — ნისლში  
მინე ხომ არა ჩანს!

(თარგმ. გ. გაჩეჩილაძისა)

მიაკოვსკიმ მშვიდად მოუსმინა და აღუშფოთებლად მიუგო:

— რა თქმა უნდა, მოვთხრით. თუ საჭირო იქნება“!

აქედან ისიც დგინდება, რომ პოეტების ეს საუბარი უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 10—11 სექტემბრისა, რაც სავსებით თავსდება მიაკოვსკისა და ესენინის თბილისში ყოფნის ქრონოლოგიურ ჩარჩოში.

საინტერესოდ გვესახება ჩვენ ნ. ვერებიცის მიერ მეტყველად გადმოცემული პოეტების დიალოგი პუშკინის ტრადიციებისა თუ თვითონ მათი პოეზიის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ. არ უნდა იყოს ზედმეტი შევახსენოთ მკითხველს ეს ადგილიც, რომელიც ცალკე გამოყოფილი ერთობ შთამბეჭდავია. „ესენინმა სიტყვა პუშკინზე ჩამოაგდო, — ვკითხულობთ ნ. ვერებიცის დასახელებულ წიგნში, — მის ახლანან გა-

<sup>1</sup> ნიკოლოზ ვერებიცე. შეხვედრები ესენინთან. თბ., „ნაქადლო“, 1979, გვ. 15.

მართულ იუბილეზე, შემდეგ კი ამ თარიღთან დაკავშირებით დაწერილ ლექსებზე.

მე ყური ვცქვიტე.

— სხვათა შორის, თქვენი „საიუბილეოც“ წავიკითხე, — მიმართა ესენინმა მიაკოვსკის. — თქვენ რაღაცებს ამბობთ „მებალალაიყეზე...“ მაპატიეთ, მაგრამ მე ამას ჩემს თავზე არ ვიღებ და არც მინდა ვიწყინო... გემოვნების ამბავია! მაგრამ იქნებ მეც მომისმინოთ?

და ესენინმა დაიწყო თავისი, აქვე დაწერილი ლექსი — „კავკასიაში“.

როდესაც მიაღწია ტაეპს:

მე მწამს რუსეთის პოეზია, მართალი გითხრათ,  
გვეყავს მიაკოვსკი.  
კიდევ სხვები, რამდენიც გნებავთ,  
მაგრამ ის,  
სხვებსაც რომ ასწავლა კედლების თითხნა,  
მხოლოდ საცობზე მოსსელპრომის  
აუღერებს ებანს...

(თარგმ. თ. შალამბერიძისა)

მიაკოვსკიმ გაიღიმა და ჩუმად წარმოთქვა:

— ბარი ბარსა ვართ...

მაგრამ ესენინი, ეტყობა, ახლა იწყებდა სამაგიეროს გადახდას.

პაპიროსი საფერფლეს მიუტაკუნა, ოღნავ შეახო ხელი მიაკოვსკის მუხლს, ამოიოხრა და წარმოთქვა:

— ჰო... რა გაეწყობა, მე მართლაც მხოლოდ ასო „ე“-ზე ვარ. ბედისწერაა! ალფაიტს ვერსად გაექცევი!.. სამაგიეროდ თქვენ, მიაკოვსკი განსაკვიფრებელი ბედი გეწვიათ — მხოლოდ ორი ასო გაშორებთ პუშკინს...“<sup>1</sup>.

და მოკლე პაუზის შემდეგ, მოულოდნელად დაასრულა:

— მხოლოდ ორად ორი ასო! მაგრამ რა ასოებია! <sup>2</sup>

<sup>1</sup> ესენინს მხედველობაში ჰქონდა შემდეგი სტრიქონები მიაკოვსკის ლექსისა „საიუბილეო“, რომელიც დაბეჭდილი იყო „ზარია ვოსტოკაში“ 7 სექტემბერს:

მალე გავივლი ცხოვრების მანძილს,  
სიკვდილის შემდეგ  
უნდა ვიდგეო  
ჩვენ თითქმის ერთად:  
თქვენ ას პარ-თან  
და მე კი მან-ზე.

(თარგმ. გ. ვაჩეჩილაძისა)

<sup>2</sup> სიტყვათა თამაშია: ასო „М“-ს (მიაკოვსკი) და „П“-ს (პუშკინი) შორის არის ორი ასო „Н“ და „О“. აქედან აწარმოა ესენინმა ორაზროვანი და გამაფრთხილებელი „НО“, ე. ი. „მაგრამ“ და „კეუთ იყავი“.

ესენინმა მალა აწია თითი, მუქარით გააქნია და გამაფრთხილებლად გააქიანურა ბოლო სიტყვა, თან მკაცრი გამომეტყველება მიიღო<sup>1</sup>.

გაისმა გამაყრუებელი ხარხარი... იცინოდა მაიაკოვსკი. ისე მოეწონა ეს ხუმრობა, რომ თავი ველარ შეიკავა, წამოხტა და გადააკონა. ესენინი<sup>2</sup>.

მოტანილ ციტატაში აისახა აგრეთვე მაიაკოვსკისა და ესენინის წინააღმდეგობრივი, ზოგჯერ დრამატიულად დაძაბული, მაგრამ ყოველთვის ლიტერატურის ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთობა. საბედნიეროდ, საბჭოთა პოეზიის ამ ორი დიდი წარმომადგენლის შემოქმედებით დავა მათი დაახლოებით დამთავრდა. ამის უტყუარი დასტურია თვითონ მაიაკოვსკის აღიარება, რომელიც მოჰყავს ვერებიცკის. მაიაკოვსკი თავის გამოსვლებში ესენინზე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ იზღუდება მხოლოდ მათი პირადი ურთიერთობის აღწერით. რაც ჩვენთვის უფრო საინტერესოა, რევოლუციის ტრიბუნმა მოგვცა ესენინის ლიტერატურული მემკვიდრეობის ზოგადი, მაგრამ საგულისხმო დახასიათება, ისე როგორც მისი ტრაგიკული დასასრულის მიზეზების ამოხსნა. „იმ ხანებში, — ამბობდა მაიაკოვსკი, — ესენინს რამდენჯერმე შეეხვდი (პოეტს მხედველობაში აქვს მათი საქართველოში ჩამოსვლის წინა პერიოდი — გ. გ.): ჩვენი შეხვედრები ელემენტარული იყო, ყოველად უკინკლავო. მე კმაყოფილებით ვუცქეროდი ესენინის ევოლუციას იმაყენიზმიდან ВАПП-სკენ (ბროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ასოციაცია). ესენინს აინტერესებდა სხვისი ლექსები. თავის თავზე უზომოდ შეყვარებულ ესენინს ერთი ახალი თვისება ემჩნეოდა: მას. ცოტა არ იყოს, შურდა იმ პოეტებისა, რომლებიც ორგანულად შეერწყნენ რევოლუციას და წინ დიდსა და ოპტიმისტურ გზას ხედავდნენ.

ამაშია, ჩემი აზრით, ესენინის პოეტური ნერვოზულობის ფესვი, აქედანვეა მისი უკმაყოფილება საკუთარი თავით, რასაც ზედ ერთვოდა ღვინო და ირგვლივ მყოფთა უსულგულო, ბრიყვეული დამოკიდებულება... ესენინს რაღაც გარკვეული სიმპათიებიც კი გაუჩნდა ჩვენდამი (ლექსებისადმი): ის დადიოდა ასევეთან, მირეკავდა ტელეფონით, ხანდახან ცდილობდა უცაბედად შეგვეფეთებოდა“<sup>3</sup>.

1924 წლის სექტემბერში მაიაკოვსკიმ „ზარია ვოსტოკაში“ გარდა უკვე დასახელებული „ვლადიკავკაზი—თბილისისა“ და „საიუბილეოსი“ დაბეჭდვა უსათაურო ლექსი 26 ბაქოს კომისრებზე; თბილისშივე დაწერა მან

<sup>1</sup> შემდეგში ეს ხუმრობა ნიკიერმა მოსკოველმა პაროდისტმა. ა. არხანგელსკიმ გამოიყენა თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში. (განმარტებები და შენიშვნა კუთუნის ნ. ვერებიცკის — გ. გ.).

<sup>2</sup> ნიკოლოზ ვერებიცკი. შეხვედრები ესენინთან. თბ. „ნაქაული“, 1979, გვ. 16—18.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 12. თარგმ. ლ. ჩხეიძისა.

ლექსი: „სასტიკად აკრძალულია“, გადასცა რედაქციას, მაგრამ გაზეტში არ დაბეჭდილა.

მანაკოვსკის საბჭოთა საქართველოში პირველი ჩამოსვლის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე მწერალი აკაკი ბელიაშვილი, მხატვარი ირაკლი გამრეკელი, კომპოზიტორი თამარ ვახვაიშვილი და ბევრი სხვა მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე. მაგრამ ყველაზე ვრცლად და საინტერესოდ რევოლუციის ტრიბუნის ამ ჩამოსვლაზე მოგვითხრობს სიმონ ჩიქოვანი. მისი მოგონებები ერთობ მდიდარია საყურადღებო ეპიზოდების აღწერით. თუმცა, როგორც ყველა სხვა მემუარებში, აქაც გვხვდება ზოგიერთი უზუსტობები, რომლებიც ვერ ჩრდილავენ საერთო პოზიტიურ შთაბეჭდილებას, ხოლო უცილობელი ფაქტების სიუხვე, რომლის სისწორე მოწმდება დამოუკიდებელი წყაროებით, ქართველი პოეტის მემუარულ ჩანაწერებს დოკუმენტურობის ღირსებას ანიჭებს.

საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლის ცხოვრებისა თუ შემოქმედების სხვა საგულისხმო ეპიზოდებს შორის ჩიქოვანის მიერ შთაბეჭქდავად არის აღწერილი მანაკოვსკის დამოკიდებულება მისი თხზულებების პირველ ქართულ თარგმანებისადმი. და ეს სავსებით გასაგებია. პოეტს, რა თქმა უნდა, აინტერესებდა თუ როგორ აყდერდა მისი ლექსები უძველესი კულტურის მქონე იბერიელთა ენაზე, მით უმეტეს, რომ მას შეეძლო უშუალოდ შეემოწმებინა და საჭირო შესწორებებიც შეეტანა თარგმანებში, რადგანაც ჭერ კიდევ არ ჰქონდა დავიწყებული ქართული ენა.

„დრღით, — წერს ს. ჩიქოვანი, — პაოლოს (იაშვილი — გ. გ.) თარგმანების კორექტურები წავიღე და ვლადიმერ მანაკოვსკისთან სასტუმროში შევედი. მასთან ნიკოლოზ ჩაჩავა და ჟანგო ლოლობერიძე დამხვდნენ. ვლადიმერ მანაკოვსკიმ მთხოვა, თარგმანები მშვიდად, დეკლამაციის გარეშე წამეკითხა, მე ყურს დაუვუღებ და მის აკვარგიანობას მივხვდებო. მეც შევუდექი კითხვას. წავიკითხე „არაჩვეულებრივი ამბავი“, „მარცხენა მარში“, „წუნკლები“, „ოდა რევოლუციას“ და სხვა. იგი ხმაგაკმენდილი, ყურადღებით მისმენდა. როდესაც კითხვა დავასრულე, გაჩუმდი, ერთხანს ისიც გაჩუმებული იჯდა. მერე მითხრა: კარგი უნდა იყოს, ქართულად ძლიერ კარგად ჟღერს, მაგრამ ზოგიერთ ლექსში ორიგინალის რიტმი არ არის შენარჩუნებულიო. მე ვუთხარი: ქართული ლექსის ბუნება სხვაგვარია და რიტმის მეტი მიახლოება თითქმის შეუძლებელია. მით უმეტეს თქვენი ლექსის რიტმის პირდაპირ გადატანა ქართულ ენაზე ვერ ხერხდება-მეთქი. „რატომ? — მიპასუხა, — ფრანგული ლექსის წყობაც სილაბურია, მაგრამ ფრანგებმა ჩემი ლექსი თარგმანში ორიგინალის რიტმული მდინარება შეინარჩუნეს...“ საერთოდ თარგმანები ძლიერ მომეწონაო, — მიპასუხა ლექსების ავტორმა“<sup>1</sup>.

ცოტა უფრო ადრე, კ. მარჯანიშვილის დავალებით, ტ. ტაბიძემ თარგმ-

<sup>1</sup> მოგონებები მანაკოვსკიზე. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1983, გვ. 177.

ნა „მისტერია ბუფი“, რომელსაც უნდა გაცნობოდა მაიაკოვსკი ქართველ რეჟისორთან, რადგანაც მას ძლიერ მოეწონა მარჯანიშვილის ჩანაფიქრი „მისტერია ბუფი“ დაედგა ღია ცისქვეშ, მამადავითზე. უკვე მზად იყო ესკიზები; მზადდებოდა მაკეტი, იწერებოდა მუსიკა. ამ გრანდიოზული ჩანაფიქრის განხორციელებას ხელი შეუშალა საკირო თანხების უკონლობამ. თითქმის ყველა, ვინც მაშინ მაიაკოვსკისთან ახლოს იყო, ერთხმად აღიარებს პოეტის გატაცებას პიესის დადგმის იდეით, ის წვევია, და არაერთგზის, ი. გამრეკელის სახელოსნოს, სადაც მზადდებოდა მაკეტი და დეკორაცია, დახმარებია დეტალების დაზუსტებაში კ. მარჯანიშვილს. როგორც ტ. ტაბიძე იგონებს, ის მაშინ თბილისში არ შეხვედრია მაიაკოვსკის, მაგრამ მეგობრებს უამბობთ პოეტის ცხოველ ინტერესზე „მისტერია ბუფის“ ინსცენირებისადმი, ისე როგორც პაოლო იაშვილის თარგმანებისადმი: „ქართულად, — წერს ტ. ტაბიძე, — წაეკითხა პაოლო იაშვილის მიერ თარგმნილი თავისი ლექსები და დაინტერესებულა „მისტერია ბუფის“ დადგმით. იგი მე ვთარგმნე კოტე მარჯანიშვილისათვის. ღიდ ქართველ რეჟისორს განზრახული ჰქონდა დაედგა იგი ფუნქციონორზე, ღია ცისქვეშ, ანტიკური სანახაობის მსგავსად. მაიაკოვსკის მოსწონებია კ. მარჯანიშვილის ჩანაფიქრი...“<sup>1</sup>.

მოტანილი ფაქტებიდანაც კარგად ჩანს, თუ რაოდენ მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო მაიაკოვსკის თბილისში გატარებული დღეები 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში.

ვ. მაიაკოვსკი მეოთხედ თბილისს 1926 წლის 25 თებერვალს ეწვია. ის მატარებლით ჩამოვიდა ბაქოდან, სადაც კითხულობდა ლექციებსა და საკუთარ ლექსებს. ეს გათვალისწინებული იყო მის მოგზაურობის პროგრამით. აქვე უნდა ითქვას, რომ მაიაკოვსკი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხშირად მოგზაურობდა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთაც. კერძოდ, თბილისიდან გამგზავრების შემდეგ 1924 წელს შემოიარა ევროპის ქვეყნები: პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი. 1925 წელს კი ჯერ იყო ევროპის ქვეყნებში. შემდეგ ესპანეთიდან გემით კუბაში ჩავიდა. აქედან მექსიკაში, ხოლო შემდეგ კი შეერთებულ შტატებში. ყველაზე დიდხანს ის ამერიკაში დარჩა და ეს ბუნებრივია. გარდანიუ-იორკისა, მაიაკოვსკიმ იმოგზაურო დეტროიტში, ჩიკაგოში, ფილადელფიასა და სხვა სამრეწველო ცენტრებში. პოეტი ყველგან ყურადღებით აკვირდებოდა ამერიკელთა ცხოვრებასა და შრომას, სწავლობდა მათ კულტურასა და ტექნიკურ პროგრესს.

ამერიკაში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები საფუძვლად დაედო ნარკვევს, რომელიც ცნობილია სათაურით — „ჩემ მიერ ამერიკის აღმოჩენა“. სანამდე ნარკვევი დაისტამბებოდა, პოეტი საჯარო ლექციების დროს სიამოვნებით უზიარებდა მსმენელებს მოგზაურობით მიღე-

<sup>1</sup> მოგონებები მაიაკოვსკიზე. თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1983. გვ. 152.

ბულ შთაბეჭდილებებს. ამას ერთხანს აკეთებდა ის წიგნის გამოსვლის შემდეგაც, ამ შთაბეჭდილებებით წარსდგა მიაკოვსკი თბილისელთა წინაშე 1926 წლის 26 თებერვალს რუსთაველის თეატრში. დარბაზი ტაშით შეხვდა საყვარელ პოეტს, დამსწრეთა დიდმა უმრავლესობამ აღტაცებით მოისმინა პოეტის საუბარი ამერიკაზე, მოიწონა მისი მოგზაურობის შედეგად შექმნილი ახალი ლექსები, რომელსაც ავტორი შეუდარებელი ექსპრესიულობით კითხულობდა. მეორე დღეს მიაკოვსკი შეხვდა ქართულ მწერლებს, ჰქონდა მათთან ხანგრძლივი საუბარი. განსაკუთრებით სასარგებლო იყო, მაშინ უკვე მსოფლიოდ აღიარებულ ტრიბუნთან, ახალგაზრდების შეხვედრა. აი, რას წერს ამ შეხვედრაზე, მაშინ ოცდაერთი წლის კონსტანტინე ლორთქიფანიძე. „ბედმა კიდევ რამდენჯერმე შემახვედრა მიაკოვსკის, მაგრამ ის დილა მწერალთა კავშირის დარბაზში დღემდე მომყვება ცხოვრებაში ისევე გაუხუნებლად, ფერშეუცვლელად და ისევე ამალღებულად, როგორც შეგირდს მუდამ ახსოვს ოსტატის პირველი დალოცვა“<sup>1</sup>.

1 მარტს რუსთაველის თეატრში მიაკოვსკი მეორედ გამოვიდა. მანამდე კი „ზარია ვოსტოკაში“ ანონიმმა ავტორმა პოეტის პირველ გამოსვლაზე არაკეთილმოსურნე ინფორმაცია დაბეჭდა, რითაც მიაკოვსკი ნაწყენი დარჩა. ეს თავისი განწყობილება მიაკოვსკის არ დაუმალავს და მან მეორე ლექციის წაითხვის წინ საკადრისი პასუხი გასცა შენიღბულ ავტორს, რომელიც, როგორც ჩანს, ფიქრობდა ხელი შეეშალა პოეტის გამოსვლისათვის. მაგრამ მოტყუვდა, მიაკოვსკის მეორე ლექციას დიდძალი მსმენელი დაესწრო, ხალხით გაჭედილმა აუდიტორიამ პოეტის გამოსვლა აღფრთოვანებით მიიღო, ხშირად გაისმოდა ტაში, რომელიც არცთუ იშვიათად ოვაციაში გადადიოდა. პოეტის სასარგებლოდ აუდიტორიის განწყობას ერთგვარად ხელი შეუწყო პაოლო იაშვილის გამოსვლამ. აი, როგორ აღწერს ამ ეპიზოდს ს. ჩიქოვანი: „პაოლომ განაცხადა, რეცენზენტის მიერ გამოთქმული აზრი შისი პირადი შეხედულებაა და არავითარ შემთხვევაში იგი ქართველი პოეტების და ქართველი საზოგადოების აზრს არ ემთხვევაო. ქართველი პოეტები ფიქრობენ, რომ ვლადიმერ მიაკოვსკი რევოლუციის უდიდესი პოეტია, იგი თავად ოქტომბრის რევოლუციის ხმაო, მისი პოეზია საბჭოთა კულტურის ბრწყინვალე მიღწევააო... როდესაც პაოლომ მისალმება დაასრულა, მიაკოვსკიმ წამოიძახა: „პაოლოს ნათქვამი მართალსა ჰგავს“. დარბაზში ტაშმა იგრიალა და სიცილი ატყდა. მერე პაოლომ მიაკოვსკის ლექსების: „მარცხენა მარშის“; „არაჩვეულებრივი ამბავის“ თარგმანები წაიკითხა და კმაყოფილი დაბრუნდა ლოჯაში“<sup>2</sup>.

პოეტის მეორე გამოსვლის თემა იყო „საბჭოთა ლიტერატურის სახე“.

<sup>1</sup> მოგონებები მიაკოვსკიზე. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1983, გვ. 92.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 198.

სოციალისტური პოეზიის მამამთავარმა გაბედულად ილაპარაკა იმ გრანდიოზულ ამოცანებზე, საბჭოთა სინამდვილემ ხელოვნების წინაშე რომ დააყენა. მისი სამართლიანი მტკიცებით, პოეზია, ისე როგორც ხელოვნების სხვა დარგი, აქტიურად უნდა ჩაებას სოციალისტურ მშენებლობაში. ამიტომ მისთვის გაუგებარია, ამბობდა პოეტი, თუ რატომ ცდილობს ხელოვნების მუშაკთა ნაწილი განზე იდგეს ისტორიულ მსვლელობისაგან. მიაკოვსკი მოუწოდებდა ახალი, ეპოქის შესატყვის პოეზიის შექმნისაკენ. რომელმაც უნდა ასახოს სოციალისტური მშენებლობის მასშტაბები. როგორც წინა გამოსვლაში, მიაკოვსკი ახლაც დაუნდობელი იყო ბურჟუაზიული კულტურის მესვეურებისადმი. ის ამხელდა არა მარტო ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიულ ყოფას, პოეტი მოურიდებლად ესხმოდა თავს საბჭოთა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მხოლოდ პირად კეთილდღეობისათვის ზრუნავდა. გამოსვლა მიაკოვსკიმ საკუთარი ლექსების კითხვით დაამთავრა.

აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის გორკის დამოკიდებულება საერთოდ ბურჟუაზიულ, კერძოდ კი ამერიკულ კულტურისადმი. გორკის ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებლად ახალ ისტორიულ პირობებში მიაკოვსკი გვევლინება. მიაკოვსკი, გორკის კვალდაკვალ ამერიკაში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებათა განზოგადებისას საზოგადოების განვითარების კლასობრივ პრინციპებს ეყრდნობოდა. სათანადოდ შეაფასა რა ამერიკელთა წარმატებები ტექნიკის განვითარების სფეროში, პოეტი მოურიდებლად, დამაჯერებლად ამხელდა ბურჟუაზიულ ცივილიზაციის ცალმხრივობას, რომლის ნეგატიური შედეგების მთელი სიმძიმე დღესაც მშრომელთა მასებს აწვება. ყოველივე ამაზე გულახდილად ესაუბრა მიაკოვსკი მსმენელებს რუსთაველის თეატრში.

როგორც ეს ხშირად ხდება, ამ შემთხვევაშიც აუდიტორიაში გამოჩნდნენ ნიჰილისტები. რომლებიც კოსმოპოლიტურ იდეების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ბუნებრივია, დამსწრეთა ამ მცირერიცხოვან ნაწილს არ მოეწონა პოეტის მამხილებელი პოზიცია და გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, რომელმაც პრესაშიც ჰპოვა თავისი ასახვა.

აზრთა ასეთ წინააღმდეგობრივ პირობებში ფრიად საყურადღებოა „ზარია ვოსტოკასათვის“ მიაკოვსკის მიერ მიცემული ინტერვიუ, რომელიც დღემდე მწერლის არც ერთ კრებულში არ შესულა. პოეტისეული ეს დოკუმენტი ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა. მით უმეტეს, რომ ის თავისი შინაარსითა და მოტანილი ფაქტობრივი მასალის სიუხვით არსებითად ეწინააღმდეგება პოეტის 26 თებერვლის გამოსვლაზე ანონიმი ავტორის მტკიცებას: ინტერვიუ გაზეთის 27 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა, რომელშიაც გამოქვეყნდა რეცენზია. ბუნებრივია, ჩვენ ამ მასალას მთლიანად მოვიტანთ, რათა მკითხველმა პირველწყაროზე უშუალო დაკვირვებით ნათელი წარმოდგენა იქონიოს იმ პრობლემებზე, რომელიც

პოეტს მაშინ ასე აინტერესებდა ამერიკაში მოგზაურობის დროს და რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი სიმძაფრე. განსაკუთრებით საინტერესოა პოეტის დაკვირვება ამერიკულ პრესისა და ლიტერატურის განვითარების მიმართულებაზე. მაიაკოვსკი ამახვილებს აგრეთვე ყურადღებას ამერიკელთა სულიერ მოთხოვნილებებზე, ისე როგორც მათ განვითარების ცალმხრივობაზე. აი ეს დოკუმენტიც.

«— В Нью-Йорке, — ვკითხულობთ ინტერვიუში, — издается огромное количество газет и журналов. Достаточно сказать, что ежедневно там выходит около 15.000 названий различных изданий. Из них самой распространенной газетой является «Дейли Ньюз», тираж которой превышает миллион экземпляров. Это типичная бульварная газета, интересующаяся убийствами, шантажами и приемами высокопоставленных лиц, которым она отводит целые страницы.

Одна из наиболее влиятельных газет — «Таймс», имеющая около 350.000 тиража. Лет тридцать назад она была захудалой газетой, и тогда ее купили за 75.000 долларов, а теперь она дает своему владельцу мистеру Оксу свыше 18 миллионов долларов ежегодного дохода. Главную статью дохода американских журналов и газет составляют объявления, которые составлены блестяще. Целый ряд лучших поэтов и художников пишет текст и иллюстрирует объявления, ставя под ними свои подписи, как под произведениями. Все газеты выходят с большим количеством страниц, так что, например, прочесть воскресный номер «Таймса», который весит больше фунта, нет возможности не только читателю, но и редактору, а газетные разносчики едва могут взять с собой свыше 20 экземпляров этой газеты.

Нужно сказать, что газеты, каждый номер которых является целой «библиотекой» по вопросам политическим, экономическим, спортивным, театральным и т. д. издаются образцово, но зато американские газетные нравы вошли в историю мировой журналистики, как образцы беззастенчивого вранья. Тогда, как репортеры других буржуазных стран врут, преследуя определенную цель, сообразуясь с обстоятельствами и стремясь придать своей лжи видимость правдоподобия, американская пресса лжет, не считаясь с фактами, просто в погоне за сенсацией и рекламой. Так, например, в один прекрасный день в одной из газет появилось соображение под сенсационным заголовком «Змеиные яйца в Москве», которое оказалось изложением одного из рассказов Булгакова.

Разумеется, особняком в американской журналистике состоит пресса коммунистическая. Если принять в соображение довольно малое количество членов рабочей (коммунистической) партии Америки — 16.000 чел., то тираж и влияние коммунистических газет будет сильным. Так русская газета «Новый мир» издается в количестве 5.000 экземпляров, еврейская коммунистическая газета «Фрейайт» — в 30.000 экземпляров. Кроме них имеются газеты украинская, литовская, итальянский коммунистичес-



ческий еженедельник и т. д. Всего по одному Нью-Йорку коммунистическая пресса насчитывает около 60.000 подписчиков, постепенно отвоёвывая себе новые читательские круги, как это было, например, с газетой «Фрейайт», отвоёвавшей у соглашательского «Форверста» около 15.000 подписчиков.

Серьёзная литература в Америке не имеет никакого влияния и крайне мало распространена. Такой большой... поэт Америки, как Карл Самборг, издает свои книги в количестве не больше 500—1000 экз., что является совершенно ничтожной цифрой. Интересно отметить, что наибольшим успехом пользуется книга «Зеленая лампа», принесшая большой доход автору и издателю, но о которой сама американская критика говорит, что более бессмысленного, глупого и дикого произведения американская литература не знала.

Также безразлично относятся в Америке к поэзии.

Театральное искусство проходит главным образом под знаком обзорный. В бесконечных театрах и театриках можно видеть только полуголых женщин, танцы, акробатику и т. д. Зато колоссальным успехом пользуется кино. Кинотеатры открыты с 11 часов утра, а есть и такие, которые работают всю ночь».<sup>1</sup>

კითხულობთ მიაკოვსკის ექვსათეული წლის წინათ შექმნილ ამ ნარკვევს. და ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება თითქოს ის დღეს იყოს დაწერილი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მწერლის დაკვირვებების კონკრეტულობა, რომლის დამაჯერებლობას ზრდის ინტერვიუში მოხმობილი საკმაოდ მრავალფეროვანი ფაქტობრივი მონაცემები, რაც იმაზედაც მიუთითებს, რომ პოეტი ამერიკაში ტურისტ მოგზაურის ზერელე მაყურებლის როლით როდი შემოფარგლულა, მისი ინტერესის სფერო ფართო და მრავალმხრივი ყოფილა.

თბილისიდან გამგზავრების შემდეგ მიაკოვსკი უაღრესად ინტენსიურ შემოქმედებითს ცხოვრებას ეწეოდა. მოსკოვში დაბრუნებული პოეტი ხშირად გამოდის მოხსენებებითა და ლექციებით, აქვეყნებს ახალ ლექსებსა და პოემებს; გამოსცა პოეტური კრებულები, გატაცებულია კინემატოგრაფიით. როგორც ადრე, ახლაც ბევრს მოგზაურობს. ჯერ შემოიარა ჩვენი ქვეყნის სამხრეთი, იყო უკრაინაში. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მართავდა ლიტერატურულ დისპუტებს, კითხულობდა საკუთარ ლექსებსა და პოემებს. მოგვიანებით იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანია, საფრანგეთი...). ევროპიდან ჩამოსულმა, განაგრძო ტურნე საბჭოთა სამშობლოში და 1927 წლის 8 დეკემბერს მებუთედ და უკანასკნელად ეწვია თბილსს. პოეტი საქართველოში ამჯერადაც ბაქოდან ჩამოვიდა, სადაც გამოდიოდა მოხსენებით, კითხულობდა ლექსებს.

თბილისში მიაკოვსკის ეს ჩამოსვლა, ყველა ადრინდელთან შედარებით, უფრო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო. ერთობ დაძაბული

<sup>1</sup> «Заря Востока», 1926, 27 февраля, № 1113.

და შრომატევადი გამოდგა მისი გამოსვლების პროგრამა. საქართველოს დედაქალაქში მაიაკოვსკი პირველად 9 დეკემბერს გამოვიდა რუსთაველის თეატრში. პოეტმა წაიკითხა ახლახან დამთავრებული პოემა „კარგია“. მრავალრიცხოვანმა მსმენელმა, ისე როგორც კრიტიკამ, მაიაკოვსკის ეს ეპიკური ტილო ავტორის გენიალური ნიჭის მორიგ შემოქმედებითს გამარჯვებად ცნო. მართლაც, არა მხოლოდ მაშინ, დღესაც ძნელია დაასახელო მეორე მასშტაბური პოეტური ტილო, სადაც სოციალისტური რევოლუცია და მისი ზოგადსაკაცობრიო დანიშნულების დინამიკა უფრო სრულყოფილად იყოს ასახული. პოემაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ადგილობრივი პრესა, ახალმა სინამდვილემ, ადამიანებს შორის მანამდე ოცნებაშიც კი ძნელად წარმოსადგენმა სამართლიანმა ურთიერთობამ ისეთი შთამბეჭდავი ელერადობა მიიღო, რომ მკითხველთა თაობები ყოველთვის ცოცხლად აღიქვამენ ოქტომბრის სუსნიან, მაგრამ მომავლის იმედით გაცისკროვნებულ აისს. მაიაკოვსკის ნიჭის ქართველმა თაყვანისმცემლებმა, ისე როგორც ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტებმა მალალი შეფასება მისცეს პოემა „კარგიას“ მხატვრულ ღირსებასაც, საგანგებოდ აღნიშნეს პერსონაჟთა ავტორისეული ძერწვის ნოვატორობა, ისე როგორც მისი პალიტრის ფერთა სიუხვე და უჩვეულო სურნელი; მათი დამაჯერებელი მტკიცებით, პოემას ბოლომდე გაყვება რევოლუციური ეპოქის რომანტიკული სუნთქვა.

„... მაიაკოვსკის დიდი წარმატება ხვდა წილად, — წერდა თბილისის გაზეთი „რაზოჩაია პრავდის“ კორესპონდენტი 10 დეკემბერს, — ბლოკის „თორმეტის“ შემდეგ მაიაკოვსკის „კარგია“ ყველაზე ძლიერი ნაწარმოებია! რაც კი ამ ათი წლის განმავლობაში შექმნილა... „კარგია“, ალბათ, უახლოესს დროში მიიღებს დეტალურ და საფუძვლიან კრიტიკულ შეფასებას. მაგრამ უკვე ახლა დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ მაიაკოვსკის მოწინააღმდეგეებიც კი იძულებულნი იქნებიან „კარგია“ ცნონ რევოლუციური პოეზის უძვირფასეს შენაძენად“.

მეტად საინტერესო და გარკვეულად დრამატიზებული აღმოჩნდა 10 დეკემბერს მაიაკოვსკის შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ჯერ კიდევ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება აფიშებმა, რომლებიც აუწყებდნენ საზოგადოებას, რომ ვ. მაიაკოვსკი წაიკითხავს მოხსენებას პოეტ მაიაკოვსკიზე. მოხსენების თემის თავისებურებამ, ისე როგორც ორატორის გამოსვლის უჩვეულო მანერამ და ომახიანმა, მხოლოდ მაიაკოვსკისათვის დამახასიათებელმა ტემპერამენტულმა ტონმა მსმენელთა აუდიტორია უკიდურესობამდე დამუხტა. როგორც ეს არცთუ იშვიათად ხდებოდა პოეტის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, კამათმა აშკარა კონფლიქტური ხასიათი მიიღო. მხარეების დასაშორებლად საჭირო შეიქნა თვითონ პოეტის უშუალო ჩარევა, რომელსაც მოჩხუბრებისათვის ქართულად მიუმართავს და ისინი დაუწყვნარებია. როგორც პ. ლავუტი გადმოგვცემს, მაიაკოვსკის უთქვამს,

რომ ერთობ საინტერესო და შთამბეჭდავია, როდესაც ახრთა ჰიდილი ასეთ მწვავე ხასიათს ლებულობსო, რაკი ჩხუბობენ, ესე იგი, არის რისთვისო. ამ შეხვედრის მეორე მონაწილე ლავრენტი ჰიჭინაძე აღწერს იმ ამაღლებულ განწყობილებასა და ინტერესს, რომელიც სუფევდა უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის, როდესაც გაიგეს, რომ საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელი მათ წინაშე წარსდგება მოხსენებითა და საკუთარი ლექსების კითხვით.

11 დეკემბერს მიაკოვსკი მეორედ გამოვიდა რუსთაველის თეატრში. ამჯერად მისი მოხსენების თემა იყო „მსურს შნოიანი ცხოვრება“. თავის გამოსვლაში პოეტი იმ დროინდელ ყოფის მრავალ მწვავე პრობლემას შეეხო, ყველაფერში იგრძნობოდა მომხსენებლის გამოკვეთილი კლასობრივი პოზიცია, ის სოციალისტური სინამდვილის უპირატესობის ღრმად რწმენით იცავდა საბჭოთა სამშობლოს განახლების გრანდიოზულ პროგრამას; მოუწოდებდა ახალი სინამდვილის შესაბამისი ჩვევების გამომუშავებისაკენ. ჩვენ, ამბობდა პოეტი, მთელს მსოფლიოს წინაშე ვაშენებთ ახალს; სოციალისტურ სახელმწიფოს. ამიტომ უნდა შევექმნათ ახალი ყოფა, საზღვარგარეთის დამამცირებელი მიბაძვის გარეშეო. ეს ლოზუნგი მაშინ იყო საბჭოთა ქვეყნის სამოქმედო პროგრამა კულტურულ მშენებლობის სფეროში. აუდიტორიის თხოვნით თავისი გამოსვლა პოეტმა საკუთარი ლექსებისა და პოემა „ქარგიას“ ნაწყვეტების კითხვით დაამთავრა.

12 დეკემბერს მიაკოვსკის ორი მეტად საპასუხისმგებლო გამოსვლა ჰქონდა. პირველად ის ხელოვნების სასახლეში შეხვდა პროლეტარ მწერალთა ასოციაციის ყველა სექციის წევრებს. მისი მოხსენების თემა იყო „ლექსი და პოეტის ამოცანები“, რომელმაც დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. იგრძნობოდა კამათში მონაწილეთა პოზიციების სხვაობა; ამიტომ დისპუტმაც მწვავე ხასიათი მიიღო. კიდევ უფრო დამატული გამოდგა კამათი ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, მაგრამ მიაკოვსკი, როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმალლეზე იდგა. საყოველთაოდ ცნობილია მისი პოლემიკური ხელოვნება. ის დინჯად, აუღელვებლად მომაკვდინებელ პასუხს აძლევდა მოწინააღმდეგეს. პოეტის ფენომენალური მეხსიერება, ფართო ერუდიცია და საზრიანი მოსწერებული პასუხები მსმენელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა. სამაგიეროდ თვითონ მიაკოვსკი გულწრფელად განიცდიდა დამარცხებულ მოკამათის უმწეო ხვედრს. პოეტისა და მისი ოჯახის წევრების მეგობარი ლეო ესაკია იგონებს: „მიაკოვსკი ის-ის იყო თბილისიდან დაბრუნდა. გვიყუებოდა თბილისის ამბებს, გვიამბობდა თავის გამოსვლებზე სხვადასხვა აუდიტორიაში.

სხვათა შორის, ის განსაკუთრებით წუხდა. გ. კრეიტანის გაბიაბრუებას ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ლიტერატურულ

სალამოზე“<sup>1</sup>. ასეთი რაინდული სული დიდ პოეტს მაშინაც გამოუვლენია, როდესაც მოწინააღმდეგეს პაექრობისას არცთუ ღირსეულ ხერხისათვის მიუმართავს.

მაიაკოვსკის ბოლო გამოსვლა თბილისში შედგა 1927 წლის 13-დეკემბერს. ნიშანდობლივია, რომ პოეტის ქართველ პროლეტარიატთან, შეხვედრა მოხდა ცენტრალურ მუშათა კლუბში და ეს იყო მისი პირველი, ამავე დროს, სამწუხაროდ, უკანასკნელი გამოსვლა თბილისის მუშათა კლასის წინაშე. ამ ლიტერატურულ სალამოზე მაიაკოვსკიმ წაიკითხა პოემა „ქარგია“ და მოხსენება თემაზე „მსურს შნოიანი ცხოვრება“. „რაბოჩაია პრავდა“ აღნიშნავდა პოეტის წარმატებით გამოსვლასა და ემ დიდ ინტერესს, რომელიც მუშათა აუდიტორიამ გამოიჩინა მწვავე საყოფაცხოვრებო და სოციალური პრობლემებისადმი, რომელიც ასე გაბედულად გაისმა მაიაკოვსკის გამოსვლებში.

პოეტმა მეორე დღეს დატოვა თბილისი და მოსკოვს გაემგზავრა.

მაიაკოვსკის პირად ცხოვრებასა და შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა მხოლოდ ბაღდათში და ქუთაისში გატარებულ წლებს. მისი პოეტური ფანტაზიის გამდიდრების გზაზე უთუოდ დადებითი როლი შეასრულეს პოეტის სამშობლოში მოგზაურობით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, რაც გამოკვეთილად აისახა მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. მარტო „ელადიკავკაზი — თბილისი“ რამდენის მთქმელია:

როგორც კი  
დავადგი  
ფეხი კავკასიას,  
მყისვე მომაგონდა,  
რომ მე —  
ქართველი ვარ<sup>2</sup>.

ლექსში ბუნებრივად ენაცვლება ერთმანეთს საქართველოს მძიმე წარსულის გახსენებით გამოწვეული სულიერი ტკივილი და მშრომელი კაცის მხნე, მომავლის იმედებით გამსჭვალული განწყობილება. პოეტმა ასეთი, ერთი შეხედვით, მარტივი ხერხით შეძლო შთაბეჭქდავი რეალისტური სურათის შექმნა, რომლის ცხოვრებისეულობას აძლიერებს ლირიკული გმირის ურყევი ოპტიმისტური რწმენა. პოეტი, რომელსაც საკუთარი სათქმელი ლირიკული გმირისათვის მიუხდვია, მოკლე ისტორიულ ექსკურსში ახერხებს დამაჯერებლად გადმოგვცეს ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომის ძირითადი ეტაპები. თანაც, მაიაკოვსკიმ გაბედულად უკუაგლო ის, რაც უამთა მსვლელობამ წარსულში დატოვა და

<sup>1</sup> მოგონებები მაიაკოვსკიზე. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1983, გვ. 34.

<sup>2</sup> ელადი მერ მაიაკოვსკი. ჩრეული ლირია. თბ., „ნაკადული“, 1983, გვ. 3. თარგმ. ირ. აბაშიძისა.

ღრმა რწმენით მოგვიწოდებს ახლის მშენებლობისაკენ, რათა ერმა და-  
აღწიოს თავი ფეოდალურ გადმონაშთებსა და ისტორიის უკუღმართობით  
დამკვიდრებულ უსამართლობას:

ღიას,  
    ქართველი ვარ,  
        და ვის ესურება  
მეწოდოს  
    მე კინტო,  
        მსმელი და აშარი.  
მე ველი —  
    საყვირმა  
        დაქექოს  
            ზურნებად,  
სად კინტო იდგა და  
        ვირების ლაშქარი.  
პატრის ეცემ  
    მე ქართველ  
        პოეტებს მაღლიანს.  
კარგა  
    ეს პანგიც,  
        ზურნა და ღარი,  
მაკრამ ღღეს  
    მწყურია  
        მე მათზე აღრიან  
ქარხნების სიშლერა  
    და კრანთა შარი.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ეპოქის უდიდესი პოეტი ქართველი ხალ-  
ხის აღორძინებას უშუალოდ უკავშირებს სოციალისტური ერების ძმურ  
ოჯახს, სადაც ყველა უნდა იღვწოდეს, რათა „შაქარი დაღვინდდეს“. მაია-  
კოვსკის ლირიკული გმირი, რომელიც ქართველთა უკეთესს თვისებებს  
აერთიანებს, სიამაყის მაღალი გრძნობით ამბობს:

ღიას,  
    ქართველი ვარ  
        ახალი ნაციის,  
არც დავიწყებულის მხარისა,  
მე,  
    შემავალი ვარ  
        ერთი ფელერაციის  
საბჭოთა  
    დიდ  
        შთა და ბარისა.

მაიაკოვსკიმ მშობლიური მხარისადმი ამაღლებული, ნამდვილი მამუ-  
ლიშვილის გულწრფელი სიყვარული ერთობ თავისებურად გამოხატა,

სათქმელს უაღრესად ორიგინალური ფორმა მოუძებნა და შინაარსმაც გაუხუნებელი ელვარება მიიღო. ყოველ შემთხვევაში, საქართველოზე უფრო მოკლედ და აზრტყევად ჩაღვნი ჩნდება რამე მეტი თქვა:

მე ვიცი:  
 უმღერდნენ  
 ედემს და სამოთხეს,  
 მაგრამ თუ  
 ლექსავდნენ ოცნებით,  
 ალბათ  
 საქართველო  
 ედემად გამოჰყვეს,  
 მასზე თუ  
 გალობდნენ  
 მგოსნები.

ამ შესანიშნავ ლირიკულ ქმნილებაში მათავე მოკლე ბევრი სხვა საყურადღებო აზრიც გამოთქვა, მაგრამ ქართველ მკითხველისათვის ერთი მაინც ძალზე საინტერესოა: თბილისის ლაქვარდოვან ცაში მართლაც აფრინდა „ჰაერო“, რომელსაც უზის „ბეჭედი აქ დამზადებულის“. ლექსი „ვლადიკავკაზი — თბილისი“ იმთავითვე საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ქმნილებათა ფონდში შევიდა.

რამდენიმე თვით ადრე, ვინემ „ვლადიკავკაზი — თბილისი“ დაიწერებოდა, კერძოდ, 1927 წლის თებერვალში, მათავე მოკლე გამოაქვეყნა ასევე საკმაოდ დიდი მოცულობის ლექსი „ჩვენს ახალგაზრდობას“. ეს ლექსი გამსჭვალულია ხალხთა ერთიანობის სულისკვეთებით, პოეტი ინტერნაციონალისტია ამ სიტყვის ღრმა გაგებით, ის საბჭოთა ხალხებს მოუწოდებს ერთიანობისაკენ, რადგანაც ღრმად არის დარწმუნებული, რომ ნამდვილად თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება მხოლოდ ხალხებს შორის პარმონიული ურთიერთობის დამყარებით შეიძლება. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ მწვავედ იღვა ეროვნული საკითხი მეფის რუსეთში, რომლის გამოძახილი იგრძნობოდა 20-იან წლებში. ამიტომ ფრიად საინტერესოა ამ დიდი პოეტის შეხედულება ერთა შორის ურთიერთდამოკიდებულების მწვავე პრობლემაზე, რომელმაც თავისი ასახვა ჰპოვა აღნიშნულ ლექსში. ბუნებრივია, მათავე მოკლე, სხვა საბჭოთა ხალხებთან ერთად. შეეხო საქართველოსა და ქართველებს. პოეტი სიამაყის მაღალი გრძნობით წერდა:

დღეს თბილისისა  
 და ყაზანის აკადემია  
 ფრანგულ ენაზე მიმოწერას  
 კვლავ აწარმოებს.

(გვ. 58, თარგმ. გ. ხუხაშვილისა)

ეს მაშინ, როდესაც მიაკოვსკიმ კარგად იცის რუსული ენის მნიშვნელობა საბჭოთა ადამიანების, და არა მარტო მათი, ცხოვრებასა და მოღვაწეობაში:

არ დაეზოგავდი  
მე წუთ-თაც ძალას საკუთარს  
და ვისწავლდი რუსულს  
მხოლოდ იმ-სთვის თუნდაც,  
რომ თერ თ ლენ-ნი  
ამ ენაზე ლაპარაკობდა.

გადმოგვეცემს რა საბჭოთა სამშობლოში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებს, პოეტი ძუნწი, მაგრამ შთამაგონებელი შტრიხებით აღწერს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მკვიდრთა პორტრეტებს. სულ ორი, სამი-დეტალის მოშველიებით პოეტმა გამოკვეთა 20-იანი წლების მშობლიური ქვეყნის დედაქალაქის მაცხოვრებელთა რომანტიკული იერი, ხაზი გაუსვა მათ ელევანტობას:

თბილისელთ  
იცნობ ას მეტრ-დან, არ მოტყუებები,  
დასეირნობენ,  
თუმცა ქუჩას დაღაეს მზ-ს სხე-  
ახალი მოდ-ს შლაპებთა და  
ცხერგძელ ტუფლებ-თ,  
წეხედავ,  
იტყვი: პარზელებს გვანან ის-ნი.

მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული იდეოლოგიის მესვეურები თავგამოდებით იცავენენ რასობრივ-გენეტიკურ თეორიას და ადამიანის მეობის განსაზღვრისას მხოლოდ მემკვიდრეობით კავშირს აღიარებდნენ, მიაკოვსკი გენეტიკურ საწყისებთან ერთად გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალურ გარემოს. პოეტმა კარგად იცოდა, რომ საზოგადოების სახეს, უპირველეს ყოვლისა. სოციალური ბერკეტები ქმნიან. მით უმეტეს, საუკუნეების მანძილზე შეუწყვეტლივ ხდებოდა სხვადასხვა ერისა და რასის სისხლის აღრევა. ამ თეზისის დასტურად პოეტს საკუთარი მაგალითი მოჰყავს. ის სიამაყის დაუმალავი გრძნობით წერდა:

მე სამ ენაზე  
თავიდანვე  
თამაშს ეჩევეუ,  
ამით  
მე არც განვირჩევი  
კაცაებრიდან.  
ერთი ბაბუა მყავს კახაკი  
— ერთიც სეჩელი,  
ხოლო ქართველი დაბადებით ვარ.  
ჩემში ერთდება  
სამი წვეთის  
სხვადასხვაობა.

მაიაკოვსკის საქართველოში გატარებული თავისი ბავშვობა არასოდეს დავიწყებია. ჩვენ უკვე გავეცანით ავტობიოგრაფიაში თუ როგორ ბოტუ-რად აღწერა მან ბალდათსა და ქუთაისში გატარებული წლები. ეს თბილი მოგონებები პოეტმა გამოიყენა აგრეთვე ისეთ პოპულარულ პოემაში, როგორიცაა „მიყვარს“. პოემის თემა განყენებულია და თითქოს მასში არ უნდა ყოფილიყო ადგილი ბავშვობის განცდების აღსადგენად. მაგრამ პოემის ქარგაში ავტორმა ვირტუოზული ხელოვნებით ჩააქსოვა უდარდელი ყმაწვილობის უმანკო გრძნობები და შექმნა განუმეორებელი სილამა-ხის პოეტური პასაჟი:

მე კი ადგილზე არ მივეოლა  
ჯდომა და დგომა, —  
ერთად დავბოდით მე და რიონი  
.....  
არ მიმიძიებდა ფეხს ფეხსაცმელი,  
გაფუცხებული ხვატი მწვავდა  
ქუთაისური...

(თარგმ. ჯ. ინჯიასი)

ოქტომბრისა და სოციალისტური სინამდვილის მომღერლის შემოქმე-დებაში სხვაგანაც გვხვდება ცალკეული ფრაზები თუ ეპიზოდები საქარ-თველოში მისი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, მაგრამ როგორც ჩანს, პოეტი მაინც უკმაყოფილო იყო, რადგანაც საქართველოს თემას მის შემოქმედებაში ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. ალბათ ამან ათქმევინა მას: „ვალში ვარ შენს წინაშე, ბალდათის ცაო“. როგორც მაიაკოვსკის თანა-მედროვეები აღნიშნავენ, პოეტს განზრახული ჰქონია შეექმნა ფართო ეპიკური ტილო, სადაც ქართველებისადმი მის დამოკიდებულებას საპა-ტიო ადგილი დაეთმობოდა. მაიაკოვსკის ეს ჩანაფიქრი, ისე როგორც ბევ-რი სხვა, განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ, როგორც დავინახეთ გა-ანალიზირებული მასალიდან, პოეტის პოზიცია ქვეყნისა და ხალხისადმი, სადაც იშვა და გაატარა თავისი ცხოვრების ერთი მესამედზე მეტი, სავსე-ბით გამოკვეთილია, მას არსად უღალატნია მამულიშვილის პატრიოტული გრძნობებისათვის.

ბუნებრივია, აქ ვერ შევეხებით საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბე-ბის რთულ პროცესს და მასში ვ. მაიაკოვსკის ადგილს, გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ქართველი პოეტების სახელოვანმა პლეადამ მხარი აუბა ოქტომბრის პოეტს და მის კვალდაკვალ საკუთარი წვლილი შეიტანა ახა-ლი სოციალისტური კულტურის მშენებლობაში, ვ. მაიაკოვსკის რევოლუ-ციური ქარტეხილების ამსახველი პოეზიის გამოძახილი იგრძნობა გ. ტა-ბიძის, ა. მაშაშვილის, ვ. ვაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, გ. ქუჩიშვილის და სხვათა პოეტურ ქმნილებებში. ქართველმა პოეტებმა ვ. მაიაკოვსკის მსგავსად, გულწრფელად უმღერეს რევოლუციას, იყვნენ მისი ერთგული ჭარისკაცები. ვ. მაიაკოვსკის გმირული პოეზიის ტრადი-



ციებს კვლავაც მისდევნ ქართულ ლიტერატურაში და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც სოციალისტური სინამდვილის დამკვიდრების. ზობოქარა დღეებს უფრო დიდი მხატვარი არ ჰყოლია.

სამწუხაროდ, როგორც ჩვენთან, განსაკუთრებით კი საზღვარგარეთ არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებას ცალმხრივ შეფასებას აძლევენ, გაუმართლებლად აზვიადებენ „რუსული ფუტურისზმის“ დამსახურებას, თუმცა პოეტი შემოქმედების პირველსავე პერიოდში ვერ ეტევა ფუტურისტთა შემზღვეველ ჩარჩოებში და გაბედულად არღვევს ამ წვრილბუჩქუაზიული ლიტერატურული მიმდინარეობის სქოლასტიკურ დოგმებს. მან იმავეითვე სინამდვილის გარდამქმნელის აქტიური პოზიცია აირჩია („აი, თქვენ!“, ტრაგედია „გლადიმერ მაიაკოვსკი“, „მე თვითონ“ და ა. შ.).

სიჭრელითა და შეხედულებათა წინააღმდეგობებით ხასიათდება პოეტებისა თუ მკვლევართა მტკიცება ვ. მაიაკოვსკის ზეგავლენისა და ტრადიციების ათვისების საკითხზე. ამ მხრივ არც ქართულ ლიტერატურაშია ყველაფერი ბოლომდე გააზრებული. მაგალითად, იმოწმებენ გ. ტაბიძის ცნობილ წერილს მიკოლა ბაჟანისადმი (1940 წლის 5 მარტი) და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ გ. ტაბიძეს „ართუ მაიაკოვსკის, არამედ არავის ზეგავლენა არ განუცლია“. სინამდვილეში გ. ტაბიძის დასახელებული წერილი არ იძლევა ასეთი მტკიცების საფუძველს. იქ ლაპარაკია „მხატვრულ ხერხებზე და პოეტურ საშუალებებზე“, რომლებშიც ქართული საბჭოთა პოეზიის მამამთავარი მართლაც რომ არავის დასესხებია და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც ყოველი დიდი პოეტი იმეიტომ არის გენიალური, რომ მას აქვს საკუთარი მხატვრული სამყარო და მისი გამოსახვის ორიგინალური საშუალებები, რომლებიც სავსებით შეესაბამება მწერლის შინაგან განცდებს. ამდენადვე აქ ზეგავლენაზე, მით უმეტეს მიბაძვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. თუმცა, ისიც უდავოა, რომ არც გ. ტაბიძე აცდენია სახელოვან წინაპართა თუ თანამედროვეთა ტრადიციების შემოქმედებითს ათვისების უნივერსალურ გზას.

პრობლემას ვერც „ტიპოლოგიური მსგავსების“ მოშველიება გადაჭრის. საქმე ის არის, რომ ტიპოლოგიური დამთხვევა სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-პოლიტიკური პირობების სიახლოვის გარდა, განპირობებულია ადამიანების ერთიანი გენეტიკური საწყისებით, რომლებიც იდენტურ პირობებში ყველა ჩვენგანის შესატყვის ემოციურ რეაქციას იწვევს, მაგრამ განსხვავებულია მისი გამოხატვის თავისებურება. ეს კი ძირითადად განსაზღვრავს კიდევაც შემოქმედლის ინდივიდუალურ სახეს.

სავსებით ცხადია, რომ ვ. მაიაკოვსკის პოეზიის ზეგავლენის, ისე როგორც მისი ტრადიციების შემოქმედებითი ათვისების გასაღები, უპირველეს ყოვლისა, მოვლენების იდეურ-ესთეტიკური გააზრების მიმართულებაში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, კამათს არ უნდა იწვევდეს, რომ ოქ-

ტომბრის რევოლუციამ პირველად სწორედ ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში პირველად მარქსიზმ-ლენინიზმის მოთხოვნათა შესაბამისი ასახვა, რომელიც მთლიანად სინამდვილის სოციალისტურ პრინციპებზე გარდაქმნას ემორჩილება.

ვ. მაიაკოვსკის სახელთან დაკავშირებულია რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემების პარტიული გააზრება, რომელიც ბოლომდე თავისუფალი ადამიანის ინტერესს ემსახურება. ამიტომ ვ. მაიაკოვსკის „ოდა რევოლუციას“ ყოველგვარი ნგრევის განყენებული ხოტბა როდია, როგორც ეს სიმბოლისტებისა და ფუტურისტების შემოქმედებაში გვხვდება: იგი სრულიად კონკრეტულ გარდაქმნებს გულისხმობს სოციალისტური მშენებლობისათვის, რის შედეგად პოეტის, როგორც ლირიკული, ასევე ეპიკური პერსონაჟი ნათელი მომავლის იდეალებით გამსჭვალულია, რაც მათ ბევრად უმსუბუქებს აწმყოს! ჯოჯოხეთური პირობების დაძლევის. როგორც თანამედროვე. ასევე მომდევნო თაობების მწერლები მაიაკოვსკის ვერც ამ ტრადიციას აუვლიან გვერდს, ისე როგორც რევოლუციის ტრიბუნის კატეგორიულ მოთხოვნას. ახალი შინაარსისათვის შესატყვისი ფორმის დაძებნის შესახებ. ამის მაგალითი პირველ რიგში თვითონ უჩვენა, რომელიც კანონმდებლური აღმოჩნდა. მაიაკოვსკის შემდეგ შეუძლებელია ისტორიულ კატაკლიზმებზე დამშვიდებული ინტონაციითა და ერთსახოვანი, მოდუნებული რითმებით წერა. პოეტის სახელთან დაკავშირებულია ლირიკული გმირის ტრადიციული გეგმების გადასინჯვა. მან ლირიკულ პერსონაჟს ჩამოაშორა სანტიმენტალურობა და დაუმორჩილა ბობოქარ ცხოვრებას. ამით მათ არც საჭირო სიფაქიზე დაუკარგავთ და არც გრძნობათა უშუალობა. პირიქით, პოეტის ლირიკული გმირები უფრო ცხოვრებისეული გახდნენ. ამიტომაც ასე მოურიდებლად შეჰყავს ავტორს პოემის ქსოვილში პერსონაჟი, რომლის პროტოტიპი თითქმის ყოველთვის თვითონ არის.

ვ. მაიაკოვსკის მეხისებური ხმა, მისი მართალი სიტყვა არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ ცივილიზებულ სამყაროში კვლავაც იპოვის დამფასებელს. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ყოველი ახალი ეპოქა თავის სიტყვას იტყვის. რადგანაც ყველა ასაკისა და ეროვნების მკითხველი პოულობს პოეტის სტრიქონებში ღრმა აზრისა და სულიერი ვანწყობილების ანარეკლს. ეს კი ვ. მაიაკოვსკის ლიტერატურული მემკვიდრეობის უკვდავების სრული საწინდარია.

პოეტი თავისი კოლორიტული გმირული სახეებით დღესაც უკეთესი მერმისისათვის მებრძოლთა რიგებში დგას. ასეთად დარჩება ის მომავალშიაც.

მეოცე საუკუნისის პოეზიის გარიჟრაჟზე მოულოდნელად ამობრწყინდა და კომეტისებრ გაიელვა მხატვრული აზროვნების ისტორიაში იშვიათმა მოვლენამ, პოეტური ნიჭით უხვად მომადლებულმა სერგეი ესენინმა. სიტყვაკაზმულ მწერლობაში ეს შესანიშნავი ფურცელი ცხრაასიან წლების მიწურულს გადაიშალა, როდესაც რიაზანელმა მზეკაბუკმა, როგორც სერგეის მეგობრები უწოდებდნენ, თავისი პირველი სასიძლერო ლექსები შექმნა. სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წელი გაგრძელდა პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება. მაგრამ რამდენის თქმა მოასწრო, რამდენი ფაქიზი სულიერი სიმები ააყდრა და ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა მკითხველს. მის პოეზიაში ხომ ეპიზოდურ ჩანახატებსაც კი ოსტატად დაბადებულის ხელი ატყვია. პოეტი ერთნაირ მიმზიდველად გვიხატავს ადამიანის ამაღლებულ შინაგან სამყაროს თუ სოფლის მკვიდრთა ყრველდღიური ყოფის სურათებს.

დღიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისა, ესენინის ლირიკისაღმი ცხოველი ინტერესი არ წყდება. რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება მისი ხალასი პოეზიის თაყვანისმცემელთა რიცხვი. და ეს იმიტომ, რომ ესენინის მზიანი პოეზიის ნექტარი გულგრილად არავის ტოვებს. კითხულობთ პოეტის ლირიკულ თუ ეპიკურ სტრიქონებს და უნებლიეთ ექცევით მის გავლენის სფეროში, თანაც შეუშინველად იშლება ზღუდე შენსა და მგოსანს შორის და უკვე ძნელია გაემიჯნო ავტორისეულს. ესენინის პოეტურ სამყაროში ხომ ყველაფერი ნაცნობი და მახლობელია, მაგრამ, ამავე დროს, გეუფლება სიახლის, რაღაც ამოუხსნელის გრძნობა, რომელიც აგედევნება და მოსვენებას არ გაძლევს; იწყება ძიებისა და ქვეშარჩიტების მიკვლევის სასიამოვნო პროცესი. საკუთარი ნაფიქრალისა და ნაზრების განსხვისების, ისე როგორც მკითხველთან დაახლოების ესენინისებური უნარი, მართლაც რომ რჩეულთა ხვედრია.

რუსეთის ამ დიდმა პოეტმა უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებისა და შემოქმედების გზა განვლო. განსაკუთრებით დამბული იყო მისი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლო პერიოდი.

სერგეი ალექსანდრეს ძე ესენინი დაიბადა 1895 წლის 3 ოქტომბერს, რიაზანის მახლობელ სოფელ კონსტანტინოვოში, გლეხის ოჯახში. წერაკითხვა მომავალ პოეტს ბიძამ, დედის ძმამ, ასწავლა. მანვე, თვითონ ესენინის აღიარებით, დადებითი როლი ითამაშა მის აღზრდაში. ესენინის ბავშვობამ ძირითადად დედის მშობლების ოჯახში განვლო. უკვე საქვეყნოდ აღიარებული პოეტი ყოველთვის კეთილად იხსენებდა პაპასა და ბებიას, რომელთა მზრუნველობისა და ზედამხედველობის ქვეშ გაიარა ესენინის ცხოვრების თითქმის რვა წელმა. პაპა, რაც მაშინ გლეხებში იშვიათი მოვლენა იყო, წერაკითხვის მცოდნე ყოფილა. თვითონ მორწმუნე, მომავალ პოეტს უკითხავდა სასულიერო წიგნებს. მაგრამ ბებია ქმარზე

უფრო მორწმუნე ყოფილა და სერგეის ბავშვობიდანვე შეაყვარა სასული-  
ერო სიმღერები და ჰიმნები, ოჯახში შექმნილმა ასეთმა ატმოსფერომ  
გარკვეულზე კვალი დატოვა პოეტის შემოქმედებაში, განსაკუთრებით ად-  
რინდელ ლექსებსა და პოემებში.

ესენინმა დაწყებითი განათლებაც მშობლიურ სოფელში მიიღო, 1909  
წელს სერგეიმ წარჩინებით დაამთავრა კონსტანტინოვოს ოთხკლასიანი  
საერებო სკოლა და სხვა ორ მოწაფესთან ერთად, სკოლის გამგებთან  
წარდგინებითა და რეკომენდაციით გააგზავნეს სპასკეპიკოვსკის დახუ-  
რულ სასულიერო სამასწავლებლო სკოლაში (სკოლას სასულიერო პე-  
დაგოგიურ სემინარიასაც უწოდებდნენ). იმავე წლის შემოდგომაზე ენე-  
ნინმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და სასწავლებელში ჩა-  
ირიცხა; სადაც მომავალი პოეტი 1912 წლის მაისამდე სწავლობდა, რომ-  
ლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მუდმივ საცხოვრებლად, მამას-  
თან გაემგზავრა მოსკოვში.

მშობლებს, განსაკუთრებით მამას, უნდოდა ესენინი სოფლის მასწავ-  
ლებელი გამხდარიყო, ამ მიზნით მამის მოთხოვნით მას სწავლა სამასწავ-  
ლებლო ინსტიტუტში უნდა გაეგრძელებინა. მაგრამ სულ სხვა გეგმები  
ჰქონდა შემოქმედებითს სარბიელზე ფეხშედგმულ, რომანტიკულად გან-  
წყობილ ახალგაზრდას.

მოსკოვში პოეტის მამა ხორცეულობის მალაზიაში მუშაობდა ნოქ-  
რად. შვილიც ამ მალაზიის კანცელარიაში მოაწყო მოხელედ. მაგრამ სერ-  
გეი ვერ ეგუება იქ დამკვიდრებულ პიროვნების ღირსების შეურაცხმყო-  
ფელ სუბორდინაციას, განსაკუთრებით დამამცირებლად მიაჩნდა მალა-  
ზიის პატრონის მეუღლისადმი ყველასათვის სავალდებულო ფეხზე წა-  
მოდგომათ მისალმება. ერთი კვირის შემდეგ, მამის სურვილის საწინააღ-  
მდეგოდ, ესენინმა მიატოვა კანცელარია და წიგნის მალაზიაში გამყიდვე-  
ლად დაიწყო მუშაობა, სადაც 1913 წლის მარტამდე დაყო, ხოლო შემ-  
დეგ კი სამუშაოდ სიტინის ცნობილ ტიპოგრაფიაში გადავიდა კორექტო-  
რად (ამ ტიპოგრაფიის ბაზაზე შექმნილია ახლანდელი ა. ა. უდანოვის სახ.  
მოსკოვის პირველი სანიმუშო სტამბა). პოეტის აქ მუშაობის პერიოდი მის  
შემოქმედებითს თუ პირად ცხოვრებაში ფრიად საგულისხმო მოვლენე-  
ბით აღინიშნა. ჭაბუკი ესენინი არა მარტო ბევრს მუშაობდა თავისთავზე,  
არამედ აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ მოძრაობაშიც, უშუალო მონა-  
წილეობა მიიღო სტამბის მუშათა გაფიცვაში, ეწეოდა მოწინავე რევოლუ-  
ციური იდეების პროპაგანდას, სხვებთან ერთად ხელი მოაწერა ზამოსკო-  
რეჩიეს მუშების მოწოდებას, რომელიც აგენტებმა ყანდარმერიას გა-  
გადაუგზავნეს. დაიწყო ხელისმომწერთა ვინაობის დადგენა. ცხადია, და-  
ინტერესდნენ ესენინის პიროვნებითაც. მას დაუწყეს მეთვალყურეობა.  
ორჯერ კიდევაც გაჩხრიკეს მისი ბინა, მაგრამ მამხილებელი ვერაფერი  
ჩაიგდეს ხელში. თუმცა, ყანდარმებს ამის შემდეგაც ექვი არ ეპარებოდა  
ესენინის არაკეთილსაიმედობაში, ამიტომაც ახლა უკვე საიდუმლო მწი-

ვალყურეობა დაუნიშნეს, შეადგინეს სპეციალური სამეთვალყურეო ქსოვი, აგენტები მკაცრად აღრიცხავდნენ ყოველ მის ნაბიჯს, მიმოწერას; სპეციალურად მიმაგრებული ფილერები უთვალთვალდნენ ბინას, სამუშაო ადგილს. ჩვენამდე მოაღწია ჟანდარმთა საბუთებმა, რომლებიც ნათელს ჰფენენ ახალგაზრდა ესენინის რევოლუციური მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდებს. თვითონ ესენინიც მეგობრისადმი მიწერილ ბარათში აღნიშნავდა თავის იმდროინდელ საზოგადოებრივ საქმიანობას: „Недавно я устраивал агитацию среди рабочих письмами. Я распространял среди них ежемесячный журнал „Огни“ с демократическим направлением“<sup>1</sup>. ცოტა მოგვიანებით კვლავ ატყობინებდა მას თავის მონაწილეობას საზოგადოებრივ მოძრაობაში, აღნიშნულია აგრეთვე ხელისუფლების მიერ გაჩაღებული რეპრესია, რომლის მსხვერპლი გახდნენ მღ.შები: 1913 წლის დასასრულს გაგზავნილ ბარათში კი ვკითხულობთ: „Ты просишь рассказать тебе, что со мной произошло, изволь. Во-первых, я зарегистрирован в числе всех профессионалистов, во-вторых, у меня был обыск, но все пока кончилось благополучно“ (6.44).

იმავე წლის სექტემბერში ესენინი მოეწყო. ა. ლ. შანიაევსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის განყოფილებაზე თავისუფალ მსმენელად. დღისით სტამბაში მუშაობდა, საღამოს კი ლექციებს ისმენდა. ესენინმა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება მხოლოდ სამი სემესტრი შეძლო. დამწყები პოეტისათვის უფრო რთული სწავლისათვის შესატანი ფულის შოვნა შეიქნა. მამა, რომელიც შვილის პოეზიით გატაცებას უშემოსავლო, ფუჰ საქმედ მიიჩნეოდა, არც სერგეის უნივერსიტეში სწავლას უჭერდა მხარს და დახმარებაც შეუწყვიტა. ერთხანს, პოეტმა შეძლო სწავლის გაგრძელება, მაგრამ წელიწად-ნახევრის შემდეგ მაინც იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა უნივერსიტეტისათვის. მამასთან თავიდანვე დაწყებული უთანხმოება კონფლიქტში გადაიზარდა და ჰაბუკე ესენინი იძულებულია ცალკე დაიჭირავოს ბინა. ამან კიდევ უფრო გაართულა მისი ცხოვრების ისედაც მძიმე მატერიალური მდგომარეობა: მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ახალგაზრდა პოეტი მთელი მონდომებით განაგრძობდა შემოქმედებითს ცხოვრებას.

ესენინმა ძალზე ადრე, ცხრა წლის ასაკში დაიწყო ლექსების წერა. პირველად იგი სასულიერო სიმღერებს თხზავდა, ხოლო როდესაც სპასკო-ლეპიკოვსკის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, მეგობრებისა და სიტყვიერების მასწავლებლის რჩევით, სხვა სახისა და შინაარსის ლექსების წერაც დაიწყო. მართალია, ესენინმა თავისი პირველი ლექსები მოსკოვში ყოფნის დროს გამოაქვეყნა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მისი პო-

<sup>1</sup> С. А. Есенин. Собрание сочинений в 6-ти томах. М., «Худож. Лит.», 1975—1980, ტ. 6, გვ. 22. შემდეგში ამ გამოცემიდან მოყვანილ ციტატების ბოლოს მითითებული იქნება მხოლოდ ტომი და გვერდი.

ეზიას უფრო ადრინდელმა ნიმუშებმა. ბევრი მათგანი („უკვე საღამოა...“, „წამთარი მღერის...“, „ხეიბრები“ და სხვ.) თავისი პოეტური სრულყოფით ძნელია დამწყები პოეტის ნაწარმოებად წარმოვიდგინოთ, მაგრამ ეს ხომ კიდევ უფრო გამოკვეთილად მიგვანიშნებს თუ რა დიდი შემოქმედებითა პოტენციალი იმალებოდა მოსწავლე ესენინში. უკვე ამ ადრინდელი პოეტური ნიმუშებიდან აშკარაა, რომ მათი ავტორის სახით რუსულ პოეზიას ხალასი ნიჭის მგოსანი მოველინა.

1912 წელს ესენინმა საკუთარ ლექსთა პირველი კრებული შეადგინა და ცდილობდა მის გამოცემას, მაგრამ ეს მაშინ ძნელი საქმე აღმოჩნდა. პოეტის პირველი წიგნი მხოლოდ 1916 წლის იანვრის ბოლოს გამოვიდა. მანამდე კი ესენინის პოეტური ქმნილებები ხშირად იბეჭდებოდა პეტროგრადისა და მოსკოვის პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე. დამწყები პოეტი წარმატებით გამოდიოდა ლიტერატურულ საღამოებზე, ის სასურველი სტუმარი იყო კერძო პირთა შემოქმედებითს სალონებში.

1914 წლის თებერვალში ესენინი პირველად შეხვდა გორკის, რომელიც მოვიდა სიტინის სტამბის მუზეუმის დასათვალირებლად. სტამბის მუშებმა პროლეტარიატის დიდ მწერალს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. დამხვდურთა შორის იყო დამწყები პოეტი ესენინიც.

ს. ესენინის სიყმაწვილის პერიოდის საყურადღებო ცნობებმა ჩვენამდე მისივე ბარათებიდან მოაღწია. წერილების ადრესატი იყო სერგის თანაკლასელი სპასკლეპიკოვსკის სასულიერო-სამასწავლებლო სკოლაში გრიგორი ანდრეის ძე პანფილოვი, რომელიც ფილტვების ტუბერკულოზით სიჭაბუკეში გარდაიცვალა. ჩვენამდე მოაღწია ესენინის მეგობრისადმი გაგზავნილმა 19 წერილმა. როგორც პოეტის საპასუხო ბარათებიდან ირკვევა, პანფილოვი ერთობ ნიჭიერი და ფართოდ ნაკითხი ყმაწვილი ყოფილა. სამწუხაროდ, მის საპასუხო წერილების შინაარსზე მსჯელობა ჩვენ მხოლოდ პოეტის ბარათების მიხედვით შეგვიძლია, რადგანაც დღემდე გაურკვეველია პანფილოვის წერილების ბედი. რაც შეეხება ესენინის ამ მეტად მნიშვნელოვან ავტოგრაფებს, ისინი სარეცელზე მიჯაჭვულ მეგობარს სათუთად შეუნახავს, ხოლო შვილის გარდაცვალების შემდეგ მამას ბარათები ერთ კონვერტში მოუთავსებია და დაულუქავს. ასე მოაღწია ჩვენამდე ესენინის პოეტურ სარბიელზე გამოსვლის ამსახველმა ფასდაუდებელმა საბუთებმა, რომელთა მნიშვნელობა ბევრად სცილდება ორი ახალგაზრდის პირად ინტერესების სფეროს.

ესენინის ეს წერილები ეპოქის ამსახველ უამრავ საინტერესო ცნობებს შეიცავს, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის მდიდარი ინფორმაცია, რომელიც ნათელყოფს დამწყებ პოეტის მრავალმხრივ ინტერესებს. — კერძო ბარათებში ასახულია მოსწავლე სერგეის გატაცება პოეზიით, მისი რწმენა, რომ შეძლებს თავისი სიტყვა თქვას, საზოგადოებრივ მოვლენებისადმი კრიტიკული მიდგომა და მრავალი სხვა. ჯერ კიდევ 1912 წელს მეგობრისადმი კონსტანტინოვოდან გაგზავნილ წერილში

კეთსულობთ: «Дай мне, пожалуйста, адрес от какой-либо газеты и посоветуй, куда посылать стихи. Я уже их списал. Некоторые уныч-тожил, некоторые переправил» (6.9). ცოტა მოგვიანებით, უკვე მოსკოვიდან მიწერილ ბარათში წერია: «Благослови меня, мой друг, на благородный труд. Хочу писать «Пророка», в котором буду клеймить позором слепую, увязшую в пороках толпу... Пусть меня ждут унижения, презрения и ссылки. Я буду тверд, как будет мой пророк, выпивающий бокал, полный яда, за святую правду с сознанием благородного подвига» (6.14—15).

ამ წერილებში სხვაც ბევრია ახალგაზრდული გატაცებით გამსჭვალული სტრიქონები, რომლებშიც, გარდა განყენებული რომანტიკული შემართებისა, აშკარად იგრძნობა მოვლენების რეალისტური გააზრების ტენდენციებიც. კერძოდ, ავტორი აღიარებს უკეთესი მერმისისათვის აქტიურ ბრძოლის საჭიროებას, მისი ოპტიმიზმი ეყრდნობა მშრომელი მასების ამოუწურავ შესაძლებლობას, მოითხოვს სოციალურ სამართლიანობის აღდგენას და სხვა. ესენინს არც ცხოვრებით გამოწვეული მელანქოლია და სევდა აკლია, ამჟვე დროს ბარათებში მოყვანილ ციტატებიდან თუ პერეფრაზებიდან კარგად ჩანს ახალგაზრდა ესენინის ფართო ნაკითხობა. ის მშვენივრად ერკვევა რუსულ და მსოფლიო ლიტერატურის მიღწევებში, ავლენს წაკითხულისადმი კრიტიკულ მიდგომის უნარს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში შეუძლებელია გაიზიარო დამწყები პოეტის კლასიკოსთა ნაწარმოებების ინტერპრეტაცია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ჰაბუკი მგოსანი ცდილობს მხატვრულ აზროვნების კორიფებზე საკუთარი შეხედულება იქონიოს. გაივლის დრო და ესენინი დაძლევს ლიტერატურულ ფენომენებისადმი ზერელე, მიკერძოებულ შეხედულებებს; უფრო ღრმად და ობიექტურად შეაფასებს პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვისა და სხვათა უკვდავ შემკვიდრეობას. ასევე ძნელია დავეთანხმოთ ჰაბუკ ესენინს, როდესაც ის ცალმხრივად მსჯელობს ქეშმარიტების რაობაზე. აქ უთუოდ იგრძნობა სუბიექტური იდეალზმის გამოძახილი. წინააღმდეგობრივია მისი შეხედულება რელიგიურ დოგმებზე, მაგრამ უკვე ის, რომ ესენინმა ქრისტე და მისი მოძღვრება გაანთავისუფლა მისტიკისაგან, რათა იგი დაუმორჩილოს ადამიანის მიწიერ მოთხოვნებს, ბევრს მეტყველებს ახალგაზრდა მოაზროვნის სასარგებლოდ.

უკვე აღნიშნულთან ერთად, პანფილოვისადმი გაგზავნილ ესენინის წერილებში ყურადღებას აიპყრობს ავტორის გაბედული მსჯელობა გაბატონებულ მმართველ ფენებზე, მათ მორალურ და ზნეობრივ გადაგვარებაზე. პოეტი უყოყმანოდ გმობს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ორბირობასა და გაუტანლობას, იდეალების დაკნინებასა და ფულის კერპად გამოცხადებას, სულიერ და ფიზიკურ დეგრადაციას. «Да, и люди-то здесь, — წერდა იგი მეგობარს, — совсем не такие. Да, друг, идеализм здесь отжил свой век, и с кем ни говори, услышишь одно и

то же: «Деньги — главное дело», а если будешь возражать, то тебе говорят: «Молод, зелен, поживешь — изменишься». И уже заранее причисляют к героям мещанского счастья, считая это лучшим блаженством жизни. Все погрузились в себя...» (6.43).

ესენინის ჩვენამდე მოღწეულ ამ პირველ ავტოგრაფებზე შედარებით ვრცლად იმიტომაც შევჩერდით, რომ უფრო ადრინდელი და სანდო საბუთები პოეტზე არ მოგვეპოვება. გარდა ამისა, როგორც დავინახეთ, წერილების წყალობით შესაძლებელი შეიქნა დავედგინა ჰაბუკი პოეტის ინტერესთა წრე, რომელმაც ძირითადად განსაზღვრა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესი. უფრო მეტიც, მოგვცა საშუალება დავეკვირვებოდით დამწყებ პოეტის შეხედულებათა ევოლუციას, ისე როგორც ამ ევოლუციის მწვავე ხასიათს.

1915 წლის 9 მარტს ესენინი პირველად ჩავიდა პეტროგრადში და ამით დიდი ხნის წადილი აღისრულა. პეტროგრადმა პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში საპატიო ადგილი დაიკავა. სატახტო ქალაქში ჩასვლისთანავე პირველი, რაც მან გააკეთა — ეს იყო პირდაპირ ვაგზიდან ა. ბლოკის ბინაზე წასვლა, მაგრამ პოეტი შინ არ დაუხვდა. ესენინი არ დაიბნა და სახლის პატრონს შემდეგი შინაარსის ბარათი დაუტოვა: «Александр Александрович! Я хотел бы поговорить с Вами. Дело для меня очень важное. Вы меня не знаете, а может быть, где и встречали по журналам мою фамилию. Хотел бы зайти часа в 4.

С почтением С. Есенин». (6.57).

ყურადღებას იპყრობს დამწყები პოეტის თვითრწმენა და ბარათის დამაჯერებელი ტონი. აშკარაა, რომ წერილის ავტორი, მაშინ უკვე მსოფლიოდ აღიარებულ პოეტთან ხელცარიელი არ მივიდოდა. ბარათიდან ისიც იგრძნობა, რომ რიანანელი ჰაბუკი ამ შეხვედრიდან ბევრ რამეს მოელოდა და მათი საუბარიც არაორდინალური უნდა ყოფილიყო. ა. ბლოკისა და ს. ესენინის შეხვედრა მართლაც შედგა იმავე დღის მეორე ნახევარში. გაივლის წლები და ესენინი უაღრესად თბილად მოიგონებს თავის პირველ შეხვედრას ახალგაზრდების კერპადქცეულ მგოსანთან. თურმე არცთუ ისე იოლი ყოფილა «ცოცხალ პოეტთან» შეხვედრა და საუბარი, როგორც ეს ბარათიდან ჩანს: «Когда я,—წერდა მოგვიანებით ესენინი,—смотрел на Блока, с меня капал пот, потому что в первый раз видел живого поэта». (5,220). თავის მხრივ, ა. ბლოკმა დავეიტოვა უაღრესად საინტერესო ჩანაწერი, მის დღიურებში ვკითხულობთ: «Крестьянин Рязанской губернии. 19 лет. Стихи свежие, чистые, голосистые, многословные. Язык. Приходил ко мне 9 марта 1915»<sup>1</sup>. მწერალ მ. მურაშოვისადმი მიწერილ სარეკომენდაციო ბარათში ბლოკი უფრო ვრცლად ახასიათებს დამწყებ პოეტს: «Направляю к Вам та-

<sup>1</sup> «Огонек», 1945, № 43, с. 25.



ლაიტლივო კრესტყანსკოგო პოეტა-სამოროდკა. ვამ, კაკ კრესტყანსკოგო პისატელი, ონ ბუდეტ ბლიჟე, ი ვი ლუჩშე, ჩემ კტო-ლიბო, პოიმეტე ეგო. ვაშ ა. ბლოკ. ი ოტობრაღ 6 სტიხოვრენიი ი ნაპრაღიღ ს იიმ კ ს. მ. გოროდეცკოგო. პოსმოტრიტე ი სდეაღიტე ვსე, ჟტო ვოზმოჟიი. ა. ბ.ა<sup>1</sup>.

როგორც თვითონ ესენინი წერს, ს. მ. გოროდეცკის ის კარგად მიუღია და სარეკომენდაციო წერილები გაუტანებია ეურნალების რედაქტორებთან თხოვნით, ყოველმხრივ დახმარებოდნენ თვითნაბად ნიჟიერ პოეტს. ამიერიდან ახალგაზრდა ესენინი გოროდეცკის ხშირი სტუმარი იყო, მის ბინაზე გაიცნო და დაუახლოვდა პეტროგრადის ბევრ გამოჩენილ ლიტერატორს. განსაკუთრებით სიახლოვე იგრძნო და დაუმეგობრდა იმ დროს საკმაოდ პოპულარულ „გლებთა“ პოეტს ნ. ა. კლიუევს. მწერალთა ამ წრის დახმარებით გამოვიდა ს. ესენინის ლექსების პირველი კრებულიც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბლოკის ზემოთ მოყვანილ ბარათებში ესენინის პოეტურმა ნიჟმა პირველად მიიღო მიუკერძოებელი შეფასება. ისიც ისეთი დიდი მგონისაგან, როგორიც ა. ბლოკი იყო. ამას არ შეიძლებოდა პოზიტიური გამოთხილი არ ჰქონოდა ჰაბუკ პოეტის სულიერ სამყაროში, რომელიც მაშინ ასე ეძებდა აღიარებასა და მხარდაჭერას. ამდენადვე, ადვილი გასაგებია, რომ ესენინი ყოველთვის მოკრძალებითა და პატივისცემით იხსენიებდა XX საუკუნის ამ დიდ ლირიკოსს, თუმცა, თავის წინამორბედად თვლიდა კოლცოვსა და ნეკრასოვს, მოგვიანებით მასწავლებელთა შორის დაასახელა პუშკინი და ლერმონტოვი (5,226—227).

ესენინი პეტროგრადში ცხოვრობდა 1916 წელსაც. მცირე ხნით ჩაივინდა მოსკოვში. არმიის რიგებში გაწვევასთან დაკავშირებით მშობლიურ სოფელშიაც იყო. მაშინ გაწვევის განვადებას მიაღწია, მაგრამ ცოტა მოგვიანებით ის მაინც არმიის რიგებში აღმოჩნდა. ჯერ სარეზერვო ბატალიონში ჩარიცხეს, რომელსაც ფრონტის წინახაზზე გასაგზავნად ამზადებდნენ, ხოლო შემდეგ კი, მისი პოეტური ნიჟის პატივისმცემლის, პოლკოვნიკ ლომანის წყალობით სანიტარულ მატარებელში გადაიყვანეს, რომელიც იდგა ცარსკოე სელოში. მატარებელს მფარველობდა დედოფალი. აღსანიშნავია, რომ პოლკოვნიკ ლომანის წარდგინებითა და რეკომენდაციით ესენინი 1916 წლის ივლისში საკუთარი ლექსების კითხვით გამოვიდა მეფის ოჯახის წევრებსა და კარის სხვა ფავორიტთა წინაშე. როგორც პოეტი აღნიშნავს ავტობიოგრაფიაში, დედოფალს მოსწონებია მოსმენილი, მაგრამ შეუნიშნავს, რომ ლექსები „მეტად ნაღვლიანიაო“, რაზედაც პოეტს უპასუხნია: რას ვიზამთ, ასეთია მთელი რუსეთის ცხოვრებაო. (5,223).

ამიერიდან ესენინი მთელი გატაცებით ჩაერთვება ლიტერატურული

<sup>1</sup> М. Мурашов. А. Блок и С. Есенин. В сб. Есенин, Л., 1926, с. 48.

ცხოვრების ორომტრიალში, იგი გავლენიანი კულტურული წრებისა და სალონების საპატიო სტუმარი გახდა, პოეტის ახალი ლექსებისა და პოემების მოსმენის სურვილი გამოთქევს საქვეყნოდ აღიარებულმა კრიტიკოსებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა. ესენინის პოპულარობის უჩვეულო ზრდაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ პოეტი 1916 წლის 15 აპრილს მონაწილეობდა საჯარო ლიტერატურულ საღამოში, სადაც საკუთარი ლექსების კითხვით გამოვიდა იმდროინდელი პეტროგრადის ყველა თვალსაჩინო პოეტი, მათ შორის ა. ბლოკი, რომელმაც, როგორც გვახსოვს, სულ ერთი წლის წინათ მისცა მას სარეკომენდაციო ბარათი.

თვითონ ესენინის აღიარებით, პეტროგრადის მაშინდელ მწერლებიდან მასზე, კერძოდ, მის თეორიულ შეხედულებაზე, ყველაზე დიდი გავლენა, ეს მიმოწერიდანაც ჩანს, რ. ივანოვ-რაზუმინიკმა იქონია, რომელიც ბოლომდე დარჩა რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეალების ერთგული.

ესენინმა პეტროგრადშივე გაიცნო და დაუახლოვდა ლ. ლეონოვს, რომლის ავტორიტეტს ის ყოველთვის ანგარიშს უწევდა.

ესენინის ცხოვრებასა და შემოქმედებაში პეტროგრადის ხანა არა მხოლოდ წარმატებებით არის აღნიშნული. მიუხედავად მისი ნიჭის აღიარებისა, დამწყებ პოეტს უჭირს მატერიალურად. გაუძნელდა რთულ ისტორიულ პირობებში სწორი ორიენტაციის აღება, აერია ოჯახური პირობებიც. ის მცირეოდენი ჰონორარი, რომელსაც პოეტი იღებდა, ვერ აკმაყოფილებდა პირველად საჭიროებასაც კი. ყოველივეს დაემატა არასასიამოვნო საუბარი სასახლის მესვეურებთან, რადგანაც უარი თქვა ლექსი ეძღვნა ნიკოლოზ მეორისათვის. მეფის მოხელეებთან ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ ჯერ ესენინი გაუბახტში ჩასვეს, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ ფრონტის წინახაზზე გააგზავნეს, მაგრამ საქმეში კვლავ ლომანი ჩაერია და იხსნა მგოსანი მოსალოდნელი დალუპვისაგან. მიუხედავად აღნიშნული სიძნელებისა, ესენინს არ შეუწყენებია შემოქმედებითი ცხოვრება. საკმარისია ითქვას, რომ 1916 წლის ბოლოს პეტროგრადში გამოვიდა მისი ლექსების მეორე კრებული. ერთ წელიწადში ახალგაზრდა პოეტის ორი კრებულის გამოსვლა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია. ხშირად იბეჭდებოდა მისი ლექსები, როგორც პეტროგრადის. ისე მოსკოვისა და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებში. ასეთ შემოქმედებითს აღმავლობის პირობებში შეხვდა ესენინი 1917 წლის ბობოქარ დღეებს. ცარსკოე სელოში მყოფმა პოეტმა გაიგო მეფის ტახტის დამხობა. მოხდა თუ არა თებერვლის რევოლუცია, ესენინმა თვითნებურად დატოვა არმიის რიგები, ერთხანს მოსკოვში ცხოვრობდა, მოგვიანებით მშობლიურ კონსტანტინოვოს ეწვია. ხოლო შემდეგ კი, თავი რომ დაედწია კერენსკის არმიის რიგებში გაწვევისაგან, ქვეყნის ჩრდილოეთში გაემგზავრა. იყო არხანგელსკში, სოლოვკებში, ახალ მიწაზე, ზაფხულის ბოლოს პეტროგრადში დაბრუნდა. მოგვიანებით, პოეტი თავისთავს სიამაყით „პირველ დეზერტირს“ უწოდებდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ესენინი დაუახლოვდა სოციალ-რევოლუციონერებს. ერთხანს მიემხრო კიდევაც მემარცხენე ესერებს, მაგრამ მათ პარტიის რიგებში არ შესულა. პოეტის ესერებთან თანამშრომლობა ძირითადად ლიტერატურულ ხასიათს ატარებდა, ის იბეჭდებოდა მათ გაზეთში „დელო ნაროდში“, გამოაქვეყნა ლექსები აღმანახში „სკიფი“. ეს თანამშრომლობაც განპირობებული იყო იმით, რომ დასახელებულ პერიოდულ გამოცემებს ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ივანოვ-რაზუმინიკი.

პეტროგრადშივე შეხვდა ესენინი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას. ამ თვის ბოლოს ესენინი მოსკოვში ჩამოვიდა, ლიტერატურულ საღამოზე გამოვიდა ლექსების კითხვით. შემდეგ მშობლები მოინახულა და დეკემბრის შუა რიცხვებში პეტროგრადში დაბრუნდა. დაბრუნდა თუ არა სოციალისტური რევოლუციის ციტადელში, ესენინმა აქტიურად დაუჭირა მხარი ოქტომბრის მონაპოვარს. პოეტი აღმოჩნდა იმ მცირერიცხოვან მწერალთა შორის, რომლებიც თავიდანვე საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგნენ. როდესაც საფრთხე შეექმნა რევოლუციურ პეტროგრადს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით ქალაქის დასაცავად სახალხო ლაშქრები შეიქმნა, ერთ-ერთი მათთაგანის რიგებში იარაღით ხელში იბრძოდა პოეტიც. ამავე დროს, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ბოროტარ დღეებში ესენინს არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა. თავის საჯარო გამოსვლებსა და დისპუტებში გაბედულად იცავდა საბჭოთა რესპუბლიკის პოზიციებს, ქმნიდა და ლიტერატურულ საღამოებზე კითხულობდა მომავლის იმედით აღსავსე ლექსებს, უმღეროდა ქვეყნის განახლებას.

1918 წლის მარტი-აპრილი ესენინმა ძირითადად პეტროგრადში გაატარა, ხოლო როდესაც საბჭოთა მოავრობა მოსკოვში გადავიდა, პოეტიც ქვეყნის დედაქალაქში დაბინავდა. მართალია, ესენინს პეტროგრადის ლიტერატურულ წრეებთან არასოდეს გაუწყვეტია კავშირი, მაგრამ ამიერიდან მოსკოვი იქნება მისი მუზის შთაგონების წყარო, რომელსაც პოეტმა არაერთი ლირიკული ლექსი უძღვნა. ბოლომდე არ გაუწყვეტია ესენინს კავშირი არც მშობლიურ კონსტანტინოვოსთან და ეს არ იყო მისი ხასიათის ახირება. ესენინი სოფლისადმი მუდამ იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას, სწავლობდა რევოლუციის შემდეგ მომხდარ ცვლილებებს. აინტერესებდა მიმდინარე გარდაქმნების სოციალური არსი. ყოველივე აღნიშნულმა რელიეფური ასახვა პპოვა მის პოეზიაში.

მოსკოვში ესენინის შემოქმედებითმა ცხოვრებამ ახალი იმპულსი მიიღო. მართალია, პოეტი ბევრს მოგზაურობდა ქვეყნის სამხრეთში თუ შუა აზიაში, მაგრამ მაინც ახერხებდა ინტენსიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას, იყო მთელი რიგი საზოგადოებრივ-კულტურული წამოწყებების აქტიური მონაწილე. 1918 წლის 17 დეკემბერს განცხადებით მიმართა

მოსკოვის მწერლების პროფკავშირს და გახდა მისი წევრი. ამ დროისათვის მას უკვე გამოცემული ჰქონდა ლექსების ოთხი წიგნი, 1919 წელს გადაამუშავა და ახალი ლექსებით შეავსო ადრე გამოცემული კრებული „ფერისცვალება“, მონაწილეობდა ლუნაჩარსკის სახ. აგიტმატარებლის მუშაობაში და სხვა.

პოეტის ბიოგრაფიის საინტერესო ფურცელს შეადგენს მისი განცხადება სალიტერატურო-სამხატვრო კომუნისტურ კლუბისადმი, რომელშიც განსაზღვრულია ესენინის პოლიტიკური კრედი. «Признавая себя. — წერდა პოეტი 1919 წლის თებერვალში, — по убеждениям идейным коммунистом, примыкающим к революционному движению. представленному РКП. и активно проявляя это в своих поэмах и стихах, прошу зачислить меня в действительные члены...» (6.89).

ესენინმა იმავე პერიოდში საიჯარო ანგარიშზე მოსკოვში გახსნა წიგნის მაღაზია, ერთხანს სათავეში ედგა საგამომცემლო კოოპერატივისაც. სხვებთან ერთად ჩამოაყალიბა ლიტერატურული დაჯგუფება „იმპენიზმი“. ამ ლიტერატურული მიმდინარეობის პროგრამის დასაცავად ესენინი ხშირად გამოდიოდა საჯარო დისპუტებზე, იმაენისტთა თეორიულ პრინციპებს პოეტი იცავდა პრესის ფურცლებზეც. ოციან წლებში და კოტა მოგვიანებითაც მთელს ქვეყანაში გავრცელებული იყო „ლიტერატურული პროცესები“, „ასამართლებდნენ“ როგორც კლასიკოსთა გმირებს, ასევე თანამედროვე მწერლების პერსონაჟებს. „პროცესებში“ უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის წამყვანი ლიტერატურული და კულტურული ძალები, თვით ნარკომი ლუნაჩარსკიც კი. ეს დისპუტები, ყოველთვის ცხარე კამათის პირობებში მიმდინარეობდა, ხედებოდა არა მარტო გმირებს, მწვავედ გადაწვდებოდა ხოლმე მათ შემქმნელ მწერლებსაც. ესენინი ამ „პროცესების“ ხშირი მონაწილე იყო. როგორც იტყვიან, პაექრობის დროს ის თავს საკუთარ სტიქიაში გრძნობდა, მოურიდებლად ავითარებდა ტრადიციულის საწინააღმდეგო შეხედულებებს. პოეტს ქვეყნის კულტურულ და სამრეწველო ცენტრებში ხშირად იწვევდნენ ლიტერატურული კლუბების სხდომებზე და საღამოებზე, იგი სასურველი სტუმარი იყო პეტროგრადში, ტულაში, სარატოვში, ხარკოვში. როსტოვში და სხვა ქალაქებში. როგორც ვხედავთ, ესენინი ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მაქსიმალური დატვირთვით, იყო ეპოქის შვილი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სწორედ ამიტომ უჩვეულოდ გაიზარდა მისი პოპულარობა და ავტორიტეტი. მკითხველს მოსწონდა პოეტის ლექსებში ჩაქსოვილი გამჭვირვალე ლირიზმი და პატრიოტული გრძნობათა უშუალოება, ახლის დაუყოვნებელი შეგრძნება და უკეთესი მერმისის დაუცხრომელი ძიება. ამავე დროს. რევოლუციისა და სამოქალაქო ომის უკიდურესად დამუხტულ ცხოვრების პირობებში თანამედროვე ესენინის ლექსებში ყოველთვის

იპონიდა ამოსუნთქვის საშუალებას, ცოტა ხნით მაინც მოწყდებოდა და-  
ძაბულ გარემოს და სულიერად დაისვენებდა.

როგორც ჩანს, ყოველივე ამან განაპირობა ესენინის მიწვევა ცენტ-  
რალურ გაზეთებში. ჭერ „ისვესტიამი“ დაიბეჭდა მისი ლექსები, შემდეგ  
„პრადამ“ დაუთმო ადგილი ცნობებს პოეტის შესახებ. საბჭოთა ხელი-  
სუფლების ესენინისადმი ნდობისა და პატივისცემის უტყუარი საბუთია  
საპატიო დავალება, რომელიც მან სხვასთან ერთად შეასრულა. ოქტომბ-  
რის რევოლუციის საღიღებლად შექმნეს კანტატის ტექსტი, რომელიც მი-  
ეძღვნა ბარიალებზე დაღუპულთა გმირობას. კანტატა შესრულებულ იქნა  
წითელ მოედანზე. როდესაც გაიხსნა საპატიო დაფა რევოლუციურ ბრძო-  
ლებში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. ეს მოხდა ოქტომბრის რე-  
ვოლუციის წლისთავზე, საბჭოთა მთავრობის რევოლუციური ტრადიცი-  
ების დასაცავად გამოცემულ პირველ დეკრეტის საფუძველზე. ესენინის  
პოეზიის აღიარების სხვა მაგალითიც ბევრია.

ამასთან ერთად. უნდა ვთქვათ. რომ, შემოქმედებითი აღმავლობის  
პირობებშიც. ძნელად წარიპართა პოეტის იდეური კრედოს ჩამოყალი-  
ბების პროცესი. გაუჭირდა მას მიმდინარე ურანდიოზული რევოლუციური  
გარდაქმნების თეორიული წანამძღვრების ამოხსნა, ისე როგორც თვით  
რევოლუციის სოციალისტური არსის ბოლომდე გაგება. მით უმეტეს,  
რომ რუსეთის ვეებერთელა იმპერიაში გარეშე და შიდა კონტრრევოლუ-  
ციურ ძალების წყალობით რევოლუციური გარდაქმნები მეტად მწვავედ  
მიმდინარეობდა. იყო წუთები, როდესაც ოქტომბრის მონაპოვრის ბედი  
ბეწვზე ეკიდა, კლასობრივმა ბრძოლამ უქვაცრესი ხასიათი მიიღო. საკუ-  
თარ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და რევოლუციურ სინამდ-  
ვილის აღქმის სირთულე თვითონ პოეტს არაერთხელს აღუნიშნავს.  
«Первый период революции, — წერდა ის 1924 წელს, — встретил со-  
чувственно, но больше стихийно, чем сознательно». (5.227). დაღუპ-  
ვის წინ ორი თვით ადრე დაწერილ ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ:  
«В годы революции был всецело на стороне Октября, но принимал  
все по-своему, с крестьянским уклоном» (5.231).

ესენინის არც პოეტური მრწამსის ჩამოყალიბებისა და საკუთარი  
პოეტური გზის ძიების პროცესი ყოფილა იოლი. თავდაპირველ რელი-  
გიურ მოტივებით გატაცებას მოჰყვა ფორმალისმი. ერთხანს ეკვის თვა-  
ლით უყურებდა კლასიკურ ლექსის მეტრსა და რითმს. უპერსპექტივოდ  
მიაჩნდა ისინი რევოლუციურ ეპოქის პოეზიისათვის. იყო პერიოდი,  
როდესაც უპირატესობას მსუბუქ სატრფიალო ლირიკას ანიჭებდა, ლექ-  
სის სტრუქტურაში უმართებულოდ შეჰყავდა, ისიც მოჭარბებულად, დი-  
ალექტიზმი და საეკლესიო ტერმინოლოგია. «С детства,—წერდა ესენი-  
ნი, — болел я «мукой слова». Хотелось высказать свое и по-своему.  
Но было, конечно, много влияний, и были ошибочные пути. Вот,  
например... возьмем «Радунницу»... В первом издании у меня мно-

გო მდსტნყ, რყზანსკის სღვ. სღსუათღმის ღაბო დედოღმღვალის, ა მისე Ⴢო სნაღაღა რწრწისღს»<sup>1</sup>. მსგავსე აღიარებღს სხვავანაც შვეზღდებოღ, განსაკუთრებოღ შეინიშნებოღღ პოეტის შემოქმედების აღრინდელ პერიოდში რელიღიოღთ ვატაცება, რომლის ამსახველ ლექსიღასღ და სინტაქსურ ფორმებს მის პოეზიღში არცთუ იშვიათად შვეზღდებოღ.

ცხოვრების ვარკვეულ მონაკვეთში ესენინი ვატაცებულღ იყო ბოჰემური ცხოვრებოღთ და აღვიღი წარმოსადგენიღ რაოდენ ძნელი უნდა ყოფიღიყო პოეტის პირვეღი ნაბიჯები სბჰოთღ სინამდვიღის ვაზრების ვზღზე. მავრამ ესენინმა ვაბედულად დამღიღ აღნიშნული წინაღმდეგობები და სბჰოთღ ლიტერატურღ ვაამდღდრა ძვირფასი ქმნიღებებოღთ, ამღს კი ესენინმა შინავანი ძღღების მობიღიზაციოღთ და შუეუპოვარი ძიებოღთ მიღღწიღ.

1920—1921 წღღებში ესენინი ბევრ დროს ანდომებდა რუსული ლექსის რეფორმის საკოთხებს, მონდომებოღთ ეძებდა ვანახღღების ვზებსღ და ფორმებს, ცდიღობდა რეფორმისათვის თეორიული საფუძვეღი მოენახღ. საეღღღსხმოღ, რომ რუსული ლექსის რევიღლუციურ პრინციპებზე ვარღღაქმნებს პოეტი უკავშირებდა ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციებს, ხოლო ამოსავღს „ამბავი იგორის ლაშქრობისღში“ პოღღობდა. ესენინი სამართღიანად თვღიდა, რომ ყოვეღი რეფორმა მთელი სისრულით მღშინ უპასუხებს აწმყოსღ და მომავღის მოთხოვნებს, როდესაც ეყრდნობღ ხღღხის ეროვნულ წარსულს. ამიტომაც მოითხოვდა მშობღიური ისტორიის საფუძვღიან შესწავღას. თუ როგორ დამბებულად მიმდინარებოღღ პოეტური კრეღღს ვამომუშავების პროცესი, რაოდენ დიდ მოთხოვნებს უყენებდა ესენინი საკუთარ შემოქმედებოღთს ძიებღს, კარვად ზღღს მის წერიღღიდან ივანოვ-რღზუმნიკისღამღ, რომელიც დათარიღებულღღ 1921 წღღის მღისოღ. «Я очень много думал, Разумник Васильевич, за эти годы, — წერიღღ პოეტი ტაშკენტიდან, — очень много работал над собою, и то, что я говорю, у меня достаточно выстрадано». ცოტღ ქვემოთ, უფრო კატეღორიულად წერიღღ: «Я очень много болел за эти годы, очень много изучал язык и к ужасу своему увидел, что ... все мы, в том числе и я, не умели писать стихов» (6,105—106).

ძიებღ ვავრძეღდა შემდევშიაც, 1924 წღღს დეკემბრის ბოღღს ბათუმიდან ვავზღვნღღ წერიღღში ვკოთხუღობოღ: «Я понял, что такое поэзия.

Не говорите мне необдуманных слов, что я перестал отделывать стихи. Вовсе нет. Наоборот, я сейчас к форме стал еще более требователен. Только я пришел к простоте... Путь мой, конечно, сейчас очень извилист. Но это прорыв» (6,167).

ესენინს მადიებღობღ ახასიათებღღ არღ მარტო პოეზიღში, ის დაუღღეღვარი და ახღღი შვეგრძნების მოტრფიღღე იყო პირად ცხოვრებღშიც. მისი

<sup>1</sup> И. Розанов. Есенин о себе и других. М., 1926, с. 20.

მოუსვენარი ბუნება თხოულობდა მძაფრ განცდებს, და, ვინ იცის, იქნებ ამანაც განაპირობა პოეტის ხშირი მოგზაურობა. ახლა უკვე ესენინს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის გაცნობა ვერ აკმაყოფილებდა, გული საზღვარგარეთ მიუწევდა, მიზნის მისაღწევად მონღოლებით ეძებდა სახსრებს 1921 წლის მარტისათვის თითქმის ყველაფერი მოგვარებული იყო. მაგრამ მოულოდნელად ვითარდება შეიცვალა და ნაცვლად უცხოეთისა პოეტი ქვეყნის სამხრეთში აღმოჩნდა. რაც შეეხება საზღვარგარეთს, ესენინი მომავალი წლის მაისში გაემგზავრება. ამას კი წინ უსწრებდა პოეტის ცხოვრებაში ერთობ მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელმაც მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რომლის ცალკეულ გამოძახილს დღესაც ვხვდებით ლიტერატურაში.

1921 წლის ივლისში მოსკოვში ჩამოვიდა პოპულარული ამერიკელი მოცეკვავე აისედორა დუნკანი. ესენინმა ის გაიცნო იმავე წლის შემოდგომაზე, დაუახლოვდა და სულ მალე თავდავიწყებით შეიყვარა მსოფლიოში აღიარებული ხელოვანი. პოეტს ხელი არ შეუშალა იმანაც, რომ აისედორა თითქმის ათი წლით უფროსი იყო მასზე და მინც დაქორწინდა. ერთხანს მოსკოვში ცხოვრობდნენ, შემდეგ საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. ევროპაში დუნკანი გასტროლებს მართავდა. საკუთარი ლექსების კითხვით გამოდიოდა ესენინიც. ცოლ-ქმარმა შემოიარა გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია... ხოლო სექტემბრის ბოლოს კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ.

ევროპაში ყოფნის დროს ესენინმა მოლაპარაკება გამართა საკუთარი ლექსების ფრანგულ ენაზე თარგმნისა და ცალკე წიგნად გამოცემის თაობაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გორკი დიდად აფასებდა ესენინის პოეტურ ნიჭს, თვლიდა მას „სავსებით ჩამოყალიბებულ რუს პოეტად“. საინტერესო და ბევრის მთქმელია საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლისა და ამ ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ურთიერთობა.

ა. ტოლსტოის ბინაზე, როდესაც გორკი შეხვდა ესენინსა და დუნკანს, მან პოეტისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა, ბევრს ეკითხებოდა შემოქმედებითს გეგმებზე. ჰქონდათ საუბარი პოეზიის ნოვატორობაზე. მახლობელთა წრეში გორკის უკმაყოფილება გამოუთქვამს ახალგაზრდა პოეტისა და აისიდორა დუნკანის ურთიერთობის გამო. მეოცე საუკუნის დიდმა მწერალმა მტკივნეულად განიცადა ესენინის უარო დაღუპვა. მიიღო თუ არა ცნობა პოეტის ცხოვრების ტრაგიკული დასასრულის შესახებ, გორკი შეუდგა მასალების შეგროვებას ესენინზე. აპირებდა ფართო მასშტაბის მხატვრულ ტილოს შექმნას, მაგრამ ვერ მოასწრო. სამაგიეროდ დავიტოვა შესანიშნავი ნარკვევი „სერგეი ესენინი“, სადაც რიაზანელი ჰაბუჯის სახე ცოცხლად წარმოგვიდგება.

გორკის ესენინზე და მის პოეზიაზე ეკითხებოდნენ ყველგან, საზღვარგარეთ თუ სამშობლოში ჩამოსვლის დროს. ესენინის შესახებ მწერ-

ლის შეხედულებას და სათანადო ინფორმაციას ითხოვდა რომენ როლან-ნი. საინტერესოა გორკის პასუხი 1928 წლის 27 ივლისს თბილისის მუშაკორების კითხვაზე: „მეკითხებიან, — ამბობდა გორკი, — ესენინის შესახებ... შესანიშნავი პოეტია, მშვენიერ ლექსებს წერდა... ლირიკოსმა, მეოცნებემ, რბილი ხასიათის ახალგაზრდა კაცმა ვერ გაუძლო ქალაქის დაძაბულ ცხოვრებას. სადაც მუშაობენ ძალზე ენერგიული ადამიანები, რომლებმაც დასახეს ფრიად დიდი ამოცანები... ესენინმა ვერ მონახა მათ შორის ადგილი“.

თავის მხრივ, ესენინი დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობოდა მ. გორკის სახელსა და მის უკვდავ მემკვიდრეობას. ეს თავისი ამალეებული დამოკიდებულება საბჭოთა ლიტერატურის მამამთავრისადმი პოეტმა გულწრფელად გამოხატა 1925 წლის 3 ივლისს გორკისადმი გაგზავნილ წერილში:

Дорогой Алексей Максимович!

Помню Вас с последнего раза в Берлине. Думал о Вас часто и много.

В словах, и особенно письменных, можно сказать лишь очень малое. Письма не искусство и не творчество.

Я все читал, что Вы присылали Воронскому.

Скажу Вам только одно, что Вы Советская Россия всегда думает о Вас, где Вы и как Ваше здоровье. Оно нам очень дорого.

Посылаю Вам все стихи, которые написал за последнее время...

Желаю Вам много здоровья, сообщаю, что все мы следим и чутко прислушиваемся к каждому Вашему слову.

Любящий Вас

Сергей Есенин. (6, 190).

ევროპასა და ამერიკაში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ესენინი 1923 წლის 3 აგვისტოს მოსკოვში დაბრუნდა.

საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ პოეტს მდიდარი შთაბეჭდილებები ჩამოჰყვა. ევროპისა და ამერიკის განვითარების მაღალმა დონემ ვერ დაჩრდილა სამშობლოსადმი პოეტის სიყვარული. ესენინი ვიწრო მეგობრულ წრეში თუ საჯარო გამოსვლების დროს სიამოვნებით ყვებოდა მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებზე, არ მალავდა თავის პატრიოტულ გრძნობებს. ის გულახდილად მოუთხრობდა მსმენელებს თუ როგორ ენატრებოდა სამშობლო, რომლისადმი სიყვარულმა კულმინაციას სწორედ საზღვარგარეთ ყოფნისას მიაღწია. ასეთი თავისი განწყობილება ესენინმა საკმაოდ რელიეფურად ასახა მშვენიერ ნარკვევში „რკინის მირკოროდი“. მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებები ასახვას პოეტიკურ ლექსებსა და პოემებში, მოთხრობებში თუ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. მკრამ მათ შორის „რკინის მირკოროდს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია, აქ გამოვლინდა პოეტის არა მარტო დიდი პატრი-



ოტული გრძნობა, ამავე დროს, აშკარად ჩანს მისი კლასობრივი პოზიციაც.

პოეტი საზღვარგარეთ განცდილს სხვა დროსაც დაუბრუნდება. კერძოდ, 1924 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში უფრო გამოკვეთილად ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ სინამდვილისადმი. ამავე დროს, პოეტი საოცარი მიმზიდველი ძალით გვისურათებს რუსეთის სოფლების პეიზაჟს. სულ რამდენიმე წინადადება აქვს დათმობილი მშობლიურ მხარის დასურათებას, მაგრამ ყოველივე ისე ხელშეისახებად არის ნაქერწი, რომ დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. «После заграничной страны я смотрел на страну свою и события по-другому».

თავის მოგზაურობის შთაბეჭდილებებს პოეტი უზიარებდა თბილისელ მეგობრებსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ მოგზაურობის შედეგად ბევრი რამ შეიცვალა პოეტის შეხედულებაში და ის ამის შესახებ გულანდილად ლაპარაკობდა ყველგან და ყველასთან. ნ. ვერეხიციკი მოგვიჩვენა ესენინის ფრიალ საყურადღებო აღიარება: „მე კი ბევრის თქმა მინდოდა მათთვის (პოეტს მხედველობაში ჰყავს მ. გორკი და ა. ტოლსტოი. — გ. გ.). მაშინ უკვე სხვაგვარად ვხედავდი ყველაფერს. ამერიკის შემდეგ კი საბოლოოდ გადაწყვიტე, რომ დროა საქმეს შევუდგეთ. რათა ჩამოვიტოვოთ ამერიკელები!.. ოღონდ ჩვენ ყველაფერი ჩვენებურად და უკეთესად უნდა გექონდეს... როცა ნიუ-იორკის ნავსადგურში შევედი, ერთბაშად სახეში მეცა — როგორც სამღებრო დუქნიდან იცის ხოლმე. — ნავთის, საგოზავის, ჟანგიანი ლურსმნის სუნი... შემდეგ კი დავინახე სულიერი არარაობა. — ყველაფერი ცოცხალი და თავისუფალი თიოქოს გაუუთოვებიათო. და მთელი ეს განთქმული კომფორტი სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრების „სევერიაინშიჩინა!“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ესენინის რიგ დაკვირვებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა, პოეტი ბევრ შემთხვევაში შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა.

საზღვარგარეთიდან ჩამოსული ესენინი იწყებს ენერგიულ შემოქმედებითს ცხოვრებას. პოეტმა ითხოვა და მიიღო ნებართვა გამოეცა ჟურნალი „როსიანე“. გამოუყვეს საპირო თანხაც. ჟურნალში ძირითადად უნდა ასახულიყო სოფლის ცხოვრება და მისი თანამშრომლებიც, ევრეთწოდებული, სოფლის მწერლები უნდა ყოფილიყვნენ. პოეტმა შეადგინა კიდევაც ჟურნალის პირველი ნომრის მაკეტი. ჰქონდა მოლაპარაკება რედკოლეგიის საგარაუდო წევრებთან, მაგრამ ჩანაფიქრი ბოლომდე არ იქნა განხორციელებული. ჟურნალის გამოცემის ზრუნვასთან ერთად, ესენინი საკმაოდ აქტიურად ჩაება პროპაგანდისტულ საქმიანობაში. მოს-

<sup>1</sup> ნიკოლოზ ვერეხიციკი. შეხედრები ესენინთან. თბ., „ნაკადული“, 1979, გვ. 87—88.

კოვის სხვადასხვა დაწესებულებებში ხშირად გამოდიოდა ლექცია-მონსტრეზებით, კითხულობდა საკუთარ ლექსებსა და პოემებს, მიიღო მონაწილეობა, გორკის ინიციატივით მსოფლიოში პირველად შექმნილ ლიტერატურის ინსტიტუტის საზეიმო გახსნაში. ამ ზეიშვე ესენინის გარდა საკუთარი ლექსები წაიკითხეს ბრიუსოვმა, მაიაკოვსკიმ, შენგელმა და სხვებმა. ეს საზეიმო ცერემონიალი ჩატარდა 1923 წლის პირველ ოქტომბერს. ეს პერიოდი ესენინის შემოქმედებით ცხოვრებაში აღინიშნა ბრწყინვალე ლირიკული ლექსებით: „ხულიგნის სიყვარული“, „შენ ისეთივე უბრალო ხარ...“, „ძვირფასო, მომიჯექ ვევრდით...“ და სხვ.

პოეტმა მოსკოვში შემთხვევით გაიცნო პ. ჩაგინი, რომელიც მაშინ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანად მუშაობდა, ერთდროულად რესპუბლიკის ცენტრალური გაზეთი „ბაკინსკიე რაბოჩის“ რედაქტორი იყო. ესენინი და ჩაგინი დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მათი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა. ჩაგინმა ესენინი ბაქოში მიიპატიჟა, თანაც დაჰპირდა, რომ დაეხმარებოდა პოეტს დიდი ხნის ოცნების ხორცშესხმაში სპარსეთში მოგზაურობის თაობაზე. შეთანხმების თანახმად ესენინი ბაქოში უახლოეს დღეებში უნდა ჩასულიყო. მაგრამ პოეტის კავკასიაში გამგზავრება გადაიდო, მის ცხოვრებაში ბევრი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. უკიდურესად დაიძაბა ესენინის პირადი ცხოვრება. საბოლოოდ გაცილდა ა. დუნკანს. დაუახლოვდა გ. ბენისლავსკიას, მაგრამ ვერც აქ ჰპოვა სულიერი სიმშვიდე. კვლავინდებურად მოუგვარებელი ჰქონდა ბინის საკითხი, ვერ მოახერხა ლექსთა კრებულის „მოსკოვი კაბაკურის“ გამოცემა, რასაც მტკივნეულად განიცდიდა, უმტყუნა ჯანმრთელობამ, უხდებოდა მკურნალობა. ამას დაემატა ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილში პოეტის ავადმყოფური პოპულარობა; ბოლო არ უჩანდა ბოჰემურ გატაცებებს და დარდიმანდოლ ღრეობებს. გამწვავდა ესენინის ურთიერთობა ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებთანაც, რომელიც არცთუ იშვიათად სკანდალით მთავრდებოდა. პოეტის „თაყვანისმცემელთა“ და მოწინააღმდეგეებს შორის ერთ-ერთ ასეთ შეხლა-შემოხლის დროს ის საკმაოდ მიძიმედ დაიჭრა. ესენინი იძულებული გახდა ჯერ შერემეტევოს, ხოლო შემდეგ კი კრემლის საავადმყოფოში ემკურნალა.

მიუხედავად ცხოვრებისეულ ამ სირთულეებისა, ესენინს არ შეუწყვეტია შემოქმედებითი საქმიანობა. ჯერ კიდევ საავადმყოფოში ყოფნისას ის ზრუნავდა კრებულების „მოსკოვი კაბაკურისა“ და „არამზადათა ქვეყნის“ გამოსაშვებად. მაგრამ სკანდალის შემდეგ მათი მოსკოვში დაბეჭდვა თითქმის შეუძლებელი იყო, ამიტომ პოეტმა მეგობრების რჩევით ორიენტაცია ლენინგრადზე აიღო. მით უმეტეს, რომ საავადმყოფოდან ესენინის გამოსვლის შემდეგ მისი მოსკოვში დარჩენა სახიფათო იყო, ვინაიდან არავინ იცოდა ბოჰემის მოტრფიალენი თუ რომელ ახალ სკანდალში გახვედნენ პოეტს. მართლაც, საავადმყოფოდან გამოსული ესე-

ნინი მოსკოვში ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, ემალებოდა ზომიერების გრძნობას მოკლებულ თაყვანისმცემლებს.

1924 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ესენინი ლენინგრადში გაემგზავრა. 14 აპრილს შედგა მისი პირველი საჯარო გამოსვლა; წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პირველ ლიტერატურულ საღამოს მოჰყვა სხვა გამოსვლებიც, რის შედეგად პოეტმა არამცთუ შეაგროვა წიგნის გამოსაცემად საჭირო თანხა („მოსკოვი კაბაკურის“ პირველი გამოცემა მოხდა კოოპერაციული ანგარიშსწორების საფუძველზე). არამედ სახარჯო ფულიც დარჩა. ესენინის ლენინგრადში გამოსვლების წარმატებებზე ბევრი სხვა ცნობაც მოგვეპოვება, მაგრამ თვითონ პოეტის დასტურით ერთობ საინტერესოა. ლენინგრადიდან გ. ბენისლავსკაიასადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: «Вечер прошел изумительно. Меня чуть не разорвали» (6,143).

ლენინგრადში გამართულ ლიტერატურულ საღამოების წარმატებებმა პოეტს ფრთები შეასხა. მას კვლავ დაუბრუნდა შემოქმედებითი ყინი. სწორედ ამ დროს შექმნა მან ფართოდ გახმაურებული ლექსები: „წერილი დედას“, „პუშკინს“, „საბჭოთა რუსეთი“, „მშობლიურ სოფელში დაბრუნება“ და სხვ.

ლენინგრადიდან ესენინი 9 მაისს მოსკოვში დაბრუნდა. თვის დასასრულს მშობლიურ სოფელს ეწვია, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა, კვლავ მოსკოვში ჩამოვიდა, იყო ტვერში, ხოლო ივნისის მეორე ნახევარში ლენინგრადში ჩავიდა. აქ კი გამოსაცემად მზად იყო „მოსკოვი კაბაკური“, რომლის სასიგნალო ეგზემპლარი მომავალი თვის დასაწყისში ავტორს ხელთ ჰქონდა. ამ კრებულის გამოცემით ესენინმა თითქოსდა ხარკი მიუზღო ბოქემურ ყოფას და ამით წყურვილიც მოიკლა. ამიერიდან პოეტმა აღნიშნული თემისადმი ინტერესიც დაკარგა. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ სწორედ ლენინგრადში დაებადა ესენინს აზრი რევოლუციურ თემაზე ეპიკური ტილო შეექმნა. აქვე შეუდგა ის ჩანაფიქრის განხორციელებას. პოემაზე ავტორმა რამდენიმე თვე იმუშავა. ახლა ეს პოემა ცნობილია სათაურით „სიმღერა დიდ ლაშქრობაზე“.

ივლისის ბოლოს ესენინი მოსკოვში ჩავიდა, აქედან ცოტა ხნით მშობლებს ეწვია. უკანდაბრუნებული კავკასიაში გასამგზავრებლად ემზადებოდა, აგვისტოს ბოლოს დატოვა მოსკოვი და 1924 წლის 5 სექტემბერს ბაქოში ჩავიდა. ესენინს თავიდან გადაწყვეტილი ჰქონდა სამირიანოში ხანგრძლივად ემოგზაურა. ა. ბერზინასადმი გაგზავნილ ბარათში წერდა: „მივემგზავრები ორი წლითო“. პოეტი ამჯერადაც სპარსეთში მოგზაურობას აპირებდა, აქედან კი მთელი ახლო აღმოსავლეთი უნდა შემოევლო. ეს იყო ესენინის ირანში მოგზაურობის მეოთხე ცდა. პოეტის ჩანაფიქრს ამ შემთხვევაშიც არ ეწერა ხორცშესხმა. ესენინის სურვილს წინ გადაეღობა მოულოდნელი წინააღმდეგობები, სავიზო დაბრკოლებების დაძლევა შეუძლებელი შეიქნა.

ესენინი ბაქოში დიდხანს არ დარჩენილა, ის თბილისში ჩამოვიდა. ეს იყო არა უგვიანეს 7 სექტემბრისა. აქედან რამდენიმე დღით კვლავ ბაქოში დაბრუნდა. თბილისში ჩამოსული ესენინი ერთხანს ნ. ვერებიცისთან ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ ბათუმში გაემგზავრა. საერთო ჯამში ესენინმა 1924—1925 წლებში თითქმის 6 თვე დაჰყო საქართველოში. ეს პერიოდი კი მის შემოქმედებითს ცხოვრებაში ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა. ამდენადვე, საფუძველს როდია მოკლებული, როდესაც ესენინის საქართველოში ყოფნის პერიოდს პუშკინს „ბოლდინოს შემოდგომას“ უდარებენ. თუ რამდენად ნაყოფიერი იყო პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება თბილისსა და ბათუმში, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი ესენინის საქართველოსთან დაკავშირებულ ბიოგრაფიულ მონაცემებს შევხებით. ამის საჭიროება იმითაც არის განპირობებული, რომ პოეტის ცხოვრების ამ მონაკვეთზე, მასზე შექმნილ ლიტერატურაში, დღემდე გვხვდება არამცთუ წინააღმდეგობრივი, არამედ ერთმანეთის გამომრიცხველი მტკიცებებიც.

ესენინის საქართველოსთან დაკავშირებულ ეპიზოდების ამსახველი მრავალი წერილობითი წყარო მოგვეპოვება, როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენაზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც არც ერთ სერიოზულ მკვლევარს გვერდი არ აუვლია პოეტის საქართველოში ცხოვრებისა და აქ შექმნილ პოეტურ ნიმუშების ანალიზისათვის. სამწუხაროდ, სწორედ აღნიშნულ საკითხების განუქებისას გვხვდება ცალმხრივი, მცდარი თუ დაუსაბუთებელი მსჯელობები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე დადგენილი არ არის თუ რამდენჯერ იყო ესენინი საქართველოში.

ვ. ბელოუსოვი თავის აღიარებულ „ლიტერატურულ ქრონიკაში“ პოეტის საქართველოში ყოფნის მხოლოდ ორ შემთხვევას აღნიშნავს. ამავე დროს, კატეგორიულად უარყოფს ესენინის 1925 წელს საქართველოდან გამგზავრების შემდეგ მის ხელმეორედ ჩამოსვლას თბილისში. ნიკოლოზ ვერებიცკი თავის დასახელებულ წიგნში აღწერს მხოლოდ პოეტის საქართველოში 1924—1925 წლებში ყოფნას. იგივეს იმეორებს ვ. ლაფერაშვილი თავის ბროშურაში „სერგეი ესენინი და საქართველო“. უფრო მეტი წინააღმდეგობრივია მემუარული ლიტერატურა. რაც შეეხება თვითონ პოეტის ეპისტოლურ თუ სხვა სახის მემკვიდრეობას, აქ მითითებულია ესენინის კავკასიაში ყოფნის რამდენიმე შემთხვევა.

ამთავითვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ესენინს საქართველოსა და ქართული კულტურისადმი ინტერესი ადრევე გაჩენია. ჭერ კიდევ სასულიერო სკოლის მოსწავლეს, წაუკითხავს თუ არა გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვათა კავკასიური შთაბეჭდილებათა ამსახველი თხზულებები, მოხიბლულა მათი რომანტიკული პათოსით და განუჩინა ჩაახვს ენახა რუს კლასიკოსთა პოეტური შთაგონების ქვეყანა.

უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ 1917 წელს, მაშინ სრულიად ახალგაზრდა პოეტს, შეუძენია ბალმონტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომლის პოეტისეულმა ეგზემპლარმა წარწერით „სერგეი ესენინი. 1917. მაისი“. ჩვენამდე მოაღწია. ეს იშვიათი წიგნი 1966 წლის 16 ოქტომბრამდე პოეტის მშობლიურ სოფელ კონსტანტინოვოში გახსნილ სახლ-მუზეუმში ინახებოდა. ხოლო ამ დღეს კი ესენინის უცნობა დამ, ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა, ჩვენი ხალხისადმი დიდი პატივსცემის ნიშნად, ეს ძვირფასი სამუზეუმო რელიკვია ქართველ მწერალთა დელეგაციას გადასცა, რომელსაც გრიგოლ აბაშიძე მეთაურობდა<sup>1</sup>. ქართულ ლიტერატურასა და კულტურისადმი ესენინის ინტერესის ამსახველ სხვა არაერთ მაგალითს გავეცნობით. უთუოდ ამ ინტერესით იყო გამოწვეული პოეტის საქართველოში არაერთგზის მოგზაურობა. ის ხომ სამყაროს შემეცნებისა და ცოცხალი შთაბეჭდილებათა მიღებისათვის მოგზაურობას ერთობ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე სად არ ყოფილა პოეტი; სამხრეთში კი მას რუსთაველისა და ნიზამის, ფირდოუსისა და ფიზულის ქვეყანა იზიდავდა.

ს. ესენინის ბიოგრაფები დიდხანს უარყოფდნენ 1920 წელს პოეტის საქართველოში ჩამოსვლას. ზოგი მათთაგანი ფაქტების აშკარა დამატყუარებასაც კი არ მორიდებია. არადა იმთავითვე ყველაფერი ნათელი უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ ესენინის თბილისში ჩამოსვლას ადასტურებდა წლების მანძილზე მისი უახლოესი მეგობარი პოეტი ა. მარიენგოფი, რომელიც მაშინ მასთან ერთად მოგზაურობდა. 1920 წლის აგვისტო-სექტემბერში ესენინის თბილისში ყოფნას აღწერს, აგრეთვე, მაშინ აქ მცხოვრები, შემდეგში ცნობილი მეცნიერი ფილოლოგი, პროფესორი გერბსტმანი, რომელიც თავის გამოქვეყნებულ მოგონებებში ესენინსა და მის თანამგზავრთა 1920 წლის შემოდგომაზე თბილისში ყოფნის ისეთ დეტალებს გადმოგვცემს, მნელია არ დაუჯერო მას. მით უმეტეს, რომ ცალკეული ფაქტი დამოუკიდებელი წყაროებით დასტურდება. მემუარისტები დაწვრილებით აღწერს თავისა და ახალშერთულ მეუღლის ესენინთან პირველ შეხვედრას თბილისში იურისტ ზაქარია როხლინის ბინაზე. საღამოზე, რომელიც სტუმრების პატივსაცემად იყო გამართული. ესენინს წაუყითხავს თავისი ლექსები, რომლებიც მსმენელებს ძალზე მოსწონებიათ. მემუარისტი მოგვითხრობს იმ უსიამოვნებაზე რომელიც ესენინის მაშინდელ მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლას მოჰყოლია. მხოლოდ შემთხვევას უხსნია ის დაპატიმრებისაგან. პოეტის სხვა თანამედროვე მ. ტაუბერი წერს, რომ ესენინს მაშინ განზრახული ჰქონია ბათუმში გამგზავრება, აქედან კი გემით კონსტანტინოპოლში უნდა ჩასულიყო. ესენინი თურქეთში არ წასულა. როგორც ვხედავთ, ყოველივე აღნიშნულის შემდეგ გაურკვეველი და საეჭვო არაფერი რჩებოდა. მაგრამ პოეტზე შექმნილ

<sup>1</sup> С. Котечкин. Раздумья об Есенине. Тб., «Мерани», 1977, с. 11.

მრავალრიცხოვან ლიტერატურულ წყაროებში, ან საერთოდ გვერდს უვლიან ესენინის ბიოგრაფიის ამ საინტერესო ფაქტს, ან კიდევ იმეორებენ მცდარ მტკიცებას.

ესენინის 1920 წლის ბობოქარ კავკასიაში ხანგრძლივი მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები საკმაოდ მრავალფეროვანი და მყარი გამოდგა. 1922 წელს უკვე ევროპაში მყოფ პოეტს ახსენდება ეს მოგზაურობა და მას „უმშვენიერეს“ უწოდებს.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა 1924 წლის სექტემბერში თბილისში დაწერილი და „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებული ლექსი „კავკასიაში“. ადრე, რაც ესენინისათვის გაუგებარი იყო, ამჟერად სწორედ ის გახდა ხოტბისა და დიდების საგანი. პოეტი მომაჯადოებელ უშუალოდ მიმართავს კავკასიას, როგორც მის დიდებულ წინაპართა შთაგონებისა და ხსნის წყაროს:

И здравле русский наш Парнас  
Тянуло к незнакомым странам.  
И больше всех лишь ты, Кавказ,  
Звенел загадочным туманом.  
Здесь Пушкин в чувственном огне  
Слагал душой своей опальной:  
«Не пойд, красавица, при мне  
Ты песен Грузии печальной».  
И Лермонтов, тоску лечя,  
Нам рассказал про Азамата

И Гринбедов здесь зарыл,  
Как наша дань персидской хмарин,  
В подножии большой горы  
Он спит под плач зурны и тарн.

(2,94)

პოეტი ასახელებს მიზეზსაც, თუ რამ აიძულა მისი გენიალური წინაპორბედები გაქცეოდნენ მშობლიურ მხარეს და კავკასიაში ეძიათ დაუოკებელი სულის ნავსაყუდელი: «Они бежали от врагов и от друзей сюда бежали». რაც მთავარია, ესენინი აღიარებს, რომ ლტოლვილებმა კავკასიაში ჰპოვეს სულიერი სიმხნევე და შემოქმედებითი აღმავლობა, რომ ისინი განიკურნენ არა ბუნების ეგზოტიკური სიმშვენიერის პასიური მზერით, არამედ მათი მხსნელი ყოფილა: «Их исцелял гортанный шум твоих долин и речек диких». თურმე ნუ იტყვით და საქართველოში ჩამოსული პოეტიც „მეგობრებს“ გამოქცევია; აქ ის, როგორც მისი დიდებული წინაპრები, შემოქმედებით დამუხტვას ეძებდა, რის შესახებ გულახდილად წერს:

И я от тех же зол и бед  
Бежал, навек простясь с богемой,  
Зане созрел во мне поэт  
С большой эпической темой.

Прости, Кавказ, что я о них  
Тебе промолвил пенароком,  
Ты научи мой русский стих  
Кизилowym струиться соком.

(2.96—97)

საქართველოს დედაქალაქში პოეტის ჩამოსვლისა და ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები დეტალურად აქვს აღწერილი ნ. ვერკებიცის უკვე დასახელებულ წიგნში. იმ მრავალრიცხოვან ლიტერატურულ წყაროებს შორის, რომელიც პოეტის 1924—1925 წლებში საქართველოში ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხება ვერკებიცის „შეხვედრები ესენინთან“ ყველაზე საინტერესო და სანდოა. ორიოდ სიტყვა თვით ამ წიგნზე და მის ავტორზე.

„შეხვედრები ესენინთან“ ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი ძიების შედეგია. იგი ჯერ ცალკეული წერილების სახით ქვეყნდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, შემდეგ, 1961 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე, ხოლო 1979 წელს მკითხველმა მისი ქართული თარგმანიც მიიღო. მთარგმნელია ლ. ჩხეიძე. წიგნი ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა მარტო მდიდარი ფაქტობრივი მასალით, ყველაფრიდან იგრძნობა ავტორის ესენინისადმი დიდი სიყვარული, რაც მას ხელს არ უშლის ბოლომდე შეინარჩუნოს წონასწორობა და მკითხველს საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებელზე, ძირითადად. საბუთებით დამოწმებული უნიკალური ცნობები მიაწოდოს. ფრიად საინტერესოა მისი დაკვირვებები და დასკვნები, ისე როგორც ავტორისეული პასაჟები, რომლებშიც ცოცხლად წარმოგვიდგება არა მხოლოდ პოეტის მიმზიდველი სახე, ამავე დროს, ჩვენ თვალწინ იშლება ოციანი წლების თბილისელთა ყოფა. თბილისში ხომ უხსოვარ დროიდან ერთმანეთს შეერწყა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურა, რამაც გარკვეულად განაპირობა კიდევაც ქალაქის ცხოვრების რიტმი, მის მკვიდრთა მჩქეფარე და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება. წიგნის ყველა მონაკვეთში იგრძნობა საქართველოს გმირული წარსულისა და მდიდარი კულტურის კარგი ცოდნა. ისე როგორც ავტორის ქართველებისადმი კეთილი, მაღალი მოქალაქეობრივი დამოკიდებულება. ამას მაშინ ესენინისათვის ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც საქართველოს წარსულსა თუ აწმყოში ვერკებიცე იყო მისი ერთ-ერთი მეგობარი.

საქართველოს დედაქალაქში ჩამოსული ესენინი რამდენიმე დღის შემდეგ ცოტა ხნით კვლავ ბაქოში გაემგზავრა. უკანდაბრუნებული თბილისში 20 სექტემბრამდე დარჩა. ხოლო ამ დღეს გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქციას ეწვია. მაგრამ ჩაგინი იქ არ დახვდა და ბარათი დაუტოვა, რომელიც დათარიღებულია. ამიტომ ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 20 სექტემბერს ესენინი ბაქოშია და აქ დარჩება მომავალი თვის პირველ რიცხვებამდე. პოეტის ხშირი მოგზაურობა ბაქოსა და თბილისს შორის

პრაქტიკულად არ იყო ძნელი, რადგანაც მაშინ ბაქოდან სამგზავრო მატარებელი თბილისში ოთხჯერ ჩამოდიოდა. ხოლო, ის, რომ ესენინი ამ ორი კვირის განმავლობაში უთუოდ იყო თბილისში, და არა ერთხელ, გარდა მოგონებებისა, დასტურდება მისი „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში მისვლით, რომელმაც ჯერ განცხადებები (12 და 13 სექტემბერს), ხოლო 14 სექტემბერს პირველად გამოაქვეყნა პოეტის ნაწარმოები პოემა „სიმღერა დიდ ლაშქრობაზე“.

საქართველოში ესენინის პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ პოეტს არსად მოსვენებას არ აძლევდნენ. იგი წერდა: «Живу в отелях. Каждый день обходится в 20—25 рублей. Гости, гости, гости, хоть бы кто меня спас от них. Главное, мешают работать» (6.157). ეს „მხსნელიც“ აღმოჩნდა. მისი მოსკოველი მეგობარი, იქამად გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ განყოფილების გამგე ნ. ვერებიციკი წერს: „ესენინი გადმოსახლდა ქალაქის განაპირა უბანში, სადაც მე მქონდა დაქირავებული ბინა — კოჭრის ქუჩაზე, № 5 სახლში. პოეტი დასახლდა აქ ყოველგვარ ცდუნებას, ხმაურიან სტუმრობასა და ქალაქის ორომტრიალს მოშორებული“ (დასახ. წიგნი, გვ. 25).

ხელისშემშლელი ესენინს ბათუმშიც არ მოკლებია, მაგრამ უჩვეულოდ იზრდებოდა შემოქმედებითი აღმავლობა, სულ უფრო გაბედულად კიდებდა ხელს მასშტაბურ ტილოების შექმნას და წარმატებებიც სახეზე იყო. სწორედ ამ წარმატებებზეა საუბარი პ. ჩაგინისადმი გაგზავნილ წერილშიც: «Теперь сижу в Батуме. Работаю и скоро пришлю Вам поэму, по-моему, лучше всего, что я написал. Сейчас же посылаю «Цветы» (6.163). ამ ბარათის გაგზავნიდან სამი დღის შემდეგ ბენისლაესკაიას წერდა: „Работается и пишется мне дьявольски хорошо» (6.166). ბათუმში პოეტის შემოქმედებითს მოღვაწეობას ხელს უწყობდა მისი მეგობარი ლ. პოვიციკი, რომელიც მართლაც რომ საგანგებო ზრუნვას იჩენდა მისდამი. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ პოეტისათვის მუშაობის პირობები რომ შეექმნა, იძულებული იყო მეგობარი შინ ჩაეკეტა. ერთ-ერთ ბარათში სწორედ ამაზე წერდა ესენინი თავის აღრესატს: «Лева (პოვიციკი გ. გ.) запирает меня на ключ и до 3 часов никого не пускает. Страшно мешают работать» (6.167). მეგობრების ასეთმა ზრუნვამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. ამიტომაც 1925 წლის 21 თებერვალს თბილისიდან გაგზავნილ დეპეშაში ესენინს შეეძლო დაეწერა: «Везу много поэм». (6.176), როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ ესენინის წერილებიდან ზემოთ მოყვანილი ადგილები პოეტის მეგობრებისათვის შემოქმედებითი გეგმების სასიამოვნო გაზიარება როდი იყო. იმდროინდელი ყველა მისი მახლობელი ერთხმად ადასტურებს, რომ ესენინის შემოქმედება საქართველოში მართლაც საოცრად ნაყოფიერი იყო. საბჭოთა პოეზია მან მრავალი ბრწყინვალე ლექსითა და პოემით გაამდიდრა. საკმარისია ითქვას, რომ 6 თვის განმავლობაში პოეტმა ოცდათხუთმეტზე მეტი



ლექსი და პოემა დაწერა. მათ შორის მისი მუშის ისეთი შედეგები, როგორცაა „ანა სნეგინა“, ლექსთა ციკლი „სპარსული მოტივები“, „ყვავილები“, „დედამიწის კაპიტანი“, „ბალადა ოცდაექვსზე“, „პოემა 36-ზე“, „წერილი ქალისადმი“, „რუსეთი წარმავალი“, „კავკასიაში“, „ქართველ პოეტებს“, „დედის წერილი“, „პასუხი“, „წერილი პაპს“ და მრავალი სხვა.

და მაინც მთავარია სამხრეთში შექმნილ ნაწარმოებთა მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსება. ზემოთ ჩამოთვლილ ლექსებსა და პოემებში აშკარად იგრძნობა პოეტის სოციალისტურ სინამდვილისადმი გაზრდილი ინტერესი და მხატვრული ფორმის შემდგომი სრულყოფა. შემოქმედებითს აღმავლობის პირობებში კი ესენინმა ბევრი რამ გადასინჯა, ზოგს ზურგი შეაქცია და უკუაგდო, ზოგს კი ახლებურად შეხედა. პოეტის ეს წარმატება არ ყოფილა მოულოდნელი. ის თავიდანვე სინამდვილის რეალისტური აღქმით იყო დაინტერესებული და ამ რთულ გზაზე თანმიმდევრულად მიიწევდა წინ.

მართალია, ოქტომბრის რევოლუციამ, ისე როგორც სხვებს, ესენინსაც ბევრი რამ მისცა. მაგრამ რიაზანელ ქაბუქს ბუნებამ იმთავითვე ის შინაგანი ორგანიზაცია და ნიჭი დააყოლა, რომლის გარეშე არამცთუ დიდი, საშუალო პოეტიც წარმოუდგენელია. ამიტომ საცხებიტ გასაგებია, როდესაც საბჭოთა პოეზიის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის უკეთეს ქმნილებათა პოპულარობას სხვა წანამძღვრებთან ერთად ავტორის ბუნებრივი ნიჭით ხსნიან. ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ თავის პოზიტიურ როლს თამაშობს პოეტის სტრიქონებში კრისტალიზირებული გრძნობათა ცხოვრებისეულობა, რომელიც სინამდვილის უშუალო და სიღრმისეული ცოდნის შედეგია. ის ხომ რუსეთის სოფლის წიაღში იშვა და ძირითადად იქ ჩამოყალიბდა როგორც პოეტი და მოაზროვნე. ამან კი ბევრად განაპირობა მშრომელი ადამიანისადმი მისი უანგარო სიყვარული, რომლის გარეშე არ არსებობს მაღალი პოეზია. ესენინი ისე ღრმად ჩაწვდა რუსი კაცის ხასიათს, რომ მან შეძლო დაენახა და ყველასათვის მისაწვდომად გადმოეცა მისი სულიერი მოძრაობა, და ამას ის იმთავითვე საკუთარი მხატვრული ხერხებითა და უხადო ოსტატობით აკეთებდა; მისი მდიდარი პოეტური ინტუიცია და სახეების ძერწვის იშვიათი უნარი დღესაც სასიამოვნო გამონაკლისად რჩება. ყოველივე აღნიშნულის გამო სრულიად სამართლიანად თვლიან მას სახალხო პოეტად. ამ სიტყვის ღრმა და ფართო გაგებით.

მიუხედავად იმისა, რომ ესენინი ცხოვრების თითქმის ყველა ძირითად მხარეს შეეხო, ის სიტყვაკაზმულ მწერლობის ისტორიაში უპირატესად გლეხთა მასების პოეტად დარჩა, ამ სოციალური კლასისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში რუსეთის სოფლის მკვიდრთა ყოფის ამსახველი თემატიკა გამკოლია. ესენინის მთელ შემოქმედებას გლეხკაცზე ზრუნვა წითელ ზოლად გაჰყვება. ის

ყოველთვის საქმის კურსში იყო თუ რა ხდებოდა სოფლად, რა უღბინდა და უჭირდა მხენელ-მთესველს. ლიტერატურის ისტორიამ, ალბათ, არც კი იცის მეორე სახელი, რომლის შემოქმედების გზა უფრო დაძაბული და დრამატიზირებული ყოფილიყოს, ვინემ ესენინს ხვდა წილად. ამის ამოხსნა სხვა მიზეზებთან ერთად იმ კლასის წვრილბურჯუაზიულ ფსიქოლოგიაში უნდა ვეძიოთ, რომლის სულიერ მოძღვრის ფუნქციები თვითონ იკისრა. თანაც ისეთ რთულ ეპოქაში, როდესაც კლასობრივი წინააღმდეგობა უკიდურესად დაიძაბა, პოეტს მოუხდა სამი რევოლუციის დამუხტული ჰაერის სუნთქვა. ამდენადვე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რიანანის სოფლიდან ჩამოსულმა ჰაბუქმა, რომელსაც ძვალსა და რბილში გამჭდარი ჰქონდა მრავალმილიონიანი პატრიარქალური გლეხთა მასების სულიერი ტკივილი, ერთბაშად ვერ გაიკაფა გზა ახალი ცხოვრების მწვერვლებსაკენ. თუმცა, როგორც დავინახეთ, ჰაბუქმა ისტორიის განვითარებით განპირობებული რევოლუციური ძალების განლაგების განსაზღვრისას საოცარი ინტუიცია გამოაჩინა და იმთავითვე მშრომელთა მასების მხარე დაიჭირა. ყმაწვილს თავიდანვე სხვებისათვის იღუმალით მოცული თვალთახედვა აღმოაჩნდა. პეიზაჟის პოეტისეული ჩანახატები დღესაც ხიბლავს ყველა ასაკის მკითხველს. განსაკუთრებით მიმზიდველია ესენინის ბუნების მოვლენების აღქმის უშუალობა და პალიტრის ფერთა სიუხვე. მას განსხვავებულად ესმის ბუნების სუნთქვა, ფოთლების შრიალი. ნაკადულებისა თუ წყაროების რაკრაკი, ფრინველთა გალობა თუ მამლების ყივილი, ძაღლის წკმუტუნნი თუ ძროხის ზმუილი... პოეტის სტრიქონებში მშობლიური ბუნება მთელი თავისი მრავალსახეობით წარმოგვიდგება. თანაც ესენინი არაფერს თხზავს, ის იმას აღწერს, რასაც ირგველივ ხედავს, რაც ყველა სოფლელისათვის ბავშვობიდანვე ნაცნობია. მაგრამ იმის შემდეგ, როდესაც ეს ჩვეულებრივი მცენარე თუ ცხოველი ესენინის პოეტური აღქმის საგანი გახდა, სულ სხვა სახე და იერა მიიღო. ახლა უკვე მას ახალი, მანამდე შეუმჩნეველი თვისება და სურნელი აღმოაჩნდა. განა შეიძლება ერთტაეპიან ლექსში პეიზაჟის უფრო პოეტური სახე შექმნა, ვინემ ეს 14 წლის ესენინმა შემოგვთავაზა:

Там, где капустные грядки  
 Красной водой поливает восход,  
 Клененочек маленький матке  
 Зеленое вымя сосет.

(1,62)

ესენინის მიერ რუსეთის ბუნების მომაჯადოებელი სურათების ძერწვა თვით მიზანი როდია. პოეტს თითქოსდა ერიდება პირდაპირ გამოთქვას თავისი დიდი სიყვარული სამშობლოსადმი და წრფელი პატრიოტული გრძნობით შთაგონებული ეალერსება რუსეთის უკიდურეს მინდვრებსა და ტყეებს, წყალუხვ მდინარეებსა და ტბებს, მოუწყველ თუ მომკილ ყანებს... ბუნების ცოცხალი დინამიკური სურათების შექმნისას პოეტი რუ-

სულ კლასიკურ ლიტერატურასა და ხალხურ ზეპირსიტყვაობას ეყრდნობოდა, ახალ ისტორიულ პირობებში სახელოვან წინამორბედთა ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება. ისე როგორც კლასიკურ ლიტერატურაში, ესენინის ლექსებსა და პოემებში ბუნების სურათები გვეხმარება პერსონაჟთა შინაგან სამყაროს გახსნაში, არცთუ იშვიათად თვითონ ქმნიან დამოუკიდებელ მხატვრულ სახეებს, სრულიად კონკრეტული იდეური ჩანაფიქრით. სასიამოვნო ემოციას იწვევს ესენინის პეიზაჟის პლასტიკურობა, მათი უსასრულო მრავალფეროვნება. რა განსხვავებულ, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო ტონებშია აღწერილი შუა რუსეთის არცთუ მდიდარი ფლორა და ფაუნა, მაგრამ ის პოეტის დასურათებით ერთობ მიმზიდველია. აღნიშნულის სისწორეში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია თვალი გადავავლოთ ესენინის ლექსებს „მხარეე საყვარელო...“, „რუსეთო“, „მხოლოდ შენთვის ვწნი გვირგვინს...“, „ცისფერი“ და მრავალი სხვა.

პოეტს მშობლიური პეიზაჟის ყველა კომპონენტი მოსწონს, მის კალმის ქვეშ გზისპირა ვაციწვერაც კი შთამაგონებელ პოეტურ სახეს ქმნის. უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს რუსეთის მოუწყობელი და მომქანცველი, ზამთარში ცივი, ზაფხულში მტვრიანი და „მლაშე ოფლით მორწყული“, მაგრამ ავტორისათვის ყოველთვის ნაცნობი და მშობლიური გზები: „ფიფქი“, „ღრუბელმა კორომში არშია მოქსოვა...“, „ტყიურას შავ კულულოს მიღმა...“, „გზაო, ვერცხლისფერო...“. ფერთა საოცარი გამებია დაჭერილი და უზადოდ გადმოცემული ესენინის ისეთ ლექსებში, როგორიცაა: „შოთხვი“, „ლაქვარდოვან ქსოვილზე...“, „შოთხვი ფიფქებს აფრქვევს...“ შეუძლებელია მკითხველს არ დაამახსოვრდეს პოეტის მიერ სიყვარულითა და რუდუნებით ნაძერწი ტრამალებში დაკარგული სოფლები, მობიბინე ყანები, გაუვალი ტყეები. ავსულთა სამეფოდ რომ ქცეულან: „იმ მხარეში...“, „ჰო, შენ, რუსეთო ჩემო...“, „კუდიანი“, „მხარეე შენ, ჩემო მიტოვებულო...“ „მომკეს ყანა“, „სოფლები და ქალები“ და მრავალი სხვა.

ესენინის პოეზიაში დიდი ადგილი უკავია გლეხკაცის მუდმივ თანამგზავრებს — შინაურ თუ გარეულ ცხოველებს. მკითხველს დღესაც ჟრუანტელს გვრის მოწმებუტუნე ძაღლის სახე. მას პატრონმა შეიდივე ლეკვი მდინარეში გადაუყარა:

ზეცას ესროდა თვალებს  
ძალი ყმულით კარში.  
ნელი სრიალით მოვარე  
შორს დაშალა მთაში.

ბუნა კიოდა ისე  
თოქოს ლაბეგვეს ქვებოთ;  
და ვარსკვლავებათ ცისა  
ცრემლი სცივოდა ფრქვევით!

ანდა რამდენის მოქმედი ბებერი კატის სიმბოლური სახე, ფანჯრის რაფაზე შესკუპული, თათებით მთვარის მკრთალი სხივების დაჭერას რომ ლამობს!

ესენინის პოეზიაში წელიწადის ყველა დროა წარმოდგენილი. მისთვის ის, რაკი მშობლიურია, ერთნაირად ძვირფასია. პოეტი ასევე მიმზიდველად აღწერს დღე-ღამის ყველა მონაკვეთს. ესენინს უყვარს რუსეთის ზამთარში მარხილით გასეირნება, ციგაობა. მაგრამ იცის რამდენი უსიამოვნების მომტანია გლეხკაცისათვის ძვლებში გამტანი ყინვა, რომლის ალეგორიული სახე მთელ მის პოეზიას გაჰყვება. ხან ბრაზმორეული შფოთავს. ხან კიდევ დაღლილი „მოთქვამს“ ტყეში ქარბუქი, ქოხის სარკმელში გულისწამლებად ზუზუნებს ცივი ქარი, გარეთ, ყინვისაგან გათოშილი შეყუყულან ბელურები. უჭირს ცხოველსაც და ადამიანსაც. მაგრამ ყოველივე ეს გასაგები და მახლობელია პოეტისათვის, რადგანაც მისი მშობლიური რუსეთის განუყრელი ატრიბუტია. აი ის ლექსებიც, სადაც ასე მრავალფერად წარმოგვიდგება ზამთარი: „ახალი თოვლი, მოვდივარ კრძალვით...“, „თეთრი ზამთარი მიდის ნამქერად...“, „წივის ქარი, ვერცხლისფერი ქარი...“, „დათოვლილ ველზე შეშლილივით თარეშობს ქარი...“, „ფანჯრის ზევით მთვარე, ფანჯრის ქვევით ქარი...“, „დათოვლილა ველები...“ და მრავალი სხვა.

გაზაფხული, წელიწადის ეს დრო, უმთავრესად იმ ლექსებსა და პოემებში გვხვდება, სადაც ავტორი თავისუფლებასა და რევოლუციურ გარდაქმნებს უმღერის. ესენინის პოეზიაში დიდი ადგილი უკავია ზაფხულისა და შემოდგომის პეიზაჟს, როგორც სილანისა და სიუხვის სიმბოლოს. შუა რუსეთის ფლორის სახეობებიდან პოეტი უფრო მეტად არყის ხეს, ვერხესა და ნეკერჩხალს გვისურათებს, ბუნების მოვლენებიდან კი ჭექა-ქუხილს, ქარბუქს, თოვასა და წვიმას. ფერებიდან ესენინი გამორჩეულად ცისფერს ეტრფის, თუმცა არცთუ იშვიათად ყვითელსა და წითელსაც მიმართავს. ერთი სიტყვით, რიაზანელი მგოსანი პეიზაჟური ლირიკის უბადლო ოსტატად გვევლინება. რომელმაც ბუნების სურათებში ერისაღმი დიდი სიყვარული ჩააქსოვა. ესენინის პოეზიას ხომ სამშობლოს ტრფიალი მაგისტრალურ ხაზად გაჰყვება, სადაც ბუნების ალეგორიულ თუ უშუალო მხატვრულ სახეებს ერთობ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ეს მთელ მის შემოქმედებას თავისებურ კოლორიტს ანიჭებს.

ესენინის იდეურ-მხატვრულ ზრდასთან ერთად გაფართოვდა და მასშტაბური ხასიათი მიიღო მისმა პატრიოტიზმმა. მგოსანი არა მარტო საკუთარს, არამედ ნებისმიერ მოქალაქის ღირსებას მისი სამშობლოსაღმი დამოკიდებულებით აფასებდა. ამიტომ სავსებით გამართლებულია, როდესაც ესენინის პოეზის წარმატების საწინდარს, სხვა მონაცემებთან ერთად, რუსეთის დიდ და უანგარო სიყვარულში ეძებენ. პოეტს არაერთგზის აქვს ნათქვამი, რომ მან ბევრი მწვავე სუბიექტური თუ ობიექტური

წინააღმდეგობა სწორედ სამშობლოს სიყვარულის წყალობით დასძლია. ჩვენ კი უკვე ვნახეთ, თუ რაოდენ დაძაბული იყო მისი ძიების გზა, რომელმაც, საბედნიეროდ, ესენინი სოციალისტური რეალიზმის აღიარებამდე მიიყვანა.

მშობლიური ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულის შედეგად ესენინის პოეზიაში ფაქიზი პატრიოტული ლირიკის უწყვეტი ინაკადი შეიქმნა, რომლის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეაფასო. დღეს უკვე ყველა აღიარებს, რომ მთავარი, რითაც პოეტმა გაამდიდრა საბჭოთა ლიტერატურა — ეს მისი რუდუნებით ნაძერწი პატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშებია, რომლების სულში ჩამწვდომმა უღერადობამ თავიდანვე მოახიზლა მკითხველი. ამავე დროს, ესენინის ლირიკულ პერსონაჟებში XX საუკუნის პირველი მეოთხედის, ხშირად ერთმანეთს გამომრიცხველი, სოციალური თუ მორალური წინააღმდეგობები განსახიერდა, რომელიც ურთულესი ისტორიული პროცესებით იყო განპირობებული. მგონის პატრიოტულ შეხედულებებზე სწორი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ კიდევ ერთი რამ: პოეტის წარმოდგენაში რუსეთი, უპირველეს ყოვლისა, ასმილიონიანი პატრიარქალური გლეხთა მასა იყო. ამიტომაცაა, რომ მის შემოქმედებაში ასე უხვად გვხვდება სოფლის ცხოვრების ამსახველი ლექსები და პოემები. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ესენინმა პირველივე ნაბიჯებიდან დაიწყო და მთელ შემოქმედების მანძილზე მონდომებით ქმნიდა გლეხკაცის მიმზიდველ სახეებს, სოფლის მკვიდრთა ცხოვრების პოეტურ სურათებს. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც კი პოეტის ძირითადი საზრუნავი გლეხკაცის ბედი იყო. ეს მაშინ, როდესაც ესენინმა სრულიად ახალგაზრდამ დატოვა მშობლიური კონსტანტინოვო და მთელი გატაცებით ქალაქის ცხოვრების ოროპტრიალში ჩაება. ქალაქმა ის მიიღო. თვითონ პოეტის აღიარებით, მოსკოვსა და პეტროგრადში გატარებულმა წლებმა ბევრი რამ მისცეს მას, როგორც მოქალაქესა და მოაზროვნეს, მაგრამ ესენინი ბოლომდე მაინც რიანანის ჭალებისა და ყანების, თვალუწვდენელ ველებისა და დაბურული ტყეების სიყვარულით სულდგმულობდა. უფრო მეტიც, როდესაც პოეტს მოსკოვისა და პეტროგრადის სამიკიტნოების მღვრიე ტალღები ემუქრებოდა, ის თავშესაფარს მშობლიურ სოფელში პოულობდა. ამიტომაცაა, რომ ესენინის თვალსაწიერს კონსტანტინოვო და მისი შემოგარენი არასოდეს მოშორებია. ის ყოველთვის საგანგებო, ალალი შეილის წრფელი სიყვარულით წერდა მამა-პაპათა ნაკვალევზე და მშობლიური კერის სითბოზე:

Где ты, где ты, отчий дом,  
Гревший спину под бургом?  
Синий, синий мой цветок,  
Неприхоженный песок.

Где ты, где ты, отчий дом? (1,145)

მშობლიურ სახლში მოვედი ისევ.  
 ო, მხარე ნაზი, ფიქრში წასული.  
 მთის გადაღმიდან ხუკუკა ნისლი  
 ხელს მიქნევს, როგორც თეთრი ასული<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ ესენინი მაშინაც კი, როდესაც ქალაქის პეიზაჟს აღწერდა, ისევ და ისევ მშობლიურ მხარესა და საკუთარ ბავშვობას იგონებდა. პარალელის გავლების დროს ლებორატესობას ყოველთვის სოფლის ბუნებას ანიჭებდა. ასეთია მისი ლექსები: „გადაწყდა, მეტი არაა ძალა...“ „ეს ქუჩა ჩენთვის ნაცნობი ფაზლავთ...“, „ხულოგნის აღსარება“, „წერილი პაპას“ და მრავალი სხვა. ესენინი პატრიოტული მოტივებით ხელმძღვანელობდა მაშინაც, როდესაც ისტორიულ პოემებს ქმნიდა; იქნებოდა ეს შორეულ წარსულზე — „პუგაჩოვი“, თუ თანამედროვე აზბებზე — „პოემა 36-ზე“.

ესენინს სამშობლოს თემა საკუთარი პოეზიის ქვაკუთხედად მიაჩნდა. ის სხვების შემოქმედების შეფასებისას იგივე კრიტერიუმს მიმართავდა. განსაკუთრებით ეს ითქმის იმეენისტებზე. ამ ჭკუფის პოეტთა კრახის მიზეზსაც პატრიოტული გრძნობის იგნორირებაში ხედავდა: ჩემს თანამოკალმეებს, წერდა პოეტი, არ გააჩნიათ სამშობლოს შეგრძნება, არა აქვთ ქვეყნის სიყვარული ამ სიტყვის ღრმა და ფართო გაგებით, ამიტომაც ისინი ვერაფერში შეთანხმებულანო.

რადგანაც პატრიოტულმა მოტივებმა ესენინის შემოქმედებაში ცხოვრების დიდი ადგილი დაიკავეს, ბუნებრივია, პოეტი თავიდანვე უნდა დაინტერესებულყო ხალხის უშრეტი ოპტიმიზმით. საჭირო იყო აგრეთვე იმის დადგენა, თუ რომელი სოციალური და ზნეობრივი კანონები წარმართავენ ერის მოქმედებას, რა ამოძრავებს მასებს, სად არის თვითონ მისი სამშობლოსადმი სიყვარულის საწყისები და ა. შ. მაგრამ, როგორც პოეტი აღიარებს, დასმულ კითხვებზე სწორი პასუხი არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა. პირველად ეს მტკივნეული კითხვა პოეტს 1914 წელს დაბადებია. მაშინ ჰაბუკმა ასე ჩამოაყალიბა საზრუნავი:

Но люблю тебя, родина кроткая!  
 А за что — разгадать не могу.  
 Весела твоя радость короткая  
 С громкой песней весной на лугу. (2,15)

პოეტს შემდეგშიც არ შეუწყვეტია საიდუმლოების ამოხსნა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ მის შესაძლებლობას აღემატებოდა ამ რთულ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა, რასაც, ესენინისათვის ხელი არ შეუშლია ბოლომდე დარჩენილიყო მშობლიური ხალხის დიდი მოამაგე და მოსიყვარულე.

<sup>1</sup> სერგეი ესენინი. ლექსები, პოემები. თბ. „მერანი“, 1985, გვ. 15. თარგმ. თ. ბექიშვილისა.

ცნობილია, რომ ესენინს რევოლუციის შემდეგაც დიდხანს გაჰყვა პატრიარქალური რუსეთის სიყვარული, ძლიერ მოსწონდა მშობლიური მხარის სიმშვენიერე, გლეხკაცის მხნე, იუმორით აღსავსე ბუნება. ამიტომაც ბევრ რამეს აპატიებდა მას. მაგრამ ეს როდი იწინავეს იმას, რომ პოეტი ვერ ამჩნევდა სოფლის მკვიდრთა ცხოვრების ნეგატიურ მხარეს. ესენინის ლიტერატურული მემკვიდრეობის ზოგადი შესწავლაც კი ნათელყოფს პოეტის ღრმა დაკვირვების უნარს. მას მხედველობიდან არ გამორჩენია მშობლიური ხალხის უარყოფითი, უკუღმართი ყოფით გაღვივებული თვისებებიც. ესენინს მეტად აწუხებდა სოფელთა პაპიურობა, მათი ზომავადაპარბებული მოთმინება და ინერტულობა. მწერალს არ მოსწონდა გლეხკაცის გათვითცნობიერების დაბალი დონე, ცრუმორწმუნეობა და სხვა. მაგრამ ესენინმა იმთავითვე ირწმუნა და სამართლიანადაც, ხალხის ძალის ამოუწურავი შესაძლებლობა, მშრომელი კაცის უშრეტი ოპტიმიზმი და უკეთესი მერმისისაკენ დაუოკებელი ლტოლვა. ამ ურყევ წინამძღვრებს ეყრდნობა პოეტის საუკეთესო ნაწარმოებების ცხოვრებისეულობა და რეალიზმი, ისე როგორც მისი ჭანჩალი პატრიოტიზმი და კაცთმოყვარეობა.

ესენინი სადაც არ უნდა ყოფილიყო, მას ყველგან თან სდევდა სამშობლოს დიდი სიყვარული, მისი განახლების ღრმა რწმენა, ისე როგორც რუსეთის სახელოვანი წარსულითა და დიადი მომავლით გაცისკროვნებული სიამაყის გრძნობა. მაგრამ პოეტის პატრიოტიზმმა განსაკუთრებული ძალით საზღვარგარეთ ყოფნის დროს იფეთქა. თუმცა, ამ გრძნობას ის არ დაუბრმავებია. ესენინი ერთობ დაინტერესდა ევროპისა და ამერიკის ტექნიკური მიღწევებით, აღნიშნა დასავლეთის ქვეყნებში შრომის ნაყოფიერების ზრდის უჩვეულო ტემპი, ცხოვრების შედარებით მაღალი დონე. ამავე დროს პოეტი მშვენიერად გაერკვა დასავლეთის დემოკრატიის ცალმხრივობაში, დაინახა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების შედეგები, რომელიც უღობვლად თელავს ადამიანის ღირსებას. საკმაოდ ადნიშვნის ღირსია ესენინის პატრიოტული ევოლუცია. ის ნანახისა და განცდილის ფონზე ცულწორფელად მიეხალმებოდა განახლების გზაზე შემდგარ საბჭოთა ქვეყნის ნათელ პერსპექტივებს, პოეტი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ტექნიკური პროგრესი მისი სამშობლოსათვისაც გარდუვალია.

ყოველივე აღნიშნულმა თავისი ასახვა ჰპოვა ესენინის თხზულებებში. საკმარისია ითქვას, რომ მოგზაურობიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე საბოლოოდ დაიხვეწა და დასარულდა დრამატული პოემა „არამზადათა ქვეყანა“, შეიქმნა მხატვრული ნარკვევი „რკინის მიჩრორდი“, უცხოეთის შთაბეჭდილებები აისახა პოემაში „შავი კაცი“, დაიწერა მთელი რიგი ლირიკული ლექსები და წერილები, სადაც პოეტი ეჭება ევროპელებისა და ამერიკელთა ყოფას. გარდა ამისა, ესენინის ევროპასა და ამერიკაში მოგზაურობამ, იქ ემოგრანტ პოეტებთან თუ ადგილობრივ

გწერლებთან შეხვედრამ გარკვეულად დადებითი როლი შეასრულა პოეტის მსოფლმხედველობის შემდგომ ზრდისა და ჩამოყალიბების რთულ პროცესში, ხელი შეუწყო მის ესთეტიკურ შეხედულებათა სრულყოფას; ამიერიდან ესენინი მეტ სიფრთხილეს იჩენს მოდერნისტთა პრეტენზიები-სადმი, საბოლოოდ ჩამოშორდა იმპრესიონისტებს.

უკვე თბილისში მყოფი ესენინი ერთგვარად აჯამებს განვლილ გზას და ერთობ საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს.

მე ჩემი ნიჟის  
შეცნობაში ვარ შეუმცდარი,  
არ მივირს სიტყვის ლექსად აგება—  
ყველაზე მეტად  
სიყვარული მშობლიურ მხარის  
მწევედა, მტანჯავდა,  
მაჩანავებდა<sup>1</sup>.

თბილისშივე დაწერილ სხვა ლექსში აისახა პოეტის განწყობილება, ის მონდომებულია რაც შეიძლება ღრმად ჩაწვედეს „ყალბზე შემდგარ“ რუსეთის საიდუმლოებას, ბოლომდე გაიგოს მიმდინარე პროცესის არსი:

Издатель славный! В этой книге  
Я новым чувствам предаюсь,  
Учусь постигнуть в каждом миге  
Коммуной вздыбленную Русь. (4,164)

თუმცა, ესენინის ესთეტიკური ზრდის შემდეგი პროცესიც საკმაოდ რთული აღმოჩნდა, მაგრამ ის საბოლოოდ დარწმუნებული იყო საკუთარ პოეტურ ძალაში; რომ მისი ნიჟი დღითი დღე იზრდება და უკვე სასურველ შედეგსაც მიაღწია. ყველა პოეტისათვის თვითრწმენას გადაამწყვდობს მნიშვნელობა ჰქონდა, გამოწვევის არც ესენინი წარმოადგენდა. მან კარგად იცოდა, რომ ერთ-ერთი. იმართავანია, ვისაც დაეწეება არ უწერია და ამიტომაც შეეძლო დაეწერა:

ი-ს შეგნება გქონდეთ ნეტაუ,  
რომ თქვენი შეილი ახლა რუსეთში  
ყველაზე კარგი არის მგოსანი<sup>2</sup>.

ამ სტრიქონების ავტორი თითქოსდა თავისი ხვედრით არ უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო. მით უმეტეს, რომ ქალაქმა და ლიტერატურულმა სამყარომ ესენინი უყოყმანოდ მიიღო, მკითხველთა ერთმა ნაწილმა ის იმდენად შეიყვარა, რომ თავის კერპად აქცია. ამავე დროს, იგუშინდელ ფეხნიშველა ბიქს „...შავი ცილინდრი ხურავს და თანაც ლაკის ფეხსაცმლით დადის“, მაგრამ პოეტი მშობლიურ მხარესთან განშორებამ მინც

<sup>1</sup> სერგეი ესენინი. ლექსები, პოემები, თბ., „მერანი“, 1985, გვ. 42. თარგმ. თ. ბეჭევილიძე.

<sup>2</sup> სერგეი ესენინი. ლირიკა, ბათ., „საბჭ. აქარა“, 1980, გვ. 112, თარგმ. გ. სალუქვაძისა.



ვერ შერიგებია, მის ლირიკულ გვირს მეგობრებთან განშორებით მიღებული იარა ჯერაც არ შეზოგრებია. ის ავტორთან ერთად კვლავაც გლეხ-კაცის ყოფით ცხოვრობა და სუნთქავს:

სოფლის ცეცხლი მის ძარღვებში ჯერაც არ ჩაქრა,  
აქამდე მოხუცა.  
მისჩერებია საყაბოს აბრას  
და ესაღმება აბრაზე ძროხას.  
მეეტლებთან როცა მიღის სალაზღანდაროდ,  
ნაკელაანი აგონდება სოფლის ველები.  
იგი მზად არის ყველა ცხენის კული ატაროს,  
როგორც პატარძლის კაბის მღვიფი. (112)

ამ სიტყვების დაწერადან განვლო რაღაც ორჯა წელმა, ესენინის მსოფლმხედველობაში კი შესაძრწევი ცვლილებები მოხდა. ის ახლა უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, გრძნობდა ახალი ცხოვრების მოთხოვნების ზაფხუძველზე სოფლის მკვიდრთა ყოფის გარდაქმნის საჭიროებას. შესაბამისად უნდა შეცვლილიყო პოეტური იდეალიც, რადგანაც შორღებოდა მშობლიურ სამყაროს:

გადაწყდა, მეტი არაა ძალა,  
უკვე დავროვე ჩემი მინღვრები.  
აშრიალეზულ ვერხვების ჭლას  
აწ ვერასოდეს გავერინღები!

მაგრამ პოეტმა ასე იოლად მაინც ვერ დაჯო სოფელი. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა, ახალი ძალით იგრძნო სიყვარულის მოზღვავება განახლების გზაზე დამღვარ კონსტანტინოვოსადმი, აღეძრა ცხოველი ინტერესი იქ მიმღინარე გარდაქმნებისადმი. ღიღი იყო აგრეთვე სოფლის რევოლუციური პროცესის სიღრმისეული შეცნობის, ისე როგორც ამ პროცესში საყუთარი ადგილის სწორი განსაზღვრის სურვილიც. აპიტომ, მოგზაურობიდან დაბრუნებულმა მყისვე მშობლიურ მხარეს მიაშურა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ორი წელიც არ ვასულიყო, რაც მან დატოვა კონსტანტინოვო, ვერ იცნო იგი. გლეჯაკეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, სრული მონღომებით დაეწყით მეურნეობის განახლება ცხოვრების სოციალისტური პრინციპებით და მთელი ენთუზიანზით ახალ ცხოვრებას აკვიღრებღნენ. ამიტომ სახტად დარჩენიღმა პოეტმა თქვა:

«Как много изменилось там, в их белом, неприглядном быте».  
მშობლიურ მხარეში ჩასული ესენინი ღიღემის წინაშე აღმოჩნდა. ბუნებრივია მას გული სტკიოდა, უძნელღებოდა სოფელში საუქუნეებით დამკვიღრებულ ჩვევებთან განშორება. მით უმეტეს, რომ მის ღრმად მოხუც საყვარელ პაპას და მშობლებს უჭირღათ ახლის გაგება და უიმედოდ ჩასტიღებღღნენ მიმავალს.

<sup>1</sup> სერგეი ესენინი. ლექსები, პოემები. თბ., „მერანი“, 1985, გვ. 22, თარღმ. თ. ბეჭიშვილისა.

ცოტა მოგვიანებით, უკვე საქართველოში მყოფი, ესენინი კვლავ დაუბრუნდა სოფლის განახლებისა და მასში საკუთარი ადგილის განსაზღვრის მწვავე პრობლემას. თბილისში მან საბოლოოდ დაასრულა ადრე დაწყებული ლექსი „საბჭოთა რუსეთი“, სადაც ცდილობს თვალი გადაავლოს განვლილს, შით უმეტეს, რომ ნაცნობ-მახლობლებიდან „გრიგალ“ ცოტანი გადაურჩინა“. პოეტს უნდა რაც შეიძლება სწორად განსაზღვროს ახლისადმი თავისი დამოკიდებულება, კიდევ ერთხელ განვკრიტოს მომავლის პერსპექტივები და ამ ფონზე წარმოაჩინოს თავისი ნამოღვაწარი, განსაზღვროს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საერთო ნაკადში საკუთარი პოეზიის ადგილი და მნიშვნელობა. ამის საჭიროებას ესენინი იმიტომაც გრძნობდა, რომ ის სერიოზულად შეშფოთებული იყო განახლებულ სოფელში მისი პოეზიის მიუღებლობის გამო, იქ ახლა დემიან ბედნის ლექსებს მღეროდნენ, პოეტი მშობლიურ მხარესაც კი დაეაწყებოდა:

ჩემი სახელი აქ რო სცოდნოდა  
არც მეგობარი და არც მტერია,  
მამა-პაპური რომ იყო ოღა  
ახლა ნაცარი და გზის მტვერია!

მართალია, ყოველივე ეს ძლიერ აწუხებდა პოეტს, მაგრამ ის სასოწარკვეთილებაში მაინც არ ჩავარდნილა, არ გატეხია გული და განვილოთ თუ მომავალ შემოქმედებითს პერსპექტივებს იმედის თვალთ შეჰყურებდა. ამის საწინდარს, სრულიად მართებულად, საკუთარ პოეზიის ეპოქალურობასა და ცხოვრებისეულობაში პოულობდა. მან ხომ მამულიშვილის დიდი სიყვარულით სწორედ მაშინ უმღერა რუსეთს, როდესაც ასმილიონიან გლეხობას ასე სჭირდებოდა მისი ფაქიზი, ოპტიმიზმით გამსჭვალული მართალი სიტყვა. მის სიმღერებში მხვენელ-მთესველი ყოველთვის პოულობდა გულში ჩამწვდომ ნაცნობ ჰანგებს, გამამბნეველ მელოდიებს, პატრიოტულ მოტივებს. ამავე დროს, ესენინი მზად იყო მიეღო ახალი სოფელი, იქ მიჰდინარე რადიკალური გარდაქმნებით და გულწრფელად ემღერა მისთვის:

ვიღებ ყველაფერს,  
როგორც არი ყოველი დარგი.  
გათელილ კვლით მზად ვარ ვიარო,  
ოქტომბერს, მაისს გული ჩემი გაუზარო,  
დარჩება ჩემთან მხოლოდ ეს ჩანგი. (23)

ჩანგი მართლაც რომ დაიტოვა პოეტმა, რათა ახალი ძალით ემღერა სოციალისტურ სამშობლოსათვის, შეექმნა ღრმა შინაარსისა და განუმეორებელი პოეტური ელერადობის ლექსები და პოემები, სადაც, მისთვის

<sup>1</sup> სერგეი ესენინი, ლექსები, თბ., „საქ. წითელი ჯვრის სტამბა“, 1926, გვ. 20-თარგმ. მ. პატარიძისა.

ჩვეული ჩადოსნური ხელოვნებით შერწყმული იქნებოდა განახლების ოპტიმისტური პათოსი და ნგრევით გამოწვეული ტკივლები. თუ გავითვალისწინებთ პოეტის იმდროინდელ გარდამავალ განწყობილებას, ადვილი ასახსნელია მისი ცალკეული ლექსების მელანქოლიური ინტონაცია. ეს ჩემ ჯერ კიდევ გუშინ საკმაოდ ძლიერი ილუზიების მსხვერვის შედეგი იყო.

აღნიშნულით ესენის რევოლუციური გარდაქმნების პირობებში საკუთარი ადგილის ძებნა არ შეუწყვეტია. როგორც პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩანს, მწერალს ეს პრობლემა თავიდანვე აწუხებდა, მაგრამ ახლა სასურველი პირობების განსაზღვრა ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა. ამიტომ რაც მის ლექსებში წარმატებით მიღებულ სინარტულთან გაჩნდა სინანულის გრძნობა, გამოწვეული ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებით. ესენი ერთგვარი შურითაც კი უყურებდა იმათ, ვინც თავიდანვე სწორი გზა აირჩია და ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდა, იარაღით ხელში ებრძოდა დამკვიდრებულ უკუღმართობას და რევოლუციის მატიაწეში სასახლო ფურცლებს წერდა:

Я тем завидую.  
Кто жизнь провел в бою.  
Кто защищал великую идею.  
А я, сгубивший молодость свою,  
Воспоминаний даже не имею. (2,92)

მიუხედავად ამ აღიარებისა ესენის ფარ-ხმალი არ დაუყრია. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჯერაც არ უთქვამს თავისი ბოლო სიმღერა და თუ წარსულში საკუთარ ადგილს რევოლუციონერებსა და რეაქციონერებს შორის იგაჩენილ „ვიწრო კორიდორში“ ხედავდა, ახლა მზად იყო ბრძოლის წინა ხაზზე გასულიყო და ავანგარდთან ერთად ქვეყნის მომავალი ეშენებინა:

მე მინდა ვიყო  
მომღერალი და მოქალაქე.  
რომ გზას ჩემუელს,  
მოპყვებოდეს ძალიან ბევრი,  
მე მინდა ვიყო  
მაგალითი და სიამაყე,  
სსრ კავშირის ღვიძლი შვილი  
და არა გერი!

შემთხვევითი არც ის არის, რომ თბილისში მყოფმა პოეტმა ფადასინჯა თავისი ადრინდელი შეხედულება ახალ ცხოვრების მშენებლებზე. ამჯერად ის თვითონ მზად არის კომკავშირთან ერთად გასწიოს მომავალ-

<sup>1</sup> სერგეი ესენი. ლექსები, პოემები. თბ., „მერანი“, 1985 გვ, 42-43. თარგმ. თ. ბეჭიშვილისა.

ლი ცხოვრების მწვერვალების დასალაშქრავად, დასძლიოს დარდი და მელანქოლია და ზურგი შეაქციოს უაზრო ღრეობას:

ვიცი, ღვინის სმით  
დარდისაგან არ დავიცლები,  
სულს ვერ განკურნავ  
განუსაზღვრელ მარტოობაში,  
მაგრამ ის ვიცი,  
ასე —  
შარვალაკაიწებით  
რატომ მწადია  
დავედვენო ამ ჩვენს კომკავშირს!<sup>1</sup>

სამხრეთში მყოფ პოეტის შემოქმედებითი ენერჯის უჩვეულო მოზღვავეების ერთ-ერთ პრაქტიკულ ხორცშესხმად ჩვენ მიერ უკვე ციტირებული, 1924 წლის 26 ოქტომბერს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებული „სტანსები“ წარმოგვიდგება. ამ ლექსიდან გარდა ავტორისეული დასტურისა, რომ ის მზად არის გადასინჯოს ადრინდელი შეხედულება პოეზიის დანიშნულებაზე, კარგად ჩანს აგრეთვე ჩაფიქრებული გეგმების მასშტაბურობა. პოეტს მეგობრები ურჩევდნენ და ისიც მადლიერებით იღებდა მათ რჩევას სოციალისტური სინამდვილის აქტუალური პრობლემების ასახვის საჭიროების შესახებ. მაგრამ ესენინს ისიც კარგად ესმოდა, რომ ამ ურთულესი ამოცანის შესასრულებლად მარტო სურვილი არ კმაროდა. საჭირო იყო საფუძვლიანი თეორიული მომზადებაც. ამიტომ გადაწყვიტა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დებულებების ათვისება, რათა მიმდინარე პროცესის ანალიზისას სწორი ორიენტირები ჰქონოდა:

კმარა ზეციურ  
მნათობების შიში და კრძალვა,  
ჩვენ ვარსკვლავები  
ამ მიწაზე დავანთოთ უნდა.  
და ვეუბნები  
საკუთარ თავს მოურიდებლად;  
-კმარა, სერგეი;  
დროს ტუთილად ნუღარა ვკარგავთ,  
აუჩქარებლად გადმოვიღოთ  
მარქსის წიგნები,  
სიბრძნე მოსაწყენ სტრიქონების  
შევიცნოთ კარგად!<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ესენინის პოეზიაში პატრიოტულ ლირიკას ორგანულად უკავშირდება საბრძოლო პათოსით გამსჭვალული ლექსები და

<sup>1</sup> ნ. ვერბიცი, დასახელებული წიგნი. გვ. 19-20, თარგმ. ო. შალამბერიძისა.

<sup>2</sup> სერგეი ესენინი, ლექსები, პოემები. თბ., „მერანი“, 1985, გვ. 45, თარგმ. თ. ბეჭემვილისა.

პოემები, რომლებშიც იმთავითვე გამოიკვეთა ავტორის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია. პოეტი მთელი თავისი შესაძლებლობით მშრომელი კაცის მხარეზეა და გაბედულად იცავს მის ინტერესებს. ამ დიადი მიზნისათვის ესენინს ცხოვრების კრიტიკულ მომენტებშიც კი არ უღალატია, ის ბოლომდე სოციალური სამართლიანობის დამცველად გვევლინება. ამიტომაც ასე მტკიცედ დაოკვიდრა მან ადგილი დიდ ლიტერატურაში.

როგორც დავინახეთ, თავიდან ესენინი ძირითადად სოფლის ცხოვრებითაა შთაგონებული, ერთხანს ასე გაგრძელდა რევოლუციის შემდეგაც. მაგრამ მოღვაწეობის ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაშალა ფრთები მისმა შემოქმედებითმა ფანტაზიამ, მდიდარი და შრავალფეროვანი გახდა მგონის პოეზიის თემატიკა, გაიზარდა პერსონაჟთა სოციალური შემადგენლობა, გაფართოვდა მოქმედების გეოგრაფიული საზღვრებიც. აღსანიშნავია, რომ ესენინი სწორედ ამ პერიოდში ინტენსიურად ეძებს ახალ ესთეტიკურ კრეფოს, მის შემოქმედებაში სოციალისტურ სინამდვილის მშენებლებმა საპატიო ადგილი დაიკავეს, ისინი ეპოქის დადებითი გმირებია, პოეტი მთელი ხმით უძღერის როგორც ბრძოლებში დაღუპულ რევოლუციონერებს, ასევე დიადი მომავლის დამფუძნებლებს. ლიტერატურულ სიმწიფესთან ერთად ესენინს. ლექსებსა და პოემებში გაჩნდა ფილოსოფიური პრობლემებიც, რაკი გამოიკვეთა მისი პოზიტიური დამოკიდებულება მიმდინარე სოციალურ ძვრებისადმი, პოეტმა მუტი ყურადღება დაუთმო კლასთა ძალების განლაგებას, დაინტერესდა ხალხთა ურთიერთობის საკითხებით და სხვ. მართალია, ყოველივე აღნიშნულს ესენინი, უპირატესად, სოფლის მკვიდრთა ცხოვრების მაგალითზე იძლევა, მაგრამ ამას ახლა უკვე არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც რევოლუციის შეზღვევადროინდელი სოფელი პოეტის შემოქმედებაშიც ერთობ სახეცვლილია, განახლების ქარტახილებმა აქაც ძირეული გარდაქმნები გამოიწვიეს, შესაბამისად შეიცვალა ესენინის პერსონაჟებიც.

ამავე დროს, შევეცოდავით რომ გვეთქვა, ესენინმა ბოლომდე დასძლია წარსულის ცოდვები. საკმაოდ მძიმე გამოდგა ის სოციალური თუ ზნეობრივი ტვირთი, რომელიც მას პატრიარქალური სოფლის წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიით გატაცებამ შესძინა. ამას დამატა ზრდითა და ძიებით გამოწვეული წინააღმდეგობები, პირადი ცხოვრების მოუწესრიგებლობა. შედეგად, უდავო წარმატებებთან ერთად, არცთუ იშვიათი იყო კრიზისული შემთხვევები, რომლს გაუთვალისწინებლად პოეტზე ჩვენი შეხედულება არ იქნებოდა სრული. საბედნიეროდ, ესენინის ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზი ცხადყოფს რეალიზმის თანმიმდევრულ გაღრმავებას. და თუ პოეტი ზოგჯერ ვულგარულ ნატურალიზმამდე ეცემა, ეს უფრო წაპიერი განწყობილების შედეგია, ვიდრე მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი

კანონზომიერება. ამიტომ მათი გამოცალკეება ესენინის შედეგებისაგან ადვილი საქმეა, მაშინ ჩვენ წინაშე წარმოდგება საკუთარი სახის მქონე დიდი პოეტი, რომლის უქცნობი პოეზიის ძალა დღითი დღე იზრდება.

ესენინის ლექსში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ავტორის მხნე, საბრძოლო განწყობილება. პოეტი თავის გმირს გაბედულად მოუწოდებს სძლიოს საკუთარი შიში და სიძნელე, შეებრძოლოს გამაფხვებულ უკუღმართობას და სხვებიც აანთოს ბრძოლის ქინით:

Куй, кузнец, рази ударом,  
Пусть с лица струится пот  
Зажигай сердца пожаром,  
Прочь от горя и невзгод!

Взвейся к солнцу с новой силой,  
Загорись в его лучах.  
Прочь от робости постылой,  
Сбрось скорей постыдный страх. (4,50—51)

თავის დროზე გამამხნევებელ ნაბათად გაიშა ესენინის იმავე 1914 წელს დაწერილი დიდი ლექსი „მარტა მთავრისნაცვალი“. იმპერიალისტურ ომის მძიმე წლებში თავისუფალ ჩოგვაროდის დაკვისათვის მოწოდება ეწინააღმდეგებოდა ხელისუფალთა ოფიციალურ დირექტივებს, რომლის თანახმად თავისუფლებაზე საუბარიც კ. აკრძალული იყო. მკაცრ სამხედრო ცენზურის პირობებში უთუოდ დისონანსად უღერდა პოეტის შემდეგი მოწოდება:

Ты шуми, пенный Волхов, шуми,  
Разбуди Садко с Буслаем на-торгаш!  
Выше, выше, вихорь, тучи подыми!  
Ой ты, Новгород, родимый наш! (2,10)

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ამ ლექსის გამოქვეყნების ისტორია. ავტორის გამამბოხური განწყობილებისა და თავისუფლებისაკენ აშკარა მოწოდების გაშიფვრა არც მეფის მესვეურებს გასჭირვებიათ, ამიტომ „მარტა მთავრისნაცვალი“ აკრძალეს და მისი გამოქვეყნება მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ მოხერხდა. ამ ლექსის გამოქვეყნებას თავის უურნალ „მატიანეში“ ცდილობდა გორკი, მაგრამ ვერ გაჭრა ვერც მისმა ავტორიტეტმა. ცენზორთა განუკითხავ მოქმედებით განაწყენებული გორკი ი. ბუნინს 1916 წლის 24 თებერვალს წერდა: «Вчера цензор зарезал длинное и недурное стихотворение Есенина «Марфа Посадница», назначенное в февраль»<sup>1</sup>. ლექსი დაიბეჭდა ივანოვ-რაზუმნიკის გაზეთ „დელო ნაროდაში“.

ამავე გაზეთში 1917 წლის მაისში დაიბეჭდა ესენინის პოემა „ამხანაგიც“. ავტორს პოემა მარტის დასაწყისში, თებერვლის რევოლუციის კვალდაკვალ დაუწერია და ის ესენინის პირველი მხატვრული ნაწარმოებია, სადაც გამოვლინდა მომხდარ ისტორიულ მოვლენებისადმი პოე-

<sup>1</sup> Горьковские чтения. 1958—1959. М., «Наука», 1961, с. 85.

ტის დამოკიდებულება. პოემის წაკითხვის დროს ყურადღებას იპყრობს ავტორის მანვილი მწერა და რევოლუციის ცალმხრივი შედეგების სწორი შეფასება. მართალია, თვითმპყრობელობის ტახტი დაეშვა, მაგრამ პოეტს სწორად მიაჩნია, რომ მშრომელთა განთავსებულებისა და სამართლიანი ურთიერთობის საქმე, რისთვისაც კაცობრიობა ისტორიის მთელ მანძილზე იბრძოდა, ჯერაც მოუგვარებელია. ამიტომ პოემის მთავარი გმირი მარტინი უყოყმანოდ აგრძელებს მამის მიერ დაწყებულ საქმეს, რომელიც ბრძოლის ველზე გირჩულად დაეცა პეტროგრადის მუშების აჯანყების დროს. მარტინი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სოციალური ქემშარიტებისა და მაღალი ჰუმანური იდეალების ხორცშესახვა ყველა პროგრესულად მოაზროვნე დემოკრატიულ ბრძოლის დაუყოვნებელ გაგრძელებას მოითხოვს, თვითონ კი მზადაა ბოლოზე შეასრულოს მამის ანდერძი. პოემაში შემთხვევით არც ის არის, რომ შვილს სწორედ დაღუპული მშობლის ხმა მოესმის, რომელიც ამხნევეს და მოწოდებს გაბედულად შეებრძოლოს მტერს, რათა გამარჯვებით დაავიკრივინონ მათ მიერ დაწყებული საქმე, აღასრულონ კაცობრიობის სანუკვარი ოცნება ძმობაზე, ერთობაზე და თავისუფლებაზე:

Отец лежит убитый,  
Но он не пал, как трус.  
Я слышу, он зовет нас,  
О верный мой Иисус.

Зовет он нас на помощь,  
Где бьется русский люд,  
Велит стоять за волю,  
За равенство и труд!.. (2,27)

პოემა „ამხანაგში“, ისე როგორც იმ პერიოდის სხვა ნაწარმოებებში, ამკარად იგრძნობა რევოლუციონერ-დემოკრატიის იდეების ზეგავლენა, შეიმჩნევა ქრისტეს მოძღვრების კვალიც. აქვე უნდა ითქვას, რომ ესენის განმანათლებლების იდეალების აღქმისას ბევრად შეუწყო ხელი, ამას თვითონაც აღიარებს, მისმა ახლო ნევობრულმა ურთიერთობამ ივანოვ-რაზუმნიკთან. თვითონ ივანოვ-რაზუმნიკი თვალსაჩინო საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწე იყო. ის რუსეთის რევოლუციურ მოძრაობის განვიარების მესამე პროლეტარულ ეტაპზე რაზნოჩინელთა იდეების ერთგულად გვევლინება და ეს თავისი მრწამსი საოცრად შეუხამა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას, ბოლოზე ცარიზმის შეურიგებელ მტრად დარჩა. ამიტომ ესენისათვის მისი მაგალითი უაღუოდ პოზიტიური უნდა ყოფილიყო. ალბათ, ამით აიხსნება, რომ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მგოსნის შემოქმედებაში ხშირად გვხვდება სოციალისტ-უტოპისტთა ჰუმანური იდეების გამოძახილი.

რაც შეეხება რელიგიურ მოტივებს. განსაკუთრებით ადრინდელ შემოქმედებაში, ამაზე უკვე ითქვა, ძირითადად მისი აღზრდით იყო განპირობებული. პოეტი ერთხანს ქრისტიანულ იდეალების კაცობრიობის

საბრძოლო ამოცანებთან შერწყმასაც ცდილობდა, მაგრამ რევოლუციის შემდეგ მწერალმა ქრისტეს მოძღვრებას სხვა ფუნქციები დაუძებნა. აზერად ის აღნიშნულ მოძღვრებით მიმდინარე პროცესის გამართლებას ცდილობდა. ამ შემთხვევაში კი ესენინი არც პირველი ყოფილა და არც ერთადერთი. მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში, საუკუნეებით დაკვიდრებულ ჩვევათა მსხვრევისა და ამ მსხვრევით გამოწვეულ ტკივილების გამართლება ბიბლიური მოძღვრების მოხმობით საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო. რა თქმა უნდა, აღნიშნულს თავისი ეპოქალური ახსნა გააჩნია. ახლა იმას არავინ უარყოფს, რომ ბიბლიური მოტივები ჩუსეთის მაშინდელ მოაახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობისათვის უფრო ახლო და გასაგები იყო. ალბათ, ამიტომაც ზეციურ მოვლენათა სიმბოლიკას, როგორც პოეტურ გამოსახვის საშუალებას, ასე ხშირად მიმართავდნენ მწერლები.

ესენინის „რელიგიურ“ წყების თხზულებათა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ინონია“, ლექსები „ციური მელოლე“, „მეორედ მოსვლა“ და სხვ. ავტორი მათ „რევოლუციურ პოემებსაც“ კი უწოდებს. მართლაც, დასახელებულ და სხვა ასეთ ხასიათის ნაწარმოებებში ძნელი არ არის შევამჩნიოთ ეპოქის რევოლუციური სუნთქვა, ისე როგორც მიმდინარე რადიკალური გარდაქმნებისადმი პოეტის პოზიტიური დამოკიდებულება. ამ ჯგუფის თხზულებებში ცხოვრებისეულ მოვლენების რეალისტური ასახვის დროს ზოგჯერ რომანტიკული ნაკადიც იჭრება, მაგრამ ხელს არ უშლის ავტორს ჩვენი ყურადღება მიწიერ პრობლემებს მიაპყრობს, იყოს მეგზური ცხოვრების რთულ გზაზე. ამ ციკლის ლექსებსა და პოემებში მოჭარბებულად გვხვდება ძველი სლავური გამოთქმები და საეკლესიო ტერმინები. ცოტა მოგვიანებით ესენინი კატეგორიულად უკუაგდებს ამ გატაცებას და მის პოეზიაში საბოლოოდ დაკვიდრდა ნამდვილი ხალხური სალიტერატურო ენა.

ამავე დროს, რარიგ პარადოქსალურად არ უნდა მოგვეჩვენოს. სწორედ იმ წლებში პოეტი გაბედულად აუჯანყდა ღმერთს და კლერიკალურ დოგმას. თუ რევოლუციამდე ესენინი მოკრძალებით მიმართავდა ქრისტეს, უყოყმანოდ იზიარებდა მის მოძღვრებას, ახლა ყოველივე „ღვთაებრივი“ გადაჭრით დაგმო და ყველას გასაგონად განაცხადა:

Время мое пришло,  
Не страшен мне лязг кнута.  
Тело, Христово тело,  
Выплюываю изо рта.

Не хочу воспрять спасения  
Через муки его и крест  
Я иное постиг учение  
Прободающих вечность звезд. (2,52)

დამახასიათებელია, რომ უკვე თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში ესენინმა კითხვის ქვეშ დააყენა ქრისტეს ყოვლისშემძლეობა.



ბევრის მთქმელია ისიც, რომ პოემა „ამხანაგვი“ მთავარი გმირი მარტინი დახმარებისათვის მიმართავს დედა მარიაჰის ხელზე მჯდომ ქრისტეს, რომელსაც ცხოვრების სუბანი ჯერაც არ შეხებია, მაგრამ პოეტი მის მიმართაც ძლიერ მკაცრია. ქრისტეს მტრის ტყვია განგვირავს და მის ნეშტს რევოლუციურ პეტროგრადის მარხის მოედანზე ისე გულდაგულ ღაპარხავენ, რომ ამიერიდან მას „აღდგომა“ არ უწერია:

Но вдруг огни сверкнули ...  
 Залая медный груз.  
 И пал, сраженный пулей,  
 Младенец Иисус.  
 Слушайте  
 Больше нет воскресенья!  
 Тело его предали погребенью  
 Он лежит  
 На Марсовом  
 Поле. (2,28)

ქრისტესადმი ასეთი მამხილებელი, ზოგჯერ უხეში და ვულგარული მიმართვაც კი თავის დროისათვის დიდი გაშხედაობა იყო და მოქალაქეობრივ სიმაჰაცეს მოითხოვდა. მაგრამ პოეტი არ შეუშინდა მილიონობით მორწმუნე მრევლთა რიახვას და შეგნებულად წავიდა მათთან ურთიერთობის გამწვავებაზე. თვითონ ესენინის დასტურით, სწორედ ამისათვის დაიმსახურა მან პირველად ცხოვრებაში ეპითეტი „ხულიგანი“.

როგორც ითქვა, აღნიშნულ ხასიათის ნაწარმოებებში პოეტი ხშირად მიმართავს ქრისტიანულ ტერმინებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, მაგრამ მგოსნის იდეური ჩანაფიქრი, რარიგ რელიგიურ საბურავში არ უნდა იყოს გახვეული მაინც ადვილი გასაგებია, მკითხველს მოსწონს ესენინის შეხედულებათა ევოლუცია, მისი შეუნელებელი ზრუნვა სამშობლოს მომავალზე. პოემაში „იორდანული მტრედი“ ფრიად სასიამოვნოდ უღერს რუსეთის მომავლის პოეტისეული აღწერა, მისი მხნე და ოპტიმიზმით გაყლენთილი სტრიქონები, ისე როგორც ავტორის დამოკიდებულება მიმდინარე გარდაქმნებისადმი:

Небо — как колокол,  
 Месяц — язык,  
 Мать моя — родина,  
 Я — большевик.

Братья — мняе,  
 Вам моя песнь.  
 Слышу в тумане я  
 Светлую весть. (2, 48—49)

ესენინი თავის შემოქმედებაში რევოლუციის თემას რაც მეტი დრო იგადიოდა მით უფრო საპატიო ადგილს უთმობდა. პოეტმა ხორცი შეასხა აღრინდელ ჩანაფიქრს და ეპოქის გარდაქმნელი ძალები მხატვრულ სახეებში წარმოგვიდგინა, ღრმა და მასშტაბური გახდა მწვავე სოციალური პრობლემების პოეტისეული გააზრება, ისე როგორც სოციალისტური

სინამდვილით განპირობებული დადებითი გმირის ხასიათი. ესენინის ეს მნიშვნელოვანი ევოლუცია სავსებით გამოკვეთილად გამოვლინდა პოეტის ეტაპურ პოემაში „სიმღერა დიად ლაშქრობაზე“, რომლის საბოლოოდ დასრულებული ტექსტი პირველად გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა 1924 წლის 14 სექტემბერს. ავტორი შესავალშივე რუს ხალხს მიმართავს, მისი მთავარი საზრუნავიც მწრომელი მასების განზოგადებული მხატვრული სახის შექმნაა. ესენინმა კარგად იცის, რომ სწორედ ხალხია ისტორიის განმსაზღვრელი ძალა და ამიტომაც მისდამი უსასწერო ნდობითაა გაჰსჭვალული, რომ რუსი ხალხის კრებით სახეს მთლიანობის შეგრძნება შემატოს, ესენინმა ისტორიულ წარსულში ექსკურსის ხერხს მიმართა, ჩვენი ყურადღება რევოლუციის აკვნის—პეტროგრადის დაარსებას მიაპყრო. პოეტი შეგვახსენებს სატახტო ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებულ ტრაგიკულ ეპიზოდებს, ისე, როგორც ათიათასობით ფაღვებულ სიცოცხლის ფასად მოპოვებულ შედეგების კლასობრივ ხასიათს. მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ეს უმოწყალო მსხვერპლი, გაღებულ სატახტო ქალაქის ასაშენებლად, ავადღებულებს მის დამცველებს იხსნას იგი შიდა და გარე მტრების თავდასხმებისაგან, რათა ახლა მაინც აღსდგეს სოციალური სამართლიანობა და ქალაქი მის ნამდვილ პატრონს დაუბრუნდეს. პოეტის სამართლიანი მტკიცებით, როგორც წარსულში, ამჟამადაც სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, პეტროგრადის გმირულ დამცველებს ისტორიული ჰუმანიტეტების დამკვიდრება ამოძრავებთ. პოეტის თანამედროვეებს სახელოვან წინაპართა ანდერძის შესრულება უხდებათ, ისინი მემკვიდრეობით მიღებულ უფლებებისათვის იბრძვიან. პოემაში პეტრე პირველის ბრძანებით ქალაქის მშენებლობის დროს უმკაცრეს პირობებში დაღუპულთა აჩრდილები მკაცრად აფრთხილებენ იმას, ვისი წყალობით დაიღუპა ათასობით უდანაშაულო ადამიანი და იმათაც, ვინც ახლა ცდილობს შეაჩეროს ისტორიის მსვლელობა, დაიბრუნოს ადრე ჟუკანონოდ მითვისებული სხვისი შრომითა და სისხლით მოპოვებული სიმდიდრე და კვლავინდებურად გააგრძელოს პარაზიტული ცხოვრება; მიმართავენ რა პეტრე პირველს, დაღუპულთა აჩრდილებს გამოაქვთ სამართლიანი განჩინება:

Поблашал ты знать  
 Со министрами.  
 На крови для них  
 Город выстроил.  
 Но пускай за то  
 Знает каждый дом —  
 Мы придем еще,  
 Мы придем, придем!  
 Этот город наш,  
 Потому и тут  
 Только может жить,  
 Лишь рабочий люд. (3,80)

პოეტს მკითხველი შორეულ წარსულთან პევირულად უკავშირდება. ასეთ ფსიქოლოგიურ კანონობილებას შექმნას ხელს უწყობს ორივე შემთხვევაში ხალხის ისტორიულ პროცესს განსაზღვრელ ძალად წარმოჩინება. ასევე მათი ზრუნვის რეკონსტრუქცია წარსულში და ახლაც. რათა აღსდევს სოციალურ სამართლებრივობას. ასევე დროს, განსხვავებით პეტრე პირველის ეპოქის მანებლიანად. რევოლუციონისა და სამოქალაქო ომის რუსეთის მოწინავე მებრძოლებს. მოსახლეობას შეგნებული აქვთ თავისი კლასობრივი უპირატესობა და იარაღით ხელში თვითონვე იცავს საკუთარ ინტერესებს:

Там за степью гул.  
Там за степью грым.  
Каждый в битве защищает  
Свой отцовский дом. (3,90)

პოემაში პირველად ესენინის შემოქმედებაში შექმნილია კომინისტური კრებითი მხატვრული სახე, რომლებიც ტყავის ქურთუკში ვადანდებენ. სამოქალაქო ომში გამარჯვების სულის ჩაბდევნები და ორგანიზატორები არიან. საყოველთაოდ ცნობილია კომინსართა როლი წითელ არმიის შექმნისა და მტრებზე გამარჯვების მოპოვების დიად საქმეში. ამიტომ. სავსებით ბუნებრივია, რომ ესენინმა პოემაში, სდაც დიდი ადვილი აქვს დათმობილი სამოქალაქო ომს. შექმნა მათი რეალისტური მხატვრული სახე. ტყავისქურთუკიანები, პოეტის სამართლებრივი მტკიცებით. ყველაზე ტრაგიკულ მომენტებში მებრძოლებთან იყვნენ და მგზნებარე სიტყვითა თუ პირადი მგალითთ აშანვეებდნენ მათ. იერიშების დროს პირველები გამოდიოდნენ წინა ხაზზე, შეაყენებლას კი მებრძოლებთანადმი ნამდვილ მამობრივ ზრუნვას იჩენდნენ. იყოფა ეს პეტრეაე და ამიტომ. უპირველეს ყოვლისა, მიზანში ისინი ამოიღო. პოემაში ხახვანმელია ის დიდ მსხვერპლი, რაც კომინსართა საბულოვანმა რაზმმა ვანიცაღა.

ძნელია სხვაგან, ოციან წლების პოეზიაში ვიპოვოთ კომინსართა ინტიტუტის წარმომადგენელთა უფრო მოკლე, ერთობ კოლორატული დახასიათება, ვინემ ეს პოემაშია მოცემული. აი, რას ვკითხულობთ იქ:

Но сильнее всего  
Те встревожены,  
Что ночами не спят  
В куртках кожаных,  
Кто за бедный люд  
Жить и сгннуть рад,  
Кто не хочет сдать  
Вольный Питер-град. (3,88)

აღსანიშნავია, რომ ესენინი ბრწყინვალედ ერკვევა სამოქალაქო ომის ისტორიაში. მართალია, პოემის შინაარსი ძირითადად ქვეყნის ევროპულ ნაწილში გამართულ ბრძოლებს მოიცავს, მაგრამ ავტორს არც აღმოსავლეთი გამორჩენია მხედველობიდან. ესენინი ობიექტურ სინამდვილის

სრულ შესაბამისად აღწერს ვრანგელისა და დენიკინის, კორნილოვისა და კოლჩაკის ვერაგულ ანტიეროვნულ საქმიანობას. ისე როგორც თეთრ-გვარდიელთა სხვა ავანტიურობას, მათი მოქმედების პროვოკაციულ ხასიათს; პოეტი კონტრევოლუციონერთა მუხანათურ გამოსვლებს თავიდანვე განწირულად მიიჩნევდა:

В белом стане крик,  
В белом стане бред.

И во всех кабаках  
Огни светятся . . .

И все пьют за царя,  
За святую Русь,  
В ласках знатных шлюх  
Забывая грусть. (3,91)

ამ განწირულთა ვაკქანალიის ფონზე რაოდენ ოპტიმისტურად ედერს წითელარმიელთა განწყობილების ამსახველი სტრიქონები, რომლებშიც ავტორმა მათი სულიერი სიმშვიდე და ხასიათის სიმტკიცე ჩააქსოვა:

Завтра, еле свет,  
Нужно снова в бой.  
Спи, корявый мой!  
Спи, хороший мой!

Пусть вас золото,  
Свет зари кропит.  
В куртке кожаной  
Коммунар не спит. (3,91)

პოემაში მეფის გენერლების საპირისპიროდ ავტორი სამოქალაქო ომის ლეგენდარულ გმირებს ევროპელოვსა და ბუდიონს იხსენებს. თანაც, საზრიანად შერჩეულ ეპითეტების წყალობით, საკმაოდ ზუსტად მიგვანიშნებს მათ მეტროპოლ ბუნების ძირითად თავისებურებებს, ვოროშილოვის ხასიათში ხაზს უსვამს მის „გულადობას“, ხოლო ბუდიონის თვისებებიდან გამოყოფს მხედარმოავერის „სიმამაცეს“.

რევოლუციურ წარსულს, მის მსხვერპლს უძღვნა პოეტმა „ბალადა ოცდაექვსზეც“, რომელშიც ბაქოში საბჭოთა რესპუბლიკის დაცემასა და ინგლისელების მიერ 26 კომისრის დახოცვის შემზარავი ამბავია გადმოცემული. აღსანიშნავია, რომ ეჭვინი ბაქოს კომისრების რევოლუციურ საქმიანობას ჩრდილოეთში ლენინის მოღვაწეობის შუქზე წარმოაჩენს და შედარების ზერხით რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესის მთლიან პანორამას ქმნის. თანაც შესანიშნავად არის დანახული და გადმოცემული მომხდარი რევოლუციური ძვრების საყოველთაო სახალხო ხასიათი:

Коммунизм —  
Зная всех свобод.  
Ураганом вскипел  
Народ.  
На империю встали  
В ряд

И крестьянин  
И пролетарнат.  
Там, в России,  
Дворянский быч  
Был наш строгий отец  
Ильич.  
А на Востоке  
Здесь  
Их было  
26. (2, 102—103)

პოეტი საგანგებოდ აღნიშნავს შაუმიანისა და ჯაფარიძის ხელმძღვანელ როლს, მათ ოპტიმიზმითა და კომუნიზმის გამარჯვების რწმენით გამსჭვალულ მტკიცე სხასიათს. საყურადღებოა, რომ ესენინი აღწერილი მოვლენების პასიური მყოფობელი როდია. რაც შეეხება რევოლუციურ მასებს, ისინი ხომ დაღუპულ გმირთა აჩრდილებს გზის მანათობელ შუქურებად მიიჩნევენ. შაუმიანისა და ჯაფარიძის გაცოცხლებული სახეები გვერდში ამოდგომია პოეტის ლირიკულ გმირსა და მასთან ერთად იღვწიან უკეთესი მერმისისათვის, უხარიათ საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო წარმატებები, მიესალმებიან სოციალისტურ სამშობლოს შემდგომ აღმავლობას. განა ამ საკაცობრიო მიზნების ხორცშესხმას არ შეეწირნენ ბაქოს სხვა კომისრებიც, რომლებმაც ბოლომდე შეასრულეს სახელოვან წინაპართა ისტორიული ანდერძი და ამით საკუთარი უკვდავებაც მოიპოვეს. მათ წინამორბედებზე კი მომხიბლავი საუბარია ესენინის მომდევნო მხატვრულ ტილოში „პოემა 36-ზე“, რომელიც თავის პრობლემატიკითა და იდეური მიმართულებით აწლს იდგას „ბალადასთან“.

ესენინის ეს პოემა გამოქვეყნდა გაზეთ „ზარია ვოტოკაში“ 1925 წლის 25 სექტემბერს, „ბალადა“ კი ერთი წლით ადრე გაზეთ „ბაქინსკი რაბოჩნიში“. თავდაპირველად პოემის სათაური იყო „ბალადა 36-ზე“, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც ესენინმა ბაქოს კომისრებზე შექმნა თავისი შესანიშნავი ლექსი და უწოდა მას „ბალადა 26-ზე“ პოემის შეუცვალა სათაური და ის პოეტის ყველა კრებულში შესულია როგორც „პოემა 36-ზე“. პოეტის ამ ორ ნაწარმოებებს შორის უდავო სიახლოვეთან ერთად განსხვავებაც დიდია. ისინი ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ლექსთა წყობითა და ინტონაციით გამოირჩევიან, დიდია მათი შინაარსობრივი სხვაობაც. პოემაში ავტორი ძირითადად შლისელებურგის 36 პოლიტპატიმარზე მოგვითხრობს, რომლებიც, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის მრისხანე იდეებში მკაცრ განაჩენს ელოდნენ. ხუთ მათთაგანს ცალ-ცალკე საკანში პატიმრობა მიუთაჩეს, ოცდათერთმეტს კი ციმბირის კატორღებში გადასახლება. დამახასიათებელია პოლიტპატიმართა განვლილი გზის პოეტისეული დახასიათება:

ყველა მათგანი  
მიტომ დასაჩეს,  
რომ ვერ ითმენდნენ  
ხალხის სატანჯველს,

რომ სილატაკით  
სასომხსდლი  
თვისტომის ხილვას  
სჯობდა სიკვდილი  
და მათაც  
თავი მიტომ გადადეს.<sup>1</sup>

36 პოლიტპატიმრის მოპავალ ტრაგიკულ ცხოვრებიდან პოეტმა მხოლოდ ორი მათგანის მძიმე, მაგრამ საბოლოო გამარჯვების იმედით გაცისკროვნებულ ბედზე შეაჩერა ჩვენი ყურადღება. ესენი არიან შლისელბურგის ციხე-სიმაგრეში დარჩენილებიდან „მეხუთე“ და საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნილთაგან „ოცდამეთერთმეტე“. მათი წერჩვევა ერთობ სიმბოლურია. როგორც პირველი, ისე მეორე შემთხვევაშიც ავტორმა გამოპყო სწორედ ის, ვინც არ შეუძრიდა მძიმე ხვედრს და თავიდანვე ვაქცევის საშინაღრს შეუღდა. პირველმა ეს პეტერბურგში მოაზერბა, მეორე კი უკვე ციმბირში შეიპყრეს და ერთ კამერაში მოათავსეს. გახანგრძლივებულ სიკვდილისაგან მათ ოქტომბრის რევოლუცია იხსნის. როგორც უხედავთ, სიუჟეტი მარტივი და რევოლუციანდელი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრებისათვის საკმაოდ დამახასიათებელია, მისი მხატვრულად დამუშავება ავტორისაგან დიდ დროსა და დამაბულობას არ მოითხოვდა. სამაგიეროდ ერთობ საინტერესოდ არის გადაწყვეტილი ეპიკურ თარობის ქსოვილში ლირიკულ გადახვევებისა და რემარკების ბუნებრივად ჩართვის ძნელი პრობლემა. ამ გადახვევებიდან კი აშკარად ჩანს პოეტის აქტიური პოზიცია, მისი დადებითი დამოკიდებულება პოემაში აღწერილ რევოლუციურ პროცესისადმი. სწორედ გადახვევების წყალობით ეცნობა მკითხველი ავტორის გულისტკივილს აურიცხავი მსხვერპლის გამო, რომელიც მშრომელთა განთავისუფლებამ მოითხოვა; აქვეა აღწერილი ოქტომბრის ზეიმი და ის უმრეტი ოპტიმიზმი, რომელიც რევოლუციონერთა მუდმივი თანამგზავრი იყო. მიუხედავად პოლიტპატიმრების პირქუში, ტრაგედით აღსავსე ცხოვრებისა „პოემა 36-ზე“ მაინც ოპტიმისტური ჟღერადობის ნაწარმოებია. ამაზე მიუთითებს ის მაჟორული ინტონაცია, რომლითაც ესენინი ამთავრებს მას:

დღე დღეს მიჰყვება,  
დრო მალე გადის,  
კვლავ დაუბრუნდენ  
ცხოვრებას ნამდვილს,  
ყველამ ახალი  
აიგო სახლი,  
ჭიხინებს ცხენი,  
ღავლავებს ძალი,  
კერიის კვამლი  
კვლავ ცაში ადის. (123)

<sup>1</sup> სერგეი ესენინი. ლექსები, პოემები. თბ., „მერანი“, 1985, გვ. 111. თარგმ. თ. ბეჭიშვილისა.

ესენინის პოეზიაში სამშობლოსა და რევოლუციის თემა, ისე როგორც სოციალისტური სინამდვილის რეალისტური გააზრება მკვიდროდ უკავშირდება ვ. ი. ლენინის მხატვრულ სახის შექმნას. პოეტს ბელადის პიროვნება სხვანაირად ვერ წარმოუდგენია თუ არა ისტორიული გარდაქმნებისათვის დაუღალავი მებრძოლი. მის ლექსებაა და პოემებში ლენინის იდეები და პრაქტიკული მოღვაწეობა სამშობლოს მანისა და განახლების დაუშრეტელ წყაროდაა წარმოდგენილი. ესენინი ბმარად მიმართავდა ბელადის შაგალითს, მისთვის ლენინი სიმართლისა და უმწიკვლო ზნეობის ეტალონი. მართალია, ესენინმა გამოძიერწა ბელადის მამზიდველი პოეტური სახე, მაგრამ მიღწეულით ის მაინც უკაცყოფილო იყო და ემზადებოდა ლენინის მონუმენტური ხასიათის შესაქმნელად. მძიმედ იგანიცადა პოეტმა ვ. ი. ლენინის გარდაცვალება. ამ ტრაგედიის კვალდაკვალ შეუდგა ესენინი ბელადის მხატვრულ სახის გააზრებას. ცოცხალ შთაბეჭდილებათა მოზღვაება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ 1924 წლის თებერვლის შუა რიცხებში ესენინი მგობართა ვიწრო წრეში უკვე კითხულობდა პოემის ნაწყვეტს. ხოლო იმავე წლის მაისში აღმანახ „ქრუვის“ მესამე წიგნში დაიბეჭდა პოემა „ლენინის“ პირველი 87 სტრიქონი, ბოლო 15 სტრიქონი კი გამოქვეყნდა ეურნალ „ქრასნაია ნოვის“ ნომბრის ნომერში. მთლიანად პოემა „ლენინი“ პირველად დაიბეჭდა კრებულში „სახბოთა ქვეყანა“, რომელიც თბლისში გამოვიდა 1925 წელს.

„ლენინი“ თავდაპირველად შედიოდა ეპიკურ პოემაში „გულიაი-პოლე“, რომელშიც რევოლუციისა და სამოქალაქო ომის თემა მასშტაბურად უნდა ასახულიყო. სამწუხაროდ, ჩვენამდე ამ ტილოს მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწია. რაკი ავტორის ჩანაფიქრით „გულიაი-პოლეში“ ვ. ი. ლენინის პიროვნებასა და მოღვაწეობას დიდი ადგილი ჰქონდა დათობილი, მასზე დაწერილმა სტრიქონებმა დამოუკლებელი ნაწარმოების ხასიათი მიიღეს, ამიტომაც შესაძლებელი შეიქმნა მათი ცალკე პოემაზე გამოქვეყნება. პოეტის სიცოცხლეში „ლენინი“ როგორც დასრულებული ნაწარმოები სამჯერ დაიბეჭდა. პოემამ მკითხველთა ინტერესი გამოიწვია. რაც მთავარია, მასში საგრძნობლად გამოიკვეთა ესენინის შეხედულება დიდ ბელადზე. მკითხველს პოემის პირველივე სტრიქონებში აღწერილი ისტორიული მოვლენები, რომელსაც ლენინი წარმართავდა, პოზიტიურად განაწყობს. გამოკვეთილად რომ უჩვენოს რევოლუციური პროცესის გრანდიოზული მნიშვნელობა, პოეტმა მიმართა შედარებით ხერხს და პოემაში შექმნა არცთუ შორეული წარსულის პირქუში სურათი, სადაც იგრძნობა უაზრო ომებისა და ძალმომრეობის იარებით გამოწვეული ტკივილები, ამ სუსხითა და ტრაგედიით აღსავსე მოვლენების ფონზე შთამავონებლად გამოიკვეთა ლენინის სახე. მისი მოღვაწეობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

ესენინს არსად არ ავიწყდება სამშობლო, ის ბელადის საქმესაც ქვეყნის სიყვარულს პოზიციებიდან აფასებს. პოეტის დასურათებით რუ-

სეთის აწყყო და მომავალი ორგანულად უკავშირდება ლენინის მოღვაწეობას, მის იდეებსა და საზრუნავს, ამიტომ გახდა ლენინი ესენინის ოჯახური გმირი:

რუსეთო!  
შენზე ვფიქრობ ნიადაგ.  
გშვენივს ენძელა და თეთრი არყი...  
ნეტავ საიდან შემოგრიალდა  
კაცი, სალაშქროდ, რომ დაძრა ხალხი.

აღსანიშნავია, რომ ესენინმა, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ აღტაცებით წერდა ლმერთზე და ეკლესიაზე, პოემა „ლენინში“ დაგმო ერთიც და მეორეც. ახლა ის ციხესა და ეკლესიას ერთ სიბრტყეზე აყენებს და ორივეს ადამიანთა სულთაშუთავად წარმოგვიდგენს:

მაშ, უფრო მძლავრად  
დაატრიალე, გრიგალო, სუსხი,  
რომ ეკლესიის და ციხის ჭუჭუი  
ღარიბ-ღატაკებს არ ეცხოთ მარად. (90-91)

შიუხედავად იმისა, რომ პოემის მთავარი გმირი ილუპება, ქვეყანა გლოვობს მძივე და აუნაზღაურებელ დანაკლისს, ავტორმა შეძლო მისი ოპტიმისტურად დამთავრება, რაც სავსებით შეესაბამებოდა ეპოქის მოთხოვნებს. პოეტი ნდობით უყურებს ლენინის დიადი საქმის გამგრძელებლებს:

თუმცა არ დასცალდა, არ დაეხანა,  
როდი დაგვტოვა უიმედონი,  
ღარჩნენ ისინი, ვინაც ქვეყანა  
უნდა შესაღტონ რკინა-ბეტონით.  
იმათ ვერ ეტყვი:  
„ლენინი მოკვდა“.  
დედაკაცი წუწუნი დაგმეს.

და ისე, როგორც მამაეებს მოსდგამთ,  
მტკიცედ განაგრძეს ლენინის საქმე. (92)

პოემა „ლენინის“ მხატვრულ ღირსებას მისი შეკრული კომპოზიციური აგებულებაც ზრდის, პოემა იმის ბრწყინვალე ნიმუშია, თუ როგორ მოკლედ და უბრალოდ შეიძლება წერო გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენებზე, ტრადიციული პოეტური საშუალებებით შექმნა შთაბეჭებითი მხატვრული სახე, ჩვეულებრივი ენით ილაპარაკო ადამიანზე, რომელმაც საქმიანა და მგზნებარე სიტყვით შეძრა კაცობრიობა და დასაბამი მისცა ცივილიზაციის განვითარების ახალ ეტაპს.

ბელადის გარდაცვალების წლის თავზე, ესენინი კვლავ დაუბრუნდა ლენინის თემას და ბათუმში მყოფმა შესანიშნავი ლექსი შექმნა, რომლის სათაურია „დედამიწის კაპიტანი“, ლექსი გამოაქვეყნა ვაზეთმა „ზარია



ვოსტოკამ“ პოეტის დალუპვის შემდეგ 1926 წლის 21 თებერვალს. ესენინი ლექსის დასაწყისში მიმართავს თანავედროვეებს და განმარტავს, თუ რამ განაპირობა მისი ესოდენ დიდი პატივისცემა ბელადისადმი, რატომ უძლერის ის დედამიწის კაპიტანს, მაშინ, როდესაც მისთვის უცხოა ფაქტობრივად განდიდება, ცალკეულ მათთაგანზე სიძლერების შექმნა. მაგრამ ის ამ შემთხვევაში შეგნებულად არღვევს პრინციპს, რადგან სულ სხვაა „სიმბირსკელი უბრალო ბიჭი“, რომელიც „ქვეყნის მეთავე გახდა“. პოეტი დაუშვალავი ლიბაყის გრძნობით წერდა:

ბედნიერი ვარ,  
რომ ავ-ბნელ დროში  
ესუნთქავდი  
მისი ფიქრებო და  
მისი გრძნობებო.

ესენინი ლენინის პიროვნებისა და მოღვაწეობის ისტორიულ მისიის განსაზღვრის დროს ახალ შტრიხებს პოულობს, წარმოაჩენს ბელადის ბუნების დემოკრატიულობასთან ერთად ნებისყოფის სიმტკიცესა და პრინციპულობას:

ზეითების განმწმენდ  
გუგუნ-გრილში,  
ოდნავ მრისხანე.  
საყვარელი,  
ბანად მოვლენილი,  
ბევრს აზროვნებდა  
ისე, ვით მარქსი  
და ქმნიდა ისე  
როგორც ლენინი. (55)

რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ იმის მტკიცებისაგან, რომ მგოსანი მაშინ მთელი სიღრმით ჩაწვდა ლენინის იდეებს, ბოლომდე გაიგო და დაეუფლა მის მოძღვრებას, მაგრამ ერთი რამ უდავოა: რომ შემოქმედების უკანასკნელ წლებში პოეტი ლენინის თეორიისა და პრაქტიკულ მოღვაწეობისადმი ერთობ გაზრდილ ინტერესს იჩენდა. ეს აისახა ესენინის სხვა ნაწარმოებებშიც. რომელთა ნაწილს ჩვენ უკვე ვიცნობთ. პოეტს სამართლიანად მიიჩნდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის მომზადება, სოციალისტური პრინციპების დამკვიდრება და მისი შენარჩუნებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლას ორგანიზაცია უშუალოდ დაკავშირებულია ლენინის სახელთან. ამიტომ იმ ნაწარმოებში, სადაც ესენინი რამდენადმე სრულყოფილად ეხება ახალ სინამდვილეს, გვერდს ვერ უვლის ბელადის ცხოვრებასა და საქმიანობას, მთლიანად თუ არა ზმანითის ცალკეულ საინტერესო შტრიხებს მანაც გადმოგვცემს. ასეთია, მაგალითად, პოემა „ანა სნეგინა“.

1 სერგეი ესენინი. ლექსები, პოემები. ბათ., „საბჭოთა აკარა“, 1969, გვ. 54. თარგმ. გ. სალუქვაძისა.

ეს პოემა ესენინმა ძირითადად ბათუმში ყოფნის დროს დაწერა 1924 წლის ნოემბერ — 1925 წლის იანვარში. როგორც გ. ბენისლავაკიაძე-ში გაგზავნილ წერილიდან ირკვევა, ესენინს პოემაზე მუშაობა ჯერ კიდევ თბილისში დაუწყია, ყოველ შემთხვევაში, 1925 წლის 26 იანვარს ბათუმიდან ნ. კერებიცისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: «Сейчас заканчиваю писать очень большую поэму. Приеду, прочитаю». (6, 174) რომ ესენინმა სწორედ ბათუმში დაასრულა „ანა სნეგინა“ — ეს ავტორის მინაწიკებიდანაც ჩანს. პოემის ბოლოს ესენინს თავისი ხელით დაუწერია: „1925 წლის იანვარი. ბათუმი“. ამდენადვე. მემუარისტთა მტკიცება, თითქოს ესენინმა „ანა სნეგინა“ მოსკოვში დაამთავრა, ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებულია.

„ანა სნეგინა“, ძირითადად, ავტორის უშუალო დაკვირვებებისა და განცდების შედეგად შექმნილი ლირიკულ-ეპიკური ტილოა, სადაც პოეტმა უხვად გამოიყენა საკუთარი ცხოვრების ეპიზოდებიც. ცნობილია აგრეთვე პოემის მთავარი პერსონაჟების პროტოტიპები, ისე როგორც სოფლები რადოვი და კრიუშა, სადაც ძირითადად იშლება პოემაში აღწერილი მოქმედება; ისინი ესენინის მშობლიურ კონსტანტინოვოს მახლობლად მდებარე სოფლები ყოფილა, იგივე სახელწოდებით. ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის ავტორს ფართო განზოგადებას მიაღწიოს და თავისი ეპოქის დამახასიათებელი ტიპური ხასიათები შექმნას. ესენინი არც სინამდვილიდან აღებული ფაქტების თავისებურ გააზრებას შორიდებია, ის ნაწარმოების იდეურ მიმართულების შესაბამისად შეგნებულად გადაასხვავებებს, ანდა სულ სხვა მიმართულებას აძლევს ცხოვრებისეულ მოვლენებს. საკმარისია დავასახელოთ ანა სნეგინას პროტოტიპის ლ. ი. კაშინას რევოლუციის შემდგომი ცხოვრება, ის რადიკალურად განსხვავდება პოემის გმირის ბედისაგან. კაშინა ემიგრანტი არასდროს ყოფილა, მან თავისი ცხოვრება მოსკოვში გააგრძელა და იქვე გარდაიცვალა.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა მალალ შეფასებას აძლევდა ავტორი „ანა სნეგინას“ იდეურ-მხატვრულ ღირსებას, რაააც ვერ ვიტყვით იშროინდელ კრიტიკოსთა უმრავლესობაზე, რომლებმაც პოემის სწორედ ის ღირსება უგულებელყვეს, რითაც ასე პოზიტიურად გამოირჩევა საბჭოთა პოეზიის ეს მნიშვნელოვანი შენაძენი. „ანა სნეგინაში“ ხომ ავტორს მძაფრი რევოლუციური გარდაქმნები და ცხოვრების რომანტიკული იმპულსები ორგანულ მთლიანობაში აქვს გააზრებული. ეს კი პოემის შინაარსს ცხოვრებისეულობას მატებს, იზრდება მოვლენების რეალისტური შეგრძნება, შენარჩუნებულია ეპოქის გმირული სუნთქვა. პოემის ცალმხრივ შეფასებას არ შეუცვლია მისადმი ავტორის განსაკუთრებული დამოკიდებულება, საკუთარი ნიჭის ამ დიდ წარმატებაზე ესენინს ბოლომდე მალალი შეხედულება დარჩა. და არც შემცდარა, „ანა სნეგინამ“ უკვე დიდი ხანია საყოველთაო აღიარება მოიპოვა. პოემა ოციან წლების საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება, მას ყველგან

დიდი ინტერესით კითხულობენ. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. „ანა სნეგინაი“ პოეტის ნიჰმა მანამდე მიტყვედომელ სრულყოფას მიაღწია. მის მიერ იშვიათი მხატვრული ძალით ასახული რევოლუცია და სამოქალაქო ომი, განსაკუთრებით კი სოფლად სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრების რთული პროცესი, დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. სათნოა და მაღალ ზნეობრივ ნორმებს ეყრდნობა ლირიკული გვირგვინი და ანას სიყვარული. მათი უზრთველობის სიწმინდეც ვერც ცხოვრებისეული სიძნელეები გააშუქებენ. ამ მხატვრულ ტილოში ესენინმა სოციალისტური რეალიზმის დაუფლების ძნელ გზაზე ახალ დიდ წარმატებას მიაღწია. მის მიერ ნაქრწი პერსონაჟები ეპოქის შვილები არიან და სიამყის გრძნობით მოაქვთ გვირგვინი წარსულის დიდების აღაპი.

ცნობილია, რომ პოეტი თავის ადრინდელ შემოქმედებაში გლეხებს ძირითადად მთლიან მასად წარმოგვიდგენდა. ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მათ დიფერენცირებულ ასახვას, რაშიც უთუოდ ხალხოსნების იდეების გამოძახილი იგრძნობა. სამაგიეროდ ავტორი სულ სხვა კუთხით ეხება სოფლის მკვიდრთა ცხოვრების მხატვრულ გააზრებას პოემაში „ანა სნეგინაი“. აქ ჩვენ თვალწინ გადაიშლება რევოლუციამდელი რუსეთის გლეხთა ურთიერთ მტრობითა და შუღლით აღსავსე ყოფის ჩამოფიქრებელი სურათები. პოეტის სამართლიანი მტკიცებით, მათ ტრაგედიას არა მხოლოდ სოციალური მიზეზები განააზღვრავდნენ. სოფლის მკვიდრთა უმწეო ხვედრი განპირობებული იყო აგრეთვე სახნავ-სათესებრსა და ტყე-სამოვრების უსაპართლო განაწილებით. გაუნათლებლობითა და კლასობრივი თვითშეგნების დაბალი დონით. ყოველგვ ეს იცოდა „ანა სნეგინას“ ავტორმა და პოემის შესავალშივე გამოაშკარავა მხვენელმთესველთა დაბეჩავების ყველა ძირითადი მიზეზი. დამაჯერებლად ვაანალიზა ექსპლოატაციის, როგორც სოციალური, ასევე ზნეობრივ-მორალური საფუძვლები.

პოემაში არც რევოლუციის შემდგომი სოფელია თავისუფალი უმეცრებისაგან. „ანა სნეგინას“ დადებით გვიჩვენებს კი ძალზე ბუნდოვანი და პრიმიტიული წარმოდგენა აქვთ მიმდინარე რევოლუციურ პროცესზე, სოციალურ სამართლიანობაზე, ადამიანურ ღირსებებზე. პოემის პერსონაჟებს შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც რევოლუციის პირველ წლებში ისარგებლეს ხელისუფლების სისუსტით და ხელი მიჰყვეს სპეკულაციასა და მაროდროობას; სხვები, განსაკუთრებით შეძლებულ გლეხთა შორის, მოჩვენებით მიეპირნენ სოციალისტურ სინამდვილის მშენებლებს, ფაქტიურად საკუთარ ინტერესებს იცავდნენ. ესენინის მახვილ თვალს არც კულაკთა მეტაპორფოზა გამოპარვია. „ანა სნეგინას“ ავტორის სამართლიანი მტკიცებით, ოქტომბრამდე და მის შემდეგ გლეხთა უკუღმართი ყოფის მიზეზები ბევრად განსხვავებული იყო, მაგრამ რევოლუციის პირველ წლებში, როგორც ეს პოემაშია ნაჩვენები, ახალი

ცხოვრების პრინციპების დამკვიდრება სოფლებში ერთობ მტკივნეულად წარიმართა, თავი იჩინეს საუკუნეების მანძილზე დაუზოგავი ექსპლოატაციის შედეგებმა, გლეხთა უმრავლესობის ფსიქოლოგია ძნელად ეგუებოდა წარმოების საზოგადოებრივ პრინციპებს.

როგორც ზემოთ ითქვა, „ანა სნეგინაში“ ესენინი არცთუ იშვიათად იყენებს პირად ცხოვრებიდან აღებულ ფაქტებს. მწერლის ბიოგრაფიიდან ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა ადვილად გაერკვა ესენინი ოპის ანტიხალხურ ხასიათში და რა სწრაფად შეიცვალა მან შეხედულება ამ უაზრო და შემზარავ სისხლისღვრაზე. პოემაში ავტორი ოპთან ერთად ამხელს ბურჟუაზიულ პროპაგანდის სიყალბეს, რომელიც ცდილობდა იმპერიალისტური ოპი პატრიოტულ საბურველში გაეხვია. ესენინი ცხადად აგრეთვე თეთრგვარდიელების მიერ თავს მოხვეულ ძმთა ურთიერთმკვლელობას საშოკალაქო ოპის ფრონტზე. თანაც, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, პოეტი აღნიშნულის განსახლავს მტკიცედ დგას პარტიულ პოზიციას და საუკუნით იზიარებს მოვლენების ლენინურ შეფასებას:

ომმა დამიღრნა სული და გული,

მახლობელ სხეულს ვუშვერდი ლულას,  
მკერდით ვცოცავდი ძმების გვაგებზე.  
სათამაშო ვარ, მივხვდი თვითონ მე,  
ზურგში ტოვებენ დიდ ხალხს და ჩარჩებს.  
ქვემეხებს მტკიცედ დავემშვიდობე  
და ახლა ბრძოლას ლექსებით ვარჩევ.  
შორს გადავავლე წვეული თოფი,  
„ლოპა“ ხელდახელ ვიყრიე იქვე,  
ასეთი გულით, ასეთი წრთობით  
მე შევეგებე იმ ცხრაას ჩვიდმეტს!

პოემის ლირიკული გმირი მიესალმება თავისუფლებას, მაგრამ შეწუხებულია, რომ თებერვლის რევოლუციის ნაყოფი ხელთ იგდო „კერენსკიმ — ერთი საათის ხალიფმა“, რომელმაც გააგრძელა მფევის მიერ დაწყებული უღმობელი სისხლისღვრა, იმეორებდა მის ვერაჯულ ლოზუნგებს: „ომი ბოლომდე!“, „გამარჯვებამდე!“ პოემის გმირის განსაკუთრებულ პროტესტს დროებითი მთავრობის უგუნური პოლიტიკა იწვევს, რომლის წყალობით: „ყველა თაღლითი, ყველა უქნარა, სადაც იყო და ვისაც ნებავდა, ომში გვრეკავდა დასაღუპავად“.

„ანა სნეგინაში“ ლირიკულ გმირთან ერთად იმთავითვე ვეცნობით მგეტლეს, რომლის კოლორიტულ მხატვრულ სახეს რუსულ ლიტერატურაში საქმაოდ მრავალრიცხოვანი წინაპორბედები ჰყავს. როგორც მის საქმიანობას შეესაბამება, ის საქმაოდ ინფორმირებულია, იცის თუ რა ხდება ახლომახლო სოფლებში, ქორების მოტრფიალეა, თვითონაც ავრ-

<sup>1</sup> სერგეი ესენინი. ანა სნეგინა. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1970. გვ. 5-6, თარგმ. ჟ. ინჯიასი.

ცელებს ხმებს, ცბიერი და ძუნწია, არ თაკილობს თაღლითობასაც. ერთი სიტყვით, მეეტლე ესენინის გააზრებითაც ტრადიციულ ჩარჩოშია მოქცეული.

ესენინი თუ მეეტლის ხასიათში კერძომესაკუთრულ ყოფით დანერგულ უარყოფით თვისებებს ააშკარავენს, სამაგიეროდ მეწისქვილის მხატვრულ სახეში ავტორმა რუსი კაცის უკეთესი თვისებები წარმოაჩინა. იგი კეთილი და კაცთმოყვარეა, იცის შრომისა და გარჯის ფასი, უყვარს სტუპარო, სათანადოდ აფასებს სიყვარულის ხალას გრანობას, ახარებს მოყვასის წარმატება, განიცდის სხვის უბედურებას და დახმარების ხელს უწყდის განსაცდელში ჩავარდნილს... პოეტმა დასურათებით მეწისქვილე იდეალური გმირია. თუმცა, სასურველი იყო, რომ მისი კლასობრივ თვითშეგნებას მეტი კონკრეტულობა ჰქონოდა, მეწისქვილის მოქმედებასა და მსჯელობაში არეკლილა ზოგადშუპანური თვისებები. მეწისქვილეს მეუღლე ქმრის მსგავსად მშრომელი ადამიანის უკეთეს თვისებებს ანსახიერებს, გვხიბლავს მისი კეთილი ბუნება, რომელიც რუსი კლასიკოსების მიერ შექმნილ ბევრ ქალთა სათნო სახეს მოგვაგონებს.

უაუოდ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს სოფელ კრიუშას გლეხთა წინამძღოლის პრონი ოგლობინის მხატვრული სახე. თუმცა, მისი წარმოდგენა ახალ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით საბჭოთა წესების დამკვიდრების გზებზე და საშუალებებზე ზოგჯერ პრიმიტიული და სწორხაზოვანია, მაგრამ მას ვერ დასწამებ ორპირობას, ის მართალი კაცია და გულწრფელად სჯერა მისი მოქმედების სისწორე. ამიტომაც მკითხველი აპართლებს მას მამინაც კი, როდესაც ის თავისი ანარქისტული გადახვევებითა ზიანს აყენებს იმ საქმეს, რომელსაც ემსახურება. პრონი ოგლობინის წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგია სავსებით შეესაბამება მისი კლასის სოციალურ ბუნებას. ის იმ მასის ტიპური წარმომადგენელია, რომლის სათავეში აღმოჩნდა და ამიტომაც ხშირად მის არცთუ ეთიკურ გამოხვედებსა და ლანძღვა-გინებას თანასოფლელები რეაგირების გარეშე ტოვებდნენ. სამაგიეროდ, მოაწონდათ პრონის საქმისადმი ეროვნული დამოკიდებულება და მიჰყვებოდნენ მას. ამიტომ გაუსწორდნენ ოგლობინს დენიკინის კახაყები, რომლებმაც ყოველგვარი სასამართლოსა და ძიების გარეშე დახვრიტეს გლეხთა წინამძღოლი. სამაგიეროდ მისი ლოთი და უქნარა ძმა ლაბუტია, კახაყთა შემოსევის დროს რომ თავში იმაღებოდა, ახლა „გმირობის“ პრეტენზიას აცხადებდა და „წითელი ორდენით“ დაჯილდოებას მოითხოვდა. საწუხაროდ, ლაბუტიას მსგავსი პარაზიტები რევოლუციის ტალღას ამოჰყვებენ და ერთხანს ბოგინობდნენ კიდევაც. ეს პროცესი ქართულმა ლიტერატურამაც რელიეფურად ასახა.

„ანა სნეგინაში“ ავტორმა გლეხთა თავყრილობების მასობრივი სცენებიც შექმნა, სადაც დამაჯერებლადაა აღწერილი იმდროინდელი სოფლის წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება. პოეტმა ბრწყინვალედ გაართვა თავი რევოლუციური ეპოქის გლეხთა მსახების სულიერ განწყო-

ბილუმის მხატვრულად გააზრების რთულ ამოცანას და თაობებს სოფ-  
ლად სოციალისტური სინამდვილის დამკვიდრების შთამბეჭდავი სურა-  
თები დაგვიტოვა. რაც საგანგებო აღნიშვნის ღირსია, პოეტმა სწორედ  
მასობრივ პასაჟებში გადმოგვცა ბელადისა და სოფლის მკვიდრთა ინტე-  
რესის მთლიანობა, ხალხისა და ლენინის მისწრაფებათა ორგანული კავ-  
შირი. მათი მიზნების ერთიანობა:

მახსოვს კიბეთა რხევა ნელინელ,

ჩამწყრივებული

თავების რიგი:

„გვითხარ,

ვინ არის, ძმაო, ლენინი?!“

მე ვუპასუხე:

„თქვენა ხართ იგი“. (16)

პოემის მეორე სილუეტურ ხაზს ლირიკული გვირისა და ანა სნე-  
გინას ურთიერთობა ქმნის. ისინი პირველად ერთმანეთს 16 წლის ასა-  
ში შეხვდნენ. უმწიკვლო რომანტიკული სულის ყმაწვილებს ცხოვრება  
ცარდისფრად ეხატებოდათ, ოცნებობდნენ ნათელ მომავალზე, ჰქონდათ  
შორს დაშინული გეგმები. მაგრამ ობიექტური სინამდვილე ბევრად უფ-  
რო მკაცრი გამოდგა, ვინც ეს მათ წარმოედგინათ, ცხოვრებამ ყმაწვილე-  
ბი შშივე გამოცდის წინაშე დააყენა. პირველი, რაც ახალგაზრდების ბედ-  
ნიერებას გადაედო — ეს იყო მოულოდნელად აღმართული წოდებრი-  
ვი ბარიერი, ანა გათხოვდა მაღალი წრის წარმომადგენელზე, ლირიკული  
გვირი კი თანმიმდევრულად იღწეოდა ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად და  
კიდევაც მიაღწია მიზანს, გახდა ცნობილი პოეტი. თუ არა შემთხვევა,  
ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი დარჩებოდათ მათ პირველი სიყვა-  
რულის ფაქიზი გრძნობა. ამ შემთხვევაშიც ესენინი არ ღალატობს რე-  
ალიზმის პრინციპებს. მართალია, პოემის მთავარი პერსონაჟები მხოლოდ  
ახლა მიხვდნენ, რომ ყვარებით ერთმანეთი, თანაც ისეთი მაღალი წმინ-  
და გრძნობით, რომელიც ყმაწვილობისას თუ შეიძლება ჰქონდეს ადა-  
მიანს, მაგრამ პოეტი შეგნებულად არ აახლოვებს მათ. მკითხველისათვი-  
საც ნათელი უნდა იყოს, რომ ფიქრებს შორის წარსულის აღდგენა სი-  
ნამდვილის ობიექტური ასახვის პრინციპების დარღვევის გარეშე შეუძ-  
ლებელი იყო. ცხადია, კოლოზიის შეშრიგებლური გადაწყვეტა, ისე რო-  
გორც ანასა და ლირიკული გვირის დაახლოება, მით უმეტეს შეუძლება  
პოემას რეალიზმის ძალას დაუკარგავდა და თვით სიყვარულის აპოლო-  
ბული გრძნობა გაფერმკრთალდებოდა. მით უმეტეს, რომ პოემის პერ-  
სონაჟებს შორის ამჟერად რევოლუციითა და სამოქალაქო ომით წარ-  
მოშობილი დამატებითი სიძნელეები აღმართა, ლირიკული გვირი ახალ  
ცხოვრების მშენებელთა ბანაკშია, ანა კი ბარცადის მიღმა დარჩა. მი-  
უხედავად აღნიშნული სიძნელეებისა, ესენინმა ეს შესანიშნავი მხატვ-  
რული ტილო მისთვის ერთობ მნიშვნელოვანი სტრიქონებით დაამთავრა:

ამ წლებს ხსოვნიდან რა გარაყუდა,  
იმის ნათელი ახლაც მიტაცებს.

ჩვენ ყველას თითო ვიღაც გვიყვარდა,  
ზეწაც ვეყარებოვართ  
უფრემ ვილაყებს (34).

„ანა სნეგინას“ სხვა ღირსებასთან ერთად თვალში გვცქვით მისი ავტორის პოეტური სიძწიფე, რაც პირველ რიგში მხატვრულ სახეების ხელშეისახებად ძეგწვაში ვლინდება. ეპიზოდური პერსონაჟიც კი საყსებით გამოკვეთილია და ტიპური თვისებებით ხასიათდება. მდიდარი და მრავალფეროვანია პოემის ენა. მშვიდ ეპიკურ თბრობას ბუნებრივად ენაცვლება ლირიკული ემოციებით დამუხტული პასაჟები. პოემის ყველა მონაკვეთში იგრძნობა ასახულ ისტორიული პროცესის სიღრმისეული ცოდნა, კონკრეტული მოვლენების პოეტურ სახეებში გადმოცემის იშვიათი უნარი, ისე როგორც დამახასიათებელი პიროვნული თუ სოციალური შტრიხების შერჩევის საოცარი ალღო. „ანა სნეგინაში“ ესენინის ნიჭმა მანამდე მიუწვდომელ სიღაღით გაშალა ფრთები. პოემა დღესაც ოციან წლების საბჭოთა ლიტერატურის უჭკნობ მარგალიტად ოთვლება.

„ანა სნეგინას“ ავტორმა სამხრეთში ყოფნისას საგრძნობლად გადასინჯა არა მხოლოდ იდეურ-ესთეტიკური მრწამსი, მან სხვა კუთხით შეხედა ადამიანებს შორის ურთიერობას. უცუადო სიყვარულის წამიერი ეროტიკული გატაცების მოტივები, დაგმო სამიკიტნობის ბურუსში გაბვეული მსუბუქი სატრფიალო სიმღერები და კვლავაც კლასიკოსთა ტრადიციების გაგრძელების ნაცად გზას დაადგა. აღნიშნული თვალსაზრისით, ერთობ მნიშვნელოვანია ესენინის ბოლო წლის ლირიკული პოეზიის ნიმუშები, გაერთიანებული ლექსთა ციკლში „სპარსული მოტივები“. ამ ყრბულში შესული თითქმის ყველა ლექსი პოეტმა სამხრეთში ყოფნის დროს დაწერა; ის ორიოდ გამონაკლისიც, რომელიც ესენინმა, როგორც ჩანს, საბოლოოდ დახვეწა მოსკოვში და იქიდან „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქტორ პ. ჩაგინს გამოუგზავნა, სამხრეთში მიღებულ შთაბეჭდილებათა მხატვრულად გააზრების ნაყოფია. „სპარსული მოტივები“ იდეურად შეკრულ ნაწარმოებთა ციკლს წარმოადგენს. წაკითხვისას ერთი მთლიანი შთაბეჭდილება გვრჩება. ეს მამინ. ოოდესაც კრებულის შინაარსი და თემატიკა მრავალფეროვანია და უთუოდ მისი ავტორის შემოქმედებოთი დიაპაზონის გაფართოებასა და ჟანსად განწყობილებაზე მეტყველებს.

„სპარსულ მოტივებში“ შესული ლირიკული ლექსები გამოირჩევა სიყვარულისადმი ავტორის გულწრფელი აპაღლებული დამოკიდებულებით, პოეტი ხოტბას ასხამს გრძნობათა უშუალოებასა და სიწმინდეს, სულის სიფაქიზესა და რომანტიკულობას. ესენინი აღიღებს საადის, ომარ

ხაამის, ფირდოუსისა და სხვათა პოეზიის გამჭვირვალე ლირიზმს, განუმეორებელ აღმოსავლურ კოლორიტსა და ფერთა სიუხვეს. ამავე დროს, მის მახვილ თვალს არ გამოპარვია მუსულმანური რელიგიის დესპოტიზმობა, რომელმაც ქალის სილამაზეს ჩადრი ჩამოაფარა და ბუნების ეს უმშვენიერესი ქმნილება ოჯახისა და მეუღლის მონა გახადა. მიუხედავად ამისა, მაჰმადის მოძღვრებმა მაინც ვერ შეძლეს ქალში სიყვარულის გრძნობის ჩაკვლა, ბუნებამ თავი გაიტანა და პოეტმაც გულწრფელად უმღერა აღმოსავლელი ასულის გშნითა და ვნებით აღსავსე სიყვარულს:

ნუ უთვალთვალებ ბაღის კარს ასე,  
სხვა გზას მოძებნი ტრფილით მოვრალი...  
შეჩადროსანმა სიტუფით სავსემ,  
ვანა ტყუილად ჩამიკრა თვალი<sup>1</sup>.

ამ ციკლის ლექსების უმრავლესობის პერსონაჟთა პროტოტიპად ავტორმა ბათუმში გაცნობილი მასწავლებელი ქალი შაგანე ნერსესის ასული ტალიანი გამოიყენა. ახლა ძნელია იმის თქმა, შაგანეს თუ რა თვისებები მოეწონა პოეტს და პერსონაჟთა რომელი შტრიხებია მის მიერ შთაგონებული, მაგრამ ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ესენინი წარმოგვიდგენს შაგანეს, შაგას, როგორც სპარსელ, საზოგადოდ კი აღმოსავლელ ქალს სინაზისა და მიწიწიღველობის განსახიერებად. ისეთ ლექსებში, როგორცაა „შაგანე, ჩემო კარგო შაგანე...“, „შენ მითხარი, რომ საადი...“, „ფირდოუსის მშობლიურო მხარე...“, „რად ანათებს ნეტავ ასე მკრთალად...“ და სხვა. ჩვენ წინ ცოცხლად წარმოდგება აღმოსავლური კლდემაშოსილებითა და სულიერი სიფაქიზით აღსავსე უმანკო არსება, რომელსაც ნაზად ეტრფის პოეტის ლირიკული იმპირი, თუქცა მას არ ავიწყდება საკუთარი ჩრდილოური წარმოშობა და რუს ასულთა ტრფილი:

შაგანე, ჩემო კარგო შაგანე.  
აჲ, ჩრდილოეთში ერთი ქალია,  
შენებ რამაზი, შენი ცალია,  
იქნება ჩემზე ფიქრით აღამებს...  
შაგანე, ჩემო კარგო შაგანე...<sup>2</sup>

ამ ციკლის თითქმის ყველა სხვა ლექსშიც იგრძნობა სამშობლოსადმი პოეტის დიდი და უანგარო სიყვარული. მიმართავდა ის სპარსეთს თუ აღმოსავლურ პოეზიის კორიფეებს, პოეტს ყოველთვის მშობლიური მხარე აგონდებოდა. აღმოსავლურმა ეგზოტიკამ ესენინის სულიერ სამყაროში პატრიოტიზმის ახალი სიო ჩაჰვერა და პოეტი გულმოდგინედ

<sup>1</sup> სერგეი ესენინი. სპარსული მოტივები, თბ., „მერანი“, 1984, გვ. 4, თარგმ. ზ. გაბუნიათი.

<sup>2</sup> სერგეი ესენინი. ლექსები, პოემები. ბათ., „საბჭოთა აჰარა“, 1969, გვ. 62, თარგმ. გ. სალუქვაძისა.



ემებდა გაუცვვეთელ უპიტიტებს თუ შედარებებს, გაუზუნებელ რომანტიკულ ფერებს თუ დამატებობ სურნელს, რათა ეს მოზღვავებული ლირიკული ადგზნება შესატყვის პოეტურ სტროფებში გადმოეცა:

რუსეთს უნდა დაეებრუნდე მალე.  
ოი, სპარსეთო! განშორება მწარე  
სინანულს ცუემლით ნამავს თელებს.  
რადგან მყევარს მშობლური მხარე,  
რუსეთს უნდა დაეებრუნდე მალე (74).

ესენინის პოეზიის ეს მცირე ანალიზიკ კი ნათელყოფს თუ რაოდენ ცოდავდნენ პოეტის შემოქმედების ველგარიზატორები, როდესაც მის მემკვიდრეობას საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის მიღმა ტოვებდნენ, მას კი აპოლიტიკურ მგონად აცხადებდნენ. უთუოდ ცოდავდნენ იაინი მაშინაც, როდესაც ესენინის მემკვიდრეობას სოციალურ სიმძაფრება და რევოლუციურ პათოსს აცლიდნენ, ხოლო პოეტის მნიშვნელობა მსუბუქ სატრფიალო ლექსებისა და პატრიარქალურ სოფლის მომღერლად დედაცვდათ. სინამდვილეში კი, როგორც დაეინაბათ, საბჭოთა პოეზიის ამ ბრწყინვალე წარმომადგენელმა ბობოქარი ეპოქის ამაბველი კოლორიტული ტილოები შექმნა, რომელთა მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება. ესენინის ესოდენ დიდმა ინტერესმა საქართველოსა და ქართულ კულტურისადმი თავისი ასახვა კპოვა პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ჩვენ უკვე გავეცანით საერთო ხასიათის რიგ ნიმუშებს, რომლის შექმნის დროს საქართველოში მიღებულმა მდიდარმა შთაბეჭდილებამ და მისი ხალხის გმირულმა ისტორიამ სრულიად გარკვეული როლი ითამაშა. პოეტი დაინტერესებული იყო აგრეთვე ორი მოამე ერის კულტურული წარსულით, შეეხო რუსულ პოეზიაში კავკასიის ადგილის განსახლდრის აქტუალურ პრობლემებს. მაგრამ ესენინის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში კონკრეტულ ქართულ თემის უშუალო ამსახველი სხვა საინტერესო ლექსებიც გვებდება. მართო „საქართველოს პოეტებს“ რად ღირს!

ეს ლექსი ავტორმა ქართველ მგონებთან ახლო ურთიერთობით მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე შექმნა. ის პოეტმა თბილისში დაწერა 1924 წლის ნოემბერში და აქვე გამოაქვეყნა გაზთ „ზარია კოსტოკაში“ (№ 735). როგორც ადრე ითქვა, კავკასიაა და საზღვარგარეთ მოგზაურობის შედეგად ესენინის პოეზიაში პატრიოტულმა თემამ უფრო ღრმა და ფართო შინაარსი მიიღო. ამიერიდან მისი ერთ-ერთი ზრუნვის საგანი ხალხთა მეგობრობის, მათი სულიერი დაახლოების გზებისა და საშუალებების ძიება იქნება. ამას ის მშობლოურ ქვეყნის წინაშე საბატო მოვალეობის მოხდად მიიჩნედა. პოეტს კარგად ესმოდა საყუთარი ერის ღირსებისა და ავტორიტეტის ზრდისათვის თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა ხალხთა კულტურულ თუ ეკონომიკურ მიღწევათა აღიარებას. აღსანიშნავია, რომ ლექსში „საქართველოს პოეტებს“ გაჩნდა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ურთიერთ მიმართების ახალი:

სოციალისტური მინამდვილით ნაკარნახევი გაგება. ესენინმა ერებს შორის შეგობრობა და სულიერი დაახლოება საბჭოთა ხალხთა ცხოვრების ნორმად აღიარა.

აღნიშნული თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო თბილისში დაწერილი მანიფესტური წასაითის სტატია, რომლის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტთანაც კი ნათლად ჩანს ავტორის ახლებური პოზიცია. ესენინი მოითხოვდა ქვეყნის პოეტურ ძალების გაერთიანებასაც კი. «... делают смычку рабочих и крестьян, — წერდა ის — то дайте нам смычку поэтов всех народностей. Мы будем сь этом писать и говорить еще не раз» (2,225).

ესენინის დანაპირის ერთ-ერთ ხორცმესხმად შეიძლება ჩაითვალოს „საქართველოს პოეტებს“. აქვე უნდა ითქვას, რომ პოეტის ეს ლექსი და ორი თვით ადრე დაწერილი „კავკასიაში“ ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს. ესენინი თითქოს აგრძელებს ადრე დაწყებულ საუბარს, მხოლოდ ამჯერად ის უმღერის პოეტთა გრძნობის ერთიანობას. ესენინის სამართლიანი მტკიცებით, ხალასი ნიკის მოგონისათვის ყოველთვის უცხო იყო ურთიერთმტრობა და შუღლი; პოეტების შეგობრობას ზელი ვერ შეუშალა ჟამთა უკუღმართობამ, შეფის გამთიწველმა პოლიტიკამ, ეროვნულმა თუ სოციალურმა ბარიერებმა. ამიტომ ესენინი ასე გულახდილად მიმართავს ქართველ თანამოკალმეებს:

Поэты Грузии!  
Я ныне вспомнил вас.  
Приятный вечер вам,  
Хороший, добрый час!

Товарищи по чувствам,  
По перу,  
Словесных рек кинение  
И шорох,  
Я вас люблю,  
Как шумную Куру,  
Люблю в пирах и разговорах.

Я — северный ваш друг  
И брат!  
Поэты — все единой крови.

И потому в чужой  
Стране  
Вы близки  
И приятны мне (2, 98—99).

პოეტის ლექსში „ბათუმი“ იგრძნობა პატრიოტული და ანტიერანციონალური გრძნობათა თავისებური შერწყმა. ესენინს იტაცებს ზღვის სილამაზადე, მისი მომაჯადოებელი სილამაზე, განსაკუთრებით მამინ, როდესაც იგი „...ტალღებს პეშეებით ისვრის“ და თავის ძლევათმოსილებას ავლენს. ამავე დროს, სამხრეთული ეგზოტიკა არამცთუ ანელებს, კიდევ

უფრო ამძაფრებს პოეტის პატრიოტულ შეგრძნებას, კბალებს სამშობ-  
ლოსთან განშორებით გამოწვეულ სევდასა და ნაღვლიანობას:

ხომალდი მიდის  
კონსტანტინოპოლს,  
მოსკოვისაკენ —  
მატარებელი.  
ყოველდღე მტანჯავს მოწყენილობა,  
გამიჩნდა რაღაც  
სადარღებელი.

შორსა ვარ ახლა,  
შორსა ვარ ისე,  
რომ უფრო ახლო  
მგონია მთვარე !.

„ბათუმში“ ესენინს აგონდება ევროპასა და ამერიკაში მოგზაურობის  
ეპისოდებიც, იქ მიღებული შთაბეჭდილებები თუ შინაგანი განცდები,  
მაგრამ კვლავ და კვლავ ის მშობლიურ მხარეზე ფიქრსა და ზრუნვას შე-  
უპყრია, ახლა მას „არღნის მტირალა ხმები ან წეროების შორი ძაბილი“  
ესმის და ამიტომაც თავის გულისნადებს ასე ნდობით უზარებან მკითხ-  
ველს:

სანაპიროზე ისევ და ისევ  
მივიჩქარი და  
სველას ვაკლებ.  
მოჯადოებულს  
გავცქერი სივრცეს  
და კაშნიან თვალს ვერ ვაკლებ (30).

აღსანიშნავია, რომ „ბათუმში“ ავტორი საკუთარი, თუმცა ერთობ  
საინტერესო, ლირიკული განცდებით როდი იფარგლება. კონკრეტულ  
მოვლენებზე მსჯელობას ბუნებრივად ენაცვლება ფილოსოფიური გან-  
ზოგადება „ცხოვრების საოცრებაზე“. ადამიანის ყოფის არსზე, და რომ  
„ყველანი სადღაც მივმშურებით, უხილავ კვალთა მიგნება გვინდა“. ამავე  
დროს, ლექსი კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტის პოეტურზაციის იმ-  
ვიათი მაგალითია.

1924 წლის 20 დეკემბერს გ. ბენისლავსკაიასადმი გაგზავნილ ბა-  
რათში ესენინი წერდა: «Днем, когда солнышко, я оживаю. Хожу  
смотреть, как плавают медузы. Провожая отъезжающие в Кон-  
стантинополь пароходы и думаю о Босфоре ... Однажды утром  
мы .... видим такую картину: идет на костылях хромой старик,  
тащит привязанную за пояс тележку, в тележке два щенка, на  
крыльях тележки две журицы, а на голове у него петух. Когда  
он идет, петух машет крыльями. Зрелище поразительное» (6.168).

<sup>1</sup> სერგეი ესენინი. ლექსები, პოემები. ბათ. „საბჭ. აქარა“, 1969, გვ. 28.  
თარგმ. გ. სალუქვაძისა.

თუ როგორ აისახა ლექსში პოეტის გასეირნება ზღვის სანაპიროზე, გემების გაცილება კონსტანტინოპოლში და ნანახით გამოწვეული განცდები ჩვენთვის უკვე ცნობილია, საინტერესოა წერილში აღწერილი ბოლო ფაქტის პოეტური გარდასახვაც:

ბულვარში ისმის  
ხალხის ხორხოცი —  
ვის არ გაართობს  
სერი მ' გავსი? —  
კუანალძობი  
დაღი: ნოხუცი  
და ზედ კეფაზე  
მაშალი ანი. (31).

კონკრეტულ პიროვნებას, ბათუმელ მეგობარს უძღვნა ესენინმა თავისი ლექსი „ლოვა პოეციის“. მოსალოდნელი იყო, რომ ის პირადი ურთიერთობით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მისი პოეტური აღლო ასეთ პირობებშიც კპოულობს კერძო შემთხვევებს განზოგადების საშუალებას და გვთავაზობს ფრიად საყურადღებო დასკვნას:

В кого-то я  
Теперь влюблен.  
Люблю и тщетно  
Призываю,  
Но все же  
Точкой корабля  
К земле любимой  
Приплываю (4,169).

ლექსში „ზარია ვოსტოკა“, სადაც პოეტი მიმართავს თავის მეგობრებსა და ნაცნობებს, რომლებიც რედაქციაში მუშაობდნენ, ასეთ სტრიქონებსაც ვკითხულობთ:

კაცს სულს ამოხდის ანაირი სევდის ნაპირი,  
ქალღლის ტბაში სამუდამოდ ჩაიძირები;  
კარბთა მაგივრად ვხედავ მხოლოდ ქარიელაპიებს,  
გული და ტვინი დამძიმგნა თევზის კბილებით<sup>1</sup>.

ესენინმა გაზეთში წაიკითხა ცნობა თბილისში უპატრონო ბავშვთა კოლექტორის განხნის შესახებ და ეწვია მათ. გამოესაუბრა კოლექტორის ბინდართ, მძიმედ განიცადა მათი ტრაგიკული ხვედარი, შუამდგომლობით მივიღა მინა ცხაკაიასთან. მიღებულმა ტრაგიკულმა შთაბეჭდილებამ უბიძგა პოეტს შეექმნა თავისი ერთ-ერთი მეტად შთამაგონებელი ლექსი „მიუსაფარი რუსეთი“, სადაც აისახა ესენინის, როგორც ადამიანისა და მწერლის უსაზღვრო ტკივილი იმ აურაცხელ უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა ტრაგედიის გამო, რომელიც საბჭოთა ქვეყანას მემკვიდრეობით

<sup>1</sup> ნიკოლოზ ვერეხიციკი. შეხვედრები ესენინთან. თბ., „ნაკადული“, 1979, გვ. 28. თარგმ. ო. შალაშვილისა.

დარჩა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის შედეგად. ლექსში აღსაბა-  
აგრეთვე ახალი ათონის ბერების შეიარაღებულ გამოსვლაში მონაწილე-  
ობის ფაქტი, რომელიც მასებისათვის იმ დღეებში გახდა ცნობილი. პო-  
ეტს საშართლიანად მიაჩნდა მონასტრების გადაცემა უპატრონო ბავ-  
შეთა სახლებად, რის შესახებ მას მ. ცხაკაიამ უამბო. საბჭოთა ხელისუფ-  
ლების ასეთმა ნაბიჯმა განაპირობა ალბათ ის იმედი და ოპტიმიზმი, რომ-  
ლითაც მთავრდება ლექსი:

Я знаю будущее.  
Это их ...  
Их календарь ...  
И вся земная слава.  
Не потому ли  
Мой горький буйный стих  
Для всех других —  
Как смертная отрава. (2,87—88)

ჩვენ აქ არაფერს ვწვრთ იმ მრავალრიცხოვან წერტილებზე, რომლე-  
ბიც პოეტმა საქართველოდან გააგზავნა და რომლებშიც ასახულია იმ-  
დროინდელი საქართველოს რთული სოციალური თუ ეკონომიკური ყო-  
ფის უამრავი საკითხები. პოეტის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში მკითხ-  
ველი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრ სხვა საინტერესო ეპიზო-  
დებსაც გაეცნობა.

საქართველოსა და მისი ხალხის კულტურისადმი ესენინის ასეთმა  
დიდმა ყურადღებამ შესაბამისი რეაქცია გამოიწვია მის ქართველ თა-  
ნამოკალშეებსა და მკითხველებში. ქართველი საზოგადოების ფართო მა-  
სებმა სიყვარულს სიყვარულთვე უპასუხეს და რუსი პოეტი ჩვენში  
იმთავითვე მახლობელი და ცნობილი გახდა. პოემა „აშხანავის“ ქარ-  
თული თარგმანი დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ „მნათობის“ მეექვსე  
ნომერში. ეს იყო ესენინის პირველი ნაწარმოები, რომლის მთარგმნე-  
ლად მოგვევლინა მიქელ პატარიძე. ამას მოჰყვა პოეტის სხვა ნაწარ-  
მოებების თარგმანები, ხოლო 1926 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ესენი-  
ნის ლექსთა კრებული, სადაც გაერთიანებულია პოეტის 15 ნაწარმოები,  
რომელთა თარგმანი ეკუთვნის იმავე პატარიძეს. კრებულში შესულია  
ესენინის ლექსები, როგორცაა: „მშობლიურ მზარეში“, „სიძლევა ძაღლ-  
ზე“, „უკანასკნელი ზოფლის პოეტი“, „საბჭოთა რუსეთი“, „წერილი დე-  
დას“, „პასუხი“ და სხვ.

ესენინის ლექსთა ქართულ კრებულს წინ უსწრებდა თბილისში 1925  
წელს მშობლიურ ენაზე მისი ნაწარმოებთა ცალკე წიგნად გამოცემა. კრე-  
ბული გამოვიდა სათაურით „საბჭოთა რუსეთი“, სადაც შევიდა პოეტის  
საქართველოში შექმნილი ლექსები და პოემები. სწორედ მაშინ მოხდა  
ესენინთან მოლაპარაკება გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ლიტერატურულ და-  
მატების რედაქტორობის თაობაზე. როგორც ითქვა, პოეტი ჟურნალის  
რედაქტორობას დათანხმდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ განხორციელ-  
და.

და. მართალია, ესენინი თავიდანვე ქართველთა საყვარელი პოეტი გახდა, მაგრამ მისი პოპულარობა საქართველოში განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო ათეულ წლებში, ამის დასტურად საკმარისია ითქვას, რომ დღეს ესენინის ყველა მთავარი ნაწარმოები თარგმნილია ქართულად, ჩვენმა მკითხველმა მისი ლექსებისა და პოემების რამდენიმე კრებული მიიღო, საქართველოს ყურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებით იუბილეს დღეებში, პოეტზე ქვეყნდება საინტერესო მიმოხილვითი სტატიები და მოგონებები. საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რომ ესენინის მემკვიდრეობის ქართულად აქლერების საპატიო საქმეს გულწრფელად ემსახურეს და ემსახურებიან ქართველ პოეტთა ყველა თაობის ნიჭიერი წარმომადგენლები. ანიტოშაც, უმეტესად ესენინის ნატიფი ლირიკა ქართულადაც ლაღად უღერს. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ნათარგმნის ცალკეული ადგილები საგრძნობლად შორდება დედანს.

პოეტის ბიოგრაფიის საინტერესო ფურცლად წარმოგვიდგება მისი ურთიერთობა ცნობილ ქართველ კრიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწე ილარიონ ბესარიონის ძე მგელაძესთან, რომლის ლატერატურული ფსევდონიმია „ვარდინი“, მეგობრებს წრეში მას „მამასაც“ ეძახდნენ. პოეტმა ის მოსკოვში გაიცნო და დაუახლოვდა. ურთიერთობამ მეგობრული ხასიათი მიიღო. ი. მგელაძე სხვა მახლობლებთან ერთად იჩინდა მზრუნველობას ესენინზე, ეხმარებოდა მას საყოფაცხოვრებო და საგამომცემლო საკითხების მოგვარებაში, ცდილობდა ყოფილიყო საქმის კურსში, თუ რით ცხოვრობდა პოეტი, რა ამოქრავებდა მის სულიერ სამყაროს. ეს ახლო მეგობრული ურთიერთობა თავის ასახვას პოემებს ესენინის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. პოეტი თავის წერილებში კეთილად იხსენიებს ვარდინს, ენდობა მის ლიტერატურულ გემოვნებას. ვარდინიც ერთ-ერთი პირველი საბჭოთა კრიტიკოსია, რომელმაც ესენინის პოეზიას დადებითი შეფასება მისცა. მრავალრიცხოვან გამოძახილთა შორის, რომელიც ი. მგელაძეზე გვხვდება ესენინის ბარათებში. ჩვენი აზრით, ყველაზე დამახასიათებელია 1924 წლის 17 სექტემბერს დის სახელზე თბილისიდან გაგზავნილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: «Вардин ко мне очень хорош и очень внимателен. Он чудесный, простой и сердечный человек. Все, что он делает в литературной политике, он делает как честный коммунист». . . (6,154).

1924 წელს თბილისში ჩამოსული ესენინი დაუახლოვდა სხვა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა დაამყარა „ცისფერყანწელებთან“, გახდა მათი ოჯახის წინააღმდეგ და საპატიო სტუმარი. რუს პოეტს დაუმეგობრდნენ ტიცინან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გოგლა ლეონიძე და სხვები. ქართველ პოეტთა წრეში ესენინი შინაურად გრძნობდა თავს და ერ-

თობ აფასებდა მისადმი თანამოკალწმეთა ესოდენ მეგობრულ დაპოკიდებულეებას. ეს არ იყო მხოლოდ ქართულ სტუმართმოყვარეობის გამოვლენა. ესენინს „ცისფერყანწელებთან“ ბევრი რამ ააბლოვებდა, განსაკუთრებით კი პოეზიის დანიშნულების იდენტური გაგება. ქართველ პოეტებს, ისე როგორც მათ ჩრდილოელ მეგობარს, მწერლის უპირველეს მოვალეობად ვიანხდათ ადამიანის შინაგანი სულიერი საპყაროს წარმოჩენა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია განცდებთან.

ქართველი სიბოლისტები მაშინ ჯერ კიდევ წვრილ ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ იდეოლოგიას ზეგავლენას განიცდიდნენ, მაგრამ მათ მსოფლმხედველობაში, ისე როგორც ესენინის პოეტურ მრწამსში, ხდებოდა სასურველი გარდატეხა. ახალმა სოციალისტურმა სინამდვილემ, რომელიც ზულ უფრო გაბედულად შლიდა ფრთებს, დადებითი გამოაზიილი ჰპოვა ცისფერყანწელებთა პოეზიაში, სადაც სოციალისტურმა რეალიზმმა თანდათანობით გაიკაფა გზა და ერთობ შესაძინე წარმატებას მიადწია. უკვე ოცდაათიან წლებში ცისფერყანწელები ქართულ საბჭოთა ლიტერატურის წამყვანი ძალა იყო. სწორედ მათი მრავალფეროვანი და მალალმხატვრული ნაწარმოებების წყალობით ქართულმა საბჭოთა პოეზიამ საერთო-საკავშირო აღიარება მოიპოვა, უკეთესი ნიმუშები კი გასცდა საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს. ამიტომ სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ესენინის ქართულ პოეტებთან დაახლოებას ორივე მხარისათვის უნდა მოეტანა სარგებლობა. თუნდაც იმიტოპაც, რომ რუს და ქართველ მგონებში მაშინ ხდებოდა პატრიოტიზმისა და პატრიოტული თემის გაგების არსებითი გადასინჯვა. „მასსოვს შეხვედრები „ცისფერყანწელებთან“ ჩემს ბინაზე, — ცკითხულობთ ნ. ვერჟბიციკის დასახელებულ წიგნში, — თამამი, მტკაცუნაბიჯებით შემოდირდა ჩვენს პატარა ოთახებში მალალი, მხარბეჟიანი პაოლო იაშვილი თავის განუყრელ თანამგზავრებთან — ყოველთვის აღლუვებულ, ცისფერთვალა, ბავჯურად თმაშეკრეჟილ ტიციან ტაბიძისა და მოროდებულ, ფიქრიან კალერიან გაფრინდაშვილთან ერთად.

ესენინი მათ ლებულობდა როგორც ივირფას სტუმრებს. ბოდიშობდა, რომ ბინაც პატარა ჰქონდა და მცირედით უმასპინძლდებოდა მათ.

სუფრას მივუტსადებოდით ხოლმე და ბოლო არ უჩანდა პოეზიაზე ლაპარაკს.

ლეჟსებს ცკითხულობდით ქართულად და რუსულად. პაოლო დახელდახელოდ თხზავდა ენამაწვილ ლიტერატურულ შაირებსა და ეპიგრამებს, ტიციანი გვიყვებოდა ჩიონის დაბლობის სილაშაზეზე, სერგეი რიაზანს უმღეროდა.

შემდეგ ესენინი ხშირად დაიარებოდა ტიციან ტაბიძის ოჯახში“ (45—46).

ნინო ტაბიძე, ტიციანის მეუღლე, თავის გულაბილ მოგონებებში იშვიათი უშუალობით აღწერს ესენინის სტუმრობასა და იმ მალალ პოეტურ

ატმოსფეროს, რომელიც დიდი რუსი პოეტის მათ ბინაზე მოსვლით და-  
ნსადგურებდა ხოლმე. მემუარისტის მტკიცებით ეს იყო პოეზიის ნამდ-  
ვილი ზეიმი: „...ტიციანმა ვაჟას წიგნი გადმოიღო, — იგონებს ნ. ტაბი-  
ძე, — უკაზავდა ესენინს და იქვე, სიტყვა-სიტყვით უთარგმნიდა. ესე-  
ნინის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა — იმ წუთებში ის ჰგავდა ადა-  
მიანს, რომელიც უეცრად რაღაც ახალ, მანამდე მისთვის უცნობ საწყა-  
როს შეხვდა და მისმა სილამაზემ თვალი მოსჭრა. მანამდე მას ვაჟას სა-  
ბელიც კი არ გაეგონა. ახლა კი ისმენდა მის სტრიქონებს, დულდა, ბო-  
ბოქრობდა, ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა... ხიბლავდა ის უსაზღვრო  
სიკეთე, ვაჟას სტრიქონებიდან რომ იფრქვევა და რომ ეფერება ყველა-  
ფერს — ბალახს, ხეებს, ყანას, შვლის ნუჯრს, ცხოველსა და მცენარეს“.

როგორც დავინახეთ, დიდი რუსი პოეტი თვითონ იყო უსაზღვროდ  
შეყვარებული შუა რუსეთის ფლორასა და ფაუნაზე და ამიტომ ადვი-  
ლი ასახსნელია თუ რატომ გადაწყვიტა ეთარგმნა ვაჟა-ფშაველას ჯადო-  
სნური ქმნილებები. სამწუხაროდ, ისე როგორც ბევრ სხვა ჩანაფიქრს,  
ესენინის უღროდ დაღუპვის გამო, აღნიშნულსაც არ ეწერა ხორცშესხმა.

საინტერესოა ნ. ტაბიძის სხვა ცნობებიც: „თბილისში ყოფნისას, —  
ვკაუწყებს მოგონებების ავტორი, — ის ხშირად ჩვენს ოჯახში იყო და  
ჩვენთან ყოფნა მეტად უხაროდა... ესენინი ჩვენს სახლში შინაურულად  
ვრძნობდა თავს. ერთხელ, როცა ის... სასტუმროში ცხოვრობდა, ღამის  
თორმეტ საათზე მოვიდა ჩვენთან. შემთხვევით ბალო იაშვილიც ჩვენ-  
თან იყო. უჩვეულოდ ადელგებულმა სერგეიმ უბიდან ახალი ლექსი  
ამოიღო და მეგობრებს წაუკითხა. ეს იყო ცნობილი „საქართველოს პო-  
ეტებს“. მასში, ისევე როგორც მეორე ლექსში — „კავკასიაში“ ესენინი  
განაგრძობდა პუშკინისა და ლერმონტოვის შესანიშნავ ტრადიციებს,  
უძღეროდა რუს და ქართველ პოეტების სულიერ ამობას“<sup>1</sup>.

თვითონ ტიციან ტაბიძე ცხოვრების მთელ მანძილზე ამყობდა ესე-  
ნინთან მეგობრობით. ქართველი პოეტი ვრძნობდა რუს მგოსანთან სუ-  
ლიერ სიახლოვეს, ორივე მშობლიური მხარის უსაზღვრო სიყვარულით  
სუნთქავდა, მათ ვერ წარმოედგინათ ცხოვრება სამშობლოს გარეშე და  
ყოველივე, რაც მის აღორძინებას ემსახურებოდა მათთვის ძვირფასი და  
სათაყვანო იყო. საბოლოო ჯამში, სწორედ ვანაშლებული სამშობლოს  
ძღვევაშისილებამ დააძლევინა მათ მერყეობა და ორივეს შემოქმედებითი  
წარმატება მოუტანა.

1926 წელს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებულ ტ. ტაბიძის  
მოგონებებში ვკითხულობთ: «... но есть и многое важное для со-  
ветской общественности — я имею в виду взаимоотношения рус-  
ских и грузинских поэтов. У меня со стенографической точностью  
воспроизведены для подготавливаемой о С. Есенине книги беседы

<sup>1</sup> ნ. ტაბიძის მოგონებები მოყვანილია ვ. ლაფერაშვილის დასახელებულ წიგნი-  
დან. გვ. 25-26.



на эту тему на банкете, устроенном в честь С. Есенина. Есенин вскоре ответил на эти беседы стихотворением «Поэтам Грузии»<sup>1</sup>.

სამწუხაროდ, ტ. ტაბიძის წიგნი ესენინზე ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. არც ის არის დადგენილი დაასრულა თუ არა ტაბიძემ იგი, ანუ ამ წიგნის რა ნაწილი იყო დაწერილი, მაგრამ გამოქვეყნებულ მოგონებებიდან ამჟამად ჩანს ქართველი პოეტის შრომის მიმართულება, ის უთუოდ საინტერესო უნდა ყოფილიყო. ამ დანაკლისს გარკვეულად ავსებს ტ. ტაბიძის ცნობილი ლექსი „სერგეი ესენინი“, რომელშიც დიდი პოეტური ძალით აისახა ქართველი მეგობრის გულწრფელი სინანული თანამოკალმის უდროოდ დაღუპვის გამო:

სამწუხაროა ყველა ესენი  
და უფრო მწარე კიდევ ის არი,  
ლამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ!  
ცოცხალს არ გესმის ეს საფიციარო!

ამ ლექსიდან ისიც კარგად ჩანს, თუ რა დიდ ავტორიტეტად მიაჩნდათ ესენინი ტაბიძესა და სხვა ქართველ პოეტებს, რომლებიც მოხიბლული იყვნენ რუსული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ფაქიზი ლირიკით. ლექსში ბევრი რამ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, განსაკუთრებით თვითონ ავტორისათვის. ტ. ტაბიძის პოეტური ნიჭის ეს შესანიშნავი ქმნილება ერთობ ბევრის მოქმელი სტროფით მთავრდება:

ამხანაგებო, თუ ღრმა ლელში  
ჩენი თავებიც სადმე დაგორდეს,  
ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში  
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!..<sup>2</sup>

ქართველ პოეტებთან ესენინის ურთიერთობაზე ფრიალ საინტერესო ცნობები შემოგვინახა გიორგი ლეონიძემ: „ჩვენ გვეყვარდა მისი, რუსული გულიდან ამოღებული ლექსის აბალი ტონი, — იგონებდა გ. ლეონიძე, — მისი ტალანტის ძალა და სიძაღლე. მიწობრი, ნათელი პარმონია მისი პოეზიისა...“ გ. ლეონიძეს ეკუთვნის ესენინის პიროვნების, მისი მოქალაქეობრივი ღირსების ერთობ შთამბეჭდავი დანახაითება: „ესენინი, — წერდა ის, — იყო კრისტალური. სპეტაკი ადამიანი, ნამდვილი რაინდული ბუნებისა, დარბაისელი, ფაქიზი, სათუთო და გულთბადი...“ ასევე შთამბეჭდავია ქართველი პოეტის მიერ დახატული ესენინის პორტრეტი: „როგორღაც, — ფრთხილად მის მოგონებებში, — განსაკუთრებით მახსოვს ესენინი რუსთაველის პროსპექტზე თავისი მეტად მსუბუქი სიარულით. მუდამ გაპარსული, ზეღმი ჯოჯით. კეპით, ყელზე გადაგდებული ხაზებიანი შარფით, სუფთად. ფაქიზად ჩაცმული ნაცრისფერ კოსტიუმში მიაბიჯებდა ჩვენს საყვარელ განზორზე“. გ. ლეონიძის უფ-

<sup>1</sup> «Заря Востока», 1926, 6 января.

<sup>2</sup> ტ. ტაბიძე. ლექსები, პოემები, პროზა, წარბეები. თბ., „მერანი“, 1985, გვ. 119.

რო. ვრცელი მოგონებები და შთაბეჭდილებები ესენინზე გამოქვეყნდა „ლიტერატურულ როსიაში“ (1965, 2 ოქტომბერი) და ჟურნალ „ლიტერატურნია გრუზიაში“ (1967, № 5, გვ. 19—25). ქართველი პოეტა, გარდა საინტერესო ბიოგრაფიული ცნობებისა, გადმოგვცემს მეტად საყურადღებო დაკვირვებებსაც, რომლებშიც აისახა ესენინის პოეტური შემოქმედებისადმი მისი დამოკიდებულება და ეს გასაგებიცაა. რუსულ საბჭოთა პოეზიის ამ დიდ წარმომადგენელთან გ. ლეონიძეს აანლოვებდა არა მხოლოდ პირადი ნაცნობობა. ესენინის პოეტურ კრედიტთან უთუოდ ანლოს იყო ქართველი ჰგონანა შემოქმედებითი პლატფორმა, რომელიც საბოლოოდ მან თვითონ ასე ჩამოაყალიბა: გრძნობათა სიპართლუ, პოეტური აზრის სიწრფელე, სიტყვის სიზუსტე, თანამედროვეობის სუნთქვით მათვე დიდი ლირიკა, რომელიც ხალხს ახალი ცხოვრების შექმნაში დაეხმარება. განსაკუთრებით უფრადსაღებია რუსთა პოეტის იეთიმ გურჯთან სტუმრობის აღწერა. ეს არის ორი პოეტური სიმღერით შეპყრობილი ადამიანის დიალოგი, რომელსაც ხელი ვერ შეუშალა ენობრივმა ბარიერმაც კი. ესენინი აღფრთოვანებული დარჩა ბრძენი მოხუცის სიმღერებითა და გონების გამჭრიახობით. რუს მგოსანზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იეთიმ გურჯის უბრალოებამ და ამოუწურავემა ოპტიმიზმმა.

სხვა ქართველ პოეტებიდან 1924-1925 წლებში ესენინს დაუბალოვდნენ შ. აფხაიძე, ს. კლდიაშვილი, რ. გვეტაძე და სხვები. რუსმა პოეტმა ქართველ თანამოკალმეებთან მართლაც რომ „საკუთარ სტიქიაში“ იგრძნო თავი და ამიტომაც შეეძლო მოსკოვიდან ტ. ტაბიძისადმი გამოგზავნილ წერილში ეთქვა: «Милый друг Тициан! Вот я и в Москве. Обрадован страшно, что вижу своих друзей, и вспоминаю и рассказываю им о Тифлисе. Похождаю наши здесь уже известны вплоть до того, как мы варили кепи Паоло в хаши.

Грузия меня очаровала ... В эту весну в Тифлисе, вероятно, будет целый съезд москвичей. Собирается Качалов, Пильняк, Толстая и Вс. Иванов. Бабель приедет раньше. Уложите его в доску. Парсень он очень хороший и стоит гостеприимства. Спроси Паоло, какое нужно мне купить ружье по кабакам. Пусть напишет ...

Передай привет всем моим добрым друзьям — Паоло, Леониде и Гаприндашвили. Поцелуй руку твоей жене и дочке, и, если не трудно, черкни пару слов» (6,179—180).

ესენინის ქართველ პოეტებთან მეგობრულ ურთიერთობაში მთელი სისრულით გამოვლინდა მისი ხასიათის ინტერნაციონალურობა და კაცთმოყვარეობა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მის შემოქმედებას. ალბათ ამითაც აიხსნება, რომ რაც დრო გადის, ესენინის პოეზია მით უფრო პოპულარული ხდება არა მხოლოდ ჩვენში; მისი უზადო ნიჭის თაყვანისმცემელთა რიცხვი იზრდება მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

უკვე ითქვა, რომ სერგეი ესენინი ცხოვრებიდან სრულიად ანა-

გაზრდა წაეიდა. მისმა პოეტურმა ნიჭმა მთელი ღისრულით სწორედ და-  
ლუპის წინ გაშალა ფრთები, მგოსანი მანამდე ჩვეულო შემოქმედე-  
ბითს აღმავლობას განიცდიდა და, ვინ იცის, ყიდევ რამდენი შედეგით  
გამდიდრებდა მხატვრულ აზროვნების ისტორიას, მაგრამ უკვე შექმნი-  
ლიც საქარისი აღმოჩნდა, რათა მას სამუდამოდ დაემკვიდრებინა საპა-  
ტიო ადგილი პოეტურ სიტყვის დედოსტატოა შორის. მის ხალას პოეზიას  
გაფრმკვრთალება არ უწერია, ისე როგორც არ უწერია დავიწყება მის  
ნათელ სახელს.

## რევოლუციური ეპოქის დიდი მხატვარი

ყველა ეპოქას თავისი გამოჩენილი შემადიანე ჰყავს, მაგრამ სულ  
სხვება ბედი მწერლისა. რომელიც, მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვის  
მსგავსად, რევოლუციურმა ქარტეზილმა წარმოშვა და ურთულეს ისტო-  
რიულ პროცესების მხატვრად ჩაპოაყალიბა. ასეთ პირობებში შემოქმედს  
სტირდება არა მხოლოდ ნანახისა და განცილის განზოგადება უნარი,  
ის დაუყოვნებლივ უნდა გაერკვეს ელვისებური სისწრაფით მიმდინარე  
სოციალურ კატაკლიზმებში და შეძლოს ზობოქარ დინებიდან ღმთავრე-  
სის გამოცალკეება. ისე როგორც მის დინამიურ მხატვრულ სახეებში  
ჩაქსოვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. მწერალს უნდა შესწევდეს უნა-  
რი რევოლუციური აწმყო პერსპექტივაში გაიზაროს და მდიდარ პოეტურ  
ფერებით ჭადმოფეცეს. ყოველივე აღნიშნული შოლოხოვის პოეტურ  
ნიქს იმთავითვე შეეჩინეოდა და მისმა ფენომალურმა მხატვრულმა აზ-  
როვნებამ უკვე ოციან წლებში ხალასი ხელოვნების დამფასებელთა უსაზ-  
ღვრო აღტაცება გამოიწვია.

აგერ შეიდი ათეული წელია, რაც პროგრესული კაცობრიობა დიდი  
ინტერესით ადევნებს თვალს აღმიანის ბუნების უბადლო ჰეოდნის მი-  
ხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვის შემოქმედებას. მისი წიგნები თარგ-  
მნილია ყველა კულტურულ ენაზე. მას კითხულობენ ყველგან, სადაც  
აფასებენ პოეზიას. მართალ სიტყვასა და მწერლის მიერ შექმნილ გვი-  
რულ სამყაროს. შოლოხოვი თავისი უკვდავი ქმნილებებით თავიდანვე  
ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დაუღალავი მქადაგებელი  
იყო, ყოველ მის მხატვრულ ტილოს თუ ზეპირ გამოთვლას დიდი ინტე-  
რესით ელოდნენ.

პოეტური ნიჭის სიდიადე ჩვეულებრივ საზომს არ ემორჩილება. ეს  
ზომ მწერლის იმ ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი  
სულიერი სამყაროს შინაგანი ორგანიზაციის პრაქტიკული გამოვლენაა,  
რომელიც საბოლოო ანგარიშით, ყოველი მოაზროვნის შემოქმედებითს  
დიპაზონს განაპირობებს. სწორედ ეს ვერ გაიგო 20-30-იან წლებში  
მკითხველთა ობიექტულურმა ნაწილმა, რომელთა რიცხვი საკმაოდ დი-

დი იყო და განცვიფრებული დარჩა ესოდენ მასშტაბური მხატვრის „მო-  
ულოდნელი“ გამოჩენით. მწერლის პიროვნებაზე იქმნებოდა ლეგენდები.  
პრესაში ქვეყნდებოდა ერთმეორის საწინააღმდეგო წერილები. კამათმა  
მძაფრი და დამაბული ხასიათი მიიღო, მაგრამ ახალგაზრდა, დიდი ნიჭისა  
და ცოცხალი აზრის მქონე მიხეილ შოლოხოვი გაბედულად შეება მისი  
შემოქმედებისადმი არაკეთილმოსურნეებს და ახალი, უფრო შთაბეჭდვა-  
ვი ნაწარმოებების გამოქვეყნებით საბოლოოდ დაარწმუნა მტეროც და  
მოყვარეც. რომ ის მოწოდებულია შექმნას ეტაპური ღირსების მხატვ-  
რული ტილოები. ვიწრო წრისათვის ცნობილი მწერალი დროის უმნიშვნე-  
ლო მონაკვეთში ისეთი ეპიკური ტილოს ავტორი გახდა, როგორიც  
არის „წყნარი დონი“. მისი პირველი ორი წიგნის გამოსვლიდან არ წყდე-  
ბა ამ ნაწარმოების ირგვლივ შემოქმედებითი სჯაბაასი და რაც დრო გა-  
იდის, მით უფრო წათელი ხდება ამ მონუმენტური ქმნილების საერთო  
ისტორიული მნიშვნელობა, რომელმაც ავტორს მსოფლიო აღიარება მო-  
უპოვა.

როდესაც მიხეილ შოლოხოვის შემოქმედებითს წარმატებაზე ვლა-  
პარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს იმ ეპოქის გრანდიოზულობა, რომლის  
პირამოთა, როგორც მწერალი და მოაზროვნე. ოქტომბრის რევოლუციამ  
შოლოხოვი არა მარტო ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა, არამედ ჩა-  
მოაყალიბა კიდევაც ახალი ტიპის ხელოვანი, ხელი შეუწყო მისი პოტენ-  
ციური მონაცემების გაშლას. დღითი დღე იხვეწებოდა მისი მწერლური  
გემოვნება, რომელმაც უკვე 20-იან წლებში საოცარ სრულყოფას მიაღ-  
წია. შოლოხოვს აქვს ხალხის ცხოვრებაში ისტორიული შემობრუნების  
ცოცხალი აღქმის შეუღარებელი უნარი. იგი ხომ არჩეული თემის უნი-  
ვერსალური დამუშავების უბაღლო ოსტატი! ამიტომ მისი ყოველი დი-  
დი ქმნილება ეტაპური თხზულების იშვიათი თვისებებით გამოირჩევა.

ასე, მაგალითად, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ, რო-  
მელიც ერთობ მასშტაბურად აისახა „წყნარ დონში“, 1932 წელს მწე-  
რალმა გამოაქვეყნა ახალი ეპიკური ტილო „გატეხილი ყამირის“ პირველი  
წიგნი, რომელიც ფართო მკითხველმა შოლოხოვის შემოქმედებითი  
ზრდის უტყუარ მაჩვენებლად აღიარა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირულ შემართებას შოლო-  
ხოვმა მთელ რიგ პუბლიცისტურ წერილებთან ერთად უძღვნა რომანი  
„ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“, რომლის ნაწყვეტები მიმდინარე  
მოვლენების კვალდაკვალ ქვეყნდებოდა. ნაწარმოები ჭერაც არ არის  
მთლიანად გამოქვეყნებული (შოლოხოვი საერთოდ ძნელად ელეოდა  
ხელნაწერს), მაგრამ რომანის გამოქვეყნებულ თავებიდან აშკარად ჩანს,  
რომ მწერლის მიერ დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილი ეს ტილოც  
ისეთივე მასშტაბური იქნება, როგორიც არის „წყნარი დონი“ და „გატე-  
ხილი ყამირი“.

მწერლის თხზულებებში მკითხველი პოულობს არა მარტო მხატვ-

რულ-ესთეტიკურ ტკობას, არამედ შემეცნების უშრეტ წყაროსაც, უფრო ღრმად ერკვევა ისტორიული მოვლენების ურთულეს პროცესში. ყოველივე აღნიშნულმა შოლოხოვმა შემოქმედებას მათელიო აღიარება მოუტანა. დღეს ძნელი წარმოსადგენია პლანეტის რომელიმე კუთხე, სადაც არ იცნობდნენ სოციალისტურ ეპოქის ამ უდიდეს რომანისტს. ასეთ აღიარებამდე შოლოხოვმა ძალზე მძიმე, მაგრამ ღრმაშინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო.

მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვი დაიბადა 1905 წლის 24 მაისს ხუტორ კრუჟილინოში, სტანიცა ვეშენსკაია; მახლობლად, როცა მის მშობლებზე ჩამოვარდება სიტყვა, საგანგებოდ აღნიშნავენ დედის, ანასტასია დანიელის ასულ ჩერნიკოვის ბუნებრივ ნიქსა და საზრიახოებას. დედა წარმოშობით გლეხთა წრიდან იყო. წერა-კითხვა გვიან ისწავლა, რომ შეილთან დამოუკიდებელი მიმოწერა ჰქონოდა. მის კეთილშობილებას წარუშლელი კვალი დაუტოვებია არა მარტო შვილზე, არამედ ყველა იმათზე, ვისაც კი ამ სათნო ადამიანთან ახლო ურთიერაობა ჰქონდა. ანასტასია დანიელის ასული დაიღუპა 1942 წელს, სტანიცა ვეშენსკაიას დაბომბვის დროს.

მწერლის მამა, ალექსანდრე მიხეილის ძე შოლოხოვი დონის ოლქში რიზანის გუბერნიიდან ჩამოსულა, მიწის ნაკვეთი იყიდა და ერთხანს სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. შემდეგ, როგორც მწერალი გადმოგვცემს, წერილი მოხელე გაჰადარა. გარდაიცვალა 1925 წელს.

იმპერიალისტური ომის მძიმე წლებში, რევოლუციის შემდეგ შიგა და გარეშე კონტრევოლუციურ ძალებთან დაძაბულმა ბრძოლამ, რომელიც დონის მხარეში განსაკუთრებულ მძაფრ სამოქალაქო ომში გადაიზარდა, ხელი შეუშალა მიხეილ შოლოხოვს სწავლა განეგრძო. დიდი გაჭირვებით გიმნაზიის მხოლოდ ოთხი კლასის დათავრება მოახერხა. ამის მიუხედავად შოლოხოვი ბევრს კითხულობდა და ჩინებულად გათვითცნობიერდა ლიტერატურაში, ისტორიაში და მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

თავთმეტი წლის მიხეილი „სასურსათო გაწერის“ რაზმში ჩაეწერა. ეს იყო სამოქალაქო ომის მძიმე წლებში. როდესაც კლასობრივი მტერი ცდილობდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის შინაშლით მოეღო ბოლო. სოციალისტური სამშობლო გასაჭირში აღმოჩნდა. „დიდხანს ვიყავი „სასურსათო გაწერის“ რაზმში, — წერს მ. შოლოხოვი ავტობიოგრაფიაში, — დაუდევდი ბანდებს, რომლებიც დონში ბატონობდნენ 1922 წლამდე, ბანდები მე დამდევდნენ... ჩავარდნილვარ სხვადასხვა ხიფათში“. თუ რა ხიფათში შეიძლებაოდა მოხვედრილიყო მ. შოლოხოვი, ნათლად ჩანს მისივე მოთხრობებიდან „სხვისი სისხლი“, „სასურსათო გაწერის კომისარი“, განსაკუთრებით კი „გზა სვლისა“. კრიტიკოს კ. პოტაპოვის თქმით, შოლოხოვი ხუტორ კონკოვოსთან ანარქისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილა. იგი თვით ბანდის უფროსს

დაჯიკობაჲს. უხსნია მცირეწლოვანებას, მაგრამ ატამანი დამუქრებია, თუ კიდევ ხელში ჩამივარდი, ჩამოგაბრჩობო.

დონზე სოციალიზმის დამკვიდრება-გამპტყციეებასათვის ბრძოლაში გამობრძედილი მწერალი ჩაწვდა მშფოთვარე ცხოვრებას და დიდი ოსტატობით ასაბა კიდევ ადრეულ მოთხრობებში. მაგრამ „წყნარ დონში“ აღნიშნულ პრობლემას იგი დიდი ადგილი უქირავს და იმდენად თთამბეჯდავად არის აღწერილი, რომ, ალბათ, სოციალისტური სინამდვილის დამკვიდრების უფრო ცოცხალი პანორამის შექმნა ვერ მოხერხდება.

1922 წლის ბოლოს 17 წლის მიხეილ შოლოხოვი ტოვებს მშობლიურ დონის ტრამალებს და მიემგზავრება მოსკოვს. შოლოხოვს არ გააკვირვებია. როცა დედაქალაქში ლუკმაპურის საშოვნელად შევი, მძიმე საშუაოებში შესრულება მოუხდა. იყო მტყირთავიცი, კალატონიცი, საქმისმწარმოებელიცი. ამავე დროს, მთელი გატაცებით კითხულობდა ლიტერატურას, ეზადებოდა მწერლის მძიმე, მაგრამ უაღრესად საბატო კარიერისათვის. სწორედ ამ მისწრაფებამ მიიყვანა შოლოხოვი 1923 წლის 19 სექტემბერს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ორგანო „იუნომესკიაა პრავდაში“. 1923 წელს ამ გაზეთში დაიბეჭდა მისი პირველი ფელეტონები „გამოცდა“ და „სამი“, ხოლო 1924 წელს — „რევიზორი“. ასე მიეცა დასაბამი იმ გზას, რომელიც სახელოვანმა მწერალმა უმწიკვლოდ განელო.

შოლოხოვს პარალელურად მოთხრობების წერაც დაუწყია. პირველი მოთხრობა, რომელიც მას 1924 წლის მარტში გაზეთისათვის გაუგზავნია, არ დაუბეჭდავთ წმინდა პროფესიული მოსაზრებით, მაგრამ 14 დეკემბერს იმავე გაზეთმა, რომელსაც ერქვა „მოლოდოი ლენინეც“, გამოაქვეყნა დამწყები მწერლის პირველი მოთხრობა „ხალი“. ამ ნაწარმოებით იწყება კიდევაც დიდი მწერლის მხატვრული შემოქმედების ისტორია. ამას მოჰყვა ტრიუმფალური აღმასვლა. შოლოხოვის თანხულებებს სიამოვნებით ბეჭდავდნენ გაზეთები და ჟურნალები. სულ მალე მისი რიგი მოთხრობა ცალკე წიგნებადაც დაისტამბა. კოტა მოგვიანებით კი ახალგაზრდა მწერალმა საყუთარი თხზულებათა ორი კრებული გამოცა: „დონური მოთხრობები“ (1925) და „ყაყაჩოს ველი“ (1926).

მიხეილ შოლოხოვის პირველი მოთხრობების თემა ძირითადად დონელ კაზაკთა ცხოვრებას შეეხება. ავტორი ცდილობდა თვითონ გარკვეულიყო და მკითხველისათვისაც გაეზიარებინა, თუ რამ გამოიწვია მშობლიურ დონში სამოქალაქო ომის განსაკუთრებული სიმძაფრე, რით იყო განპირობებული კლასთა ბრძოლის უნახავი სუსხი („ხალი“, „მწყემსი“, „მებოსტნე“, „სხვისი სისხლი“, „სასურსათო გაწერის კომისარი“, „ოჯახის მოყვარული კაცი“ და ა. შ.). მწერალი გრძნობდა, რომ დასახული მიზნების ხორცშესახსმელად საჭირო იყო უფრო მკვიდროდ დაახლოებოდა კაზაკებს, უფრო ღრმად ჩაწვდომოდა მომავალი გმირების სულიერ სამყაროს, რათა მხატვრულ სახეების ძერწვის დროს საჭირო დამაჯერებ-

ლობისათვის მიედნია. ამიტომ 1925 წელს მიხეილ შოლოხოვი ტოვებს მოსკოვს და ბრუნდება მშობლიურ სტანიცა ვეშენსკაიაში, სადაც სიყვდილამდე გააგრძელა შემოქმედებითა ცხოვრება.

მშობლიურ მხარეში მიხეილ შოლოხოვის გამგზავრება მის შემოქმედებით აღძვლობას დაემთხვა. მან მიზნად დაისახა შეექმნა დიდი ეპიკური ტილო. მუშაობას შეუდგა 1925 წელს. შედეგად მკითხველმა მიიღო შესანიშნავი რომანი „წყნარი დონი“, რომანზე მუშაობის დაწყებას წინ უსწრებდა სეროოზული საშხადისი, რაც აისახა კრებულში „დონური მოთხრობები“. როგორც უნდა იყოს ამ მოთხრობების მხატვრული ღირებულება, დღეს მათი მნიშვნელობა მაინც დიდია, სწორედ „დონური მოთხრობების“ დაწერით შოლოხოვმა დახელოვნების ის აუცილებელი გზა განვლო, ურომლისოდაც შეუძლებელია ეპოქალური ტილოს შექმნა.

„წყნარ დონი“ ყველაფერი იზიდავს მკითხველს. აღტაცებას იწვევს რომანის უაღრესად რთული იდეური ჩანაფიქრის ავტორისეული გააზრება. მოპიბლავია მონუმენტური მხატვრული სახეები, მათი ძვრწვის მაღალი ტექნიკა. მწერალი ისე ღრმად სწვდება გმირების შინაგან სამყაროს, რომ მას შეუძენეველი არ რჩება მათი სულიერა მოძრაობის უპირალო ვიბრაციაჲ კი. ავტორი უაღრესად რთულ ისტორიულ პირობებში აყენებს რომანის გმირებს, მკარამ მას არსად არ დალატობს კემშარტების მაღალი გრძნობა. იგი ვაბედულად იკრება ადამიანის თქიქიკაში და რეალისტის ულმობელი ზელით ამიშვლებს მის ბუნებას, გმობს იმას, რაც დასაგმობია, ამალეებულისათვის კი ყოველთვის პოულლობს შესატყვის შტრიხებს. დაუბიითი გმირების მებრწოლი განწყობა ჩვენე გადმოკვეევეა და ობტივისტურად განგვაწყობს. პერსონაჲთა ხასიათს პარპონულად ერწყმის რომანში მარვალიტებად მიობბნეული ბუნების აღწერის სურათები. შოლოხოვი ზომ დონის ტრამალების პეიზაჲის გადმოკემის ჯადოქარია!

რთული კომპოზიციური აგებულების მიუბედავად, „წყნარი დონი“ კარგად იკითხება და ესეც მწერლის დიდ ობტატობაზე მიგვანიშნებს. მძაფრ სოციალურ კონფლაქტებში ორგანულად ჩაქსოვილია ცხოვრებისეული ღირიკული წიაღსკლები. მკითხველს ხიბლავს გრიგოლ მელეხოვისა და აქსინიას ამალეებული სიყვარული, რომელმაც სინამდვილის ყველაზე უკულმართ, ყველაზე მძიმე გამოცდასაც კი გაუძლო. მწერალს არსად არ დალატობს სოციალური მოვლენების დიალექტიკურად გააზრებისა და მხატვრულად აღქმის უნარი. მან კარგად იცის, რომ რაც უნდა დიდი იყოს ძველის, ისტორიულად დრომოკმულის წინააღმდეგობის ძალა, ის მაინც განწირულია დასალუბავად, მის ადგილს უთუოდ ცხოვრებისა და მხატვრული ლოგიკის საფუძველზე ახალი, პროგრესული დაიკავებს.

„წყნარი დონის“ ძირითადი კოლოზია, მისი სოციალური ქარგა მოითხოვდა უამრავ ტრაგიკულ ეპიზოდის დასურათებას. მძიმე შთაბეჭდი-

ლებას ახდენს ძმათა სისხლისღვრა. გაბოროტებამდე მისული ახლობლებს დაუნდობელი ურთიერთუღელტა. ამის მიუხედავად, რომანი ოპტიმისტურად განაწყობს მკითხველს, მას სჯერა, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და საბოლოოდ ადამიანებს შორის სოციალური სამართლიანობა დაისაჯვრებს.

მოქმედი პირების დამოუკიდებელ, გამოკვეთილად ინდივიდუალურ ხასიათების შექმნას ბევრად უწყობს ხელს პერსონიფიციკრებული ენა. ყოველი მათგანი მეტყველებს მისი ხასიათის შესაფერისი ლექსიკით, სარგებლობს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სინტაქსური ფორმით. საერთოდ, რომანის ენა მდიდარი და მრავალფეროვანია.

შოლოხოვმა 1930 წელს დროებით შეწყვიტა მუშაობა „წყნარ დონზე“. ამ დროისათვის მთლიანად გამოქვეყნებულ იყო რომანის პირველი ორი წიგნი და მესამის რამდენიმე თავი. შოლოხოვი აქტიურად ჩაება მშობლიურ მხარეში კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის ბრძოლაში. მიზნინარე გრანდიოზული გარდაქმნიდან მწერალმა მდიდარი შთაბეჭდილებები მიიღო და გადაწყვიტა შეექმნა ახალი რომანი სოფლის ცხოვრებაზე. მართლაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1932 წელს გამოვიდა „გატეხილი ყამირის“ პირველი წიგნი, რომელმაც ავტორს საბოლოოდ დაუშველირა საპატიო ადგილი დიდ ლიტერატურაში.

მკვლევარები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ახალ რომანზე მუშაობამ საგრძობლად შეუწყო ხელი „წყნარი დონის“ შემდგომ სრულყოფას. საქმე ის არის, რომ შოლოხოვი თავის პირველ რომანის გმირებს ზედებოდა განვითარების ახალ, სრულიად განსხვავებულ პირობებში, რაც სამოქალაქო ომის პერიოდის კახაკთა ხასიათის პერსპექტივაში გააზრების შესაძლებლობას იძლეოდა.

მხატვრული ღირსებით „გატეხილი ყამირი“ მწერლის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯია. საბოლოოდ გამოიკვეთა შოლოხოვის წერის მანერა. დაიხვეწა პერსონაჟების რთულ სულიერ სამყაროში ღრმად წვედომის ხელოვნება. ამის გარდა, მის შემოქმედებაში გაჩნდა სრულიად ახალი შტრიხი — თუმორი, რაც ძალზე დამახასიათებელია უბრალო ადამიანისათვის. საერთოდ, მწერლის მხატვრული შემოქმედება უფრო დაუახლოვდა ხალხის ცხოვრებას. ამიტომაც გახდა „გატეხილი ყამირი“ სოციალისტური სოფლის უტყუარი მატინე.

„გატეხილი ყამირის“ პრობლემატიკაც რთული, მძაფრი და წინააღმდეგობრივია. ამ ნაწარმოების მხატვრულ სახეებსაც შოლოხოვი მისთვის ჩვეული მანერით ძერწავს. სულ ახალ და ახალ საშუალებებს პოულობს პერსონაჟთა ბუნების გართულებისათვის. დავიდოვის, ნავულნოვის, რაზმიოტნოვის, მაიდანეიკოვისა თუ სხვა მხატვრული სახეები ავტორის მიერ რელიეფურად არის გამოკვეთილი. მათი კოლორიტული ფიგურები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

მიზეილ შოლოხოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე უსაზღვროდ



შეიძლება საუბარი. მისი შემოქმედების ზეგავლენისა და მომაჯაღობელი პირადი თვისებების მავალითები უაჩრავია, მაგრამ ჩვენ აქ შემოვიფარგლეთ ზოგადი ანალიზით, რათა მეტი ყურადღება დავუთმოთ ქართულ მასალებს, მით უფრო, რომ ეს დიდი მწერალი ქართველი ხალხის გულთაღი მეგობარი იყო.

ქართველმა მკითხველმა იმთავითვე შეიყვარა შოლოხოვის ნაწარმოებები და აი, უკვე მუშვიდე ათეული წელია საგანგებო ყურადღებით აღევნებს თვალს მწერლის შემოქმედებითს ცხოვრებას. კითხულობს ყველაფერს, რაც კი მისი მადლიანი ნიჭით არის შექმნილი.

ქართველმა მკითხველმა ქართულ ენაზე შოლოხოვის „გატეხილი ყამირას“ პირველი წიგნი 1934 წელს იხილა. წიგნი თარგმნა ა. ჭუმბაძემ. 1962 წელს გამოვიდა „გატეხილი ყამირას“ ორივე წიგნი. გამოსულისთანავე ითარგმნა და 1942 წელს ცალკე წიგნადაც დაისტამბა შოლოხოვის მოთხრობა „სიძულვილის მეცნიერება“. მისი ახალი თარგმანი 1961 წელს დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“.

უფრო რთულად იდგა „წყნარი დონის“ ქართულად ადრეების საკითხი. ეს გასაკვირავ არ არის. თვითონ ავტორი ებოძეაზე ხანგრძლივად და გულმოდგინედ მუშაობდა. მისი საბოლოო რედაქცია 50-იან წლებში დამთავრდა. ამავე პერიოდს უკუთვნის „წყნარი დონის“ ქართულად თარგმნის პირველი ცდა. მხოლოდ დაუღბოთი შეფასების ღირსია მთარგმნელ თ. ჯავახიშვილის ტიტანური შრომა, რომელიც ოთხ წელს გავრძელდა. „წყნარი დონის“ პირველი წიგნი ჩვენმა მკითხველმა 1955 წელს მიიღო, ხოლო 1959 წელს რომანის ოთხივე წიგნი იყო დაბეჭდილი. დღეისათვის ქართველ მკითხველს ამ რომანის სრული მეოთხე გამოცემა აქვს.

1957 წელს ყურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ ორჯერ (1959 და 1966) ცალკე წიგნად გამოიცა შოლოხოვის საყმაოდ ვახშაურებული მოთხრობა „ბედი კაცისა“. ცოტა გვიან აღმანახ „საუნჯეში“ დაიბეჭდა ცალკეული თავები რომანიდან „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“. ეს არასრული სიაა შოლოხოვის იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც ქართულად ამეტყველდა, მაგრამ აქედანაც ნათელია, რომ ქართველ მკითხველს შეუძლია მშობლიურ ენაზე წაიკითხოს დიდი საბჭოთა მწერლის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები, ეზიაროს მათში ასახულ სამყაროს და განიცადოს უზადო ნიჭის ცხოველმყოფელი ზეგავლენა.

ყურნალ-გაზეთებში არცთუ ისე იშვიათად შეხვდებით ქართველ მკითხველთა აღფრთოვანებულ გამოძახილს შოლოხოვის თხზულებებზე. ქართველთა შორის განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს მშვიდობის დამკვიდრების პათოსი, ესოდენ ძლიერად რომ ეღერს დიდი მწერლის ნაწარმოებებში „... მის (მ. შოლოხოვის—გ. გ.) მიერ მაღალი ოსტატობითა და დიდი მხატვრული სიპართლით შექმნილი ნაწარმოებები „სიძულვილის მეცნიერება“, „ბედი კაცისა“ და სხვები, — წერდა ყორეს-

პოდენტი 1961 წლის ივნისში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას, — რომლებიც სამამულო ომის მძაფრ თემას ასახავენ, ჩემი უსაყვარლესი წიგნებია. ამ დღეებში მე ხელმეორედ წავიკითხე გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული „სიძულვილის მეცნიერება“ და ერთხელ კიდევ ღრმად დავწმუნდი, თუ რაოდენ დიდ დიდებულებას ომი ცაცობრიობისათვის...“ მეორე ავტორის წერილში ვკითხულობთ: „როცა გაზეთ „კომუნისტის“ 21 ივნისის ნომერი გადავშალე და დიდი სამამულო ომის უკვდავ თემაზე დაწერილი მიხეილ შოლოხოვის მოთხრობა წავიკითხე, — აღფრთოვანებით გადავგვეცემს თავის შთაბეჭდილებას მწერლის თაყვანისმცემელი მცბათელი კოლმეურნი, — ერთხელ კიდევ ვიგრძნინე დიდი მწერლის სიტყვის ძალა, მისი კალმის უბადლო ოსტატობა“. იქვე ხანგასამულია, თუ როგორ დაუღალადად იბრძვის მიხეილ შოლოხოვი მშვიდობისათვის: „მწერალი მგზნებარედ მოუწოდებს ომის წინააღმდეგ, ასახავს საშინელებას, რაც ომს მოაქვს“. და ეს იმთავითვე დამახასიათებელი იყო დიდი ჰუმანისტისათვის. ვის შეუძლია დაივიწყოს ომით გამოწვეული ტრაგედიის აღწერა „წყნარ დონში“.

მიხეილ შოლოხოვი თავის მხრავ დიდად დაინტერესებული იყო ქართველი ხალხით. მისი უძველესი კულტურით. მწერალი სინანულს გამოთქვამდა, რომ ახალგაზრდობაში ვერ მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა და ვერ გაეცნო მის მრავალსაუკუნოვან ძეგლებს.

საქართველოში შოლოხოვი პირველად 1961 წელს ჩამოვიდა. იგი ჩვენი ხალხის საპატიო სტუმარი გახდა. მას ყველგან დიდი ზეიმით ხვდებოდნენ. რაც მთავარია, არსად — მთასა თუ ბარში, სოფელსა თუ ქალაქში — არავის სჭირდებოდა იმის განმარტება, თუ ვინ იყო მიხეილ შოლოხოვი. მწერალი ყველგან ხედავდა მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს და ეს ხომ შემოქმედისათვის უმაღლესი ჯილდოა.

უფრო ადრე, 1959 წელს, შოლოხოვთან სტანიცა ვეშენსკაიაში სტუმრად იყვნენ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები, რომლებმაც გაზეთის 12 სექტემბრის ნომერში ვრცელი ანგარიში მოათავსეს. მათი მემშვეობით მ. შოლოხოვმა ქართველ ხალხს გამოუგზავნა გულთბილი მისალმება: „გულითადი სალაში მშობლიურ ქართველ ხალხს, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს. მალე შეხვედრამდე!

ოქტენი მ. შოლოხოვი. 7. 9. 59. სტ. ვეშენსკაია“.

ეს შეხვედრა, მწერლისაგან დამოუტყიდებელი მიზეზით, გადაიდო, თუმცა კორესპონდენტებთან საუბარში რამდენიმე კონკრეტული ვადაც კი დაასახელა: „ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია. ამდენს დავდივარ საზღვარგარეთ და საქართველოში კი არ ვყოფილვარ... გვიან არც ახლაა, სიტყვა სიტყვაა. დავბრუნდები თუ არა ამერიკიდან, ასე დეკემბრის ბოლოსათვის, უეჭველად ჩამოვალ საქართველოში“.

მართალია, მიხეილ შოლოხოვი 1961 წლამდე საქართველოში ნამ-

ყოფი არ იყო, მაგრამ მან ბევრი რამ იცოდა ჩვენს სამშობლოზე, მის მძივე, მაგრამ სასახელო გმირულ წარსულზე. იგი მოხიბლული იყო ქართული პოეზიით. ზებირად იცოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის თითქმის ყველა ლექსი, დიდად აფასებდა ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის ნატრუ ლირიკას... თავის საყვარულს საქართველოსადმი მიხეილ შოლოხოვი გულწრფელად უზიარებდა სხვებსაც. მაგალითად, უწინაოდ „დონის“ რედაქტორი მიხეილ სოკოლოვი აღნიშნავდა: „პირადად ჩემთან საუბარში ბევრჯერ ულაპარაკია საქართველოზე. ბარათაშვილი უყვარს ძალიან“.

მიხეილ შოლოხოვს ხშირი კონტაქტები ჰქონდა ქართული კულტურის მოღვაწეებთან. სტუმრებს შორის სტანისლავ ევშენსკიანი იყო ფოთა ცნობილი ქართველი კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელია. ქართველ მწერლებს იგი ხშირად ხედებოდა მოსკოვში. „საქართველოში გული შეწყვეა და არა ცნობისმოყვარეობა. საქართველო ჩემთვის ყოველთვის იყო მშობლიური ქვეყანა, რომლის თაყვანისცემა ვალად მედო აი უკვე ოცდაათი წლის მანძილზე“, — უთქვამს შოლოხოვს კორესპონდენტებისათვის. და როდესაც 1961 წლის ზაფხულში სტუმრად ჩამოვიდა იაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გულწრფელად მიმართა ქართველ ხალხს: „პირველად რომ ფეხი შემოვდგი საუკუნეებით განთქმულ საქართველოს მიწაზე, არ შემიძლია არ გადავცე ჩემს მკითხველებს უაღრესად გულითადი სალამი და უაღრესად კეთილი სურვილები.

თქვენი მ. შოლოხოვი. 19. 6. 61. თბილისი“.

მხოლოდ ერთი კვირა დაჰყო მამინ მიხეილ შოლოხოვმა საქართველოში. ძვირფასი სტუმარი ვერ ისვენებდა. რადგან უნდოდა ყველგან ყოფილიყო, საკუთარი თვალით ენახა და დამტკბარიყო საქართველოს ულამაზესი სანახაობებით. მართლაც, ბევრი რამეც ნახა ამ მოკლე დროში. ჩამოსვლის მერვე დღეს ძვირფასი სტუმარი დიდიდანვე ეცნობოდა თბილისის ღირსშესანიშნაობებს. შემდეგ ფუნქიულიორის პლატოდან დასცქეროდა ქალაქს. ფიქრებში წასულმა მწერალმა, თითქოსდა რეზიუმეს უკეთებს ნააზრევსო, დაასკვნა: „ასეც ველოდი!“. დღის მერვე ნახევარში მ. შოლოხოვი მცხეთას ეწვია. ჯერ ჯვარი, შემდეგ სვეტიცხოველი დაათვალიერა. არსად მალავდა თავის აღფრთოვანებას. მიხეილ მამულაშვილის ბაღით მოხიბლული მწერალი წერდა: „ვისტრკებ ძვრფას სუბნიას კიდევ ერთი ამდენი გეცოცხლოს! და სიცოცხლის მერვე ნახევარში გაგიკეთებინოს თუნდაც ერთი მეთადი იმისა, რაც უკვე გაკეთებული გაქვს.

მ. შოლოხოვი. 20. 6. 61. მცხეთა“.

სტუმარმა მცხეთიდან გზა ყაზბეგისაკენ განაგრძო. დაათვალიერა ენვალის, ანანურის ციხე, ფასანაური, ალექსანდრე ყაზბეგის მშობლიური კუთხე, შემდეგ — დარიალის ხეობა, თერგა, თამარის ციხე-კოშკი, არაგვის ხეობამ მოაჯადოვა მწერალი.

21 ივნისს შოლოხოვი თბილისიდან ქალაქ გორში გაემგზავრა. და-

ათვალისწინებს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში, საპატრიო სტუმართა წიგნში გააკეთა ღრმა შინაარსიანი ჩანაწერი. გორიდან ვარძიისაკენ გაემგზავრა. ბორჯომის ზეობის ხილვისას ღიმილით უთქვამს, ამ მხარის უნაბაობა დანაშაულიაო. საღამო ბორჯომში გაატარა. ვარძიამ, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ამ უნიკალურმა ძეგლმა, სტუმარი განაცვიფრა: ეს რა ხელმა აქცია კლდე ქალაქად! ვინ გამოკვეთა ამდენი დარბაზები? ამას უდიდესი გვირობა ჰქვია. თბილისში დაბრუნებულმა მწერალმა ასე შეაჯავა თავისი შთაბეჭდილებები: „მე რომ მკითხოვნ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, თქვენმა შესანიშნავმა ქვეყანამ, ვიტყვი: ძალიან ვწუხვარ, რომ აქამდე არ ვყოფილვარ საქართველოში“.

წინ იყო გზა კახეთისაკენ, რომელიც ახალი შთაგონების წყაროდ იქცა მწერლისათვის. საპატრიო სტუმარი 23 ივნისს სიღნაღს ეწვია. დიდხანს მღუშარედ გაპყურებდა იგი ალაზნის ველს, წარმოაცი საანაბოთი მოჯადოებულმა შენიშნა, სიღნაღი ალბათ ამ უმშვენიერესი ველის საცქერაოდ აუშენებიათო. მართლაც საოცარი ქვეყანა გაქვთ, გადახედეთ რა კავკასია სივრცეა, თვალი ცის დასალიერს სწვდებაო.

ამ პოეტურ ფონზე განსაკუთრებით შთამაგონებლად ეღერდა ქართული სიმღერა. როდესაც შეასრულეს „მრავალუკამიერი“, აღტაცებულმა მწერალმა თქვა: „ხედავთ რა ხმა აქვს ალაზნის ველს...“ და თვითონ სთხოვა შეესრულებინათ „გაფრინდი, შავო მერცხალო...“ შოლოხოვი და მისი თანამხლები პირები გურჯაანის გავლით ყვარლისაკენ გაემგზავრნენ. საღამო ხანს ისინი წინანდალში ჩავიდნენ და ღამეც იქ გაატარეს. დილით კი შოლოხოვი ესაუბრა წინანდლელ მეგობრებს.

მწერალზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმმა, ძვირფასმა სტუმარმა შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრისმთქმელი ჩანაწერი გააკეთა.

მ. შოლოხოვი დღის მეორე ნახევარში, საპატრიო სტუმარის ღვინის ქარხნის მუშებთან შეხვედრის შემდეგ თელავს ესტუმრა, ზოლო საღამოს შუამთისა და თეთრი წყლების გავლით, გომბორის გზით თბილისში დაბრუნდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ოფიციალური შეხვედრის დროს შოლოხოვმა აღნიშნა: „ამ ოთხ დღეში ბევრი რამ სასიხარულო და აღმაფრთოვანებელი ვნახე. აქ ყველაფერი მშობლიური, ახლობელი და ძვირფასი იყო ჩემთვის, მაგრამ საქართველოში ერთი კვირით ყოფნა, ნამდვილად ზღვაში წვეთია. ამიტომაც ოქტომბერ-ნოემბერში ალბათ უფრო დიდი ხნით ჩამოვალ“.

მიხეილ შოლოხოვმა მამინ ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა. გავიდა შვიდი წელი. 1968 წელს იგი ოჯახითურთ გაგრაში ისვენებდა. საქართველოს მიწა-წყალზე ყოფნა მწერალმა დაპირების შესასრულებლად გამოიყენა. დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებს ესტუმრა. იყო სოხუმიში, რიწანზე, 20 აგვისტოს მსრ კავშირის მედიცინის მეც-

ნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სო-  
ცუმის ინსტიტუტის ბაზის დათვლიერების შემდეგ ბათუმს უწვია და  
ზღვის მობინადრეთა აკვარიუმი ინახულა.

დიდ მწერალს ყველგან ღრმა პატივისცენათ ზედობუნდნ. მაგრამ  
ყოველგვარ მოლოდინს გადაკაბრბა შეხვედრამ, რომელიც მას ნატანების  
ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოუწყუეს, როგორც საქვეყნოდ  
აღიარებულ შემოქმედს და ამ მეურნეობაში უკვე დიდი ხნის წინათ სა-  
პატიო წევრად ჩარიცხულ მოქალაქეს. შოლოხოვი მოიხიბლა ნატანებე-  
ლი კოლმეურნეების უშუალო, გულითადი მიღებით, როდესაც კოლმე-  
ურნეობის საპატიო წევრის წიგნაკი გადასცეს, მან მადლიერების გრძნო-  
ბით უპასუხა: „მე სინარულით ვატარებ თქვენი კოლმეურნეობის წევრის  
სახელს“.

სტუმარმა დიდი ინტერესით დაათვალიერა კოლმეურნეობის რაუ-  
ლი მეურნეობა, პლანტაციები, ეწვია კოლმეურნეებს. მიხილ შოლოხოვი-  
მა და მისმა შეილიშვილმა შინმოუსვლელთა ზსოვნის პატვისსაცემად მან-  
დარინის ხეები დარგეს. თავისი აღფრთოვანება და მდიდარი შთაბეჭდი-  
ლება მიხილ შოლოხოვმა საპატიო სტუმართა წიგნში მისთვის დამაპა-  
სიათებელი მოწიბლავი ჩანაწერით გამოხატა.

შოლოხოვი საქართველოდან გაემგზავრა 1968 წლის აგვისტოს ბო-  
ლოს. ვაზეთი „კომუნისტი“ წერდა, რომ დიდად საპატიო სტუმარმა  
ქართველ ხალხს მადლობა გადაუხადა გულითადი მასპინძლობისათვის.  
თავისი ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესაებებთან ერთად საქართვე-  
ლოში გატარებული დღეებისათვის... იმისათვის. რომ შესანიშნავად და-  
ისვენა და იმუშავა კიდევ რომანზე „ისინი საშობლოსათვის იბრძოდ-  
ნენ“. შემდეგ ვაზეთი დასძენდა, რომ მწერალმა თავის მშობლიურ სტა-  
ნიცაში მიიწვია საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა  
დიდი ჯგუფი.

მეოცე საუკუნის გამოჩენილი მწერლის მახილ შოლოხოვის ცხოვ-  
რებისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვაც კი ნათელს ზღის, თუ  
რა დიდმნიშვნელოვანია მისი წვლილი ცივილიზაციისა და მშვიდობის  
დაცვის საქმეში. სწორედ აქან განპირობა, რომ მთელი მოწინავე კაცობ-  
რიობა მივსალმა დიდი მწერლისათვის ნობელის პრემიის მინიჭებას.

შოლოხოვი ვალმოხდილი წაფიდა ამ ქვეყნიდან. დაიწყა მისი უკვ-  
დავების ფზა. მწერლის სახლი და კარ-მიდამო, სადაც, ანდერძის თანახ-  
მად დაასაფლავეს, მეორე იასნაია პოლიანად იქცა. მწერლის ნიჭის თაყ-  
ვანისმკემელთა ნაკადი არასდროს მოკლებია შოლოხოვის მშობლიურ  
სტანიცას, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ვეშენსკაია ხელოვნების  
ტრფიალთა ნაშდვილ მტეჟად იქცა.

სხვა ერის რამდენ შვილს სცებთა ქართველი ხალხის შადლი, რამდენ მათგანს საქართველოში გაუკაფავს გზა შემოქმედებითი მწვერვალისაკენ და მსოფლიო აღიარებისთვის მიულწევი, ანდა ვინ მოთვლის რამდენი გმირული ბრძოლის ფურცელი ჩაწერილა ქართველ და სხვა ხალხის ძმობის ისტორიაში. ლესია უკრაინკას კი მეგობრობის ამ სახელოვან მატრიანეში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია.

უკრაინული ლიტერატურის მშვენიერება, მშობლიური ქვეყნის დიდი მონაპე და მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი ლესია უკრაინკა თავისი ღრმად ფილოსოფიური და მალაქმოციური პოეტური შედეგებით სიცოცხლეშივე გასცდა სამშობლოს საზღვრებს და ყველა ცივილიზებული ქვეყნის საყვარელ მგოსნად იქცა. მისი პოეტური ქმნილებები მკითხველთა საყვარელთა ადფრთოვანებას იწვევს. ლესია უკრაინკას ყველგან დიდძალი პატივსმცემელი ჰყავს, მაგრამ ის განსაკუთრებით პოპულარულია საქართველოში. ეს კი სავსებით ბუნებრივია, რადგანაც ამ საოცარი ნიჭის მქონე უკრაინელმა პოეტმა ქალმა თავისი ისედაც ხანმოკლე სიცოცხლის უკანასკნელი ათი წელი თითქმის მთლიანად საქართველოში გაატარა. საქართველო იქცა მის მეორე სამშობლოდ. საქართველოს რევოლუციური სინამდვილის შთაგონებით ლესია უკრაინკას არა ერთი ბრწყინვალე პოეტური თხზულება შეუქმნია.

ლესია უკრაინკა მიეკუთვნება იმ მწერალთა ჯგუფს (ი. ფრანკო, პ. გრებოვსკი, მ. კოციუბინსკი). რომლებმაც მარქსიზმ-ლენინიზმისა და რევოლუციური სინამდვილის ზეგავლენით მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადეს რევოლუციურ-დემოკრატიზმიდან პროლეტარულ მსოფლმხედველობისაკენ. მოღვაწეობის ბოლო წლებში ლესია უკრაინკა იპედნად ახლო იდგა სოციალ-დემოკრატებთან, რომ ბოლშევიკურმა „პრადამ“ მის შემოქმედებას უაღრესად შალალი შეფასება მისცა.

ლესია უკრაინკა (ლარინა პეტრეს ასული კოსაჩი) დაიბადა 1871 წლის 25 თებერვალს ქ. ნოვგოროდ-ვოლინსკში. მომავალი დიდი პოეტის დედა ოლენა პჩილკა საკმაოდ პოპულარული მწერალი იყო, ხოლო მამა პეტრე ანტონის ძე კოსაჩი თავისი ეპოქისათვის ფართო განათლებისა და მოწინავე აზრებს დაუფლებულ საზოგადო მოღვაწედ წარმოგვიდგება. კოსაჩების ოჯახი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა თავყრილობის საყვარელი ადგილი იყო. სტუმრები თუ მასპინძლები ხშირად ბაასობდნენ ქვეყნის საკირბოროტო საკითხებზე, იყო მსჯელობა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების გზებზე. ასეთ ატმოსფეროს უდავოდ დაღებითი ზეგავლენა ჰქონდა ლესია უკრაინკას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ კიდევ უფრო მეტი კვალი მომავალი პოეტის შემეცნებაში სოფელ კოლოდიანევიში გატარებულმა წლებმა დატოვეს. ძირითადად სოფელში გაატარა ლესია უკრაინკამ თავისი ბავშვობა.

აქ დაუახლოვდა ის მშრომელ ადამიანებს, გაეცნო უკრაინელ გლეხთა მძიმე, მავრამ შინაგანი ოპტიმიზმითა და ჭანჭალი იუმორით აღსავსე ცხოვრებას. ლესია უკრაინკამ სწორედ სოფელში მოისმინა ხალხური სიმღერები და თქმულებები, ზღაპრები და ლეგენდები, რომლებიც მოგვრანებით ასე გამოადგა პოეტ ქალს.

ლესია უკრაინკას პოეტური შთავონების გაღვივებაში დიდი როლი ითამაშა უკრაინელმა და რუსმა კლასიკოსებმა: ტ. შევჩენკომ, მარკო ვოჯნოვმა, პუშკინმა, ნეკრასოვმა, სალტიკოვ-შჩედრინმა და სხვებმა.

მომავალი პოეტი ბავშვობაშივე იაზღა ავად ძვლის ტუბერკულოზით, ამიტომ მას ხშირად უბღებოდა სამკურნალოდ დამკვრავრება საზღვარგარეთ (გერმანია, იტალია, ეგვიპტე), თვეობით იყო შწოლიარე ავადმყოფი, მავრამ ყოველივე ამან ვერ ჩააქრო ახალგაზრდის დაუცხრომელი ნისწრაფება სწავლისაკენ, დაუოკებელი აღმოჩნდა მისი ცოდნის მიღების წყურგილი. ლესია უკრაინკამ ოჯახში მიიღო ფართო ლიტერატურული და მცენიერული განათლება, თვითნაკითხობით მან ღრმა პოლიტიკურ გათვითცნობიერებას მიიღწია. ის თავისი ეპოქის ერთ-ერთი ერთდირებული და ფართო პორიზონტის მქონე მოღვაწეა. ამის დასადასტურებლად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ლესია უკრაინკა თავისუფლად ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, ბერძნულ, ლათინურ, პოლონურ, ბულგარულ და სხვა ენებს, კითხულობდა და თარგმნიდა ამ ენებზე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

ძალზე ადრე გაიღვიძა ლესია უკრაინკას პოეტურმა ნიჭმა. მან თავისი პირველი ლექსი „იმედი“ 9 წლის ასაკში დაწერა. ეს ლექსი კი შესულია ყველა მის კრებულში. 13 წლის იყო, როცა მისი ლექსები „შრომანა“ და „საფო“ დაიბეჭდა, ხოლო 1893 წელს გამოვიდა პოეტის ლექსთა პირველი კრებული „სიმღერების ფრაგმენტები“. ამ კრებულში შესულ ნაწარმოებთა საბრძოლო პათოსი, მხნე და შეუბოვარი მამიებლის აბღლებული განწყობილება, თემის მრავალფეროვნება, ერთობ თავისებური, ზოგჯერ ნახი. ზოგჯერ კი მძაფრი და გამომწვევი ინტონაცია იმთავითვე გვაუწყებდა, რომ უკრაინულ ლიტერატურაში ანალი ძლიერი ძალა მოვიდა.

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში ლესია უკრაინკამ შექმნა მხატვრული ფორმისა და ბასრი იდეური მიმართულების ლექსები და პოემები. ამასთან ის ნაყოფიერად მუშაობდა როგორც მთარგმნელი. სწორედ ამ წლებში ააღერა მან უკრაინულ ენაზე გოგოლის, ტურგენეუს. ჰაინეს, პიუგოს, ბაირონისა და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები. ლესია უკრაინკა ხშირად გამოდიოდა მეამბოხური პუბლიცისტური წერილებით. ყოველივე ამის შედეგად ჯერ კიდევ სრულად ახალგაზრდა პოეტმა ქალმა ფართოდ გაითქვა სახელი. ის შეამჩნია და მის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა ივანე ფრანკომ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინიკურად სუსტ, დაავადებულ ლესია უკრაინკას თხზულებებში უფრო

მეტი ენერჯია და საბრძოლო განწყობილება, ვინემ თანამედროვე უკრაინელ მამაკაც ვერალთა შემოქმედებაშიო. 1898 წელს ივანე ფრანკო პოეტის ლექსებისა და პოემების ანალიზს სპეციალური წერილი უძღვნა, მან დამაჯერებლად გადმოგვცა ლესია უკრაინკას ქმნილებათა თავისებურება, აღნიშნა მათი ძლიერი საბრძოლო პათოსი და მაღალი მუსიკალური უღერადობა. მაშინ უკვე საქვეყნოდ აღიარებული ივანე ფრანკო აღფრთოვანებით წერდა თავის უმცროს თანამოკალმეზე: შევჩენკოს მოწოდების შემდეგ — „მაშ, წამოდექით, დამმარხეთ, იწყეთ ბორკილის მსხვრევა“ — უკრაინას არ სმენია ესოდენ მძლავრი, მგზნებარე და პოეტური სიტყვა როგორც არის სიტყვა ამ სუსტი, ავადმყოფი ქალისათ...

მართლაც რომ საოცარია ლესია უკრაინკას პოეტური სტრიქონების საბრძოლო პათოსი, მისი მემბოზური სული. ამავე დროს, მგოსანი ისტორიული მომენტის შეფასების უტყუარ ალღოს იჩენს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, 19 წლის პოეტმა ქალმა იშვიათი გამჭვირახობით განსაზღვრა რუსეთის იმპერიაში უკუღმართი ზოციალური წყობით დაპყვიდრებული ყოფის ტრაგიკული შედეგები: „ყველგან ცრუმლი, ყველგან ოხვრა და უმწურო შეძახილი“, — გულისტკივილით წერდა აგი. მაგრამ რაც მთავარია ლესია უკრაინკა უიმედობას არ მისცემია, არც საბრძოლო განწყობილებისათვის უღალატნია. სწორედ ამის გამოა, რომ მგოსანი მთელი შევწებით დადგა მშრომელთა მხარეზე, და თვით მშრომელთა წიაღში იპოვა შემოქმედების უმრეტი ძალა, რომელმაც განაპირობა პოეტი ქალის ოპტიმიზმის სიღრმე და დამაჯერებლობა. მკითხველს სწამდა და სწამა ლესია უკრაინკას გაბედული სიტყვის გულწრფელობა, ის იზიარებს პოეტს მოწოდებას:

ცრემლი მხოლოდ ჯანგავს ხუნდებს,  
არ იმსხვრევა ხუნდი თავად.  
რას გვიშველის ცრემლი ცხელი  
და ცხოვრება ძველგზიანი?  
სჯობს მოვიდოთ საქმეს ხელი,  
მოვიპოვოთ დღე მზიანი, 1.

ცოტა მოგვიანებით, კერძოდ, 1892 წელს, ლესია უკრაინკა კიდევ უფრო გაბედულად მოუწოდებდა მშრომელებს შეებოდნენ უკუღმართ სინამდვილეს და დაემზოთ იგი, რადგანაც მას „ბნელეთი ფარავდა“, იქ „ყოველი დუმდა, ან ბინდში გმინავდა“, რაც მთავარია, დადგა დრო, „აელვარდა სხივი ნათელი“:

რიერაჟმა, დიდის მახარობელმა,  
ბნელი გაპო ღამის მქრობელმა,  
თუმც არ დამდგარა ჯერ განთიადი,

<sup>1</sup> ლესია უკრაინკა. კრებული. თბ., 1949, გვ. 33. შემდეგში ამ კრებულიდან მოყვანილ ციტატების ბოლოს მხოლოდ გვერდები იქნება მითითებული.



რაც უფრო ფართოვდებოდა ხალხთა რევოლუციური მოძრაობა, მით უფრო ძლიერად ეღერდა ლესია უკრაინკას საბრძოლო პანჯი. რაღაც საოცარი შინაგანი ინტუიციით გრძნობდა პოეტი ქალი რევოლუციური ქართველების მოახლოებას. განახლების გარდუვალობა კი მის ურყევ რწმენას ახალ იერსა და ძალას აატებს:

კვლავ გამარჯვების სიმღერები აელერდნენ გულში,  
საგაზაფხულო ძალამ სულში დაიწყო ფეთქვა.  
ის ვერ გაატყუებს სუსხიანი ზამთრის ყინვებმა,  
ის ვერ გააქრა დედამიწას ნისლმა და თქორმა,  
ვერს დაამსხვრია გაზაფხულის გიჟმა გროგალმა (55).

ლესია უკრაინკას რევოლუციური მსოფლმხედველობის შემდგომ გაღრმავებაში დიდი როლი ითამაშა 90—900-იან წლებში მუშათა მოძრაობის აღმავლობამ, რომელშიც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო არა მხოლოდ მეამბოხური სულით აღსავსე ნაწარმოებებით, არამედ სოციალ-დემოკრატებთან უშუალო კონტაქტის დაწყარებიანაც. პოეტი ქალი თვითონ თარგმნიდა პოლიტიკურ ლიტერატურას და ამარაგებდა მუშათა არალეგალურ ორგანიზაციებს. დოკუმენტებს წიგნს „ვინ რით ცხოვრობს“ პოეტმა ბოლოსიტყვაობა დაუტოო, სადაც იგი ეყრდნობოდა რა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების მშრომელებს, მუშებს მოუწოდებდა გაერთიანებისაკენ. ლესია უკრაინკა დიდად აფასებდა პროლეტარიატის ბელადების მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობას, აღნიშნავდა მათი მოძღვრების ინტერნაციონალურ ხასიათს. პოეტი პუბლიცისტიურ და მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად მიუთითებდა მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებზე, ის აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „ეიზენში“, რომელშიც იბეჭდებოდა ლენინის, გორკის, ვოროვსკისა და სხვათა თხზულებები.

სწორედ ამიტომ წერდა „რბოჩაია პრავდა“ 1913 წელს პოეტის სიკვდილთან დაკავშირებით: „ლესია უკრაინკა იღვა რა ახლოს განმათავი-სუფლებელ მოძრაობასთან, ცერბოდ კი პროლეტარულთან, შეაწირა მას მთელი თავისი ძალა, სთესდა გონივრულს, კეთილს, მორალურს... ლესია უკრაინკა ფარდაიცვალა, მაგრამ მხნეობით აღსავსე მისი თხზულებები დიდხანს მოგვიწოდებენ შრომისა და ბრძოლისაკენ. საუღდაო და კეთილი ხსოვნა მიწერალს — მუშათა მეგობარს“.

1896 წელს ლესია უკრაინკამ საზღვარგარეთ დასაბეჭდად იგაზვნა რევოლუციამდელი არალეგალური პუბლიცისტიკის ბრწყინვალე ნიმუში „ხმა ერთი რუსი ტყვე ქალისა“. როგორც აქ. ისე სხვაგან ლესია უკრაინკა დაუნდობლად ესხმოდა თავს ცარიზმის მესვეურებს, ამხელდა დრო-მოკმული სოციალური წყობილების განრწინილებას და თავგამოდებით იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს. სწორედ ამ უკომპრომისო

ბრძოლამ ყოველგვარი ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ დაახლოვა გენიალური პოეტი რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის მშრომელებს.

1899 წელს გამოდის ლესია უკრაინკას ლექსების მეორე კრებული „ფიქრები და ოცნებები“, რომელიც, პირველთან შედარებით, გამოირჩევა მეტი კომპოზიციური სრულყოფითა და შინაგან ლოგიკურობით. იქ ჩვენ უკვე ვერ ვნახავთ დამწყები მწერლის ძლიერ და სუსტ ნაწარმოებს, კრებულში შესული ყველა ლექსი თუ პოემა დამაჯერებლად მოწმობს პოეტის შემოქმედებითს ზრდას, მისი ნიჭს სიმწიფეს.

1902 წელს გამოდის ლესია უკრაინკას მესამე კრებული „გამოძახილი“, რომელმაც მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება, და ის სრულიად დამსახურებულად ამოუყენეს გვერდში ტარას შევჩენკოს „კობნარსა“ და ი. ფრანკოს „მწვერვალებსა და დაბლობებს“.

1905-1907 წლების რევოლუციამ ლესია უკრაინკას შემოქმედების მკვეთრი აღმავლობა გამოიწვია. ამ წლებში ცხოვრობდა რა ჯერ თბილისში, შემდეგ კიევსა და პეტერბურგში, ლესია უკრაინკა ყურადღებით აღევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა რევოლუციური ტალღებით მოცულ რუსეთის იმპერიაში, ყოველთვის იყო საქმის კურსში და რითაც შეეძლო ეხმარებოდა აჩანყებულებს. საინტერესოა ლესია უკრაინკას წერილი დედისადმი, გაგზავნილი 1905 წლის 6 თებერვალს თბილისიდან. ამ წერილში პოეტი აღწერს თბილისის მუშებისა და რადიკალურად განწყობილი ინტელიგენციის რევოლუციურ გამოვლენებს, საგანგებოდ მიაპყრობს ადრესატის ყურადღებას იმ საშინელ ბარბაროსობას, რომელსაც ცარიზმის სატრაპები საერთოდ საქართველოში და, კერძოდ, თბილისში სჩადიოდნენ. ლესია უკრაინკა იყო უშუალო მოწმე უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტისა თბილისის ქუჩებში. მას არასოდეს დავიწყებია ჯალათთა ბარბაროსობა, მაშინ კი აღშფოთებული წერდა თბილისიდან დედას 1905 წლის 23 იანვრის ამბებზე, აღამიანთა სისხლის ცუბებები საღამომდე იდგა ტროტუარებზე.

თბილისში ლესია უკრაინკა ჩამოვიდა 1903 წლის სექტემბერში და ცხოვრობდა 1905 წლის მაისის ბოლომდე. როგორც მისი წერილებიდან ჩანს, პოეტი მაშინვე ჩაება საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებაში. ყურადღებით და გატაცებით ეცნობოდა მის ისტორიულ და ღირსშესანიშნავ ადგილებს. თბილისში ლესია უკრაინკას პირველი მეგობარი იყო პროფესორი არახისტი, პოეტი და მთარგმნელი, საერთოდ აღმოსავლური კულტურის შესანიშნავი მცოდნე ა. ე. კრიმსკი. ლესია უკრაინკა თბილისიდან ნაუესავებსა და მეგობრებს ხშირად უგზავნიდა წერილებს, სადაც გამოთქვამდა აღფრთოვანებას ნანახითა და გაგონილით. საერთოდ კი ლესია უკრაინკა კავკასიით ადრევე დაინტერესებულა. ჯერ კიდევ კიევში ყოფნის დროს მას ბევრი რამ გაუგონია საქართველოზე მის ოჯახში მცხოვრებ ქართველ სტუდენტ ნესტორ ღამბარაშვილისაგან. თვითონ

ნ. დამბარაშვილი ასე აგვიწერს ლესია უკრაინკას განსაკუთრებულ ინტერესს ქართველი ხალხის კულტურისადმი: ერთხელ, როდესაც ჩემთან შეხოვიდა ლესია უკრაინკა, მან ჩემს შავიდაზე დაინახა გადაშლილი უკვდავი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, დაქვეწილი გემოვნებით გამოცემული, რომელსაც მპატვარ ზიჩის ილუსტრაციები აწვევებდა... აღტაცებულმა ლესია უკრაინკამ დამაყარა კითხვები საქართველოზე, მის ბუნებაზე, თეატრებზე და ქართველთა ყოფის მრავალ სწვა საკითხებზე. დიდხანს და ყურადღებით ისმენდა ის ჩემს პასუხს მის კითხვებზე და ბოლოს თქვა: როგორი საინტერესო და საკვირველი კუთხეა საქართველო, რამდენი ვაჟკაცობა და მამაცობა უნდა ჰქონოდა მის ერთ მუჭა ხალხს, რომ დაეცვა თავისი თავი და გადარჩენოდა ამდენ თურქს-ხმებსა და უბედურებას, რაც მისთვის ბედს ურგუნებიაო.

ახლა კი, როდესაც ლესია უკრაინკა უკვე თბილისში იმყოფებოდა და უშუალო კონტაქტი ჰქონდა იმ ხალხის საუკეთესო შვილებთან, რომელთა ვაჟკაცობითა და მამაცობით იმთავითვე მოწიბლული იყო, ყველაფერს აკეთებდა, რათა გაცნობოდა ქართველთა ზნე-ჩვეულებას, აქაურ წესსა და ადათს. ქართველი ხალხის ერთგული ხასიათი, მისი დაუცხრომელი მისწრაფება თავისუფლებისაკენ განსაკუთრებით მკაფიოდ 1905 წლის რევოლუციის მომზადებისა და აღმავლობის წლებში გამოვლიანდა. ანტიტომაც ლესია უკრაინკამ ასე მალე გაიგო ქართველი კაცის ბუნება და საქართველო თავის მეორე სამშობლოდ აირჩია.

თუ რამდენად ახლო იყო ლესია უკრაინკა მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან, ეს ამკარად ჩანს მისივე წერილებიდან. ლესია უკრაინკა თბილისში შოთა ჩიტაძის ოჯახთან აგრძელებს მეგობრობას, რომელიც ქართველი რევოლუციონერისა და საზოგადო მოღვაწის კიევი ყოფნის დროს დაიწყო, უახლოვდება ზაქარია ფალიაშვილსა და მას მეგობრებს, მათი წყალობით სრულად იყო ინფორმირებული, თუ რა ხდებოდა თბილისის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რევოლუციური აღმავლობის ზეგავლენით მან საქართველოში გადასინჯა თავისი ადრინდელი შეხედულება ხელოვნებაზე. სწორედ 1903—1904 წლებში პოეტმა იღუერი კავშირი გაწყვიტა მოლიბერალო რევოლუციონერ-დემოკრატებთან და მთელი შესაძლებლობით იბრუნა გავიწო სოციალისტური რევოლუციის ხასიათი და მიმართულება.

ჯერ კიდევ 1903 წელს ლექსში „ბოლი“ ლესია უკრაინკამ გახუდულად გამოთქვა საკუთარი შეხედულება პროლეტარიატის ინტერნაციონალური სოლიდარობის აუცილებლობის შესახებ, ხოლო 1905 წელს პოეტი ყოველგვარი მერყეობის გარეშე დაღვა ბარიკადებზე გამოსული პროლეტარიატის პოზიციებზე და საშურელი თანამედრობით იცავდა მშრომელთა უფლებებს ნათელი მიზნების მოსაპოვებლად. ის ზომ ყველგან განმათავისუფლებელი ბრძოლის სიღიადეს ქადაგებდა, რადგანაც

იცოდა. რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა თავისუფალი, განახლებული ცხოვრების დამკვიდრება.

თბილისში ყოფნის დროს ლესია უკრაინკა წერს ლექსებს: „მალა კაჟკაშად ანათებენ ვარსკვლავები“, „თვალისმოპკრელად აენტენ ტალღები“, აქ დაიწერა მისი პოემა „რა მოგვცემს ჩვენ ძალას“, რომელიც მოგვიანებით შევა ტრიბუნაში. 1904 წლის თებერვალშია დაწერილი „იეფაის ქალიშვილი“ და განსაკუთრებით აღსანიშნავი ლექსი „წარწერა ნანგრევებზე“, რომელიც მკვლევართა მტკიცებით, საქართველოს რევოლუციური აღმავლობით არის შთაგონებული. როგორც არ უნდა იყოს მისი შექმნის ისტორია, ერთი რამ უდავოა — ამ ლექსით ლესია უკრაინკა იწვევს სიხუსტით გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მეფისადმი. აქვეა ნაჩვენები პოეტის მაღალი, უსაზღვრო სიყვარული მშრომელებისადმი და ნათელი მომავლის ურყევი რწმენა. ლექსის უკანასკნელი სტრიქონი რევოლუციის წინა დღეებში გაბედულ მოწოდებად ჟღერდა: „...დაე, გაწყდნენ მეფენი!“

პოეტის დამოკიდებულება რუსეთის იმპერიაში შემავალი ეროვნული უმცირესობისადმი აშკარად ჩანს 1904 წლის გაზაფხულზე თბილისში დაწერილი პოემადან „ეს თქვენ კიაზულობით იმათ?“. მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად დევნიდა და ფეხქვეშ თელავდა ხალხთა ეროვნულ ინტერესებს. ყველა საშუალებით აზობდა მათ მისწრაფებას თავისუფლებასავე. უკრაინელი ხალხის გენიალურმა შეილმა ჯერ კიდევ თავისი ქვეყნის მაგალითით იცოდა, თუ როდენ სამინგლი იყო მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა, მაგრამ როდესაც ის საქართველოში ჩამოვიდა, მის წინაშე კიდევ უფრო გაშიშვლებულად წარმოსდგა ეს უმადეაობა. ხალხთა მეგობრობის დაუღალავ მოძიერაღს არ შეეძლო გვერდი აევლო ამ მწვეაე პრობლემისათვის. შემთხვევითი არც ის არის, რომ სწორედ თბილისში შექმნა მან ნაწარმოები, სადაც დაუნდობელი რეალიზმის ძალით ჩამოხადა ნიღაბი ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას. სამაგაეროდ პოეტი აშკარა სიმპატიით გვისურათებს მოწინავე რუსი ადამიანის კეთილ დამოკიდებულებას მცირე ერების შეილებიანადმი..

ლესია უკრაინკას თბილისის პერიოდის შემოქმედების ზენიტს პიესა „შემოდგომის ზღაპარი“ წარმოადგენს. ამ პიესიდან აშკარად ჩანს, თუ რა ღრმა კვალი დატოვა მწერლის შემეცნებაში 1905 წლის რევოლუციის ანტიპა თბილისში. პიესა „შემოდგომის ზღაპარი“ ბრწყინვალედ ადასტურებს ლესია უკრაინკას პოლიტიკურ შეხედულებათა სიმტკიცეს, აქვე განთავსდა პოეტი ქალის დამოკიდებულება მშრომელი მასისადმი, რომელმაც აღარა პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი რევოლუციურ ბრძოლებში. ამავე დროს, პიესაში საკითხის ღრმა ცოდნით არის წარმოდგენილი ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა განლაგება, მხილებულია ბურჟუაზიული პარტიების გამყვებლობა, მათი ღალატი მშრომელთა განთავისუფლების წმინდა საქმისადმი. ლესია უკრაინკა პიესაში შეეხო აგრეთვე ნა-

დვილი ხელოვნების ხალხურობის პრობლემას. მწერალი იმ შეხედულებასთანაა, რომ მაღალი ხელოვნება თავისი არსით მუშათა ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, უნდა იყოს მშრომელთა იდეალების გამოხატველი.

პიესა „შემოდგომის ზღაპარი“ დაუმთავრებელი დარჩა ავტორს. თუმცა მას პიესის ტექსტზე მოგვიანებითაც უმუშავებია. „შემოდგომის ზღაპარი“ შედგება ოთხი ეპიზოდისაგან, პიესის მოქმედი გმირები არიან მეშები, მშენებლობის უფროსი, პრინცესა, რაინდი და შინამოსამსახურე ქალი. პიესის პირველ სამ ეპიზოდში, რომელიც ერთგვარ შესავალს როლს ასრულებს, ავტორი ძირითადად ტირან მეფესა და მის მსხვერპლს აგვიწერს. კერძოდ, ნაჩვენებია რაინდისა და პრინცესას ცხოვრება. რაინდისა და პრინცესას სახეები ავტორს მათი ევოლუციის პროცესში აქვს წარმოდგენილი. თუ რაინდის ევოლუცია უარყოფითია და ის საბოლოოდ რენეგატის როლში გვევლინება, პრინცესა პირიქით, რევოლუციურ გზას დაადგა და თავისი ადგილიც მუშათა ბანაკში პოვა. რთული და მძიმე იყო პრინცესას ცხოვრებისა თუ შემოქმედების გზა. მაგრამ ის ყველგან ხელმძღვანელობდა მაღალი მორალური და ეთიკური პრინციპებით. მას თუ უყვარდა რაინდი, უყვარდა იგი გულწრფელი სიყვარულით და როდესაც ცხოვრებამ დაარწმუნა მის გამტკიცებლობაში. პრინცესას ეყო ძალა მასთან გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი, რაც ძალზე ძნელი იყო მისთვის, მაგრამ პრინცესას მტკიცედ აქვს შეგნებული რენეგატთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობა. „მე დღეს. — ლაპარაკობს ის. — დაე-მარხე შეგობარი, მაგრამ შესაძლოა ხვალ ის მტრად შემხვდეს“.

რაინდის დასურათებით ავტორმა აწვილა ლიბერალების საზოგადოებრივი ცემლობა, პრინცესას მხატვრულ სახეში კი გამოიკვეთა მოწინავე ინტელიგენტი. რომელიც თავისი რთული ხასიათით, მულმივი მამიებელი ბუნებითა და რადიკალური შეხედულებებით თვითონ ავტორს მოგვაჯონებს.

ერთხანს ფიქრობდნენ, რომ პიესის მთავარ გმირებად რაინდი და პრინცესაა წარმოდგენილი. მართალია, დრამაში რაინდზე, პრინცესაზე და დაქანების გზაზე მდგარ შინამოსამსახურე ქალზე საკმაოდ ვრცელადაა ლაპარაკი, მაგრამ ეს არ იძლევა იმის საშუალებას. რომ ისინი მთავარ პერსონაჟებად წარმოვიდგინოთ. „შემოდგომის ზღაპარში“ დრამატურგის ჩანაფიქრით მუშებს უკავიათ წამყვანი ადგილი. სწორედ ისინი რევოლუციურ გამბედაობით იკაფავენ გზას მწვერვალისაკენ. სულ უფრო უახლოვდებიან სანუკვარ მიზანს, მაშინ, როდესაც რაინდი ამ მთის პირველ საფეხურზე დარჩა და ტირან მეფესთან დაბრუნების საშუალებას ეძებს.

აღსანიშნავია თვით ბროლის მთის სიმბოლო, რომელშიც მკვლევარებმა მთაწმინდა და მისი მდინარეები დაინახეს. ასეთი მტკიცებისათვის მართლაც არსებობს საფუძველი. 1905 წლის იანვრისა და თებერვლის დღეებში, როგორც ეს თვითონ ლესია უკრაინკას წერილებიდან ჩანს,

მთაწმინდის ფერდობები თოვლით ყოფილა დაფარული და მზის შუქზე ის მართლაც რომ ბროლის მთის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ასევე ყურადსადება წითელი დროშისა და აღმების სიშბოლოც. შექმთხვევითი როდია, რომ მუშები ბრძოლას მთაზე ყოველ ახლად გამოკრილ საფეხურს წითელი აღმით აღნიშნავენ, ხოლო მწვერვალისაქენ მიმავალთ წინ წითელი დროშა მოუძღვიათ. ვფიქრობთ, ყოველივე ეს თბილისში მიღებული შთაბეჭდილებებით უნდა იყოს შთაგონებული. ლესია უკრაინკა მოწმე იყო წითელი დროშითა და აღმებით თუ როგორ მიდიოდა მუშათა კოლონა თბილისის მთავარ ქუჩაზე. ბუნებრივია, ამ წარმტაც სანახაობას უნდა დაეტოვებინა სათანადო კვალი მეამბოხე სულის მქონე პოეტზე.

პიესა „შემოდგომის ზღაპარი“ მოწონებას იმსახურებს აგრეთვე როგორც ღრმად ოპტიმისტური ნაწარმოები.

თბილისიდან ლესია უკრაინკა კიევში ბრუნდება, როგორც ჩანს, პოეტს კიევის კლიმატი არ უხდებოდა, მაგრამ მატერიალური ხელშეწყობა არ აძლევდა საშუალებას, სამკურნალოდ საზღვარგარეთ გამგზავრებულყო. მიუხედავად მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, ლესია უკრაინკა განაგრძობს ნაყოფიერ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მან კიევში შექმნა რევოლუციური სინამდვილის ამსახველი ბრწყინვალე პოეტური შედევრები: „ოცნებავ, ნუ მიღალატებ“, „კატაკომბებში“, „სიმღერები თავისუფლებაზე“ და სხვ.

1907 წელს ლესია უკრაინკა კიევში დააპატიმრეს. საბაბად II სახელმწიფო სათააბიროზე მის მიერ შექმნილი სატირული თხზულებები გამოიყენეს. ლესია უკრაინკა მართლაც რომ რეალისტის დაუნდობელი ხელით ჩამოხდის ნიღაბს მეფის მთავრობის სამარცხვინო ფარსს. ჩხრეკის შემდეგ მისი ბინიდან წაიღეს გაზეთ „ისკრის“ კომპლექტი და სხვა არალეგალური ლიტერატურა. ავადმყოფი პოეტი ციხიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მას დაუწყეს უანდარძთა ფართული მეთვალყურეობა და სამუდამოდ შეიტანეს „არასამედოთა“ სიაში. იწყება დაუსრულებელი დევნა და შევიწროება. პოეტი ქალი კი აგრძელებდა შემოქმედებითს შრომას და უკუღმართი სინამდვილის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას.

ლესია უკრაინკას სულეერ სიმტკიცეზე არც რეაქციის მძიმე უკს უმოქმედია. ეს წლები მან ცვლავ საქართველოში გაატარა. 1908 წლის დეკემბერში ლესია უკრაინკა და მისი მეუღლე კ. კვიტკო თბილისში ჩამოდიან. ერაზხანს აქ დაჩინენ, ხოლო 1909 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში თელავში გაემგზავრნენ, სადაც პოეტის მეუღლე მოსამართლის თანაშემწედ იყო დანიშნული.

თელავიდან გაგზავნილ წერილებში უხვად არის გადმოცემული პოეტის შთაბეჭდილებები, მისი შეხედულება ადგილობრივ მტკვარებლებზე, საქართველოს ამ უღამაზესი კუთხის ბუნებაზე. განსხვავებით თბილისური წერილებისაგან, ამ წერილებში გვხვდება მშრომელთა ცხოვრე-

ბის ამსახველი ეპიზოდებიც, როგორც ჩანს, ლესია უკრაინკა სანამ ჩავიდოდა თელავში, კარგად იცნობდა საქართველოს ამ მხარეს და საეპოქოდ სრული წარმოუდგენა ჰქონდა კახეთზე.

პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ირკვევა, რომ მას თელავი და, საერთოდ, კახეთი ძალზე მოსწონებია, დაუშვარებია მეგობრული ურთიერთობა ადგილობრივ ინტელიგენციასთან, ყოფილა სტუმრად გლეხების ოჯახში და ძლიერ სწუხს, რომ მან და მისმა მეუღლემ არ იციან ქართული ენა, რაც ხელს უშლიდათ უფრო ახლო კონტაქტი დაეწყებინათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ერთ წერილში, რომელიც ლესია უკრაინკას შევობარ გ. კოპაროვასათვის იაუგუზავნია თელავიდან 1909 წლის 10 მარტს, ასე აგვიწერს მიღებულ შთაბეჭდილებებს: „ცხოვრების პროზა“ აქ ძნელად მოსაპოვებელია, სპაგაიეროდ პოეზიას ძებნაც არ უნდა. ის თვითონ გარს შერტყვის. ჩემი ბინიდან მოჩანს მთელი დაღესტანი (ლ. უკრაინკა „დაღესტანს“ უწოდებს კაკკასიის მთებს. — გ. გ.). დიდებულა თეთრთავიანი მთა. ის აქედან შორსაა, ორმოცი ვერსტიანა დაშორებული, მაგრამ ნათელ დღეება და მთვარიან ღამეებში ისე მოგვიანლოვდება. რომ შეგეშინდება კადვეც: ის მაგიურ ახალშექმნილ სამყაროს ხატებად წარმოგიდგება; ღრუბელზე მჩატად გვიჩვენება და ყინულზე უფრო გამკვირვალა... ჩვენგან მეორე მხარეს გომბორის მთებია, ისინიც მალეღია, მაგრამ დაღესტანთან შედარებით — ეს უკვე იდილიაა“.

თელავის პერიოდი ლესია უკრაინკას ცხოვრებაში აღინიშნება ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით. თუშცა მისი ჯანმრთელობა (დღითიღღე უარესდებოდა და ლიტერატურული მოღვაწეობა მგოსანს ძვირად უჩვებოდა, მაგრამ მას კალაში ხელიდან არ გაუგდია და თავდაღებული შრომით გაამდიდრა უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურა ახალი ნაწარმოებებით. შემოქმედებითს აღჰავლობაზე, რომელსაც უკრაინის ცენი-ალური პოეტი თელავში განიცდიდა. ის გულახდილად წერდა თავის ღას: „სხვათა შორის, სწორედ ახლა მე უამრავი სხვადასხვა ხასიათის გრანდიოზული ლიტერატურული ჩანაფიქრი მაქვს და ამიტომ მინდოდა გადამიწია სრული ინვალიდობის დრო. ჯერ ჩემთვის არ დამდგარა წლები, როდესაც იტყვიან „ჭკუა ამოწურაო“<sup>1</sup>.

ლესია უკრაინკა თელავში აგრძელებს მუშაობას აღრე დაწყებულ მხატვრულ ტილოებზე. მან აქ დაამთავრა. უფრო ზუსტად, საბოლოო სარედაქტორო სამუშაოები ჩაატარა და დასაბეჭდად მოამზადა თავისი ყველაზე დიდტანიანი დრამატული ნაწარმოები „რუფინი და პრისცილა“. თელავში შექმნა ლესია უკრაინკამ დრამატული ეტიული „იოჰანა, ზუციის ცოლი“, რომელშიც მან გამოყვეთილად გვიჩვენა რელიგიური დოგმებ-

<sup>1</sup> ტ. გ. შევჩენკოს სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ხელნაწერების განყოფილება. ტ. 2, № 392.

საღმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება. ამ დრამატულ ტილოში აისახა ავრეთვე ავტორის მიერ საქართველოში მიღებული შთაბეჭდილება, განსაკუთრებით იგრძნობა კავკასიაში ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკით ხალხთა უკმაყოფილების გამოძახილი.

დიდ პოეტს ყურადღებიდან არ გამორჩენია დეკადენტების უღირსა საქმიანობა, რომელმაც ფართო გასაქანი სწორედ რეაქციის წლებში მიიღო. მაშინ, როდესაც საზოგადოებას სჭირდებოდა მამხილებელი, მებრძოლი სულის პოეზია, დეკადენტებმა ჩიკით სპეკულაცია დაიწყეს და მკიათხველს უსიუფეტო, უშინაარსო ლექსები შესთავაზეს. ამ თემაზე დაწერალ ლესია უკრაინკას თხზულებათა შორის განსაკუთრებით თელავში შექმნილი „მუზის ახირება“ გამოირჩევა. ამ ლექსს ბევრი რამ აკავშირებს „ტალღასთან“, უფრო კი თელავში დამთავრებულ პოემასთან „უღრან ტყეში.“ მათთან შედარებით „მუზის ახირება“ მეტი პირდაპირობით ხასიათდება. ლესია უკრაინკა ყვლავაც იმ აზრისაა, რომ შემოქმედი მხოლოდ მაშინ პასუხობს თავის მაღალ დანიშნულებას, როდესაც აქტიურად იბრძვის ხალხის ინტერესებისათვის. პოეტის სამართლიანი მტკიცებით, საეპარისია ხელოვანმა დატოვოს ბრძოლის წინა ხაზი, რომ მისმა მოღვაწეობამ ყოველგვარი აზრი დაკარგოს. ამ დროს თვითონ მწერალი ობივატელური ყოფის მსხვერპლი ხდება, ჭაობში ჩაფლული კნინდება.

სწორედ ასე მოუვიდა თელავში დასრულებული პოემის — „უღრან ტყეში“ — მთავარ გმირს რიჩარდს, რომელმაც აიღო ხელი თუ არა ბრძოლაზე. ეს უდავოდ ნიჭიერი მოქანდაკე, როგორც ხელოვანი, მოკვდა. ამიერიდან მას ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა, არც არავინ დევნიდა, მაგრამ ცხოვრების მოვლენების მასურებლის როლში ყოფნამ ჩააქრო ის ძლიერი ცეცხლი, რომელიც ასაზრდოებდა მის შემოქმედებითს ფანტაზიას. მხოლოდ უკომპრომისო ბრძოლას ხალხის ინტერესებს დააყვავდა. ლესია უკრაინკას ღრმა რწმენით, შეუძლია შემოქმედს მისცეს საჭირო ძალა. რიჩარდის ტრაგედია ბრძოლის ველოდან გაქცეული რენევატის ტრაგედიაა და ამიტომ იყო. რომ პოემის შინაარსი მკიათხველმა აქტიური ბრძოლისაკენ მოწოდებულ აღიქვა. ავტორის იდეური ჩანაფიქრას ასეთი გაგებისათვის ზელი არც იმას შეუშლია, რომ პოემაში აღწერილი მოქმედება XVIII საუკუნეში ხდება და ისიც ჩრდილოეთ ამერიკაში. პოეტი ამ შემთხვევაშიც სინამდვილის აქტუალური პრობლემის ალფეორობულ, პირობით ფორმებში გადმოცემის ვირტუოზულ უნარს იჩენს.

ასეთი ნაყოფიერი და მრავალფეროვანი აღმოჩნდა ლესია უკრაინკას თელავში ცხოვრების ერთი წელი. 1909 წლის ნოემბერში პოეტი იძულებულია საქუთრნალოდ ეგვიპტეში გაემგზავროს, საიდანაც 1910 წლის ივლისში ბრუნდება.

ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ ლესია უკრაინკას ქმარი კ. კვიტკო



ქუთაისში გადაჰყავთ სამუშაოდ და პოეტის დასავლეთ საქართველოში გადადის საცხოვრებლად. დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი ქუთაისს, უკრაინკა მანამდეც კარგად იცნობდა. ეს ჩანს მისი წერილიდან. რომელიც 1910 წლის 2 სექტემბერს გაუგზავნია დედისათვის: „ჩვენი პერსპექტივები ირკვევა, — ვკითხულობთ ბარათში, — ახლა უკვე ქუთაისში მივდივართ — მოვიდა „დანაშენა“.. ეს კი ნიშნავს. რომ მე ვიცხოვრებ თვით კოლხეთის ცენტრში, რადგანაც სწორედ ქუთაისი უნდა იყოს ის ადგილი, სადაც არგონავტები მდინარე რიონზე, რომელიც ძველად „ოქროსად“ იწოდებოდა, მოიპოვებდნენ ოქროს საწმისს, რადგანაც მამინ იქ იყო ოქროს ქვიშა (ახლა აქ ის ცოტაა, მხოლოდ თვით შესართავთან თუ შეგხვდება). კოლხეთში, როგორც ლაპარაკობენ. აღწინაებს ძალზე უწყობს ბერძნული სახელები, განსაკუთრებით კი იაზონი (ეს მთელ საქართველოში გავრცელებული სახელია, მხოლოდ მას იასონად გამოთქვავენ, რაც, ჩემი აზრით, უფრო სწორია). ქუთაისში უნდა იყოს სიცხე ისე როგორც იალტაში, მხოლოდ უფრო ნესტიანი“.

ქუთაისის წამთარი 1911 წელს უჩვეულოდ თოვლიანი იყო. პოეტი იანვარში იძულებული გახდა კვლავ ეგვიპტეში გაგზავნებულყო. ქუთაისში ის მაისის ბოლო რიცხვებში დაბრუნდა. საერთოდ კი. ქუთაისის კლიმატი და თვითონ ქალაქი მოსწონდა პოეტს. ეს ქალაქი მან ჰუდშივ საცხოვრებელ ადგილად აირჩია. ქუთაისში ცხოვრების პერიოდი პოეტის შემოქმედების შემდგომი აღმავლობით აღინიშნება. აქ დაწერა მან თავისი გენიალური ქმნილება „ტყის სიმღერა“. აქ შექმნა სხვა ნაწარმოებებიც. ქუთაისში ყოფნის პერიოდი ღესია უკრაინკას ცხოვრებაში ქართულ მოღვაწეებთან მჭიდრო ურთიერთობის შემდგომი გაფართოებითაც აღინიშნება.

ქუთაისში უკრაინელი პოეტი დაუახლოვდა მოწინავე ქართველ ინტელიგენციას. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობას აწყობდა პოეტი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის სილოვან ზღუდაძის ოჯახთან. სილოვან ხუნდაძე მოწინავე იდეებისა და პაეტაკი ადამიანი იყო, მასთან ურთიერთობა უკრაინელ პოეტ ქალს უთუოდ სარგებლობას მოუტანდა. როგორც ირკვევა, მეფის ჩინოვნელებს ემონოდათ უკრაინელი პოეტის ახლო ურთიერთობისა მოწინავე ქართველ ადამიანებთან. თუ არა ამით, ამა, სხვა რით შეიძლება ავხსნათ პოეტის მუშაობის ხშირი გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეში. პოეტის ოჯახმა ვერ მოასწრო ქუთაისში დაპყვიდრება, რომ კ. კვიციანი გადაჰყავთ ხონში (წულუკიძე). ღესია უკრაინკას არ უნდოდა ხონში წასვლა. მაგრამ როგორც ირკვევა მისი 1911 წლის 15 სექტემბრის წერილიდან. პოეტი უკვე ჩასულა ამ ქალაქში საცხოვრებლად და კიდევ მოსწონებია ის. ხონი და მისი მდინარეები უკრაინელ პოეტს მშობლიური ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებს მოაგონებდა. ღესია უკრაინკას ფიზიკური მდგომარეობა ხონში რამდენადმე გაუმჯობესდა და ის იწყებს ინტენსიურ შემო-

ქმედებითა საქმიანობას. აქ მან დაწერა თვალსაჩინო დრამატული პოემა „აღვოკატი მარტიანი“. ლესია უკრაინკა იმდენად შეეჩვია ხონს, რომ აქედან წასვლაც კი აღარ უნდოდა, მაგრამ მეფის მოხელეების თვითნებობას საზღვარი არ უჩანდა. სულ რაღაც 3—4 თვის შემდეგ კ. კვიტკოს კვლავ აბრუნებენ ქუთაისში, ძველ სამუშაოზე. 1912 წლის ზამთარსა და ზაფხულს ლესია უკრაინკა ქუთაისშია, ხოლო ოქტომბრის ბოლო რიცხვებისათვის მისი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ პოეტი იძულებულია სამკურნალოდ კვლავ ეგვიპტეში გაემგზავროს. სამშობლოში ის 1913 წლის აპრილის ბოლოს დაბრუნდა. რეო მოკლე ხნით კიევში, ხოლო შინაში ისევ ქუთაისს დაუბრუნდა. მისი მდგომარეობა დღითიდღე სავალალო ხდებოდა, ტუბერკულოზი გადავიდა თირკმელებზე, ახლოვდება აღსასრული, მძიმე იყო მისი მატერიალური მდგომარეობაც, მაგრამ პოეტი ქალი არ კარგავდა იმედს, არ წუწუნებდა და მწუვავე ტკივილებს იმირულად იტანდა. 1912 წლის 3 მ.ისს ქუთაისიდან გაგზავნილ წერილში ლესია უკრაინკა, აღწყებდა რა აღრესატს მის ცხოვრების პირობებზე, არ ივიწყებდა კავკასიის სიღამაზეს, ოპტიმისტურად იყო განწყობილი. „თუ ვინმეს არ უნახავს კავკასია, — წერდა ლესია უკრაინკა, — მისი ნახვა ღირს, რადგანაც სრულებითაც არ სტყუოდნენ პოეტები, როდესაც „უმღეროდნენ“ მის სიღამაზეს. რაც შეეხება მატერიალურ გაჭირვებას, ამაზე წერა პოეტებს არ შეშვენით (ყოველ შემთხვევაში ლექსებში)“.

ლესია უკრაინკას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში თავისებურად აისახა საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები. თუ პოეტი კერძო წერილებში პირდაპირ ლაპარაკობს აქ აღძრულ გრძნობებზე და არ მალავს თავის აღფრთოვანებას, ამას ვერ ვიტყვით მხატვრული თხზულებების შესახებ. პოეტი მისთვის ჩვეული განუმეორებელი ახლოვნებით საქართველოში მიღებულ განცდებზე და დაკვირვებებს ბუნებრივად მოაქცევს ნაწარმოების მთლიან ქსოვილში და მის ორგანულ ნაწილად წარმოგვიდგენს. აქ მხოლოდ დაკვირვებულ მკითხველს თუ მკვლევარს შეუძლია დაინახოს საქართველოში მოპხდარი ამბების ანარეკლი. ის ყოველ კონკრეტულს, კერძოს, ზოგადსაკაცობრიო პოზიციებიდან უყურებდა და კიდევაც აღწევდა ამ მოვლენების ფართო განზოგადებას.

ლესია უკრაინკას ქუთაისში ცხოვრების უკანასკნელი თვენახევარი უაღრესად მძიმე ფიზიკური მდგომარეობით აღინიშნება. ექიმებმა მისი გამოკეთების ყოველგვარი იმედი დაკარგეს. 1913 წლის 9 ივლისს პოეტი უჩივრო მდგომარეობაში მყოფი სურამში გადაიყვანეს, ხოლო 19 ივლისს იგი გარდაიცვალა. ლესია უკრაინკას ცხედარი, მისივე ანდერძის თანახმად, კიევში გადაასვენეს. პოეტის დაკრძალვა სახალხო-პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. იგნიალური შვილის უღროოდ დაღუპვას მთელი უკრაინა დასტიროდა. მოძმე უკრაინელი ხალხის გლოვას თავისი წრფელი გულისტკივილი მოწონავე ქართველმა საზოგადოებამაც შე-

უერთა, მიცვალბულის ცხედარი დიდი პატივისცემით გააცილეს სამ-  
შობლოში.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ფაქიზად შეინახა დიდი უკრაინელი  
პოეტი ქალის ნათელი ხსოვნა. სურამში გახსნილია ლესია უკრაინკას  
სახლ-მუზეუმი, აქვე პოეტს დაუდგეს დიდებული ძეგლი, რომელიც გა-  
პოჩენილ ქართველ მოქანდაკეს თამარ აბაყელის ეკუთვნის. თბილისისა  
და საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებს დაერქვა ლესია უკრაინკას სა-  
ხელი.

ლესია უკრაინკას ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები თარგმნილია  
ქართულად. გამოცემულია მისი ლექსებისა და პოემების კრებულები.  
უშრნალებში და გაზეთებში არა ერთი საინტერესო წერილია დაბეჭდი-  
ლი დიდ უკრაინელ პოეტზე, გამოცემულია ცალკე გამოკვლევებიც. ყო-  
ველივე ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ ლესია უკრაინკა იყო და დარ-  
ჩა ქართველების საყვარელ პოეტად.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა . . . . .	3:
ნ. მ. კარაშინი — მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი . . . . .	27
დიდებით მოსილი პოეტი . . . . .	38
ლერმონტოვი და თანამედროვეობა . . . . .	122
პოეტო და მოქალაქე . . . . .	141
რუსი ხალხის სიამაყე . . . . .	165
ცრემლნარევი სიცილის ჯადოქარი . . . . .	190
მაქსიმ გორკი და ქართველი საზოგადოება . . . . .	214
ბაღდადის მთებიდან აფრენილი არწივი . . . . .	249
ლექსად დაღვრილი სიცოცხლე . . . . .	285
რევოლუციური ეპოქის დიდი მხატვარი . . . . .	349
ლესია უკრაინკა საქართველოში . . . . .	360

რედაქტორი ლ. კემულარია  
მხატვარი ჭ. უავლაშვილი  
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე  
კორექტორი ე. უვანია  
გამომშვები ნ. მანაგაძე

ს. ბ. 6455

გადაეცა წარმოებას 29.12.87. ხელმოწერილია დასაბუქდად 5.12.88.  
უე 02158. საბუქდო ქალაღი № 1. 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. გარნტურა ვენა.  
ბუქდუა მალაღ. პირობოთი ნაბუქდო თაბახი 23,5. პირ. საღ.-გატ.  
23,88. სააღრ.-საგამომც. თაბახი 23,83. ტრაჟი 2 000. შუეკ. № 689.  
ფასი ± მან. 60 კაბ.

გამომცემლობა „საბუქოთა საქართველო“  
თბიღისი, მარჯან-შვიღის, 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოღრგრაფიისა და წაღნის  
ვაკრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბუქდვოთი სიტუეის  
კომბინატი, თბიღისი, მარჯან-შვიღის ქ. № 5.

Комитат печати Государственного комитета Грузинской ССР  
по делам издательства, полиграфии и книжной торговли,  
ул. Марджанишвили, 5.